114
1962 / 2

# მნათობი

114/2

1

1962

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 39-ე · № 1 · იანვარი, 1962 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

8796

## შინაარსი

გიორგი ლეონიძე — საახალწლო. ლექსი . . . 3
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი. ტეტრალოგია. გაგრძელება . . . 5
ალიო ადამია — ლექსები . . . 17
ლადო სულაბერიძე — თამაში. ლექსი . . . 19
კლიმენტი გოგიავა — თვალი თვალს რომ მოშორდება... მოთხრობა . . . 20
რევაზ ინანიშვილი — ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება. მოთხრობა . . . 49
ოთარ ჭილაძე — ლექსები . . . 70
ჯანსუღ ჩარკვიანი — ლექსები . . . 71
ელიზბარ ზედგინიძე — გაზაფხული დაიწყო ადრე... რომანი. ნაწილი მეორე . . . 72
გურამ გოგიაშვილი — ადამიანის შვილი. მოთხრობა . . . 86
ემილიან ბუკოვი — თქმულება ანდრიეშზე. მოლდავური პოემა. თარგმანი ხუტა ბერულავასი . . . 91
პოლიკარპე კაკაბაძე — ცხოვრების ჯარა. კომედია 4 მოქმედებად . . . 106

### შვიდწლედის მოწინავენი

იორამ ქემერტელიძე, გივი შეყრილაძე — ოქროს ხელები . . . 128
მამია ახათიანი — სვანური თქმულება . . . 133

(იხ. მეორე გვ.)

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა


ვ. ესაიაშვილი — ახალი თეორიული დებულებანი და დასკვნები სკკპ პროგრამაში . . . 148
სერგი ჭილაია — ირაკლი აბაშიძის შემოქმედება . . . . . . . . . . . . 156
ლავროსი კალანდაძე — ფიქრები და რეპორტაჟი . . . . . . . . . . . 168
ტარიელ კვანჭილაშვილი — მიხეილ ჯავახიშვილის გაზეთი „გლეხი“ . . . 177


## წიგნების მიმოხილვა


ვ. ჩანტლაძე — საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა გამოხმაურება პროფ. პ. გუგუშვილის ერთ წიგნზე . . . . . . . . . . . . . . . . : : 182
არკადი ხუნდაძე — წ. თორგომიანის რომანი „ჩაუქრობელი ცეცხლი“. . . . . . 186
ზურაბ ჭუმბურიძე — პოეტის პირველი წიგნი . . . . . . . . . . . . 188

შ. ჩიჯავაძე — ტექსტოლოგიური შენიშვნები . . . . . . . . . . . . 190

ახალი წიგნები . . . . . . . . . . . : : : 192



რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ვ. მაღრაძე, ბ. ჟღენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე (პ/მგ მდივანი)

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/11-62 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7^{1}/_{4}$×$12^{1}/_{2}$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02430 ტირაჟი 6.500. შეკვეთა № 1.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი ლეონიძე

# საახალწლო

1.

ახალო წელო,
რა ჩაგიწერო,
თუ არა მზედღე ასჯერ ათასი! —
პური და ღვინო,
ოქრო და ვერცხლი,
თვალმარგალიტი,
სიმღერა,
ტაში,
შრომა,
მშვიდობა
და სიყვარული,
გამარჯვებანი მთასა და ბარში!
ახალ აკვნების გადარწევანი,
ახალ გმირების დასი და დასი, —
ვთქვა სადღეგრძელო
და დავდგა თასი!

2.

სამშობლოვ,
  მზეს თუ ჩამოეტეხე,
ქარს უბით დააქვს შენი სურნელი
როგორც ირემი გახურებული,
შენს წყაროსთვალზე მე ვარ მწყურნები.
ყველა ჩემი გზა შენთან თავდება,
ბედნიერების შენ გთვლი თავდებად,
შენით ეს სიტყვაც დათავთავდება!
შენდა მეტყველად,
მომღერლად დამსვი,
ვთქვა სადღეგრძელო
და დავდგა თასი!

3.

სულ ჩქეფდეს მტკვარი მეტეხის ძირში,
მეტეხის თავზე დილა ბრწყინავდეს,

„დალიე და დადგი თასი“

ვიყვნეთ საყვარელ მამულის ღირსი,
ვიდრე გულს სეტყვა არ გაჰყინავდეს
ბედნიერება, მშვიდობა ქვეყნად,
სულ დამცხრალიყვეს ქარი კაპასი!
ცანი ცათანი ხანძრებს არ ეხნათ, —
ვთქვათ სადღეგრძელო
და დავდგათ თასი!

4.

იქ სუსხს რა უნდა, ყინვა-სიცივეს,
სად ქართულ სიტყვის მადლი ტრიალებს
ასწევს ოცნებას, დააციმციმებს,
დუღაბით შეჰკრავს ბზარს ნატიალევს.
ერის გულიდან გამონაძგერი!
არის ფოლადის ძაფით ნაკერი, —
მტერი ვერ ჰნახავს დაშრეტილს,
                    დავსილს,—
ვთქვა სადღეგრძელო
და დავდგა თასი!

5.

მოგვდევდეს — შოთას ლალმარჯნის
                    დენა,
არაგვზე მეტად — ვაჟას ჩქროება,
აკაკის ლექსში — ბულბულის სტვენა,
ილიას შუბლის მედროშეობა!
ტატოს ხელიდან გავარდნილ კალამს,
გზას ვინ მოუჭრის, ვინ მოურკალავს?
დავითის ცრემლთა ციცნათელები,
საბას ჭაღარა — გზას გვინათებენ...
შავს ვერ ჩააცმევს შავი სიკვდილი,
ერმა თავისი ნათლით შემოსა,
კიდევ მრავალჯერ ენახოს ქართველს,
მათებრ დიდებით — ქართლში
                    შემოსვლა
ცხოვრება წავა, ლექსი დარჩება ,

ასეთი არის ოცნების ფასი!
ერს მივულოცოთ და მის არჩევანს,
ვთქვათ სადღეგრძელო
და დავდგათ თასი!

6.

გავმდიდრებულვართ შვილიშვილებით
ფიცით შევძახებ
საკუთარ ძის-ძეს:
ჩააგდე თესლი, რომ აღორძინდეს,
და მომავალი სამშობლოს მისცეს!
ახალგაზრდობავ ამშენებელო,
შენს ნიჭს,
გონებას
ვინ დასდოს ფასი?
ახალ მერანის გამჭენებელო, —
ვთქვა სადღეგრძელო
და დავდგა თასი!

7.

მინდა ფოთლებმა სიმღერა სწერონ
აღორძინების, წინსვლის, იმედის,
ქვაც კი არ დარჩეს უგულისძგეროდ
და უსიმღეროდ სიკვდილის მეტი!
ნუმც დაღლილიყვეს ოსტატის ხელი,
შთაგონება რო მზესთან მიაფრენს,
კიდევ მრავალი ახალ სახელით
ექროლებინოთ საღვთო ნიავქრებს.
მთების სილურჯე, ტოტის სიმწვანე,
შავმტევნის ფერი, — ეშხი ნატასი,
სხივი გულისა, —
მზედ რომ იწამებ,
თუ საქორწილო ფარჩა-ატლასი,
წამწამშერაზმულ თვალების შუქი,
წერაქვის ელვა, ჩუქურთმის ხავსი,
მამულის სიტკბო,
მრავალჟამიერ,
ზღვის ნაშხეფარი
და სხვა ათასი, —
გამოუწყვეტლივ
სულს აჟღერებდეს, —
ვთქვა სადღეგრძელო
და დავდგა თასი

8.

სხვა სურვილებიც მაქვს სანაქებო, —
მომილოცნია, ამხანაგებო! —
რას ამოისვრის, რომელ მარგალიტს,
საქართველოს ზღვა უფსკრულ-ძირიდან
რა სივრცეს გასწევს აზრის ფარგალი,
და ყრმა რას იტყვის ოქროს პირითა?
ჰქონდეს კეთილი ბედის დინება,
ბრძმედის ალმურში ნაჭედი ნება!
პერანგს აცმევდეს ქართლის ცისკარი...
მზე მოჰკოცნიდეს ოქროს ნისკარტით.
მას მოულოცოთ, მას, დღე ათასი!
ვთქვათ სადღეგრძელო,
დავცალოთ თასი!

31 დეკემბერი 1961

## კონსტანტინე გამსახურდია

# დავით აღმაშენებელი*

### ტეტრალოგია

## შეგონებანი კირიონ ბერისა

დავითი ცხენების ჭიხვინმა გამოაღვიძა. სარკმელიდან გაიხედა: ალერსაის და თაფლისფერ იაბოს თავლისწინ დაატარებდნენ მეჯინიბენი. გვანცა კოშკის უკანა აივანზე იდგა, დავითმა მხარზე დაადო ხელი და მიესალმა.

„როგორ ხარ, ულამაზესო"?

"ღვთის წყალობით კარგად, მეფევ ბატონო".

სახლთუხუცესი მოკრძალებით ეახლა სტუმრებს. ბოდიშობდა:

"ეე, რა ვქნათ, უფალო, ვახან ერისთავსა და ეპისკოპოზს ხრისტოდულეს ისე მაგრად სძინავთ, ვერასგზით ვერ გავაღვიძეთ".

დავითს იამა განაგონი და მიუგო ბერიკაცს:

"გევედრებით, უფალო, არამც და არამც არ შეაწუხოთ ბერიკაცი. ჩვენ დიდი გზა გვიდევს წინ, დაუყოვნებლივ უნდა გავემგზავროთ".

„რასა ბრძანებთ, უფალო, ჯიგრის ყაურმა მზადაა. ცხენებს უკვე ვაჭამეთ ქერი".

* *
*

მზე ჯერ არა სჩანდა ორაგულის ქერეჭისფერ ცაზე, როცა ცხენოსნები ვახანის ციხიდან გავიდნენ.

დავითი წამოეწია ცხენის სიგრძეზე წინ მიმავალ გვანცას და უთხრა:

"როგორ შევცდი, გვანცა, მაგ შლუ ერისთავის პურმარილი რომ მივიღეთ, ერთი უტევანის მანძილზე ამ ხეობაში წისქვილი უნდა იყოს სადღაც, გვიჯობდა იქ გაგვეთია ღამე.

რიგიანად გამომლანძღა მაგ განპატიჟებულმა ეპისკოპოზმა".

"რაო, რას როშავდა ბერი?"

„რას იზამ, მაგ ყიამყრალის ნათქვამი განმეორებად არა ღირს. არა უშავს რა. მეფეები ხშირად რომ ივლიდნენ თავიანთ საუფლოში უჩინ-მაჩინად, იოლად გაარჩევდნენ მტერსა და მოყვარეს ურთიერთისაგან.

მაგ ვახან ერისთავის განპატიჟებული ძმა ხრისტოდულე გასულ კვირას მოციქულებს მიგზავნიდა: სასჯელი მომხსნასო მეფემ და რომელიმე სამწყსო მიმიჩინოსო არგვეთის საერისთაოში.

ისე გამოდიოდა, თითქოს არც კი სმენოდეს ბერს, რომ სწორედ რუის-ურბნისში დავადგენინეთ მემთვრალე და მრუშ ეპისკოპოზთა განპატიჟება.

მე არ დავაყოვნე და აგრე შევუთვალე: გიორგი ჭყონდიდელს მიმართე-მეთქი. კარგად ვიცოდი, იგი ვერც შებედავს რაიმე სთხოვოს მამაი გიორგის.

ცხენებმა უფონოდ გადალახეს ზათქით მიმავალი მდინარე. დავითი ღელავდა, თუმცა გვანცა მარჯვედ უჭერდა თავს თავის ცხენს, რომელმაც ბარე ორჯერ წაიფორთხილა.

მზე შუბის ტარზე წამოწეულიყო,

* იხ. „მნათობი", 1959 წ. № 12.

როცა ცხენოსნები ერთ უხიაგ ხევისწყალს მიადგნენ ისევ, დავითი დაწინაურდა, ჯერ თავად გადალახა იგი.

გვანცას იაბო გაჭირვეულდა, ქეშაოდ სვლა დაიწყო, დავითმა გვანცა გადასვა ალერსაზე, თავად თაფლისფერ იაბოზე შეჯდა, დეზი უთავაზა ზედიზედ ცხენს და სამშვიდობოს გაიყვანა თავისი მანდილოსანი.

როცა ნაპირზე მშვიდობით გავიდნენ, დავითმა სთქვა:

„ჩემს სიჭაბუკეში ფაცერები გვქონდა დადგმული ამ მდინარეში. მახარა, ნინია და მე კალმახს ვიჭერდით."

ხშირად ხდება ხოლმე ავრე, მეგობარს ახსენებ და თვალწინ დაგიდგება. ამ ჯერადაც ნინიას ხსენებაზე ცხენების თქარა-თქური გაისმა. ნინია ბაკურიანი და ჯონდი ერისთავი მოაჯირითებდნენ ცხენებს.

დავითი გაოცდა.

„რა გვექნა, სთქვა ნინიამ, დედოფალი მარიამი ფრიად შეწუხდა. მე და ჯონდის გვიბრძანა მდევრად წამოსვლა. ვა თუ ხიფათი რამ შეემთხვათო.

მერმე ის იყო, სარაპანის ციხიდან წამოვედით, ერთ ყოვლად უხიაგ ფონზე გადავედით ცურვით, ვახან ერისთავის ციხეს ვეწვიეთ. და, როგორც იქნა, წამოგეწიეთ.

ვახან ერისთავი აღშფოთდა.

როგორ? ის ქანგისფერ ჩაბალახიანი, დავით მეფე იყოო?

დავუმოწმეთ, მეფე იყო-თქო.

„ვაჲ, ჩემს სიბერეს, ვაჲ, ჩემს დაუოკებულ ენას".

ამბობდა და შუბლზე იცემდა ხელს.

„ოჰო, ეს კარგი გიქნიათ, ვრჟებო, მაგ ყიამყრალი ეპისკოპოზი ხრისტოდულეც ისმენდა ყოველივე ამას?"

„ხრისტოდულეს ცვილისფერი დაედო. განპატიჟებას არ მაკმარებსო მეფე"

„ეჰ, შენ კარგად იცი, ნინია, გლახაკების მიმართ არაოდეს მიძიებია შური".

კიდევ ერთი ხევისწყალი გადალახეს ოთხთა. ახლა ვენახიანი კაპანი დაიწყო, აყვავებული ატმებით დამშვენებული.

ბაღებში კოცონები ენთო, დროული კაცები ვენახს სხლავდნენ, დიაცებსა და ბავშვებს წალამი გაჰქონდათ.

გზებზე მხიარული ყიჟინა ისმოდა. დავითი მიხვდა, ბერიკები მოსულიყვნენ სოფლად. ორი ბერიკა ზედ ცხენის ფლოქვებთან დაუვარდა წინ მომავალ დავითს. გვანცას ამდენი ბერიკები ჯერ არ ენახა ერთად.

შარაგზაზე ოთხით მიფორთხავდნენ დათვისთავიანი, ძაღლისთავიანი, თხისთავიანი, ცხვრისთავიანი, ვირისთავიანი ბერიკები, ღორისდინგიანი ახმახი ბერიკა წინ მოუძღოდა მათ. მათ უკან მოხუცი მოდიოდა დაფეხვილი ჯორით, ქათმებით, ინდოურებით, გოჭებით დატვირთული ხურჯინი ეკიდა მხარზე, ხელში მწვადებიანი შამფურები ეჭირა.

„საეშმაკო სიმღერებს" მოიმღეროდნენ.

ნინიამ განუმარტა გვანცას: ეს ახალგაზრდებია, გაზაფხულს ზეიმობენ, ნაბდის ნიღბებით პირშებურვილნი.

ისინი ასე დაყიალობენ სოფელ-ქალაქად და ურცხვი სიმღერებით აყრუებენ გარემოს. მათ, ალბათ, ჩამოითხოვეს ჯორზე აკიდებული ხორაგი.

ასეთი სიმღერანი საეშმაკონი დავით მეფემ აკრძალვინა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას, დასძინა ნინიამ.

დავითს გაეღიმა:

„ეჰ, რას იზამ, მრავალი საუკუნის წინ დანერგილ ჩვეულებებს იოლად ვერ მოაშლევინებ ხალხს".

„წმიდა გიორგის მადლმა ეს მეწინავე დავით მეფეა", დაიძახა დათვისთავიანმა.

„რასა როშავ, სქელო, დავით მეფე ვინა ნახა ასეთი მდაბიორული ჩაბალახითა".

ხეობა ჯერ გავლილი არა ჰქონდათ, შორიდან მოისმა წისქვილის ამო გრუცუნი. მთებზე ჩამოქცეული ციხე-კოშკები და დაქცეული ნასაყდრალები გამოჩნდნენ, მათ ქვემოთ გავაკებაზე ხის სენაკების მთელი მწკრივი იყო.

ახოვანი, მელოტი, გრძელწვერა ბერი სახიზეში იდგა და მშველებს ეალერსებოდა და აპურებდა.

მხედრების დანახვაზე მან ჩელტის კარი გამოიხურა, წინ გადაუდგა ახლადმოსულებს.

„თუ თვალი არ მღალატობს, მეფეთაგან წარმოგზავნილნი უნდა იყვნეთ. ჰ?"

ნიანიამ თავი დაუქნია.

წარმოგზავნილნი რა მრგახსენოთ და მეფეთა ყმანი კი გახლავართ, მიუგო დავითმა.

ბერი გვანცას ცხენს მისწვდა ალვირზე.

როცა დაქვეითდნენ და მორებზე ჩამოსხდნენ, დავითმა ჰკითხა ბერიკაცს:

„ნუთუ სულ მარტო ხარ, მამაო, ამ უკაცრიელ ნანგრევებს შორის".

„დიახაც, უფალო, ეს ყოველივე სულკურთხეული მამაჩემის სასახლე იყო და აწ ციხეთა ნანგრევებია. ეგერ, კლდეზე დარჩენილი ერთადერთი გოდოლი და გადაურჩა მიწისძვრას, ყავრით გადავხურე იგი, როცა ნამეტნავად ავი ზამთარი დადგება, იმ გოდოლს შევეხიზნები ხოლმე.

ეს სენაკები მოგზაურ და მეროჭიკე ბერთათვისაა განკუთვნილი."

გვანცა წისქვილის კართან მოციგლიგე მშველებს ესროდა ალერსიან მზერას. ბოლოს დუმილი დაარღვია და შეეკითხა მასპინძელს:

„ეს მშველები ვისია, მამაო?"

„უფლისა, შვილო ჩემო, მე საკუთრება არა გამაჩნია რა, გაუძლისს ზამთარში მათი მშობლები შემოეხიზნებოდნენ ხოლმე ამ წისქვილს, გაზაფხულზე ნამატს სტოვებდნენ და ბრუნდებოდნენ მთაში.

მე ლოცვისა და მათი მოვლის კიდევგან სხვა საქმე არა მაქვს, შვილებო. ხომ ხედავთ, თქვენი მობრძანებისას როგორ დაფრთხნენ, ისინი შვილებივითა მყავს დაზრდილი. ყოველ მათგანისათვის ცალ-ცალკე სახელები მაქვს შერქმეული.

ერთი ნუკრი ავად გამიხდა გუშინ წინ, ჩემს ლოგინში წევს, ბალღივით კვნესის ბეღშავი."

გვანცამ იკითხა:

„ზამთრობით რითი კვებავთ მამაო, მათ?"

„შემოდგომაზე თივას ვიმარაგებ წინასწარ, გარდა ამისა ამ წისქვილში დიდძალი ქატო რჩება, შვილო".

„ვისია ეგ წისქვილი?" იკითხა დავითმა.

ბერმა თავისი გრძელი ხელი გაიშვირა სამხრეთისაკენ და მიუგო მკითხავს:

„იმ მთის გადაღმა წმიდა თებრონეს დედათა მონასტერია.

ეს წისქვილი მონასტრის სამინდოა. მონასტრის იღუმენია დარია ფრიად სათნო ადამიანია, მას ეცოდება ჩემს მიერ შევრდომებული ნადირი და ნებას მაძლევს კიდევაც მათ ვუწილადო პაშტა ქატოჲ".

„შენი სახელი გვიბოძე, მამაო," ალერსიანად უთხრა დავითმა ბერს.

„კირიონი მქვია, უფალო, ერისკაცობაში კახაი".

„იმ მთებში კარგი სანადირო სანახებია, ალბათ?" იკითხა ჯონდი ერისთავმა.

„მშველი, ჯიხვი და კაკაბი მწყერჩიტაზე უმრავლესია, როგორც მენადირენი იტყვიან, ამდენი ნადირი მთელს საქართველოში არ მოიპოვება თურმე.

ე, იმ ხეობას გასცდებით და მზიანეთის ველი იწყება", დასძინა ბერმა.

„მზიანეთის ველიო? — ეუბნება დავითი ნიანიას, — მე და შენ აქ რამდენჯერ ვცინადირია და ასეთი რამ არა გვსმენია".

წისქვილის კარზე მოგიზგიზე თონე ენთო. პურის საამო სუნმა შიმშილი გაუორკეცა სტუმრებს. ბერმა ტაბლაზე დაალაგა შოთები, მოხარშული კალმახები ირგვლივ დააწყო — ტაბაკის კიდეებზე, ბოდიშობდა მოხუცი.

„მეფეთა მსახურებს ასეთი პურმარილი არ ეკადრებათ".

„რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ", ერთობლივად მიაძახეს სტუმრებმა.

დავითი ხან გვანცას სთავაზობდა

კალმახს, ხანაც თავად სჭამდა მადიანად.

ბერმა ჯერ გვანცას მიართვა კალმახი და უთხრა დავითს:

„ეს მანდილოსანი ისე გგავს, უფალო, შენა, დაი უნდა იყოს ხორციელი შენი, თუ არ მაცთუნებს თვალი?“.

ნიანიამ პასუხი დაასწრო მეფეს და მიუგო ბერს:

„დიახ და-ძმანია, მამაო“.

გვანცას ლოყები შეუფაკლდა, თავი დახარა და კალმახს მისწვდა.

დავითმა მზერა გაუმართა ბერს და ეუბნება:

„ეგ მიბრძანე, მამაო, როგორ მოხდა შენი აღკვეთა ბერად. ერისკაცობაში რა გვარისა იყავი?“

„მე გახლავართ დიდაზნაურის სუმბატ მინდორელის ვაჟი.

ჯერ უწვერული ჭაბუკი ვიყავი, აიჩემა სულკურთხეულმა მამაჩემმა: ცოლი უნდა შეგრთოვო. დედაჩემი ადრე იხმო უფალმა. ოჯახს უდიასახლისობა ფრიად უმძიმდა, ჯერ უფროსს ძმას ემუდარა მამა, ცოლი შეირთეო, ჩემი ძმა დაჟინებით ამბობდა: ბერად უნდა შევდგეო. იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, წასასვლელად ემზადებოდა კიდეც.

ბოლოს შეისმინა მან ჩვენი დაჟინებული მუდარა და მოიყვანა მთას გადაღმელი დიდაზნაურის პირმშვენიერი ასული ერთი.

ქორწილი სამ დღეს გაგრძელდა, როცა სიძე და მაყრიონი ღვინის სმით გაერთვნენ, ეგ ეშმა განეზრახა საკუთარ ძმასა და მეჯინიბეს და ნაშუადღევს თოკის კიბით გაიპარნენ ციხიდან.“

გვანცას ეტოშა ამის გაგონება, დავითმა და ნიანიამაც შენიშნეს, თუ როგორ შეუფაკლდა მას ლოყები,

„ახლა უფრო დაჟინებით მოითხოვდა ჩემი ძმა: იერუსალიმს წავალო.

მამაჩემი დიდად შეაწუხა ამ ამბავმა, ამ მხარის მინდორელთა გვარის ნაშიერნი მარტო ამ ციხეში ვიყავით შემორჩენილნი. ახლა ჩემი ჯერი დადგა. არც მე მიმიწევდა ადრე დაოჯახებაზე გული, მაგრამ ბოლოს დამითანხმა მამამ. იმავე წელს მომგვარეს დიდაზნაურის ქალი ერთი, რომლის სახელისა და გვარის ხსენებაც მეტოშება.

ჩანგს უკრავდა ის ეშმაკი კერძი ისე, ანგელოზებს ჩამოიხმობდა ციდან.

თაფლისთვეც არ იყო გასული და ის დიაცი შევისწარი ამ წისქვილში ჩემს ძმასთან. ორივენი უნდა დამეხოცა, მაგრამ ძმა ფერხთით დამივარდა და შემევედრა.

ამ დიაცს ნუ ერჩი და მე მომკალიო. ძმას ხმალი ავხადე, ჯაჭვი გავხადე და ციხიდან გავაძევე.

დღესაც არ ვიცი, რა ბედი ეწია მას, ერთნი ამბობდნენ: იერუსალიმის ჯვარის მონასტერში შესდგაო იგი ბერად. სხვანი სხვას იტყოდნენ: დავით მეფეს ახლდა იგი ერწუხის ომში და იქ მოჰკლესო თურქებმა“.

„რა ერქვა ძმას შენსას, მამაო?“ შეეკითხა ჯონდი.

„ნოშრევან“.

დავითს ემცხეთა ეს ამბავი, ნიანიას იდაყვი მიუცაცუნა იდაყვზე და ხმა არ გაიღო. თუმცა კარგად უწყოდა, ერწუხში დიდი მამაცობა გამოიჩინა ნოშრევან მინდორელმა, იგი უმოწყალოდ ხოცავდა თურქებს, ბოლოს გაინაპირეს და შვიდმა თურქმა რაინდმა აკუწა იგი ცხენდაცხენ.

მამაჩემმა მეორე დღესვე სატევრით მოიკლა თავი, — განაგრძო ბერმა, ხოლო დიაცს ვუბრძანე თავისი ჭინჭები და მარგალიტები მოებოჭა და გამცლოდა.

შენს დაიკოს ოქროს საყურენი ესხას, შვილო ჩემო, ყველა ქალი როდია ძაგების ღირსი, მაგრამ ჩემი ცოლყოფილი იყო ჭეშმარიტად მიმზგავსებული მხეცისა ბოროტისა.

ჰეჲ, ცთუნებაო ეშმაკისაო, რამეთუ მეოხებითა დიაცისათა სამოთხიდან გამოვარდა ადამ. ბრძენკაცი იყო სოლომონ, მაგრამ შეცთა და დაეცა.

დიაცის გამო დილეგში შეაგდეს პირმშვენიერი იოსებ.

შენ კარგად უწყი, შვილო ჩემო, ალბათ, ასპიტნი ნელითა სიტყვითა

დაიმწყესებიან და ვეფხნიცა ფუფუნებითა დამშვიდდიან, აგრეთვე ლომნიცა და ვიგრნიცა, ხოლო დედაკაცსა ბოროტსა აგონებდე, აღბორგდეს, ვითარცა ჰეროდიადემ ჰეროდეს უყო.

მითხარით ლა რომელმან მხეცმან ესევითარი ზრახვაი იზრახოს ანუ რომელსა ვეშაპსა დედალისა ქმრისა წარწყმედა უნდა.

ანუ რომელმან ძუმან ვეფხვმან თვისი მამალი კვლად მისცა.

ალბათ, იწყინა უფალმან ღმერთმა ესოდენი კაცთა სიავე. თებერვალში დიდი მიწისძვრა დაიწყო და ერთი კვირის მანძილზე წამოიქცნენ მამისეული დედა-ციხე, პალატები და კარის ეკლესია. იმ დღეს დამეხოცა ყველა კაი ჩემი ოჯახისა, დეიდები, მამიდები და შვილნი მათნი.“

ბერი მცირე ხანს უგერგილოდ ღეჭავდა პურს, ბოლოს თავი აიღო, მეინახეებს შეავლო მზერა და სთქვა:

„აწ გევედრებით, შვილნო ჩემნო, როგორც მსმენია, მეფე ჩვენი დავითი მტერთაგან უძლეველია, აუწყეთ მას ჩემებრ უბირი ბერის ნაუბარი: თუ ოდესმე ვინმემ დაამარცხა იგი, ეგ იქნება მხოლოდ და მხოლოდ დიაცი.

ორმოცი წელია, მე ამ მამისეულ ციხის ნანგრევებს არ მოვცილებივარ, მაგრამ ყოველივე ვუწყი, რაც ხდება სასახლეში. გეგუთსა და ნაჭარმაგევს შორის მოგზაურ ბერთაგან მსმენია, ღვთივ-მშვენიერი დედისიმედის დაკარგვის შემდეგ დავითს განუზრახავს ყივჩაღთა უმთავრესის ქალის დედოფლად დასმა.

მე განგებისად გიამბე ჩემი ცოდვილი ცოლყოფილის ამბავი, თუ ქრისტიანი, იგიც ქართველი აზნაურის ქალი, ასეთი ბოროტი აღმოჩნდა, უფალმა უწყის, რა ზნეს გამოიჩენს უშჯულო ყივჩაღის დიაცი.

ნუ ინებოს ეგ, უფალმა. უშჯულო ყივჩაღთა ნაშიერი ბაგრატოვანთა ღვთითკურთხეულ ტახტზე?

ამას წინათ მთავარ-დიაკონმა ჩამოიარა ნაჭარმაგევიდან ერთმა და მან საიდუმლოდ მამცნო:

მარიამ დედოფალსა, დიოფალს ელენეს და თავათ დავით მეფეს სხვა უნდათ, შამან ერისთავის პირმშვენიერი ქალი გვანცა. მხოლოდ გიორგი ჭყონდიდელს უმძიმსო ერთხელ დათქმული პირობის უკუთქმა.

გვანცა უსიამოდ შეიშმუშნა.

„მოახსენეთ ჩემებრ უცები ბერისაგან უძლეველ მეფეს, ეგ გაახარებსთქო მთელს სამეფოს.

ღვთისმოსავიაო თურმე ის დიაცი, ელენე დედოფლის ხელში გაზრდილი. აბა თავად ბრძანე, რა იქნება სათნო დედოფლის ელენეს მიერ აღზრდილი ასული უსაჩინოესის ერისთავისა“.

ნიანიამ ისევ მშველებისა და მათზე ნადირობის გამო ჩამოაგდო სიტყვა, ასე რომ მასპინძელი მოეშვა სასახლის ამბებს და მშვლებისა და მათი მოვლის შესახებ დაიწყო ბაასი.

სტუმრებმა წასვლა დააპირეს. დავითმა მოწითალო ღრუბლებით დაფარულ ცას ახედა და სთქვა:

„შესაძლოა, გაავდარდეს. მაინც რა გვეჩქარება. ჩემთვის საამურია მაგ ბერის ბუღტური, ეს მშვენიერი მშვლები და ეს უკაცრიელი გარემო.

გოჩა ქვაბულისძეს დიდი ხანია, რაც მარიამ დედოფლის წვევა ენატრება, ალბათ, ორ სამ დღესაც არ გაუშვებს სტუმრებს.

რაიცა შეეხება ბიზანტიელ სტუმრებს, მათ გვიცადონ, რამდენ ხანსაც ენებოსთ. ნოტარი და მისი ამალა, ალბათ, სალხინოდ არიან ჩამოსულნი“.

მასპინძელმა საკანეში წაიყვანა სტუმრები.

დავითის საკანი საკმაოდ დიდი იყო. კედლებზე ხატები ეკიდა. იატაკზე დათვის ტყავები ეგო, ხოლო სტუმრისათვის განკუთვნილ საწოლზე მშვლის ტყავები.

ბერმა წვრილფარეშოსანი ჯაჭვი გამოართვა დავითს, საბარკლულები და წაღები გახადა. ბოლოს მის ფერხთით დაცუცქდა და სთქვა:

„ამ საკანში ღამე უთევიათ გიორგი მეფესა და გიორგი ჭყონდიდელს, კათალიკოსებსა და ეპისკოპოზებს. სულკურთხეული ბაგრატ კურაპალატი, როცა პირველად დაამარცხა ლიპარიტმა, მამიჩემის ციხეს შემოეხიზნა და ეს კლიტურები ჰქონდა მას გამაგრებული, რათა არგვეთის საერისთავოც არ დაეპყრა ლიპარიტს".

ახლა წყლით სავსე გეჯა შემოიტანა მასპინძელმა და ფეხები დაბანა დავითს.

„ვაგლახ, მონაზონთაგანი არავინაა აქა, თორემ შენს დასაც დაბანდნენ ფეხს. ეს რა ლამაზი დაი გყოლია, შვილო, ეცადე კარგ ვაჟკაცს მიათხოვო".

ბოლოს თავისი გაჩხირული ხელები მაგრად მოსჭიდა სტუმარს და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

„გევედრები, უფალო, დავით მეფეს ნუღარ გაუმხელ ჩემს სახელს, არც ის უთხრა, რაც მე ვთქვი, მაგ წყეულ ყივჩაღებთან დამოყვრების გამო. გამიგონია: მეფეს არ უყვარს თურმე, როცა სხვები ეჩრებიან მის საქმეებში".

დავითს გაეღიმა და უთხრა:

„არა, არაფერს ვეტყვი, მამაო, შენ დამშვიდდი ოღონდ".

„მშვიდობა მოგცეს გამჩენმა", სთქვა მასპინძელმა და კარი გაიხურა. დავითმა კედლის ნიშნებში ანთებული შანდლები ჩააქრო, მხოლოდ სასთაულთან დასტოვა ერთი. ფსალმუნი გადაშალა, მაგრამ შანდლის მკრთალ შუქზე ვეღარ შესძლო წვრილად ნაწერის წაკითხვა.

ბოლოს ზეპირად წარსთქვა.

„სიტყვანი ჩემნი ყურად იღე, უფალო, გულისხმა ჰყავ ღაღადებაი ჩემი, მოხედენ ხმასა ლოცვისა ჩემისა, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო".

დავითი მოუსვენრად ტრიალებდა საწოლში. ხეობიდან მდინარის ჩხრიალი და ტურების გნიასი ისმოდა, მას გაცილებით უარეს პირობებში უთევია ღამე ნადირობისა და ომების დროს, ხშირად მეწისქვილეთა დაფხრეწილ ტყაპუჭებზე წოლილა. მაგრამ მუდამ ტკბილად სძინებია. ისევ ფსალმუნის ლექსი მოადგა ბაგეზე:

„ღმერთო, სასჯელი შენი მეფესა მეც,
და სამართალი შენი ძესა მეფისასა,
განსჯად ერისა შენისა სიმართლით
და გლახაკთა შენთა განკითხვად".

ისევ პირაღმა დაწვა, ახლა გვანცას მშვენიერი სახე ტრიალებდა მის თვალთა წინაშე. როგორ შეუფაკლდა გვანცას ლოყები, როცა მისი სახელი არა ერთგზის ახსენა ბერმა.

დავითს ეუცნაურა, სასახლის ამბები ასე წვრილად რომ სცოდნია ამ უკაცრიელ გარემოში ბინადარ ბერსაც. ამ ბერის ნაუბარიდანაც ჩანდა, მდაბიორ სამღვდელოთა შორის უფრო მეტად ისმოდა დრტვინვა.

დიდი და მცირე მოითხოვდა: შარაღანიძისათვის დამოყვრების გამო უარი შეეთვალათ და შამან ერისთავის ასული შეერთო მეფეს.

კვლავ გვანცას მისწვდა მისი ფიქრი. დედისიმედთან ერთად სათაფლიას გამგზავრება მოაგონდა.

მერმე გვანცასთან გეგუთის ბუხრის პირად გატარებული საღამოები.

ამოიოხრა და გვერდი იცვალა. ახლა მას ისევ განუახლდა ის მღელვარება, რომელსაც განიცდიდა იმ წუთებში, როცა გვანცა ლოდებით დახერგილ ბილიკებზე მიაგელვებდა თავის გაცეცხლებულ იაბოს.

საოცარია, აგრე ძლიერ რომ აღელდა გულით უძრავი დავით მეფე.

ადგა, ტანთ ჩაიცვა, დერეფანი გამოიარა, ნიანიას და ჯონდის სენაკებში ბნელოდა, მხოლოდ გვანცას სენაკში ციალებდა ნიშაში ჩადგმული შანდლის შუქი.

მძინარის თავთით ეკიდა ღვთისმშობლის იგავმიუწვდენელი მშვენების ხატი. შუბლი, ხორბლისფერი თმები და ტუჩპირი უცნაურად მიაგავდა გვანცასას.

დავითი მიეახლა მძინარეს, საბნის მაგიერი ტყავის საფენები გადახდოდა. მარწყვისფერი ძუძუს კერტები უჩანდა გაღეღილ პერანგიდან.

გამიჯნურებულმა მეფემ დაიჩოქა,

ტუჩებში ემბორა მძინარეს და ძუძუს კერტები დაუკოცნა.

გვანცამ ერთი დაიკვნესა და კედლისაკენ მიბრუნდა. დავითმა მშვლის ტყავები გადაახურა, შანდალი ჩააქრო და ფეხაკრეფით გავიდა საკნიდან.

დერეფანში ვიღაც დაბორიალობდა. ათიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, პერანგისამარა ბერი შეეხეჩა.

„წყალი ხომ არა გნებავს, უფალო? ცივ წყალს მოგართმევ ახლავე, ვაგლახ, ღვინო არა მაქვს, თორემ მცირეოდენი ღვინო იოლად მოგგვრიდა ძილს“.

„კარგი იქნება, მამაო, ცივი წყალი თუ მოგეპოვება“.

ბერი ფაცხა-ფუცხით ჩავიდა ჭრაჭუნა კიბეზე. დავითმა ხარბად მოსვა სპილენძის თუნგიდან წყალი, მადლი მიაგო ბერიკაცს და ისევ თავის საწოლისაკენ გაეშურა.

„ეგებ კიდევ მოგართვა მშვლის ტყავები, უფალო?“ ამბობდა ბერი.

„ნუ შესწუხდები, მამაო“.

მისი ერთადერთი სურვილი იყო, როგორმე მალე გასცლოდა მასპინძელს. დავითი კვლავ წამოწვა და ბერი დაცუცქდა მისი სასთაულს გასწვრივ.

„გევედრები, უფალო, ვინძლო დავით მეფეს მოახსენო ჩემი ნაუბარი, იგიც დასძინე: ქვეგამხედვარი როდია-თქო ის ბედდამწვარი ბერი. მინდორელების მთელი გვარი მეფეთა ერთგულნი იყვნენ. მამულისა და მეფისათვის ატეხილ ომებში ამოწყდნენ-თქო მინდორელები“.

„დამშვიდდი, დამშვიდდი, მამაო, ყოველივეს წვრილად მოვახსენებ დავით მეფეს, ვახშმობისას რაც გვითხარი და რასაც ახლა უბნობ. ნუ კრთი, მამაო, იგი არც ისე გულბოროტია, როგორც ამბობენ“. ბერმა ჯვარი გადასახა დავითსა და გამოიხურა ჭრაჭუნა კარი.

სამღვდელოთა დრტვინვა ყივჩაღთა უმთავრესის ასულის გამო წარჩინებულ კარისკაცებისაგან და მღვდელმთავართაგან მრავალგზის სმენოდა მეფეს, მაგრამ ამ საცოდავი ბერის დაჟინებული ჩიჩინი უფრო მეტად ჩასწვდა ამ ჯერად მას გულში.

ისევ შემოენთო გულზე დავითს ორმაგი ცეცხლი.

მართალს ამბობდა ბერიკაცი, სად უშჯულო ყივჩაღთა ნაშიერი შარაღანისძის ასული და სად ღვთითმშვენიერი გვანცა უსაჩინოესი ერისთავის ნაშიერი:

„ღვთისმშობელი მშვენიერი შროშანი,
მას უგალობს ანგელოსი ფრთოსანი“.

ეს ლექსი გახმიანდა მთვლემარის გულში. ამ წუთში ნანობდა მეფე, სარწმუნო კაცთა ყივჩაღეთს წარგზავნას რომ დასთანხმდა გიორგი ჭყონდიდელს.

ერთადერთი იმედი ეს იყო: გუარამ ბეჭისციხის პატრონი, რომელსაც წარგზავნილთათვის უნდა ეხელმძღვანელა, ავად იყო.

„ნეტავ არ წარგზავნიდეს მათ ჭყონდიდელი, ვიდრე მე არ გავბრუნდები გეგუთიდან“.

მეფემ გვერდი იცვალა. ისევ ამ ყოყმანს უნდა მოეღოს ბოლო. გეგუთს ჩასვლისას დავითი გადასწყვეტს საბოლოოდ ამ საქმეს.

ჯოჯიკისა და არამაის არშარუნის ბარათები ისპაჰანიდან კარგ ამბებს იუწყებოდნენ. ბარქიაროკის სიკვდილის შემდეგ მთლად აირია სელჯუკიანთა სასულტანო. ძე მისი მალიქ-შაც მიულია უფალს.

დავით მეფე საკუთარი ძალებით გაუმკლავდება მტრებს. ბოლოს ქრისტიანულ სამყაროსაც უნდა გაეწიოს ანგარიში. არაქრისტიანი დედოფლის ცოლად მიყვანას აუგად ჩამოართმევენ ქრისტიან მეფეს, რომელსაც გოგისა და მაგოგის წინააღმდეგ მებრძოლს უწოდებდნენ მთელი ქვეყნის ქრისტიანენი.

დედისიმედის პოვნას არავითარი საიმედო პირი არ უჩანდა. გვანცაზე უფრო მშვენიერი ან სათნო ასული მთელს სამეფოში არ ეგულებოდა დავითს.

გეგუთს ჩასვლის უმალ იგი ამცნობს ჭყონდიდელს, სარწმუნო კაცნი არ წარგზავნოს შარაღანს.

როგორ გაიხარებენ ელენე დედოფა-

ლი და დედოფალი მარიამი, როცა გვანცასთან შეუღლების სურვილს გაუმხელს მათ მეფე.

* * *

სტუმრები უთენია მოუსხდნენ ბერის მიერ გაწყობილ სუფრას. კაცთა სიახლოვეს დახარბებული ბერი კვლავ მშველების, ტურების, გაუძლისს ზამთარში მგლების ყმუილის გამო მოუთხრობდა სტუმრებს.

„ეს კალმახები შენ თავად მოინადირე, მამო?“ შეეკითხა მასპინძელს ჯონდი ერისთავი.

„რასა ბრძანებ, შვილო, ბერს ხომ არ ძალუძს ცხოველთა და ნადირთა შეპყრობა:

ამ სოფლის მკვიდრთ ოჩხები[1] და ფაცერები აქვთ ამ მდინარეზე, დაიჭერენ მცირეოდენს მე მიწილადებენ“.

დავითი წამოდგა, მადლობა მოახსენა მასპინძელს.

როცა ოთხახმით გეგუთს მიმავალი მხედრები აჯამეთის ტყის სანახებს მიადგნენ, მამალ ხოხბებს უკვე მოთავებული ჰქონდათ საგამთენიო ყივილი, მხედრების ორანის შემცნობნი, ისინი ერთობლივი ხმუილით დგებოდნენ ჩირგნარებიდან და გოროზი ხორხოცით მიჰქროდნენ ტყისაკენ.

ერთადერთი მამალი ხოხობი მოჰკლა გვანცამ.

## ჯოჯოხეთო, ალახვენ პირნი შენნი...

„ჭეშმარიტად, ქცევადი და ცვალებადი ცხოველია კაცი, ნამდვილად წინააღმდეგობისაგან წინააღმდგომად შეცვალებადი“.

II

გეგუთი ზარების ჟღარუნით დაუხვდა დავითსა და მის მხლებლებს. შავჩოხიანი მეზარე სამრეკლოზე იდგა, ნელნელა წკრიალებდნენ ზარები. მეზარის ჩოხის კალთებს აფრიალებდა ქარი.

დავითმა სთქვა: „სიყრმეშიაც ფრიად მიყვარდა ზარების ხმა. ვნატრობდი კიდევაც იდუმალ: ნეტავ მეზარედ დამაყენებდნენ მეთქი. სულო ცოდვილო, ხანდახან ახლაც მენატრება ხოლმე მეზარის, მეჯოგის და მეწისქვილის ბედი“.

ჯონდი ერისთავმა სთქვა:

„სამაგიეროდ, სულ სხვა ბედი გარგუნა არსთა განმრიგემ“.

„ეჰ, ჩემო ჯონდი, არც ისე სანატრელია ეგა. მამაცი და მამულის მოყვარული მეფეები იშვიათად თუ მომკვდარან საკუთარ სარეცელზე.

ვახტანგ გორგასალი ისრით მოჰკლა ვიღაც მუხანათმა ქართველმა. გიორგი პირველი და პაპაჩემი ბაგრატიც ბოლმამ მოაშთო. გაუთავებელმა ომებმა შეიწირეს იგინი“.

ბოლოს გამოჩნდა გეგუთის ციხე-სასახლე აყვავებული ატმებისა და ალუჩის ზღვაში ჩაფლული. მახარას უკვე მზად ჰქონდა თავისი ჩიტ-ბადენი და სათხეველები. გარაბადებსა და მშვილდებზე ქორ-მიმინონი ისხდნენ და ყვინთავდნენ. ბაზიერებს ტასტებით მიჰქონდათ მათთვის წყალი.

„სტრატეგის ნოტარის გარდა კიდევ ვინ ჩამოსულა, მახო?“ შეეკითხა თავის ბიძას დავითი.

„დღეს გეახლნენ კიდევ ბოსფორის ფლოტის დრუნგარყოფილი[2] კონსტანტინე პორფიროგენეტის ნათლია ლას-

---

[1] ოჩხი — მდინარეში, მისი მდინარების საპირისპიროდ გააკეთებენ ღობურს, შიგ ჩალასა და რიყის ქვებს ჩაყრიან, თევზები ბინადრობენ ამ ოჩხში.

[1] დრუნგარი — უფროსი, მინისტრი, მაღალი რანგის მოხელე.

კარის ეპიფანე არამსმელმა და ევხაიტის ეპისკოპოზმა უამრავი ხატები და ჯვრები ჩამოგვიტანეს“.

„ბიზანტიური?! — იკითხა მეფემ.

„არა, მხოლოდ და მხოლოდ ქართული. შენ უკეთ უწყი, ნიკიფორე ბიზანტიატისა და მიხეილ დუკას დროს დიდძალი საყდრის იარაღი წაუღო მაიკოს სულკურთხეულმა მამაჩემმა ბაგრატმა კონსტანტინეპოლს, სწორედ ისინი გამოითხოვა მაიკომ. ცხადია, გელათს შესწირავს ყველას“.

სადილის მოლოდინში სტუმრები ნარდით ირთობდნენ თავს. დავითის შემოსვლისას სტრატიგი ნოტარი ზეწამოიჭრა, მხედრული ნაბიჯით მიეახლა დავითს და მარცხენა მკერდზე ემბორა.

პურობის დროს იგი მოწიწებით მიუჯდა მეფეს. ერწუხში გამარჯვება მიულოცა.

„ნეტავ შენისთანა სარდალი მიენიჭებინა უფალს ჯვაროსნებისათვის, არც ისე დაიბნეოდნენ, ეგ ცოდვიშვილები“.

დავითმა გამოჰკითხა სტრატიგის, როგორ მიდისო ქრისტეს მხედრობის საქმე?

„ალბათ, შენც კარგად უწყი, მეფევ ბატონო, სულტან მუჰამედი შეურიგდა იმ ღვთისაგან შეჩვენებულს ამირას, ნეჯმ-ელიდან ილღაზის. ახლა საერთო ძალით ებრძვიან ფრანკებს. ოღონდ, ეგაა, არც ჯვაროსნები დაურჩნენ ჯაბანად.

სავალალოა, რომ კეისარი ჩვენი ალექსი კომნენი ჯერხნობით განზე დგას, რომის პაპმა კვლავ მოუწოდა ქრისტიანულ სამყაროს, მთელს ევროპაში გროვდებიან მოხალისენი“.

„თუ საქრისტიანომ ერთობლივ ბრძოლას მიჰყო ხელი, მუსულმანები ვერას დაგვაკლებენ“, სთქვა დავითმა.

„მართალსა ბრძანებ, მეფევ ბატონო, მე სულ ამას ვეჩიჩინები იმპერატორს ალექსის. სამწუხაროა, ფრანკებს აღარ ესმით ეს. ნიკომედიაში ჩვენ რომ არ დავხმარებოდით, ფრანკებსა და გერმანელებს ზღვაში გადაჰყრიდნენ თურქები“.

ნიანია ბაკურიანი შემოვიდა.

„გელათს წასასვლელად მზადა გვყავსო ცხენები“.

დავითმა ბოდიში მოიხადა მარიამ დედოფალთან, ჯონდი ერისთავი და ნიანია ბაკურიანი თან გაჰყვნენ პატრონს.

ნასადილევს სტუმრებმა ნარდის თამაში განაგრძეს. ფლოტის დრუნგარი ლასკარის ზედიზედ იგებდა. ნოტარმა ერთ ორჯერ სცადა ბედი, ბოლოს მოყიჭდა თამაში.

ახლა იგი მარიამ დედოფალსა და სხვა მანდილოსნებს მიეკედლა. სტრატიგი ნოტარი სასტუმრო დარბაზში შევიდა, ბრწყინვალე შავი მაჰაგონის კოლოფი გამოიტანა, მარიამ დედოფლისა და მანდილოსნების თვალწინ გახსნა.

ამოიღო ნაირნაირი გემმები და ბეჭდები, ეგვიპტური, ძველბერძნული, არაბული და ჰინდური.

თავდაპირველად ზღვისფერი გემმა აიღო ხელში, მოწიწებით გამოართვა მარჯვენა ხელი მარიამ დედოფალს, საჩვენებელ თითზე გაუკეთა იგი და სთქვა.

„ეს გახლავთ ძველჰინდური ავგუსტა“.

მარიამმა გაიძრო ბეჭედი, ყურადღებით შეათვალიერა. მაღალკისრიან მამაკაცს გიშრის კულულებში დატანებული ჰქონდა წვრილ-წვრილი იასპი. რუბინის თვლები ბზინავდნენ და კაშკაშებდნენ.

„ეს ძღვნად მიმირთმევია შენთვის, ულამაზესო. სომეხმა დიდვაჭარმა ოვჰანესმა ჩამომიტანა იგი ბომბეიდან“.

მარიამმა ყურადღებით შეათვალიერა გემმა, მადლობა უთხრა ნოტარს და უთხრა:

„მე მაინცდამაინც არ გახლავართ გემმების მოყვარული, ჩემს სასახლეში მაქვს ბარე ათი უძველესი ბოტანიატის კოლექციიდან, გულწრფელად მოგახსენო, მე იდუმალი შიში მაქვს კიდევაც მათ წინაშე“.

კუროპალატისსა მელიტა და გვანცა წაეპოტინენ გემმას. აღტაცებულნი უჭვრეტდნენ მას.

„რასა ბრძანებ, დედოფალო, მე ათ

წელზე მეტია ომებში ვატარებდი მათ. ზოგნიც საიდუმლო სკივრებში მაქვს ჩემს სასახლეში ჩაკეტილი. ჩემი უკანასკნელი გატაცება ეგაა“.

ახლა სხვა გემმა უჩვენა ნოტარმა მანდილოსნებს.

„ეს გემმა ეგვიპტურია, როგორც ამბობენ, უკანასკნელი ფარაონის მეუღლის საუნჯიდან მოუპარავთ არაბ მეკობრეებს, რობერტ გვისკარისათვის მიუყიდნიათ, ჰერცოგს ბერძენ საყვარლისათვის უსახსოვრებია, ხოლო ამ დიაცმა მე მომყიდა შარშან“.

ახლა სხვა გემმები ამოიღო ჯიბიდან ნოტარმა.

„ეს გემმა, რომელზედაც ორი ხარია გამოხატული, კოლხური უნდა იყოს, როგორც ამბობენ, როცა იაზონმა კოლხთა მეფის აეტესის სასახლე გაძარცვა და ასული მისი მედეა მოიტაცა, ეს გემმა თან წაუღია, ეს მეორე, ქალისა და ვაჟის ხატებისა, ეგეც კოლხურია, მიხეილ პსელოსი ამტკიცებს, რომ ეს ქალ-ვაჟი იაზონი და მედეა უნდა იყვნენო.

იგივე პსელოსი ბრძანებდა, ეს გემმა არზრუმის ამირას საუნჯეთაგან გაუტაცნიათ მეგვიპტელ მონას.

მონა იგი პელოპონესში დაუტყვევებიათ პირატებს და ჰუნგრეთის მეფისათვის მიუსყიდნიათ, ჰუნგრეთის მეფეს ალექსი კომნენისათვის გამოუგზავნია, სააღდგომო ძღვნად.

ბოლოს ღვთითკურთხეულმა კეისარმა ჩვენმა ალექსიმ მე მისახსოვრა იმ წელსა, როცა პაჭანიკები და ყივჩაღები გავრეკე კონსტანტინეპოლის მისადგომებიდან“.

კიდევ ერთი გემმა ამოიღო მაჰაგონის კოლოფიდან ნოტარმა, ბივრილიონის თვალები ჰქონდა ჩასმული ქალს.

„ეგეც კოლხურია, ნახეთ ზედ წარწერა“.

მარიამმა გამოართვა და ამოიკითხა „კოლხის“.

ახლა აქატის გემმა ამოიღო ნოტარმა.

„ეს გემმა იტალიურია რობერტ გვისკარს წაუგია იგი ნარდში, ბოლოს გრიგოლ ბაკურიანს შეუძენია, დომესტიკს ბაკურიანს ერთ სომეხ დიდვაჭრისათვის უჩუქნია, ორი არაბული ცხენის სამაგიეროდ.

ეს ჩინებული გემმა ამარტოსი, არაბთა რომელიღაც ხალიფისაგან შეუძენია ედესსელ სომეხთა მთავარს რუპენს და იერუსალიმის მეფის გოდფრუა დე ბუჲონისათვის მიურთმევია. ხომ მშვენიერია რუპენისეული გემმა, ავგუსტა, ჰა?“

„მშვენიერია, მშვენიერი“,—დაუმოწმა მარიამმა. დაათვალიერა ეს გემმაც და დაუბრუნა სტრატიგს.

ეს ლალის, გიშრის, სმარაგდისა და ბივრილიონის გემმები ძველბერძნულია. აჰა, ყველა გემმათა შორის აღმატებული ბეჭედი. ხომ ხედავთ პალას ათინას მუზარადიან თავს, ამ მუზარადზე ოქროს გველია პირდაბჩენილი.

ამ გემმას ვერავის ვაჩუქებ, რადგან მე მას ვუწოდებ ჩემი ცხოვრების უკანასკნელ წუთს.

საკმარისია ამ ოქროს გველის ენა მოსწოვოს ვინმემ, დიდხანს არ დააყოვნებს სიკვდილი“.

გვანცა და მელიტა წაეპოტინენ მას, მაგრამ დედოფალმა წარბები ზეაწკიპა და მათაც მყისვე დაუბრუნეს ბეჭედი მის პატრონს.

„როცა ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წუთი დარეკავს და აღარ მომინდება ამ წუთისოფელში არც ომები, არცა ლხინი, არც ლამაზმანთა სიყვარული, ამ ენას მივწვდები, და ამ გველის ტორზოში იმდენი შხამია შემონახული, სპილოს მოაკვდინებს უთუოდ“.

მარიამმა გამოართვა გემმა, ყურადღებით დაათვალიერა და სთქვა:

„დაგიფაროს უფალმა ასეთი სიკვდილისაგან, რა დროს სიკვდილისათვის ფიქრია, სტრატიგო, საქრისტიანოს თქვენისთანა მრავალნაცადი რაინდები ესაჭიროება დღეს.

ხომ ხედავთ, როგორ გათავხედდნენ

თურქები, უკვე არზუმის ციხეზე ფრიალებს სელჯუკიანთა შავი დროშა".

გვანცა თვალს არ აშორებდა „პალას ათინას".

აღტყინებული ნოტარი ხელში ატრიალებდა პალას ათინასა და პათეთიურად ღაღადებდა.

„ეს გემმა მისახსოვრა ყოვლადმოწყალე კეისარმა ჩვენმა ალექსი კომნენმა, როცა ქსერიგორდონის ციხესთან ფრანკებსა და გერმანებს ალყა შემოარტყეს თურქებმა, ჩემი კოჰორტი ავიყოლიე და თხის არვესავით გავერეკე უშჯულონი". ახლა სტრატიგი ნოტარი მოჰყვა, თუ როგორ იბრძოლა მან ანტიოქიის აღებისას, როგორ შეელოდა ბალდვინსა და ედესელ სომხებს სელჯუკიანებისა და თურქომანების წინააღმდეგ ბრძოლაში.

* * *

მარიამ დედოფალს მოსწყინდა სტრატიგი ნოტარის უსაშველო ტრაბახი თავის მხედრულ სიქველეთა გამო, სტუმარი გვანცასა და კურაპალატისსა მელიტას დაუტოვა, თავათ მრგვალი მაგიდის გარშემო დამსხდარ ეპისკოპოზებს მიუჯდა.

...„სული? — ეს ხომ იგივეა, რაც სუნთქვა ეპსიხე, იგი სიკვდილის წუთებში გაეყრება ხოლმე სხეულს, მაგრამ მაინც თავისთავადი არსებობის საშუალებას არა ჰკარგავს, მას ხომ ადამიანის სიცოცხლეში სჩვევია ნებისმიერად დროებით დატოვება სხეულისა, სიკვდილის შემდეგ იგი მიცვალებულის ირგვლივ დაფარფატებს, რათა კვლავ დაუბრუნდეს პირველად სხეულს.

პლატონი გვასწავლის: სხეული დილეგი სულისა, სული უსხეულოა, იგი ამოძრავებს თავის თავს და სხეულს თვისას."

იოანე პეტრიწი ჩაერია საუბარში.

„აკი ბრძანებს პროკლე დიადოხოსი, ყოველი სული ან სამღვთო არს, ან ქცევადი გონებისაგან უგონებობამდის.

მოგეხსენებათ, მამაო, ადონაიტ ეგ გახლავთ თვით მოძრავობა და მარადიული წარმოშობა. ამიტომაც ადამისძემ ყოველმა უნდა უწყოდეს, რომ იგი ქრთილის მარცვალზე უმცირესია და მისგან წარმოიქმნება ხე ცხოვრებისა".

... „ღმერთი?" ჰკითხა დრუნგარმა ლასკარის, რომელსაც საკმაოდ შეფაკლული ჰქონდა ლოყები საუზმეზე მირთმეულ ღვინისაგან, ღმერთი ეგ არის დასაწყისი და დასასრული ყოვლისა მყარისა, — სთქვა ეპიფანე არამსმელმა, რომელსაც ნასაუზმევს ისე მორეოდა გეგუთური ღვინო, ძლივს აფახულებდა თავის გრძელ წამწამებს, — „ამიტომაც იტყოდა ღმერთი: მე ვარ პირველი და უკანასკნელი, ანი და ჰოე.

ამგვარად როგორც ღმერთი, ისე ქრისტე, წმიდა განცხადებაში გვევლინებიან, ვითარც ყოველივე არსის ანი და ჰოე. საუფლო ბუნებისა თავისთავად მარადიული წყვდიადია, ხოლო საუფლეველი უფლისა უშრეტი სინათლის ირისე.

ხომ გვასწავლიდა იოანეს: სინათლე იგი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ დასძლია იგი. ხოლო წყვდიადის თავადია სატანა, რომელმან ვერ აცდინა მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე".

მარიამ დედოფალს აქაც მოსწყინდა, წინა დღით ცხენით ნამგზავრს შაკიკი წამოეძალა, დასასვენებლად წასვლას აპირებდა, მაგრამ შეეცოდა გვანცა და მელიტა, წამო, ხოხბის ლაპები ვინახულოთო, უთხრა მათ და გარეულ ფრინველთა საჩიხეში გაიყვანა ისინი.

* * *

დიდ ხუთშაბათს მეფეს ეწვია გეგუთში ბაკურ ერისთავის ვაჟი ვალანგი დიდძალის ძღვენითა. მეფემ შუბლზე აკოცა ჭაბუკს, შობორკანული თორი აჩუქა და ერთიც მოოქროვილი ხმალი. ტანკენარსა და ბეჭებტყელ ვაჟკაცს ხორბლისფერი კულულები გადმოღვროდა მაღალ შუბლზე.

მარიამ დედოფალი აღტაცებული იყო, ვალანგი ჩემს ვაჟს კონსტანტინეს ჰგავსო ზედმიწევნით. ალკიბიადეს შეარქვა მას.

კურაპალატისსა მელიტამაც დაამოწმა ეგ, ძალიტა აღტყინებული იყო, თვალებში შესციცინებდა ამ მშვენიერ ვაჟკაცს. ვალანგ ერისთავის თანდასწრებით ეუბნება იგი დედოფალს.

„ეგ ერთადერთი მამაკაცია ამ ქვეყნად, რომლის სიყვარულით შემეძლება დაუყოვნებლივ მოვიკლა თავი".

გვანცას კარგად არ ესმოდა ბერძნული და მართამს შეეკითხა:

რას ამბობსო ავგუსტა, მელიტა?

„არაფერი, გეთაყვანე, იგი მიჯნურობის ტყვე გახდა. თავს მოვიკლავდიო ვალანგისათვის ანაზდად".

გვანცამ გაიღიმა:

„რა სისულელეა, ავგუსტა, მამაკაცი თუნდაც ღვთის შვილი იყოს, მე თავს არ მოვიკლავდი მამაკაცისათვის არასდროს".

„ნუ იტყვი, გეთაყვანე, მიჯნურობა ისეთი ბედითი ამბავია, ვინ იცის, ვინ როდის გახელდება...

მე უკვე ახალგაზრდა აღარა ვარ, ულამაზესი მამაკაცები ფეხებს ქვეშ მეფინებოდნენ, მაგრამ ახლა დადგა ისეთი ჟამი ჩემს ცხოვრებაში, ერთი მამაკაცი მეც მიყვარს და მე მისთვის თავს გავწირავდი ყოველ წუთს".

„ვინ არის ეგ სვებედნიერი, ავგუსტა?" მოკრძალებულად იკითხა გვანცამ.

„ეჰ, გეთაყვანე, იგიც ჩემსავით უბედურია".

„იცი, რა გითხრა, ჩემო გვანცა, სიყვარული სხვა არაფერია თუ არა და ვერ შეწვდომა. მეჯადაგეებს მოეწონებათ ხოლმე თქმოგანიერი დიაცი, ცოლად შეირთავენ და ბალღებს გააჩენენ. ეგ არის და ეგ".

ვალანგმა ჩინებულად იცოდა ბერძნული, მან მელიტას ნათქვამი ზედმიწევნით გაიგო, მაგრამ დადუმდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ალიო ადამია

# ლექსები

* *
*

შენ ფიქრობ — მარტო შეჰყურებ მწვერვალს
და ზედაზენზე ღრუბელის ნახევს?
მე წიწამურის ბალახში ვწევარ
და შენი ცრემლი მისველებს სახეს.

შენ ფიქრობ — მარტო ეწვიე ხერთვისს
და ჯავახეთის კოხტა მთაგორებს?
ფიქრები ჩემი შენსას რომ ერთვის —
ჰკითხე ვარძიას და მოგაგონებს...

შენ ფიქრობ მარტო დაბრუნდი თბილისს?
როს ჩაუქროლე ჭალებს აგარის —
ყური არ მოჰკარ ბორბლების წივილს:
„ისიც აქ არის! ისიც აქ არის!“

შენ ფიქრობ... მაგრამ შემცდარი არი,
თითქოს მე გული არ მქონდეს ჩვილი;
შენ მარტოდმარტო იქნები მკვდარი
და მე ამ ქვეყნად სიმღერით ვივლი.

8796

* *
*

დღეს ნადირობის დღე არის წმინდა,
და ჩემთვის ცალკე დავდგი კარავი;
მე ჩემი ბედი ვირწმუნო მინდა,
და მეფეხურად არ მსურს არავინ.

შენ მაინც უცებ გაჩნდი ცისფერი
და ჩემი კარვის კარი იღება;
არა, სახეში მე არ გიცქერი
და მაინც ვხედავ შენს ღიმილს.

„ვერ შევძელ ხოცვა ნადირთა ბევრთა“ —
შორს გაუტიეს ამ ტყის ხიზნებმა.
და მეფეხურიც ისეთი შემხვდა —
შიგ გულში დამცა დაუმიზნებლად...

[library stamp]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს უ რ ა თ ი

შემოაწყობენ მთებზე ბორცვივით
ქარები ღრუბლებს ნაირ მძივებად,
მერე ქარები ქანცგამოცლილი
ხევში წვებიან დასაძინებლად.

ჯანყდება მაშინ ღრუბლების გროვა,
ჰექით წალეკენ ხევებს ერთიან...
ქარს დაუშენენ სეტყვას და თოვას
და ცის ლაჟვარდის თაღს შეერთვიან.

* *
*

როდემდის... განა გული აიტანს
ამდენ ლოდინს და ასეთ ცდუნებას?
გუშინ ჩამოხველ ლაზისტანიდან
და დღესვე ლამობ შინ გაბრუნებას!

ჩამოხველ, — გახსენ ძველი იარა
(შენ უცებ იცი ცეცხლის მოტანა),
მე ქარიშხალმა გადამიარა
და სასიკვდილოდ შემატორტმანა.

და განა ღირდა მოსვლა აგეთი?
შეურიგალი დავრჩით მხარენი!
როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი!
და რა უბრალოდ გავიყარენით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ლადო სულაბერიძე

## თ ა მ ა შ ი

ნუ დასდევ ციცინათელებს,
ნუ იჭერ ციცინათელას,
ჩაქრება,
        ჩაინამქრება,
ეს არ გსურს, ვიცი ნამდვილად.

ნაწვიმარია,
წყნარია,
ანათებს,
ნაპერწკალია.

ჯერ პატარა ხარ, პატარა,
ჯერ რა ხარ, რა გინატრია,
ჯერ ამირანი არა ხარ,
ცეცხლთან ჭიდილი ადრეა.

მგონია,
        ეთამაშები
შენ წუთისოფლის ნაპერწკლებს,
თხელი პერანგი გაცვია,
ვაიმე, ზედ რომ დაგეცეს!

აბრიალდება თივთიკი,
დაგბუგავს,
        ცეცხლი გაგთელავს...
ნუ დასდევ ციცინათელებს,
ნუ იჭერ ციცინათელას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმენტი გოგიავა

# თვალი თვალს რომ მოშორდება...

## თავი პირველი

სანამ გურამ ლომიძე გულში ჩამივარდებოდა, ფრინველივით მშვიდად ვცხოვრობდი, არც დარდი მიბნელებდა სულს, არც სიხარული მანებივრებდა.

მთელი დღე მინდორში ვიყავი, ხბოები ლორთქო ბალახს შეექცეოდნენ, მე კი ჩრდილში ვიჯექი. კალთა მინდვრის ყვავილებით მქონდა სავსე, თეთრსა და ყვითელ გვირილაში გუგულის ცრემლებს ვაწნავდი, აქა-იქ, შნოსთვის, მამლისყვავილას ვატანდი და მერე გვირგვინით ზურგათ ტანას მოღერებულ კისერს ვუმშვენებდი. არც ფესანგს ვაწყენინებდი, იმასაც ვრთავდი და საღამოთი ფერმას მივაყენებდი. ასე მეორდებოდა ყოველ დღე. ხბოები ლაღად გაიზარდნენ, მეც გავიზარდე სოფლის თვალში. სურათი გაზეთში, ჯილდოები, სიხარული. სიხარული და ფიქრი მომავალზე!

იმ დღეს ჩვენი ფერმის გამგე კოლა ბუსკაძე, სიცილით შემოგვხვდა ეზოში. გაგვიკვირდა გოგოებს; რა ხანია ფერმაში ვმუშაობ და კოლას სახეზე სიცილი კი არა, უბრალო ღიმილიც არ შემინიშნავს.

კოლა ასეთი მოქურუხებული არ იყო. ერთად ვსწავლობდით. მე რომ შვიდწლედი დავამთავრე, იმ წელიწადს სიმწიფის ატესტატი გაიკრა. სკოლაში სიცილ-სიმღერის ბიჭი იყო. მომღერალთა გუნდში მისი ხმა ზარივით რეკდა. ცეკვისას თითისწვერებზე დგებოდა. არც სწავლაში ჩამოუვარდებოდა ვინმეს.

სიმწიფის ატესტატით თბილისს მიადგა, მაგრამ ინსტიტუტში გამოცდაზე ჩაიჭრა. სოფელში ჩამოსასვლელი პირი არ ჰქონდა, მაგრამ მკაცრმა მამამ (მილიციის უფროსია რაიონში) მაინც ჩამოიყვანა და პირდაპირ ფერმაში უკრა თავი. ჩემი ბედიც ეს ყოფილაო, ხელი გამოიღო. ჯერ მწყემსი იყო, დაუსწრებლად ვეტერინარული ტექნიკუმი დაამთავრა და მერე მთელი ფერმა ჩააბარეს. სულ ოთხ წელიწადში გამოიქექა კაცი.

ფერმაში რომ მივედი, ველარ ვიცანი. გაზრდილი მეჩვენა, ზედმეტად ჩასუქებულიც, დინჯი და ქვასავით ცივიც. ვიფიქრე, გამგეა და ცხვირის აწევის სენიც იმიტომ შეჰყრია-მეთქი.

გულში კი მეწყინა...

რა ვქნა, ჩემს საქმეს დავუტრიალდი. გოგოებმა გული გამილეს, თავიანთ სულშიც ჩამახედეს. საუბარში კოლას საყვედურებიც ჩაურთეს. აღარ მოსწონთ კოლა, ნამეტანი იპრანჭებაო. თურმე ზვიადიც არის, უბრალო რამეზე ისე აყვირდება, ლამის ცა ჩამოანგრიოს.

ეს მამისაგან მოსდგამს, ალბათ. მამა რომ ვინმეს კაბინეტში უყვირის, ფანჯრებს ზრიალი გაუდით. ფერი ფერს... იმ დღეს კოლამ თავის სიდინჯეს უღალატა, ეზოში რომ შევეფეთეთ, გაგვიცინა და თვალი ეშმაკურად ჩაგვიკრა.

— გოგოებო, შოლტივით ბიჭები მოდიან, უფრთხილდით!

— საიდან?

— ვინ არიან?

მივაყარეთ კითხვები.

— სტუდენტები. პროფესორებს უთქვამთ, მარტო წიგნი კი არ არის საქმე,

ახლა წადით სოფელში და ძროხებსა და ცხვრებს თქვენ თვითონ უპატრონეთო.

— ძროხები უნდა მოწველონ? — იკითხა ელომ.

— წველა კი არა, ყველაფერს გააკეთებენ, ყველაფერს.

— მერე, ჩვენ?!

— თქვენ დედოფლებივით დაბრძანდით, უყურეთ, თუ რამე შეცდათ, ასწავლეთ.

— ჩვენ ვასწავლოთ?

— ნამდვილი სასწავლებელი აქ არის, ჩემს ფერმაში. მარტო წიგნებით ფონს ვერ გავლენ!

ამაყად გვითხრა კოლამ და თავის კამპი ცხენისკენ გაემართა, რომელიც იქვე თუთის ხეზე იყო მიბმული.

— ეს კარგი, მაგრამ იმ სტუდენტებში საშენო ჩიტი არ ურევია? — გაჰკრა ელომ.

— არა, ჩემო მაშხალავ. ჩიტები მეფრინველეობის ფერმაში გაუშვიათ.

ჩვენ ძალიან გვეწადა, კიდევ რაღაცრაღაცეები გაგვეგო სტუდენტებზე, ერთი გაწევა კიდევაც გავიწიეთ, მაგრამ კოლას ცხენთან ახლოს შიშით ვერ მივედით. უცნაური ცხენი ჰყავს, ძალლივით იკბინება. კოლამ მათრახი გააშხუილა ჰაერში და ცხენი მიუშვა. ჭიშკარს რომ გასცდა, ჩვენკენ მოიხედა და შემოგვძახა:

— აბა, თქვენ იცით!

აწრიალდნენ გოგოები. ზოგი შინ გაიქცა კაბის გამოსაცვლელად, ზოგი ფეხსაცმელის წმენდას შეუდგა. არც მე ჩამოვრჩი. იქვე ჩემს ოთახს მივაშურე. თმა რიგიანად გადავივარცხნე, კაბა კარგი მეცვა, ჩუსტებს მტვერი გადავაცალე, მინდოდა პუდრიც წამეცხო, პომადაც, მაგრამ შემრცხვა.

ნაღველი შემომაწვა. ცხოვრებას რომ არ დავეჯაბნე, ახლა ვისზე რა ნაკლები სტუდენტი ვიქნებოდი! მამას უხაროდა, ჩემი გოგო ხუთებზე სწავლობსო, სამედიცინო ინსტიტუტს უმიზნებდა, გვარში ერთი ექიმი მაინც იყოსო, ჩემს ავადმყოფ დედას გულს უკეთებდა. აი, შენი გოგო, მალე ექიმი იქნება და მოგარჩენსო. ცოლის ასტმა, მისი ხველა-ქოშინი გულს უკლავდა მამას. ეს მუხასავით მაგარი კაცი ინფარქტმა დაეჯაბნა.

— კერა არ გააცივო, შვილო. — მოსწყდა მის გაცრეცილ ბაგეს და თვალები დახუჭა. ექიმის მოყვანა ვერც მოვასწარი.

სწორედ იმ ზაფხულს საშუალოს ვამთავრებდი. გულით და სულით თბილისში ვიყავი, მაგრამ ცხოვრება სხვაგვარად დამიტრიალდა, ოჯახი ვის ანაბარა დამეტოვებინა?

სამედიცინო ინსტიტუტის მაგიერ ბედმა ბოსელში შემაგდო... ახლა ოცი ხბო მაბარია. ათი წაბლისფერია, ჯიშიანი, ისე ჰგვანან ერთიმეორეს, ერთი დედმამის შვილები გეგონებათ. შვიდიც ფესანგია, ჩვენებური, ქართული, თითქოს მინდვრის ყვავილებით მოურთავთო, ჭრელები არიან. დანარჩენი უშნოდ არის მობუზული, ზურგათი, მათი სული კბილით მიჭირავს, ჩიტის რძესაც არ ვაკლებ, მაგრამ ამ ქვეყნისკენ მაინც ვერ მოვახედე. ეს სულ კოლას ოინია, ამ მკვდარ-ცოცხლებს შენს მეტს ვერავის ვანდობო. მაგ ბეჩავებს სული ზაფხულამდე მივატანინე. აწი რა ღმერთი გაუწყრებათ.

ამ ფიქრებში ვიყავი, მწველავი ელო რომ თეთრი კაბით შემოფრიალდა ფერმაში. მაგ სანაცილეს გაცრეცილი ტუჩები შინდისფრად შეუღებავს, მკრთალ ლოყებზეც ცეცხლი წაჰკიდებია, თმებიც გაუპრიალებია მსახიობივით, მორთულ-მოკაზმული გამომეცხადა, სიცილი ვერ შევიკავე, გოგოებიც აკარკაცდნენ.

— ეს რა ამბავია, ელო, სცენაზე გამიდიხარ?

— აბა, ჩაჩანაკივით ხომ არ დავხვდები მაგ სტუდენტებს? პუდრი და პომადა თქვენც არ გაწყენდათ.

— ჩვენ? არა, არა!

— ვითომ რათაო, ფერმაში რომ ვმუშაობთ, იმიტომ შნო და ლაზათზე ხელი უნდა ავიღოთ? არა, შვილოსა, თქვენ ჯერ კიდევ ჩიტი გიფრინავთ თავში, მე კი „ორჯამას“ მეძახიან.

ელოს ორჯამას იმიტომ ეძახდნენ, რომ ორი ქმარი ჰყავდა გამოცვლილი, ერთი ომში დაეღუპა საბრალოს, მეორე ლოთი და უქნარა გამოადგა, კინაღამ ოჯახი დაუნიავა. ძლივს მოიშორა. ამიტომ ეძახდნენ ორჯამას, ცხოვრებამ ორი ჯამი სამსალა შეასვაო. უყვარდა ჭყეტელა ფერები, სოფელში ყველაზე ჭრელი კაბა ელოს ეცვა, ყველაზე მეტ პუდრსა და პომადასაც ის იცხებდა, მორთვა-მოკაზმვის ქალი იყო. თავის ძროხებსაც ბაბთები შეაბა, თვალი არ ეცესო, ჯვრებიც ჩამოჰკიდა. ამაზე კოლა გაუჯავრდა, ფერმაში მალე მღვდელსაც მოიყვანო.

— რატომაც არა, თუ ახალგაზრდა მღვდელი შემხვდა, ფოფოდიობა არ დამშვენდება თუ?

კოლამ ხელი ჩაიქნია, იცოდა, ელოსთან ვერას გახდებოდა, და წავიდა.

ახლა სტუმრების მოლოდინში ელოს თვალი გზისკენ ეჭირა.

— იმ სტუდენტებში საჩემო პროფესორი არ იქნება?

— როგორ არა!

გული გავუკეთეთ ხუმრობის გუნებაზე მდგარ ელოს. მოლოდინი უკიდეგანო გამოდგა, სტუდენტები არ გამოჩნდნენ; ჩვენც ჩვენს საქმეს მივხედეთ. ხბორები ბალახზე მივუშვი და ისევ იმ უშნოდ გადაზნექილ თუთაზე ჩამოვჯექი.

მზე ქარიანის ქედს გადასცდა და გაღმა ხევში აპირებდა თვალის დახუჭვას.

შარაზე საბარგო მანქანა გამოჩნდა. ძარაში შოლტებივით ბიჭები იდგნენ, მანქანის რყევისაგან თავის შესამაგრებლად ერთმანეთისათვის მხრებში ხელები ჩაევლოთ. ფერმის ჭიშკრის გაღებას როდი დაელოდნენ, როცა მანქანამ სვლა შეანელა, ჯერ ერთმა ისკუპა, მას მეორე მოჰყვა და, სანამ დარაჯი ილია ჭიშკართან მილასლასდებოდა, ბიჭები ტყაპა-ტყუპით გადმოცვივდნენ. მანქანა მაინც შეგრიალდა ფერმის გაშლილ ეზოში, ბიჭების ბარგი-ბარხანა შეიტანა.

საქმე უკვე მოთავებული მქონდა, სახბორეს ვიწრო ფანჯრიდან კარგად ვხედავდი ნამგზავრი, მანქანისაგან ნარყევი ბიჭები, როგორ აცა-ბაცად დადიოდნენ. ზოგ მათგანს ფეხი დაბუჟებოდა და მუხლის თავებს მუშტს უშენდა, ზოგი ქოჩორს ისწორებდა, ზოგიც აქეთ-იქით იცქირებოდა. ჩემი ფესანგი ხბორებისა არ იყოს, ზოგიერთ ბიჭს უცნაური ჭრელი კუბოკრული ხალათი ეცვა, ქუდი ერთსა თუ ორს ეხურა, დანარჩენებს ქოჩორი შნოიანად ეყენათ. ერთი მათგანი ონკანთან მივიდა, სახეზე წყალი შეისხურა და მერე ჯიბიდან ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო. მწყემსის სახრესავით წვრილი და მოქნილი ტანისა იყო, მოკლედ შეკრეჭილი თმა განზე გადაივარცხნა, წარბივით წვრილად გატკეცილ ულვაშზე სალოკი თითი ჩამოისვა. მალე ორი „პობედა“ შემოგრიალდა და ორივე ზედ სახბორის კართან გაჩერდა. ერთი ღია ცისფერი „პობედა“ იყო და მეორე მუქი ყავისფერი. აი, პროფესორებიც მობრძანდნენმეთქი, გავიფიქრე. ფანჯრის წინ გაიარა მაღალ-მაღალმა მამაკაცმა, რომელსაც მარცხენაში გაძეძგვილი პორტფელი და ჩალის შლაპა ეჭირა, ხოლო მარჯვენაზე საზაფხულო პალტო ჰქონდა გადაფენილი, მაშინვე ჩვენი ელო მომაგონდა და გულში გამეცინა.

იმ წერწეტა ბიჭს „გურამი“ დაუძახა პროფესორმა და მძიმე პორტფელი გადასცა. პროფესორის გვერდით იდგა საკმაოდ მოხუცი მამაკაცი; ლოგინიდან ახალამდგარივით თეთრებში იყო გამოწყობილი. ორი ხნიერი ქალი ცისფერ „პობედიდან“ დინჯად ჩამოვიდა.

საღამოს კლუბში სტუმრებთან შეხვედრა გვქონდა. ჩვენი თავმჯდომარეც მობრძანდა, კოლა მასპინძლობდა, ყველა სტუმარი სცენაზე აიწვია, გურამი მორცხვად რომ ადიოდა, გოგოებს მისი სახელი გადავუჩურჩულე.

— საიდან, მოასწარი უკვე? — გაუკვირდა ელოს, რომელიც ჩემს უკან

იჯდა, ფეთიანივით წამოხტა და პირველ რიგში წამოიჭიმა. ვიღაცას ნამუსზე შეუგდია, პომადა და პუდრი ჩამოუწმენდია.

დაიწყო სიტყვები. ჩვენმა თავმჯდომარემ პროფესორ-მასწავლებლები თითო-თითოდ დაახასიათა და გაგვაცნო. ის მაღალ-მაღალი, მართლაც პროფესორი ყოფილა, მიხეილ გასვიანი — ჩვენი სოფლელი; მე მასწავლიდაო, ამაყად დაუმატა თავმჯდომარემ. ელომ ტაში შემოჰკრა. მას სხვებიც აჰყვნენ, თავმჯდომარეს ჩაეცინა; ელო ნაწრთობია, იცის, როგორ მოიქცეს.

პირფერობას თავისი მადლი აქვს. თავმჯდომარემ პირველად ელოს გამოუძახა: აბა, გააცანი სტუმრებს თითოეული ძროხიდან ამდენ და ამდენ რძეს როგორ ღებულობო. ელოც ჩიტივით აფრინდა ტრიბუნაზე.

ქეთომ გაცილებით მეტი რძე მიიღო, მაგრამ თავმჯდომარეს არც კი უხსენებია. პირშიმთქმელი არავის უყვარს. გასულ კვირას ქეთომ, საერთო კრებაზე, ჩვენს თავმჯდომარეს ზურგი აუწვა. აბა, რა ექნა? მთელი წელიწადი ეხვეწებოდა და საწველი მანქანა არ აღირსა, აქაოდა, საამისო ფული არა მაქვსო. შეხურების შემდეგ დაფაცურდა. მართალია, ქეთომ მანქანა მიიღო, მაგრამ თავმჯდომარემ რისხვაც ზედ მიაყოლა.

აი, ელომ დაამთავრა სიტყვა, ტაში და მოწონება დაიმსახურა. გულმა არ მომითმინა და ხელი ავწიე. თვალი შემასწრო თავმჯდომარემ, სტუმრებს რაღაც გადაულაპარაკა და მერე გამოაცხადა:

— ახლა სიტყვა ეკუთვნის ჩვენს საუკეთესო მეხბორეს ლია ცქვიტარიას. მობრძანდი.

კინაღამ დავიბენი.

— მეძროხეები მოათავეთ. რატომ არ ალაპარაკებთ ჩვენს მოწინავე მწველავს ქეთევან არობელიძეს, არ გაინტერესებთ?

— როგორ არა, როგორ არა! — გაისმა სტუმრებში. თავმჯდომარემ თვალები გადმომიბრიალა და უკმეხად მომახალა.

— ჯერ შენ გამოდი!

— ქეთო, ქეთო, ქეთო! — დაიგუგუნა დარბაზმა.

გოგოებს სტუდენტებიც აჰყვნენ.

ყოჩაღ, ქეთო! კარგად ილაპარაკა, დაწყობილად. დარდიანი ხმა ჰქონდა; ამან უფრო უშველა. მიხეილ გასვიანს გული აუჩვილდა, გადაეხვია და მერე სტუდენტებს მიმართა:

— აი, ვისგან უნდა ისწავლოთ!

განა ვერ შევატყე, შერცხვა თავმჯდომარეს, მაგრამ არ დაბნეულა, მიხეილს რაღაც გადაუჩურჩულა და იმანაც ის რაღაცა თავის დაქნევით დაუდასტურა.

ქეთოს გამოსვლის შემდეგ ჩემი სიტყვა იმ ჩაროზივით იყო, რომელსაც კარგი სადილით გულასუყებული კაცი უმადოდ შეექცევა ხოლმე.

პროფესორმა გამოაკეთა.

— რამდენი წელიწადია ფერმაში მუშაობ? — მკითხა მან.

— ხუთი.

— ამ ხნის განმავლობაში რამდენი ხბო გამოგიზრდია?

— ბევრი.

— რამდენი მოგიკვდა, თქვი, ნუ მოგერიდება.

— არცერთი.

— ო, გაგახარა ღმერთმა!

მიხეილმა მეც ჩამიკრა გულში. არ მახსოვს, დარბაზში როგორ ჩამოვფრინდი. ჩემი სკამისკენ რომ მივდიოდი, ქეთომ მტაცა ხელი და გვერდით მომისვა.

— აქ დაჯექი, გული გაუსკდეს! — მითხრა მან თავმჯდომარის მისამართით. ხმა უკანკალებდა, თვალებშიც ცრემლი ედგა.

გვიან წავედ-წამოვედით. სტუმრები იქვე, ფერმის შენობაში მეორე სართულზე დაბინავდნენ. მათთვის წინასწარ იყო ოთახები მომზადებული.

## თავი მეორე

მე და ქეთო შინ ავყევით ფერმის მანქანას. დედას არ ეძინა, აივნის ჭერზე ასსანთლიანი ნათურა ჭახჭახებდა და

ჩელტზე დაყრილ ჩირს დასციმციმებდა. დედა იატაკზე იჯდა, წინ ლოყაწითელი ვაშლით სავსე კალათი ედგა, პრიალა დანით ვაშლს ისე ჩირავდა, კაცი თვალს ვერ შეასწრებდა. აივანზე შემჭკნარი ხილის მოტკბო სუნი იდგა.

საბრალო დედა! სტუდენტებზე სიტყვა რომ ჩამოვუგდე, აიმღვრა. მუშაობა შეწყვიტა და ჩაფიქრდა. როცა კრების ამბავი მოვუყევი, ჩამეკითხა:

— სიტყვით გამოდი? მერე კარგი რამე თქვი?

— რა ვიცი, ტაში კი დამიკრეს.

— შენისთანა გოგოს ტაშს როგორ არ დაუკრავენ... შემოდგომაზე აქ არ დაგინახო, წადი, შენზე უკეთესს ვის მიიღებენ უმაღლესში!

— მერე შენ, ოჯახი?

— მე რა მიშავს. ის უფრო მომკლავს, შენ რომ უსწავლელი რჩები.

— ჯავრი ნუ გაქვს, დედა, ვისწავლი, დაუსწრებელი და მისი ჯანი.

— დაუსწრებელი არ გამაგონო!

გვიანობამდე ვილაპარაკეთ. სავსე მთვარე სულ ჩამოდაბლდა და ოთახში შემოიხედა. მთვარისა და ელექტრონის შუქი ერთმანეთში აირია. ძილის დრო იყო, დედამ გამზეურებული ლოგინები გაშალა.

ფერმაში გოგოებს ოთახებიცა გვაქვს. ხანდახან საქმე რომ შინ არ გაგვიშვებს, ღამე იქ ვრჩებით ხოლმე. იმ დღეს თუმცა დიდი საქმე არ მქონდა, მაგრამ ხბორები რომ დავაბინავე, მერე ონკანთან გურამი შემხვდა და მასთან შევყევი საუბარს. ძალიან დამიახლოვდა. ეს უბრალოდ მოხდა. სათიბიდან ხბორები გამოვლალე, გზაზე უცაბედად შემეფეთა, მომესალმა, მერე ჩემს ნიშა „გოგოს" ლამაზად ჩამოკიდებული ყვავილების გვირგვინი აალალა და თვითონ გაჰყო შიგ თავი, ამაზე გამეცინა.

— რა გაცინებს? რატომ მაშინ არ იცინოდი, ასეთი მშვენიერი ყვავილები ამ კუდაბზიკა ხბოს რომ ეკიდა? ხბოს რად უნდა ყვავილი? სილამაზე და სიკეთე ადამიანს უნდა, ხბოს ნუ ეფერები, ხბო გაზარდე, გაასუქე, რომ გემრიელი ხორცი ჰქონდეს.

— აი, სიბრძნე, — გავიფიქრე ჩემთვის, — მთვრალი ხომ არ არის, რაღაც ჯიბრით მელაპარაკება. ვერაფერი ვუთხარი. იმან კიდევ რაღაც თქვა და გაჩუმდა. ერთხანს სულ განაბული მივდიოდით, მერე გაოცებული თვალები შემომანათა.

— როგორ ფიქრობ, დამამშვენა შენმა ყვავილებმა?

— ვაჟკაცს ყვავილი ვერ დაამშვენებს!

— მაშ ხმალი ჩამოვიკიდო?

— აქ რა ბრძოლის ველი ნახე?

უკვე შევედით ფერმაში. ხბორები ჩვენზე წინ ეზოში შეკუნტრუშდნენ.

— ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს! — მითხრა გურამმა და კლუბის წინ შექუჩებულ ბიჭებისკენ გაემართა. ბიჭებმა ყვავილებით მორთული რომ დაინახეს, სიცილი დააყარეს. ვიღაცამ მწარედ გაწკეპლა.

— ბიჭო, ეს რა ჩამოგიკიდია, ლიას ხბო ხომ არა ხარ?

— ხბო!

— ხბო!

მიაძახეს. შორიდან რომ გავხედე, გურამს ისევ ის თაიგული ეკიდა.

„ლია, ჭკუით იყავი, ბიჭი სანდო არ არის. ძალიან ნუ გაუთამამდი", ვიღაცამ ჩამძახა ყურში, მაგრამ ვიღაცა კი არა, ის ჩემი სიფრთხილის ანგელოზი იყო. აწი გურამს ხმასაც არ გავცემ-მეთქი, გავიფიქრე და საქმეს შევუდექი. ერთი საათის შემდეგ ონკანთან მივედი. წვიმას აპირებდა, ცა ჩამობნელდა. შინ უნდა მიმესწრო, საჩქაროდ დავიბანე ხელპირი, თმას რომ ვივარცხნიდი, უცებ თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ზურგიდან გურამი მომეპარა,

— პუდრი და პომადა მოგართვათ?

— დამცინით?

— არა, როგორ გეკადრებათ! ქალი პირს რომ დაიბანს, მერე პუდრსა და პომადას მიადგება, ეს წესია.

— მერე ცუდი წესია?

— არა, რატომ?

უცებ ზედიზედ დაიქუხა, შავი ღრუბლები ელვის ხმალმა გაკვეთა, ცა და დედამიწა განათდა. წუთით განათდა გურამის ვაჟკაცური სახე, ნაპერწკლებით სავსე თვალები და ლამაზი ულვაშები.

მაგრამ მე რა? ვიცი ამ შეხვედრას, ამ ლაპარაკს, რას მოაყოლებს გურამი. ახლანდელ ბიჭებს პირზე აკერიათ საბრალო სიტყვა:

— მიყვარხარ!

ეს, თითქმის ძველთაძველი, გათელილი, მაგრამ მუდამ ნორჩი და უმწიკვლო სიტყვა.

— მიყვარხარ!

ელომ ერთხელ მითხრა: სიტყვა — მიყვარხარ — მოსასმენად კარგია, მამაკაცები მას ისე თილისმურად გამოთქვამენ, რომ საბრალო ქალს სული სიხარულით ევსებაო, მაგრამ შემდეგ შხამია, შხამიო.

შუა ლაპარაკში რომ ვიყავით, მოულოდნელად დასავლეთისკენ ცამ კიდევ დაიქუხა და ერთი შეკრთომა შემაკრთო. გვიან იყო, ფერმაში ყველას ეძინა. მხოლოდ მე და ის ვიდექით ონკანის გვერდით ვგრძნობდით, ვერც მოწყენას, ვერც ამ დაბურულ ღამეს, ასე ზლაზვნით რომ წამოგვეპარა. ბოლოს გრგვინვამ და შეკრთომამ ბურანიდან გამომიყვანა და ვიკითხე, ნეტავი რომელი საათია-მეთქი.

— ჯერ ადრეა.

— არა, არა, გურამ, წავალ! — გავიქეცი. მან ჩემი შეჩერება ვერ მოასწრო. ოთახში შეგუბებული სიჩუმე დამიხვდა. რაკრაკა მაღვიძარას პირველ საათამდე მიეტანა სული და გაჩერებულიყო. ჩემი პატარა ოთახის ფანჯარა შარაზე გამოდის. ღამით, ყველას რომ სძინავს, დაცარიელებულ შარაგზაზე თუ მანქანამ გაიხრიგინა, სარკმლის ჩარჩოები უშნოდ აზანზარდება და მერე ძილი არ მეკარება.

იმ დასაწვავ ღამეს მშვიდად მეძინა. გარეთ წვიმდა, ქარი წიოდა, წყლის შხეფები მინებზე აკაკუნებდნენ, ამ ხმაურში მაინც ჩამეძინა. მაგრამ არა, ეს როგორი ძილია? ეს ხომ ძილ-ღვიძილია; თვალი დახუჭული მაქვს და მაინც ვგრძნობ ყველაფერს, ვხედავ, ვიღაცას ვესაუბრები, ვედავები, ვეჩურჩულები. ეს ვიღაა? ეს გურამია. ნუთუ გაბედა და ოთახში შემოვიდა? შემკრთალმა ლოგინიდან წამოვიწიე; შუქი ავანთე. მარტოდ ვარ!.. გამიხარდა და ისევ ჩავაქრე შუქი. თავზე საბანი მაგრად შემოვიხვიე და თვალებიც მაგრად დავხუჭე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე. კაკუნმა წამომაგდო.

— რა იყო, რა ამბავია? — ვკითხე დაფეთებულმა დარაჯს, როცა კარი გავაღე.

— დაგირეკეს, დედაშენი ცუდად ყოფილა... რას იზამ, რითი წახვალ?

— ცხენი აქ არა გყავს?

— ცხენი? — დარაჯი წავიდა, ღია კარიდან გამოდენილი შუქი ეზოში გრძლად იყო გაწოლილი. დარაჯი ერთხანს ამ შუქს მიჰყვებოდა, მერე თავლისკენ შეუხვია. ქარს საიდანღაც წვიმის წვეთები მოჰქონდა და მოტვლეპილ მიწაზე გაწოლილ შუქს ქვიშასავით აყრიდა, თითქოს მის ჩაქრობას ლამობდა. თბილად ჩავიცვი, ის იყო კეთილმა დარაჯმა მოიყვანა ოჩანი ლურჯა.

— უნაგირი ვერ ვნახე. ხომ არ იცი სად არის?

— არა. რა უშავს. მოიტა: — აღვირი გამოვართვი თუ არა, ვხედავ ოთახიდან გამოდენილ შუქს მოჰყვება ის...

— არ გეძინა?

— არა. ვგრძნობდი გაგიჭირდებოდა და საჭირო ვიქნებოდი შენთვის. ამიტომ ვფხიზლობდი! — მითხრა გურამმა.

ტელეფონის ჯიხური სწორედ სტუმრების სახლის წინ იდგა. გურამმა გაიგონა ზარის ხმა და მერე დარაჯის ლაპარაკით მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მან ხელიდან აღვირი გამომგლიჯა.

— გაუშვი. ამ ქარ-წვიმაში ამით როგორ უნდა წახვიდე. — ცხენს შეუყვირა და დააფრთხო.

პროფესორის მანქანა ჩუმად მოასრიალა.

— აგაშენა ღმერთმა! — გაუხარდა დარაჯს და მანქანის კარი გამოაღო.

გურამს, ალბათ, ეწყინა, კაბინაში მის გვერდით რომ არ დავჯექი. „პობედა“ ჩემი ოთახიდან გამოდენილ შუქს გაჰყვა, მერე ეს შუქი მისმა ბრიალა ფარებმა გააგრძელეს და უკან მოვიტოვეთ ფერმის თეთრი შენობები, სასიმინდე, ჩემი პატარა ოთახიც.

გურამი ხმას არ იღებს, შნოიანად მიაქროლებს მანქანას, მე რომ შემომხედოს, ხანდახან საჭის წინ მიმაგრებულ სარკეს ცალი თვალით ახედავს ხოლმე.

ბოლოს, სოფელში რომ შევიდა, მითხრა:

— მოდი, ექიმს გავუაროთ და წავიყვანოთ, აჯობებს.

საზრიანი ბიჭი ყოფილა. ორღობეში ჩავუხვიეთ, ნუცა ძალო, ჩვენი ექიმი, გავაღვიძე. ნუცამ ფართი-ფურთით ჩაიცვა და წამოგვყვა.

დედას ასტმის შეტევა ჰქონდა, ლოგინზე გადასვენებული იყო. მისმა ხროტინმა გული მომიკლა. ნემსი. წვეთები. კოტოშები. დატრიალდა ნუცა. გვიან, გათენებისას დედამ თვალი გაახილა, მეზობლის ქალები თითო-თითოდ გაიკრიფნენ. ელო სკამზე წრიალებდა, რაღაცას მანიშნებდა, მაგრამ ვერ მივხვდი.

— შენც კაი ეშმაკი ყოფილხარ, — ჩამჩურჩულა ელომ, ხოლო შემდეგ ხმამაღლა დაუმატა, — აქ იყავი, დღეს შენს საქმეს მე მივხედავ.

ელო კიბეზე ჩავაცილე, გურამს საჭეზე თავი ჩამოედო და მელოდებოდა.

— ჩემი სიკვდილი, გურამ, როგორ გაგტანჯე ამაღამ! — მოვიბოდიშე, — ახლა წადი, გენაცვალე. ძალიან დაგაგვიანე, ვაი თუ პროფესორი გაგიჯავრდა.

— ნუ გეშინია, — გურამმა სალოკი თითები ერთიმეორეს მიადო, — მე და პროფესორი ასე ვართ. არ მოდიხარ?

— არა, ვერ წამოვალ.

— მე წამიყვანთ? — ჰკითხა ელომ.

— სიამოვნებით! — გურამმა კაბინის კარი გაუღო.

ელო მის გვერდით დაჯდა.

მეწყინა.

მანქანა დაიძრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მესამე

დედა თუმცა ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა, მაგრამ მაინც ეძინა, შეწუხებული სახე ჰქონდა, ნიკაპზე და შუბლზე ოფლის წვრილ-წვრილი წვეთები ეყარა. „საბრალო დედავ, ერთი სიკვდილი მაშინ გაათავე, მამამ რომ თვალები დახუჭა. ავადმყოფობა გტანჯავს, ნატრობ სიკვდილს, შენ რომ აღარ იქნები, გგონია მე მეშველება, ვისწავლი, ფრთებს გავშლი. რატომ ფიქრობ ასე? მე ხომ მაშინ უფრო უბედური ვიქნები! ნუ, ნუ ნატრობ სიკვდილს. სიკვდილი რა სანატრელია. აი, ახალი წამალი ყოფილა რაღაც, ნუცა ძალომ მითხრა, უებარი წამალია, ქვას გავხეთქავ და ვიშოვიო. დღეს მოგიტანს, ღმერთმა ქნას, გიშველოს“. ამის ფიქრსა და ლაპარაკში ძილმა წამიღო. არ ვიცი რამდენ ხანს მეძინა. ძალლის ყეფამ გამაღვიძა. დედას უფრო ადრე გაღვიძებოდა და ჩემთვის თექის საბანი წამოეხურა. მოვიდა ნუცა, წამალიც მოიტანა.

— ეეხ, ეს მომარჩენს? — უიმედოდ იკითხა დედამ. საწუწნი აბი იყო, პირში ჩაიგდო.

წვიმამ მოუხშირა. დროდადრო ქარიც აწყდება ფანჯრებს. ასეთ ამინდში დედას ავადმყოფობა ერევა. ექიმმა უთხრა, გარეთ არ გახვიდეო, ოჯახი მე შემრჩა ხელში. ქათმები, ღორები, ძროხა, ბაღი, ბოსტანი. რამდენი საქმე აქვს დედასჯერ ამხელა სახლის მოვლა. მამამ რატომღაც ორსართულიანი სახლი წამოიწყო, კედლები ამოიყვანა და დანარჩენი მე ჩამიტოვა ხელში. ძლივს გადავხურე, კედლები შევლესე. კალოსავით დიდი ოთხი ოთახია. ქვედა სართულს არც კი ვხმარობთ, ბარგი-ბარხანა გვიწყვია. დედამ თავისი დაზოგილი ფულით ტელევიზორი იყიდა, მშვენიერი რადიომიმღებიც მოიტანა.

— აბა, რა ვქნა, შვილო, შენ რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ხარ, ამეებს გულს მაინც გადავაყოლებ. დედას უყვარს მუსიკა, ოდესღაც გუნდშიც მღეროდა, ტკბილი ხმა ჰქონდა, მაგრამ ქმრის დაღუპვამ ხმაც დაუკარგა და გულიც.

სამი დღის მერე დედამ მოიხედა. სანამ გავიღვიძებდი, მას ოჯახის საქმე უკვე მოეთავებინა, ჩემთვის საუზმეც მოემზადებინა.

— ახლა კარგად ვარ, შვილო. შენ შენს საქმეს მიხედე! — მითხრა მან. იმ ახალმა წამალმა არგო?

ცა მაინც არ იხსნიდა პირს. ნეტავი საიდან მოჰქონდა ამდენი წყალი. წვიმდა. წვიმდა. ნასადილევს, გადაიღო თუ არა, ფერმას მივაშურე, ჭიშკარში დაბარებულივით გურამი შემეგება!

— როგორ არის დედა? აი, ახლა მოვდიოდი შენთან!

გაუხარდა, დედაჩემი რომ უკეთ იყო.

გურამმა ხელი მკლავზე მომკიდა, თანაც სახე აერია, გაწითლდა. მერე სახბორეში შემყვა, „ბავშვებს“ როგორ გაუხარდათ ჩემი დანახვა. ჭრელამ „მბეო“, რაღაც შემომჩივლა. ჯერ კიდევ ადრე იყო, ცა იწმინდებოდა, ღრუბელი ჩქარჩქარა მისდევდა ღრუბელს, ფერმის ეზოს შუქი მოეფინა. ხბორები გარეთ გამოვუშვი, სუფთა ჰაერი მაინც ჩაყლაპონ-მეთქი. ყველაზე უფრო იმ ჭრელამ გაიხარა, პირველი გავარდა გარეთ, კუდი მათრახივით აიქნია და ჭიშკრისაკენ გაექანა.

— ამას ჰქვია ხბოს სიხარული!—შორიდან დაიწყო გურამმა.

— ყველას აქვს თავისი სიხარული!— მეც მივუგე ბრძნულად.

— მე კი არა მაქვს ის დალოცვილი სიხარული.

— რატომ?

— თექვსმეტი წელიწადია ვსწავლობ. ჯერ ცხოვრება არ მინახავს. აბა, რამ უნდა გამახაროს.

— ესეც უიმედობა. წუწუნი! — მინდოდა მეთქვა, მაგრამ მომერიდა. ჯერ კიდევ არ ვიცი, რა ჭკუისა და ხასიათის კაცია.

— შენ გაქვს სიხარული? — მიამიტად მკითხა.

— რატომაც არა.

— აბა, სადა გაქვს?

— გულში.

— გულში? რა გახარებს?

— ყველაფერი. ცოცხალი ვარ, ვმუშაობ, დედა კარგად არის. მომავალი, განა ეს გასახარელი არ არის.

— არა. ეს არ არის მთავარი!

არ დამეთანხმა გურამი.

მომეწონა მისი სიტყვები და დავინტერესდი, მინდა გავიგო, რაა ის მთავარი. თუმცა მაშინვე ეჭვმა გამკრა, ვიცოდი მთავარ სიხარულად რაც მიაჩნდა, მაგრამ მისი თქმა არ დასცალდა. პროფესორმა დაუძახა და ფეხის ათრევით წავიდა მისკენ.

შიში არ ვიცი რა არის. რომ დამჭირდეს, ღამით დაბურულ ტყეში შევალ და გულს შიში არ შემირხევს. შარშან ჭიორას სერზე მგელს შევეჩეხე და არ შემაშინა, მაგრამ ამ ბოლო დროს გურამთან მარტო რომ ვრჩები, მეშინია. მეშინია მისი ნაპერწკლებით სავსე თვალების. მეშინია მისი მოთაფლული ენის. ამ ენას შეუძლია მითხრას, მიყვარხარო, მაგრამ გული, გული, რომელიც უფსკრულივით ღრმაა და ბნელი!

ამ ფიქრში თავს ელო წამომადგა. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ, ჩუმად მითხრა:

— არ გაუშვა ხელიდან, მირონის ბიჭია.

— რას ამბობ, ელო, გაჩუმდი, არავინ გაიგონოს.

— ჰო, დამალე.

— არა, ელო, ამას ნუ მეუბნები.

— რატომ? შენს ადგილას რომ ვიყო, თვალს დავხუჭავდი და ჰაიდა... რას უწუნებ?

— თუ და ხარ, სხვა რამეზე მელაპარაკე.

— ეეხ, შენს ჭკუას! მთლად ხბო ხარ.

— კარგი, ელო, გაჩუმდი.

— მე გავჩუმდები, მაგრამ ის ბიჭი იწვის, გზაზე, მანქანით რომ მოვყავდი,

სულ შენს ქებაში იყო, მეც ცეცხლი შევუნთე, მთლად დავწვი.

— მე მაქებდა? რატომ? რას მიცნობს.

— გოგო, ბრმა ხომ არ არის იმხელა კაცი? შენ გნახა, შენი საქმე ნახა, შენი სახლი ნახა, მეტი რა გინდა? აქ ასი გოგო ტრიალებს, მაგრამ მარტო შენ გაგიხსნა გული.

— რა ვიცი, ელო, ჯერ არაფერი უთქვამს.

— ახლა მოდაში არ არის, ბიჭმა რომ გოგოს უთხრას, მიყვარხარო.

— აბა გოგომ უთხრას იქით?

— აჰ, ეს არ გამაგონო, მაგრამ უფრთხილდი, ქალაქელი ბიჭია, ნასწავლი, ნემსის ყუნწში გამძვრალი.

და დამარიგა, როგორ მოვიქცე. დიდხანს მიკითხა ლექცია. რას ნიშნავს გამოცდილება?

მიხეილს გულმა არ მოუთმინა, ჩვენი სოფლის დათვალიერება მოინდომა. მის მამა-პაპას აქ უცხოვრია, თვითონაც აქ, წაბლანის ხევში დაბადებულა. თითქმის ნახევარი საუკუნეა აქ არ ვყოფილვარო და მთხოვა, მამაშვილობას, გულიანად დამათვალიერებინე სოფელიო. დღეც დავთქვით, მაგრამ წვიმდა და ექსკურსია ჩაგვეშალა.

დათქმულ დროს რომ მივაკითხე, არ მცალიაო, ბოდიში მოიხადა. გასამტყუნარი არ არის. დღე ერთია და ბოსელში ხუთჯერ მაინც შევა: ბაგურ კვებაზე გადაყვანილ ძროხებს თავისი ხელით აჭმევს, არწყულებს, მერე კბილებს უსინჯავს, სისხლს უღებს და ლაბორატორიულად ამოწმებს. გუშინ ძროხები სასწორთან მირეკა და ყველა სათითაოდ ასწონა, მერე ათასნაირად გაზომა, ზოგს სიმაღლე გაუზომა, ზოგს — სიგრძე. არც ჩემი ხბოები დაივიწყა, ნემსები გაუკეთა, წამალი დაალევინა. დამიფრთხო ხბოები, იმისი შიშით მეც გამირბიან.

გურამი მისი მარჯვენა ხელია, მიხეილი უიმისოდ ერთ ნაბიჯს არ დგამს. ყველაფერზე „ბიჭს“ ასაქმებს, ხან სად გზავნის და ხან სად. ჩემს ნიშა „გოგოს“ დიდხანს სდია, ოფლში გაილვარა, შემეცოდა და მივეშველე. ღობესთან მივიმწყვდიეთ, უკანა ფეხზე რომ ხელი სტაცა შეიგინა და შერცხვა ჩემი. იმ ხბოს მიხეილი ერთი საათი სინჯავდა, სისხლი აუღო და რაღაც-რაღაცეები რვეულში ჩაიწერა.

პარასკევ დილას თვითონ მომაკითხა, მეც ეგ მინდოდა. გამოვედით ფერმიდან. საჭეს გურამი ეჯდა, მე და მიხეილი ძარაში შევედით. საჭეზე ხელებჩაჭიდებულ გურამს გაშლილი მხრები ლამაზად ერხეოდა, მზემოკიდებულ კისერს საყელოს ზემოთ თეთრი ზოლი გასდევდა. მანქანის რყევა თითქოს მისკენ მიბიძგებდა. სიმშვიდე და მოსვენება დამეკარგა, ვუყურებდი მის მძლავრ კისერს, მოკლედ შეკრეჭილ თმას, ვუყურებდი საჭის ზემოთ მინასთან მიმაგრებულ პატარა სარკეს, რომელშიც ხანდახან მისი ნაპერწკლებით სავსე თვალები გაიელვებდა, ვუყურებდი, ვუყურებდი...

## თავი მეოთხე

დიდი კაკლის ხე ნიშანსვეტივით დგას სოფლის თავში. სოფელსაც მისი სახელი ჰქვია, კაკლიანი. არცერთ სოფელში ამდენი კაკლის ხე არ მინახავს. ყველა მოსახლის ეზოში დგას თითო-ოროლა კაკლის ხე, მერე მისი დიდი ჭალაც გვაქვს და სათიბის ბოლოშიც ჩამწკრივებულია, მაგრამ სოფლის თავში რომ დგას, იმასთან ვერც ერთი ვერ მოვა. დიდია, ხუთი ვაჟკაცი ხელებს ვერ შემოაწვდენს. მის ტოტებში წვიმა ვერ ატანს.

გურამმა მანქანა გააჩერა, ჩამოვედით.

— ეს ხე სამასი წლის მაინც იქნება. ჩემი ბავშვობის შემდეგ არაფერი მომატებია, — თქვა მიხეილმა, — ალბათ, ზრდა გაათავა და ახლა, ჩემი არ იყოს, ცხოვრების თავდაღმართს მიჰყვება.

მიხეილმა ირგვლივ შემოუარა ხეს, ახედ-დახედა, რაღაცას ეძებდა, ბოლოს შუბლზე ხელი მიიჩრდილა და კენწეროებს მიაპყრო თვალი.

ამ დროს გურამმა, თითქოს დრო

იხელთაო, მკლავზე ხელი მტაცა. გავწითლდი, ხელი მაშინ გამიშვა, როცა მიხეილმა დაილაპარაკა:

— მთელი სოფლის ყვავი აქ აფარებდა თავს, ახლა ერთიც არ არის!

— ჯერ ადრეა. შემოდგომით მოდიან ხოლმე, ჩხავილითა და ყაყანით გვაწუხებენ! — ვუთხარი, მაგრამ მიხეილს არც კი გაუგონია, ოდნავ გადაიხარა ხისკენ და მის კორძიან ტანს ხელი გამოჰკრა.

— დავბერდით, ბიჭო, დავბერდით?!

გურამმა ეს რომ გაიგონა, თვალი ჩამიკრა და ჩუმად გავიღიმეთ.

მიხეილმა ერთხელ კიდევ მიუალერსა კაკლის ხეს და მერე სოფლისკენ გაემართა. კაკლიანის სიგრძე თითქმის ერთი კილომეტრია, სახლები შარაგზის ორივე მხარესაა ჩამწკრივებული.

— აქ, მგონი, სადღაც არჩეინოს ქოხი იდგა, მოიცა. მას ზედმეტ სახელსაც ეძახდნენ, ღმერთო გამახსენე. — და გვიან გაახსენდა, — კიწიწა... გაგიგონია?

— ვიცნობ, ჩვენი მეწისქვილეა, აი იმისი სახლი! — თითი გავიშვირე ორსართულიანი აგურის შენობისაკენ; ჩვენგან მოშორებით იდგა, ზედ გზის პირას.

— რას ამბობ, ის არჩეინოს სახლია? არა, არა, გეშლება.

— არჩეინო ჩვენს სოფელში ერთია, წამობრძანდით, ვნახოთ!

მიხეილმა ფეხს აუჩქარა.

— ის სახლი თუ არჩეინოსია, — გაოცებით თქვა მან, — მაშინ სასწაულიც დასაჯერებელია. არჩეინო ჩემი კბილაა, შვიდი წლის იყო მამა რომ გარდაეცვალა; წლისთავზე დედაც მიჰყვა, ბებიას ანაბარა დარჩა. მენახირე ბიჭი იყო, მთელი დღე მინდორ-მინდორ აძოვებდა სოფლის ხბორებს, საღამოთი გასიკნულები მოჰყავდა. მისმა ბებიამაც ჭირი წაიღო, მთლად მარტო დარჩა. მაშინ მგონი თხუთმეტისა თუ იქნებოდა. ნათესავები დატრიალდნენ, მორთეს, მოკაზმეს; გამაუბნელი მჭედლის ქალი შერთეს. მკვდარი მკვდარს აეკიდაო, სწორედ ისე იყო მათი საქმე... მაგრამ მე მაინც შევნატროდი მის ბედს. მაშინდელი ჩემი ფიქრი და სამდურავი ახლა, რომ მახსენდება, მეცინება. 1920 წლის შემოდგომაზე მშობლებმა ქალაქში გამისტუმრეს სწავლის გასაგრძელებლად. ჩემი ბარგი-ბარხანა ურემზე შეაგდეს, მეც ზედ მიმაყოლეს. დედამ ურემი და ჩემი თავი არჩეინოს ჩააბარა. აბა, შენ იცი, შვილო, ჭკუით მიიყვანე სადგურამდე, მატარებელში ჩასვი და მაშინვე გამობრუნდიო. მაშინ სოფლის იქით თუ ცხოვრება შეიძლებოდა, ვერც კი წარმომედგინა. ქალაქის მეშინოდა. იქ როგორ უნდა გავძლო-მეთქი. არჩეინო კოფოზე იჯდა და გრძელ სახრეს ჰაერში აშხუილებდა, თანაც მღეროდა. მე მის უკან ვიყავ მობუზული. უცებ მან სიმღერა შეწყვიტა და გადმომხედა. ჰე, ვინ უნდა იმღეროს და ვინ მღერის... მე რა? შენ უფრო უნდა იმღერო, ცოლი გყავს. არა, მიშა, — მითხრა მან, — ცოლს რომ მისი წონა ცომი უნდა, ის არა მაქვს. ჩემი სიმღერა განა სიმღერაა, ტირილია. ჩემი თავი ჯანაბას, მაგრამ იმ გოგოს ცოდო რად ავიკიდე? რა გული გაგტეხია, ბიჭო, იმუშავე, გავამხნევე მე. რა ვიმუშაო, აქ რა სახნავ-სათესი მაქვს, ან ხარ-კამეჩი სად მყავს, ცარიელ ხელის გულზე რა ყანა გაიხარებს, უპატრონო ვარ, ჭადის ნატეხში უნდა ამომხდეს სული. ერთი წლის თავზე ჩემი მშობლებიც გადმობარგდნენ ქალაქში. მას შემდეგ არჩეინო არ მინახავს, მაგრამ მისი მწარე სიტყვები როგორღაც გულში ჩამრჩენია თურმე. აქ რომ ჩამოვედი, უცებ გამახსენდა.

ლაპარაკ-ლაპარაკით არჩეინოს ჭიშკარს მივადექით. გამოგვეგება მისი ცოლი მარინე და უფროსი ქალიშვილი თეკლე. შინ შეგვიპატიჟეს. მალე თვითონ არჩეინოც მოვიდა. მისთვის წინასწარ ეთქვათ, სტუმარი რომ ეწვია. ძმებივით შეხვდნენ ერთმანეთს. პროფესორმა გულში ჩაიკრა. არჩეინოს ჯერ მორიდებულად ეჭირა თავი, მერე გაბედა:

— ხომ კარგი ფეხი მქონია, ტლუ ბი-

ჰი გაგაცილე და პროფესორი დაბრუნდი.

— მართალია, ჩემო არხეინო; მაგრამ დრო? რამდენი ხანია მას შემდეგ?

— დრო და ხანი კაცის ხელშია, — გათამამდა არხეინო, — როგორც უნდა ისე ატრიალებს.

— შენ კი კარგად დაგიტრიალებია. წამოდი მიჩვენე, რა გაქვს, რა გაკლია.

— ეეხ, მთავარი მაკლია, პროფესორო, მთავარი.

— რა მთავარი?

— გაჯეელების წამალი. თქვენ, პროფესორებმა ქვეყანა დააქციეთ. კაცო, ატომი რომ გამოიგონეთ და ხალხს ღუპავთ, იმას არ გერჩიათ გაახალგაზრდავების წამალი გამოგეგონათ, რომ ბებერსა და დავრდომილს ძალა მოეკრიფა და დიდხანს ეცხოვრა ამ ტიალ ქვეყანაზე?

მიხეილს გაეცინა, უკან გაჰყვა ლაპარაკისა და ხუმრობის ხასიათზე მოსულ არხეინოს. მე მისი სახლი და კარ-მიდამო ათასჯერ მქონდა ნანახი და სკამიდან არ ავმდგარვარ; გურამმაც ფეხი აითრია. ეს რომ არხეინომ შენიშნა, გვითხრა:

— თქვენ აქ დაისვენეთ, ახალგაზრდებო, ჩვენ, ბებრებს, ჩვენი საქმე გვაქვს.

არხეინოს ცოლმა და ქალიშვილმა სამზარეულოს მიაშურა. მე და გურამი მარტო დავრჩით გრძელ აივანზე. არხეინოს სამოსახლოდ მაღლობი შეურჩევია. ამიტომ მისი სახლი შორიდან მოჩანს. ყველაფერი, რასაც აივნიდან ვხედავ, თითქმის ჩემ თვალწინ არის აშენებული. აი, კლუბის ორსართულიანი შენობა, კოლმეურნეობის კანტორა, საშუალო სკოლა, სასახლესავით რომ ამართულა სოფლის შუა გულში, მისი ბაღი და ბაღჩა, მერე სტადიონი, მოდების ატელიე, აფთიაქი და ბოლოს საწყობები, საწყობები. ეს ყველაფერი თითით ვუჩვენე გურამს. მეგონა აინტერესებდა. გატაცებით ვუყვებოდი, რა გაწამაწიით ვაშენებდით სტადიონს, მაგრამ გურამი შენობებისკენ არც კი იცქირებოდა, ჩაციებით მიყურებდა, მიყურებდა და მიღიმოდა.

მინდოდა მეთქვა — გურამ, მე რას მომაჩერდი, სირცხვილია სოფელს გახედე-მეთქი, მაგრამ კიბეზე ფეხის ხმა გაისმა, მიხეილი და არხეინო ხელიხელგადახვეულები ამოდიოდნენ.

მიხეილს ყვრიმალის თავები დასწითლებოდა, თვალებიც რაღაც უცნაურად უბრიალებდა. გურამი წამოდგა და არხეინოს ჰკითხა:

— სად იყავით?

— მამული დაათვალიერა, ბოლოს მარანშიც შეიხედა.

— ღვინო რად დაალევინე, კაცო! — უსაყვედურა გურამმა.

— მარანი დაქცეული კი არა მაქვს, შვილო.

— აწყენს, ბიძია.

— ჩემი ღვინო კაცს არ აწყენს, — მოუჭრა არხეინომ და ქალებს გასძახა — გძინავთ?

— მობრძანდით!

თეკლემ გააღო სასტუმრო ოთახის კარი და გაშლილ სუფრაზე მიგვიპატიჟა. შემოვუსხედით სუფრას, სველი ხელადა გურამს წინ დაუდგა დიასახლისმა, გულში გამეცინა. არხეინომ ჭიქები შეავსო, მაგრამ მიხეილს სმის თავი აღარ ჰქონდა, ყუა მოიტეხა, პირისკენ წაიღო, უცებ თითქოს რაღაც მოაგონდაო, წამოდგა, პური ისევ მაგიდაზე დადო და ხელი კუთხისაკენ გაიშვირა, კუთხეში პიანინო იდგა.

— ეს რადა დუმს? რისი მაქნისია, დაუკარით!

მაგრამ დამკვრელი არავინ აღმოჩნდა.

— არ ვიცით! — ერთხმად წარმოთქვეს არხეინოს ცოლმა და შვილმა.

— შენ? — მიხეილი არხეინოს ჩაეკითხა.

— მე და პიანინო, ხა, ხა, ხა.

— მაშ რისთვის იყიდე?

— სახელისთვის, ვისზე რა ნაკლები ვარ? — ამაყად მიუგო არხეინომ და ჭიქა ასწია.

— გურამ, აბა, გურამ! — ხელი ხელს შემოჰკრა მიხეილმა.

— დაუკარი, დაუკარი! — მიაძახეს მასპინძლებმაც.

გურამი მსუბუქად წამოდგა, ტანის რხევით მივიდა პიანინოსთან, სკამზე ნელა დაეშვა და კლავიშებს ენა ამოაღებინა. უკრავდა გატაცებით, ლამაზად, მაგრამ ყველაზე ლამაზი თვითონ იყო, თმები ჩამოეშალა შუბლზე, თვალებზე, თავი მაღლა აიქნია, მაგრამ თმები მაინც ვერ დაიმორჩილა.

ხელი ჯიბისკენ წამივიდა, ჯიბეში სავარცხელი მქონდა, მომინდა შევხებოდი მის თმას და ლამაზად გადამევარცხნა. ვერ გავბედე.

დიდხანს, დიდხანს უკრავდა გურამი, მუსიკამ ყველას გული გაუხსნა.

მიხეილი სმის გუნებაზე დადგა. არ ვიცი რამდენი ღვინო დაილია. ლაპარაკით კი ბევრი ვილაპარაკეთ.

გურამი ფრთხილობდა. არხეინოს გადაუჩურჩულა, პროფესორს ღვინოს ნუ დააძალებთო.

კიდევ და კიდევ დაუკრა გურამმა, გაგვამხიარულა. დაკვრა რომ დაამთავრა, მიხეილთან მორიდებით მივიდა და უთხრა:

— მგონი კმარა, პროფესორო, ახლა გავიაროთ, სოფელში სანახავი კიდევ ბევრი გვაქვს.

— არსად არ მივდივარ. მე უკვე ვნახე სოფელი. ამაღამ აქ ვრჩები. მე და არხეინოს ბევრი სალაპარაკო გვაქვს, შენ კი შეგიძლია წახვიდე, მანქანას მიხედე, საქმეს მიხედე.

— კარგი, როგორც გნებავდეთ! — გურამმა სიტყვის შებრუნება ვერ გაბედა.

წამოდგა. მეც გავყევი.

— ვიცი, რისთვის დარჩა პროფესორი, — მითხრა გურამმა გზაზე, — სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონს ადგენს, სიტყვებს დაეძებს. არხეინო ჭკვიანი მოხუცი ჩანს. ბევრი რამ ეცოდინება.

ჩვენი წასვლის შემდეგ მიხეილს ერთი ბოთლი ღვინო, პური და ყველი გაზეთში შეუხვევია და თავის ნასახლარისკენ წასულა. უკან დაფეთებული არხეინო გაჰყოლია, ბუხრის ნანგრევებზე ჩამომჯდარან და ის ღვინო იქ დაულევიათ.

— ეეხ, დააშავე, მიხეილ, ჩემო, აქ ფუძე როგორ მოშალე. კაცი სოფლით ცხოვრობს.

— მართალი ხარ, არხეინო, მართალი! — პროფესორს გული აჩუყებია.

არხეინოს სულ დაეთუთქა გული თურმე. მან ეს ამბავი კოლას უთხრა, იმან კიდევ მთელ ფერმას მოსდო.

ფუძეს და კერას თავისი მადლი და მირონი აქვს.

## თავი მეხუთე

დარდს დარდი დაემატა. დილით სახბორე გავაღე, ეზოში კუნტრუშ-კუნტრუშით გამოერთნენ ხბორები, ზურგათ ძილას წამოდგომის თავი აღარ ჰქონდა, ფეხები უშნოდ გაეფარჩხა და კანკალებდა. ჩამოყრილი ყურები დავუსრისე, მაგრამ თავი მაინც ვერ ასწია. გული გადამიქანდა, ერთი ბოთლი რძე ძალით ჩავასხი პირში, მერე პროფესორს შევჩივლე ჩემი გაჭირვება. ის რაღაცას წერდა, თავი ოდნავ ასწია.

— გურამს უთხარი, ნახოს, მერე მეც მოვალ.

გურამი მაშინვე წამომყვა. საბრალო ძილა მთლად მიკნავებული დაგვხვდა. სიცხე გაუზომა, წამალი დაალევინა და ნემსიც გაუკეთა. აბრეშუმივით თივა დავუფინე და კუთხეში დავაწვინე.

— მორჩება?

— რა ვიცი! — თავი გაიქნია გურამმა.

— როგორ თუ არ იცი, უნდა მორჩეს. ხბო არასოდეს არ მომკვდომია. ეს რომ მოკვდეს, მერე მორჩა, სიკვდილმა შემოჩვევა იცის. მაინც რა ავადმყოფობა აქვს, გადამდებია?

— ვერაფერს გეტყვი, პროფესორმა ნახოს.

მიხეილიც მოვიდა. იმანაც გასინჯა და მითხრა, კუჭი გაუწმინდეო. სისხლიც აუღო. გავაწამე საბრალო ძილა. ის ძალიან სუსტი და უმწეო დაიბადა, აქამდე სული ძლივს მოვატანინე. თითქმის

ყოველთვის ეძინა და ძილაც იმიტომ შევარქვი. პროფესორმა გურამს დაუბარა, ერთ საათში კიდევ გაუკეთე ნემსიო, თვითონ სისხლით სავსე სინჯარა თავის საველე ლაბორატორიაში წაიღო.

პროფესორი პროფესორია, მაგრამ ფერმას თავისი ექიმი ჰყავს, ლადო ხინთიბიძე. ლადოა ჩვენი პირუტყვის მკურნალი და პატრონი. საცა სამართალია, პირველად იმასთან უნდა მივსულიყავი. ახლა მაინც გამოვასწორებ ამ შეცდომას-მეთქი. ისიც იქვე ცხოვრობს, ბაღის ბოლოს, ხევში. ლადო შინ დამიხვდა, მაგრამ ამ ქვეყნისკენ პირი არ ჰქონდა. ცოლმა ბევრი ანჯღრია, წყევლა, ეჩხუბა, ლადოს მაინც არხეინად ეძინა. გაღმა სოფელში ყოფილა სიმამრიშვილის ქორწილში და გათენებისას მოუყვანიათ.

დავხედე ლადოს და ვიფიქრე, ამან რა უნდა მიშველოს-მეთქი. ლადოს იმედი მაინც არ მქონდა, მისი უებარი წამალია აქტი, პირუტყვი კი არა, კაცი კვდებაო, იტყვის, და ისეთ აქტს შეადგენს, წყალი არ გაუვა. ისევ მივაშურე ძილას; საბრალო, თივაზე იწვა და ფართოდ გახელილი თვალები შავად უპრიალებდა.

გურამი ონკანთან მორზე იჯდა, მელოდებოდა.

— რა ჰქენი, მოვა შენი ექიმი?

— მოვა, ამ წუთას მოვა.

ვიცრუე, ვერ გავიმეტე შინაური კაცი.

გვიან გამოჩნდა ლადო, ახალთახალი ტანისამოსი ეცვა, პეწიანად მოვიდა. სულ არ ეტყობოდა ნაღვინევობა, გამოძინებული და მშვიდი სახე ჰქონდა. გურამს ძველი ნაცნობივით ხელი ჩამოართვა, მერე ხბოს დახედა და მისაყვედურა:

— საავადმყოფოში გადაგეყვანა, აქ რა მაგის ადგილია.

რა უნდა მეპასუხნა? ცუდი სახელი აქვს საავადმყოფოს. იქ მოხვედრილი პირუტყვი მორჩენილი არ მინახავს. საავადმყოფო ფერმების ბოლოს გარიყულივით დგას. ერთი დიდი მზიანი ოთახი, ერთიც — ლადოს კაბინეტი. კაცი ახლოს ვერ მიეკარება, წამლების სუნი ცხვირს ბურღავს.

— მართალი ხართ, — უთხრა გურამმა ლადოს, — საავადმყოფოში უნდა გადაგვეყვანა.

— არა, გურამ, იქ არ მინდა, ჩემი ავადმყოფი ჩემთან იყოს, აქ თუ საშიშია, ჩემს ოთახში გადავიყვან, ერთი ციცქნაა, საავადმყოფოსი ჯერ რა გაეგება!

ვიცოდი, ლადო არ დამითმობდა. ამიტომ, ის და გურამი რომ ლაპარაკობდნენ, მე დრო ვიხელთე, ძილა ხელში ავიტაცე და ჩემი ოთახისკენ გავარბენინე. საბრალო, კუთხეში რომ მივაწვინე, ფეხზე წამობანცალდა და დაიზმუვლა.

ლადო ფეხდაფეხ შემომყვა და „დამამშვიდა“.

— ნუ გეშინია, ამისი სიკვდილი სახელს არ გაგიფუჭებს. — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გურამი შემოვიდა და ლაპარაკი შეწყვიტა.

კიდევ გაუკეთეს ძილას ნემსი, წამალიც დაალევინეს. ლადომ საათზე დაიხედა და რაიკომში თათბირზე გაეშურა.

გურამმა თვალი გააყოლა მიმავალ ლადოს და იმ თვალით უთხრა: „წადი, წადი, ჩვენ უშენოდაც გავძლებთო“, მერე ჩემკენ მობრუნდა. ალბათ, ძალიან დარდიანი სახე მქონდა და მიტომაც მითხრა:

— ადექი, ლია, საქმეს მიხედე, შინაც გაიარე, დედა ნახე. შენი ავადმყოფისა ნუ გეშინია, სიკვდილს არ დავანებებ. გავივლი ლაბორატორიაში, ვნახავ, სისხლმა რა უჩვენა.

გურამმა იცის, როგორ აუწ-დაუწიოს ხმას, როგორ გამოთქვას სიტყვა, დაკვირვებული ბიჭია, სიტყვას გრძნობით აცოცხლებს, იტყვის და დაგაჯერებს კიდეც. მისმა სიტყვამ იმედი მომცა, ხბოს თავშალი გადავაფარე და ოთახიდან გამოვედი, გურამიც გამომყვა.

სახბორეში ათასი საქმე მქონდა. მუშაობაში გავერთე. შუადღე იყო, როცა ძილას დასახედავად გავეშურე. ოთახში გურამი დამიხვდა. ვერ იყო გუნებაზე.

— პროფესორმა რა გითხრა?

— არაფერი, სასწრაფოდ გამოიძახეს თბილისში. დამიბარა, ხბო არ მოკლაო... უარესად არის!

— ამდენ შემოწმება-შემოწმებაში ამ უბედურს სული ამოხდება.

— არა, არა, ნუ გეშინია, ლია... შენ წადი შინ. ამას მე მოვუვლი, ხომ მენდობი?

— გენდობი, როგორ არა! (კინაღამ წამომცდა, ამ დამთხვეულ ხბოს კი არა, სულს გენდობი-მეთქი).

— მაშ წადი, აბა, წადი შინ, დედასთან. ვინ იცის, რა უჭირს მოხუცს.

რა მზრუნველი კაცი ყოფილა გურამი. მის მრავალ ღირსებას ესეც დაემატა. დავუჯერე და შინ წავედი. წავედი, მაგრამ გზაზე ფიქრი ლანდივით გამომყვა. რატომ მომიშორა? რატომ მითხრა შინ წადიო? იქნებ დედა ცუდად არის, მან გაიგო ეს და დამიმალა? დიდხანს, დიდხანს მწიწკნიდა ეს ფიქრი. კი არ მივდიოდი, მივბორიალობდი გაბრუებული. ბოლოს ვიღაცამ ყურში ჩამძახა: „დედაშენი რომ ცუდად იყოს, გურამი მარტოს გამოგიშვებდა?" ეს ვიღაცის ხმა კი არა, მე ვუთხარი ჩემს თავს. ვუთხარი და მეწყინა კიდეც. რატომ, რატომ ვიფიქრე, რომ გურამი მარტოს გამომიშვებდა.

დედა კარგად იყო. ის ღამეც კარგად გავატარე დედასთან. ჩემი მომავალი ცხოვრება ორივემ ათასჯერ აეწონ-ავწონეთ და გვიან ჩავწექით. ძილში უცნაური სიზმარი ვნახე — ყველაფერს ვერ დავწერ, მაგრამ, იმას კი ვიტყვი; ჩემს მკლავზე გურამს მშვიდად ეძინა. ძილიც ლამაზი სცოდნია, თვალები ვერ მოვწყვიტე.

ასე დამათენდა, მაგრამ დილამ ცხადი და სიზმარი ორივე ერთად ჩამაშხამა. ფერმაში ძილა გაცივებული დამხვდა.

ჩემზე უფრო გურამი იყო შეწუხებული, თავი მგლოვიარესავით ჩაეღუნა. განა ვერ შევატყვე? ჩემი რცხვენოდა და თვალებსაც იმიტომ მარიდებდა. მხრებჩამოყრილი გურამი რომ წავიდა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, კოლა მოვიდა. მკვდარი საჩქაროდ დარაჯს გაატანა, ტყეში ღრმად ჩამარხეო, მერე ტუჩზე სალოკი თითი მიიდო და გამაფრთხილა.

— არაფერი წამოგცდეს. მოკვდა, მოკვდა. ადამიანი ხომ არ არის, ქვეყანას შეატყობინო. შენ ისევ ოცი ხბო გყავს, გესმის?

პასუხს არ დაუცადა, მოახტა ცხენს და გაქუსლა. კარგად რომ შებინდდა, ფერმაში ყველა და ყველაფერი რომ მილაგ-მოლაგდა, ჩემი ოთახის კართან ვიღაცამ მოაკაკუნა. უცებ გურამი მეგონა და გამიხარდა.

— შემობრძანდით! — გავძახე.

კარი ოდნავ გაიღო, ჯერ ნიშა ხბო შემობაკუნდა მერე კოლა შემოჰყვა.

— აჰა, მკვდარი გაცოცხლდა!

წამოვვარდი.

— კი, მაგრამ როგორ?!

— სუ-უ.

გაისისინა კოლამ, არ დამიცადა, მოახტა ცხენს და ღამეში ჩაინთქა.

ხბო კარგი იყო, ჯიშიანი, გაოცებულმა შემომხედა. საქმე ამით არ დამთავრებულა. მოყვანილი ხბო მოშივებული აღმოჩნდა, ძლივს გავძღე. მერე გულმა არ მომითმინა და კოლასთან მივედი. მარტოდ იჯდა ოთახში, თავი გაზეთში ჩაერგო.

— რას შვრება შენი ახალი შვილობილი? — მკითხა მან.

— რაც საქნელი იყო, გააკეთა, რიგიანად გამოძღა, მაგრამ მე რა გავაკეთო, არ ვიცი.

— არ იცი? შენც ხბო ხარ. ახლა ადექი, მოსდევი ქვეყანას. კრინტი არ დაძრა. ფერმის სახელს გაუფრთხილდი. ხომ უნდა მყავდეს ერთი მოწინავე მეხბორე მაინც. გუშინ რაიკომის მდივანმა გაქო. იმ უბედურ ხბოს ფერმის სახელსაც ხომ სამარეში არ ჩავატან. კიდევ დიდხანს მელაპარაკა კოლა, მაგრამ მაინც ვერ დამაჯერა თავის სიმართლეში.

— არა, არა, კოლა. თუ ამხელა ფერმის სახელი იმ კუდრაჭა ხბოზე იყო დამოკიდებული, მაშინ თვით სახელს რა ფასი ჰქონია?

— სუ-უ.

არ მომეწონა კოლას გამაფრთხილებელი სისინი. არც ის მომეწონა, კოლამ ბავშვივით რომ დამითათუნა მხარზე ხელი და წავიდა. ეშმაკად ენა ველარ დავძარი. ის რა იყო, კოლამ ხელი პირზე დამაფარა, არსად არაფერი თქვა, ჭირი დამალეო. ჭირი თავს დაიმალავს?

ამ ფიქრში გურამი თავს წამომადგა. ნატვრა ამისრულდა. მინდოდა ვინმესთვის დარდი გამენდო, რჩევა მეკითხა. ორი თავი მაინც სხვა არის. გურამი ვინატრე და კიდევაც გამომეცხადა.

— გურამ, კარგ დროს მოხვედი.

— როცა შენთანა ვარ, ჩემთვის ყოველთვის კარგი დროა.

გურამი ჩემ გვერდით, ახლოს, სულ ახლოს დაჯდა მერხზე. მისი მხარი ჩემს მხარს შეეხო. გავიჩოჩე, იმანაც გამოიჩოჩა. გამეცინა. დიდი ხანია ვფიქრობ, ვკითხო გურამს, მაინც რა მოეწონა ჩემი. თავისი ანგი-მანგი ქალაქში ველარ ნახა? ნუთუ მართლა არ შეუძლია უჩემოდ ყოფნა?

გუშინწინ გამომიტყდა, უშენოდ ყოფნა არ შემიძლიაო.

არ დავუჯერო? განა ჰარი-ჰარად მითხრა? გულიც თან ამოაყოლა. ჰო, რა ლამაზად აეშალა სახე, როცა ამას მეუბნებოდა. მე მჯერა, მჯერა, მაგრამ ხანდახან, როცა ფიქრი წამიღებს, ვილაც უხილავი, ვილაც უჩინარი ამ რწმენას შემირყევს. აი, მაშინ რომ შემხვდეს, შევეკითხები, მაინც რა მოგეწონა ჩემი-მეთქი. მაგრამ ის ყოველთვის მაშინ მხვდება, როცა ეჭვის ელდა გადასულია და ის ვილაც უხილავი არ მიჩუჩხურებს.

მე ისიც მომწონს, გურამი ენაჭარტალა კაცი რომ არ არის. ყოველთვის უჭირს ლაპარაკის დაწყება... აი, ახლაც დაჯდა ჩემ გვერდით და ხმას არ იღებს, ღელავს. განა ვერ ვატყობ, გული როგორ უცემს?

— არაფერი მითხრა იმ ხბოზე, — თითქოს მიმიხვდაო ისე დაიწყო მან, — არც საქმეზე ვილაპარაკოთ, არც მუშაობაზე. ხომ შეიძლება ჩვენ, ახალგაზრდებმა, წუთით დავივიწყოთ ყველაფერი. დავივიწყოთ, დავივიწყოთ, რომ შენ ხბორების გამზრდელი ხარ და მე მათი ექიმი. თუმცა ცუდი ექიმი, ხომ ასეა? შენ ხომ ასე ფიქრობ?

— არა, არა, გურამ.

— მაჯობა სიკვდილმა, — მწარედ ამოთქვა მან, — სიკვდილი ადამიანს რომ არ სჯობნიდეს...

— სუ-უ, გაჩუმდი, გურამ! — ტანზე ბუსუსი ამეშალა. მას შემდეგ, რაც მამამ ჩემს მკლავზე თვალი დახუჭა, სიკვდილის გახსენება მზარავს.

გურამმა სათქმელი უკანვე ჩაიბრუნა. დიდხანს ვიყავით გაჩუმებულნი. ამ სიჩუმეში არ ვიცი, მან რა მოიფიქრა. უცებ წამოიმართა, ღონიერი მკლავები გაშალა და მარყუჟივით შემომაჭდო.

— გურამ, რას შვრები, გურამ...

ჩემი სიტყვები მხოლოდ მე გავიგონე.

გურამი წასვლას არ აპირებდა. დღე კი ილეოდა. სათიბიდან მომავალი გოგოების ტკარცალი მომესმა. შემრცხვა.

— გურამ, წადი, წადი! — უნდა მეთქვა, მაგრამ ენა არ მომიბრუნდა. სად უნდა წასულიყო? სად გამეშვა? ავწრიალდი.

მიმიხვდა. წავიდა.

ის იყო გოგოებიც ეზოში შემოვიდნენ.

ვხედავ, ფანჯარაში ელომ თავი შემოყო.

— ზოგი ჭირი მარგებელია! — ღიმილთან ერთად სუნამოს სურნელიც შემოაფრქვია ოთახში. მე ეჭვმა გამკრა და უცებ შევეკითხე:

— რატომ მეუბნები ამას?

— ვითომ არ იცი.

ენა ველარ დავძარი, თავი გავაქნიე, არ ვიცი-მეთქი.

— ვითომ? — ეშმაკურად ჩაიცინა ელომ, ის კუდა ხბო შენს ბედზე გახდა ავად. გურამმა მიზეზი იშოვა და დღე და ღამე შენთან არის, როცა თივა და ცეცხლი ერთად არის ხანძარს წინ რა უდგას?

სიყვარული.

სიძულვილი.

სიცოცხლე.

სიხარული.

ელოს პირზე აკერია, შეუძლია დაუსრულებლად ილაპარაკოს. ჩვენ, ფერმის გოგოებს გვიყვარს მისი ლაპარაკი, ხან შიშით ვუსმენთ, ხან — გატაცებით.

ახლა ელომ უფრო ღრმად არ შეტოპოს-მეთქი, და წამოვდექი.

წვიმის შემდეგ მზეს ძალა მოეკრიფა და ხუხავდა ყველაფერს, გარეთ დაგუბებული სიცხე თონის ალივით მეცა, მაგრამ გულში უფრო მეტი ცეცხლი დამიტრიალდა, როცა ელომ დარდიანად მითხრა:

— ბიჭები მალე წავლენ, იცი?

— ვიცი.

— მებრალები, გოგო. მწარეა განშორება. ცხოვრება კაცს არ ანებივრებს. პატარა სიხარული და მაშინვე — დიდი დარდი. რას იზამ? მაინც რა გითხრა? იმედი მოგცა?

— რა ვიცი.

— არ იცი? თქმა თუ არ გინდა, ნურაფერს მეტყვი, მაგრამ ის კი უნდა იცოდე, როგორ წარიმართება შენი ბედი. არ მოგატყუოს, თავი არ დააჩაგვრინო. ხომ იცი თავდაჭერის ფასი და ძალა. მეტს არაფერს გეტყვი. მეჩქარება! — და წავიდა. გულში კი ეჭვის შხამი ჩამაწვეთა. „არ მოგატყუოს. თავი არ დააჩაგვრინო." რად დასჭირდა ეს სიტყვები? ალბათ შეატყო, შეატყო... ელოს დაგეშილი თვალი და გუმანი აქვს, და შეატყო...

## თავი მეექვსე

კვირას სტუდენტებმა თავიანთი ბარგი-ბარხანა შეკრეს. ისევ მოგრიალდა ის საბარგო მანქანა. სუფრა. სადღეგრძელოები. გამომშვიდობება. ელოსთან ცეკვაში სამი სტუდენტი დაიღალა, თვითონ მაინც ჩიტივით დაფრინავდა წრეში. სიხარული სიცილ-კისკისი.

მე კი — ცრემლი. გურამის წასვლამ გული ჩამწყვიტა.

გავიდა ერთი თვე.

გავიდა ორი თვე.

გავიდა სამი თვე.

ხმა, კრინტი. მე გული ყელში მებჯინება. ბოღმა მაღრჩობს.

ელომ იცის ჩემი ელდა, ცოდვით იწვის. სადმე უნებურად რომ შემეფეთება, ბავშვივით მეფერება. იმის სახელს არ მიხსენებს ამ სიამტკბილობაში გული უდუღდება, თვალები ცრემლით აევსება. ტირის ელო, ტირის და ყოველთვის ერთსა და იმავეს მეუბნება: „გოგო, წასულიყავი ერთი, გაგეგო მაინც მკვდარია თუ ცოცხალი".

განა მე არ მინდა წასვლა, მაგრამ რაღაც მაჩერებს. ის რაღაც ჩემს გულშია ჩაბუდებული. გურამისკენ გავიწევი თუ არა, მაშინვე თავს წამოყოფს და მეკითხება: „სად მიდიხარ, იქით ეხვეწები? თავს იმცირებ?" დიდი ძალა აქვს ამ სიტყვებს.

ფერმაში შუადღისას „მოსკვიჩი" შემოსრიალდა. მანქანა გაჩერდა, კაბინიდან თმაჭოჭორა ახალგაზრდა გამოვიდა. ერთი შეხედვით გურამს მივამსგავსე, მაგრამ დაბალი იყო. დარაჯმა სტუმარი მე მომიყვანა, ოთახში შევიპატიჟე. ხელში ყვითელი პორტფელი ეჭირა, მხარზე ფოტოაპარატი ჰქონდა გადაკიდებული. კორესპონდენტი ვარო, გამეცნო და სკამზე ჩამოჯდა.

— მდა... ეს თქვენი კაბინეტია? — მკითხა მან. შევატყვე ხუმრობდა.

— კაბინეტი მე სახბორეში მაქვს.

— მაშ იქ წავიდეთ, სურათსაც გადავიღებ, მაგრამ არა, ჯერ ცნობები მინდა. კანტორაში ფერმის გამგე შემხვდა, ძალიან გაქოთ, მაგრამ არ ჩამიწერია, ყველაფერს ადგილზე ვნახავ-მეთქი.

მომაყარა კითხვები. მოეწონა ჩემი პასუხები. წერა, ბევრი წერა. რა არ მკითხა, ნახევარი ბლოკნოტი გადაავსო.

ბოლოს, წერით რომ დაიღალა, მთავარი მკითხა:

— შენი ფერმის გამგე ამაყობს, არც ერთი ხბო არ მომკვდარაო, იქნებ მითხრათ, რითი შეაშინეთ სიკვდილი, ახლოს რომ არ ეკარება ხბორებს.

შევულოცეთ-მეთქი, ვითომ ვიხუმრე, მაგრამ ამ ხუმრობას თავისი ნაღველი ჰქონდა. უცებ ფიქრი და დარდი ამეშა-

ლა. „სუ-უ," ახლა უფრო მძლავრად ჩამესმა ყურში კოლას სისინი. ჭირი დამალეო, რომ მითხრა, მაგრამ ჭირი თავს რომ არ დაიმალავს?

კორესპონდენტს ავტოკალამი მომარჯვებული ჰქონდა, ჩემს პასუხს ელოდებოდა.

ტყუილი მეთქვა?

არა!

არა!

მე ამის ქალი არა ვარ.

— სიკვდილი ჯერჯერობით ვერ შევაშინეთ, სწორედ ამ ოთხი თვის წინათ მომიკვდა ხბო, ზოოვეტინსტიტუტის პროფესორ-სტუდენტებიც ჩემთან იყვნენ, ვერაფერი ვუშველეთ!

— რას ამბობთ?! აკი ფერმის გამგემ თქვა, არც ერთი ხბო არ დაცემულაო.

— იმან რა გითხრათ, არ ვიცი. მე კი სიმართლეს ვამბობ.

ცივი სიჩუმე ჩამოვარდა.

კორესპონდენტს წერის მადა დაეკარგა. ბლოკნოტში კალამი უგულოდ გაუსვ-გამოუსვა და მერე მწველავები მოიკითხა.

მივუყვანე ელოს. ოთახში რომ დავბრუნდი, ახალი ფიქრი ამეშალა, მოდი და გაუძელი კოლას.

* *
*

საახალწლოდ დედას შეტევები თითქმის შეუწყდა; თავი კარგად რომ იგრძნო, მაშინვე ამიხირდა, აქ არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, წადი თბილისში, დაუსწრებელზე მაინც ჩააბარეო. მე უარზე ვიყავი, თბილისის ხსენებაც აღარ მინდოდა, მაგრამ დედამ ხან ჩხუბით, ხან მუდარით, მაინც თავისი გაიტანა.

ორი ჩემოდანი ხორაგით გამივსო, ხელკასრი ღვინით, და თბილისში დეიდასთან გამომისტუმრა, თან ბევრი დარიგება და უფრო მეტი ცრემლი გამომაყოლა.

დედას არც ელო ჩამორჩა. ელომ ვაგონში ჩემი მძიმე ჩემოდნები სკამქვეშ შეალაგა, მერე გადამეხვია და ჩურჩულით მითხრა:

— გურამი რომ შეგხვდეს, თვალი არ უჩვენო, ღირსი არ არის.

ამ სიტყვებზე ცრემლები წასკდა, ძლივს დავამშვიდე.

ჩვილი გული აქვს.

— მაშ, ნახვამდის, გესმის რა გითხარი?

— მესმის!

მატარებელი დაიძრა. ელო თავის ვარდისფერ ცხვირსახოცს დიდხანს მიქნევდა, ქეთოც აფრიალებდა ჭრელ თავსაბურს, მაგრამ მე ყველაზე კარგად ვხედავდი დედის ხმელ ხელს, ძარღვებით დასერილს, დარდიანად რომ ქანაობდა ყველაზე მაღლა და ყველაზე თბილად.

ვაგონში დაუჯერებელი ამბავი დატრიალდა. საიდან სადაო თავს კოლა წამომადგა. ცოტა დაფეთებული იყო. გვერდით მომიჯდა.

დამცეცხლა. ალბათ, იმ კორესპონდენტმა მტვერი აუყენა-მეთქი, და ახლა გაცოფებული აქ მომვარდა. კარგს არაფერს მოველოდი მისგან. ჯერ მთვრალი მეგონა, მაგრამ მთვრალი არ იყო და უფრო დავიბენი.

ნუთუ ის უბედური ძილა არ მასვენებს? მოველოდი. აი ახლა, აი ახლა იმ კორესპონდენტს ახსენებდა. რამდენიმე წუთმა გაიარა. კოლა ხმას არ იღებდა. ვგრძნობდი მისი გულის მოხშირებულ ცემას. ვგრძნობდი მის ხმამაღალ სუნთქვას, ვგრძნობდი შიშს, მაგრამ არა, არ მეშინოდა, ყურში კი ისევ კოლას სისინი მესმოდა: სუ-უ...

დუმილმა გული უფრო გადამიქანა, ვერ მოვითმინე და ვკითხე:

— აქ რამ მოგიყვანა?

— სადაც შენ, მეც იქა.

მძიმედ ამოთქვა. ნეტავი სულაც არ ამომეღო ხმა. ეს რა გავიგონე.

— როგორ, რას ამბობ, კაცო?!

— რა ვიცი, რას ვამბობ. გეწყინა? ძლივს მოვუსწარი მატარებელს. გამაგიჟეს გოგოებმა, ლია აწი სოფლისკენ არც მოიხედავსო. დასწრებულზე შედისო.

მართალია? თუ შენ არ მეყოლები სოფელში, მე იქ რა მინდა?

— კაცო, მთვრალი ხარ?

— მთვრალი ვარ, ლია, მთვრალი.

— სად მიდიხარ?

— თბილისში.

— კი მაგრამ ისეთი რა სასწრაფო საქმე გამოგიტყვრა?

— შენა ხარ ჩემი საქმეც და დარდიც. მართლა ტოვებ სოფელს?

— ვტოვებ. ახლა?

— მეც შენთან მოვდივარ. ვნახავ, როგორ მოეწყობი. უპატრონოდ ხომ არ გაგიშვებ.

— რას ამბობ, კოლა, თავი ასწიე, აბა, შემომხედე?

თავი მძიმედ ასწია, შემომხედა, მაგრამ ის ზვიადი კოლა არ იყო, სახეზე მორიდება და შაქარი ადნებოდა.

— როდის იყავი ჩემი პატრონი. რაებს მეუბნები?

— რაც გულში მიდევს იმას გეუბნები. მე უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია, გესმის?

— არა, არ მესმის.

მივუგე და თვალწინ უცებ გურამი წარმომიდგა. ისიც ხომ ასე მეფიცებოდა. ოხ, ეს მამაკაცები!.. სიყვარული ენაზე აკერიათ, განა გულში უდევთ? ბოღმა ყელში მომებჯინა. წამოვდექი. ერთი გაწევა ფანჯრისკენ გავიწიე, მინდოდა გადახტომა, მინდოდა გავცლოდი კოლას.

მატარებელი მიქროდა. ჩემი ვაგონი აკვანივით ირწეოდა. ფანჯრის იქით მინდვრები, ხეები თუ სახლები, ყველაფერი, ყველაფერი გარბი-გამორბოდა.

მეც მინდოდა გაქცევა.

სიკვდილს მოველოდი და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო, კოლა თუ მეტყოდა, ამას არ მოველოდი. წლების განმავლობაში ხმა არ ამოუღია. არც თბილად შემოუხედავს, არც... არც...

ახლა რამ ააფეთქა?

ფანჯრის რაფას გადავეყუდე, იქ ქარმა არ მომასვენა, თმებში ხელი ჩამავლო, ამიჩეჩ-დამიჩეჩა.

მაგრამ ამისი თავი მაქვს? უკან ოდნავ მივიხედე თუ არა, კოლას ჩაფერფლილი თვალები შემეფეთა და ისევ ქარისკენ ვიბრუნე პირი.

მატარებელი მიგელავს. კუპეში სიჩუმეა. ჩემ წინ, საწოლზე, ვიღაც დედაბერს არხეინად სძინავს; დროდადრო მისი ხვრინვა შეარხევს სიჩუმეს.

როგორ მინდა, კოლა ადგეს და წავიდეს!

— ფანჯარას ნუ გადაეყუდე, გაცივდები.

გამაფრთხილა. არ მომეწონა მისი მზრუნველი კილო. ფერმაში კოლას ყვირილი, ჩხუბი და დავიდარაბა თავს გვაბეზრებდა.

— ლია, დაჯექი. კიდევ მინდა რაღაც გითხრა.

— ნურაფერს მეტყვი, თუ ღმერთი გწამს.

— მოდი, დაჯექი.

— არ მინდა დაჯდომა.

მაშინ კოლა წამოდგა და ჩემ გვერდით დადგა. ახლა შევნიშნე, ახალთახალ კოსტუმში რომ გამოწკეპილა. წვერ-ულვაში წმინდად მოუპარსავს, კეპი გვერდზე მოუგდია, ყვითელი პეწიანი ტუფლები ჩაუცვამს. ასე გამოპრანჭულს პირველად ვხედავ.

— ლია, რა ვქნა? რას მეუბნები?

— რა გითხრა, აქ რა მაგეების ადგილია! სოფელში დრო არ გქონდა?

— დროც მქონდა და გულიც, მაგრამ ვერ გითხარი. ახლა გამიმხილეს გოგოებმა, გურამ ლომიძესთან მიდისო. მართალია?

— გურამ ლომიძესთან რა მინდა? მე სასწავლებელში მივდივარ.

— გურამ ლომიძესთან რა მინდაო, ამას ნუ ამბობ, მე ბრმა კი არა ვარ.

მაშ, ყველაფერი იცის... გულში თუ ასეთი ცეცხლი უტრიალებდა, რატომ მაშინ არ მითხრა რამე, როცა გურამი ნათელივით თავს მადგა ფერმაში? რას ელოდებოდა?

— შენ და გურამი ერთად რომ დადიოდით, მე ვგიჟდებოდი, მაგრამ ვითმენდი, — მძიმედ ამოთქვა მან, — მე უფრო ჭკვიანი მეგონე. არა, შენ ჭკვიანი

ქალიშვილი ხარ, მაგრამ ერთი შეცდომა ვის არ მოუვა.

რა შეცდომა-მეთქი, წამომცდა, მერე კი ვინანე.

— გურამს რომ დაუჯერე, ეს შეცდომა არ არის? ქალაქელ სტუდენტს, ქვეყანა რომ გადაძოვილი აქვს? რა მოხდა? ჩამობრძანდა სოფელში პრაქტიკაზე და შეგიყვარა?

ამ სიტყვებს სიცილი რომ მოაყოლა, სწორედ იმ სიცილმა სულში შხამი ჩამიწვეთა. ახლა გავიგე, რომ სიცილსაც თავისი შხამი ჰქონია.

— გაჩუმდი. სირცხვილია! — მეტი რა მეთქვა?

— სირცხვილი გურამმა რომ მოგატყუა, ის არის. მე კი მართალს გეუბნები, რატომ არ გჯერა ჩემი სიმართლე? შენ ხომ სიმართლის გოგო ხარ.

გურამი რომ აუგად ახსენა, ველარ მოვითმინე.

— გურამს თავი დაანებე, გესმის?

— მესმის. შენ არ უნდა ახსენო, როცა ის არ გახსენებს. დაგივიწყა, ერთი წერილიც არ მოგწერა.

რა მექნა, მეჩხუბა? აქ ჩხუბი და სიკაპასე კარგს არაფერს მომიტანდა. ისევ ტკბილი სიტყვა და დაყვავება ვამჯობინე და პირველად ჩემს ცხოვრებაში ვითვალთმაქცე.

— კოლა, რადგან ასეა, იცი, რა გითხრა?

— მითხარი.

— გამოცდებს ჩავაბარებ და მოვბრუნდები, მაშინ მოვილაპარაკოთ. ასე აჯობებს, რას იტყვი?

რა ვთქვაო, თვალებით ამწონ-დამწონა, მართალს თუ მეუბნებაო. თბილისამდე მაინც მიმაცილა.

ჩემი ბარგი-ბარხანა ვაგონიდან ჩაიტანა და ტაქსით დეიდას ბინას მიმაყენა. ალაყაფის კართან გამომეშვიდობა და თავის გზას გაუდგა.

დეიდა უფრო იმიტომ მიყვარს, რომ დედაჩემს ძალიან ჰგავს. მისი შავი, დარდიანი თვალები, მისი თეთრი, ოდნავ შესუქებული ლოყები და ჭაღარა თმები, რომელიც ორ გრძელ ნაწნავად ზურგზე ერხევა, ძველებური დარბაისელი ქალის იერს აძლევს. სულ ასეთი მახსოვს დეიდა. რკინიგზის სამმართველოში მუშაობდა, დილხან საბეჭდ მანქანაზე აკაკუნებდა, მერე დააწინაურეს და კანცელარიის უფროსად დანიშნეს. ქმარი, შვილი და ოჯახი ბედმა არ აღირსა.

შინ დაბერდა, მაგრამ ზოგიერთი შინაბერასავით ანჩხლი და პრანჭია არ არის; კეთილია და ტკბილი. მისი დარდიანი გული ყველასადმი სიყვარულით არის გაშუქებული.

მე რომ დამინახა, ცას ეწია დეიდა მაშო. იმ ღამეს გემოზე ვილაპარაკეთ. სოფელში ყველა მიიკით-მოიკითხა, თვით მეწისქვილე არხეინოც კი. რომ ვუთხარი, არხეინოსთან პროფესორი მიხეილ გასვიანი იყო-მეთქი, არ გაჰკვირვებია. მიხეილი ჩემი კლიენტია, სამეცნიერო შრომებს ვუბეჭდავ მანქანაზეო. დეიდამ ბევრი რამ მიამბო პროფესორზე. ქალიშვილი ჰყოლია ჩემი კბილა, თურმე წელს ამთავრებს ინსტიტუტს. ბედნიერია. მე კი ახლა ვაპირებ შესვლას, მიმიღებენ თუ არა, ღმერთმა უწყის.

— ნუ გეშინია, გოგო, მიხეილ გასვიანთან საქმე გაჩარხული მაქვს. მიგიღებს! — დამამედა დეიდამ, მაგრამ ჩემთვის ეს იმედი კი არა, ბოღმა იყო.

— არა, დეიდა, მიხეილს ვერ შევაწუხებ. ჩავაბარებ და მიმიღებენ.

— მაგრე ნუ ამბობ. მარტო ჩაბარება კი არ კმარა, შენისთანა ათასია. მერე, რაც მთავარია, გიცნობს. გაგახარა ღმერთმა, შენი ქება რომ გავიგონე, გული გამეხსნა.

— პროფესორმა მაქო?

— ძალიან. ფერმაში თავი გამოგიდვია, ისეთ ყოჩაღ გოგოს როგორ არ მივიღებო.

— დეიდა, არ მინდა მისი დახმარება! — განზე გავიწიე, მაგრამ დეიდა ცნობისმოყვარეობამ აიტანა, კითხვა-კითხვით, ხვეწნით და მუდარით სული არ მოამქმევინა.

სიყვარული ადამიანს დარდად რომ გადაექცევა, ის დარდი გულში უკვე ველარ ეტევა. როგორ მინდოდა ვინმეს-

თვის გამენდო ჩემი დარდი, ჩემი ტკივილი, როგორ ვეძებდი მალამოს! ერთი გაწევა კიდევაც გავიწიე და კინაღამ ელოს გადავუშალე გული, მაგრამ ენაზე მომდგარი სიტყვა მაშინვე უკან ჩავიბრუნე და კარგადაც მოვიქეცი. ელო ცოტა ენაკვიმატი ქალია. მოგისმენს, რამე თუ ეწყინა, მერე მორჩა, აღარ დაგინდობს, რაც იცის და რაც არ იცის ყველაფერს სახეში შეგაყრის, საქვეყნოს გაგხდის, შენს ჭირსა და სამალავს ხალხს წინ გადაუშლის. ამიტომ ელოსთან ენა აღარ დამიძრავს. დეიდასთან გულს სარქველი ავხსენი, გავანდე ჩემი გასაჭირი. გურამ ლომიძის „კაი კაცობამ" დასწვა საბრალო.

— სიყვარული მარტო წიგნებშია ტკბილი, ცხოვრებაში მწარეა, მწარე!— კვერი დამიკრა, თავი ჩაღუნა, თან ფიქრმა წაიღო. განა არ ვიცი რაზე ფიქრობდა? მივუხვდი. თავის ბედზე, თავის დაღუპულ სიყვარულზე ფიქრობდა. მასაც ხომ უყვარდა ოდესღაც ვიღაც. ის ვიღაც უღვთო გამოდგა, უღალატა, სხვა შეირთო, უფრო ლამაზი, უფრო მდიდარი, და საბრალო დეიდაჩემს ცხოვრება ჩაუმწარა.

გვიან, გვიან ასწია დეიდამ თავი და მკითხა:

— ახლა სად არის ის არაკაცი?

— დეიდა არაკაცს ნუ ეძახი!

— რას ამბობ, შვილო, შენისთანა გოგოს კაცი რომ მოატყუებს, ის კაცია?!

რა მეპასუხა? გავჩუმდი.

იმ ღამეს დეიდას მშვიდად არ ეძინა, ძილში ვიღაცას ედავებოდა, რაღაცას წუხდა, ხანდახან ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს იძახდა ხოლმე.— ერთი ასჯერ ჩემი სახელიც ახსენა. საბრალო დეიდა, ჩემზე ფიქრი ძილშიც ჩაჰყვა.

მე კი თვალი არ დამიხუჭავს. რამდენჯერ ვცადე დაძინება, მაგრამ გული მიკვნესოდა. ათასი ფიქრი, ათასი დარდი ერთიმეორეში აირ-დაირია... ის აქ არის, ახლოს, სულ ახლოს, ორი მოსახვევიღა მაშორებს, იქნებ გულმა უგრძნო რომ ჩამოვედი და იმასაც არ სძინავს?

რა გულუბრყვილო ვარ!— გამეცინა ჩემს თავზე.

გურამზე არ მინდა ვიფიქრო, მაგრამ მაინც ვფიქრობ. მინდა, გულიდან ამოვიგდო, მაგრამ რომ არ ვარდება... ჰო, როგორ მინდა გამაგებინა, რას ფიქრობს, რატომ დამივიწყა. მე კი გურამის დავიწყება არ შემიძლია. ჩემი სისუსტეც და სიძლიერეც ეს არის. გურამის კეთილი, ჭკვიანური, ერთი შეხედვით დამპყრობი თვალები, ხანდახან ფიქრშემოწოლილს წინ რომ გამიელვებს, ელეთ-მელეთი მომდის. მე ხომ მის თვალებში არასოდეს არ ჩამიხედავს, ერთხელ, ერთხელ მაინც დამენახა მისი თვალები. რომ ვლაპარაკობდით, თავი ყოველთვის დახრილი მქონდა, მრცხვენოდა და არასოდეს არ მიგრძნია მისი თვალების შუქი, მაგრამ მაინც ვგრძნობ, აი, ახლაც ვგრძნობ, რომ მას აქვს კეთილი და დამპყრობი თვალები... მერე მისი ხმა, ჰაეროვანი, ხავერდოვანი და თან ვაჟკაცური, სულში მალამოსავით ეცხება ადამიანს. აი, ახლაც ყურში მესმის მისი სიტყვები: „ლია, მე უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია". ეს მწარე ტყუილი გამოდგა. რაში დასჭირდა ჩემი გაცრუება? მივუხვდებოდი, რომ თვალებში ჩამეხედა. თვალები გასცემდნენ.

თბილისმა ფიქრი და დარდი გამიორკეცა.

მოდი, მივალ, ვნახავ. აბა, რას იტყვის.

— არა, ფეხს ნუ მიადგამ! — მაფრთხილებს ჩემს გულში გოროზად მოკალათებული ხმა.

ვემუდარო? შესახვეწარი რა მაქვს! ამიტომ არ მინდა პროფესორთან შეხვედრა. ის და პროფესორი ძალიან გადაბმულები არიან. არ მინდა თქვას, უჩემოდ ვერა ძლებსო.

რა შეუმჩნევლად გათენდა? ფანჯარას დილის იისფერი შუქი მოადგა. არც შამალს დაუყვილია, არც გრილ ნიავს შეურხევია აივანთან მდგარი აკაცია. ქარხნის საყვირმა უცებ დააფრთხო ღამე

და სადღაც შორს გადაუშვა. აკაცია არც კი განძრეულა. უცებ შემოეცალა სიბნელე, მის გაშლილ ტოტებზე ერთბაშად გაიღვიძეს ბეღურებმა და ისეთი ჟივჟივი მორთეს, შუაგულ სოფელში მეგონა თავი.

ადგომა დავაპირე, მაგრამ დეიდასი მომერიდა, დილის ტკბილ ძილს ხომ არ გავუფრთხობდი. დეიდას მშვიდად ეძინა, მე კი ლოგინშივე დავიღალე. ოთახი მზის სხივებით გაივსო, მზე ზამთარშიც თბილია და როგორღაც ლოგინიდან ერეკება ადამიანს. ავდექი. კაბა გადავიცვი და ფეხები ჩუსტებში წავყავი. ჩემს ფხაკუნზე დეიდამ თვალი გაახილა. მზით განათებულმა ოთახმა ძილის ბურანიდან უცებ გამოიყვანა.

— ვინმე ხომ არ მოსულა? — იკითხა მან.

— არა. ვის ელოდი?

— საბეჭდავს. მიშას გოგოს უნდა მოეტანა. გუშინ დამირეკა, მთხოვა. უარი ვერ ვუთხარი. ხათრი მაქვს მისი, თორემ ისე მანქანის კაკუნმა მთლად გამომატვინა. ადრე გამოგიგზავნიო. ნეტავი, როდისაა მისი ადრე?.

დეიდას არ ესვენებოდა. კარადიდან საბეჭდი მანქანა გამოიტანა, გაწმინდა, გადასაყვანი ქაღალდის დასტა გვერდზე დაუდო და მერე ფანჯარაში გაიხედა. სამუშაოზე აგვიანდებოდა, ღელავდა.

— არა, ეს დასაწვავი მანქანა უნდა დავამტვრიო. ისე გაცხარებით თქვა ეს, მეგონა, ფანჯარაში გადაუძახებდა ამ საღებავგაცლილ, გაცვეთილ მანქანას, ჟანგისაგან აქა-იქ ამოჭმულსა და ჩაყვითლებულს.

საათიც ჯიბრში ედგა. ცხრის თხუთმეტი დარეკა. დეიდამ გაცრეცილ პორთფელს დასტაცა ხელი. კარზეც კაკუნი გაისმა.

— შემოდით! — იყვირა დეიდამ.

კარი გაიღო და...

მიხეილ გასვიანი.

— ბოდიში, ბოდიში! — დაიბნა დეიდა. უფრო მეტად მე დავიბენი. მიხეილმა მაშინვე მიცნო, გაუხარდა ჩემი დანახვა. მომიკითხა, დედაჩემიც მოიკითხა. მერე საათს დახედა და სქელი პორთფელი გახსნა.

— აი საბეჭდი! — მან სავსე კაზრა მაგიდაზე დადო, — მეჩქარება, ძალიან მეჩქარება.

— ხომ იცით, მე და სიჩქარე ვერა ვართ შეწყობილნი, სადა მაქვს მაგის ღონე.

— ეს არ მითხრა, სიბერე არ გამაგონო. აბა, წავიდეთ, მანქანით წაგიყვან! — მერე მე გადმომხედა პროფესორმა,—არ გემშვიდობები. გამოცდებზე შევხვდებით ერთმანეთს. დეიდაშენი შემეხვეწა, დაეხმარეო. არა, ლიას დახმარება არ უნდა-მეთქი. დახმარება ზარმაცს სჭირდება. ასე არ არის?

წავიდნენ.

მიხეილ გასვიანის დანახვამ გული ჩამწყვიტა. ერთ ხანს გაოგნებული ვიდექი კართან და მერე წიგნებით გაძეძგილი ჩემოდანი გავხსენი. ეს არის ჩემი სიმდიდრე ჩემი გაყვითლებული, გვერდებჩაკეცილი და ზოგან სტრიქონებს ქვეშ წითელი ფანქრით ხაზგასმული სახელმძღვანელოები. დეიდამ მრგვალი მაგიდა მიმიდგა კუთხეში და მითხრა აქ დაალაგე შენი მზითვი და იმეცადინეო.

აბა, რა ვიცი, რა საქმისათვისაც ხელი მომიკიდია, დაუგვირგვინებლად არ გამიშვია. რა ღმერთი გამიწყრება, ინსტიტუტში როგორ არ მიმიღებენ!

### თავი მეშვიდე

დეიდა ორი საათით ადრე მოვიდა სამუშაოდან. სუფრასთან არც კი მისულა, პური და ყველი მოციცქნა და მერე საქმეს მიუჯდა.

გულში გამეცინა. საშუალოს რომ ვამთავრებდი, იმ ზაფხულს დეიდამ ეს მანქანა ჩამოიტანა სოფელში, ბეჭდვას გასწავლი, პურს გაჭმევსო.

ჭკუაში დამიჯდა. პირველ ორ-სამ დღეს დეიდას გაკვეთილმა გამიტაცა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, გული ამიცრუვდა. ამ საქმემ დეიდას რა ხეირი დააყარა და მე სულ რას მიზამს-მეთქი. ამაში დედამ კვერი დამიკრა. კაკა-კუკი

შენი საქმე არ არის, შვილო, მითხრა მან ჩუმად, დეიდას რომ არ გაეგონა, ხათრი ჰქონდა მისი.

მეც ეს ბიძგი მინდოდა. აბა რაა საბრალო ქალი ამ ეშმაკის მანქანას შეაბერდა. ოცდახუთი წელიწადი ოცდახუთი დღე ხომ არ არის? ღმერთმა უშველოს მის დაწესებულების დირექტორს, შრომა დაუფასა და საჩუქრათ ეს მანქანა მიართვა თანამშრომლების მიერ მოწყობილ საიუბილეო ვახშამზე. ვერცხლის პატარა ფირფიტა, რომელიც მაშინ მიაკრეს მანქანას, ახლაც ძველებური ეშხით ბრწყინავს. ოღონდ ცოტა ჩაშავებულია მისი წარწერა: „მაშო კვიცარიძეს...“ და შემდეგი ასოები წაშლილია.

მე ამაზე რომ ვფიქრობდი, დეიდა თვალაუღებლივ ბეჭდავდა. მისი გრძელი, ხმელი თითები სწრაფად დახტოდნენ ასოებზე. ასევე სწრაფად გაისმოდა მანქანის ხმა: კაკ... კაკ... ამ ხმებით ოთახი უკვე გავსებული იყო და მეც ყურები გამოჭედილი მქონდა. დეიდა კი მუშაობდა, მისი შავი, ლამაზი თვალები ახლა ოდნავ დაწითლებულნი, ხან პროფესორის ნაწერს აკვდებოდნენ და ხანაც მანქანის ასოებს აშტერდებოდნენ.

მანქანის კაკუნმა ჯერ ძილი დამიფრთხო, მაგრამ მერე არ მახსოვს როგორ ჩამეძინა, დილით სახეზე დეიდას ცივი ხელი ვიგრძენი და თვალები გავახილე.

— ამდენი ძილი გაგონილა? ასორმოცდაათი გვერდი დავბეჭდე და სულ მოვიშალე კიდეც. არა, ეს ჯადო უნდა დავამტვრიო.

სულ ასე იმუქრება დეიდა, მაგრამ მანქანას მაინც ჯადოსავით ინახავს.

გადაბეჭდილის წასაღებად „პობედით“ მოგრიალდა პროფესორის ქალიშვილი. არც კი დაუკაკუნებია, ისე შემოფრინდა ოთახში და მე რომ დამინახა, შეცბა, ბოდიში, მითხრა.

გავიცანით ერთმანეთი, პირველად ცოტა პრანჭია მეჩვენა, არ მომეწონა მისი შეღებილი ტუჩები, ვაჟურად შეკრეჭილი თმა, არც ტანზე შემოსალტული კაბა უხდებოდა, არც ნემსივით წვრილი ქუსლებიანი ტუფლები, მაგრამ გული რომ კარგი ჰქონია და ძალზე თავმდაბალიც რომ ყოფილა, ამაში მალე დავრწმუნდი. დანარჩენზე თვალი დავხუჭე.

მე და ზაირა ბედმა ისე გადაგვაბა, ერთ კვირაში უკვე კარგი მეგობრები გავხდით.

ზაირაც დაუწვავს იმ გაუხარელ გურამ ლომიძეს. საბრალოს თავისი ბოღმა ქაღალდზე გადაუტანია, დღიურები უწერია, ხან სიხარულით, ხან ცრემლით. მისი დღიურები ბოლომდე ვერ ჩავიკითხე, გული დამეთუთქა. ერთი რა გასახარელი მითხრეს იმ მაგარყდიანმა რვეულებმა. გურამს არასოდეს არ უთქვამს ზაირასათვის მომწონხარ და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. აქ უფრო ცალმხრივი სიყვარულის უიმედო ფეთქვა ვიგრძენი და ამიტომაც უფრო შემეცოდა ზაირა. უცებ ვერაფერი ვუთხარი, ლაპარაკში ვერ გამოვიწვიე, მაგრამ იმ დღეს კინოდან რომ მოვდიოდით, გურამი ვახსენე და ვკითხე:

— ახლა სად არის გურამი?

— სად იქნება, მამასთან მუშაობს ლაბორატორიაში.

— ხვდებით ერთმანეთს?

— არა გამირბის.

— რატომ?

— რა ვიცი. წერილი მივწერე, პასუხი არ მაღირსა.

— იქნებ სხვა უყვარს.

— არა. არავინ არ უყვარს, ვიცი. გურამი სიყვარულის კაცი არ არის. რაღაც ახირებული ხასიათისაა. როცა გხედავს, მაშინ უყვარხარ, მოსწონხარ. როცა არა გხედავს, მაშინ არც ახსოვხარ. მას მხოლოდ საქმე, საქმე და მეტი არაფერი აგონდება.

— კი, მაგრამ რა საქმე აქვს ასეთი?

— სამეცნიერო ხარისხის მიღება, წინსვლა. სიყვარულისთვის მისი გული ცივია. მან არ იცის, ქალიშვილს რა უთხრას. როგორ მოაწონოს თავი, როგორ გაიტაცოს. ლამაზი არ იყოს, ზედაც არ შევხედავდი, ისეთი ქცევა და სიტყვა-პასუხი აქვს, მაგრამ მის ამ ნაკლს მისი ვაჟკაცური სილამაზე ჩრდილავს. ერთხელ თუ შეგეფეთა, მერე მისი სახე ფიქრში

ჩაგყვება, კიდევ და კიდევ მოგინდება ნახვა, მორჩა, უკვე შენს თავს აღარ ეკუთვნი.

მე ასეთ გურამს არ ვიცნობ-მეთქი, უნდა მეთქვა, მაგრამ მოვერიდე თავის გამჟღავნებას. ერთი სიბრძნე მასწავლა ცხოვრებამ; შენ რომ ილაპარაკო იმას სჯობია სხვას მოუსმინო. და მეც ბოლომდე მოვისმინე ზაირას დამწვარი გულის აღსარება.

— კი მაგრამ იქ, სოფელში, იმდენ ხანს რას აკეთებდი?

— მუშაობდა. ფერმაში ცოტა საქმეა? სოფლიდან შენთვის წერილი ხომ არ გამოუგზავნია? — ახლა მე შევუბრუნე კითხვა, რადგან მიყუჩებული ეჭვის ბოლმა ყელში მომაწვა.

— არა, არ გამოუგზავნია.

ეს კი გამიხარდა.

— ჰო, მართლა, თავი მოგაბეზრე, მაგრამ ერთი რამე კიდევ უნდა გკითხო... ნუ დამიმალავთ, მე მაინც შერიგებული ვარ ბედს. ფერმაში ვინმესთან ხომ არ დადიოდა?

აქ კი გამიძნელდა პასუხის გაცემა. ტყუილის სათქმელად ენა არ მომიბრუნდა, მართლის თქმა კი შეუძლებლად მივიჩნიე. ამიტომ ეშმაკობას მივმართე, თითქოს ფეხსაცმელში კენჭი მქონოდა ჩავარდნილი, უცებ დავიხარე და ტუფლი გავიხადე, მერე ზაირას ხელზე ხელი ვტაცე და გავიქეცი, სირბილში ისიც გავიტაცე.

— მეჩქარება, დეიდას ბუზღუნის თავი აღარ მაქვს.

ჩემმა ეშმაკობამ გაჭრა, მალე გამოვემშვიდობე.

ზაირამ გურამზე იმდენი ილაპარაკა, რომ ახლა, გზაზე მშვიდად მიმავალს, თვალწინ წარმომიდგა თვითონ გურამი.

გურამი!

ჩემი გურამი!

არა, ის ისეთი სრულებით არ არის, როგორც ზაირამ დამიხასიათა. არ სცოდნია ადამიანის გამოცნობა. „სიყვარული არ შეუძლიაო", რა ცილი დასწამა. გურამის თვალები, ტუჩები, ლოყები და, რაც მთავარია, გული, ეს ხომ ნამდვილი სიყვარულის თაიგულია.

იქნებ განგებ დამიხასიათა ასე მრუდედ.

იქნებ... იქნებ...

ზაირამ ფორიაქი შემიყენა, შინ აღარ გავჩერდი და მისაღები გამოცდების დაწყების წინ გურამს ინსტიტუტში მივაკითხე.

ლია, შენ სადღაც მივარდნილ სოფელში დღე და ღამეს ასწორებ, — ჩუმად ვუთხარი ჩემს თავს, — გურამი სამეცნიერო შრომას ამზადებს, აბა, კარგად დაფიქრდი. სად შენ და სად ის? თავი დაანებე, შენი ბედი არ არის.

ის რა იყო, ის, რომ მეუბნებოდა უშენოდ ცხოვრება არ შემიძლიაო.

მამაკაცის უბრალო გატაცება, მეტი არაფერი, — ჩაესმა ვიღაცის ხმა ყურში, — შენ კი სიყვარულით უპასუხე. მხურვალე სიყვარულით.

ამ კითხვა-კითხვაში რომ ვიყავი, ინსტიტუტის კარისკაცმა მითხრა, აქ რას გაჩერდი ქალო, ვის ელოდებიო. მეც ვუთხარი, ვინც მინდოდა.

აი, აქ, მეჩვიდმეტე ოთახშიაო და გრძელი დერეფნის კუთხისაკენ გაიშვირა მოკაკული თითი. უცებ გული გადამიქანდა, ფეხი ვერ გადავდგი. სიამაყემ თუ სირცხვილმა შემაჩერა. აბა, ვისთან მიდიხარო, ყურში ჩამძახა ვიღაცამ. როგორ თუ ვისთან-მეთქი, შევეპასუხე და ის იყო გულმა წამიღო. კარს მივუკაკუნე.

— შემობრძანდით! — ვიცანი მისი ბოხი ხმა. რომ იცოდეს მე ვარ, განა შემიპატიჟებდა? ხელი ძალაუნებურად კარისაკენ წამივიდა და კიდევ მივუკაკუნე.

— შემოდი. შემოდი! — ახლა შინაურულად დაიძახა. მე არ დავაყოვნე: სანამ კარი ზურგს უკან არ მივხურე, მისთვის არ შემიხედავს. მარტო იყო. უცებ შეიოცა. თვალი ვერ გამისწორა, თავი ჩაღუნა და ქვეშ-ქვეშ დამიწყო ცქერა. ვიგრძენი მისი სუსხიანი თვალი. თითქოს მისი გულის ძგერაც გავიგონე...

ქლესა კაცივით თავის მართლებას როდი შეუდგა. ვაჟკაცურმა გულმა გადაძლია. გაჩუმდა. მუხასავით ამაყად იდგა, სირცხვილის ქარიშხალი ასკდებოდა. მე მაინც სახეზე შევხედე. არ ვიცი სირცხვილისაგან გაყინული ჰქონდა თუ ბოღმისაგან წამონთებული თავის თავს უბრაზდებოდა.

გული ამიდუღდა. სიამაყემ ნება არ მომცა, ხმა ამომეღო. ასე ზვიადი და შემართული არასოდეს არ ვყოფილვარ. სიმართლე სულსა და გულს მიმხნევებდა. მე არც ფიცი გამიტეხია და არც ღალატი გამივლია გულში. ის კი დამნაშავე იყო, მხრებჩამოყრილი იდგა ჩემ წინაშე. მე მაინც ამაყ მუხას შევადარე. ასეთი მინდოდა ყოფილიყო.

... ბოლოს გაბედა და დამიძახა, ლიაო, თან ხელიც გამომიწოდა. ოდნავ მომიჭირა ხელზე ხელი. წინათ კი თითებს მიმტვრევდა. ახლა თითქოს ღონეც გამოლევია, სულშიც ცეცხლი ჩაჰქრობია.

— დაბრძანდით!

წინათ კი უბრალოდ, დაჯექითო, მეტყოდა და მეც სიამოვნებით ვჯდებოდი მის გვერდით. ახლა გაქვავებულივით ვიდექი. რაც სათქმელი და სადავო მქონდა, ყველაფერი დამავიწყდა. ვერც აზრი მოვიკრიფე. და ვერც ენა დავძარი... მას რა ჰქონდა სათქმელი? შუა ოთახში იდგა გაოგნებული. მის ზურგს უკან თაროზე ჩამწკრივებული იყო ათასგვარი ბოთლები და ჯამ-ჭურჭლები. ზოგ ჭურჭელში წითელი სითხე ესხა, ზოგში-ყვითელი და ზოგშიც-მწვანე. ოთახში მათი ფერისა და ბრწყინვალების ანარეკლი ციმციმებდა. მე ყველაფერს ვხედავდი, ვხედავდი მაგიდაზე უწესოდ გადაშლილ-გადმოშლილ წიგნებს, მიყრილ-მოყრილ ფანქრებსა და ქაღალდებს, ვხედავდი სარკმლის რაფაზე შემოდგმულ ლარნაკში მინდვრის ჭრელ-ჭრელ ყვავილებს. ყველაფერს ვხედავდი, ყველაფერს, მაგრამ თვითონ მას ვერ ვხედავდი. ...ველოდი კი, ყოველ წამს ველოდი. აი ახლა, აი, ახლა ვაჟკაცურად ბოდიშს მოიხდის. იმედი მქონდა ასე მოიქცეოდა.

ჩვენ როცა ორივე ერთნაირ ჭკუაზე ვიყავით, ხშირად ვლაპარაკობდით ოჯახზე, შვილებზე. მან მითხრა, მამაჩემი უწყინარი გლეხი იყო და ხუთი შვილი გაზარდაო. ჩვენ ამდენს ვსწავლობდით და იმაზე მეტი როგორ არ უნდა გავზარდოთო. სუ-უ-მეთქი, შემრცხვა და გავაჩერე.

არ ვიცი კიდევ რამდენ ხანს ვიდექი მის ცივ კაბინეტში, რა უნდა მეთქვა, მეჩხუბა? უცებ ჩემი თვალი იმ ჭრელ-ჭრელმა ყვავილებმა მიიტაცეს, სარკმლის რაფაზე ასე შნოიანად რომ ციმციმებდნენ. ნეტავი ვინ მიართვა? ეს გავიფიქრე თუ არა, ცრემლი მომაწვა. ჩემს ცრემლსა და სიძაბუნეს ხომ არ ვუჩვენებდი, დაფეთებული კარს მივაწყდი და დერეფანში გავვარდი. ისიც გამომენთო.

— ლია, ლია! — დამიძახა, მაგრამ არ მიმიხედავს. სირბილი დავიწყე? წინათ ხომ მიმინოსავით მეწეოდა.

ახლა ვილაცამ უბიძგა. გამოქანდა. დამეწია. მოცახცახე მკლავები გაშალა და როგორც მაშინ, როგორც პირველად, სალტესავით შემომაჭდო.

— კარგი, ლია, დაივიწყე რაც იყო!

— მხურვალედ ჩამჩურჩულა.

— რა სთქვი? ოთხი თვის უძილო ღამე, ტანჯვა, გულის ფეთება, ეს ყველაფერი დავივიწყო?!

— ჰო, მაპატიე.

რა მექნა, მეპატიებინა?

მის უეცარ აღფრთოვანებაში სიყალბისა და თვალთმაქცობის ჯადო შევიცანი და ვიკივლე:

— არა, არა!

— მაშ, რისთვის მოხვედი, ლია?

— მინდოდა გამეგო, ცოცხალი ხარ, თუ არა.

მივუგე და მაშინვე ჩემს თავს გადავკარი; რისთვის მოვედი? რისთვის?

აი, ესეც ჩემი მოუფიქრებელი და დამამცირებელი ნაბიჯი.

გურამი დაიბნა. მხრები ჩამოყარა, სახე აერია. კიდევ დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ ამ დროს ზაირა წამოგვადგა თავს.

საიდან სადაო. გვზვერავდა? მწარედ გამკრა გულში.

— მამასთან ვიყავი, შორიდან რომ დაგინახეთ, გულმა თქვენსკენ წამომიყვანა! — გამოასწორა ზაირამ.

გურამმა რაღაცნაირად შემომხედა; ვერაფერი გავუგე მის თვალებს, ძლივს ამოთქვა, ბოდიშიო, და გაგვეცალა.

— უხეში!

მიაყოლა ზაირამ და მომანათა შავი თვალები.

— რა იყო, რა მოხდა?

— არაფერი!

— არაფერი? განა ვერ დავინახე, როგორ ჩაგიკრა გულში.

ამ სიტყვებზე ზაირას თვალები ცრემლში აუცურდა.

ცრემლმა ცრემლი გამოიხმო. ორივე ავტირდით. რა მიმნდობნი და რა უძლურნი ვართ ჩვენ, ქალიშვილები!

იმ დღეს ზაირას შინ წავყევი. არ მომეშვა, მარტო ვარო. მართლაც, მარტო იყო. მამას საღამომდე არ მოელოდა, დედა ნათესავთან წასულიყო. ზაირას ოთახის კედლები კინომსახიობების სურათებით აუჭრელებია. თვალში უშნოდ მომხვდა მათი მომღიმარი სახეები. მარტო სახე უცინით. ნეტავი, გულში თუ ასე ლაღად ეცინებათ?

პატარა მრგვალი მაგიდა, რომელიც კუთხეში იდგა, ზაირამ შუა ოთახში გამოაჩოჩა და სუფრა გაშალა. ვაშლი, მსხალი და ლიქიორი გამოიტანა. სმა-ჭამა კი არა, არც ერთს პირს დანა არ გაგვიხსნიდა.

მან მაინც მასპინძლობა გასწია, ვაშლი გათალა და ერთი ნაჭერი მომაწოდა, მერე ლიქიორიც დაასხა.

რაზე უნდა გველაპარაკა?.. სულ წვრილ-წვრილად მაამბობინა გურამთან შეხვედრისა და დაახლოების ამბავი. ბოლომდე რომ მომისმინა და ისიც გაიგო, გურამმა სიყვარული რომ შემომფიცა და მითხრა: უშენოდ ცხოვრება აღარ შემიძლიაო, სახე გაეცრიცა საბრალოს, მაგრამ თავი მაინც შეიკავა, სიტყვა და ბოლომა ორივე ჩაყლაპა.

— მაშ, შენ შემოგფიცა?

— შემომფიცა.

— არაფერი არ მესმის. ვერაფერი ვერ გავიგე. მერე?

— წავიდა. არც წერილი, არც ყურადღება.

— არიან ისეთი ბიჭებიც, როცა გხედავენ, მაშინ მოსდით სიყვარულის ელეთმელეთი, როცა თვალი თვალს მოშორდება...

— გული გადასხვაფერდება, არა? — შევაწყვეტინე ზაირას, — არა, ჩემო დაო, მე კი პირიქით მწამს, როცა ვერ ხედავ, მაშინ უფრო უნდა იწოდე, მუდამ თვალწინ გედგას, მისი ნახვის წყურვილით იყო ანთებული. ასე არ არის?

— შენს პირს შაქარი, მაგრამ გურამ ლომიძეს ეგეთი კაცობის არაფერი აცხია.

— არაფერი აცხია, — გავიმეორე მხოლოდ, ზაირას კი ის ვკითხე, რაც მაწუხებდა, — ნუ დამიმალავ თუ და ხარ, შენც შემოგფიცა?

— არა, მე მას არ მოვწონვარ. მე თვითონ მომწონს, ჩემი სიგიჟეც ეს არის.

იმ საღამოს ზაირა ცოტა უდარდელად წარმომიდგა. ფილარმონიის ბაღში დამპატიჟა, სომხურ ჯაზს მოვუსმინოთ, გული გადავაყოლოთო.

საფილარმონიოდ არ მქონდა საქმე და არც წავსულვარ.

დეიდას ჩემთვის არ ეცალა, მისი მოღუნული თითები სწრაფად დახტოდნენ მანქანის კლავიშებზე. ოთახი განუწყვეტელი კაკუნითა და გადასაყვანი ქაღალდის სუნით იყო სავსე.

ყურები გამომეჭედა. ჩემთვის განკუთვნილ პატარა ოთახში გავედი. იქამდე კაკა-კუკი არ აღწევდა, სიჩუმეში ფიქრმა უფრო გაშალა ფრთები, ბასრი ბრჭყალებით გულს ჩაეჭიდა. წინ გურამი მედგა ნაღვლიანი თვალებით. ახლა უკვე მაშინებდნენ ის თვალები... საბანში გავეხვიე, მეგონა, ძილი წამიღებდა, მაგრამ გულგაავებულს რა დამაძინებდა? იქნებ წიგნმა დამამშვიდოს-მეთქი, და

ქიმია ავიღე, ვიკითხე, ვიზეპირე ფორმულები და ბოლოს, როგორც იქნა, ჩამთვლიმა. ერთი წუთით ჩამთვლიმა, ალბათ, და იმ წუთშიც კოლა ბუსკაძე გამომეცხადა, ეზოში შემოაგდო თავის კამპი ცხენი, სანამ თვითონ დამელაპარაკებოდა, ცხენი მკლავში მწვდა, ვიკივლე, დეიდა გამოენთო თავის ოთახიდან.

— რა იყო, შვილო?

— არაფერი, — შემრცხვა.

— არაფერი? მე კი ჩემი მომივიდა, მეგონა მოგიტაცეს! — ძლივს ამოთქვა დეიდამ და ლოგინზე ჩამოჯდა, — ცუდი სიზმარი ნახე?

ვუამბე, რაც ვნახე. სიზმრის არაფერი მწამს, მაგრამ დეიდამ ისეთი დარდითა და ცრემლიანი ხმით მითხრა, ცხენის კბენა ცუდის ნიშანიაო, რომ შიშმა ამიტანა. მე რატომღაც მჯერა, რომ დეიდას გულთამხილავი თვალი აქვს; შემოგხედავს თუ არა, შენი სულის დუღილს შენს სახეზე ამოიკითხავს. მეტად დაკვირვებული და ცნობისმოყვარეა, ვერ ვუძლებ მის თვალებს, სულ მუდამ ძიების ცეცხლით გაღვივებულს. აი, ახლაც, დეიდამ თავისი გამხმარი თითებით სახეზე ჩამოშლილი თმა გადამივარცხნა და მოლურჯო თვალი თვალში გამიყარა.

— გოგო, რა არის შენს თავს, თქვი.

— არაფერი.

— ეს პასუხი არ არის. ხომ უნდა ვიცოდე, რატომ არ გძინავს მშვიდად, რატომ არ ჭამ მადიანად, არც რიგიანად სწავლას ეწაფები. რამ აგრია?

— რატომ? წუხელის კარგად მეძინა! — პასუხი მოვარიდე, მაგრამ დეიდამ უკმაყოფილოდ თავი გაიქნია და მერე თავისი მძიმე არტილერია: მოთაფლული ენა, კეთილი გული და სულში ჩამწვდომი თვალები ჩემ წინააღმდეგ მომართა. ვერ გავუძელ და გული გადავუშალე. ბეწვის ოდენა საიდუმლოება ჩემთვის არ დამიტოვებია.

დეიდამ ჩემი ნათქვამი ასწონ-გაზომა, იფიქრა, იყოყმანა და მერმე მითხრა:

— დაგიშავებია, რომ გურამთან მისულხარ. ეს რა წესი შემოიღეთ ახლანდელმა ქალიშვილებმა. ღმერთო მომკალი! ქალმა იქით მიაკითხოს კაცს, შეეხვეწოს, შემირთეო?

— არა, დეიდა, მე ამისათვის არ მივსულვარ.

— მაშ რა გინდოდა? შენ სოფლელი გოგო ხარ და, აბა, თუ ოდესმე გინახავს, დედალი იქით გამოეკიდოს მამალს?

რა უნდა მეპასუხა? მან თვითონ განაგრძო.

— ეს რკინის კანონია. ვაჟია სიყვარულის მოთავე, ოჯახის მოთავე. ნუ შევეცდებით ეს ღმერთისაგან მინიჭებული უფლება წავართვათ მამაკაცებს. სულერთია, მაინც არაფერი გამოგვივა, ვერაფერს მივაღწევთ.

ესეც კარგი ლექცია! დეიდას ლაპარაკის საღერღელი თუ აეშალა, მერე მტრისას, სანამ ყველაფერს არ ამოთქვამს, ეშმაკი ვერ გააჩერებს.

ლაპარაკში დაგვათენდა. ფანჯარას მზემ მოაბარჩხალა. დეიდა წამოხტა. სამსახურში არასოდეს არ დაუგვიანებია. წასვლის თადარიგს შეუდგა.

მეც ავდექი. ცუდ გუნებაზე ვიყავი. თავი მტკიოდა და პირიც გამშრალი მქონდა. სანამ დეიდა სარკესთან ტრიალებდა, ჩაი გავუმზადე. ვიცი მისი ხასიათი, პატარა რამე ფრთებს შეასხამს.

— შენთვისაც დაგესხა, ერთად დავლევდით.

არც ამაზე ვაწყენინე. ჩაი მოსვა, პირი ჩაიგემრიელა და მერე დაიწყო.

— გურამი შენი საქმე არ არის. ახლოს არ გაეკარო. ფეხებქვეშ რომ ჩაგივარდეს, მაინც არ ენდო. წამოაყენე და უთხარი; არა, ძმაო, წადი, წადი შენს გზაზეთქო... ქალაქი ხეირს არ დაგაყრის. შენ სოფლისთვის გაუჩენიხარ ღმერთს. იქ პირველი ქალი ხარ, აქ უკანასკნელი გინდა იყო? კოლა ბუსკაძემ თუ ხელი გთხოვა, ორივე ხელი მოხვიე, არ გაუშვა. „სტილნი“ ბიჭი არ არის, მაგრამ შრომისა და ცხოვრების შნო აქვს. რას იტყვი?

რა უნდა მეთქვა ჩაი მივატოვე და წამოვდექი. სამსახურში წასვლისას დეი-

დამ მხარზე დამკრა ხელი და მითხრა:

— იფიქრე, კოლა ბუსკაძეზე იფიქრე. გურამ ლომიძე დაწყევლოს ღმერთმა, იმზე ფიქრი არ გაბედო.

კარი გამოაღო, მაგრამ არ გასულა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, შეჩერდა, მერე შემომხედა და გამაფრთხილა.

— ბიჭებზე ფიქრს მოასწრებ ახლა გამოცდებზე იფიქრე, შვილო!

წავიდა.

დაიწყო გამოცდები. ორ კვირაში ჩაბარებას მოვრჩი. ერთი სამიანი, ორი ოთხიანი და ერთიც ხუთიანი.

— არ მიგიღებენ, არა! — აკვნესდა დეიდა, — სამიანი მაინც რა ღვთის წყრომაა, ისიც ქართულ წერაში.

შემაშინა დეიდამ. ის მცირე იმედიც, გულში რომ მიფუჩუნებდა, გაქრა.

მაგრამ დილით, დაზაფრულს, ზაირამ სულზე მომისწრო. გადასაბეჭდი ქაღალდები მაგიდაზე დაყარა და მერე მომეხვია.

— მამამ შემოგითვალა, ჯავრი ნუ გაქვს, ჩაგრიცხავენო.

## თავი მერვე

ჩემს არყოფნაში სოფელში ბევრი რამ შეცვლილა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაუთავისუფლებიათ. კოლა ბუსკაძე შეუხურებიათ, დედა დასწრებია კრებაზე და ყველაფერი მიამბო. საყვედურითაც მისაყვედურა, კოლა გაზეთში რამ გაგაწერინაო. ეს კი მეწყინა. ალბათ, იმ კორესპონდენტმა არ დაინდო.

თვითონ დედა კარგად დამიხვდა. კოლმეურნეობაში ხელი გამოუღია და მარტოობა იმით მოუკლავს.

დედამ გაზეთები დამახვედრა.

დამაინტერესა იმ კორესპონდენტის წერილმა და დავიწყე „კომუნისტის" ფურცვლა. მალე მივაგენი კიდეც. წერილი მესამე გვარდზე იყო მოთავსებული, მყვირალა სათაურით: „კოლას ცოდვები". ახალი არაფერი ამომიკითხავს. ისევ საკვების ნაკლებობა, ჯიშის გაუმჯობესებისადმი უყურადღებობა, წამხალისებელი პრემიების გაუცემლობა და ბოლოს ჩემი უბედური ძილას ისტორია. კრებებზე ბევრჯერ დაუფრენიათ თავმჯდომარე და ფერმის გამგე, მაგრამ ამით არც საკვების საქმე მოგვარებულა, არც ჯიშიანი ძროხები შეუძენიათ და არც პრემიები გაუციათ თავის დროზე. ახლა რომ გაზეთმა ამოიღო ხმა, დაფაცურდნენ...

ვნახოთ!

მეორე დილას ყინვა მძვინვარებდა, მაგრამ მაინც უთენია ავდექი, თბილად ჩავიცვი და ფერმას მივაშურე. ელო დაფეთებული დამხვდა. ჩემი ამბავი არც კი უკითხავს, ფერმის გასაჭირი მომახალა. ყველაფერი წვრილ-წვრილად ჩამოკაკლა მერე ჩემი გასაჭირიც გაიგო თბილისში, გურამი კი ბოლოსთვის მოიტოვა.

— ყოჩაღ... აგრე უნდა. გულს მოერიე... სიყვარულმა მანძილი და დრო არ იცის. თუ უყვარხარ, სოფელში კი არა, ცხრა მთას იქით მოგადგება, თუ არა და ძალით რათ უნდა აეკიდო. ვინც ისე მოიქცა, ყველა ცრემლში იხრჩობა.

ელოსთან კაცს ლაპარაკი არ მოსწყინდება, გურამს ძალიან შეუტია. საგინებლად და განსაქიქებლად არ მემეტება ის დამწვარი.

ჩემი ხბოები კარგად დამიხვდნენ. ელოს არაფერი დაეკლო, ზოგმა მიცნო და თავისი შავი, წყლიანი თვალები შემომაშტერა. ყველას იმ საბრალო ძილას მაგიერი სჯობდა, შოლტივით იყო, თივას წიწკნიდა. ჩემთვის არც შემოუხედავს.

— აჰა, ჩაიბარე შენი შვილები! — გამეხმაურა ელო და წავიდა.

ჩემებურად სახბორის მილაგ-მოლაგებაში შუადღე წამომეპარა, უღონო მზის სხივი ჭუჭრუტანაში შემოვიდა, მაგრამ არავითარი სითბო და იმედი არ შემოუტანია. გარეთ ქარი წიოდა, ზამთრის კაპასი ქარი, გაძარცული ხეების ტოტებს ჩხაკა-ჩხუკს უყენებდა.

ზაფხულში ქარს კიდევ არაუშავს, ხან ფოთლების შრიალი და სინედლის სუნი მოაქვს, ხან ყვავილების სურნელს მოაფენს, ხანაც სიცხეს ფანტავს და კაცი იმედით ივსება, წვიმა მოვაო.

ზამთარში კი ქარი ნამეტანი თავაშვებულია, უსარგებლო და უიმედო. აი, ახლაც ქრის, სტვენს, წივის, სიცივეს მოერეკება და გათოშილ მიწას უფრო თოშავს. ღონეც მეტი აქვს, თავის ცივ თათებს ძვალ-რბილში აფათურებს. მას ბებიაჩემი ლოცავს, ეუბნება: ჩადექ ქარო, ჩადექ ქარო. და სჯერა რომ ღმერთი მის ლოცვას გაიგონებს და ქარს სადღაც გადაკარგავს. თუმცა ეს ღმერთს არასოდეს არ გაუკეთებია, მაგრამ ჩემი საბრალო ბებია მაინც თავისას აკეთებს.

კოლა თავის კამპი ცხენით ფერმას მოადგა, მაგრამ ამჯერად მისთვის არავის სცხელოდა და ჭიშკარი არ გაუღიათ. კოლამ ჩამოქვეითება არ იკადრა, სადავე მიუშვა და ცხენი გადაახტუნა. ლამაზად ეცვა. ახალთახალ პალტოს კალთებს ქარი უფრიალებდა, ჩექმები ჟპრიალებდა, „ჰაიტო“ შესძახა და ცხენი პირდაპირ ჩემს ოთახს მიაგდო.

შინ ვაპირებდი წასვლას, თავი დედაჩემის შალით მქონდა წაკრული. არ შემშინებია, რაღაცამ კი შემაძაგძაგა.

— ლია, ჩამოხვედი?

ოთახში არ შემომისწროს-მეთქი და გარეთ გამოვეგებე.

ცხენიდან მარდად გადმოხტა და ხელი ჩამომართვა.

— მომილოცავს ინსტიტუტში მოწყობა, მაგრამ არ გაიპრანჭო იცოდე... ახლა შენ იცი, როგორ დატრიალდები აქ, ხბორებს უშენობა დაეტყო. ახლებიც მყავს. შენს მეტს ვერავის ვენდობი, მაგრამ ამაზე ხვალ.

— კარგი, ხვალ იყოს! ნახვამდის! — რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. კოლა არ განძრეულა, ისე მომაძახა:

— შინ მიდიხარ?

— დიაღ.

— ქარია, სადმე გადაგჩეხავს.

— არც ისე მსუბუქი ვარ.

— ეგ ენა რომ არ გქონდეს...

შემდეგ რა თქვა არ გამიგონია.

ჭიშკარზე გადავედი. კოლა ისევ ჩემი ოთახის წინ იდგა, ქარი გახსნილი პალტოს კალთებს უფრიალებდა. მისი ცხენი ლაგამს ხრავდა, შარა გზას რომ დავადექი, თვალი ისევ ფერმისკენ წამივიდა. კოლა ისევ გაქვავებულივით იდგა ჩემი ოთახის წინ. დაფეთებულმა ფეხს ავუჩქარე. მივდივარ, ქარიც უკან მომსდევს, მომწივის, მომშხუის. ფერმის შემოგარენს რომ გავცდი, ცხენის თქარათქური მომესმა და შიშმა სისხლი ამიჟრიალა. უფრო და უფრო გაძლიერდა ცხენის ფეხის ხმა, გაქცევა ვცადე, მაგრამ მუხლებმა მიმტყუნეს.

აი, უკვე დამეწია, მოვიდა, გულგახეთქილმა უკან მივიხედე. სადღაა მხედარი! ქარი შემდგარა მტვერის ბორბლებზე და გამგელებული მოქრის. ჩემივე თავის შემრცხვა. რამ შემაშინა? ...გულის ფეთებით მივედი შინ.

საბრალო დედა შეშას აპობდა. ნაჯახს ჟღონოდ უჩლახუნებდა თეთრი რცხილას კუნძს.

ბუხარი ქრებოდა. დედას ნაჯახი გამოვართვი, მაგრამ რკინასავით გამაგრებულ რცხილას ერთი ნაფოტიც ვერ ჩამოვათალე. მაინც არ მოვეშვი. ნაჯახს წკრიალი გაუდიოდა, ქაღალდივით თხელი ნაფოტები ცვიოდა. სიმწრის ოფლმა დამასხა, სუნთქვა შემეკრა.

უცებ დაბარებულივით კოლა ცხენით მოადგა ჭიშკარს, მაშინვე დედა გამოეგება. კოლამ ცხენი იქვე მიაბა მარგილზე და თვითონ დედას გამოჰყვა. მე ნაჯახს ხელი გავუშვი, მაგრამ მის მახვილ თვალს მაინც ვერაფერი გამოვაპარე.

— შენ და ნაჯახი. არა, არა! მომეცი.

ნაჯახი გამომართვა და მორს ჩახაჩუხი აუტეხა, ვერ გაუძალიანდა რცხილა, ორი მკლავი შეშა ერთ წუთს დაჩეხა.

დედამ ბუხარი გააჩაღა, მერე ღვინისათვის წავიდა მარანში.

კოლამ დრო იშოვა.

— იცი, რისთვის მოვედი?

— შეშის დასაპობად! — გავეხუმრე და გამეცინა.

— მართალია, — დამიდასტურა კო-

ლამ და მერე მოგვიანებით მკითხა, — რა პასუხს მაძლევ, აკი მატარებელში გითხარი; რომ ჩამოხვალ მაშინ მიპასუხემეთქი.

— თუ ასეთი რამ გედო გულში, სად იყავი აქამდის. რატომ არ მითხარი?

— განა ადვილია, ქალიშვილს უთხრა მიყვარხარო?

რა მეპასუხა, ადვილია-მეთქი?

გაწითლდა კოლა. ამან უფრო დამწვა, მომეწონა.

— კი მაგრამ, ახლა რამ გაგაბედვინა?

— ვეღარ მოვითმინე და გითხარი, გითხარი იმიტომ, რომ შემეშინდა, გოგოებში ხმა დაირხა, გურამ ლომიძეს მიყვებაო. ამ ელდას ისიც დაემატა, რომ შენ კორესპონდენტს სიმართლე უთხარი. მე ჩემი რკინის კანონი მაქვს. ტყუილი და ფლიდობა ჭირივით მეჯავრება. განგებ მოგიყვანე ის ნაყიდი ხბო, მინდოდა გამეგო, როგორ მოიქცეოდი.

— კი მარა, რომ დამემალა, მაშინ?

— მაშინ ის ლია არ იქნებოდი, ახლა რომ ხარ.

თქვა ეს და ხელი ხელზე ნაზად მომკიდა. მერე, თითქოს ღონე და გამბედაობა მოიკრიფაო, ოდნავ მომიჭირა. ცახცახებდა. სახე ისე აერია, მეგონა, მიმიზიდავდა, გულზე მიმიკრავდა და მაგრად მაკოცებდა. მაგრამ...

— უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია! — მითხრა ხმის კანკალით. ახლა უფრო მესიამოვნა ეს სიტყვები. ვიცოდი, რა გულითაც მეუბნებოდა და იმიტომ.

კიდევ მეტყოდა კარგ რამეს, მაგრამ დედა შემოვიდა და სველი ხელადა მაგიდაზე ჩამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რევაზ ინანიშვილი

# ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება

ავტობუსმა ფრთხილად გაიარა სხვა ავტობუსებს შორის, თავისუფალი ადგილი მონახა და გაჩერდა. ელენე ადგა, საწვიმრის საყელო და ქამარი შეისწორა, დაჭმუჭნულ კალთებზე რამდენჯერმე ჩაისვა ხელი, ჩანთა აიღო, შეიცადა სანამ სხვები ჩავიდოდნენ და მერე თვითონაც ჩავიდა. აქ წვიმა სულ არ ყოფილიყო, ღრმად ჩაისუნთქა და სიამოვნებით მიმოიხედა. „რა კარგია ასფალტი, სინათლე, სისუფთავე!.. თბილისში რომ არ იყოს?!“.

მკერდში რაღაც სჩხვლეტდა. ასე სჩხვლეტდა გზაზეც, მარტო გზაზე კი არა, გუშინაც, გუშინწინაც და ორი კვირის წინათაც. „ნუთუ გული მტკივა? სულელი ვარ! მტკივა და მტკიოდეს, ახლა?!“

მეზობელ ცოლ-ქმარს, ელიზბარსა და დაროს, ბევრი ბარგი ჰქონდათ, ისინი ტაქსის დაელოდებოდნენ. ელენემ მოიბოდიშა, ღიმილით დაემშვიდობა და ელბაქიძის აღმართისაკენ წავიდა. ორიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, მიხვდა — როგორღაც ულაზათოდ მიდიოდა. ჩანთა მარცხენა მხარზე გადაიკიდა, ხელები საწვიმრის ჯიბეებში ჩაიწყო და ნაბიჯი შეიცვალა. მიდიოდა თავდახრილი, თითქოს საკუთარი ფეხსაცმელების ცქერით იყო გართული. ხანდახან აიხედავდა და მაშინ... გრძნობდა, რომ თვალები ლამაზი ჰქონდა — დაღლილი, გრძელი წამწამებით დამძიმებული, სადღაც სიღრმიდან გამოშუქებული.

ელბაქიძის აღმართის დასაწყისში ერთი წამით შედგა. ჯერ აღმართს გახედა, რომელიც ბინდსა თუ პურუსში გახვეული ნათურებით იყო განათებული, შემდეგ — ხიდს. „წავალ ფეხით, იქნებ გზაშიც შემხვდეს“. ფეხსაცმელებზე დაიხედა, საწვიმრის დაჭმუჭნულ კალთაზე ისევ ჩაისვა ხელი. „თმა უარესად მექნება. ტროლეიბუსში ეთბილება. სითბოს არაფერი არ სჯობს. სინათლეს კიდევ. ტრამვაიში ყოველთვის ცივა. განსაკუთრებით ომის დროს. ნუთუ მართლა ისე საძაგლად ციოდა ომის დროს? თუ გვეჩვენებოდა?“

აღმართის დასაწყისში გაჩერება არ იყო. მტკვრისკენ გაბრუნდა, ხიდზე გავიდა და ტროლეიბუსს წიგნის პალატის სვეტებიანი სასახლის წინ დაუწყო ცდა. ქალაქის ეს ნაწილი მშვიდად სუნთქავდა, მოძრაობდა, ბრუნავდა: „რა კარგია, სიგნალის მიცემა რომ აკრძალეს“. სასახლის მაღლა, ჩაშავებულ ცაზე ცისფერი შუქით ეწერა: „შეიძინეთ და იკითხეთ წიგნები. წიგნი ცოდნის წყაროა“. იქვე ვითომც გადაშლილი წიგნი იყო დახატული, ვითომ იმ წიგნშიც რაღაც ეწერა. „ვილას სჭირდება თბილისში ასეთი წარწერები? მითუმეტეს ღამით, როცა ბავშვებს სძინავთ? რა დაჯდებოდა მაგ წარწერის გაკეთება? განა მარტო მაგის?.. რა მოხდება — ერთ დღეს ვინმემ ასეთი წარწერა რომ გამოჰკიდოს: „შენ ეი, წყნარად! ფრთხილად დააბიჯე ფეხი დედამიწას, რადგან, ვინ იცის, ეგ მტვერი შენს ფერხთა ქვეშ იქნებ მზეთუნახავი ქალის მშვენიერი თვალებისა

და წარმტაცი ტანის ნაშთია“... დადგება ათასი მუცლიზელია, დაალებს პირს და... ძლივს მობარბაცებს მთვრალი ყაყაჩო, ომარ ხაიამ!.. რა უცნაური ასოციაციების პოეტია ეგ ქალი?!“.

გაჩერებასთან სხვებიც იცდიდნენ — ორი მოსწავლე გოგონა და ერთი დედაბერი. მერე ერთი ბიჭიც მოვიდა. შავი კოსტუმი, მაღალქუსლებიანი მოკასინები და ჭრელი, წითელ-ყვითელ ზოლებიანი წინდები ეცვა. გოგონები აათვალიერა, ელენესკენაც გამოიხედა, შუბლი შეიჭმუხნა, მარცხენა ხელი კედელს მოაბჯინა, მარჯვენა დროგამოშვებით მიჰქონდა ტუჩებთან და სიგარეტს აბოლებდა. მოქაჩავდა, გააბოლებდა და გააფურთხებდა. ისევ მოქაჩავდა, გააბოლებდა და გააფურთხებდა. „რომ ვიცნობდე, სილას გავაწნავდი შიგ ტუჩებში, ან ზედ შემოვახევდი იმ გაპეწილ პიჯაკს. ალბათ, ეგეც აწონებს თავს რომელიმე ლამაზ გოგონას. გოგონას კი არა, ვინ იცის ათას გოგონას. ფუჰ!“..

ბიჭს ტროლეიბუსის გაჩერებისთვის აღარ დაუცდია, შეახტა და იმ წამსვე უკან გადგა. ავიდნენ მოსწავლე გოგონებიც. ბოლოს ელენეც ავიდა. ტროლეიბუსში მართლა თბილოდა და სასიამოვნო სინათლე იყო. მგზავრები ჩუმად ისხდნენ: „რატომ სხედან ასე ჩუმად?“ კონდუქტორმა ქალმა გააბა:

— მიიღეთ ბილეთები! შეიძინეთ ბილეთები! ახალგაზრდავ, შეიძინეთ ბილეთები!.

მაგრამ მალე ისიც დაჩუმდა.

„სულ ასე რომ იყოს, ქალაქი და... სიწყნარე, სიწყნარე“...

ელენეს გვერდით დაბალი მსუქანი კაცი იჯდა. თითები მოკლე ჰქონდა, ფუნჩულა. „თბილისს“ კითხულობდა. „თბილისს“ სხვებიც კითხულობდნენ. „გაზეთი ვარო, ამან დაიკავეხოს. ორი საათით ადრე დგებიან ამისთვის რიგში. რატომ სოფელში არ მოდის? არც სკოლა ღებულობს, არც სამკითხველო. ნახეთ ახალი ფილმი „რომაული არდადეგები“. რას ნიშნავს „რომაული არდადეგები“? მალე — „გამოსაცდელი დრო“. გამწყრალი კაცი, რაღაც ბეჭდიანი მოწმობა. „ეს ვიცი, რაც იქნება. ჩვენთან რა გადის, ნეტავ?“

მსუქანმა კაცმა გაზეთი დაკეცა და ჯიბეში ჩაიჭმუჭნა ფშვინვით: „რა საშინელებაა — კამეჩივით ფშვინავს. თუმცა... რატომ ვამბობთ ხოლმე ასე? კამეჩი არასოდეს არ ფშვინავს საძაგლად. ადამიანის ფშვინვა კი საზიზღრობაა. კამეჩი უცნაური, საყვარელი ცხოველია. რა სევდიანი, კარგი თვალები აქვს! ვის უწერია — კარგი თვალები აქვსო კამეჩს? მგონი გამსახურდიას. ხო, გამსახურდიამ იცის ხოლმე ასე: არაბია თამარს გავდაო, თუ თამარი არაბიას... „ძვირფასო თამარ! გახსოვს, საქართველოს მუზეუმში რომ გიჩვენე პალიმფსესტები. შენ იმ დღეს უყურადღებოდ მისმენდი. პალიმფსესტი ისეთი ეტრატია, რომელზედაც ოდესღაც რაღაც წაუწერიათ, მერე ეს წაუშლიათ, სხვა წაუწერიათ. ასეთ ეტრატს სინათლეში რომ გახედავ, ძველსაც შეამჩნევ და ახალსაც... ასეთი პალიმფსესტია ჩვენი სულიც. ვიღაც მოდის, აწერს და შლის, აწერს და შლის“... ო, როგორ კარგად მიკითხავდა სულხანი! რა დაემართა ახლა, რატომ აღარ უყვარს ეს დიდებული მწერალი?!..

გაოცდა, ამოდენა გზაზე რომ ამის მეტად არ გახსენებია. აქ უნდა ჩასულიყო კიდეც. „რომ ვერ ვნახოთ, სადმე რომ იყოს წასული! რა სისულელეა. მოვკვდები და ამით გათავდება ყველაფერი. ნეტავ მართლა თუ შეიძლება სიკვდილი ასეთი რამის გამო? ნუთუ არავის არ უწერია სადმე?.. მე მაინც მოვკვდები“.

ტროლეიბუსიდან მინერალური წყლების მაღაზიასთან ჩამოვიდა. აქ გავლაც კი ჭირდა. კოვბოური მძიმე ნაბიჯები, შავი კოსტუმები, ღია ფერის ჩინური საწვიმრები, სიცილი, პაპიროსები, მოკლე ფერადი პალტოები. ბრიჟიტ ბარდოსავით შეკრეჭილი თმები, შეღებილი თმები, გრძელი წვრილქუსლა ფეხსაც-

მელები, ჭადრების ტოტებზე შეხუნძლული ბელურები, ნეილონის უგამჭვირვალესი წინდები, მაღალი ფეხები, შინდისფერი ლამაზი ფეხსაცმელები...

„არა, ფეხსაცმელი ყველა გოგონას კარგი უნდა ეცვას. მარტო ახალი კი არა, კარგიც, ლამაზი. აი ასეთი. თუმცა ამ გოგონას თვითონ ფეხებიც ლამაზი აქვს. რას უნდა შეადაროს კაცმა, რასავით მოდის! ირემივით? მერე როგორ მოდის ირემი? მე ეგ უფრო არ ვიცი. არ ეცოდინება არც აქ მოსეირნეთა ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს... ქალაქში ლამაზი ფეხები ბევრს აქვს... სოფელში იშვიათად. ნარგიზა საამაშვილზე თუ იტყვი ჩვენთან. ისიც დაამთავრებს წელს და... მათიკო ხუთს არ დაუწერს. საცოდავი მათიკო... შეიძლება სწორედ ამის გამოც ვერ იტანს, რომ ნარგიზას ისეთი ლამაზი ფეხები აქვს, მათიკოს კი... არც მე მაქვს ლამაზი ფეხები, მაგრამ მათიკოსნაირი მუთაქებისაგან ღმერთმა დამიფაროს. ფეხები — პოლონელების ჟურნალ „ფილმში“.

ოფიცერთა სახლის კინოდარბაზში „დიდი კარუზო“ გადიოდა, ძერჟინსკის კლუბში — ინდური ფილმი „ახალი დელი“.

„ყველა ინდური ფილმი რაჯ კაპურის გადაღება მგონია. ინდოეთი კი... ო, რა საოცარი სიმშვიდითაა ნათქვამი ინდოეთში: „ბალახის ვალია, რაც კი ძალი და ღონე აქვს, შეისრუტოს ფესვებში გამოსაკვები წვენი, რათა თავის ადგილზე ბალახად ამოიზარდოს. იგი არ ცდილობს ბანიანგის ხედ გადაიქცეს და ამის გამო დედამიწა მომხიბვლელი მწვანით იმოსება“. ნუთუ ამ ცრუ შანსონეტებისა და კოვბოების არმიიდან არავის წაუკითხავს ეს სტრიქონები?“..

ბესიკის ქუჩაზე შუქიც ნაკლები იყო და ხალხიც. ძერჟინსკის კლუბთან კიდევ ტრიალებდა ოციოდე კაცი, მერე თითქმის აღარავინ არ იყო — ხეებისა და მათი ჩრდილების მეტი. ჩანთა ისევ მარცხენა მხარზე ჰქონდა გადაკიდებული და ასე მიდიოდა აღმართზე — თავდახრილი, ჯიბეებშიხელებჩაწყობილი.

„თინა შინ არ იქნება. დღეს შაბათია. ნეტავ რამეს თუ ასწავლის ის ტუტრუცანა კლავდია ისაევნა. თუმცა რა! იქნებ მე უარესი გავხდე მაგის ხნის. ვინ იცის, ზის ათეულ წლობით მარტო და“...

კუთხიდან ორნი გამოვიდნენ. თითქმის მორბოდნენ თავდაღმართზე. ელენემ შორიდანვე იცნო.

„აი, ბედნიერი ცოლ-ქმარი. როგორი კმაყოფილი გამომეტყველებით მოდიან, ღმერთო ჩემო! მაგათთვის ეხლა სხვა არავინ არსებობს. შეიძლება ისე ჩამოიარონ გვერდზე, რომ არც კი შემომხედონ. თუ ასე მოხდა, მე ხმას არ ამოვიღებ. გაუშვი, იყვნენ ასე კარგად, ერთმანეთში ჩახვეულნი“.

მაგრამ ზაზამ მოიხედა. ის იყო უნდა გასცდენოდნენ და ზაზამ მოიხედა:

— ე, ელენე! — ამოიძახა გაკვირვებით.

— უიმე! — სწრაფად ამოიღო პალტოს ჯიბეებიდან ხელები ლილიმ. მოეხვია, აკოცა და ერთ ხანს ასე იდგნენ — ლოყალოყაზე მიდებულნი. ზაზას ელენეს მარჯვენა ხელის თითები ეკავა და ღიმილით დასცქეროდა ფეხებზე.

— ჩექმები აღარ გაცვია?

— იქ დავტოვე.

— მართლა ჩექმები გაცვია ხოლმე? — შიშით გაუდიდდა თვალები ლილის.

— აბა, მაშ როგორ?!

— არ გამაგიჟო! დიდი, მძიმე ჩექმები?

— აბა, მაშ რა! სოფელია, ტალახი.

— მერე არ გიჭირს თრევა? — შეწუხდა ლილი.

— მუშას ქირაობს იმისთვის ცალკე.

— კაით, რა, არა გრცხვენიათ?

ზაზა ხარხარებდა.

— რა ბულკი რამა ხარ, გაგიჟდები.

ელენე უყვავებდა, როგორც პატარა ბავშვს.

— ლილი, ლილი...

ლილი კი წითლდებოდა და ხან ზაზას მიუბრუნდებოდა, ხან ელენეს:

— კარგით რა! კარგით!

— კარგი ახლა, ზაზა! — თქვა ელენემ. — როგორა ხართ, რა ამბებია ქვეყანაზე. ნათელა როგორ არის?

— არ იცი? მერაბს გაყვა. იმ შაბათს მოაწერეს ხელი.

— ხოო?

— არ გიკვირს მერე? რა ყველაფერში უცნაური ხარ, გადასარევია. მერაბს ჭკვიანი გაჰყვებოდა ვინმე?

— განა ნათელა ამბობს, რომ ჭკვიანი ვარო?!

ლილიმ ალტაცებით შეხედა, მერე ლოყით ლოყაზე მიეხუტა:

— კლასიკური ტიპი ხარ, პირდაპირ! — უცებ ჩანთა გამოსწია. — ე, ახლა მოდიხარ?

ელენემ თავი დაუქნია.

— გადასარევია, რა ნახე იმ სოფელში. შენ, იქ რომ ჩაბერდე, ალბათ, იმაზეც არ იტყვი უარს.

— შეიძლება.

— ბარემ გაჰყევი ერთ ფერმის გამგე ვინმეს, ან ტრაქტორისტს და ეგ იქნება...

— ეგაც შეიძლება. რატომ არა ვითომ?!

— წიწაკა ხარ... ჩვენთან რომ არ მოხვიდე, ხმას აღარ გაგცემ. ხვალ სულ სახლში ვიქნებით. იცი, რა სურათი გააკეთა ზაზამ? აი!

— ხოო, ზაზა?

— ლაპარაკობს რა!

— მაგან, ხომ იცი, ყველაფერზე ასე უნდა თქვას. გადარეულია ქობულაძე.

— ვეცდები, გინახულოთ. ახლა გაიქეცით, სადღაც გაგვიანდებათ, გეტყობთ.

— მამიდაჩემი უნდა ვნახოთ.

— ნუნუკა?

— ხო, ნუნუკა.

— მოკითხვა გადაეცით ჩემგან.

გაეცინათ და ასე სიცილითა და ხელისაწევით დაშორდნენ.

— ხვალ გელით! — კიდევ ერთხელ მობრუნდა ლილი.

— ვეცდები.

ცოტა ხანს უყურებდა და მერე ისევ აღმართს აუყვა.

„რა კარგია, ასეთი მიამიტობა. მიამიტობა, თუ სიმსუბუქე. ასე მგონია, სურნელოვანი ფუმფულა ბეწვი მიესვა-მოესვათ ყელსა და ლოყებზე. ყოველ შემთხვევაში ბიჭებს მაინც ძალიან უნდა მოსწონდეთ. სად ზაზა და სად ეგ, მაგრამ... ესმა უარესია. ესმას ხუთი წიგნიც არ ექნება ბოლომდე წაკითხული... როგორ არ მითხრეს არაფერი! მეკითხა, რა მოხდებოდა! უბრალოდ — აქ იყო თუ არა. აქ რომ არ იყოს! მოვკვდები და ეგ იქნება. მხოლოდ დამანახვა, მეტი არაფერი არ მინდა. მხოლოდ დამანახვა, მომაკიდებინა ხელზე ხელი და გამაშვებინონ იმავე წამს... მივალ ახლა შინ, გამოვიცვლი კაბას და წავალ. ხომ მიხვდებიან, რომ ახლა ჩამოვედი და მაშინვე მასთან გავიქეცი? არა, ამ საღამოს მოვითმენ. ადრე დავიძინებ და ხვალ წავალ. რაღაცნაირი ქალია დედამისი. ვერაფერს ვერ გაუგებ — კარგია, თუ ცუდი. ვინ იცის, ისევ არაფერს არ აკეთებს და დადის მთელი დღე. ესმასაც ეს უნდა: ატარე აქეთ-იქით და აცინე... ნეტავ ის სურათი თუ დაამთავრა მაინც... რა საშინელი ყინვა იყო ორმოცდათხუთმეტ თუ ორმოცდათექვსმეტ წელს! აი, ზედ აქ დამისხლტა ფეხი. მერე მთელი თვე ტრაბახობდა, რა მარჯვედ დამიჭირა. საერთოდაც უყვარს ტრაბახი. თუმცა ვერ გაიგებ-ტრაბახობს თუ დასცინის საკუთარ თავს. მთელი ჩვენი ახალგაზრდობა ასეა. ჩვენი მასწავლებლების გამოკლებით... ოჰო! ისევ ქეიფის სამზადისი! განა რამდენი დაბადების დღე და დღეობა აქვთ ამ ალავიძეებს! რა ეღირება ნეტავ ეს ამოდენა სახლი? ჩვენ ერთი ფანჯრის ჩარჩოს გამოცვლა ხუთასი მანეთი დაგვიჯდა. ამას, ალბათ, ხუთასი ათასი მანეთი მაინც დასჭირდებოდა. წადი და უძახე რამდენიც გინდა — ხინკლების გამყიდველი".

ქუჩის ნათურის ქვეშ საათს დახედა. რვა სრულდებოდა.

„შეიძლება თინა უკვე შინაც არის. თუმცა შინ რა დააყენებს, ისიც შაბათ

საღამოს! ეთერისთან იქნება, კინოში წაალაჯუნებდნენ. შინ რომ მივუსწრო. კინოში მეც წავალ. სხვათაშორის, სოფელში უფრო მეტი ფილმები გადის. იქ ყოველდღე ახალ-ახალი სურათი მოაქვთ. მაგრამ იქ ნანახი ფილმი!.. ვინ აჩუქათ ნეტავ ის ზეწარი, ეკრანად რომ აქვთ? იმხელა სოფელია, იმოდენა შემოსავალი აქვს კინოს და ერთი რიგიანი ეკრანი ვერ გაუკეთებიათ. გახმოვანება ხომ... აქაც ისევ ძველებურადაა ყველაფერი! ალაყაფის კარი ისევ ჩამოვარდნილია. თენგიზზე ლოქო ჯეელი ?ეორე თუ იქნება ქვეყანაზე! დედიკოს თენგიზიკო! ნეტავ რა ქალმა უნდა აკოცოს მაგ დოყლაპიას. დილაზევე გამოვიტან ჩაქუჩსა და ლურსმნებს და მე გავაკეთებ ამ ალაყაფს. აი ხალხი — ძია გურგენი და სონიჩკა. სხედან და სვამენ ჩაის. შვილი მაგათ არ აწუხებთ და ძირი. მართლა, ნეტავ ოლიას როგორა ჰყავს პატარა გოგო? დედა, ალბათ, მელის. დედა ყოველ შაბათს მელის... ჩვენ ეს კიბე ვერ გამოგვიცვლია ამდენ კომლს და ხინკლების გამყიდველი ალავიძე სასახლეს იშენებს და წელიწადში ორმოცდაათ ნადიმს იხდის“...

ძირს, პირველ სართულზე, ვიღაც გამოვიდა. ნაბიჯებზე იცნო.

„მარგოა. ეს კი არ არის! ატყავებს საწყალ მამამისს და ძმებს“.

კარზე დააკაკუნა.

„საბრალო დედაჩემი. ხვალვე უნდა ვუყიდო თბილი ფეხსაცმელები. თინას პერანგს ვუყიდი და დედას თბილ ფეხსაცმელებს. ეტყობა, მუხლები ისევ ასტკივდა. როგორ მოდის! რა ვქნა, როგორ მოვახერხო, რომ წყალტუბოში წავიყვანო ერთი ორი კვირით? ახლა ისე ღელავს, ვეღარ მოახერხებს გასაღების გადატრიალებას“.

— ელენე ხარ?

— ხო, მე ვარ. ნუ ჩქარობ. ცოტა ძირს დასწიე და ისე გადაატრიალე.

— გატიალდეს, აჰა...

კარი გაიღო.

— გენაცვალოს დედა, შვილო.

დედა ნიკაპამდეც ვერ სწვდებოდა. თვითონ დაიხარა და აკოცნინა. „ახლა დაიწყებს. აი, უკვე“... მარცხენა ძუძუს ზემოთ თბილი სისველე იგრძნო. „უკვე მოუშვა ცრემლი“. თავი ააწევინა, გაუცინა და გაუწყრა.

— რა გატირებს, ქალო, მოვედი, ხომ არ მივდივარ სადმე!

— დედა მოგიკვდეს შენ, როგორა ხარ გაყინული...

— გაყინული კი არა, ის მოიგონე ახლა! კარგი, გაჩუმდი, ქალო, რა მაქვს სატირალი. თინა სად არის?

— თინა ეხლა გავიდა, ეთერისთან. იქ თუ გიდგას ფეჩი.

— ფეჩიც მიდგას და ღუმელიც. ეს რა არის, როდის გადაიღეს?

— შვიდ ნოემბერს გადაუღია ერთ ამხანაგს და მერე გაადიდებინეს.

— თინა არ არის კარგად. აე მატრაკვეცა ციალას რა აქვს ის ხელში?

— ჩხაკუნაა, ეთერის კიდევ ბატიბუტი უჭირავს ძუჭით. თან ბატიბუტს ჭამენ და იმიტომ არიან ეგრე გამოსული.

ელენემ ჩანთა მაგიდაზე დადო. საწვიმარი გაიხადა, სარკეში ჩაიხედა და ხელების დასაბანად წავიდა სამზარეულოში.

— მოიცა, მაგ პირსახოცზე არ შეიწმინდო, სუფთას მოგცემ, — დაედევნა დედა.

— მუხლები ისევ აგტკივდა, არა?

— ისე, ცოტა.

დედას იაფფასიანი ბამბის შავი წინდები ეცვა. ფეხები ელენეს გამონაცვალ ქუსლჩაკეცილ ჩუსტებში ჰქონდა წადგმული.

— ხომ გეუბნები, რომ მატყლის წინდები იყიდე და ჩაიცვი მეთქი.

— არა მტკივა, გენაცვალოს დედა, ეს აი, საღამოობით, ცოტა.

— ვიცი მე.

წყალი მოუშვა და კოფთა გადაიძრო.

„ნუთუ ქართველი ქალის მეტი სხვა ვინმე დათრგუნავს საკუთარ თავს ასე? წარმოდგენაც კი არ შემიძლია — დედა თუ ახალგაზრდა იყო ოდესმე; თუ იყო

დრო, როცა ქალური ვნებით იცვამდა წინდებს და ეს ვენებდაგანიერებული, უსიცოცხლო ფეხები ძვირფასი იყო სხვა ვინმესთვისაც. სურათი რა — მე თვითონ უნდა მახსოვდეს ჩემზე პატარა ხნის. მე კი სულ ასეთი მახსოვს. სულ რეცხვა, სულ სადილი, სულ იატაკის წმენდა, სულ დაღლილი"...

ონკანი დაკეტა, პირსახოცი აიღო და სარკესთან მივიდა.

„ჩემს მეტს აღარავის არა აქვს თმა ასე. როგორა ვარ გამხდარი, ღმერთო ჩემო, შეეშინდება ადამიანს! თვალები?... რა თვეში ვიხლი ნეტავ თვალებს. ის სხვა საუკუნეები იყო, თვალებით რომ აფასებდნენ ქალს. ახლა ზურგიდან... არაფერი არ მინდა, ჩემი თავი დამანახვა სივრცეში. როგორ დავდივარ, როგორ გამოვიყურები სხვებს შორის. როგორ ვიღიმები, როგორ ვლაპარაკობ, ვჭამ... რა სურნელებას აფრქვევდა ლილი! ვარდის ზეთი ყოფილა ყველაზე ძვირფასი. ერთი ლიტრი ვარდის ზეთი ერთ კილოგრამამდე ოქრო ღირს თურმე. მე ამ „ნოვაია ზარიას" ვერ გავცდი"...

სარკეში დედა ჩადგა მორიდებით.

— თამრიკო როგორ არის?

— კარგად, შვილო.

— დედა იყო ერევანში?

— იყო, მაგრამ ვერაფერი ვერ ჩამოიტანა, უთოს მეტი.

— რატომ?

— არაფერი არ ყოფილა ისეთი.

— მე რომ გეუბნებოდით, თქვენ არ გჯეროდათ.

ელენემ სავარცხელი დადო და ხალათი შემოიცვა.

— სუფი გვაქვს, შვილო, ცხელი.

— სუფი კი არა, რაც გინდა, ის იყოს. საშინლად მომშივდა. რატომ არაფერი არ ვიყიდე, რომ ამოვიარე?!

— ხელფასი აიღე?

— ხო.

— რა უნდა გეყიდნა, კარგი მწნილი გვაქვს. შენ რომ გიყვარს — სტაფილოთი და დაფნის ფოთლით.

— რაც გინდა, ის იყოს. ხვალ გავაკეთოთ კარგი სადილი. მარტო ხომ არ შევჭამ? შენც დაჯექი.

— ჩვენ ახლა ვისადილეთ, გენაცვალე, მე და თინამ.

— მერე რა! კიდევ შეჭამე ცოტა. მოიცა, შენ დაჯექი. მე მოვიტან. ისეთი კარგი საწვენებია ოცდახუთ მანეთად, არ დამავიწყოთ, ხვალ ვიყიდი. ოლიას გოგო როგორა ჰყავს?

— კარგად. ისე იღრიჭება მაიმუნი... შენ გკითხულობს ხოლმე. შემოვა და დაგეძებს. ძალიან უყვარხარ.

— ვინმე ხომ არ ყოფილა ჩემი ამხანაგებიდან?...

გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო, მოეჩვენა, რომ დედამაც გაიგონა ეს ხმა.

— ზაირა იყო და რაღაც წიგნი წაიღო. თინამ მისცა.

— ჩემი წიგნებიდან?

— ხო, მგონი,

„რას წაიღებდა ნეტავ? რემარკს, ალბათ. არა, რემარკი აქ არის. ეხ... იმას ისე ვახსოვარ, როგორც მე... ვინ ვთქვა... წინათ ათასში ერთხელ მაინც შემოივლიდა ხოლმე და ახლა... ახლა უკვე ის უცნაური ქურთუკი ეცმება. უხდება კი. თუმცა იმას ყველაფერი უხდება — ძველიც და ახალიც, ჩვეულებრივიც და უცნაურიც. რა გააუთოვებს ჩემს საწვიმარს"...

სუფრა გააწყო. მერე ტახტზე დაჯდა, ფეხები აიკეცა და ზედ შალი შემოიხვია. კოვზი ნელნელა მიჰქონდა ორთქლმოდებულ წვენთან, თვალი უშტერდებოდა. ფიქრები მოდიოდნენ მბრუნავი ლაქებივით, სხვადასხვა ფერის ლაქებივით. ციმციმებდნენ ბინდში თუ ბურუსში გახვეული ნათურები, რაღაცას დარდობდა დედა, მხიარულად იცინოდნენ ზაზა და ლილი, ცახცახებდნენ შპალერაკრული ძველი კედლები...

„ასეთ სახლებს, ჩვენი ბინა რომ არის, უნდა მიუყენო ბულდოზერები და პირდაპირ მტკვარში! ვინ იცის, ვინ ააშენა და როდის! ვინც რა უნდა თქვას, და მე კი მილიონჯერ მირჩევნია, სა-

ბურთალოზე რომ აშენებენ, თეთრი, თეთრი სახლები... რა დამემართებოდა — რომ შემოსულიყავი და აქ დამხვედროდა? ერთხელ რომ დამხვდა. აბანოდან რომ მოვედი და ის აქ დამხვდა. მაშინ... რა იქნება, რომ ახლა დააკაკუნოს? მოვახერხებდი წამოდგომას? მოვახერხებ. მე ისეთი ბაიყუში ვარ, მოვახერხებდი. მე ყველაფერს მოვახერხებ, გარდა... არ გადაირევა, რომ ვუთხრა ერთ დღეს — მიყვარხარ მეთქი? რა გამოვა აქედან? ცოტა ხანს გაწითლდება, მერე დამადებს თავზე ხელს, დამაშტერდება, შეიძლება მაკოცოს კიდეც, როგორც უფროსები ჰკოცნიან პატარებს რაღაც დანაშაულის პატიების ნიშნად, და ეს იქნება სულ. სამუდამოდ დავკარგავ და ეს იქნება. ესმამ რომ გაიგოს! ფუჰ, მოვყევი რაღა“...

დედა რაღაც წერილზე ეკითხებოდა — მიიღე თუ არაო. ელენეს არავითარი წერილი არ მიუღია.

„შარშან კიდევ მომწერა ორჯერ. წელს“...

— ბორია მთხოვდა შენს მისამართს.

— აბა ბორია.

— პატარა ბორია, ვოლსკებისა. უეჭველად მოვწეროო.

— სად წავიდა რო?

— ჯარში წაიყვანეს.

— რას მელაპარაკები. ამხელაა განა?

— ცხრამეტის ხდებოდა და წაიყვანეს.

— კარგი ბიჭია. იმისი და? შეურიგდა ქმარს, თუ ისევ შინ უზით?

— შეურიგდა კი არა, ისეთი ჩხუბი მოუვიდათ ვალოდიას და იმის ქმარს, კინაღამ დახოცეს ერთმანეთი.

— ეგ ვალოდიაც არის, რაღა! მოდი, იცი რა — ახალი ფარდები ვიყიდოთ და ესენი წინ გავაკეთოთ, შუშაბანდში.

— ფარდები კი არა, შვილო, შენ ერთი თბილი ჯემპრი იყიდე. ჩემი პენსიიდან დაგიმატებ, ოღონდ იყიდე. თინას ბუზგალტერები ჩამოუტანა ჩეხოსლოვაკიიდან, ლეილა რომ ყავს ამხანაგი, და ერთი შენ მოგცა. სადღაც აქვს შენახული.

— მერე თინას ბუზგალტერი მე გამომადგება?

— შენი პატარაა. სვიტრებსა და ამისთანა რამეებზეა კარგი ჩასაცმელი. რეზინივითაა რაღაც.

„ვინ დაიჯერებს, რომ მამაკაცის ხელი არ მიჰკარებია ჩემს ძუძუს? ოცდაშვიდი წლისა კი უნდა გავხდე საცაა. განა არა მაქვს საამაყო? ოხ-ო-ხო!“...

— რადიო ხომ არ გაფუჭდა, რატომ არ მუშაობს?

— არა, მე გამოვრთე. რაღაცას ყატყატებდა და... გინდა, ჩავრთო.

— არა, მე ჩავრთავ.

„მსახიობის ცხოვრება“... მსუბუქი მუსიკა... ნეტავ თავდაპირველად რომელმა ჭკვათამყოფელმა თქვა ეს? ჭკვათამყოფელმა თუ მართლაც ჭკვიანმა? რამდენ ტუტრუცანას აძლევს მარტო ეს სახელწოდება ცხვირის აპრეხის საბაბს. რამდენი იდიოტი უსმენს პატიების ღიმილით შტრაუსს იმის გამო, რომ სიმსუბუქის მოყვარულად არ ჩათვალონ სხვებმა. ფიცრისა უნდა იყო ადამიანი, რომ ესა და „გაზაფხულის ხმები“ არ გიყვარდეს. ფიცრისა... ან დიდი ბაიყუში. მე ხომ ბაიყუში ვარ? ჩემს ამხანაგებში ყველაზე დიდი ბაიყუში მე ვარ. ყველანი ამას ამბობენ. წელან ლილიმაც ხომ მითხრა... ლილის უთუოდ არ ეყვარება შტრაუსი. სულხანს კი უყვარს. იმან მითხრა — ვაგნერს შტრაუსი დიდ, დიდ კომპოზიტორად მიაჩნიაო. რა იქნება, ღმერთო, ჩემი რომ იყოს? არა, ჩემი კი არა, ვგრძნობდე ხოლმე, რომ ის მეორე ოთახში მუშაობს და მე აქეთ ვიყო. ის მუშაობდეს, აი ისე, როგორც ხანდახან იცის ხოლმე წვერგაუპარსავი, ხალათამოჩეჩილი... არ მინდა არაფერი, მის სუნთქვას ვგრძნობდე ახლოს. დამიძახოს და წყალი მივუტანო. დალევს და ღონიერ ხელის ზურგს გაისვამს ტუჩებზე. თუნდა თავისთან ნურც შემიშვებს. პატარა მხევალივით დავიძინებ მის კართან და ჩემზე ბედნიერი ადამია-

ნი არ იქნება ქვეყანაზე. ნეტავ შინ თუ იქნება ახლა? არა, დღეს რომ არა ვნახო მოვკვდები“.

შალი გადააგდო, წამოდგა და სიცხიანივით დაიწყო აქეთ-იქით ყურება.

— უთო ჩართე, საწვიმარი უნდა გავიუთოვო.

— რა, მიდიხარ სადმე? რაღა დროს წასვლაა, შვილო, ათი დაიწყო.

„თუნდაც თორმეტი იყოს, თუნდაც პირველი“...

— ლილისთან უნდა მივსულიყავი ცხრაზე. მელოდებიან. თუმცა ნუ ჩართავ, არ უნდა გაუთოება, თბილი კაბა მომეცი. ისინი გამომაცილებენ — ლილი და ზაზა. აქვე ცხოვრობენ...

„მოვკვდები, რომ ვერ ვნახო. ვინც რა უნდა, ის თქვას... მოვკვდები, რომ არ ვნახო“.

ხელები უკანკალებდა. ფეხი უარესად, როცა წინდის ჩაცმა დაიწყო. შეშინებული უყურებდა დედა და იმასაც ხელები უთრთოდა, წინგამოწვდილი ეჭირა კაბა და ხელები უთრთოდა.

„ასეთი სცენებიღა აკლდა ამ საბრალოს. მაპატიე, დედა. მე არავისთვის არაფერი მითხოვნია არასოდეს. პირველს შენ გთხოვ და მაპატიე, დედა... მე რომ ნამდვილი ბაიყუში ვიყო, ახლა ვეტყოდი, ყველაფერს ვეტყოდი. ისე ვეტყოდი, როგორც მატყლის წინდებზე ვეუბნებოდი. მაგრამ ტყუილად ვირწმუნებ თავს — თითქოს რამე შეეძლოს. მეც ისეთივე წირპლიანი დედაკაცი ვარ, როგორც მილიონობით სხვა. რომ მოვინდომო კიდეც, ვერ ვიტყვი, ცრემლები ამომაღრჩობს მანამდე“...

— მაპატიე, მარტო რომ გტოვებ. სულ მალე მოვალ. მე თინას მოვუსწრებ. რაღაც უნდა მაჩვენონ. ვნახავ და წამოვალ იმ წუთშივე.

დედას არაფერი არ უთქვამს. დედას გაკვირვებული, შეშინებული თვალები ჰქონდა და ნაძალადევად იღიმებოდა.

— წადი, შვილო, სადაც გინდა, იქ წადი.

კიბე ჩაირბინა. ძირს, ეზოს ონკანზე მარგო რაღაცას რეცხავდა. მოიხედა და გაუღიმა.

— ოხ, **учительница**! როგორა ხარ? ახლა ჩამოხვედი?

— ახლა ჩამოვედი, გენაცვალე, მარგო, უკაცრავად, მეჩქარება. ხომ კარგად ხართ? მამა როგორ არის? საავადმყოფოში ხომ არ დაწვა?

— არა, ჯერჯერობით თავს იკავებს.

— კარგად იყავით, მარგო, გენაცვალე, უკაცრავად, ასე შორიდან რომ გკითხულობთ!

„ათის ნახევარი. ათ საათამდე მივალ. ათ საათამდე არც არაფერი უჭირს, რომ მივიდე. რაღაცას მოვიგონებ, რაღაც მიზეზს მოვიგონებ გზაზე. როგორი გაკვირვებული თვალები ჰქონდა დედას! ვინ იცის, რას არ ფიქრობს ახლა. მე კი სულელივით გავრბივარ. ასე არ შეიძლება, ასე რომ გავრბივარ. ვინმემ რომ დამინახოს, უეჭველად გამაჩერებს და მკითხავს — ცუდი ხომ არაფერი მოხდაო. ამის თავი არა მაქვს... დედამისს უფრო არ გამოეპარება არაფერი. საერთოდ მაგ ხნის ქალებს არაფერი არ გამოეპარებათ. მივალ და ვთხოვ, რომ... რას სთხოვ, რას მოიფიქრებ ასე სწრაფად! რატომ არ არის ჩემს ადგილზე სხვა?! აი, თუნდაც ესმა. ესმას ალბათ თორმეტ საათზედაც არ დაერიდება მისვლა. ისეთ მიამიტურ გამომეტყველებას მიიღებს, ისე ლამაზად დაირცხვენს, რომ იმას თორმეტ საათზედაც არ დაერიდება კარზე დაკაკუნება“...

პროსპექტზე ხალხი შეთხელებულიყო. აღარ მირბოდა, მაგრამ მაინც ჩქარა მიდიოდა.

„ღმერთო, რა იქნება რომ ქუჩაში შემხვდეს. რამდენჯერ მინატრია ასე — შემხვდეს მეთქი და შემხვედრია. რა იქნება, რომ ახლაც შემხვდეს, ღმერთო... შინ თუა, ესმაც იქ იქნება. დღეს შაბათია. არა, ტყუილად მივრბივარ. დღეს შაბათია და ესმა სადმე წაიყვანდა, ვიღაც ამხანაგს ან დაბადების დღე ექნება, ან ქორწილი, ან... ესმა უიმისოდ ვერ გასძლებს ისიც შაბათ საღამოს!

მე ისიც ვერ გავიგე — თბილისშია თუ არა საერთოდ. თუ აკიდებული აქვს რუკზაკი და დაეხეტება სადღაც მთებში. იმას ხომ ამ დროს უყვარს სიარული, როცა მოდასაყოლილი მოგზაურები არ გხვდებიან ყოველ ნაბიჯზე, მით უმეტეს — მზისაგან ცხვირგადატყავებული წიკვინა ქალები... ლაღიძის წყლებთან ზაური იდგა და ვიღაც ბიჭებს ხელების შლით ელაპარაკებოდა. „დავუძახებ და ვკითხავ — ხომ არ დაუნახავს. დავუძახებ და ვკითხავ. რომ მკითხოს, რად გინდაო? საქმე მაქვს მეთქი. არ გაუკვირდება? მათ ოჯახში შინაურად მთვლიან და ქუჩაში კი ვკითხულობ. ვეტყვი, სახლში ვიყავი და შინ არ დამხვდა. ვეტყვი, რომ“...

— ზაურ!

ზაურმა ვერ გაიგონა.

— ზაურ!

ვიღაც ბიჭმა მოახედა — გეძახიანო.

ზაური მობრუნდა და ხელებაწეული წამოვიდა.

— ამას ვის ხედავს ჩემი თვალები!.. — მაღლიდან დასწვდა, თავი გადაუწია და შუბლზე აკოცა. — როგორა ხარ, ჯიგარო!

— კარგად, ნასვამი ხარ?

— არა, ირას თავს გეფიცები. მოდი იცი რა — თითო ჭიქა შამპანური! აი, იმ მატრაბაზების ჯიბრზე ჩამომყევი. შენ თუ გინდა, მარტო წყალი დალიე, ოღონდ ჩამომყევი.

— არა, გენაცვალე, ზაურ, არ მცალია, იცი რა? სულხანი ხომ არ დაგინახავს აქეთ?

— შინ არ არის?

— შინ?

ელენეს ტყუილი უნდა ეთქვა.

— შინ? — გაიმეორა ანგარიშმიუცემლად.

— ხო, ახლა გამოვიარე და შინ იყვნენ ყველანი: ესმა, იმისი ამხანაგი, აი, წითელთმიანი გოგო როა, მერცია თუ მირცა... სულხანი იმ წითელთმიანს ხატავს და ესმა რა გოგო დასტოვებს მარტოებს.

— ხოო? მაშინ წავალ, მაშინ შინ ვნახავ. საქმე მაქვს, იცი!

— მე არ შემიძლია? მითხარი, ელიკო, ჯიგარო. ჩემი თავი მოგიკვდეს — გინდა ახლავე ვცემო ვინმეს? შენ მითხარი და გინდა სამსა ვცემო ერთად.

— შენ მაგ ცემას თავი დაანებე, თორემ... განა პატარა ბიჭი ხარ კიდევ.

— ქვეყანა მურტალი ტიპებით არის სავსე, ელიკო, ჯიგარო. შენ ჭკვიანი ხარ და ეს ჩემზე კარგად იცი. იმათთან ლაპარაკი არ შეიძლება. იმათ — სიფათში!

— ფუჰ, არაყით ხარ გაჟღენთილი.

— არა, ჩემი თავი მოგიკვდეს. ირას გეფიცები.

— კაი, კაი, გელოდებიან. რაღაცას უყვებოდი, მიდი, მოუყევი.

— წავიდნენ მაგათი. უნდა გაგაცილო.

— რა გაცილება მინდა, აქვე არ არის?

— მაღლა ვერ ამოვალ, დაბლამდე კი მიგაცილებ. ახლა ვიყავი და გამომაგდეს პირდაპირ. ირას გეფიცები, გამომაგდეს. დეიდა ნინომ გამომაგდო.

— არ მინდა, გენაცვალე ზაურ, წადი, ამხანაგები გიცდიან.

რამდენიმე ნაბიჯი ჩქარა გაიარა. მერე ნაბიჯს უკლო. მერე შეჩერდა და მობრუნდა კიდეც, მაგრამ ისევ წინ წავიდა.

„აი ვინა ვარ მე. ზაური ჩემი გულისათვის თუნდაც სამ კაცს სცემს ერთად. ზაზაც სცემს სამ კაცს. სულხანი — ალბათ უფრო მეტს. მერე მოვლენ და გამომეჭიმებიან გამარჯვებული მოწაფეების სახით. მე დარიგებას დავუწყებ, რომ ასე არ შეიძლება, რომ სხვანაირად უნდა მოიქცნენ. ისინი სიტყვის შემოუბრუნებლად მომისმენენ. გააკეთებენ კიდეც, რასაც ვეტყვი. აღარ იჩხუბებენ. აღარ დათვრებიან. თუ სადმე ლაპარაკი ჩამოვარდა, იტყვიან, რომ ჭკვიანი, უცნაურად ჭკვიანი გოგო ვარ და მორჩა, ამით თავდება ყველაფერი. არ მახსოვს, რომ ვინმე გამთამამებოდეს და თუნდაც მკლავზე მოეკიდოს ხელი სხვაგვარად,

მამაკაცი რომ მოჰკიდებს ქალს. ზაური ხომ მთვრალი იყო, მაინც როგორმა შიშმა გაურბინა თვალებში, შუბლზე რომ მკოცნიდა... რა დაემართა ამ ბიჭს? სულ სვამს, სულ სვამს. როგორ უყვარს და! როგორ ეფერება ხოლმე, როგორ დაყავს! ისიც როგორ არის გაამაყებული ამით! ზაურის დაა, ზაური სულ მას იფიცავს! მე რომ მყავდეს ეგეთი უფროსი ძმა, იმას ყველაფერს ვეტყოდი. რა კარგია დიდს, ძლიერს რომ უმხელ რამეს. თუმცა მე დარდი მომკლავდა. მე რომ მენახა თითქმის ყოველდღე ასე მთვრალი, დარდი მომკლავდა. რა დაემართა ამ ბიჭს! როგორ უყვარს ყველას და... ვისი ჯიბრით იქცევა ასე: „ჯიგარო“, „სიფათში“, „მატრაბაზები“... სადღაც ჯანდაბაში მივეთრევი ნეტავ. აქვე გადავალ მეორე მხარეს და დავბრუნდები. ნელ-ნელა დავბრუნდები. ანდა რატომ? დედას ხომ ვუთხარი, მალე დავბრუნდები მეთქი. ავალ ტროლეიბუსში და“...

ტროლეიბუსში კიდევ ერთხელ იგრძნო სითბო და სინათლე. მგზავრები წელანდელივით ჩუმად იყვნენ, თითქოს ერთ რამეს ჩაეფიქრებინა ყველანი.

„მივალ ახლა, დავლევ ჩაის და დავიძინებ. თუ არ დამეძინა, ავაგებ ოცნების სასახლეებს, მერე ავაფეთქებ, დავამსხვრევ. ამტკივდება თავი. ერთს წავუტირებ და ამით მორჩება ყველაფერი“.

ტროლეიბუსში ასვლისთანავე ლენჩივით შეაჩერდა ვიღაც მოუტეხავშლიაპიანი მამაკაცი და მერე თვალი აღარ მოუშორებია წამით.

„აი საჩემო. რა შლიაპა ხურავს! რა ჰალსტუხი უკეთია! დავნაძლევდები, რომ დოცენტი მაინც იქნება, თუ პროფესორი არა. დავნაძლევდეთ? ამასაც ჩემსავით ეყვარება მსჯელობა, დარიგება, მოვლენების გაანალიზება და დასკვნების გამოტანა. დავნაძლევდეთ?“

თავს ძალა დაატანა, ოდნავ გადაიწია მამაკაცისაკენ და ღიმილით ჰკითხა:

— უკაცრავად, თქვენ პატივცემული პორფირი არ ბრძანდებით?

მამაკაცი აშკარად შეკრთა, თითქოს აკანკალდა კიდეც.

— რა ბრძანეთ, ქალბატონო?

— თქვენ პატივცემული პორფირი არ ბრძანდებით?

— არა, ქალბატონო, მაპატიეთ, მე იუსტინეს მეძახდნენ დღემდე, დღეის შემდეგ კი ჰი-ჰი-ჰი... — მამაკაცმა ხელი ასწია, თითები შეათამაშა და თითქოს იმ თითებს გაუცინა, — დღეის შემდეგ კი, არ ვიცი...

— უი, ღმერთო მომკალი. ერთი ლექტორი გვყავდა გადასამზადებელ კურსებზე და იმას მიგამსგავსეთ. მაშინ, იცით, ულვაშები და პატარა წვერიც ჰქონდა ნიკაპზე. ვიფიქრე გაუპარსავს და, ალბათ, იმიტომ ვეღარ ვცნობმეთქი. თანაც ხუთი წელია გასული მის შემდეგ.

მამაკაცმა ნიკაპზე ჩამოისვა თითები და ისევ გაიცინა.

— არა, ქალბატონო, ლექტორი კი გახლავართ, მაგრამ არა პორფირი, არამედ იუსტინე...

„აჰა, ხომ გითხარი!“

— არაფერია, ხდება ხოლმე, — დატკბა მამაკაცი, — ერთხელ მე სოჭაში გახლდით და უარესი რამ დამემართა...

„აჰა, ხომ გითხარი! ახლა დაიწყებს და, რომ მიუშვა, დილამდე იმსჯელებს ასე. სამარცხვინო ბოძზე გააკრავს მთელს კაცობრიობას, მერე მივა შინ და ერთ ამბავს დააწევს ცოლს — ოხრახუში ქუთაისურის ნაცვლად სოღანლუღისა გიყიდიაო!“...

მამაკაცმა რაღაც ამბავი დაამთავრა და სხვა დაიწყო.

— ის კი არა და სასიამოვნო მოგონებად დამრჩება ეს შეხვედრა. თქვენ ისეთი კარგი, ჭკვიანი თვალები...

„კაი, კაი, გეყოფა, ბატონო სევერიანე, თუ სილიბისტრო“.

— უკაცრავად, მე აქ ჩავდივარ, მაპატიეთ.

ძლივს შესძლო გაღიმება. წამოდგა და კარისკენ წავიდა.

— მაპატიეთ!

— ახ, რას ბრძანებთ! — წამოდგა მამაკაციც, — მეც ჩამოვდივარ. გაგაცილებთ... ბედნიერად...

— არა, გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ!

„თუ ახლა არ ჩამომეხსნება, აქვე ავუტეხავ რამეს ამ დეგენერატს“.

ტროლეიბუსიდან მთავრობის სასახლესთან ჩამოვიდა და უკან გამობრუნდა. მამაკაციც ფეხდაფეხ დაედევნა ჩინური ძვირფასი მაკინტოშის ფრიალით.

—, იცით, ქალიშვილო...

ელენე შეჩერდა და მიუბრუნდა. სხეულით იგრძნო, როგორი ამაზრზენი ზიზღი ჩაეღვარა თვალებში.

— გმადლობთ. მე თქვენი გაცილება არ მინდა, იუსტინე თუ სერაპიონ.

იუსტინე თუ სერაპიონი ელდანაცემივით იდგა. ათიოდე ნაბიჯით რომ გამოსცდა, მაშინ მოესმა:

— უი, შენი...

„შენი და ერთიც მეტი“... გაახსენდა, პატარა ბიჭებმა რომ იციან ხოლმე. გაახსენდა და გაეღიმა. „რა კარგები არიან პატარა ბიჭები! გახვალ? გამოვა? წადი შენი! შენი და ერთიც მეტი. სულხანმა ახლაც კი ასე იცის — წავიდეს მაგის! ეხ, მაგის!.. მერე დაწვება გულაღმა და ვეება მკლავებს თავქვეშ ამოიწყობს. საბერველივით ასდის და ჩასდის მკერდი. რა კარგია, რომ პაპიროსს არა სწევს. ალექსანდრე მაკედონელზე უწერია, მგონი, პლუტარქეს. ალბათ, ასეთი კეთილშობილი კანი ჰქონდა ალექსანდრეს. რა სულელი ვარ, ღმერთო ჩემო. სად მივრბოდი, რომ მივრბოდი! ვინ იყო ის უბედური ტიპი! ის იყო უბედური, თუ მე? აქაც ათზე იწყება უკანასკნელი სეანსი. უკვე გვიანაა. მივალ. დავწვები და დავიძინებ. თინა დაბრუნდებოდა. თინას მივუშვებ და ილაპარაკოს რამდენიც უნდა. მე შენ გეტყვი, არ ექნება სალაპარაკო! თუნდაც კლავდია ისაევნაზე. ნეტა თუ იცის იმ საცოდავმა კლავდია ისაევნამ, რასაც ეგ გოგოები ლაპარაკობენ: Он был высок, строен и элегантен, как Печорин! ნეტავ მართლა თუ ჰყავდა ასეთი ქმარი. ააა! პეჩორინს ვინ გავს, იცი? ლერი. თუმცა რა შედარებაა, ლერის ზაზაც სჯობს. ზაზა ნამდვილი ქართველი ვაჟკაცია. სულხანი ხომ... რა კარგები არიან, როცა ზაზა და სულხანი მოდიან ხოლმე ერთად! როგორ უყურებენ გოგოები! სულხანს ის ჭაღარა უხდება, მერე ფერი აქვს — იანვარშიც კი ზღვიდან დაბრუნებული გეგონება. ბაკურიანშიც არანაკლებ შავდება კაცი. ჩემს სოფელშიც. ჩაიცვი აბა თეთრი ქათქათა ხალათი და ვიწროტოტებიანი შარვალი მალხაზს და მერე ნახავ! ბეჟანიც ლამაზი ბიჭი დადგება. არ კი სწავლობს. საერთოდ, დიდები ნაკლებადღა სწავლობენ. პატარები არიან კარგები. ბარტყებივით პირდაღებული რომ შემოგყურებენ და დიდი, დიდი თვალებით გთხოვენ რამე მიაწოდო“...

აღმართზე რამდენჯერმე მოიხედა უკან. მერე დაღლა იგრძნო. ეს ესიამოვნა.

„სევერიანე თუ იუსტინე. მაინც რა თქვა, რა მქვიაო? სევერიანე, არა, იუსტინე, იუსტინე... მე რა ვკითხე? პატივცემული პორფირი. ფუჰ შენი! მაინც რამ მომაგონა პატივცემული პორფირი. რომ სცოდნოდა რა მიზნით ვეკითხებოდი, რას მიზამდა ნეტავ? ახი კი ვიყავი ყველაფრის. რამ გადამრია? მივალ ახლა და დავიძინებ!.. ზაურისთვის რომ არ მეკითხა! ო, ელენე, როდის ჩამოხვედი, როგორა ხარ. როდის მიდიხარ, როგორ სწავლობენ შენი მოწაფეები, როგორი ამინდებია სოფელში, არ მოიმატე ცოტა მაინც, ვნახე თუ არა „დიდი კარუზო“, ხო გენიალურია ლანცა... მერე დაჯდებოდა სულხანი და დაიწყებდა ჩემს ხატვას. დამიხატავდა მარტო თვალებსა და ტუჩებს. ესმა კი სულ იმოძრავებდა, იმოძრავებდა და იხმაურებდა. ღმერთო ჩემო, არ მინახავს და თითქოს

უკვე გამოჭედილი მაქვს ყურები იმისი კისკისითა და რატრატით. რა ტანი აქვს! აი მართლა ტანი! ლოლობრიჯიდა და მერე ეგ. თუ ჯერ ეგ და მერე ლოლობრიჯიდა? მერე როგორ დადის! ვის არ გადარევს! აბა მე ვიცი სიარული, აი — თითქოს ნიუტონის ბინომს ვიყვანდე გზაზე. თინა შინ იქნება უკვე".

ალაყაფის ზემოთ, ბებერ ნეკერჩხალთან შავი წყვილი იდგა. ალბათ, ელენე დაინახეს — ნეკერჩხალს მოეფარნენ.

„ნეტავ თუ ჰკოცნიან ახლა. თინა რომ იყოს! არა, თინას ვიცნობდი. თინას, რაც არ უნდა ბნელში იდგეს, მაინც ვიცნობდი. ნეტავ დამანახვა, როგორ ჰკოცნიან, ლამაზები არიან თუ არა. რამდენჯერ ეყოლება ნაკოცნი ესმა? აუჰ! შენ ესმასი თქვი... ესმა, ალბათ, როგორც კი პაწაწინა საშუალებას იპოვის, სულ ჰკოცნის და ჰკოცნის. საახალწლოდ ხელსაც მოაწერენ. ქორწილში მე არ ვიქნები, რა თქმა უნდა. ვერ მოვახერხებ ჩამოსვლას სოფლიდან. მე მერე მივალ. მივუტან ბროლის ლარნაკებს და ტორტს. ვაკოცებ ერთსაც და მეორესაც. ვეტყვი, რომ იბედნიერონ, ტკბილად შეაბერდნენ ერთმანეთს, კიდევ ვეტყვი, რომ ან აქამდე რაღას უცდიდნენ ნეტავ, აქამდე ბიჭიც უნდა ჰყოლოდათ წესით... მერე შეუძლოდ ვიქნები და ისინი შემოივლიან ჩვენთან. ესმას ეცმება განიერი პალტო და უქუსლო ფეხსაცმელები. მერე ერთი წლის შემდეგ ვნახავ. მერე ორი წლის შემდეგ. ბავშვს დააძახებინებენ მამიდას. მე ვაჩუქებ ჩუკოვსკის „მოიდოდირს" და კიდევ მივუტან თოფს ან მანქანას. ესმას ვთხოვ, რომ გავასეირნებ მეთქი ცოტას. ესმა მეტყვის, რომ ბავშვს ახლა ძილის დრო აქვს, სასეირნოდ მერე, სხვა დროს; სულხანი ისევ დამიხატავს ფანქრის სამი შოსმით თვალებსა და ტუჩებს, დამცინებს ჩვეულებრივ და... მე მექნება ჭაღარა, ჭაღარა თმა"...

კარი თინამ გაუღო. შეიცადა, სანამ გაიგებდა როგორ ხასიათზე იყო ელენე. ელენემ გაუცინა და მაშინ განათდა, ახმაურდა, აქოთქოთდა ყველაფერი.

— საყვარელო! ლამაზო! ჭკვიანო!

— კარგი, არ დამაღრჩო.

თინა პატარა ბავშვივით მიარბენინებდა შიგნით ოთახისაკენ და ისევ ეხვეოდა, ჰკოცნიდა. ისე მაგრად უჭერდა ღონიერ მკლავებს, რომ ეგონა ძვლები უჭახჭახებდა.

„აი, ვის ვუყვარვარ მე. რა ღონიერია, ღმერთო ჩემო! თინას ბიჭებიც კი ვერ მოერევიან".

— როგორ გასუქებულხარ, რა არის! რამდენი კილო ხარ!

— კარგი ერთი! — გაწითლდა თინა.

— რამდენი კილო ხარ, თქვი.

— სამოცდაექვსი.

— დედუ! რაღა ანდერსონი და რაღა შენ! ორ წელიწადში, ალბათ ასი გახდები.

— ასი კი არა! ვვარჯიშობ, იცი როგორ?

— ტენისზე დადიხარ ისევ?

— ხო.

— ცურვაზე იარე მეთქი, ხომ გითხარი. ცურვისთანად არაფერი უხდება ქალს.

„აჰა, ისევ! წავიდა დარიგებანი, ბრძნული აზრები. ვაი, შე ჩერჩეტო შენ!".

— მოათქმევინე სული, შვილო, — ღიმილით ეუბნებოდა დედა თინას.

— დაჯდეს რო. აი ასე დაჯექი და მე ასე გიყურებ. დაჯექი და ისე მელაპარაკე, რაც გინდა.

ელენე ტახტზე დაჯდა, ფეხები მაღლა აიკეცა და ზედ კაბის კალთა გადმოიფარა. თინა წინ დაუჯდა, იმანაც ფეხები აიკეცა, ტუჩების ბოლოებზე ცერი და საჩვენებელი თითები ჩამოისვა, ვითომ ჭორიკანა სოფლელი დედაკაცი ვარო და კახურ კილოზე დაიწყო:

— აბა, ქა, როგორა ხარ, ქმარ-შვილი როგორა გყავს? ინდაურები, ჭუკები!

ელენეს ეცინებოდა, მაგრამ მაინც ამგვარსავე კილოზე მიუგებდა.

— კარგად, გენაცვალოს ჩემი თავი, თინო, კარგად. ცოტა ჭუკები დამებერნენ, ქალო, თორემა...

— თვალი, ქა, თვალი იციან. თვალს გიკრამდა ვინმე. მკითხავი უნდა ნახო, ელენე, მკითხავი. ნათლუხში ყოფილა ერთი მიწაგასახეთქი გოგო, გასათხოვარი, ქა! ქალიშვილი! რეებს ლაპარაკობს, რეებს ლაპარაკობს რომა გააგიჟებს ადამიანს თურმე.

— წელანაც მორბოდა ერთი. იმ ნათლუხელი მკითხავის გაგიჟებული თუ იყო ის საცოდავი!

ახლა დედაც იცინოდა და ცრემლებს იწმენდდა თვალებიდან.

— შეგაჩვენა ღმერთმა, თინა შენ, კარგი რამ შენა ხარ! რაღას არ მოიგონებს...

— შენა, ქა, შენ როგორღა გყავს ი შენი ბუზიკის მასწავლებელი კლავდია ისაევნაი.

— თვალი კი გამოსძვრეს, მეხი კი დავათხლიშე იმ ტუტრუცანა თავში! რომანის წერა დაუწყია! მივალ და მიკითხავს: Он был высок, строен и элегантен, как Печорин...

თინასთან არ შეიძლებოდა ფიქრი. თინასთან ელენეც მხიარული, კისკისა ქალიშვილი იყო, თუ, რათქმა უნდა, თინა არ აჭარბებდა და ელენე არ უწყრებოდა. თინას ელენეს წყრომის ეშინოდა. ელენეს რიდი დედასაც კი ჰქონდა, თითქოს ის ყოფილიყოს ოჯახის უფროსი. თითქოს კი არა, ნამდვილად ელენე იყო ოჯახის უფროსი. უიმისოდ არაფერს არ აკეთებდნენ, არაფერს არ ყიდულობდნენ...

თორმეტ საათზე დაწვნენ. თინა პატარა ბავშვივით ატრიალებდა თვალებს — ვითომ ატირებას აპირებდა. ელენეს ეცინებოდა. მერე ვითომცდა წყრომით უთხრა — მოდი დაწექი. თინა გამოიქცა შიშველი ფეხების ტყაპუნით და ბავშვივით შეუგორდა საბანში. იწვნენ გულაღმა და იცინოდნენ. თინა ათას რაღაცას იგონებდა. ჩურჩულით ეუბნებოდა ელენეს და ელენე იცინოდა, ისე იცინოდა, კინაღამ გული არ მისდიოდა.

— კარგით, შვილო, გეყოფათ! — შეშინებული ამბობდა დედა.

დედას ყველაფრის ეშინოდა. განსაკუთრებით სიცილის. სიცილის ყველას ეშინია. გაიცინებს ქართველი კაცი ცოტა მეტს და იმ წუთშივე ელდასავით დაჰკრავს — ვაიმე, ცუდად არ აძინდესო.

პირველ საათზე თინა თავის ლოგინში გადავიდა. ამოიდო ფუნჩულა ხელი წითელი ლოყის ქვეშ და მაშინვე დაეძინა. ელენემაც სცადა დაძინება, მაგრამ ამაოდ ბრუნავდა და ხუჭავდა თვალებს...

„სულ რომ ვერ ვნახო... არა, არ მოვკვდები! ამისთანა რამის გამო არავინ არ მომკვდარა და არც შენ მოკვდები... სხვა კიდევ შეიძლება, შენ კი არ მოკვდები. შენ ისეთი ბაიყუში ხარ, ვინმეს უნახაობა მოგკლავს შენ? სიკვდილი კი არა, იმ მწარე ტკივილივით რაღაცასაც კი აღარა ვგრძნობ, წელან რომ ვგრძნობდი. უკვე ისე ვარ, თუნდაც გაკვეთილზე გამიშვი ახლავ. თინას ბრალი? თინას ბრალი არ არის მარტო. ის შავი წყვილი რომ დავინახე ნეკერჩხალთან, მაშინაც ასე ვიყავი. გოგო ჩვენი უბნელი იქნებოდა. ვინ იცის, თინაზე პატარაც იყო. თუმცა რაღა პატარა, თინა ოცდასამის უნდა გახდეს საცაა. პატარა კი ჩვიდმეტი წლისაც აღარაა. სიყვარული მაგათ ასაკში იციან, თორემ მე ისე მაქვს გასქელებული კანი და ნერვები — ვინმეს სიყვარული ამითრთოლებს ახლა? აპაჰ! ვარ მარტო იმ ჩემს სქელკედლებიან ოთახში, გარეთ წვიმს, ტალახია. ფიქრის საგანი ხომ უნდა გქონდეს რამე! ხოდა, ვიგონებ რაღაცას — რომ ვერ ვნახო, მოვკვდები. ჩემს ასაკში მაინც აღარავინ არ მოკვდება ვინმეს უნახაობით. ჩაი ხომ დალიე, ხომ დაწექი, ახლა დაიძინე, რომ დილა-

ზე ახალი ენერგიით შეუდგე საქმეებს. რამდენი რამე გაქვს გასაკეთებელი! პერანგი თინას, თბილი ფეხსაცმელები და მატყლის წინდები დედას, სავარჯიშოები ბავშვებს. ბაზარში, აბანოში... აი, შენი ცხოვრების თავი და ბოლო. თვალყური ადევნე, რომ არ გაგიცივდეს, ავად არ გაგიხდეს არავინ, შენ ირბინე მაღაზიებსა და ბაზარში, რომ არ დაგელალოს არავინ, შენ რეცხე, შენ აკეთე... ყოველთვის გამახვილებული გქონდეს ყური: არ გამოგეპაროს სიყალბე, სიცრუე, სისაძაგლე. ამხილე და აღზარდე მოყვასი შენი. დასხი ბავშვები და ამეორებინე ხმამაღლა: — Именительный — кто? что? Родительный—кого? чего? და ათასი ასეთი. მერე თინას ეყოლება ბავშვი. თინას ჯან-ლონის პატრონი დიდხანს ვერ დარჩება უბავშვოდ. ეყოლება პატარა ბანტიანი გოგონა და ამით მთლად დაგვირგვინდება ყველაფერი. მე კი არა, სამი ჩემისთანა არ მოსჭარბდება მომვლელად პატარა ბავშვს“...

ერთხელაც გადაბრუნდა კედლისკენ და მაშინ იგრძნო, რომ ბალიში სველი იყო. მაშინ იგრძნო, რომ ცრემლი სდიოდა. ცრემლი კი არა, დნებოდა მისი ისედაც დამდნარი სხეული და წვეთწვეთად ჩადიოდა ბალიშში.

„როდემდე ვეყოფი ასე!“.

შეეშინდა, ხმამაღლა არ ატირებულიყო და საბანი წაიფარა თავზე. მერე სულხანი მოვიდა, თავისი მოკლესახელოებიანი ხალათითა და გაღეღილი მკერდით. ელენე წუხდა. ახლა ნოემბერია, ზოგს უკვე პალტო აცვია და სულხანი კი ამ მოკლესახელოებიანი ხალათით დადის... დადის, დაალაჯებს ოთახში და იცინის. ზედაც არ უყურებს ელენეს. რაღაცას ყვება, იცინის და დაალაჯებს ოთახში. მერე აიღებს წიგნსა და ფურცელს, ფურცელს წიგნზე დასდებს, დაჯდება და დაიწყებს ელენეს ხატვას. ზედ არც კი უყურებს, ისე დახატავს თვალებსა და ტუჩებს და ქვეშ მიუწერს „ჩემი მელანქოლიური მეგობარი“, „მკაცრი მასწავლებელი“, „ჭკვიანი ქალიშვილი“... ათასჯერ რომ დახატოს, ათას სხვადასხვა წარწერას გაუკეთებს და ყველა წარწერის შემდეგ სიცილი აუტყდება უეჭველად... მერე ბავშვები აირივნენ და აჟივჟივდნენ. მერე თინა იშიშვლებდა ვეება მარცხენა ძუძუს. მერე ვითომ პერანგის ამარა მიდიოდა ქუჩაში და არ იყო დასამალი არსად. მისდევდა სულხანი, იცინოდა და უზომოდ გრძელტარიანი ფუნჯით წითელ საღებავს ზოლზოლად უსვამდა ზურგზე — ზემოდან ქვემოთ, ზემოდან ქვემოთ. საღებავი ცივი იყო ბალიშში ჩაჟონილი ცრემლივით და გაეღვიძა.

გაეღვიძა და გაუკვირდა. ფანჯარაში უკვე დილის სინათლე იდგა. ჯერ ეგონა, რომ სოფელში იყო და გარეთ წვიმდა, უთუოდ წვიმდა, რადგან წელს თითქმის მთელი შემოდგომა წვიმები მოდიოდა. მერე ყველაფერი უცებ გაახსენდა.

„რა სულელი ვარ, ღმერთო ჩემო. რა იყო, რა ამბავი დავიწიე წუხელ?! სად მივრბოდი იმ შუაღამისას? კიდევ კარგი, რომ ზაური შემხვდა. რა ვუქენი იმ საცოდავ ტიპს ტროლეიბუსში! თანაც ლექტორი ვარო. კიდევ რომ შემხვდეს სადმე და მიცნოს! ეჰ, მიცნოს და მიცნოს! მაინც რა კარგია დღე, განსაკუთრებით დილა, მზიანი დილა! დღეს სულხანსაც ვნახავ. დღეს უბრალოდ, სულ უბრალოდ ვნახავ. სიზმარშიც ხომ ვნახე! დღეს ვნახავ. დამხატავს, მიმიწერს ახალ რამეს და ეგ იქნება და ეგ! რატომ? მაკოცებს კიდეც. მაკოცებს შუბლზე, ჭკუიან შუბლზე, როგორც თვითონ იცის თქმა“...

ოინასაც გაეღვიძა და მაშინვე მისკენ გამოიქცა სიცილით. კანკალით მიუწვა გვერდზე და საბანი ნიკაპამდე აიჭიმა ორივე ხელით.

— რა ნახე სიზმარში?

— რა და შენა გნახე. ვითომ ბავშვი გყავდა და ძუძუ უნდა მიგეცა.

— კაი, რა!

— შენს თავს გეფიცები. სურდო შეგხვდება, გაუფრთხილდი.

თინამ რამდენჯერმე მძლავრად შეისუნთქა ცხვირით.

— სურდო უკვე მაქვს.

— ახლა მეც გადამდებ.

— წავალ მაშინ.

— არა, არა, იწექი. მე და შენ წავიდეთ დღეს ბაზარში.

— ხელფასი აიღე? მეც ავიღე სტიპენდია. ვქეიფობთ.

— გინდა საცივი გავაკეთოთ, კარგი?

— გავაკეთოთ.

— რომელი საათია?

— ათი წუთი უკლია ცხრას.

— აუჰ, შუადღე წამოსულა. ავდგეთ ჩქარა.

ელენემ საბანი გადაიგდო და წამოჯდა.

— მე რა ვნახე სიზმარში, იცი? — წამოიწია თინამაც.

— ვიცი, რასაც ნახავდი.

ელენემ ხელები მუხლებქვეშ ამოიწყო, ფეხები დაჭიმა, უაანგადაწეულმა გააყოლა თვალი და გაეხარდა.

„ფეხები არც ისეთი ცუდი მაქვს, ცოტა რომ გავსუქდე“...

თინა იცინოდა.

— რა იყო, რა გაცინებს?

— მე რა ვნახე სიზმარში, იცი? ვითომ ჩვენს კლავდია ისაევნას გაშლილი ჰქონდა თავისი კრემები. მე კიდევ ფინია ვიყავი და იმ კრემებს ვუტლეკავდი ენით.

ელენეს ხარხარი აუვარდა.

— გიჟი ხარ, გადარეული.

— იცი, ერთ კრემს როგორი გემო ჰქონდა? შენ რომ არ გიყვარს, რაღაც ნამცხვარი როა, „ზეფირი“.

— ფუჰ, გაჩუმდი ახლა!

— ყველას გეფიცები.

— გეყოფა, კარგი!

— რომ გამეღვიძა, სულ უკან ვიხედებოდი — კუდი ხომ არა მაქვს მეთქი კიდევ.

ელენე ხალათს იცვამდა და ხარხარებდა.

— კარგი მეთქი, თინა!

...მერე იდგა ხისმოაჯირიან ძველებურ აივანზე, ხელით ისწორებდა თმას და უცხო ლამაზ ადგილას მოხვედრილი ბავშვივით იხედებოდა აქეთ-იქით...

ცა მოწმენდილი იყო, ჰაერი ცივი და სუფთა. რაღაც ორთქლივით ნისლი დასდგომოდა თბილისს და ამ ნისლში, სადღაც ნავთლუღისაკენ, უძრავად იდგა დიდი წითელი მზე.

ეზო სველი იყო, თითქოს მოურწყავთო. ქოთანში ჩადგმული ყვავილი გამოდგა მზეში დეიდა ნადიამ და, მაღლა არ ამოუხედავს, ისე შებრუნდა შინ. მერე ოლიამ გამოიტანა ქმრის შავი კოსტუმი გასაწმენდად.

„საცოდავი ოლია. მარტო კაბა კი არა აქვს დაჭმუჭნული, თითქოს თვითონაც დაჭმუჭნულია, დაღეჭილი. ჩემზე სამი წლით თუ იქნება დიდი და უკვე სულ საპნის სუნი ასდის, საპნისა და სარეცხის სუნი. მოვლა არ უნდა ოთხ ბავშვს? როგორ ცუდად ყავდა პატარა გოგო!..“

— ოლია, გამარჯობა!

— ოხ, გამარჯობა, ელიჭკა, როგორა ხარ, ლამაზო? რატომ ვერ გავიგეთ, როდის ჩამოხვედი?

— გუშინ საღამოს ჩამოვედი. თქვენ როგორღა ხართ? ქეთინო უკვე კარგად გყოლიათ. ყბაყურა ჰქონდა მართლა?

— ყბაყურა და მერე რა რთულ ფორმებში! ვგიჟდებოდით, თირკმელებზე არ ემოქმედა.

— ახლა სადა გყავს, რომ აქაურობას არ იკლებს თავისებურად?

— დედაჩემმა წაიყვანა გუშინ.

ეზოში ძია გურგენი გამოვიდა. ხელში ჩანთა ეჭირა, ეტყობოდა, ბაზარში მიდიოდა. გაჩერდა და თვალებზე ხელი მოიჩრდილა.

— ო, ელიჩკა, გამარჯობა შენი! რავა ხარ, გოგო, დახვალ ისევ ცარიელ-ტარიელი?

— რა ვქნა, ბიძია გურგენ, ძალით ხომ ვერ დავიჭერ ვინმეს?

— აბა როგორ, ბიძი! დაჭერით არა,

მაგრამ რაცხა ქე უნდა იღონო შენც. ჯერ ცოტა ქონი უნდა მოიკრა, რა არის, თითქოს არაფერს არ გაჭმევდნენ. მერე ერთს თვალი უნდა ჩოუჩხაკუნო, — მე შენ გეტყვი არ გაქვს ლამაზი თვალები, მეორეს გოუცინო, მესამეს კიდევ რაცხა ასეთი და, ბოლოს, ქე გაბედავს ამდენში ერთი რომელიმე.

— მაგასაც თავისებური შნო უნდა, ბიძია გურგენ.

— შნო, თორემ, — ხმას დაუწია ბიძია გურგენმა, — შნო, თორემ დიდი შნოიანი ნახე ეს ჩვენი მარგუშა, ხელცახოცებივით რო იცვლის კავალრებს. შენ რომ შეგიძლია, ბიძი, იმდენი კონსტანტინე დადეშქელიანს არ შეეძლო, მგონი, მაგრამ არ გინდა, რომ ქორწილი გვაჭამო და ეგაა, თორემ, აბა რა, გაწყდა ბიჭები ამოდენა ქვეყანაზე?

— მაგისი შესაფერი მართლა როა გაწყვეტილი, გაწყდა ახლანდელი ბიჭების სახსენებელი! — ბრაზით გადმოიძახა ოლიამ.

— შესაფერ-შეუფერებლობის დროა ახლა? წევიდეს კაცი როგორმე იოლს და ესაა, თორემ... თორნის პურს ხომ არ დამაბარებ, ნადია!

— ვინაა, რომ ელაპარაკებოდი, — ამოიხედა დეიდა ნადიამ. — ელიჩკა. ხარ? ველარ გიცანი, გოგო, როგორა ხარ. არ მოსუქდი ცოტა მაინც?

„ყველამ ეს უნდა მკითხოს, დედას და თინას გარდა. იმათ ეშინიათ. ეშინიათ კი არა, არ უნდათ, რომ გული მატკინონ“.

— ეთერი როგორ არის, დეიდა ნადია, ბავშვი ხომ არ შეძენია ჯერ?

— დღედღეზე ველოდებით, გენაცვალე, ელიჩკა, და ვართ ერთ გულხეთქებაში!

— გულგასახეთქი რა არის ქალაქ ადგილას?

— დაიწყევლოს ქალის გაჩენის დღე, შვილო, რა იცი როგორ შებრუნდება. მერე ცილები ჰქონდა, ხომ გახსოვს.

„ნამდვილი იტალიური კინო. ოღროჩოღროდ მოკირწყლული ეზო, მონგრეული ონკანი, აჩხორილი აივნები, ბარგიბარხანა, სარეცხი, ტანსაცმელი... ყველას თავისი საქმე აქვს, ყველას თავისი დარდი აწუხებს, ყველა თავისი არშინით ზომავს და სჭრის. ოლია ბიჭებს სწყევლის, რადგან მაგისი და მიატოვა ქმარმა, ძია გურგენი ხუმრობის ხასიათზეა ყოველთვის — შვილი მაგას არ აწუხებს და ძირი. დეიდა ნადია ისევ გულხეთქებაშია ეთერის გამო: ჯერ იყო სწავლაზე იხეთქავდა გულს, მერე ცუდს არავის გადაეყაროსო, ახლა როგორ მოიმშობიარებსო; მარგუშა უკვე ქალაქში დაალაჯუნებს, ალბათ; მე კი წუხანდელი მაიმუნობის შემდეგ შუბლს ვიგრილებ! რაღაც მანქანას იგონებენო — მოინდომებ და გაიგებ ყველა სხვა ადამიანის აზრს, გაგიჟებულია ხალხი“...

თინაც აივანზე გამოსულიყო და ვილაცის მტრედს ბიჭივით უსტვენდა. მტრედი ამაყად მიდი-მოდიოდა თუნუქის სახურავზე და ხანდახან ღუღუნებდა. თინა ახლა პურის ნამცეცებს უყრიდა. ბოლოს, რომ ვერას გახდა და მტრედი ვერ მოიტყუა, იატაკის საწმენდი ჯოხი აუქნია. მტრედი აფრინდა და ფრთების ტკაცუნით შემოუარა გაშიშვლებულ ალვებს. ალვებზე ბეღურები ისხდნენ. ისინი გაოცებული თვალებით შეაჩერდნენ მტრედს.

— მოვიდეთ ბაზრიდან და მერე დავლიოთ ჩაი, ხომ?

— ცოტა რამ შეგეჭამათ, შვილო.

— მალე მოვალთ, დედა, თერთმეტი საათისათვის მაღაზიებში ვართ წასასვლელი.

ელენე დაჯდა და წინდის ჩაცმა დაიწყო.

— ეხ, ესეც არის რაღა! სადამდე წამივიდა თვალი. გავიხადო ახლა?

— ერთი შენც, — ხელი აიქნია თინამ, — დაამაგრე, რომ მეტად არ წავიდეს და მორჩა. ვითომ ქუჩაში წაგივიდა, ვითომ ვერა ხედავ, ეშმაკმა წაიღოს მაგისი გამომშვების თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქარხნის ლიპიანი დირექტორის თავი. მეორედ ვიცვამდი დღეს.

— დირექტორის უამრავი წინდების პატრონი ცოლი. მგონი, რამდენი აქვს, არა?

— ვერ მოასწრებ სხვა რამეზე ფიქრს და ისევ წინდები გაქვს საყიდელი.

— აბა, თქვენებურად არ დაანიავოთ ეგ ფული. რამდენი რამე გვჭირდება, ხომ იცით!...

დედამ კიბემდე მიაცილა. ჩარბოდნენ კიბეზე და სახეში სცემდათ სუფთა, სუფთა ჰაერი. ალაყაფთან ელენეს ისევ გაახსენდა ჩამოვარდნილი კარი.

— თენგიზი სად არის, ის ლოქო. ეს კარი მაინც ვერ უნდა გამაგროს?

— თენგიზი რიგაშია, შეჯიბრებაზე.

— მაგის პატრონს! ეგეც პირველ ადგილს არავის არ დაუთმობს, მგონი.

— დასეირნობს კი და.

— ისეირნოს. თუმცა რა, მაგათია ქვეყანა.

ქუჩა გადარეცხილი იყო. მთელი კვირა გაბმით წვიმდა და მხოლოდ ამ უკანასკნელ ორ დღეს დაიჭირა დარი. ხეების ტოტები მზის სხივებით იყო მოვარაყებული და იმ სხივებს თუ ეთამაშებოდნენ — ხტოდნენ, ჟღივჟივებდნენ ბეღურები. კვირა რომ იყო, ალბათ, ამის გამო, ვინც კი ხვდებოდათ, ყველას კმაყოფილი, დასვენებული სახე ჰქონდა. ხვდებოდათ კი უფრო ხნიერი ხალხი. ახალგაზრდებს, ალბათ ისევ ეძინათ. „ახალგაზრდები შუადღისას გამოვლენ, ბიჭები გაიპარსავენ პირს, გამოეწყობიან შავ გაპეწილ კოსტუმებში და გამოვლენ. ტევა აღარ იქნება რუსთაველზე“.

— რომელ ბაზარში წავიდეთ, იცი? ვერაზე. იქ იაფობაა ხოლმე, შედარებით. თანაც რუსთაველზე მომინდა გავლა.

„იმათ ქუჩას გავუვლი, იქნებ, შემხვდეს კიდეც, ხანდახან ის დადის პურზე“.

— წუხელ სად იყავი, აბა?

— ლილისთან შევედი ცოტა ხანს, საქმე მქონდა.

— ფეხით წავიდეთ?

— რა, გეზარება?

— შენ არ დაიღალო, თორემ...

— აპა!

„რატომ ვუთხარი, ლილისთან ვიყავიმეთქი წუხელ? დედას არ შეხვდება, მაგრამ თინა იმდენს დატანტალებს ამ ქალაქში, გადაეყრება სადმე და ლილი საყვედურს დაბარებს — რატომ არ შემოგვიიარაო. თინა ეტყვის, რომ... ავურიე და ეგ არის. დღეს მართლა უნდა შევუარო ლილის. სულხანი როდის ვნახო? მართლა ისე ხომ ვერ წავალ, რომ არ ვნახო? არა, ის გუშინ იყო... გუშინ მაინც წინასწარ არ მქონდა განზრახული ნახვა. დღეს სხვაა... დღესაც. რომ... რა სისულელეა. პირველ საათზე მივალ. ყველაფერს ვიფიცავ, ვნახავ და წამოვალ. ათ წუთს არც კი ვუყურებ და წამოვალ. ესეც მეყოფა მთელ თვეს.

— „დიდი კარუზო“ ნახე? — ეკითხებოდა თინა.

— ისე რა, სოფლურად.

— როგორ სოფლურად.

— ისეთი რადიო გვაქვს, ტენორი მღერის თუ ბარიტონი, ვერ გაარჩევ.

— გინდა დღეს კიდევ ვნახოთ? რა კაია არა მარიო? აი, ფურგონზე რომ წევს და წითელი ყელსახვევი უკეთია. დედა, რას მღერის რადამესს და კავარადოსის! რა ქალია ის მარტა! სულ არ გავს ამერიკელს, არა?

— ის ახლანდელ ქალს კი არ თამაშობს.

— მაინც, რაც არ უნდა იყოს... „რომაული არდადაგები“ ყოფილა, იცი, რა კარგი? ვინ თამაშობს, იცი? ოდრი ჰეპბერნ. ნატაშას რომ თამაშობდა „ომსა და მშვიდობაში“.

— ეს ჰამლეტი?

— მაგ ჰამლეტზე ყარალაჯელები დადიან მარტო.

— ვინ არიან ყარალაჯელები?

— ცოტაა? ე, მართლა, სულხანი და ესმა შემხვდნენ გუშინწინ. ვუთხარი,

შეიძლება კვირას ჩამოვიდეს მეთქი, შენზე.

— ხოო?

მეტი არაფერი არ უთქვამს ელენეს. ჩუმად გაიხედა იმათი ქუჩისკენ. ქუჩაში არავინ იყო. საბარგო მანქანა მირახრახებდა რაღაც და მერე ბავშვი გადმოვიდა ერთი ჭიშკარიდან.

— უსინდისო სულხანი. ერთხელ აღარ შემოუვლია ჩვენთან, რაც მაშინ იყო, აგვისტოში, შენ რომ გაგაცილეთ. ყავს გამოჭერილი იმ ტუპიაჩკა ესმას და დაატარებს საითაც უნდა.

„გაჩუმდეს, თორემ რაღაც დამემართება ახლა“.

— შენ რემარკის „ნასესხებ სიცოცხლეს“ ხომ ვერ მიშოვი?

— ინგას აქვს, მგონი, დღესვე გინდა? გიშოვი. ვიყავი პიკაიზენზე, მაშინ რომ გწერდი. ისე რა! რა კარგად იმღერა პისომ, იცი? მაგრამ მერე მარიო ლანცა ვნახეთ კინოში და... გუშინწინ, აი აქ, ბიჭები იდგნენ და ერთი, იცი, რას ეუბნებოდა მეორეს? წადი, წადი, მამაშენს იმის ფული არა აქვს, დუსტი იყიდოს და ტილები დაიყრევინოს, მანქანა არა, ტოროლა!

— ფუჰ, ყოველგვარ სისაძაგლეს რომ შენ უნდა მოჰკრა ყური. რატომ მე არ მესმის ხოლმე ასეთი რამეები, საინტერესოა.

— შენ ისე მიდიხარ, გაბრაზებულივით... კოკტეილი რომ დავლიეთ?

— ვისთან.

— გოგოებმა. მე, ეთერიმ და ციალამ. იმდენი ვიცინეთ, კინაღამ არ გამოგვრეკა მომტანმა ქალმა.

— შენა და ის შენი ტუტრუცანა ამხანაგები გადაეყრებით რამეს და მაშინ ნახავთ.

— რას უნდა გადავეყაროთ, დილა იყო, თერთმეტი საათი. ჩვენს მეტი არავინ არ იჯდა კაფეში.

— მერე საღამოსაც შეხვალთ.

— საღამოს არა... რა უნდა ვიყიდოთ ახლა?

— პირველ ყოვლისა, ყვავილები. შეხედე იმ ქრიზანტემებს.

— აი ეს თეთრები. რა ღირს, ბიძაჯან.

— თინა!

თინამ ტუჩი მოიკვნიტა და გაწითლდა, თავი ჩაღუნა.

— აი ეს ექვსი ცალი.

— სამი მანეთი თქვენისთანა კარგი ბარიშნებისათვის.

— წამოდი აქეთ. ჯერ ქათამი ვიყიდოთ. კიდევ, იცი რა, კარალიოკი. თუმცა რას გაიგებ, რომელია კარალიოკი, რომელი ხურმა.

...ბაზრიდან გამოყოლილი ყაყანი, ფერები და სუნი ქუჩაშიც მიჰყვებოდათ.

„რომელი საათია? თორმეტის ათი წუთი. წაიღოს ესენი თინამ და მე შევივლი ბარემ. არც ისე ადრეა. თუ შინ ყოფნაა, ახლა უფრო იქნება სახლში.

— წახვალ შენ, თინა?

— სად წავალ, ქალო!

— ჩაჯექი ტროლეიბუსში და წადი შინ. მე სულხანთან შევივლი ერთი წუთით და მოვალ.

— აქ დაგიცდი.

— აბა, იდექი ახლა! წადი და მეც მოვალ ახლავე.

— კაი, ბატონო, არ დააგვიანო და... მაინც არ დაგხვდება სახლში.

„უხ, შე... რა საძაგელი ენა აქვს ამ ბავშვს“.

— რა იცი, შენ?

— უთენია მიადგებოდა ესმა და წაიყვანდა სადმე.

— შენ, იცი, რას გეტყვი? იმ ესმას თავი დაანებე. რა შენი საქმეა, რომ მოყევი ენატარტალა დედაკაცივით. მეორედ აღარ გაგიგო, გაიგე?

— ხო და...

— კარგი ახლა! აი, მოდის ტროლეიბუსი. ჩაჯექი და წადი! მეც ახლავე მოვალ.

თინა ტროლეიბუსში გაბუტული ავიდა, ფანჯრიდან გამოიხედა და მაშინ

გაუღიმა შერიგების ნიშნად, ტროლეიბუსი დაიძრა. ელენემ ღრმად ამოისუნთქა.

„თუ ახლა შინ დამხვდა, მერე ყოველთვის იმედით შევხედავ ჩემს ბედს. ვნახავ და წამოვალ იმ წამშივე. მოვიმიზეზებ რამეს და წამოვალ იმ წამშივე. რომ გამომყვეს? არა, ვეტყვი, რომ აბანოში ვარ წასასვლელი. ოღონდაც შინ დამხვდეს ახლა. რა ვუთხრა, დედამისი რომ იყოს მარტო? რა სისულელეა. სულხანის ნახვა მინდა და დამხვდება კიდეც. თუ ძალიან, ძალიან მოინდომებ რამეს, ძალიან, ძალიან, უეჭველად შეგისრულდება. ოი, რატომ არ გაგეცინება, ღმერთო! ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის 26 ნოემბერს წელში მოხრილი მიდის ქალიშვილი ვაჟის სანახავად. ნახავს ერთი წუთით და მერე კმაყოფილი იქნება მთელ თვეს. სიყვარულით მოეკიდება საქმეს, კოლეგებს, მეზობლებს... იმ ერთი თვის შემდეგ ისევ ნახავს ერთი წუთით და კმაყოფილი იქნება კიდევ ერთ თვეს... მერე... მერე აღარ ვიცი. მე ჯერ ეს მჭირდება მხოლოდ. მაჩვენეთ ერთი წუთით და წაიყვანეთ მაშინვე. დაარქვით ამას, რაც თქვენ გინდოდეთ, ის. მე კი ერთი წუთით მაჩვენეთ და წაიყვანეთ მაშინვე. თქვენი იყოს დიდდიდი სიამენი ამა ქვეყნისა. მე მარტო ეს პაწაწინა სურვილი ამისრულეთ. დაარქვით ამას, რაც თქვენ გინდათ ის, ოღონდ ეს პაწაწინა სურვილი ამისრულეთ ახლა“...

ხელი მკერდზე ედო და ისე ადიოდა კიბეზე. მკერდში რაღაც სჩხვლეტდა, როგორც გუშინ, გუშინწინ და ერთი თვის წინათაც.

„ალბათ, ეს ჩხვლეტა მიშველის, როცა დრო იქნება. ეს ჩხვლეტა ნამდვილად მიშველის. ღმერთო!“.

თეთრ ღილაკს თითი დააჭირა. სადღაც შიგნით შეშფოთებით დაიზრიალა ზარმა. მერე მოისმა ნაბიჯების ხმა, ქოშებიანი ქალის ნაბიჯების ხმა.

— ვინ არის?

„სულხანი შინ არაა! ხმაზე ეტყობა — სულხანი შინ არაა“.

მაგრამ უკვე გვიან იყო. დეიდა ნინო მეორედ ეკითხებოდა.

— ვინ არის?

— მე ვარ, დეიდა ნინო, ელენე.

— აბა, ელენე!

— ელენე...

— უი, ვეღარ გიცანი...

კარი გაიღო და სახეგაბრწყინებულმა დეიდა ნინომ წითლად შეღებილი მსხვილი ტუჩები ცივად დაადო ელენეს გახურებულ ლოყას.

— როგორა ხარ, შვილო გენაცვალე, სადა ხარ? ერთხელ აღარ შემოივლი. ისევ სოფელში ხარ?

— სოფელში ვარ, დეიდა ნინო.

— ვერაფერი მოგიხერხა ბიძაშენმა, რომ გადმოეყვანე აქ?

— არ ვიცი, დეიდა ნინო, არც მე ვცდილვარ და არც ის მატანს მაინცა და მაინც ძალას.

— აბა იქ ხომ არ უნდა ჩაბერდე ასე! იქიდან ჩამოსულები ძალით ვეღარ გაჰყავთ აქედან და შენ რა... ჩაიზე დამეწვიე, გენაცვალე ელენე, ვიჯექი ახლა მარტო და... ვასო მივლინებაშია, სულხანი... კახეთში წავიდნენ გოგობიჭები დილას უთენია ესმას მანქანით. როგორ დაყავს მაგ ქაჯს, რომ გაჩვენა...

„გამაგრდი, ბაიყუში, ახლა გამაგრდი. მერე თავში ქვა ირტყი, თუ გინდოდეს. ახლა კი გამაგრდი, გაიცინე, გაიღიმე მაინც“.

იღიმებოდა და ცდილობდა, თვალიც კი გაესწორებინა დეიდა ნინოსთვის.

— ესმა მშვენიერი გოგოა, დეიდა ნინო.

— ასეც აღარ შეიძლება, შვილო. დღე მაგათ აღარ გააჩნიათ და ღამე. ჯერ ერთი ბეწო რამე სჭირდება ხოლმე ხალხს და ამათ ხომ... შემჭამეს პირდაპირ — ეს ასე, ის ისე. ერთნი მიქებენ და ცამდე აჰყავთ. მეორენი, ხომ იცი, სულხანს მეტი ეკუთვნისო. მე მესმის ყველაფერი, გენაცვალე ელენე, მაგას თუ ჭკვიანი ვინმე არ შეხვდა ცოლად,

ვერაფერს ვეღარ გააკეთებს, მაგრამ ეჰ, რა ვიცი, გენაცვალე, რა არის ადამიანის ბედი. რაღა დააშორებს ახლა მაგათ! მოიყვანე-მეთქი, ვეუბნები. რაც მაგას გადაეკიდა, ვეღარაფერს სერიოზულად ვეღარ კიდებს ხელს. ვინ აღარ გამოფინა და რა სურათები აღარ, ახლა რომ ახალგაზრდების გამოფენა იყო. მაგან? დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ და ერთი სურათი არ ყოფილა მაგისი. ვისზე ნაკლებია მერე, ქვეყანას რომ პირზე აკერია: მირზაშვილი, ონიანი, ერისთავი!.. არა აქვს ჩემს შვილს ჭკუა და რა ვქნა!

როცა დეიდა ნინო ამას ამბობდა, ელენეს მოეჩვენა, რომ როგორღაც მუშტრის თვალით გადმოხედა რამდენჯერმე. ამან მთლად დააწყვიტა ნერვები.

„წავალ ახლა, ავდგები და წავალ. არც სურათებს ვნახავ, ისე ავდგები და წავალ“.

— მურაბა მაინც მიირთვი, გენაცვალე, ან ნამცხვარი... ცოტა დამეწვა იმათ ფათიფუთში, მაგრამ მე, მგონი, მაინც არა უშავს.

— გმადლობთ, დეიდა ნინო, ახლა ვისაუზმე, ნახევარი საათი არ იქნება.

— მარტო ლამაზად კოცნა არ არის საქმე, გენაცვალე. სულხანისთანა კაცს სხვანაირი ქალი უნდა ამოუდგეს მხარში.

„შენცა თქვი რამე, ბაიყუშო, შენ ხომ სწორედ ასეთი ბრძნული აზრები გიყვარს, თქვი“.

— მე ახლა წავალ, დეიდა ნინო, თინა მელოდება, უამრავი საქმე მაქვს დღეს.

— დარჩენილიყავ, გენაცვალე, მარტო ვარ, გველაპარაკა ცოტა.

— სასიამოვნოა თქვენთან საუბარი, მაგრამ, ხომ იცით... ერთი დღითა ვარ ჩამოსული, დილას უთენია უნდა წავიდე, შვიდ საათზე; მინდა მოვასწრო ყველაფერი. სულხანს... მინდოდა მენახა, რეები გააკეთა ამ ბოლო ხანებში, მაგრამ არ მინდა უმისოდ. არ უყვარს, როცა უმისოდ მის რამეებს ახლებენ ხელს.

— უი, რას ამბობ, არა გრცხვენია, ელენე? მობრძანდი, გენაცვალე. შენც კი არ გეხება ასეთი რამ. მოდი, გენაცვალე და დაათვალიერე, რაც გინდოდეს.

— არა, გმადლობთ, შემდეგ იყოს, მერე რომ ჩამოვალ. კარგად ბრძანდებოდეთ, სულხანს უთხარით, რომ...

დეიდა ნინომ ყურთამდე გააღო სულხანის ოთახის კარი. იქიდან ყვითელი შუქი დაეფინა ელენეს. პირველად კარადაზე დადგმულ მაღალ ლარნაკში ჩაწყობილ ისრებს მოჰკრა თვალი,—ეს ისრები ხევსურეთიდან ჩამოიტანა სულხანმა. მერე სუნი იგრძნო — ზეთის საღებავებისა თუ სულხანის სუნი. სკამს ჯერ ხელით დაეყრდნო, შემდეგ დაჯდა. კარსიქითა კედელი სურათებით იყო დაფარული. ამ სურათებიდან რაღაც ღმერთკაცური ქედმაღლობით იყურებოდნენ ახოვანი ვაჟკაცები და ქალები. ისინი მაყურებელთა წინაშე თითქოს საგანგებოდ ჰფენდნენ უჩვეულოდ განვითარებულ კიდურებს.

„ყველანი ხატავენ მამაკაცების ასეთ ვეება მხარ-მკლავს, მაღალ სქელ კისრებს და საოცრად პატარა თავებს — სულხანიც, ზაზაც, გოგიც და თენგიზიც... ყველანი ხატავენ ქალის ასეთ გრძელ, ძლიერ ფეხებს, მოქნილ წელსა და წინ წაზიდულ ხორცსავსე ტუჩებს — სულხანიც, ზაზაც, გოგიც და თენგიზიც... ყველანი ცდილობდნენ თვითონვე დაემსგავსნონ საკუთარ ქმნილებებს: იცვამენ მათებრ უხეშ სვიტრებს, სქელლანჩა მძიმე ფეხსაცმელებს, ვარჯიშობენ ყოველდღე, ებერებათ მხარ-მკლავი და უხარიათ, რომ თუნდაც ნახევარი სანტიმეტრით მაღლიდან დახედონ სხვებს. ყველანი ემზადებიან რაღაც ჭიდილისთვის და უხარიათ, რომ იქნებიან სხვებზე უფრო ძლიერნი... სიძლიერე კი... ეს მხდლებს ეჩვენებათ ასე. სიძლიერე არასოდეს არ ყოფილა დამოკიდებული მარტო ღონიერ მხარ-მკლავზე. ანდა, რა არის სიძლიერე საერთოდ? „ბალახი არ ცდილობს ბანიანის ხედ გადაიქცეს და ამის გამო დედამიწა მომხიბვლელი მწვანით იმოსება.“ ნუთუ

თაგორი სუსტი იყო?.. წადი, მოწყდი ახლა აქედან. ფილოსოფია მერე“...

სკამს ისევ დაეყრდნო საზურგეზე და ძლივს გაიმართა წელში.

— არა, დეიდა ნინო, შემდეგისთვის, როცა სულხანი შინ იქნება.

— მობრძანდი, გენაცვალე, ნახე, რაც გინდოდეს.

— შემდეგ, დეიდა ნინო, მე ახლა წავალ. სულხანი ალბათ გვიან დაბრუნდება. უთხარით — ნუ ზარმაცობს. დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ...

— კარგად, შვილო, კარგად. უკაცრავად, რომ...

კიბეზე კარგად ჩავიდა. ეგონა, ქუჩაში გავიდოდა და იქ დაეცემოდა, მაგრამ არა, არც იქ დაცემულა. ეგონა, ტროლეიბუსში მაინც ვეღარ ავიდოდა, მაგრამ ავიდა, ბილეთიც აიღო და დაჯდა კიდეც. ჩამოსვლითაც იქ ჩამოვიდა, სადაც უნდა ჩამოსულიყო. მერე იმსიგრძე ზესიკის აღმართიც აიარა, მერე ლაპარაკობდა კიდეც, ჭამდა კიდეც, ეღიმებოდა და იცინოდა კიდეც. მერე მაღაზიებშიც დაჰყვებოდა დედასა და თინას. იყიდა სავარჯიშოები ბავშვებისათვის, თბილი ფეხსაცმელები დედასთვის, პერანგი თინასთვის. პერანგი კარგადაც გასინჯა, სადმე თვალი არ იყოს წასულიო. მხოლოდ კინოზე თქვა უარი. ცოტა თავი მტკივაო, და ადრე დაწვა. ცხრა საათზე დაწვა. ეგონა, ძილში გათავდებოდა ყველაფერი. მაგრამ არ სძინებია... დილას კი, შვიდს ოცი წუთი აკლდა—უკვე ავტობუსში იჯდა. ავტობუსში ოთხი თუ ხუთი სხვა მგზავრიც იჯდა. ციოდა და საწვიმრის თხელ კალთებს მუხლებზე იხვევდა, არ შემცივდესო. საკინძესაც იკრავდა და თმასაც ისწორებდა... მერე შვიდიც გახდა. ავტობუსი დაიძრა. გარეთ ისევ ბნელოდა. ერთი ააყოლა თვალი ელბაქიძის აღმართს. იქ, ბნელში, ვიღაც მორბოდა, სპორტსმენის გრძელი ნაბიჯებით ვიღაც მორბოდა. „საწყალი, როგორ მორბის, ალბათ, რომელიმე ავტობუსზე დააგვიანდა“, — ეს გაიფიქრა და მერე ცივ მინას მიეყრდნო საფეთქელით. მიეყრდნო და გაუხარდა. ასე ნაკლებად სტკიოდა თავი. მოსცილდებოდა ცოტა ხნით და მიეყრდნობოდა ისევ. მიეყრდნობოდა და უხაროდა — ასე ნაკლებად სტკიოდა თავი, უხაროდა, რომ რამდენიმე წუთით მაინც სხვაზე არაფერზე ფიქრობდა და ნაკლებად სტკიოდა თავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ოთარ ჭილაძე

* *
*

მთებზე ეფინა წითელი ფერი
და ღამდებოდა საოცრად ჩქარა
ძლივს ჩანდა ფარა, ძლივს ჩანდა მტვერი,
რომელიც ზანტად მოსდევდა ფარას.

ძაღლები ყეფდნენ და მწყემსის სახეს
ირიბად ჭრიდა ცახცახა სხივი

მე ახლაც მახსოვს იმ მწყემსის სახე
გადაკვეთილი ცახცახა სხივით.

ის იდგა გზაზე მშვიდი და დიდი
და მის გარშემო დიოდა ფარა
ქარში მღეროდა დაწნული ხიდი
და ღამდებოდა საოცრად ჩქარა.

* *
*

ყველა ტკივილი იძინებს ბოლოს,
მაგრამ მე მაინც მინდოდა მეთქვა,
რომ დღემდე შენით ვცხოვრობდი
მხოლოდ,
შენ იყავ სუნთქვაც და გულის ფეთქვაც.

გადიან წლები და ფიქრით დაღლილს
გადაუხდელი მრჩება ვალები
და მეკარგება მშობლების სახლი,
აუტანელი და საყვარელი.

მე არ ვკითხულობ რად მოხდა ასე,
ან რად შემჯავრდა რაც ადრე ვწერე,
ან რად დავკარგე შენს თვალში ფასი
ამდენი ცდის და ყოყმანის მერე.

ალბათ ასეა ცხოვრების წესი
მკაცრი სიმართლით პირამდე სავსე
და ამ სიმართლით ივსება ლექსიც,
რომ ხვალ მეხივით დამატყდეს თავზე.

მაგრამ ჯერ უნდა მოვიდეს თოვლი
და გადმოფინოს თეთრი აფრები
და შენი ნაზი სხეულის თრთოლვით
ათრთოლდეს თოვლიც და ყველაფერი.

მე ვაღებ სარკმელს და ჭადრებს
ვითვლი,
ჭადრებს გაქცევა შეეძლოთ თითქოს.
და კვლავ მზადა ვარ უარეს დღისთვის,
თუმცა უკეთეს დღეებზე ვფიქრობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ჩარკვიანი

# ხმელთაშუა ზღვის ნიჟარები

## ტყეების ქარში

რძისფერი ნისლი ცისაკენ მიდის,
თეთრი ტყეებიც მიდიან ცისკენ,
ბინდის ფერია პატარა ხიდი,
გადარბის ძაღლი და ლანდი მისდევს.

ამ უცხო მხარეს, შორეულ მხარეს,
მე შენს სიყვარულს ბევრი ვეცადე
და მინდა სადმე რომ დაიღალო,
რომ ვერ იარო და დამიცადო.

ამ ნათელსა და დღესავით ღამეს
ფორთოხლისფერი სხივებით რთავენ
ნუთუ ამდენხანს არ დაიღალე
და ახამხამებ ვარსკვლავის თვალებს.

და მეძახიან ღამეში თითქოს
და მეძახიან თეთრი ტყეები,
სულში ვგრძნობ უცებ შენს ლამაზ
თითებს,
როგორც დამთვლელებს ჩემი დღეების.

ისევ მეძახის ტყეების ქარი,
სავალი გზებიც სადღაც მოკლდება
რად გინდა ძმაო უცხო მხრის ქალი
დასნეულდება მალე მოკვდება.

მე მაინც გეძებ, მე მაინც გეძებ,
ვიცი ახლოს ხარ და ვეღარ ვითმენ,
თითქოს მიწაში მივყვები მეწყერს —
ისე ვგრძნობ სულში შენს ლამაზ
თითებს.

მე მაინც გეძებ, მე მაინც გეძებ,
და შრიალებენ ფრთებით დღეები,
შორეულ გზებზე, და უცხო გზებზე
მელობებიან თეთრი ტყეები.

## სიმწვანე

ჩვენ შევეჩვევით მალე ერთმანეთს...
როცა გაქრება ტყეში სიმწვანე,
მე ვიცი, უფრო გახმაურდება
შემოდგომაზე ჩვენი საღამო.
მე ვიცი, უფრო გახმაურდება
შემოდგომაზე ჩვენი დღეები,
ყველა შეგვამჩნევს,
შეგვამჩნევს, რადგან
ჩვენ მოვედებით ქუჩებს სიმწვანედ.
და ყვითელ ფოთლებს მწვანეთი
შევცვლით,
შეგვამჩნევენ და გაგვიღიმებენ,
ვიქნებით ასე შემოდგომამდე
მერე გაქრება ჩვენი სიმწვანეც.
მერე სხვა მოვა, ლამაზად მოვა
და ყვითელ ფოთლებს მწვანეთი
შესცვლის
და ვიცი, უფრო გახმაურდება
შემოდგომაზე მათი საღამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ ზედგინიძე

# გაზაფხული დაიწყო ადრე...*

## ნაწილი მეორე

### I

წელსაც ადრე და უცებ შემოიჭრა გაზაფხული... იგი ხომ თავისებური ქარიშხალია, ყვავილებით და სიმწვანით მოვარდნილი, ადუღებული მიწით და ამღვრეული ცით!..

კავკასიონის ქედის კალთებზე ნიაღვრებად წამოვიდა გამდნარი თოვლი. მტკვარი ტყვიისფრად აქაფდა და აბორგდა. იგი გაშმაგდა, მეტადრე თბილისთან, როდესაც სანაპიროების დუღაბის კალაპოტში მოექცა. ვერ გადალახა მაღალი კედლები, რომ სახლკარში შევარდნოდა ისნის ძირას რიყეზე მობინადრე ხალხს, როგორც ეს ძველად ხდებოდა. აღარც წისქვილები იყო მტკვრის ნაპირებზე, კუკიის ხიდთან ჩამწკრივებული, რომ მოეგლიჯა და გაეტაცნა მისი ვეებერთელა ბორბლები. მეტეხის ახალი ხიდიც ურყევად იდგა, ვერც იმას დააკლო რამე. მხოლოდ დიდუბესთან, სადაც ახალი ხიდი შენდებოდა, მტკვრის მშფოთვარე ტალღებზე ერთადერთი ბორანი-ღა ბორგავდა. ამ ადგილას მხოლოდ ეს აერთებდა თბილისის ორ მხარეს.

ძველი მებორნე, ჭარმაგი კაცი, ფიდო ზაზაშვილი, რომელსაც სიცოცხლის გარიჟრაჟი მტკვარზე დაეწყო და ბინდსაც იქვე შეესწრო, იდუმალმა შიშმა აიტანა: რას უქადდა მის ბორანს ეს წყალდიდობა?.. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მოეხსნა ორთაყვირი და ნაპირზე დაება თავისი ბორანი, თუ მაინც ემუშავნა და ნაპირიდან ნაპირზე ხალხი გადაეყვანა?..

მოპირდაპირე მხრიდან ხალხი ხელს უქნევდა, უძახდნენ და სთხოვდნენ:

— ძია ფიდო, ძია ფიდო, გადაგვიყვანე, გადაგვიყვანე!..

ველარ გაუძლო ფიდომ ხალხის ხვეწნას, მოსტეხეს მისი ნება-სურვილი და დაიყოლიეს.

„კიდევ ერთხელ გავალ“. გადაწყვიტა ფიდომ და ჭაღარა ულვაშებზე ხელის გულები გადაისვა, მკლავები დაიკაპიწა. შეხსნა მისაბმელი თოკები. ატოკდა ბებერი ბორანი, მძიმედ აჭრიალდა ჯაჭვი და ორთაყვირი ჩაეშვა ამღვრეულ მდინარეში. ტალღებმა ბორანი მაშინვე ქეჩოზე მოიგდეს და შეატივტივეს. არ დაუთმო ფიდომ, მტკვრის ნებაზე არ მიუშვა ბორანი, ტალღებმა ხელიდან ვერ გამოსტაცეს ორთაყვირი და ბორანი ბარბაცით წავიდა შუაგულ მტკვრისაკენ. ამ დროს მთებში მოტაცებული ხეები და ვეებერთელა მორები ეძგერნენ ბორანს და უცნაური ჭახანი გაიღო. შეტოკდა ბორანი, აყირავდა, მაგრამ მაინც ვერ გადააბრუნა. აი, კიდევ ერთხელ დაეჯახა ყალყზე შემდგარი მორების გროვა და მავთულბაგირი აჭრიალდა, დაიჭიმა და გაწყდა. ბორანი შეტორტმანდა და დაბლა დაეშვა. ფიდოს მხოლოდ ორთაყვირი-ღა

---

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 9, 10, 11

შერჩა ხელში. ერთი წამით შეკრთა ძველი მებორნე, მაგრამ იქვე აზრი მოიკრიფა. არც შედრკა და არც დაბნეულა. ორთაყვირს ხელი არ შეუშვა. ეს იყო მისი საჭე. ჯერ შორს იყო ჩელუსკინელთა ხიდი.. ჯერ არ მოჩანდა სანაპიროს დუღაბის კედლები. ფიდო შეეცადა ბორანი მარჯვენა ნაპირისაკენ მიეგდო, მაგრამ ამაოდ, მტკვარი ქვევით მიაქანებდა.

შეშინებული მგზავრები აყვირდნენ. აშკარად იგრძნეს, რომ სიკვდილს თვალებში უცქეროდნენ.

— რა მოხდა?!. რა დაგემართა?! — შესძახოდნენ ფიდოს.

ფიდო სდუმდა. გამწარებული დასცქეროდა ტალღებს... და თანაც ორთაყვირს მართავდა. ბორანი დიდის ვაივაგლახით მარჯვენა ნაპირს მიუახლოვდა და ჯავრიანად დაიძახა:

— ვისაც ცურვა შეგიძლიათ, გადახტით!..

სამი კაცი მაშინვე ჩაეშვა მტკვარში.

გაბედულებამ გასჭრა. დიდხანს ებრძოდნენ ტალღებს, მაგრამ ბოლოს მაინც გასცურეს და ნაპირზე გავიდნენ.

სიმშვიდეს არ კარგავდა ფიდო. ის სწორედ ისე იქცეოდა, როგორც ზღვაში დაღუპვის პირას მყოფი გემის კაპიტანი მოიქცეოდა. შინაგანად აღელვებულს, გარეგნულად მშვიდად ეჭირა თავი და აყვირებულ მგზავრებს აწყნარებდა.

— წყალს გავყვებით. ნუ გეშინიათ, გადავრჩებით, გადავრჩებით!

ბორნის მოწყვეტა მაშინვე აცნობეს სახანძრო რაზმებს. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველა ხიდთან სახანძრო რაზმები გაჩნდნენ. ხალხი გადმოდგა სანაპიროს მოაჯირებზე და გულდაწყვეტილი შესცქეროდა განწირულებს.

ბორანმა ჩაიარა ჩელუსკინელთა მაღალთაღიანი ხიდის ქვეშ, მაგრამ როდესაც ვერის ხიდს მიუახლოვდა, შემზარავი წუთები დადგა.

„ხიდის ბურჯებს რომ დავეჯახოთ, ბორანი დაიმსხვრევა და დავიღუპებით!“ — ფიქრობდნენ მგზავრები და ცივი ქრუანტელი უვლიდათ სხეულში.

ფიდოც ამას ფიქრობდა, მაგრამ ფხიზლად იყო. ოსტატურად გამოიყენა ორთაყვირი. ბორანი ამ ბურჯებს შორის მოხერხებულად გაატარა.

შვებით ამოისუნთქა ფიდომ.

— დაწყნარდით, დაწყნარდით! — კვლავ გაიძახოდა თავშეკავებული მღელვარებით.

ახლა მარქსის ხიდის ქვეშ უნდა გაევლოთ. ძველმა მებორნემ, რომელსაც თანდათან გამბედაობა ემატებოდა, აქაც გადაარჩინა ხალხი. საფიქრელი არ იყო ბარათაშვილის უბურჯო ხიდი. აქ დაჯახებისა არ ეშინოდათ.

ხიდზე გადმომდგარმა ხალხმა გადამრჩენი რგოლები ჩაჰყარა მტკვარში. როდესაც ბორანი ამ ადგილს მიუახლოვდა, ბორნიდან ორი კაცი გადახტა. მათაც იცოდნენ ცურვა. კარგა ხანს იწვალეს. ხან იძირებოდნენ, ხან ისევ ამოჰყოფდნენ თავს, ხან მხარულით ებრძოდნენ ტალღებს, ბოლოს მაინც ჩასჭიდეს ხელი ტივტივა რგოლებს.

ხუთი კაცი-ღა დარჩა ბორანზე, მათ შორის ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც შიშისაგან ხმა ჩავარდნოდა და გაოგნებული შესცქეროდა მებორნეს. ქალმა იცოდა ცურვა. ზღვაში ბევრჯერ უცურავია, მაგრამ სულ სხვაა მშვიდი, სარკესავით აკრიალებული ზღვა და გაზაფხულის წყლებით აბორგებული მტკვარი. ქალმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მას მებორნისკენ მიეპყრო თვალი. ისე შესცქეროდა, როგორც მეზღვაურებს შესცქერიან გემის დაღუპვის უკანასკნელ წუთებში.

— ნუ გეშინია, გადავრჩებით, გადავრჩებით! — ეუბნებოდა ფიდო ამ ქალს, როდესაც წამით თვალს შეავლებდა მის შემკრთალ სახეს.

მეტეხის ხიდთან თბილისელ მეთევზეებს გამჭრიახობა გამოეჩინათ. გაიგეს თუ არა, მტკვარმა ბორანი მოიტაცაო, ხიდის მოაჯირზე დამაგრებული თა-

ვიანთი გრძელი და ფართო ბადეები მტკვარში ჩაეშვათ.

აქ ბორანი მტკვარზე წამომდგარ სახლის კედელს დაეჯახა. ბორანი შეირყა, შეინჯღრა, დატრიალდა და მორევში შევარდა. ამ დროს ხიდზე ჩამოშვებულ ბადეებს სამი კაცი ჩაებღაუჭა. ბორანი ქვეშიდან გამოეცალათ, თვითონ კი ბადეებს შერჩნენ. მეთევზეებმა ბადეები მაღლა აზწიეს. ბადის წვრილი ქსოვილისაგან ზედ დაკიდებულთ თითები დაეჭრათ, დაუსისხლიანდათ, მაგრამ მაინც ბადეებს ებღაუჭებოდნენ, რადგან ეს სიცოცხლის შენარჩუნება იყო.

ბორანი ისევ მდინარებას მიჰყვებოდა.

ფიდოს შეეძლო გადამხტარიყო და გაეცურა, ის თავის გადარჩენას შესძლებდა, მაგრამ ქალი არ მიატოვა. მას ბორნის მიტოვებაც უმძიმდა. ის ხომ ნამდვილად ზედ გაიზარდა, მტკვართან, მტკვრის ტალღებზე.

სამას არაგველთა ხიდს უახლოვდებოდნენ.

ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობიდან გამოსულიყვნენ მუშები და მოვარდნილ მტკვარს ებრძოდნენ, რომ ხარაჩოები არ დაეშალა და არ წაეღო. მუშები წელამდე წყალში იდგნენ და ეზიდებოდნენ ნაპირზე მოყრილ მორებს და ხეებს.

ფიდოს აქ ორთაყვირი გადაუტყდა. ახლა უკვე უმწეოდ დარჩა. მხოლოდ ცქერაღა შეეძლო, როგორ დაეჯახებოდა კლდეებს, როგორ დაიმსხვრეოდა მისი ბორანი.

მაგრამ არც ახლა დაიბნა. უცებ ტანთ გაიხადა, ფეხსაცმელები გაიძრო და ქალს გვერდში ამოუდგა.

— ცურვა იცი? — ჰკითხა.

— ვიცი!

ამ დროს ბორანი ხიდს ცალი გვერდით დაეჯახა და შეირყა. ის-ის იყო ბორნის ორი ნავი ერთმანეთს უნდა დაშორებოდა, რომ ფიდომ ქალს ბრძანებით შესძახა:

— გადმომყევი!..

ორივენი თითქმის ერთდროულად გადაეშვნენ წყალში. გამოცდილი მოცურავე მიჰყვებოდა ტალღებს, თანაც გვერდიდან არ იშორებდა ქალს.

სანაპიროდან ხალხს თოკები გადმოეყარა. ისინი ცდილობდნენ თოკებისთვის ხელი ჩაევლოთ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. გამდნარი თოვლის ცივი წყლისაგან ხელები დაებუჟათ და თითებს ძლივს ამოძრავებდნენ.

აი, ფიდომ თოკს ხელი წაატანა. მისი წვერი მაშინვე ქალს მიაჩეჩა ხელში და შვებით ამოისუნთქა. ქალს ნაპირისაკენ ეწეოდნენ. მებორნე კი ახლა უკვე მშვიდად ებრძოდა ტალღებს, თავისი მკლავების იმედი ჰქონდა.

როდესაც ქალმა ფეხქვეშ მიწა იგრძნო, გული შეუღონდა და მუხლები ჩაეკეცა.

— თინა!.. თინა!.. — როგორც გაბზარული ზარის ჟღრიალი, ისე ჩაესმოდა გულწასულ ქალს თავის სახელი.

მან თვალი გაახილა და უამრავ უცნობ ხალხში ლევანი დაინახა, რომელიც მის წინ ცალ მუხლზე დაჩოქილიყო.

## II

იმ ღამეს თინას სიცხე მისცა. აბოდებდა კიდეც. თავზარდაცემული დიდა ცივ ტილოებს ადებდა შუბლზე. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ტუჩებზე დაცქეროდა, რას თხოულობსო.

ძლივს დაილია ღამე... ფანჯრებში მკრთალმა სილურჯემ შემოანათა. თითქოს გათენება ხსნა ყოფილიყოს, შვებით ამოისუნთქა დიდამ. გულზე მოეშვა თინასაც, სიცხემაც დაუკლო.

შუადღე გადასული არ იყო, როდესაც ფიდო მოვიდა. მას ეცვა შავი უბრალო შ რიალ-ხალათი. წელზე ირტყა ფართო ქამარი, რომელზეც აქა-იქ ვერცხლის ფოლაქები ეკეთა. მან კარებშივე ქუდი მოიხადა და ისე შემოვიდა.

— მშვიდობა აქაურობას! — წარმოთქვა და თავჩაღუნული გაჩერდა

კუთხეში. იქამდე ასე იდგა, ვიდრე არ სთხოვეს მობრძანდითო.

— ერთი ის ქალი დამანახვეთ, მე რომ ვღუპავდი!

ფიდოს სახე ჩამოსტიროდა, გულამღვრეული მოჩანდა.

— ბოდიში, ქალბატონო, ბოდიში!... — ნაღვლიანად წარმოთქვა ფიდომ, როდესაც თინა საწოლში დაინახა.

— რის ბოდიში, ძია, თქვენ კი გენაცვალეთ, თქვენ არ გადამარჩინეთ, თქვენ არ დამიხსენით?..

— ეეჰ, არა, არა, მე გღუპავდით... მე დაგტანჯეთ ასე... რაც მოხდა, ყველაფერი, ჩემი ბრალია!..

თინას გაუკვირდა კიდეც, ეს სრულიად უცნობი კაცი, რომელიც განსაცდელში უკანასკნელ წუთამდე გვერდიდან არ მოსცილებია, ბოდიშს იხდიდა, მაპატიეო.

„მაგის რა ბრალია?.. რატომ ვჯდებოდი ბორანში? ის ხომ არ მეხვეწებოდა? რა ქნას მაგან, თუ კი ადიდებულმა წყალმა ბაგირი გაწყვიტა და გაიტაცა ბორანი?“ — გაიფიქრა თინამ.

— დაბრძანდით, ძია, დაბრძანდით!..

ფიდო ჩამოჯდა.

— დედა, ძიას ღვინო მიართვი.

მებორნე მაშინვე ფეხზე წამოდგა.

— მე კიდევ ღვინო უნდა დამალევინოთ?.. არა, ქაჯან, მე მაგისი ღირსი არა ვარ!.. არა ვარ ღირსი და რა ვქნა?.. მე იმიტომ მოვედი, რომ გამეგო, როგორა ხართ, ან ხომ არ მიჯავრდებითმეთქი.

— არა, ძია, პირიქით, მე თქვენი ძლიერ დიდი მადლობელი ვარ!

— ეგრე, ჭირიმე, ეგრე, ნუ გამიჯავრდებით!

ფიდო სწუხდა, თავის თავს ბრალს სდებდა... თუ კი გრძნობდა, რომ ბორნის აშვება სახიფათო იყო, რისთვის გადადიოდა მტკვარზე? რად აჰყვა ხალხის თხოვნას, რომელთაც არც მტკვრისა ესმოდათ და არც ბორნის მართვისა გაეგებოდათ რამე?.. მისი ალალმართალი გული ვერ მალავდა თავის დანაშაულს, გულმართლად ჰკიცხავდა თავის თავს.

თინა არ მოეშვა, დედას ანიშნა პური და ყველი გადმოუღეო, ერთი ბოთლი დაბეჭდილი ღვინო, კოტეს სიცოცხლის დროიდან შემორჩენილი, წინ დაუდგეს.

ფიდო ალალად დაილოცა:

— ამ ჭერსა და კედლებს გაუმარჯოს, თქვენ რომ წვიმისაგან გიფარავენ, ნიავქარს რომ არ გაკარებენ. დღეგრძელი იყავით ყველანი! — გადაჰკრა და წამოდგა. — ესეც არამია ჩემზე — ჩაილაპარაკა.

— თქვენც გაგიმარჯოთ, ძია!..

— რაღა გამიმარჯოს, შვილო, დამეღუპა!..

— ვინ?..

— ბორანი დამეღუპა. სულ ერთიანად დაიმტვრა. იმას ვიღაააშენებს? მორჩა, უკანასკნელი იყო... ისიც გაქრა!.. — ცრემლი მოადგა ფიდოს თვალებზე, თითქოს ძველ მეგობარს დასტიროსო.

— ძია, ახალ ხიდს რომ აშენებენ, იმაზე კარგი ბორანი რაღა იქნება?

— ხიდი კარგია, მაგრამ, ბორანი სულ სხვა არის... ის ხიდიც იყო და ბორანიც!

— ერთიც მიირთვით! — სთხოვა თამარმა და კიდევ დაუსხა.

ფიდოს ესიამოვნა ღვინო, მოეწონა. ბოლოს დააცქერდა, რა ღვინოაო.

— რა კარგი ღვინოა!.. — აღტაცებით თქვა, — რამდენი ხანია ხეირიანი ღვინო არ დამილევია. რაღაც ნომრებს დააწერეს და, მოდი გაიგე, რას სვამ, ნომერს თუ ღვინოს?!.. ისე სჯობდა, როცა ეწერა: „იყალთო“, „ველისციხე“, „საამო“, ჩემი ბალღობის დროს იყო ასეთი ღვინოები. ეწერა „საამო“ და იცოდა, რომ მართლაც საამო უნდა ყოფილიყო. აი, ეს ღვინო ნამდვილი საამოა, — და ფიდომ მეორე ჭიქაც გამოსცალა. ახლა წასვლა ეძნელებოდა.

— ძია მამაჩემი მეღვინე იყო, ღვინის ყადრი ესმოდა!..

— ჰოო, იმიტომაც... შენ არ იცი, შვილო, რა იყო ჩემთვის ბორანი. მე მტკვარი მიყვარს, ძალიან მიყვარს, ვერ-

გავძლებ უმტკვროდ. ბორანით კი დღემუდამ მტკვარზე ვიყავი. ღამღამობით თევზს ვიჭერდი ხოლმე. მტკვრის წყალშივე ვხარშავდი და ძმაბიჭებს ვუმასპინძლდებოდი. ცოტასაც ვყიდდი. გემრიელი თევზი იცის მტკვარმა, გემრიელი... აი, ერთხელ მე თქვენ მოგართმევთ მტკვრის წყალშივე მოხარშულ მტკვრის თევზს, ნახეთ რა გემრიელია!..

— გმადლობთ, ნუ შეწუხდებით...

— რა შეწუხებაა!..

— იცით, ძია, თქვენ არ გაგიგონიათ, ორთაჭალჰესი რომ აშენდება, მტკვარი დაგუბდება. მტკვარში ნავები და კატერები ივლიან. მენავეობა ხომ შეგიძლიათ. თევზსაც დაიჭერთ!..

— ვინ იცის, ეგ როდის იქნება?

— სულ მალე, ორ-სამ წელიწადში!..

— შენს პირს შაქარი, შვილო!

სიჩუმე ჩამოვარდა. სალაპარაკო გამოელიათ. მაშინ ფიდომ მესამე ჭიქა გამოსცალა და დედა-შვილს თავაზიანად დაემშვიდობა.

III

ლევანი ყოველდღე მიდიოდა თინასთან. სიამოვნებით უღებდნენ კარს. შემოუსხდებოდნენ მაგიდას და ტკბილად საუბრობდნენ. ის აღარ იყო ახალგაზრდა. ოცდათხუთმეტი წლის კაცს თავისუფლად შეეძლო ემსჯელა ცხოვრებისეულ საკითხებზე. თამარსაც მოსწონდა მისი სიდინჯე, სიდარბაისლე. ის მოდიოდა სამსახურის შემდეგ და ორიოდე საათს რჩებოდა მათთან.

ერთ კვირა დღეს ლევანმა თინას მორიდებულად სთხოვა, სადმე გავისეირნოთო. უარი ვერ ჰკადრა თინამ. გაჰყვა. მიდიოდნენ ერთმანეთის გვერდში, ოღონდ შორი-შორ. მათი ლაპარაკის საგანი ძალზე უმნიშვნელო იყო. გაჰკილეს მძღოლი, რომელმაც დიდის სისწრაფით ჩააქროლა მათ წინ მანქანა. უკმაყოფილება გამოთქვეს მეეზოვეზე, შუადღისას ქუჩას რომ ჰგვიდა და ამტვერებდა. ბოლოს მტკვარზე მომხდარი ამბავი გაიხსენეს.

გაზაფხულის თბილი დღე იყო. ქროდა ნიავი და ჭადრების ფართო ფოთლებს, როგორც მარაოებს, ისე აშრიალებდა.

ნელი ნაბიჯით გადავიდნენ ჩელუსკინელთა ხიდზე. ყურძნის მტევნებივით დაკიდებული აკაციის თეთრი ყვავილები სასიამოვნო სურნელს აბნევდნენ ჰაერში.

ცირკს შემოუარეს და სანაპიროს გაჰყვნენ. ხმაამოუღებლად მიდიოდნენ. ვერის პარკთან გაჩერდნენ და მტკვარს გადახედეს.

ნელა მიდიოდა მტკვარი. დამცხრალი იყო. აღარ შფოთავდა მისი ზვირთები, როგორც ამ რამდენიმე დღის წინათ; ერთი პატარა ნაფოტი მიჰქონდა წყალს. მიჰქონდა თამაშ-თამაშით, თითქოს ალერსითაც. შეხედა თინამ და თვალები დახუჭა. თავისი თავი წარმოიდგინა იმ ნაფოტის ნაცვლად.

მტკვრის მეორე ნაპირზე ვეებერთელა ექსკავატორი ძირს ხრიდა თავის უზარმაზარ ხორთუმს და ხვეტდა მიწას. ეს მიწა ჰაერში აჰქონდა და გზის შესასწორებლად ორმოებში ჰყრიდა. იქვე, პირდაპირ მიწაზე, ქვისმთლელები ისხდნენ და საიდანღაც მოტანილ ვეებერთელა ქვებს უკაკუნებდნენ მოპირულ ჩაქუჩებს.

თინა ერთ ადგილს დააკვირდა. ვიღაც უწვერულვაშო კაცი რიყის ქვებით სავსე ცალთვალას ფიცარნაგზე მიაგორებდა. მიდიოდა და თვალს არ აცილებდა, როდესაც გაუსწორდა, იცნო სოსო იყო. მისი პატარა ძმა. გული ეტკინა. გაახსენდა, სოსოს დედასთან ხანდახან ფული მოჰქონდა. ოჯახს გაჭირვებას შეუმსუბუქებდა. მეათე კლასელი მოსწავლე კვირადღეობით სანაპიროზე მუშაობდა. ხელფასი უკლებლივ მოჰქონდა შინ.

„რა ჭკვიანი ბიჭია. როგორ ზრუნავს ჩვენთვის. სწავლობს და მუშაობს კიდეც!“ — გაიელო გულში. ის დღეც

გაახსენდა, როდესაც სოსომ შინ პირველად მოიტანა ფული. დედას გაუკვირდა, სად იშოვეო, ჰკითხა, შეშინებულმა. ვიმუშავეო. არ დაუჯერა, ცუდი გზით არ იყოსო ნაშოვნი. ერთ დღეს თვითონ წაჰყვა სოსოს, მაჩვენე სად მუშაობდიო. სოსომ თამარი სანაპიროზე წაიყვანა და როდესაც იქ ბრიგადირები და ხელოსნები სოსოს სიყვარულით შეხვდნენ, როგორც კარგ ნაცნობს, დარწმუნდა, რომ აქ ემუშავა. გული ეტკინა, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ქვებსა და მიწაღოროს ეზიდებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა? პატიოსანი შრომა სათაკილო არ არის, რასაც არ უნდა აკეთებდე, ასეთი შრომით ნაშოვნი ლუკმა ტკბილზე ტკბილია!..

— წინათ იმ მხარეს, ხიდქვეშ გასავლელი გზა არ იყო, ახლა კი იქნება. აკეთებენ, — თქვა ლევანმა და სულ სხვა მხარეს გაიხედა.

— რაზე ფიქრობთ? — ჰკითხა თინამ, როდესაც შენიშნა, რომ მისი გამომეტყველება იმას არ გამოხატავდა, რასაც ამბობდა.

— ვითვლი, რამდენი წლით უფროსი ვარ თქვენზე.

— რა საჭიროა?!..

— ძალიან დიდი განსხვავება ხომ არ არის? — თინას სახეზე სინათლემ გადაჰკრა...

ასიოდე ნაბიჯი ხმაამოუღებლად გაიარეს. ისინი შეყვარებულებს დაემსგავსნენ, ისეთებს, გულჩათხრობილნი რომ მიდიან ერთად, ვერაფერს რომ ვერ ეუბნებიან ერთმანეთს. ჩანდა, გამვლელებიც ასე ფიქრობდნენ. ისე უცნაურად შეავლებდნენ ხოლმე თვალს, თითქოს ეშმაკობაში დაეჭიროთ. ერთმა შუახნის კაცმა ღიმილითაც კი გადახედა თინას. თინას ეუცხოვა და სანაპიროს მოაჯირისაკენ შებრუნდა.

ისევ განაგრძეს გზა.

მარქსის ხიდს მიუახლოვდნენ.

ლევანი შეეცადა თინას ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა.

— თქვენ თუ გახსოვთ ეს ადგილი სანაპიროს გაშენებამდე? არ გახსოვთ?.. მე კარგად მახსოვს, მაშინ ბავშვი ვიყავი. ამ ხიდზე რომ გადავივლიდი, მოაჯირზე გადავდგებოდი და ზევიდან დავყურებდი მტკვრის ამ პატარა ტოტს. შიგ ბაყაყები ყიყინებდნენ. ერთ ზამთარს ზედ ვიციგურავე კიდეც. ამ ხიდთან მტკვარი ორ ტოტად იყოფოდა. მარჯვენა ტოტში ძალზე მდორედ მოდიოდა წყალი, ზამთარში იყინებოდა კიდეც...

— არა, მე ეს არ მახსოვს.

— არც ის გახსოვთ, აგერ იქ, პირდაპირ, — ლევანმა ხელი გაიშვირა, — იმ სახლის გაყოლებით წისქვილები რომ იყო ჩამწკრივებული?..

— არა, არ მახსოვს. ალბათ, დაბადებულიც არ ვიყავი მაშინ...

— ალბათ!..

ბარათაშვილის ხიდი გაიარეს. აქ ხალხი ბუზივით ირეოდა. ისინი ხალხს შეერივნენ და გამოყოფილად აღარ მოჩანდნენ, როგორც სანაპიროზე. თითქოს ადამიანებს ამოეფარნენ და დამალეს თავიანთი გრძნობები და განცდები. ამდენ ხალხში ვერავინ გაერკვეოდა, ვინ რას ფიქრობდა, ვის რა დარდი აწუხებდა.

მეტეხის ხიდს მიუახლოვდნენ.

მაღლა აიხედეს. დაინახეს ისინს ზღურბლთან წამომდგარი ძველი, ჩამოღვენთილი სახლი, რომელსაც პატარა მრგვალი აივანი არწივის ბუდესავით მიტმასნებოდა.

— ეს დარეჯანის სასახლე იყო!

— რომელი დარეჯანისა?..

— მეფე ერეკლეს ცოლისა. რა უხერხული გამოთქმაა ცოლი. ცოლის კი არა მეუღლისა.

თინამ კარგა ხანს უცქირა, მერე ღიმილით ჩაილაპარაკა.

— ჰმ, სასახლე!.. არ ვინატრებდი ასეთ სასახლეში ცხოვრებას!..

— არ ინატრებდით? — ლევანმა ალერსიანი ხმით გამოაჯავრა. — წარმოიდგინეთ ორი საუკუნის წინა დრო და ეგ სახლი მაშინ. ბარათაშვილის აღ-

მართიც, ახლა ტრამვაი და ავტობუსები რომ დადის, ბილიკად წარმოიდგინეთ. რა მიუვალი და მიუკარებელი იქნებოდა ეს სასახლე მაშინ. ერთადერთი მისასვლელი გზა ჰქონდა მას. ჩვეული აღმართიანი, ხეივნის მსგავსი. აბა, წარმოიდგინეთ, ლამაზი არ იქნებოდა?.. ამ სასახლიდან მოჩანდა ქალაქის ყველა მოედანი, ყველა ხიდი, ყველა გზა, რომელიც გალავანში შემოდიოდა. ამ აივნიდან გასცქეროდნენ მამადავითს, ხარფუხის მთას, მეტეხის ციხეს და მის ეკლესიას, სიონს, წმიდა გიორგის საყდარს, ქალაქის გალავანს, ძირს მტკვარი და პირდაპირ კი, მაღლა კრწანისისა და კოჯრის ტყეები!..

თინა მართლა ჩაფიქრდა. გონების თვალით წარმოიდგინა ეს ყველაფერი და სათნოდ შეხედა ლევანს, რა ლამაზად დამისურათაო ეს მიდამო.

ლევანმა გაუღიმა...

„არც ისეთი დიდი განსხვავებაა ცამეტი წელი!“ — გაუელვა გულში.

გაჩერდნენ და ავტობუსს დაელოდნენ. ავტობუსი კარგა ხანს არ ჩანდა. მობეზრდათ ლოდინი. ლოდინი დუმილში. დუმილში კი, ვინ იცის, რა ფიქრი არ უტრიალებდა თავში, მოიშორებდა თუ?!.

„დარეჯან დედოფლის სასახლე... ერეკლეს მეუღლისა... ცოლისა კი არა, მეუღლისა!.. ბოლოსდაბოლოს ეს სულ ერთია!.. არა უჭირს რა, კარგი სასახლე იქნებოდა იმ დროისათვის!“ — ფიქრობდა თინა. მას ეგონა, რომ ყველაფერი ეს ხმამაღლა თქვა და იკითხა·

— თქვენ ეს საიდან იცით?..

— რა? — გაუკვირდა ლევანს. ვერ მიხვდა რაზე ეკითხებოდა. — აი, ის, ეკლესიები რომ ჩამოთვალეთ, ხიდები, ციხეები, გალავნები!..

— თბილისი მიყვარს და მისი სიძველენი შესწავლილი მაქვს.

— აჰაა!..

ავტობუსი მაინც არ მოვიდა და ფეხით გაუდგნენ გზას. მეტი აღარ შეიძლებოდა ლოდინი, თორემ თავიდან არ ამოუვარდებოდა შეჩენილი ფიქრი.

ბინდდებოდა. იწყებოდა ჰწუხრი, როცა მზე ჩასულიც არის და არც არის ჩასული...

მტკვარს ნიავი მოჰყვებოდა.

აგრილდა.

სანაპიროს მთელ სიგრძეზე, სადამდეც ადამიანს თვალი გასწვდებოდა, ჰაერში დაკიდებულივით მოჩანდა რძესავით თეთრი ბურთები, რომლებიც ერთდროულად აენთნენ. სინათლემ გაახარა ისინი და ერთმანეთს შეხედეს. შესცინეს კიდეც. შეიძლება არც შესცინეს, მაგრამ სინათლით გაშუქებული სახეები ასე გამოჩნდნენ.

მიდიოდნენ მხარდამხარ. შუქი ეფინებოდათ ფეხქვეშ, მათი ჩრდილები კი ხან წინ წვებოდა, ხან უკან.

„რა კარგია რომ აღარაფერს მეუბნება?“. — გაივლო თინამ გულში, მაგრამ სწორედ ამ დროს წაიჩურჩულა ლევანმა:

— მთელი სიცოცხლე ასე ერთად რომ მივდიოდეთ... მუდამ... მუდამ!.. თქვენი ბავშვიც ჩვენთან იქნება. ისიც თქვენსავით მეყვარება...

თინამ პასუხი არ გასცა. ჩაფიქრდა და თავი ჩაჰკიდა. „დავიღალეო“ — თქვა თინამ და ისინი ტაქსით მივიდნენ შინ.

თინამ ლევანი ოჯახში შეიპატიჟა.

კიბეებზე გოგი შეეგება. ის დედას მუხლებზე მოეხვია.

— მოგეწყინა უჩემოდ, შვილიკო? დამაგვიანდა, მაპატიე, გენაცვალე! — თინას ხელში უნდოდა აეყვანა, მაგრამ დაღლილობის გამო ვერ შესძლო.

ლევანი შეეშველა თინას. მან ბავშვი ჰაერში აიტაცა და ისე შეიყვანა ოთახში. ბავშვი მოფერებით დააყენა სკამზე. მერე პალტო გაიხადა და სკამის ზურგზე გადაჰკიდა, ქუდიც ზედ დადო, ისე თითქოს შინაური ყოფილიყოს. ძალდაუტანებელი უბრალოებით მაგიდას მიუჯდა. თინამ დედას რაღაც წასჩურჩულა და რამდენიმე წუთით მეორე ოთახში გავიდა. თინა იქიდან საშინაო

კაბაში გამოწყობილი გამოვიდა. კაბის უბრალოება ძალიან უხდებოდა. ეს იყო ცისფერი ქიშმირის კაბა ყოველგვარი სამკაულების გარეშე. თინა მოქანცული იყო და მოდუნებულად მიუჯდა მაგიდას. დაღლილობაც კი უხდებოდა. ელექტრონის შუქი მიმკრთალებულ სახეს ნათელს ჰმატებდა.

თამარმა ჩაის ჭურჭელი გამოიტანა. სუფრა გაშალა. ალუბლის მურაბა ამოიღო. სუფთად გაკრიალებულ ჭიქებში ოქროსფრად კამკამებდა ჩაი. მაგიდაზე მხოლოდ პური და ყველი იდო, სხვა არაფერი. ტკბილად შეექცეოდნენ და ტკბილადვე მასლაათობდნენ.

— დედა, აბა თუ გაიხსენებ ლევანს, თურმე ერთხელ ჩვენს ოჯახში ყოფილა.

თამარი დააკვირდა.

— არ მაგონდება, შვილო.

— დედა, ძია მელიტონი ხომ გახსოვს?..

— როგორ არა? ძმობას რომ ეფიცებოდა მამაშენს. მე შენს მეტი მეგობარი არა მყავსო, იტყოდა ხოლმე და გადაჰკრავდა ღვინოს! როგორ არ მახსოვს?!

— აი, იმასთან ერთად ყოფილა ჩვენთან. ერთ ღამეს მამამ ძია მელიტონის გარდა ერთი უცნობი კაცი რომ მოიყვანა ჩვენთან, ის ლევანი ყოფილა!..

ლევანი იღიმებოდა, თინა კოვზით სინჯავდა ჩაის, ურევდა და აგრილებდა, ცხელი არ იყოსო.

— სად არის ახლა მელიტონი? — იკითხა თამარმა.

— ის, ქალბატონო თამარ, კარგა დიდ თანამდებობაზეა, თითქმის მინისტრს უთანასწორდება.

— მე კი ადგილი ვერ მიშოვა! ჩაურთო თინამ, — შენთვის არ მითქვამს, დედა, არ მინდოდა შემეწუხებინე!..

— ხოო, არა ყოფილა კარგი კაცი,— მიუგო ფიქრში წასულმა თამარმა ხმადაბლა და სინანულით.

— რატომ, ქალბატონო!

— ვიდრე კოტე ცოცხალი იყო, თითქოს უკეთესი მეგობარი არ ჰყავდა. რა ვიცი, მუდამ ასე ამბობდა. როდესაც გარდაიცვალა, მთლად გადაავიწყდა. დაკრძალვას დაესწრო, ქელეხზეც იყო , მერე თვალითაც არ გვინახავს. ერთხელ მაინც მოსულიყო და ეკითხა, რა გვიჭირს, რა გვილხინს?!. ეეჰ, არ ვარგა ასე, არა. ასეთი არ უნდა იყოს ადამიანი!..

მართალსა ბრძანებთ, ქალბატონო! — დაუდასტურა ლევანმა.

— იცით, პატივცემულო ლევან, კაცს ძალიან ხშირად ცვლის თავისი კარგი მდგომარეობა. მეგობრებს ივიწყებს. ამპარტავნობს. თავისი შავი დღეები ავიწყდება. გაუმაძღარი ხდება, თანაც ვერ წარმოუდგენია, თუ ვინმეს შეიძლება უჭირდეს. იმიტომაც გადაიკარგა, თურმე დიდი კაცი გამხდარა! — თქვა და ჩაიცინა.

— დიახ, უსათუოდ აგრეა. ისინი ეგოისტები ხდებიან! — დაუდასტურა ლევანმა.

— იცით, კიდევ რა მაქვს შემჩნეული? — განაგრძო თამარმა, — ფულიან კაცს, უსწავლელიც რომ იყოს, ჭკვიან და სწავლულ კაცად მოაქვს თავი. ცარიელი თავიც რომ ჰქონდეს, თუ კი ჯიბე სქელი აქვს, ჰგონია,ჭკუაც იმდენი აქვს, რამდენიც ფული!

ხმამაღლა გაეცინა ლევანს.

— ყველა არ არის აგეთი, — სიტყვა ჩაურთო თინამ... — თუ ის ადამიანია, რაც არ უნდა გამდიდრდეს, მაინც ადამიანად რჩება. კარგი და ცუდი თვისება მის ბუნებაში მანამდეც არის, ოღონდ მერე გამოჩნდება ხოლმე, ვინ რას წარმოადგენს!

ლევანს უნდოდა თინასთვის თანხმობა გამოეცხადებინა, მაგრამ შერცხვა, ორჭოფობად ან პირფერობად არ ჩამომართვანო ' და მხოლოდ გაიღიმა. თინა ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს ღიმილი.

— კიდევ მიირთვით ჩაი. — შესთავაზა თინამ.

— გმადლობთ, მე მხოლოდ ერთ ჭი-

ქასა ვსვამ, ისიც ძალზე მუქს!...

— ოჰ, რატომ თავიდანვე არა თქვით, მუქ ჩაის დაგისხამდით.

— მუქი იყო, მუქი.., თითქოს იგრძენითო, რომ მუქი მიყვარს!..

— თუ მუქი არ იყო, ახლა ნამდვილად დაგისხამთ!

— არა, გმადლობთ, მუქი იყო... თქვენ ეს იგრძენით! — მნიშვნელობით გაიმეორა ლევანმა, რომ თინას ყურადღება მიექცია.

თინა მიხვდა, მაგრამ ნათქვამი არ გაახვიადა.

ამ დროს ფეხის ხმა გაისმა. თამარი ერთი წამით გაყუჩდა. მერე ღიმილმა სახე გაუნათა და წამოდგა. კარისაკენ გაეშურა.

— სოსო მოდის! — სიხარულით თქვა.

ფეხის ხმაზე მიხვდა.

თამარმა წინასწარ, ვიდრე სოსო შემოვიდოდა, კარი გააღო და ღია კართან იდგა.

ოთახში შემოვიდა წარმოსადეგი, მხარბეჭგაშლილი ყმაწვილი.

— შემოდი, დედა გენაცვალოს! — შეეგება თამარი.

სოსოს თმა ოდნავ აწეწილი ჰქონდა. ტანსაცმელზე აქა-იქ შეშხეფებული ტალახის წინწკლები ეყარა.

სოსო თავაზიანად მიესალმა სტუმარს, მერე თქვა, ახლავე მოვალო, და მეორე ოთახში გავიდა. თამარი თან გაჰყვა.

— სწავლობს? — იკითხა ლევანმა.

— დიახ, წელს ამთავრებს საშუალოს, — უპასუხა თინამ.

სოსომ ხელპირი დაიბანა, ხალათი გამოიცვალა და მხიარული გამომეტყველებით გამოვიდა წინა ოთახში. თამარმა ჩაი დაუსხა, მურაბა გადაუღო, ყველი და პური ახლოს მიუწია. დედა სიყვარულით შესცქეროდა შვილს. სოსო კი თავჩაღუნული იჯდა, არ იმჩნევდა დედის მზრუნველობას.

თინა დაღლილობისგან მოთენთილობას გრძნობდა. თავი გვერდზე ჰქონდა გადაწეული, თვალები ელულებოდა.

ლევანმა მაჯის საათს დახედა და თქვა:

— გვიან ყოფილა... თერთმეტი საათია. თუ არ მიწყენთ, მე წავალ!

წამოდგა, შუბლზე ხელი გადაისვა, მერე ყველას თავაზიანად ხელი ჩამოართვა და მაკინტოში გადაიცვა, ქუდი კიბეებზე დაიხურა.

დედა-შვილი პატარა ხანს სდუმდნენ. სოსო ჩაის შეექცეოდა, თამარი ჭიქებსა და ლამბაქებს რეცხდა, თინა კი სუფრაზე დაყრილ ნამცეცებს კრეფდა. როდესაც სოსო ადგა და მეორე ოთახში გავიდა, თამარმა უბრალოდ ჰკითხა:

— რატომ დაიწყო ასე ხშირად სიარული ლევანმა ჩვენთან?..

თინამ ხმა არ ამოიღო.

სიჩუმემ დედა-შვილს გული დაუმძიმა.

თინა საწოლ ოთახში გავიდა. კარგა ხანია ეძინა გოგის. ბავშვს ყელში ტუჩებით ჩაეკონა და ჩაიდუდუნა:

— დედაშენი მხოლოდ შენი იქნება. მხოლოდ შენი!..

მაგრამ ღამით, როდესაც სასთუმალზე თავი მისდო, მხოლოდ ერთი წამით გაიფიქრა: „როგორ მითხრა?.. ესეც თქვენსავით მეყვარებაო! — ნუ-თუ მართალს ამბობს?!“.

## IV

— ძია გაიოზი მოვიდა, ძია გაიოზი! — სიხარულით დაიძახა გოგიმ და კარისკენ გაიქცა.

გაიოზი კარებთან შეჩერდა, რადგან ბავშვი მუხლებზე შემოეხვია.

საშუალოზე მაღალი, საკმაოდ ტანადი და წარმოსადეგი კაცი, ცოტა ხანს ღიმილით დასცქეროდა ბავშვს, მერე დაიხარა და ხელში აიყვანა, მიეფერა, აკოცა და ისევ ძირს დასვა. გაიოზს ხელში ეჭირა ქაღალდში შეხვეული პატარა ნივთი, რომელიც იქვე მრგვალ მაგიდაზე დადო.

— როგორა ხართ, ჰა? — მიმართა მან მასპინძლებს, რომელნიც შესაგებებლად კარისკენ მოდიოდნენ.

— მობრძანდით, ბატონო გაიოზ, მობრძანდით! — სიხარულისგან გაბრწყინებული თვალები შეანათა თინამ და ცალი ხელი თმებზე გადაისვა, რომ ცალ მხარეს ჩამოშლილი კულულები შეესწორებინა.

გაიოზი თინას მიუახლოვდა, დააკვირდა და უთხრა:

— მე ვრწმუნდები, რომ შენ ნამდვილად კარგი ქალი ხარ!

თინას გაეხარდა და გაუკვირდა კიდეც, სწორედ ისე როგორც გაუხარდება და გაუკვირდება ბავშვს, თუ კი მას ეტყვიან, რომ ზაფხულობით ვარსკვლავები ცაში თვალხუჭუნას თამაშობენო.

— საიდან დაასკვენით, ბატონო გაიოზ, რომ მე კარგი ქალი ვარ?! — გულუბრყვილო სერიოზულობით შეეკითხა თინა და ისე მიაჩერდა სახეში, თითქოს საბედისწერო განაჩენს ელოდაო.

— თქვენ ამისი საბუთი გინდათ? — ჰკითხა გაიოზმა. — წამით გაჩუმდა და ისევ განაგრძო — ამას არც საბუთი სჭირდება და არც მტკიცება. ამას ვამბობ მე და ეს სავსებით საკმარისია.

ლევანმა კარგად იცოდა თავისი ძველი მეგობრის ლაპარაკის თავისებურება და არაფერი ეუცხოვა. იღიმებოდა და სიხარულით შესცქეროდა მისთვის მეტად საყვარელ ადამიანს, რომლისთვისაც გაუზიარებია თავისი მტანჯველი ფიქრიც, სასიხარულო ოცნებაც და დაუცხრომელი მისწრაფებაც...

— ძალიან გამახარე შენი მოსვლით, ძალიან. დაჯექი გაიოზ! — უთხრა ლევანმა და ხელი ჩამოართვა.

გაიოზმა მაგიდისკენ გაიხედა და თავისი მოტანილი შეკვრა აიღო, აბა, ახლა ნახეთ რა ძვირფასი საჩუქარი მოვუტანე ჩვენს პატარა გოგის. — წარმოთქვა გაიოზმა დაყოვნებით, სიტყვების დაყოფით და შეუდგა ამ შეკვრის გახსნას. ის ნელა და ფაქიზად ხსნიდა კანაფს. — თქვენ ეს მარგალიტებით მოჭედილი ნივთი არ გეგონოთ... თუმცა მე ეს მარგალიტს მირჩევნია, ნამდვილად მირჩევნია!...

გოგი თვალგაშტერებული მისჩერებოდა გაიოზს ხელებში, მოუთმენლად ელოდა მალე გახსნილიყო და გამოჩენილიყო მისი საჩუქარი.

ბოლოს, გაიოზმა, როგორც იქნა გახსნა, გადაშალა და ამოიღო პატარა, თეთრი ნაბდისაგან შეკერილი, ოქროს ბუზმენტებიანი კახური ქუდი.

— აბა, მომგვარე ეგ ჭკვიანი თავი აქ! — მიმართა გაიოზმა ბავშვს.

გოგი სწრაფად მიუახლოვდა და თავი მიუშვირა.

გაიოზმა ქუდი ბავშვს კეფაზე დაახურა და საჩვენებელი თითის მაღლა აწევით დიდმნიშვნელოვნად წარმოთქვა:

— იცით, ამას ვინ ატარებდა?..

ლევანმა იცოდა, მაგრამ გაჩუმდა, დეე თვითონვე თქვასო.

— ამას ატარებდა პატარა კახი... საქართველოს ტანჯული შვილი და ტანჯული მამა! — გაჩუმდა... ნერწყვი გადაყლაპა. ნერწყვი ემწარა და წყლით სავსე გრაფინს გადახედა.

თინა მიხვდა, წყალი მოესურვაო და მაშინვე აუვსო ჭიქა. გაიოზმა წყალი მოსვა, წყლის დასხმისათვის თინას მადლობა გადაუხადა და ჭიქა მაგიდაზე დადო.

— აბა, ახლა სარკეში ჩაიხედე, ნახე როგორ გიხდება!—მიუბრუნდა ბავშვს.

— ეგ ყველა ქართველ კაცს მოუხდება!..—ღიმილით წარმოთქვა ლევანმა.

— მეტადრე ბავშვებს! — ჩაურთო თინამაც.

გოგის ძალიან მოეწონა თავისი ახალი ქუდი. ის იყო ისეთი მსუბუქი, ისეთი პატარა და ნაზი, რომ სულ არ აწუხებდა, როგორც თავისი ძველი ქუდი, შავი ლენტები რომ ჰკიდია, რომ უჭერს და მუდამ წითელ ზოლს აჩნევს შუბლზე.

გოგის გიშერივით შავი და კრიალა თვალები ციმციმა ნაპერწკლებით აევსო. ქაღალდის ფურცელივით სუფთა, გაშლილი შუბლი და უზომოდ შავი თმა, თეთრის და შავი ფერების კონტრასტს აძლიერებდა, რის გამოც უფრო მკაფიოდ მოჩანდა მისი პატარა,ვარდის-

ფერი ბაგეები. უზომო სიხარული გამოეხატა სახეზე. გული აღარ უჩერდებოდა, ლამობდა გარეთ გაქცეულიყო, ჩაერბინა ეზოში და ტოლებისათვის ეჩვენებინა თავისი ახალი ქუდი. გაიქცა კიდეც. ცოტა ხნის შემდეგ გაისმოდა მისი ხმა:

— აი, მე რა მაქვს!..

თინა ლევანი და გაიოზი მაგიდას შემოუსხდნენ. თინა უხერხულობის გამო მაგიდაზე გადაშლილ სუფრას ასწორებდა. დროდადრო შეხედავდა ხოლმე ხან ლევანს, ხან გაიოზს, რომელნიც ტკბილად საუბრობდნენ.

თინამ სულ რამდენიმე თვის წინათ გაიცნო გაიოზი, მას შემდეგ რაც ლევანს გაჰყვა ცოლად. ძალიან მოკრძალებულად იქცეოდა თინა. გაიოზს პატივს სცემდა და აფასებდა კიდეც. გაიოზი ამას იმსახურებდა, როგორც მეცნიერი და, ამავე დროს უბრალო, გულისხმიერი ადამიანი. როდესაც კი გაიოზი მათ ესტუმრებოდა, ყოველთვის რაიმე ახალს და მათთვის უცნობს ჰყვებოდა. ახლაც ისე შესცქეროდა თინა, თითქოს ელოდა რაიმე ამბავს მოგვიყვებაო.

— თქვენ უსათუოდ გეცოდინებათ, თუ როგორ წარმოიშვა ეს პატარა ნაბდის ქუდი!..

— რასაკვირველია! — მიუგო ლევანმა.

— მე რომ არ ვიცი?.. — გაკვირვებით წამოიძახა თინამ.

— მაგას ქართველი მეომრები ძველად მუზარადის ქვეშ ატარებდნენ, მუზარადი ლითონისა იყო და, მოგეხსენებათ, მეომრებს თავს ატკენდა, მეტადრე მაშინ თუ კი მოქნეული ხმალი მოხვდებოდა მას... და ასე... — გაიოზი გაჩუმდა. უცებ სხვა ფიქრებმა გაიტაცა მისი გონება.

— მერე, ბატონო გაიოზ?..

— მერე?.. ხოო, იმას ვამბობდი... მერე ის, რომ მუზარადი გადავარდა და ეს კი დარჩა ქუდად!

— ახლა ეგეც გადავარდა, — დაუმატა ლევანმა.

— მუზარადი ეშმაკსაც წაუღია, მაგრამ ეს პატარა ქართული ქუდი ბავშვებმა მაინც ატარონ. განა მოხდენილი არ არის?!.

— მე ძალიან მომწონს! — ჩაურთო თინამ სიტყვა.

გაიოზი წამოდგა და ერთ-ერთ კედელს მიუახლოვდა. კედელზე გაკრულ სურათებს ჩაფიქრებული დააცქერდა. მის გონებას არა სწვდებოდა ნახატის შინაარსი. მერე მოტრიალდა და ისე წარმოთქვა, თითქოს კარგა ხნის მივიწყებული რამ გაახსენდაო:

— მე ახლა წავალ. მხოლოდ იმისთვის შემოვიარე, რომ მენახეთ!

— რასა ბრძანებთ, რა დროს წასვლაა?.. ერთად ვისადილოთ, ხომ არსად გეჩქარებათ?..

— როგორ არ მეჩქარება! მე მუდამ მეჩქარება. მთელი სიცოცხლე მეჩქარება, მაგრამ ვაი, რომ სულ ერთ ადგილას ვგრძნობ თავს!..

— სად გეჩქარება? დღეს კვირაა. დავსხდეთ, ვისაუბროთ. თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ, ჩვენებურად, მეგობრულად! — სთხოვა ლევანმა.

გაიოზი დააცქერდა ლევანს. მის სიტყვებში მეგობურლი სითბო იგრძნო და უპასუხა:

— თუ სადმე მიხარია წასვლა, ეს შენთან, ჩემო ლევან! — ხმაში სიხალისე დაეტყო გაიოზს და განაგრძო, — დავრჩები, ოღონდ, თუ ღვინოს დავლევთ, უსათუოდ კარგი ღვინო უნდა დავლიოთ. ცოტა და კარგი. მე ასე მიყვარს.

— მეც.

— რომელი ღვინო გაქვს?..

— თელიანი.

— კარგია, თუმცა მაგას ქინძმარაული სჯობია.

— ქინძმარაულიც მაქვს.

— მაშ გავსინჯოთ, ჩვენს დღევანდელ სულიერ განწყობილებას, რომელიც მოუხდება, ის დავლიოთ.

— ჩვენ ახლავე შევუდგებით კეთილი საქმის სამზადისს! — თქვა ლევანმა და თინას გადახედა.

თინა მაშინვე სამზარეულოში გავიდა. გადახედა სადილს. შეწუხდა. ისეთი არაფერი ჰქონდა, რომ თავი მოეწონებინა. ვაზის ფურცლის ტოლმა, როგორც მამის ოჯახში იცოდნენ, თინასაც გამოჰყვა ოჯახში მიღებულ საყვარელ კერძად. ხშირად ამზადებდა მას. გემრიელიც გამოდიოდა. ზედ მაწონს გადაასხამდა, მოაყრიდა დარიჩინ შერეულ შაქრის ფხვნილს და უხვად მოიტანდა ფაიფურის სინით. თინა სასადილოში გავიდა და სერვანტში შეიხედა. შეათვალიერა, თუ რა გააჩნდა საუზმედ: თუშური ყველი, გუდისა. კიტრი, პამიდორი, ცოტა შავი ხიზილალა, ძალიან ცოტა, მაგრამ ერთ პატარა თეფშს მაინც შეავსებდა, ზედ წვრილად დაჭრილ ხახვს მოაყრიდა და სუფრას დაამშვენებდა. ოციოდე მარცვალი ზეთის ხილი და თონის პური, მართალია შოთი არ იყო, მაგრამ მაინც სასიამოვნო — თავისი წითლად გამომცხვარი თხელი ნაწიბურებით.

თინამ მაგიდას სუფრა გადააფარა.

ლევანი და გაიოზი წამოდგნენ და აივანზე გავიდნენ. დიასახლისს ხელი არ შევუშალოთო.

— აბა, შენ იცი, თინიკო, როგორ სუფრას გაგვიშლი, — წასახალისებლად უთხრა ლევანმა.

გაიოზმა აივნიდან გადაიხედა.

აივნის წინ სამსართულიანი სახლი იყო აღმართული. გაიხედა მარცხნივ, აქაც მეზობელი სახლის კედელი ჰფარავდა ხელს. მარჯვნივაც სახლი იყო წამომდგარი. გაიოზმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

— საიდან სად წამოდი?!. მთაწმინდიდან აქ, ამ ჩავარდნილ ადგილას, სადაც ირგვლივ ყველაფერი დახშულია. ნუ თუ არ გენატრება, შეხედო მთებს, ჩვენს ქალაქს გარს რომ აკრავს, ან მტკვარს გადახედო. ორთაჭალის ბაღებში რომ მიიზლაზნება?!.

— მთელი დღე მტკვარზე არა ვარ. როცა ხარახოებზე ვდგავარ, თბილისის შემოგარენი, როგორც ხელის გულზე, ისე მაქვს თვალწინ გადაშლილი.

— შენ იქ მუშაობ და იმიტომ, მაგრამ თინა? ბავშვი? ეჰჰ, რა სჯობია მთაწმინდას. კარგი უბანია, კარგი. მართალია ძნელია ასასვლელად, მაღალია, აღმართია, მაგრამ ძალიან სასიყვარულო კუთხეა. მარტო ჰაერი რად ღირს?!. ნამდვილი აგარაკია. ზამთარ-ზაფხულ საღ ჰაერს სუნთქავ. მერე რა პატიოსანი ხალხი ცხოვრობს ჩვენს უბანში. თავიდანვე, ძველთაგანვე. ღარიბი და მშრომელი. მერე როგორი ადამიანთმოყვარეები... მეზობლურებიც... ასე არ არის?..

— ასეა, ნამდვილად ასეა. განა მე კი არ მიყვარს მთაწმინდა, მაგრამ რა ვქნა? ასე დაიწყო ჩემი ცხოვრება. მე ხომ თინას ბინაში ვცხოვრობ. მასთან გადმოვედი. დედა და და-ძმები ცალკე დავტოვე.

თინა აივანზე გამოვიდა. ჩქარობდა, რაც შეიძლება მალე გაეწყო სუფრა, სახე შეფაკლოდა.

— მობრძანდით!—მოკრძალებით მიმართა მან გაიოზს.

გაიოზმა შეხედა, გაუღიმა და ხმაამოუღებლივ შევიდა ოთახში.

ღვინო დაასხეს. თინასაც აუვსეს ჭიქა.

— ამ თქვენს პატარა და ტკბილ ოჯახს გაუმარჯოს! ერთმანეთის გაგება გქონდეთ. თუ ერთმანეთს ვერ გაუგებთ, სიყვარული, რაც არ უნდა ძლიერი იყოს, ჩაქრება... მე ეს მწარე გამოცდილებიდან ვიცი. მე ვერ გამიგო ჩემმა ცოლმა. ვერ ჩამწვდა გულში. ჩემს სულიერ ქვეყანას ვერაფერი გაუგო და ვართ ისე, ერთმანეთისთვის უცხოებივით. ვგრძნობ, როგორ ქრება და როგორ იფერფლება ჩვენი სიყვარული, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისთვის ხმამაღლა არაფერი გვითქვამს. დიახ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ერთმანეთის გაგება გქონდეთ და თქვე-

ნი ოჯახი იდღეგრძელებს სიტკბოსა და სიხარულში. თავი შევაწყინეთ... მაპატიეთ... რა ძნელია, როდესაც გრძნობ, რომ სიყვარული იფერფლება და არაფრით არ შეგიძლია გააღვივო დარჩენილი ნაღვერდალი! — გაიოზს ღვინო ოდნავ მოეკიდა და ყელში ბურთივით მოაწვა ის მწვავე გრძნობა, რომელიც მას კარგა ხანია სტანჯავდა.

თინა შესცქეროდა და გულში ფიქრობდა: „რა კარგი კაცია, რა კეთილი... რა კარგია, რომ ვიცნობ ასეთ ადამიანს. როგორ მიხარია, რომ იგი ჩვენი მეგობარია!“

გაიოზმა და ლევანმა სულმოუთქმელად გადაჰკრეს ღვინო.

— თქვენ რატომ არ მიირთმევთ?..

— მე ღვინოს არა ვსვამ.

— ერთი ჭიქა არაფერს დაგაკლებთ. დალიეთ!

— ოჰ, არა, არა: — ჯიუტად მიუგო თინამ და თვალზე ცრემლი მოადგა.

— ტირით? — განცვიფრებით შეეკითხა გაიოზი.

— არა, ისე. ერთი რამ გამახსენდა.

თინა წამოდგა და კარადისკენ შეტრიალდა, ვითომ რამის გადმოსაღებად.

— საწყალი გულისაა ჩემი თინა. — დაუმატა ლევანმა, — მამა გაახსენდა! — მეტი აღარაფერი თქვა. იცოდა უფრო გაამწვავებდა თინას განცდას.

წამით ყველანი გაჩუმდნენ.

თინამ მწვანე წიწაკა გადმოიღო.

— აი, რა დამვიწყებია. — წარმოთქვა მან მწარე ღიმილით. — ოღონდ იცოდეთ, რომ უმოწყალოთ ცხარეა ეს წიწაკა. ისეთი, ისეთი, რომ...

— ჩვენ მაგის სიცხარისა არ გვეშინია. აქ მომგვარეთ ეგ უმოწყალო წიწაკა!

გაიოზმა წიწაკა თეფშზე დადო, დანა აიღო და წვრილად დაჭრა. მერე პამიდორის სალათა გადმოიღო.

ამ დროს გოგი შემოვიდა ოთახში. ნაბდის ქუდი ისევ ისე კოხტად ედო კეფაზე.

— მოდი, გენაცვალე, მოდი, ისადილე. არა გშია?.. — მიუალერსა თინამ.

გოგის უყვარდა ლევანი. რამდენიმე თვის განმავლობაში ძალზე მიეჩვია. ლევანი გულთბილად ეპყრობოდა ბავშვს. ხშირად მუხლზე დაისვამდა ხოლმე და ისე აჭმევდა კერძს. ბავშმა უცებ გაიკვლია გზა მოსიყვარულე გულისაკენ და ამიტომ ლევან მამას ეძახდა. გოგიმ მშვენივრად იცოდა, რომ მას გივი მამაც ჰყავდა. გივი კვირა დღეობით მოდიოდა და ეზოში ხვდებოდა შვილს. ხანდახან მახლობელ ბაღში მიჰყავდა, სადაც ნაყინით ან რაიმე სხვა ტკბილეულით უმასპინძლდებოდა, მერე მოჰყავდა უკან, აკოცებდა და შინ მიდიოდა. გოგი ეხვეწებოდა, დედასთან წამოდიო, მაგრამ გივი ამას ვერ ბედავდა.

ბავშვს არაფერი გაეგებოდა მშობლების წინააღმდეგობისა. ის გრძნობდა, რომ ლევანსაც უყვარდა და გივისაც. ერთი ლევან-მამა იყო, მეორე — გივი-მამა. ორი მამის სიყვარულით განებივრებულმა ერთხელ ეზოში თავის ტოლ ბავშვს თემურს ამაყად უთხრა:

— იცი, მე ორი მამა მყავს!

პატარა თემურს, რომელსაც ასევე არაფერი გაეგებოდა ამ გაუგებრობისა, ეწყინა, შეშურდა კიდეც, როგორ თუ შენ მაჯობოო, შენ ორი და მე კი ერთიო?.. მანაც თავგამოდებით მიაძახა:

— შენ თუ ორი მამა გყავს, მე ათი მამა მყავს!..

ახლა გოგის ეწყინა. ეთაკილა. შეიძლება საქმე ჩხუბამდე მისულიყო, იქვე მახლობლად მეზობლის ქალი რომ არ მდგარიყო და ბავშვების შეკამათებაზე სიცილი არ აეტეხა. ეს მთელმა ეზომ გაიგო. ბევრი იცინეს. თინამდეც მიაღწია ამ ამბავმა. თინას მწარედ ეჩხვლიტა გულში! რა იყო აქ სასაცილო, რომ იცინოდნენ?!. ეს ხომ უბედურებაა?!. მწარე ფიქრებმა არ მოასვენეს. იმ ღამეს ჩუმად ტიროდა თინა... „რატომ შეექმნა გოგის ისეთი ცხოვრება, რომ ეს წარმოთქვა?...“ არავის გაუგია მისი

ტირილი. გულში ჩაიკლა მტანჯველი ბოღმა...

გოგიმ ქუდი მოიხადა, ხელი დაიბანა და ლევანს გვერდზე მოუჯდა. ლევანს ბავშვისთვის ყურადღება არ მოუკლია. მაშინვე გადაუდო ტოლმა, თეფშზე პური დაუდო და უთხრა:

— აბა, დაანახე ძია გაიოზს, თუ როგორი ყოჩაღი ბიჭი ხარ!

— როგორი?.. — შეეკითხა გოგი და მიაჩერდა სახეში.

— დანა-ჩანგლის ხმარება რომ იცი, ჭამაც რომ ყოჩაღად შეგიძლია!

გოგიმ მაშინვე დანა-ჩანგალს ჩაავლო პატარა ხელები და გაიოზს შესცინა.

ორიოდე წამის შემდეგ ბავშვები ადღეგრძელეს. ასახელებდნენ გოგის, ნანის, უსურვებდნენ გაზრდას, ბედნიერ მომავალს... ისინი უკვე შექეიფიანებულნი იყვნენ და ადვილად ემორჩილებოდნენ სასიამოვნო გრძნობებს.

უცებ გოგიმ ჭამა მიატოვა, სკამიდან ჩამოვიდა და მეორე ოთახში გავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ ისევ შემოვიდა. მას ხელში პატარა საბავშვო რევოლვერი ეჭირა.

— აი, მე რა მაქვს! — წარმოთქვა მან და ლულა გაიოზისაკენ წარმართა,— ბუჰ, ბუჰ! — დააყოლა თანაც.

გაიოზს რევოლვერის დანახვა არ ესიამოვნა. სახე შეეჭმუხნა.

— ეს ვინ მისცა ამას? — იკითხა მწყრალად. — ოჰ, ოჰ! — თავი გააქნია. — ეს რა სათამაშოა? რა უნდა ასწავლოს ამან ბავშვს?.. სროლის ოსტატობა? მკვლელობის უნარი? არ ვარგა, არა! პატარაობიდანვე ამათი გული და გონება არ უნდა წარვმართოთ მკვლელობისაკენ. მე რომ უფლება მქონდეს ასეთ სათამაშოებს მოვსპობდი!

გაიოზი პატარა ხანს გაჩუმდა. მას ხელში ჩანგალზე წამოგებული ყველის ნაჭერი ეჭირა. ჩანგალი თეფშზე დადო და გოგის უთხრა:

— ეგ რევოლვერი აჩუქე ძიას!..

გოგის გაეღიმა, ძიას ეს რად უნდაო, გაიფიქრა და თავი გააქნია, არაო.

— მაჩუქე, ბიჭიკო, მაჩუქე, მე შენ ხომ ქუდი გაჩუქე. ხვალ კიდევ სალამურს გამოგიგზავნი. ლამაზ სალამურს, ტკბილად რომ უკრავს. ხომ გინახავს სალამური?..

— მინახავს. ვასიკოს ჰქონდა.

— ხედავ? ვასიკოს ჰქონია. შენც გექნება. მერე დაჯდები და დაუკრავ ტკბილი ჰანგები.

— რომ არ ვიცი ჰანგები?

—ისწავლი, მაგაზე ადვილი რა არის? თქვენ გოგისთვის არ გიამბნიათ როგორ გადაარჩინა პატარა მწყემსმა ერთი ლამაზი ბატკანი, რომელიც მგელს უნდა შეეჭამა?

— რომელი ბატკანი?

— მწყემსს რომ დაეკარგა მთაში.

— მგელი სჭამს ბატკანს?..

— მაშ, მგელი ბატკანს სჭამს, თუ კი დაიმარტოხელა.

— ეს მე ვიცი.

— აი, ხომ ხედავ, გცოდნია კიდეც. პატარა მწყემსს ბატკანი დაეკარგა. ეს მწყემსი ჩამოჯდა ბორცვზე და ტკბილად დაუკრა სალამური. ბატკანმა გაიგო სალამურის ხმა და ამ ხმაზე თავისი პატრონი იპოვნა. სალამურის ტკბილმა ხმამ ბატკანი გადაარჩინა, მგლებს კი სალამურისა შეეშინდათ და გაიქცნენ.

— ახლა მომეცი ეგ შენი დამბაჩა. როგორც დაგპირდი, ხვალ სალამურს გამოგიგზავნი.

დაპირებით გახარებულმა გოგიმ რევოლვერი გაუწოდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გოგიაშვილი

# ადამიანის შვილი

მთელი დღე ჟინჟლავდა. რუხი, ღრუბლიანი ცა ნელ-ნელა იწურებოდა...

პატარა ბიჭს თხები ნებაზე მიეშვა ტყისპირ, აცოცებულიყო ძველ ნაციხარზე და დაბობღავდა. შამბი მორეოდა დაქცეულ კედლებს, ალაგ მოწითალო, ჟანგისფერი ხავსი. ფერდობები საცოცხე ავშანს დაეფარა.

წამოჰკრავდა ბიჭი ფეხს და დაფრთხებოდა ქვას ამოფარებული ხვლიკი, წაცუხცუხდებოდა ცოტას, შედგებოდა აყელყელებული და გაირინდებოდა.

„თუ იმ ხვლიკს კუდს მოაწყვეტ, — ეუბნებოდა ვიღაც უხილავი პატარა ბიჭს — შეუჯდებოდა გულში, თავში და არწმუნებდა—თუ იმ ხვლიკს კუდს მოაწყვეტ... თუ იმ ხვლიკს კუდს მოაწყვეტ...“

და ეპარებოდა პატარა ბიჭი ხვლიკს სულგანაბული, როგორც თვით ხვლიკმა იცის. არ მოეშვებოდა, მოაწყვეტდა კუდს და დარწმუნებული იყო, აუხდებოდა ჩათქმული ფიქრი, იდუმალი გულის მურაზი.

თხები ხევისკენ ჩასულიყვნენ, ნეკერი ეპოვნათ. დასველებულნი უფრო პატარანი მოჩანდნენ. ბიჭს აღარც ახსოვდა თხები. სათოფურთან მიმდგარიყო, შემოეწყო კისერზე ხელები და დაბლა, სოფლისაკენ ისე იცქირებოდა, თითქოს მის წინ ამღვრეული წყალი იდგა და უნდოდა დაენახა წყალში ჩაძირული ტყიანი კორტოხი.

ოთხი კომლი ცხოვრობდა კორტოხზე და ის ოთხი კომლი მაინც სოფელი იყო. არავის უფიქრია, სულ პირველად ვინ მოზიდა აქ რიყიდან ქვა და კირი ვინ გამოწვა. სახლები თითქოს მიწიდან ამოსულიყვნენ.

სოფელს თავზე მაღალი კლდე წამოსდგომოდა, ფრიალო და მიუვალი კლდე, მღვიმეებიანი. „დიდძალი ფუტკარია იქ!“ — ამბობდა ყველა. თაფლიანს ეძახდნენ იმ ადგილებს, იქაური თაფლი კი არავინ იცოდა, რა გემოსი იყო. ძველებს თურმე საიდუმლო ბილიკებით ჩამოჰქონდათ თაფლუჭი და რაღაცა უებარ საკურნებელს ხდიდნენ...

* *
*

ტყიდან ვიღაცა გამოვიდა. გუდურა გზაზე დააგდო და ზედ ჩამოჯდა. „რამდენი მივლია ამ გზაზე...“ — ფიქრობდა ბიჭი.

გზა ჯერ ტყე-ტყე მიდიოდა, მერე რიყეზე უნდა ევლო მგზავრს და სისხამზე ამდგარი შუადღისას თუ მიაღწევდა ბაზარს. გზა კიდევ მიდიოდა იმის იქითაც, მაგრამ ბიჭისთვის ბაზართან თავდებოდა.

„ღონიერი გზაა, ძნელი კი არა, ღონიერი“... — აგონდებოდა ბიჭს მამის ნათქვამი და მოსწონდა, რომ მამა სჯაბნიდა ამ გზას. შემოისვამდა ხოლმე ბიჭს კისერზე და მიდიოდა. ბიჭი ნიკაპთან ამოავლებდა ხელებს, წკრიალებდა და ფეხებს მკერდზე სცემდა... რა დაავიწყებს ბიჭს, ჯაფარა რომ მოუყვანა ერთხელ. ჯაფარამ ლაპარაკიც ისწავლა. „მაკრატელი, მაკრატელი!“... — წიოკობდა დღემუდამ ჯაფარა.

მამას ამაყი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. იქაური ტყეები ებარა და ხუთი თითივით იცოდა სად რომელი ხე იდგა. „ჩემს უჩუმრად წკეპლას არ მოვაჭრევინებ არავის!“ — იტყოდა და ეს სიტყვა კანონი იყო. „ტყეა, რაც არი... ტყეა, რაც არი, ტყე!“ — თავისდაუნებურად ჩურჩულებდა ბიჭი და ყოველი ხე და ბუჩქი თავისი ეგონა, როგორც მამის ნათქვამი სიტყვები...

ბიჭი ისევ სოფელს დასცქეროდა.

ხევიდან ვიღაცა ცხენიანი ამოვიდა გზაზე. ჩამოხტა, დაისადავა ცხენი და ფეხდაფეხ წავიდა სოფლისაკენ.

მიწა ყრუდ აგუგუნდა, ჩამუქებულმა ტყემ უზარმაზარი ცხოველივით შეიბერტყა სველი მხრები და ხეები დაიძრნენ ადგილიდან... ბიჭი სოფლისაკენ მირბოდა, სოფელი კი უკან მიისწრაფოდა და ბიჭს ეჩვენებოდა, რომ ვერასოდეს დაეწეოდა სოფელს, რომელსაც კაცივით შეეძლო სირბილი.

ცხენი იმათი სახლის აივანთანება. წინ თივა ეყარა, მაგრამ ზედაც არ უყურებდა. ბიჭმა იცნო ნაცრისფერი მაღალი ცხენი, უნაგირი და ჭრელი ყაჯარი, რომელსაც დედამისი მთელ ზამთარს ქსოვდა.

* *
*

იქვე ბოსელთან მეზობელი უსინათლო დედაბერი იჯდა და თაფლა კვიცს ულოცავდა. მიწისფერ ხელებს გულზე იჯვარედინებდა და ჩურჩულებდა:

„მინდორში გასკდა წითელი კლდე,
გამოჰყვა წითელი ცხენი.
მოვიდა წითელი ქალი
დაადგა წითელი უნაგირი,
შეუდგა წითელსა გზასა...“

ბიჭი ფიქრობდა, რომ დედაბერს უნდა ეთქვა „შავი ცხენი“, „შავი ქალი“, „შავი უნაგირი“, „შავი გზა“, მაგრამ ეშლებოდა. კვიცი მიწას უსვამდა წინა ფეხს და ფრუტუნებდა.

ბავშვები ნეხვის ჭიებს — ფუნდურებს აწვალებდნენ... დააყენებდნენ სწორ ხაზზე თავიანთ ფალავნებს და ერთმანეთს აჯიბრებდნენ... ბიჭმა დაავლო პატარა დას ხელი და წინ წაიძღოლა. „არ მინდა, არ წამოვალ!“ — წიოკობდა პატარა გოგო და ცდილობდა როგორმე ხელიდან დასხლტომოდა.

დედა და ის კაცი მაგიდასთან იდგნენ, კუთხეში, სადაც ღვთისმშობელი ეკიდა. ბიჭმა იგრძნო, როგორც მოაცილა იმ კაცმა დედას ხელი და როგორ შებრუნდა ფანჯრისაკენ.

„ჩემი ცხენი არა სჭამს“ — თქვა იმ კაცმა.

„ძია, ძია!“ — აყვირდა პატარა გოგო.

ბიჭმა თმაში წაავლო ხელი, მოსწია. კაცს ყურადღება არ მიუქცევია, ისევ ფანჯარაში იყურებოდა. დედას ახალი, ყვავილებიანი კაბა ეცვა და უფრო ახალგაზრდა ჩანდა. „კაბა მოუტანია“, ფიქრობდა ბიჭი და ნიკაპი უცახცახებდა, უცებ კარებისაკენ შემობრუნდა და ხელები აიფარა სახეზე. აღარ უნდოდა ეცქირა დედისათვის, რომელიც თვალებით სჭამდა და რაღაცას ანიშნებდა მკაცრად.

ბიჭმა კარი გაიჯახუნა. შევარდა ბოსელში, ბაგაში პირქვე დაემხო და აქვითინდა...

* *
*

მერე ვიღაცამ ბოსელში ძროხები შემორეკა. ძროხებს ოხშივარი ასდიოდათ და ფშვინავდნენ. „სულ ამ ძროხების ბრალია!“ — ფიქრობდა ბიჭი. ის კაცი ყოველთვის იმათ სახლში წერდა, ვის რამდენი ხორცი და ერბო უნდა ჩაებარებინა, ამოწმებდა და არიგებდა ქვითრებს, დედა კი ამბობდა: ჩვენ არაფერს ვიხდითო. ბიჭი თანახმა იყო სულ წაეყვანა იმ კაცს ძროხები, ოღონდ არასოდეს გამოჩენილიყო სოფელში,

ოღონდ არასოდეს მიეზა აივნის ბოძზე თავისი მაღალი, ნაცრისფერი ულაყი.

ბოსელში დედა შემოვიდა. ხელში ქაშანურის ორყურა სარძევე ეჭირა ნიშა ძროხასთან მივიდა და ჩაჯდომა დააპირა, მაგრამ რაღაც დააფინა ძირს, მუხლებზე დადგა და წველა დაიწყო.

„მამის ფეხი ხარ, გიჟი!“ — თქვა დედამ.

ბიჭი წამოჯდა, მაგრამ არაფერი უთხრა. გული ყელში ჰქონდა მიბჯენილი. იცოდა: დაილაპარაკებდა თუ არა, ატირდებოდა, ძალიან ხმამაღლა და თავს იკავებდა. წამდაუწუმ ყლაპავდა ნერწყვს, თითქოს გული უნდა ჩაატანოსო.

„ჩაყარეთ საფქვავი და წისქვილში გადადით ახლავე“...

ძროხა იცოხნებოდა. ხან თავს მოიბრუნებდა და ენას აისვამდა ბეჭზე, სიამოვნებდა, რომ წველიდნენ.

„სტუმარი თქვენ არ იცით და შინაური“, — ამბობდა დედა.

ბიჭს სველი პერანგი ზედ შეშრობოდა. სიცივე იგრძნო და შეიშმუშნა.

„თხები საბძელში შელალეთ“...

ბიჭს ახლაღა მოაგონდა თხები, თვალები ამოისრისა და ნელა წავიდა კარისაკენ...

* *
*

მზე სადღაც შორს, მთების უკან ჩადიოდა. ცა მოკრიალებული იყო და ცისარტყელებით სავსე. ირგვლივ მოლურჯო სიჩუმე იდგა, როგორიც მარტო ხანგრძლივი ქინქლის შემდგომ იცის.

ბიჭს პატარა ტომარა ხურჯინულად ეკიდა მხარზე. ხელები ჯიბეში ჩაეწყო და წინ მიდიოდა.

„ჩქარა, — დაუძახა ბიჭმა დას, — გადმოადგი ფეხი!“

სიამოვნებდა, რომ უფროსი იყო და შეეძლო ასე დაეძახა დისთვის.

პატარა გოგო გამოიქცა.

„დროზე უნდა მივიდეთ“, — თქვა ბიჭმა და აბგა ჩამოართვა დას.

„დავიღალე“, — ასლუკუნდა პატარა გოგო.

„დაიღალე და დავისვენოთ!“ — განგებ დაიბოხა ხმა ბიჭმა. ტომარა ჩამოიღო, ბილიკზე დააგდო და ზედ ჩამოჯდა.

ბინდი ნელ-ნელა ხშირდებოდა, აუჩინარებდა ყოველივეს.

— რად წამოხვედი,—თქვა ბიჭმა, — არ უნდა წამოსულიყავი.

და მის უკან იდგა. ყველაფერი აშინებდა ირგვლივ და უნდოდა ახლო ყოფილიყო ძმასთან.

— მე შენთან მინდოდა. დედა თავისთან მაინც არ დამაწვენდა. როცა ის კაცი მოდის.

წისქვილამდე დიდი მანძილი აღარ იყო დარჩენილი.

— რაღა დარჩა, მივალთ და გავთბებით, — თქვა ბიჭმა.

პატარა ნაბიჯები ნელ-ნელა ლევდნენ გზას.

— თუ შეგეკითხონ, არავის არაფერი უთხრა — გადაულაპარაკა დას ბიჭმა.

— რა უნდა ვუთხრა?

— იმ კაცზე...

— ის კაცი რა?“...

— ის კაცი რა და არაფერი!

— არაფერი?

— რასაც გეუბნები, გაიგონე!

— ვინ არის ის კაცი?

— ვიღაცა!

პატარა გოგო ვერაფერს მიმხვდარიყო, რას ამბობდა ძმა. შიში თანდათან უფრო ეუფლებოდა. შიშის გარდა აღარაფერი არსებობდა მისთვის. უნდოდა ეთქვა „გავიქცეთო“, მაგრამ თქმისაც ეშინოდა და გაოგნებული მისდევდა ძმას.

— თუ გინდა, ნუღარ დავბრუნდებით შინ, — უთხრა ბიჭმა.

— მერე დედა?

წისქვილში ორი პატარა დოლაბი ღრიტინებდა. ერთზე სიმინდი ეყარა,

მეორეზე ქერი. წისქვილში ცხელი ბული ტრიალებდა. ზოგი გარეთ იჯდა ცეცხლთან, ზოგს თავისავე საფქვავზე მიედო თავი და ეძინა.

— მთელი დღე წყალგარდა იყო, ყველას საღამოთი მოუნდა, — თქვა მეწისქვილემ, — გამოდით, ცეცხლთან დასხედით.

სველი შეშა შხიოდა და დორბლივით იყენებდა წყალს. გულისწამღებად ხრჩოლავდა.

— რა მოსდის ამ ოხერს!

— რა მოსდის და სველია, როდის იყო წყალი ენთებოდა...

ბიჭმა ქვა მოაგორა და ჩამოჯდა. და იმის უკან დადგა, შეციებული ხელები მხრებზე დააწყო და მიეკრა.

— რა ამბავია თქვენ სოფელში? — იკითხა ერთმა.

— რა ამბავი უნდა იყოს! — უპასუხა ბიჭმა და ეჭვიანი მზერა შეავლო.

— რა ვიცი, იქნება მოკვდა ვინმე ან დაიბადა, — თქვა ისევ იმ კაცმა და თან მეწისქვილეს შეხედა.

ბიჭმა თვალი შეასწრო, როგორ ანიშნა მეწისქვილემ რაღაცა იმ კაცს და აენთო. სისხლი სახეში მოაწვა, ერთი ფიქრით კიდეც დააპირა მივარდნოდა, იქვე ყველას თვალწინ მოეკლა ის კაცი, რომელიც დასცინოდა, მწარედ დასცინოდა და მასხრად იგდებდა, მაგრამ თან ისიც იფიქრა, რომ ეჩვენებოდა ყოველივე და არავინ არაფერი იცოდა.

— ერთი ბეწო იყო და ხელად წამოიზარდა, — ბანზე ააგდო სიტყვა მეწისქვილემ, — ეჰ, რა კაცი იყო ამათი მამა! სულ ურმით ჩამოჰქონდა საფქვავი.

— სიკვდილსაც კარგები უყვარს.

— ბევრი იმნაირი შეჭამა ომმა.

ბიჭს ესიამოვნა, რომ ის კაცებიც იცნობდნენ მამამისს და კიდევ უფრო შერცხვა.

— ისე კი არავინ იცის, ვინ ჩამოვა და ვინ არა...

— ვინც ჩამოსასვლელი იყო, უკვე ჩამოვიდა.

— არც ეგრეა საქმე.

— ვინ იცის, ვინ სად მოხვდა.

მეწისქვილე ბიჭს მიუბრუნდა:

— ახლა, გინდა დაგაფქვევინო, მაინც ვერ წახვალთ.

— ახლა სადღა წავლენ, კაცო, ბავშვები არიან, დილაზე ჩამოუფქვი.

— სიმინდია? — ჰკითხა ბიჭს მეწისქვილემ.

— არა, ქერი, — უპასუხა ბიჭმა.

— მაინც რა ცეცხლი უკიდია ყველაფერს, — თქვა ვიღაცამ და დანარჩენებიც აჰყვნენ...

— ფულს ფასი აღარა აქვს.

— რაღაცას ამბობენ, ფული იცვლებაო.

— ამბობენ კი არა, ეგრეა!

— ვისაც გამოსაცვლელი აქვს, იმას უხაროდეს.

ცივი ზენა ქარი ამოსისინდა. კაცები შეიშმუშნენ ცეცხლის პირას.

— სუსხიანი საღამო დაიჭირა, —

— წამოდგა მეწისქვილე.

— შევიდეთ, რასა ვზივართ!

მეწისქვილემ პატარა გოგო თავის ტახტზე დააწვინა და ძველი, ფქვილიანი ფარაჯა დააფარა.

ბიჭი არ შესულა წისქვილში. ისევ იმ ქვაზე იჯდა და უყურებდა როგორ ხრჩოლავდა სველი შეშა. „რა უთავბოლოდ ლაპარაკობდნენ“, ფიქრობდა ბიჭი, მაგრამ ბოლმა მაინც თავისას შვრებოდა, ათასნაირ სურათს უხატავდა ტვინში და თვალნათლივ უცხადებდა წინ.

„მამის ფეხი ხარ, გიჟი... ეჰ, რა კაცი იყო ამათი მამა! სულ ურმით ჩამოჰქონდა საფქვავი... მაკრატელი, მაკრატელი...“ სულ სხვადასხვა ფიქრი და ხმა ეხლართებოდა ბიჭს გულში აბლაბუდასავით და არწმუნებდა, რომ მართლა გიჟი იყო...

წისქვილის ღია კარიდან ბოლივით გამოდიოდა თბილი ოხშივარი. შორს, მთაზე, სინათლეები ბჟუტავდნენ; ულონოდ ციმციმებდნენ ვარსკვლავიან ღამეში.

* *
*

რიყეზე ვილაცა მირბოდა.

ძაღლმა იცნო ბიჭი და ლაქუცი დაუწყო. გარშემო უტრიალებდა და წკმუტუნებდა. ხან თავისი ჭრელი ლეკვებისკენ იყურებოდა, იქვე, აივნის კუთხეში რომ ფუთფუთებდნენ.

ცხენი ისევ იმ ბოძზე ება.

ბიჭი რაფაზედ შედგა, მაგრამ ოთახში სინათლე არ ენთო და ფანჯრიდან არაფერი მოჩანდა. მერე სხვენზე ავიდა, თივის ჩამოზიდვა დაიწყო და სახლი მალე უშველებელ ბულულს დაამგვანა. მთელი აივანი, ფანჯრებისა და კარის გასწვრივ, თივით იყო სავსე...

„აქ არაფერია შენი“ — ესმოდა ბიჭს შორეული ხმა. — აქ არაფერია შენი“. „მეც ვიცი, რომ აქ არაფერია ჩემი“, ჩურჩულებდა ბიჭი. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე, მაგრამ ერთი წუთითაც არ უგრძვნია თუ ტიროდა. თავისდაუნებურად შეხსნა ცხენს ჭრელი ყაჯარი და ლეკვებს დააფარა. ძუკნაც ნაღვლიანი წკმუტუნით უვლიდა გარშემო და რაღაც უცნაური, ძაღლური ტირილით ტიროდა...

ბიჭი მირბოდა... ხან უკან მიიხედავდა ხოლმე და უყურებდა, როგორ ნათდებოდა ღამე და პატარავდებოდა ისედაც პატარა სოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემილიან ბუკოვი

# თქმულება ანდრიეშზე

## მოლდავური პოემა

პოემის ავტორი — ემილიან ბუკოვი მოძმე მოლდავეთის გამოჩენილი თანამედროვე პოეტია. „თქმულება ანდრიეშზე“ ლამაზი პოეტური ლეგენდაა სიცოცხლესა და სიყვარულზე.

ქართველი მკითხველი ინტერესით გაეცნობა მოლდაველი პოეტია ქმნილებას, რომელშიც მოქმედებენ ხალხის სიბრძნითა და ფანტაზიით შექმნილი გმირები.

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში იბეჭდება პოემის შესავალი და პირველი კარი.

### შესავალი

განთიადი! განთიადი!
რა ბრწყინვალე და დიადი
მზე ანათებს მშობელ მხარეს!
გაიღვიძეს ბალახებმა,
დაბლა ტყემ და მაღლა მთებმა
ცას შესძახეს მოელვარეს.

წეროები და მერცხლები,
როგორც ელვის ნაპერწკლები,
მიმოქრიან ცაში ნებით.
და მდინარე პრუტის ტალღა
დუნაისკენ მიჰქრის ლაღად,
რაც სიზმარი წუხელ ნახა,
ძმას რომ უთხრას დაწვრილებით.

სადაც მოსჩქეფს სამი წყარო,
ალუბლების ბაღი ხარობს
და მინდორი ჰყვავის მზეში, —
შემორტყმული ურიცხვ ფარით,
მამაცი და უშიშარი,
თვლემს ყმაწვილი ანდრიეში.

წევს მიწაზე ანდრიეში
და ჩაუკრავს ცხვარი მკერდში,
რომ ეძახის მიორიცას.
არავინ ჰყავს ასე ტაბილი
მეგობარი თანშეზრდილი...
იღიმება, თითქოს ღვიძავს.

* *
*

თვალზე თბილი სხივი მოხვდა
და წამოხტა ბიჭი კოხტა,
ხელთ აიღო სალამური.
ჩაუარა მწვანე ჯეჯილს
და სოფლისკენ ქუდმოგლეჯით
მიჰქრის ქოჩორდანამული.
მთის კალთაზე გაშლილ სოფელს
არა, ხალხი არ ჰკლებია!
ირგვლივ თეთრი ქოხებია,
ირგვლივ ლურჯი სარკმლებია...

— გზამშვიდობის! — მისძახიან
ქალები და გოგონები,
ეზოებში ანთებულნი,
როგორც ჰიაკოკონები, —
ჩვენი ცხვარიც მოაძოვე
მიორიცას მხარდამხარა! —
თან ალერსსაც უგზავნიან
მისი გულის გასახარად.

სამწყაროსკენ სამ ნაკადად
გაეშურა ფარა ცხვრისა,

გზისპირები, ტყისპირები,
სულ რომ თეთრად გადანისლა.
მას გარშემო უვლის ძაღლი,
ყურაცქვეტით, კუშტად, ჩქარა,
ეს ლუპარი-მგლების რისხვა
სოფლის ფარას უდგას ფარად...

* *
*

გამარჯობა მზევ და დილავ!
იწკრიალე სალამურო!
გული ჩემი ფეთქავს ტკბილად.
იწკრიალე სალამურო!

აკვირტების ჟამი არის,
მიორიცა დაიკონა,
ბალახებზე ნამი არი
და კლდეებში წყალი ჟონავს.

ფარას მგელი ვერ დალუპავს,
მიორიცა, დაიძინე!
ხედავ, ფხიზლად მზვერავ ლუპარს?
მიორიცა, დაიძინე!
ღამე მოვა, ნისლიც მალე
გამუქდება, მიორიცა!
ფიჩხის ალზე არემარე
გაშუქდება, მიორიცა!

და კოცონი გაჩაღდება,
დაიძინე, მიორიცა!
ზეცა გადაჩახჩახდება.
დაისვენე, დაისვენე!
მაგრამ დარდობს მიორიცა,
არცა წყაროს წყალი უნდა,
არცა საძოვარი უნდა, —
რამ გაართოს მიორიცა!
ეკითხება ანდრიეში:
— რას მიმალავ, განა რასა?
უგემური წყალი არი,
ან ბალახი მწარე არი,
აბა რაღამ გაგანაზა!
მე ვიპოვი გრილ ჭალაში
წყაროს წყალსაც და ბალახსაც.
სალამურსაც უფრო ტკბილად,
მხიარულად ავამღერებ,
მიორიცამ უპასუხა:

— ჰეი, ანდრე, რად მაღელებ.
ქვეყანაზე არსად არი
წყაროს წყალი ამისთანა,
ამისთანა ცვრიან ბალახს
კვლავ იპოვი მთაში განა?
მაგრამ მტანჯავს წინათგრძნობა:
შორი მთიდან ავად მოდის
საშიშარი, საზიზღარი,
შავი ქარი-ქარაშოტი.
სურს იხმაროს ჩვენზე ჯადო,
ჩვენს მოსპობას შეეცადოს.
ხალხიც გაწყდეს და პირუტყვიც,
მოგვთხაროს და გადაგვყაროს.
ო, იცოდე ჩვენი ცოდვით
ატირდება მთლად სამყარო!
აწკრიალდნენ სალამური
და მინდორი განაბული.
ბულბულების ჭალას ქარმა
დაურბინა, ააჩქამა.

და მიორას უთხრა მწყემსმა:
— თუმცა ჩვენსკენ მართლა მოდის,
სცდება შენი წინათგრძნობა,
ვერ მოაღწევს ქარაშოტი.
ტყე დახვდება ქვეყნის კართან
და შმაგ ბრძოლას გაუმართავს.
ნეკერჩხლები დაკაწრავენ,
როგორც ყაჩაღს, გაბაწრავენ,
და ცხვირიდან ძმარს ადენენ
შავ სულიერს, შავსახიანს.
მისცვივიან ფრინველები,
ნისკარტებით თვალს დასთხრიან,
და კეთილი ჩვენი ქარი,
ფრთებს როდესაც მძლავრად გაშლის,
გულბოროტი ქარაშოტი,
როგორც ლოდი, ჩავა წყალში.

ქარი პირველი

ხეთა ჩრდილი ველზე წვება,
და გრძელდება, და სქელდება...
ვარსკვლავები კრთიან ცაში.
ჭალა თითქოს დაიღალა,
ღამე, როგორც ჯადოქარი,
გასრიალდა ხშირ ბალახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ სძინავს მიორიცას,
ანდრიეშსაც, ფიქრობთ, ღვიძავს?
გაწოლილა ერთად ფარა.
აქ მიხაკსაც სძინავს ტკბილად
და ქურდულად, ფხიზლად, ფრთხილად
თვალებდია თვლემს ცანცარა.

აჰა, მუხამ ასწლოვანმა,
ახოვანმა, ასხმოვანმა,
ამოუშვა მძლავრი ხვრინვა,
ქანცმიხდილმა მდინარემაც
შეანელა ზვირთთა ცემა
და ბავშვივით დაიძინა.

ამ დროს ქარი გაზაფხულის,
ხის ტოტებში გახლართული,
რატომ არი ასე ჩუმი?
ჯადოქრული ესმის ხმები —
ეს განთიადს ფერიები
ქსოვენ სხივთა აბრეშუმით...
თვალი ჰკიტა მიორიცამ,
გაიღვიძა მიორიცამ,
გრძნობს: სიავე ახლოს არი!
ქარიშხალი შავი, ურჩი,
წივის, ჰკივის, ჩხავის ყურში,
როგორც ზარი საოცარი.

მიორიცა შეკრთა იმ წამს,
ან რა ექნა მიორიცას, —
იწვა, როგორც მკვდარი, ლეში,
მთლად გონებადაბინდული,
უძრავი და გარინდული,
მისი მწყემსი — ანდრიეში.

კვლავ მოვარდა ქარიშხალი,
ბოროტი და საშიშარი,
მოიჭრა და... ჩვენმა ფარამ,
უდაბურ და ულრან ტყეში,
გულდახურულ მუხნარ ტყეში,
უმალ თავი შეაფარა.

ქარაშოტი! ქარაშოტი!
დაუშინა ჭალას შოლტი.
ტყე მშვილდივით გადალუნა,
შეესია ყანას მთვრალი,
მიარბია, მოარბია,
მხარე მშვიდი და მაშვრალი.

აქ კლდეები იფშვინებიან,
ბექობები იშლებიან,
იქ კი ცეცხლი მოსდებია,
ჭალები თუ კორდებია,
და ჰაერში რიალებენ
ჩიტუნების მარტო ფრთები,
მიწის შავი ნაფუშხვენები,
ხის ტოტები და ფოთლები...
ქარაშოტმა შეუბერა
და გაჰფანტა მყისვე ფარა,
შემოდგომის ფოთოლივით
აიტაცა ცისკენ ჩქარა,
მერე ღრუბლებს მიეფარა.
ცხვარს ჩამორჩა ძაღლი განა,
ანდრიეშის ფიცხი ძაღლიც
ქარაშოტმა წაიყვანა.

...და ჩამოწვა წყნარი, მრუმე,
საზარელი რამ სიჩუმე.

არც ლუპარი... არცა ცხვარი...
ტირიფის ქვეშ, განა მკვდარი,
მაგრამ ცივი, ჯადოქმნილი,
სდუმს მოლდოვის სათნო შვილი.

რა ულონოდ სწუხდა მუხა!
დაეხარათ მძიმედ მხრები
და საბრალო ანწლებივით
ქვითინებდნენ ტირიფები.
მდინარისპირ მდგარი ხენი,
გარუჯულნი ხანძრის ენით,
ავი ხვედრით გატეხილნი,
ვალუნულნი, ნაწამებნი,
ფოთლებს ადრე დაკარგულებს
დაეძებდნენ გამწარებით.
ასე დიდხანს არ გასტანა,
მზემ ბრწყინვალემ თანდათანა,
შეანათა მთაშიც, ხევშიც
და გაათბო ანდრიეშიც.
თითქოს უთხრა: — ადექ, მალე,
ნახე რას ჰგავს არემარე!

გაახილა თვალიც ჩქარა:
— არც მიორა... არცა ფარა...
რატომ სდუმან ჩიტუნები,
ცელქი წყარო არა მღერის,
შიშველია ტყე და ჭალა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ სუნთქავს არაფერი.
ასე უცებ ეს მიდამო
რა ტიალმა გამოცვალა!
მხოლოდ ერთი მიხაკია,
თავს რომ მიქნევს საცოდავად.
და გაოცდა ანდრიეში, —
ეს როგორი ნახა ჭირი,
მისი თეთრი სოფლის ნაცვლად
დახვდა ფერფლი და ნახშირი.
ო, სარკმლები ბრმებსა ჰგვანან,
ქოხები კი ფერფლში წვანან.
ირგვლივ მტვერი, კვამლი, მური
და სიჩუმე უამური...
ირგვლივ მხოლოდ მწუხარება,
თვალთა ცხელთა მდუღარება!
და ანაზდად შედგა მწყემსი:
— ნანგრევებში კვნესა მესმის...

სიტყვა ველარ უპოვია,
იმ წუთების შესაფერი!
ხედავს: მისკენ მოხანხალებს
უსინათლო დედაბერი.
ანდრიეში ეუბნება:
— გთხოვ პასუხი მომცე ჩქარა,
ცოცხალი ხარ, სულიერი?
თუ აჩრდილი მომეპარა!
— ცოცხალი ვარ, მე საპყარი!
— ხალხი? ხალხი სადღა არი?
— ქარაშოტმა გადაგვიწვა
ეს სოფელი, ყანა, მიწა.
ჩვენი თეთრი ქოხმახები
აიღო და ქარსა მისცა!
გაგვიჟლიტა ხალხი ბლომად
და ვინც შესძლო გადარჩენა,
გაიხიზნა ტყეში, ხევში.
უნდა გაჰყვე მათს გზას შენა!
წადი, მამაც ჰაიდუკებს
დაეწიე, შეუერთდი.
დაამარცხე ქარაშოტი,
შეუნგრიე წყეულს მკერდი!
აი, გითხარ ყველაფერი...
სთქვა და გაჰქრა დედაბერი.

ერთიც მწარედ დაიხვნეშა
გულდამწვარმა ანდრიეშმა:
— ვაგლახ, ჩემი სალამური!
სად არიან ჩემი ცხვრები,
მიორიცა და ლუპარი?
ლამის არის შევიშლები!
ქარო! ქარო მოგზაურო!
სად ვიპოვო ქარაშოტი?
მიმასწავლე და გულიდან
მომაშორე ქვა და ლოდი!
მაგრამ, მუნჯი და მრისხანე,
არ შეჩერდა ქარი, არა.
ღრუბელს ჰკითხა და ღრუბელმაც
უპასუხოდ ჩაიარა.

ტირის ბიჭი: ცრემლი ცხელი
ცხელ ქვიშაზე უხვად სცვივა.
უცებ ესმის ხმა წრიპინა:
— მეც შენსავით გული მტკივა!
მეყო ცრემლი, რაცა ვღვარე,
მიშველე და გამახარე.
გეხვეწები, როგორც კაცი!
— შენ ვინა ხარ?
— მე ვარ ანწლი.
ქარაშოტმა მეც რტოები
ამირია, დამირია.
ველარც ფრთები გამიშლია,
ველარც თავი ამიღია.
ხედავ როგორ დავიხლართე!
წელში ველარ გავიმართე.
დაიხარე, გაზრდას შენსას,
ამ ნარ-ეკლებს ამაშორე,
უმოწყალოდ წამებული,
ანწლი წელში გამასწორე!

აუსრულა თხოვნა მწყემსმა
და პასუხად შემოესმა:
— სალამურად გამოდგება
ძმაო, ჩემი ერთი ტოტი.
მოსჭერ იგი და წაიღე,
შემიწირავს შენთვის, მოდი.
გაწივონე სათხოვარი,
მოსჭერ, როგორც სახსოვარი,
წაიღე და ააჟღერე,
ცა და მიწა აალელვე!

და შეაჭრა ნორჩი ტოტი,
სალამური გამოთალა,
მინდორ-ველებს მოეფინა
ხმათა მისთა ამო ძალა.
თითქოს ერთად აბულბულდნენ

მოლდავეთის ბულბულები, —
მშობელ მიწის მშვიდ ბუნებას
ბუნების ხმას უბრუნებენ.

კვლავ ამღერდა სალამური:
— მწყემსო ბიჭო, მაგრად იყავ,
ამ სიმღერის კვალს გაჰყევი,
სამშვიდობო გზას გაგიყვანს!
გზები, გზები, კიდევ გზები,
ვიწრო, მძიმე, სახიფათო...
შორდებოდა პრუტის ტალღებს,
მიდიოდა მთაში მარტო,
მიდიოდა ბარში მარტო.
მისტიროდა თითქოს აწლიც:
— ახლა შენზე მტკივა გული!
და ჭალებიც შაოსნები
მისძახოდნენ ჟრიამულით:
— შორეული მგზავრობიდან
დაგვიბრუნდი მხიარული!
უჩვეულო მწუხარებით
თავს უკრავდნენ მუხნარები.
უჩვეულო გამწარებით
ჩურჩულებდნენ ნაძვნარები.
შორეული სივრცეები
ვერ ფარავდნენ გულში ლხენას
და დუმილით მოელოდნენ
მწყემსი ბიჭის გამოჩენას.

* *
*

და მიილტვის გაბედულად,
ველზე, ტყეში, მთაში, ღრეში,
გამარჯვების დიდი რწმენით
აწთებული ანდრიეში...
ახლო არის შებინდება,
დღე თავდება, მზე კი ჰქრება,
ახალგაზრდა მოგზაური
დაიღლება, შეფიქრდება.
დაქანცული და მშიერი
ხეზე ჯდება ჩუმად მწყემსი,
მდუმარეს და ჩაფიქრებულს
წყაროს წყნარი სუნთქვა ესმის:

— მოლდოვეთს ოდესღაც ცხოვრობდა
ფერია.

ოდესღაც ცხოვრობდა და დღესაც
მღერიან,

რომ თმები შვენოდა მზისფერი,
ნათელი,
წარბებიც შვენოდა, ზღაპარში
სათქმელი.

ხმა ჰქონდა მაისის ქარივით ნარნარი,
სუნთქვა კი ყვავილთა შრიალში
დამდნარი.

და ნაკადულები მის ხმაზე მღეროდნენ,
და განთიადები მის ხილვას ელოდნენ.

ტყეს ელვიძებოდა მის ეშხზე ოცნებით
და შეჰფოფინებდნენ დღედაღამ
ფრთოსნები.

და ერთ დღეს გაიგო ფერია-ასულმა,
სისხლისმსმელ, ცალთვალა კეპკეუნს
რაც სურდა:

ო, თურმე მოხიბლა მშვენებამ იმისმა,
იხმარა ყოველი ჯადო და თილისმა,

იხმარა ყოველი ძალღონე საზარი,
რომ ცოლად შეერთო ფერია მწყაზარი.

როდესაც პასუხად მიიღო:
არასდროს!
საშველად მოუხმო თავის ძმას —
ქარაშოტს.

კეპკეუნს ძმა ჰყავდა მასავით წყეული
მახინჯი — გონებით, გულით და
სხეულით!

ო, მწარედ ატირდა საბრალო ფერია.
მის ხშირხშირ წამწამებს ცრემლები
ერია.

ტიროდა, ტიროდა, წვეთ-წვეთად
დნებოდა,
ძალღონე ჰქრებოდა და გულიც
ჰკნებოდა.

ცრემლები წვეთ-წვეთად მიწაში
ჩავიდა

და მხარე მოლდოვის მოირთო შავითა.

ფერია არ არის, არ სუნთქავს, არ
მღერის.
მაგრამ კვლავ გაისმის მისი ხმა,
ნაღველი.

უსმინე, ყმაწვილო, ჩემს ჩურჩულს
დარდიანს,
შიგ დონა-ფერიას სიმღერა ანთია.

იქ, მიწის სიღრმეში, ვიპოვე ცრემლები,
ფერიას ცრემლები, ცეცხლივით
მწველები.

ამოველ მიწიდან ჩუხჩუხით,
წკარუნით
და ამოვიტანე სიმღერა ფარული.

ისმინე, კიდიდან კიდემდე გასული,
მარადი სიმღერა მოლდოვის ასულის!

იმ ვაჟკაცს ვადიდებ ზვირთების
ძახილით,
ვინც წყეულ კეპკეუნს განგმირავს
მახვილით.

იოლი როდია წაქცევა იმისი,
რამდენი რაინდი დაღუპა, ვინ იცის!

რამდენი ებრძოლა ცალთვალა გოლიათს
და ძლევა იმისი არ გამიგონია.

ვერავინ ვერ ხმარობს ვერა-რა იარაღს,
ისეთი ჯადო აქვს, ძალღონე კი არა!

თუ გინდა, ძმობილო, აგიხდეს წადილი,
იცოდე: წარბებში აქვს ერთი ადგილი,

რომელიც მას რკინის ფარით აქვს
დაცული.
მოარტყამ და უმალ სულს დალევს
ავსული.

როდესაც ახდება მოლდოვის ოცნება,
მას დონა-ფერია კვლავ
გაუცოცხლდება.

კვლავ შუქი ჩადგება აწ ჩამქრალ
გუგებში,
კვლავ ფეხზე დადგება მოლდოვის
ნუგეში!

ეგ სიმღერა ანდრიეშმა
სალამურზე ააკვნესა.
— დონა! — წარსთქვა უნებურად.
— დონა! — წასცდა მთას და ველსაც-
ხის ფოთლებიც შარიშურით
აჩურჩულდნენ: — ვაი, დონა!
ეგ სახელი მწყემსმა ბიჭმა
თითქოს გულში ჩაიკონა;
ეგ სახელი სათაყვანო
გამოსტაცა მჩიან ტალღას
და უწოდა იმ სიმღერას,
„დოინა“ რომ ჰქვიან ახლაც.
მოჩუხჩუხებს ჰანგი მწველი
და „დოინას“ გაჰყვა მწყემსი.
წინ მიიწევს ანდრიეში,
უკრავს, მღერის, განა კვნესის.

და შევიდა უღრან ტყეში,
ჩაბნელებულ, საშიშ ტყეში,
ამისთანა გზა და შარა
არ უხილავს თავის დღეში!
საით უნდა გაიხედოს,
გზას ვერ ხედავს საიმედოს.

მარჯვენივ ხედავს უხსენებლებს:
— იქით წასვლა არ გაბედო!
მარცხნივ ზღარბთა ხროვა არი:
— იქით წასვლა არ გაბედო!
წინ ნისლია გაუვალი:
— იქით წასვლა არ გაბედო!
უკან ეკლის ბუჩქებია,
იმ ეკლებში ჩიტი-ქარი
თავდაყირა დაკიდულა,
დაფლეთილი, ნასისხლარი.
ცდილობს ეკლებს რომ გაექცეს,
მაგრამ შველა არსით არი!
და შესძახა ქარმა-ჩიტმა:
— დამეხმარე ძმასავითა.
ქარაშოტმა ამ ეკლებში
სამუდამოდ ჩამამწყვდია,
კიდევ მიდგას სული, მაგრამ
ამას ყოფნა არა ჰქვია!

ბიჭმა ბუჩქი გადასწია,
მორიდებით, შიშით, ნელა,
და ღალატით დატყვევებულს
ამოუღო ხიწვი ყველა.
მხიარული, ბედნიერი
აჟღურტულდა ქარი-ჩიტი:
— მინდა ვალი გადვიხადო,
მაგრამ როგორ? ვაი რითი?
მხოლოდ რჩევა შემიძლია
და მე გეტყვი აი რასა:
შენი ფარა და მიორა
ქარაშოტმა გაიტაცა,
ბნელეთისკენ გაიტაცა.
გზა იქითკენ შორი არი,
მაგრამ გულში გენთოს რწმენა,
გაბედული თუ იქნები,
გაიმარჯვებ, მწყემსო, შენა!
ქარაშოტმა დაგვიკარგა
ჩვენ სიმღერა სიხარულის,
მაგრამ, გწამდეს, მას ინახავს
მოლდაველის წმინდა გული,
მოჩუხჩუხე ჩვენი წყარო,
მშობლიური მთა და ველი.
და იცოცხლებს საუკუნოდ
ეგ სიმღერა სანატრელი!
მეგობარო! ამ ძნელ გზაზე
თუ ოდესმე დაგჭირდები,
სალამური აამღერე,
ვით ნიშანი გაჭირვების,
ნუ გგონია დამავიწყდეს
შენგან ჩემი გადარჩენა.
მაშ იარე! სადაც იყო —
სიცოცხლე და გამარჯვება!
ქარიშხალი ნუ გგონია,
იქ რომ გრგვინვა ცამდე ადის,
ეგ სუნთქვაა ფლემინზილის,
უსინათლო გოლიათის!
ტყესთან ახლოს, ხევში მწოლი,
იგი ისეთ ძალას მოგცემს,
ისეთ ღონეს მოგანიჭებს,
შენ თვითონვე გაგაოცებს.
და იპოვი იმ სიმღერას,
რომ გალობდა ნაზი დონა.
დაამარცხებ კეპკეუნსაც,
ვინც სამშობლო დაგიმონა.
გასწი, ნულარ შეუკრთები,
მეგობარო, ნურვის ჯადოს,
და სტეჟარი — ბერი მუხა
გზას გასწავლის უხიფათოს.
დაიხსომე სიტყვა ჩემი,
დაგჭირდე და მიხმე მაშინ! —
შეფრთხიალდა ქარი-ჩიტი
და გაფრინდა ისევ მთაში.
გაეშურა ანდრიეში
და შეიჭრა შავ ნისლებში.
მიდის იგი ხეებს შორის,
ერთურთზე რომ წყალში წვანან...
ტყე დასრულდა და ყმაწვილი
გზამ მინდორზე გაიყვანა.
მის წინ კლდეა გადამწვარი,
მელოტივით თავშიშველი.
კლდეზე მუხას ღრუბელივით
გაუშლია ასი ხელი.
დასცვენია ხეს ფოთლები,
რა უდროოდ გაძარცულა!
ხავსიანი კლდე-პიტალოს
ჩაჭფრენია ვაჟკაცურად.

ხეობისკენ გადახრილი,
დაღვრემილი და დაღლილი,
ბერი მუხა, ვაგლახ, კვნესის.
მოწიწებით წარსდგა მწყემსი
და უშიშრად შეუძახა:
— გამარჯობა ბერო მუხავ,
უსინათლო ფლემინზილთან
მიმასწავლე, მუხა თუ ხარ!
მუხამ ასე წასჩურჩულა:
— ნუღარ ყვირი, ჰაუ, ჩუმად.
გესმის? — ლპება ფესვი ჩემი!
ვარ დაჭრილი, ხანშესული.
ხედავ? — თითქმის ფუღურო ვარ,
ამომხდება მალე სული.
მიმძიმს, ბიჭო, ძლიერ მიმძიმს!
დამაღონა ჭაღარამაც,
მე სტეჟარი აღარა ვარ,
რაც ვიყავი, აღარა ვარ!
დამიჯერე, რომ შენსავით
ვიყავ ერთ დროს მეც ჭაბუკი,
და ვერაფერს ვერ მაკლებდა
ვერც გრიგალი, ვერც ქარბუქი.
ზაფხულობით მამშვენებდა
მწვანე ფოთლის სამოსელი,
მოდიოდნენ ჩემთან ხშირად
ქალ-ვაჟები და ფრთოსნები.

მაგრამ ამ დროს ჩემთა ფეხქვეშ
იზრდებოდა ჩია შვიტა,
მარტოხელა, ფეხშიშველა,
როგორ ფიქრობ, შიშსა მგვრიდა?
ფეხშიშველა, ტანშიშველა
მტრად გამიხდა ჩია შვიტა,
დალეული, ჯავრიანი
გადამიდგა ჩია შვიტა.
შვიტას შური მოერია,
შემიძულა ახალ ძალით,
რადგან ვიყავ ახალგაზრდა,
რტომრავალი, ტანმაღალი;
რადგან ვარსკვლავს ვეხებოდი,
ცასთან ჭკლოს ვტრიალებდი,
ხშირ ტოტებით, მწვანე ფოთლით
მხიარულად ვშრიალებდი!
შავ ქარს უხმო მაშინ შვიტამ
და ძალღონე დამიშრიტა, —
ვერ გავექეც წყეულ მისანს,
ვერ გავექეც ჯადოს მისას.
ჩამოვხმი და ჩამოვბერდი,
დავბრმავდი და დავიდალე,
განა მხოლოდ ფოთლებისგან,
სისხლისაგან დავიცალე.
ყველაფრისგან განვიძარცვე,
ლამის ხრამში ჩავიჩეხო.
მითხარ, როგორ გავიმაგრო
გული რომ არ გავიტეხო?
ვარ დაჭრილი, ავადმყოფი,
ფესვდამპალი, ხანშესული.
ხედავ? — თითქმის ფუღურო ვარ,
ამომხდება მალე სული.
მიმძიმს, ბიჭო, რარიგ მიმძიმს...
დავიჩოქო ლამის მის წინ...
აგერ ჩემგან შორიახლო,
დადუმებულ მძინარ ხევში,
მოჩუხჩუხებს წყაროს წყალი
და ჟამიჟამ გმინავს, ხვნეშის.
წყაროს თავზე სამ არყისხეს
დაუხრია თავი მწარედ,
სამი და დგას დარდიანი,
მტირალი და მგლოვიარე.
სამივ ჩემი ასულია,
ჩემი ღვიძლი ქალიშვილი,
ო, სამივეს ერთად ელის
ჩამოჭკნობა და სიკვდილი.
ო, მათ ახრჩობს დღედაღამე
ვინტულფუმი — ქარი-კვამლი,
ქვითინებენ ასულები...
რით ვუშველო და რა წამლით!
ვხედავ კვამლში იხრჩობიან
და მდუმარი ვდგავარ მამა.
მათმა ტანჯვამ და ვაებამ
კიდევ უფრო გამაწამა.
და შენ მაინც შემიბრალე,
შეიბრალე ეს ჭალარა,
შეიბრალე გოგონები
და წამოდი ჩემთან ჩქარა!
მე მასხია ბევრი ტოტი,
თუმცა ყველა გაძარცვული,
მათში ერთი მაინც ცოცხლობს,
არ გამხმარა, არა, სრულად.
სადღაც მაღლა, კენწეროზე,
ჩამალულა ირთოლვით იგი
თუ იპოვი, ხელს შეახებ
იმ ცოცხალი ტოტის გვირგვინს, —
მე მაშინვე მოვირთვები
მწვანე ფოთლით, დიახ, მწვანედ,
ჩემებურად თავს ავიღებ,
ძველებურად ვიღადნებ.
აღასრულე, მეგობარო,
ეს მუდარა ბერიკაცის,
მომეშველე, როგორც შვილი,
გამინელე ხვედრი მკაცრი.
ქვეყანაზე ვინ დალია
გასაჭირი, ტანჯვა, შური,
სადაც ვისმე გაუჭირდეს,
შენც იქითკენ გაეშურე!

და მუხაზე აძვრა მწყემსი,
კენწერომდე რაღა დარჩა,
დღე და ღამე გადავიდა
და გვირგვინი არა, არ ჩანს.
სამი დღე და სამი ღამე
ამ ძებნაში დაიხარჯა,
დაიღალა ანდრიეში
და გვირგვინი მაინც არ ჩანს.
რიყრაყიდან რიყრაყამდე
გაიძახის: — მითხარ რტოო,
სად გიპოვო? ასეთ დღეში
მუხა როგორ მივატოვო!
რიყრაყიდან რიყრაყამდე...
მაგრამ, ხალხო, წამით შესდექ;

ნედლი ტოტი ნაპოვნია
ამოდენა გარჯის შემდეგ!

სამი დღე და სამი ღამე,
არც ძილი და არცა ჭამა!
ხის ტოტებზე დადის მწყემსი
გაბედულად და თამამად.
ხელთ უპყრია ნედლი ტოტი,
როცა გამხმარს დააკონებს,
სასიკვდილოდ განწირულიც
გრძნობს სიცოცხლეს და ძალღონეს.
არ გამორჩა ერთი ტოტიც,
გააცოცხლა ბიჭმა ყველა,
და ბუმბერაზ, ბებერ სტეჟარს
თავს დაადგა ცისარტყელა,
შეიმოსა მწვანით მუხა
და ძველებურ დაიქუხა:

— კეთილო და მარჯვე ბიჭო,
ლამის თავი გამიბრუვდეს,
იხსენ ჩემი ასულები,
მეც სიცოცხლე დამიბრუნე.
ჰა, კენწერო შევარხიე
და ფოთოლი ჩამოვარდა,
ნურაფერი ნუღარ გინდა,
იმ პატარა ფოთლის გარდა,
აიღე და სალამურში
ჩააფინე ნაზად, კრძალვით,
ჩაჰბერე და ამღერდება
ახალ ჰანგზე, ახალ ძალით.
ეს ფოთოლი მომღერალი
გაუვლელზე გზას გაჩვენებს,
მას გაჰყევი, შვილო ჩემო,
ვერაფერი გაგაჩერებს.
უფსკრულებზე გადაგიყვანს,
შავ ღრუბლებსაც აგარიდებს,
სადაც მხოლოდ ბნელეთია,
იქ გააჩენს გზას და ხიდებს.
იმ ჯადოსნურ ხეობაში
ფლემინზილსაც შეგახვედრებს,
გაუმაძღარ ფლემინზილსაც
შენს ბიჭობას შეავედრებს.
დაბრმავებულ იმის თვალებს
რომ შეახებ ფოთოლს ჩემსას,
ჩაუდგება თვალში შუქი.
დაუბრუნებ სიცოცხლისაც.
თვალხილული ფლემინზილი
ისეთ ძალას მოგანიჭებს,
შენი ბედი სანატრელი
გაუხდებათ მოლდავ ბიჭებს.
იმ სისხლისმსმელ კეპკეუნსაც
დაამარცხებ, გახდი მონას
და იპოვი გზას, საითაც
წაიყვანეს მნათი დონა.
ბედი შენი შემობრუნდა...
გამარჯვებით გევლოს მუდამ!
მე კი მინდა ადრინდულად
ვიშრიალო, ცას შევძახო,
და მოვარდნილ ქარიშხლებსაც
ძველებურად დავეჯახო!

— მაშ, ნახვამდის, ბერო მუხავ!
გზას გაუდგა ანდრიეში
და თავისი სალამური
ამღერა ქარში კვნესით.
წკრიალებდა სალამური
მუხის ფოთლის წმინდა ხმაზე
და მის თვალწინ იშლებოდა
მშობელ მიწის სილამაზე.

გადიფანტა ნისლი ციდან...
ხედავს მწყემსი დაქანცული.
მის წინ ზღვაა გადაშლილი,
ზვირთი ზვირთზე გადაწნული.
ზღვის ნაპირას ხრამი ბზინავს,
შავ უფსკრულში ქარი გმინავს.
სამი ხეა ხრამთან ფიჭვის.
ერთერთ ხეზე აძვრა ბიჭი,
კენწეროზე აძვრა ბიჭი,
და უფსკრულში ჩაიხედა:
— აი, დასტურ სასწაული!
ეს რაღაა? ვაი, დედავ!
ხის კორძებით სავსე ხრამში
გაშხლართულა გოლიათი,
სუნთქავს, როგორც ქარიშხალი,
და პირიდან ბოლი ასდის.
მამლის კუდს ჰგავს წვერი მისი,
დაუღია აგად პირი,
ვერ გაუგებს ხორციელი
რაზე ბრაზობს, რასა ყვირის!
ჯავრობს, აჩხლობს, ხელებს იქნევს,
იმუქრება და მხეცდება,
ხან მთასავით იბერება,
ხან ჩვარივით დაეცემა.

და ეს იყო ფლემინზილი,
უსინათლო ღორმუცელა:
— ასი წელი მშიერი ვარ
და არავის უნდა შველა.
ვაი, ვაი, მშია, მშია,
რასაც მომცემ სულერთია,
ჭამა, მინდა,
მშია, მშია!
წლითიწლობით უფრო მეტად
მინდა ჭამა, ჭამა, ჭამა...
მსუყე სადილს ველოდები
და ლოდინმა გამაწამა.
კლდე მივირთვი რახანია,
ტყეც მუცელში გადავხაფრე,
მე ძროხებიც და ცხენებიც
ერთიანად გადავყლაპე.
ფესვებიდან ფოთლებამდე
გადავკორტნე მთელი მხარე,
მე სიკვდილსაც დავავიწყდი
და შიმშილი შევიყვარე.
გაჭირვებამ მიმაჩვია
მე ამ ძახილს: — მშია, მშია...
არსად ხორცი, არც თუ პური,
უსინათლო და უძლური,
ვგდივარ, როგორც ქვა და ლეში,
ამ საშინელ სავანეში.
კეპკეუნმა — კაცთა მტერმა
მე ჩამიქრო სხივი თვალთა,
დამაბრმავა, მაგრამ დღემდე
ვერ გავიგე რისთვის, რათა?
მე არ ვიცი, მე არ მახსოვს,
დავუშავე წყეულს რამე?
გარდა იმის, რომ ხარები
და ძროხები შევუჭამე.
აქ ვინ არის? რა შევჭამო?
რაც მომხვდება, — ჩქარა პირში,
გადავყლაპავ, გადავსანსლავ,
არც არაფრის არ მაქვს შიში.
რა დროს თრთოლვა და შიშია!
ვაი, მშია! ვაი, მშია!
შეკრთა ბიჭი ანდრიეში,
დაეკარგა წამსვე ფერი.
თუმცა ენას ვერ სძრავს თვითონ,
სალამური ასე მღერის:
— მოიგონე ის ფოთოლი,
სტეფარმა რომ გიძღვნა გულით,
გზა როდესაც დაგილოცა
მშობლიური სიყვარულით.
რას გიშველის ცრემლი ცხარე,
ვაჟკაცობა მოიხმარე,
და ფოთოლი გადაუსვა
ამ უბედურ უსინათლოს,
ჩაუდგება თვალში შუქი,
რასაც იგი გულში ნატრობს.
გაიხარებს ღორმუცელა
გოლიათი ფლემინზილი,
თვალში ცეცხლი აენთება
და შეხედავს მზეს ღიმილით.
მაშინ დასძლევ კეპკეუნსაც
და იპოვი მოირიცას,
დონა-ქალსაც დაუბრუნებ
შენს საყვარელ მშობელ მიწას...
და შესძახა ბიჭმა: — ჩუმად,
ნუ ღრიალებ, როგორც დათვი.
მე სინათლეს დაგიბრუნებ!
— რაო? — შედგა გოლიათი.
ფლემინზილი ერთის წამით
გამოშტერდა და გარინდდა.
დრო იპოვა ანდრიეშმა
და უფსკრულში გადაფრინდა.
სალამურზე ჩაუბერა
ნელა-ნელა
და ფოთოლი ორივ თვალზე
გადაუსვა ღორმუცელას.
ბრმას თვალები აეხილა,
მიიხედა, მოიხედა,
მწყემსი ბიჭი, როგორც ბუზი,
უმალ ხელში მოიხელთა
და ჭოტივით დაიძახა:
— აი, ლუკმა! ხა-ხა ხა-ხა!
რახანია წესიერად,
ძმაო, აღარ მივახშმია,
რახანია დღედაღამე
გავიძახი: მშია, მშია!
თუმცა შიმშილს ვერ დამიცხრობ,
სხვა რა გზა მაქვს, გადაგსანსლავ,
მივირთმევ და ვიმყოფინებ
შენისთანა პატარასაც!
გაუჯავრდა ანდრიეში:
— დაგიბრუნე თვალში მზერა
და მადლობას ამით მიხდი,
შე დათვო და გაიძვერავ!
— მადლობაო! ხა-ხა, ხა-ხა!
დააბჩინა ავად ხახა, —

მადლობაო! რომ შეგჭამო,
ჯილდოდ კი არ მიგაჩნია?
ერთ ლუკმადაც არ მეყოფა
შენისთანა ჩია ჭია!

— გოლიათო, ნუ ხარ შტერი,
კეპკეუნი — შენი მტერი,
სწორედ ჩემი მტერიც არი.
ჰოდა თუ კი შემეწევი,
შევებმები სასიკვდილოდ,
გაგახარებ მტერზე ძლევით!

აღრიალდა გოლიათი,
თითქოს მეხმა დაიქუხა,
ლერწმებივით დაიხარა
ამ ქუხილზე ასი მუხა.
ზვირთნი ნაპირს მიელეწა
და გაისმა მთების რეკა,
მთიდან ზვავნი ჩამოეშვნენ
და კლდეებმა იწყეს ცეკვა...

— მაშ, ნამდვილად განიზრახე
კეპკეუნთან შეჭიდება?
მან ჩამიქრო თვალთა შუქი!
რაღა თხოვნა მეჭირვება,
მე შენ ისეთ ძალას მოგცემ,
მთელ ქვეყანას გააოცებ! —
და ბალნიდან ამოიძრო
თმა, წითური და ჯაგარა,
უყოყმანოდ გაუწოდა,
თანაც ასე დააბარა:

— ვიდრე ბრძოლას დაიწყებდე,
დაიხვიე თითზე მარჯვედ!
მკლავში ისეთ ღონეს იგრძნობ,
ბუმბერაზთან გაიმარჯვებ.
მაშ, იჩქარე, დაამარცხე
კეპკეუნი — ჩემი მტერი,
და როდესაც საბოლოოდ
დამთავრდება ყველაფერი,
წუთით კი არ დაახანო
და მეახელ სათაყვანოდ.
სადილამდე მომისწარი,
არ შეჩერდე აბა არსად,
აქ კი მალე შევთანხმდებით:
ავდგები და გადაგსანსლავ!

გაიცინა გოლიათმა
და დაალო სწრაფად ხახა:
— დაიხსომე ჩემი სიტყვა.
ჰო, ჰო, ჰო-ჰო! ხა-ხა, ხა-ხა!
გაიშვირა მკლავი გრძელი,
როგორც ხიდი საკვირველი.
ხტომა-ხტომით და თამაშით
გაიარა მკლავზე ბიჭმა,
მხიარული, ბედნიერი
ღორმუცელას დაეღრიჯა.
გაიარა და ქვიშაზე
დადგა მწყემსმა ფეხი შვებით,
და შორიდან დაინახა
ისევ მთები, მთები, მთები...
ღრუბლებს შორის ისე ჩანდნენ,
ისე მკაცრად, ისე ნათლად,
თითქოს, როგორც ნიშანსვეტი,
საგანგებოდ აღემართათ...

ზღაპარს უყვარს თხრობა გრძელი
და ამბავი საკვირველი.

ღელავს მწყემსი ანდრიეში,
გზას მიიკვლევს მთაში, ტყეში,
კეპკეუნის სამეფოსკენ
დღედაღამე მიიჩქარის,
იქით, სადაც ქვასაც ალბობს
ცრემლისა და სისხლის ღვარი...
გზაზე შვიდჯერ დაათენდა,
შვიდჯერ შეხვდა დილის ღრუბლებს,
და მაინც არ გააკარა
ანდრიეშმა ძილი უპეს.
შვიდი ველი გადიარა,
შვიდი ჯაჭვი განვლო მთების,
შვიდი წყალი გადალახა,
შვიდი ზოლი — ჭაობების.

აჰა, კიდეც კეპკეუნის
სამფლობელო-საბატონო!
— ამ ჯადოქარს შევებმები,
თუნდაც თავი აქ დავტოვო! —
ფიქრობს მწყემსი ანდრიეში.
არემარე არი ბნელში.
ყრუ სიჩუმე მეფობს ირგვლივ
და ღრუბლების ჯარი კართან,
მთაგრეხილებს დაჰფარვია
სიბნელის და ღამის ფარდა.

შავ უფსკრულთან და შავ კლდეზე
შავი ციხე აღმართულა,
იგი თავის დასაცავად
ააშენა აქ ავსულმა.
სინათლის და სითბოს მტერმა
არ დასტოვა ხორციელი,
რომ აეგო ციხე-კოშკი,
მისი შავი ხროვის მცველი.

შესასვლელთან, ამწე ხიდთან,
დგას კამეჩი თავდახრილი.
ზიმბრუ ჰქვია, კარებს იცავს
ბანჯგვლიანი, რქამახვილი.
ღობის მიღმა, ფერდობებზე,
გარინდულა-ბალი მკვდარი,
რტოდახრილი და მთვლემარე,
უღონო და ნასიცხარი.
ხის ტოტებზე, გალიებში,
ფართხალებენ ფრინველები,
რაღაც გლოვის ზარად ისმის
მათი კვნესის მძიმე ხმები.
ტოროლები ჩიტბატონებს
საცოდავად ჩახვევიან,
რას ერჩოდა მათ წყეული,
ან ხოხბებთან რა ხელი აქვს?
რას ერჩოდა, ჰაუ, მტრედებს,
განა რამე გაუბედეს?
შევარდენიც შეუპყრია
და ბრჭყალები შეუჭრია,
თუმც მიილტვის იგი გარეთ,
ველარ აღწევს თავს გალიას.
ბუ დასცინის ცათა მპყრობელს:
— იჯექ. შენთვის არ სცალიათ!
ორბი თვალებს აბრიალებს
და შევარდნის ბარტყებს კორტნის,
მოსულს მზერას არ აშორებს
ლავგარდანზე მჯდარი ჭოტი:
— საით, შენა?

ანდრიეში
ზედ პირდაპირ კართან მიდის.
— ვინ ხარ? — ისმის შეძახილი.
— მე ვარ. გახსენ ჩქარა ხიდი!
რქამახვილი მცველი ზიბრუ
გულმოსულად ეკითხება:
— როგორ ბედავ აქ შემოსვლას?
განა არის შენი ნება!
გაიარე, უცხო კაცო,
დაივიწყე გზა და ციხე.
ამ რქას ხედავ? ზედ აგაცმევ,
თუ ახლავე არ დაიხევ!
მაგრამ მწყემსი მას არც უმზერს,
ჩაუბერა სალამურზე.
აწკრიალდა, როგორც წყარო,
ახმიანდა, როგორც დოინა.

ეს ხმა ტკბილი და საამო
კეპკეუნმაც გაიგონა.
დონა! დონა! — დაიღმუვლა
და გაგზავნა ასი მონა.
კეპკეუნის მსახურები,
წელში ოთხად მოხრილები,
უცხო ქალის მოსაყვანად
გაეშურნენ მორჩილებით.
ყოველ მათგანს წარბებს შორის
უელავდა თვალი შუშის.
რამ შეჰყარა მაინც ყველა
მახინჯი და ბაიყუში.

ერთს კაპკინი ერქვა მათში:
ჯოჯო იყო, კოჭლი, ავი,
ფეხი ჰქონდა მოქცეული,
თავი — სწორედ ღორის თავი.
წრიალებდა, ღრიალებდა,
ჰყვიტინებდა, ცოფსა ჰყრიდა,
მაგრამ ჩვენმა ანდრიეშმა
სახეც როდი მოარიდა.
ბოლოს მაინც ეშმაკობამ
გაუმართლათ ქონდრისკაცებს,
უცებ ერთად მოეხვივნენ
და ყმაწვილი მოიტაცეს.
მოუგრიხეს ორივ ხელი,
გაბაწრული, თავდახრილი,
მიწისქვეშეთს წაიყვანეს
ხტომით, ცეკვით და ძახილით;
მიწისქვეშეთს, სადაც ტახტზე
იჯდა თვითონ კეპკეუნი
და ფერიას მიელოდა
სიხარულით შერყეული.

ხედავს ბიჭი: ციხის თაღებს,
წამებულნი და ნაცემნი.
სვეტებივით შესდგომიან
მოლდაველი ვაჟკაცები.

ო, რამდენი საუკუნე
გარდასულა იმის შემდეგ,
რაც ტყვეებად მოიყვანეს
და აქ დგანან, დგანან დღემდე.
მუნჯები და ქვადქცეულნი
დგანან უცხო კარიბჭეში.
სევდით სავსე ჩუმი მზერით
გააცილეს ანდრიეში.
თითქოს უთხრეს მყის ვედრებით:
— ამ ტანჯვისგან იხსენ ძმები!
ანდრეს თვალი აქა რჩება,
მაგრამ ვიღამ დააცალა,
კეპკეუნთან მიათრევენ,
მოთმინების არ აქვთ ძალა.
მიჰყავთ, მიჰყავთ ანდრიეში
ღრიანცელით და გინებით.
ხედავს მწყემსი: იატაკი
მოუკირწყლავთ კაცის ძვლებით.
ანდრიეში ცრემლებს ყლაპავს
და მიჰყვება კიბეს დაბლა.
უკან მისდევს შმაგი ხროვა
უსახური ლაქიების,
რა ჰქნას ბიჭმა ანდრიეშმა, —
ჟამიც არ აქვს დაფიქრების.

ჰა, დარბაზი ჭერმაღალი,
სადაც ტახტი ბზინავს მისი,
ვინც დაჰფარა არემარე
ფერფლითა და წმინდა სისხლით.
დგას გოგირდის მძიმე სუნი
და ტრიალებს შავად კვამლი.
ბედმა მტერსაც ნუ აჩვენოს
ამნაირი სანახავი!
ცეცხლის სამოსმოხვეული,
ამაყი და თავმომწონე,
ზის ცალთვალა კეპკეუნი
და ფერიას ნატრობს, ვგონებ.
შუბლი მისი რკინის ქოჩორს
ერთიანად დაეფარა,
გადაისვა მასზე ხელი
და წარმოსთქვა ასე ჩქარა:
— როგორც იქნა, გამოცხადდი,
თუმცა დიდხანს დამემალე,
უმალ გიცან და გვირგვინსაც
მაშ, დაგადგამ თავზე მალე!

უცებ მისი ცალი თვალით
დაინახა არა ქალი,
თხელი კაბით დახატული,
მშვენიერი პატარძალი, —
არა! ტახტის შორიახლო,
შეყვარებულ კეპკეუნთან,
ახალგაზრდა მწყემსი იდგა...
— ამას აბა აქ რა უნდა?
ვინ არის და სადაური? —
იღრიალა მასპინძელმა
წამოიჭრა ფეხზე სწრაფად
და კისერი წაიგრძელა.
სტაცა ხელი და სტუმარი
ცალი ხელით აიყვანა,
ცალი თვალით ჩააშტერდა:
— არ მინახავს ამისთანა...
მაგრამ კაპკინს — ნაცად ჯაშუშს,
ვინ დაასწრებს ავის თქმასა.
პატრონის წინ დაიკლაკნა:
— შენ ვინა გმტრობს ამის მსგავსად.
ეს ქურდი და ავაზაკი
მეტისმეტად საშიშია,
ცხვარს გაგიყლეტს და მწყემსებსაც,
თუ ცოცხალი გაგიშვია.
ძმა დაგიჭრა — ქარაშოტი,
ახლა, ხედავ, აქაც მოდის?
ამ ყმაწვილმა შენს ძმას ერთხელ
გამოსტაცა ბევრი განძი,
გამოსტაცა საგანძური...
შენც პირდაპირ ცეცხლში დასწვი!
რასაც გეტყვის, სიცრუეა,
არ აცალო ლაპარაკი,
ქვეყანაზე არ ყოფილა
ამისთანა ავაზაკი!
სურს წაგართვას შენი ტახტი,
მან დაგიხრჩო, ამან, დონა,
რადგან იგი ცოლად გსურდა,
გაგამწარა, დაგაღონა.
ძაღლის სიტყვას გაძლევ, დღესაც
არ მოსულა სასიკეთოდ.

ანდრიეშმა დაიყვირა:
— მეფევ, აღარ გამიმეტო,
მე მწყემსი ვარ, მხოლოდ მწყემსი,
და ნუ უსმენ ამ ძაღლ მონას,
რახანია ქვეყანაზე
აღარ არის, გაჭქრა დონა.
ამ სალამურს ხედავ? მასში

დონას ხმაა და ოცნება,
რომ ჩაგეჩრაგ, შენი დონა
მაშინათვე გაცოცხლდება.
ამღერდება ადრინდულად,
თუ შენ ამის დამრთავ ნებას!
მართლა: ძმისგან მოგიტანე
სალამი და გამარჯვება.
— სადღა ვნახავ დონას ისევ?
— გამიშვი და გეტყვი მაშინ.
სიხარულმა გაიელვა
ჯადოქარი მხეცის ხმაში.
მის ხვიხვინზე დარბაზებმა
იწყეს რყევა და ზანზარი.
კეპკეუნის ციხე-კოშკი
წაიქცევა სადაც არი.
მუჭა გახსნა კეპკეუნმა, —
დაენარცხა მიწას მწყემსი,
წამოვარდა კოხტა ბიჭი
და გასწორდა იმ წამს წელში.
ფლემინზილის თმა წითური
დაიხვია თითზე უმალ,
სალამურსაც ჩაუბერა
ისე ფრთხილად, ისე ჩუმად,
რომ ვერავინ ვერ გაიგო.
როგორ გაჩნდა ჩიტი-ქარი!
შემოიჭრა ელვასავით
და მტერს დასცა შიშის ზარი.
კეპკეუნის რკინის ქოჩორს
ჩაეფრინდა, გააშიშვლა,
ავკაცების მთელი ხროვა
აიტანა ავმა შიშმა.

დაიყვირა მწყემსმა რისხვით:
— დადგა შენი აღსასრული,
გეყო შავი საქმეები,
სისხლიანი, ავკაცური.
რომ გაცოცხლდეს ის ფერია,
შენ სიკვდილი გიწერია.
ვერც ქოჩორი დაგიფარავს
და ვერც შენი ცბიერება,
სამუდამოდ დაემხობა
შენი ტახტის ძლიერება!
კეპკეუნმა გაიცინა,
თითქოს მეხმა დაიგრგვინა,
მაგრამ მუშტი ზეასწია
ანდრიეშმა,
სამჯერ ისე დაჰკრა შუბლში,
მტერმა ვერც კი დაიკვნესა,
სავარძლიდან გადავარდა
ჯადოქარი — სისხლით მთვრალი
და გაგორდა იატაკზე
ერთადერთი მისი თვალი.
გაგორდა და ჩაჰქრა მყისვე.
მსახურების შავი ბანდა
შემკრთალი და რეტდასხმული
აქეთ-იქით გაიფანტა.
იმ ჯურღმულში სულ პირველად
მზის ნათელი დადგა სრული
და აყვავდნენ თითქოს ირგვლივ
ყვავილები გაზაფხულის.

კაპკინი კი... იმ ზრიალშიც
ვერ უშველა თავს ავაცმა,
მწყემსმა მუშტში მოიმწყვდია
და კლდის ნატეხს დაანარცხა;
ისე მძლავრად დაანარცხა,
ნაცრად იქცა ჭორიკანა.
ჯადოსნური მღვიმე-კოშკი
გაიწმინდა შმორიდანა.
კეპკეუნის საბუდარში
აციაფდა სხივთა ღვარი,
უცებ ერთად წამოიჭრა
უთვალავი მეომარი,
ერთდროულად ახმაურდნენ
ქვაქვეული კაცთა ძვლები,
დერეფნებში, დარბაზებში,
ციხე-კოშკის სარდაფებში,
კვლავ გაცოცხლდნენ ვაჟკაცები...

და ანდრიეშს შემოერტყნენ
ათასწლობით წამებულნი,
განთიადის მოლოდინში
თვალებ-ამოღამებულნი.
მუხებს ჰგვანდნენ ნამწყემსარნი.
თქვენც მიხვდებით თუ რას გჭობდნენ,
ბედნიერნი, მადლიერნი,
მხსნელს და მშველელს უამბობდნენ:

— ჰეი, ანდრე, საუკუნო
ტანჯვისაგან დაგვიხსენი,
იდიდოს და დაილოცოს
გული შენი, მკლავი შენი.
ჩვენ ვინა ვართ შენ რა იცი:
ერთგულები დედა მიწის,
მშობელ მიწის ერთგულები,

მწყემსის კომბლის ანაბარა,
რიჟრაჟიდან საღამომდე
ცხვარს დავსდევდით მთად და ბარად.
გვწამდა შრომა და მშვიდობა,
შინ ძმობა და კარშიც ძმობა.
მაგრამ ერთხელ, ბნელ ღამეში,
როცა ხალხი თვლემდა სრულად,
კეპკეუნის მთელი ხროვა
თავს დაგვესხა ვერაგულად.
მოგვერივნენ მძინარეთა,
დაგვჩაგრეს და დაგვიმონეს,
დაგვაყენეს აქ სვეტებად,
მათი ციხის ქვა-სვეტებად.
და სამშობლო დაგვილონეს,
მაგრამ ავმა ჯადოქარმა
დაიმონა განა ყველა,
ვინც მოასწრო, დრო იხელთა,
გაიქცა და თავს უშველა.
შეაფარეს თავი ტყეებს,
ტყე და ხევი შეიყვარეს,
ჰაიდუკთა რაზმთან ერთად,
რომ დაიხსნან ჩვენი მხარე.
გმადლობთ, ძმაო, რომ ჩვენთვისაც
სატანჯველი გაჰქრა მწარე,
მონურ ბედზე ჩივილისგან,
აუტანელ ტკივილისგან,
გვიხსენი და — გაგვახარე!
თუ კვლავ შეგხვდა მტერთან შებმა,
დაიხსომე სიტყვა ესე:
მონობაში ძაღლურ ყოფას
სჯობს სიკვდილი ბრძოლის ველზე!
ბალმაც იგრძნო გაზაფხულის
და სიცოცხლის ამოფეთქვა,
იმ გადამხმრალ ყოველ ტოტზე
მწვანე ფერმა ამოხეთქა.

უცებ ერთად აკიაფდა
მარგალიტი, ლალი, ბროლი,
განთიადის ნათელ შუქზე
აშრიალდა მწვანით მოლი,
მაღალ მთიდან მოდის დონა,
კვლავ ნარნარი, ნორჩი, წყნარი,
კვლავ დოინას მომღერის
და მწყემსისკენ მოიჩქარის.
ულაყლაყებს ბაგეები
და ლოყები ალისფერად,
თმებში ჰშვენის ყვავილები
და თვალებში — მნათი მზერა.

სიტყვა მისი სანეტარო
მორაკრაკებს, როგორც წყარო:

— ანდრიეშო, ძმავ და მხსნელო,
თუმცა გიდევს გზა საძნელო,
რაც მიზანი დაგისახავს,
სწორია და სასახელო.
კეთილი და წმინდა გულით,
მშობელ ქვეყნის სიყვარულით,
გაიმარჯვებ მუდამ ასე!
თან წაიღე ეს ყვავილიც,
და ყოველთვის მხნედ გაივლი,
ნათელ გზაზე თუ შავ გზაზე.
განსაცდელში რომ ჩავარდე,
ქარის ხელით მომაწვდინე
და გავხდები იმავ წუთში
შენი ბედის მონაწილე.

მაშ, წინ გასწი, ჩქარა, თორემ
ჟამი მოდის დაბინდების...
გზამშვიდობის, მეგობარო,
გზადიდების!

თარგმანი **ხუტა ბერულავასი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პოლიკარპე კაკაბაძე

# ცხოვრების ჯარა

## კომედია ოთხ მოქმედებად

### მოქმედი პირნი:

თორნიკე — ოსტატი გამომგონებელი.
ზეფორე — შემთხვევით დაწინაურებული კოლმეურნე.
ციცინო — მისი ასული.
ჟუჟუნა — კოლმეურნე. დაუსწრებელი ინსტიტუტის სტუდენტი.
გვარამი — მისი ქმარი.
ლოპიანე—ძვაძვალეს ძე.
მიჭუჭუნე — ლოპიანეს შინაკაცი.
ბეჟანი — ზეფორეს ქმარი
ქისტოსტორე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე
მოგელი — ქარხნის მუშა
ბახუტა — ქარხნის მუშა
გერასიმე — ქარხნის დირექტორი.
ფილიმონე — კოლმეურნე.

### მოქმედება პირველი

სოფლის მინდორი. მარჯვნივ ჭიშკარი და ზეფორეს კარ-მიდამო. მარცხნივ სოფლის გზა. სცენაზეა ზ ე ფ ო რ ე და ქ ი ს ტ ო ს ტ ო რ ე.

**ქისტოსტორე** — შენი იმედი რომ არ მქონდეს, ზეფორე, არ დავრჩებოდი წელს კოლექტივის ხელმძღვანელად. წვრილ დანაშაულზე დღეს კაცს არ აფუჩებენ, მაგრამ გული მაინც საგულეში არ მექნებოდა.

**ზეფორე** — რა ვქნა, შენს სიმართლეს ეხედავ და გეხმარები. ამისათვის, რასაკვირველია, პატივისცემას არ მოვითხოვ, ისე, დღეს, ქისტოსტორე, ძალიან შევიწროვებული ვარ.

**ქისტოსტორე** — რა მოგივიდა?

**ზეფორე** — ქარხნიდან დამირეკეს, გერასიმე და ლოპიანე ძვაძვალიჩი მოდიან სტუმრად. ბეჟანი კი დედაქალაქში მიემგზავრება და უპოვარ რამე საგზალს მოითხოვს.

**ქისტოსტორე** — მესმის, სირცხვილში არ ჩაგაგდებ.

**ზეფორე** — რად უნდა მჭირდებოდეს შენი შეშველება, მაგრამ ამ რაიონისკენ თუ ვინმე დაიძრა, მე უნდა მოველაქუცო. ამას გარდა, ბოლოს, ბეჟანიც გამოიცვალა; უსაფუძვლო შიში დაჰკარგა, ჩემი კალთიდან ამოძვრა და ისე მაღლა წევს თავს, არც დამესიზმრებოდა.

**ქისტოსტორე** — ეჰ, ჩემთან მაინც ნუ ამხელ.

**ზეფორე** — რატომ.

**ქისტოსტორე.**— აბა, თვალში შემხედე.

**ზეფორე** — აა!.. გიყურებ. ვითომ რაო.

**ქისტოსტორე** — როცა ვარსკვლავივით გიციმციმებდა თვალი, მაშინ განზე იყურებოდი, ბოლოს, ბეჟანშიც გამცვალე და ახლა მისწორებ?

**ზეფორე** — რატომ კადრულობ ასეთ ლაპარაკს, ქისტოსტორე?

**ქისტოსტორე** — აბა, ჩემთან რა პირით საყვედურობ ბეჟანზე, იმ ჩემ ამომგდებზე.

**ზეფორე** — ღმერთო მომკალი, რა ჰქონია გულში დაგუბებული.

**ქისტოსტორე** — იმიტომ დაგუბდა რომ შენი წყალობით ქონებას კი ვაგროვებ, მაგრამ რად მინდა უცოლშვილოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ზეფორე** — მერე, ქალის მეტი რაა, თუ თვალს გაახელ.

**ქისტოსტორე** — სულ საქალეთისკენ ვიხედები, როგორც მელა საქათმისკენ.

**ზეფორე** — მერე, ვერ აირჩიე? ალბათ, ყველაზე გაგირბის თვალი.

**ქისტოსტორე** — ქუქუნა უფრო მომდის თვალში, მართალია, ჩემზე უმცროსია, მაგრამ ბედნაცვალია.

**ზეფორე** — ბედნაცვალი? ის ხომ ქმარს ელოდება.

**ქისტოსტორე** — ათი წელია არა ჩანს და, რაღა მკვდარი და რაღა შინ მოუსვლელი!

**ზეფორე** — აბა, ჩაავლე ხელი.

**ქისტოსტორე** — სასტიკი ბრჭყალები აქვს. შენ უნდა დააქნა ის ბრჭყალები, გევალება ამაში დამეხმარო.

**ზეფორე** — რად მევალება?

**ქისტოსტორე** — აბა, მარტო შენთვის გაჩნდა მეუღლეობა. ერთი ქმარი მოინელე, მეორეს ფეხქვეშ თელავდი და ახლა აგიჯანყდა. მე... ქმრად არ გამატარე, მაგრამ სული ამომაცალე.

**ზეფორე** — გესმის რას ლაპარაკობ...

**ქისტოსტორე**—რატომ არ გახსოვს, როგორ გემსახურებოდი, რამდენ საშიშროებაში ვვარდებოდი შენთვის. ახლაც არ უჩანს ბოლო ჩემს ღვაწლს... და ამას მამადლი, რომ სხვისი გამონაცვალი გოგოს გაბმაში დამეხმარო?

**ზეფორე** — კარგი. ეს ჩემზე იყოს, მაგრამ ასე ენის აშვება არ მომწონს. ხომ იცი ჩემი ხასიათი.

(შემოდის ბეჟანი).

**ბეჟანი** — რაზე ლაპარაკობდით?

**ქისტოსტორე** — არაფერი... ისე...

**ბეჟანი** — გავიგე, ლოპიანეს მოელი.

**ზეფორე** — მერე შენ რა გეწყინა!

**ბეჟანი** — ჩემი ტოლი არ არის.

**ზეფორე** — ერთ დროს არ გვკადრულობდა და, მაინც, მისი სახელით ვყოყოჩობდით.

**ბეჟანი** — მერე, არ კმარა, რასაც მამცირებდა! ახლა, როცა დაეცა, აქეთ მცეს თაყვანი.

**ზეფორე** — აქლემი ისე არ დაეცემა, ვირის ოდენა არ ასწიოს.

**ბეჟანი** — შეუსმენელი ხარ. ლოპიანე, აქლემი კი არა, მუდამ ვირი იყო, მხოლოდ ლომის ქურქი ეხურა, ახლა ეს ქურქი მოხადეს და ყველას დაანახეს, რაც არის. მეორედ ვერ ეღირსება, ლომის ქურქს იმიტომ, რომ ერთხელ გამოაჩინეს და აწი არავინ მოტყუვდება.

**ზეფორე** — არაფერია, ერთი ხალიჩა თუ გამოაცალეს, მეორეზე მოირთხამს ფეხს. დღეს ტექნიკურ დარგში ცოდვილობს, რაღაცას უმიზნებს. ისევ დიდ კაცებთან აქვს ქსელი. მე ხომ წყალი მქონდა შემდგარი ფაბრიკაში. ის დედაქალაქში გაემგზავრა, თავისი საქმე მოაგვარისტა და მე და გერასიმეც გვიხსნა. შენ კი უბღვერ. ამით მეც საქმეს მიფუჭებ და ქალიშვილსაც ბედს უკარგავ.

**ბეჟანი** — მას მხოლოდ იმდენი ჭკუა აქვს, შენ რომ გაგაცუროს.

**ზეფორე** — ვიცი, რაც გაწიწმატებს. გეშინია, ჩემს ნასისხლარზე არ შეგეცილოს, გინდა ყველაფერი თითონ ჩააკოკლოზინო და დედა-შვილი მშრალზე დაგვტოვო.

**ბეჟანი** — აბა, შენ გინდა ქმარი, და მერე რა ქმარი — ფილოსოფოსად დაბადებული, ქუჩაში გამაგდო, მთელი ქონება არამზადას გადასცე და ქალიშვილიც გასართობად დაუთმო. არა, ეს არ მოხდება.

**ზეფორე** — (დაქადნებით) კარგია, რომ შიში გაქვს — მოგათვინიერებს.

**ბეჟანი** — ვინ, მოგახსენა, ის დრო არ არის, ერთხელ რომ აქ ჩამოიარა, თვითონ სუფრას მიუჯდა, მე საღორეში შემაგდო და სანამ სუფრიდან არ წამოდგა, კარი არ გამიღო.

**ზეფორე** — რა ვუყოთ, დიდი კაცი იყო და ყველას გაეცინა.

**ბეჟანი** — შენისთანებს თვალში აქვთ ჭკუა, რადგან დიდ ადგილზე იჯდა, დიდი კაცი გეგონათ, ახლაც გაბედოს.

**ზეფორე** — შნოც ამას ჰქვია, იცის, როდის როგორ იხუმროს.

**ბეჟანი** — ციცინოს ავუხსნი, ვინც ბრძანდება.

**ზეფორე** — (გაწიწმატებული) შენ გინდა, ოჯახი დააქციოს? ქისტოსტორე, რამ გაგიქვავა ენა, ხმა დამაწიე.

**ქისტოსტორე** — რა ვთქვა?

**ზეფორე** — სიმართლე.

**ქისტოსტორე** — სიმართლე ჩხუბის თავია, ყველას თავისად ესმის.

**ბეჟანი** — ციცინომაც რომ ისურვოს, არ შემოვუშვებ.

**ზეფორე** — (გაცეცხლებული) როგორ? ჩემი შვილის ბედს მამინაცვალი გადაუდგება!?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბეჟანი** — მე სხვა შვილი არა მყავს, ის არის ჩემი ნუგეში.

**ზეფორე** — შენ ყველა მანუგეშებლად გინდა... სოფლის მაწანწალა ბიჭი რომ აიკიდოს?

**ბეჟანი** — ის მირჩევნია.

**ზეფორე** — ხელს ვერ შეგიშლის, არა?

**ბეჟანი** — დიახ, მე ვარ ამ ოჯახის პატრონი.

**ზეფორე** — რა უფლებით?

**ბეჟანი** — მე გითხოვე თუ შენ მითხოვე?

**ზეფორე** — თითონ განსაჯე. შეშინებული კურდღელივით ამოგათრიე ხვრელიდან და უსაქმო კაცი ჩემი შრომით გარჩინე.

**ბეჟანი** — ეშმაკობით გაიკეთე მშრომელის სახელი, ნამდვილ მშრომელთა დასაჩაგრავად. თავიდან მოხვეჭაზე ზრუნავდი და დაქვრივების შემდეგ ქმრად ინტელიგენტი მოინდომე. ისარგებლე ჩემი გაჭირვებით და ვითომ შემეცოდე. ნამდვილად კი შენთვის წარმოვადგენდი ბროლებ შორის ერთ ჭურჭელს... ოო, რა ხვითოს დამეპატრონე! დროა თავი გაცნოთ... შენ ისიც გეყოფა, რომ ისეთი კაცის ცოლობა გეღირსა, ვისაც სიჭაბუკე საზღვარგარეთ გენიოსების მშობელ ქალაქებში გაუტარებია, მსოფლიო ბიბლიოთეკებში და მუზეუმებში ჩაუხედავს.

**ზეფორე** — არა, აჰ, აწი მაგით ვერ გამაბრუებ.

**ბეჟანი** — მაშ, თუ გსურს, ჩატყდეს ხიდი, ციცინო ჩემთან რჩება.

**ზეფორე** — ციცინო?

**ბეჟანი** — აბა, ვინ მომივლის?

**ზეფორე** — (გაბრაზებული) რას დავეძებ. მე ისეთ სიძეს მოვიყვან, აქეთ იზრუნოს.

**ბეჟანი** — ვის მოიყვან! ისევ ლოპიანეზე გადმომკარი? სუფრას თუ აწყობ, კაცურ კაცებს დაუძახე და მოუსმინე. მას ემხრობიან მლიქვნელები. მე კი — ჭეშმარიტების მოყვარულნი — (დაარტყამს მიწაზე ფეხს) დიახ, ასეა, ასე! (კიდევ ფეხს დაარტყამს) ვის მადარებთ, იმ ურჯუკს?

**ზეფორე** — გესმის, ქისტოსტორე?

**ქისტოსტორე** — მე ბაბუამ დამიბარა, ცოლ-ქმრის წალაპარაკებაში არ გაერიო, ეგებ საალერსოდ ბუსკაობენო.

**ზეფორე** — რა გინდა, ბოლოს ჩემგან?..

(მიჭუჭუნე შემოდის, წამოეპარება და მათ ყურს უგდებს, ზეფორე შეამჩნევს).

ოო, ამას ვის ვხედავ, მიჭუჭუნე ბრძანდებით? საიდან? როგორ გაჩნდი?

**ქისტოსტორე** — (ეკითხება ბეჟანს) ვინაა ეს მიჭუჭუნე?

**ბეჟანი** — ლოპიანეს გუდაა — მისი მეხოტბე, ყველგან თან დაყვება ლანდივით, მის ნაკვალევს ლოკავს.

**მიჭუჭუნე** — ო, რა ენაწყლიანია ბატონი ბეჟანი!

**ზეფორე** — მარტო მოსულხარ, მიჭუჭუნე?

**მიჭუჭუნე** — ლოპიან ძვალძვიჩი და გერასიმე მობრძანდებიან. ვიფიქრე, წინ გავიქცევი და ვახარებ ზეფორეს და ბეჟანს მეთქი...

**ბეჟანი** — ოჰო, ჰო, რა მლიქვნელია.

**მიჭუჭუნე** — მე თქვენი გულისთვის, ბეჟან მლიქვნელობასაც ჩავიდენ და, თუ საქმემ მოითხოვა, თქვენს მტერსაც შევაკვდები.

**ბეჟანი** — ჩემს მტერს შენ როგორ შეაკვდები, კურდღლის ნაშიერო.

**მიჭუჭუნე** — (მტკიცედ) აბა!

**ბეჟანი** — რისთვის?

**მიჭუჭუნე** — თქვენი მოძულე ხომ ერის მტერია.

**ბეჟანი** — ამდენი შენ საიდან იცი?

**მიჭუჭუნე** — აბა, ჯირკი კი არა ვარ.

**ქისტოსტორე** — აი გამოჩნდენ, ბატონო — სტუმრები.

**ბეჟანი** — რას ამბობენ ჩემზე ის შენი უფროსები?

**მიჭუჭუნე** — ერის ჩუქურთმად გთვლიან.

**ბეჟანი** — სალორეში რომ ჩამამწყვდიეს? ახლა გულით მაქებენ?

**მიჭუჭუნე** — აი, მოისმინე, ბატონო. ქართველი კაცის გული დღეს ტაძარში ისე არ იღება, როგორც სუფრაზე.

**ქისტოსტორე** — აბა, ჭიშკარი გავაღოთ, შევეგებოთ.

**მიჭუჭუნე** — ლოპიანე და გერასიმე მისთვის მოდიან, ბეჟანის ნახვა მოენატრათ. სტუმრად ვერც დარჩებიან.

**ბეჟანი** — ვითომ! ჩემი სიყვარული აქვთ?

**მიჭუჭუნე** — მათი აზრით, სანთლით საძებარი სანთელი ხარ.

**ბეჟანი** — როცა არ სწამთ და მაინც ასე მაქებენ, კიდევ უკეთესი, ჩემი მორიდება ჰქონიათ, ეს უფრო მსიამოვნებს.

**მიჭუჭუნე** — მორიდება დიდი აქვთ.

**ზეფორე** — ხომ გესმის, ბეჟან.

**ბეჟანი** — კარგი. ვნახოთ. მე დარბაზში დავხვდები. მხოლოდ, იცოდეთ, მაგარ წალას ვიცმევ,— რომ რამე იყოს, პანღური მზად მექნება.

(ბეჟანი მიდის. შემოდიან ლოპიანე და გერასიმე).

**ზეფორე** — ო, მობრძანდით, საყვარელო სტუმრებო!

**ლოპიანე** — ვიცოდით, რომ გესიამოვნებოდა და მიჭუჭუნე გამოიქცა მახარობლად. როგორაა აქ საქმე?

**მიჭუჭუნე** — ძალიან ბევრი ველაქუცე იმ ბებერ ძაღლს. დღეს განსაკუთრებით ღრინავს.

**ლოპიანე** — ეჰ, ალალია ჩემზე, მაგ რომ დროზე არ მივასაკრე.

**ზეფორე** — რით გადაგიხდი, ლოპიანე, ამოურწყველ პატივისცემას.

**ლოპიანე** — აწი დამშვიდდით, შენ მაგრად ხარ ფაბრიკაში, გერასიმე ქარხანაში და ჩემი საქმეც წინ წავწიე.

**ზეფორე** — ეს ლამაზი სკივრი საიდან მოგაქვს, გერასიმე?

**ლოპიანე** — (გამოართმევს გერასიმეს) ამაში ჩემი ბედნიერი დროის საბუთებია. ზოგიც მერე შევაქუჩე თავის დასაცავად.

**მიჭუჭუნე** — კიდევ, ჩემი ლექსებია ლოპიანეზე და პოემა.

**ზეფორე** — (გამოართმევს სკივრს) რწყილს არ მივაკარებ.

(შემოდის ციცინო).

**გერასიმე** — ესეც ჩვენი ციცინო!

**ლოპიანე** — ოჰ, ისე დამშვენებულა, ნამდვილ ვარდად იშლება და სურნელებასაც ვგრძნობ.

**ზეფორე** — მიესალმე, ციცინო, შვილო, რად გაშეშდი?!

**ციცინო** — მე სხვები მეგონა.

**ზეფორე** — ამათი ფასი ვინ მოგივა! (ფართოდ აღებს ჭიშკარს) შემობრძანდით ეზოში.

(შედიან).

**მიჭუჭუნე** — რაღაც ხრუკის სუნია. სამზარეულოდან ხომ არ მოდის?

**ზეფორე** — აბა, დაზვერე.

**მიჭუჭუნე** — ბეჟანი არ შემხვდება?

**ქისტოსტორე** — არა, დარბაზშია!

(მიჭუჭუნე სახლს უკან მიდის).

**ლოპიანე** — აქ ყველაფერი თვალს ახარებს. ჭიშკარიც, ეზოც, ზეფორეც და... მისი ქალიშვილიც

**ციცინო** — მხოლოდ ჩემთან ნათელი პირი არ გაქვთ.

**ლოპიანე** — რატომ?

**ციცინო** — უნდა იცოდეთ.

**ზეფორე** — ხუმრობს, გეთამაშებათ.

**გერასიმე** — მაინც, რა დაგიშავეთ?

**ციცინო** — რამდენი ხანია დამპირდით თორნიკე სამუშაოზე აღგედგინათ, გუშინ კი უარით გამოგიძევებიათ.

**გერასიმე** — მისი ბრალია.

**ციცინო** — რა დააშავა? ჰო, მახსოვს, ლოპიანე როცა დიდი კაცი იყო, თითქო უპატივცემულოდ მოიხსენია და ამისთვის ღუპავდით.

**ზეფორე** — გაჩუმდი, გოგო, უბადრუკი ბიჭისთვის ამოდენა კაცებს კიცხავ?

**ციცინო** — სიმართლე არ მაჩუმებს.

**ზეფორე** — წამობრძანდით. შევიდეთ სახლში. აბა, ციცინო, დატრიალდი.

**ციცინო** — არა, დედა მე ნაკვეთში მიმეჩქარება, იქ ისეთი ნერგები მაქვს, ჩემს მეგობრებს უნდა ვაჩვენო.

**ზეფორე** — ნერგები არსად გაგექცევა, ჯერ სტუმრები გავართოთ.

**ციცინო** — მე, ვიზეც ნაწყენი ვარ, შუბლს ვერ გავუხსნი.

**ლოპიანე** — მე ისეთი შელოცვა ვიცი, ციცინო, ყველაფერს გაგახსნევინებ—შუბლსაც, გულსაც და სულსაც.

**ციცინო** — ბებიამ დანით და ნახშირით იცოდა შელოცვა, — თქვენ?

**ლოპიანე** — მე ლოყაზე ხელის თათუნით.

**ციცინო** — ეს ბზიკის კბენაზე უფრო მწარე იქნება.

**ლოპიანე** — ვინც გიყვარს, მისგან გეამება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ციცინო** — სხვისი დამჩაგვრელი არ მიყვარს.

**ლოპიანე** — ყველა კაცი სხვისი დამჩაგვრელია.

**ციცინო** — მაშ, პატივსაცემი ვერავინ მიპოვნია.

**ლოპიანე** — შენ მოვლით მირტყამ მათრახს.

**ციცინო** — მე ახალგაზრდა ვარ და დედაჩემის თვალით არ ვზომავ. მირჩევნია სიმართლით ქოხში დავრჩე, ვიდრე სიცრუით სასახლეში შევიდე. განძად სიკეთეს ვთვლი.

**ლოპიანე** — ჩემში ხომ ცნობთ მასეთ ღირსებას.

**ციცინო** — ვხედავ, რომ თორნიკეს მკაცრად ეპყრობით.

**ზეფორე** — თორნიკიას არ მოეფერენ — დიდი საქმე!..

**ციცინო** — ჩვენთვის არაფერია. ვაჟი კი იჩაგრება, მერე, რა მეცადინია, რა ნიჭიერი.

**გერასიმე** — აბა, იმ ბიჭის მიზეზს გეტყვით: თანდათან მეტ თავხედობას იჩენს.

**ციცინო** — არა, თვინიერია, ალბათ, მისი გულწრფელობა გეჩვენებათ თავხედობად.

**ზეფორე** — რა სიტყვებს ხარჯავ, ციცინო... რა საბუთით აქებ ასე?

**ციცინო** — შრომა უყვარს. ქარხნისთვის რაღაც გამოგონებაზე ფიქრობს.

**გერასიმე** — გამოგონებაზე უმეტესად სულელები ფიქრობენ.

**ციცინო** — არა, მატყუარები თავისას ასაღებენ, მართალნი კი იჩაგრებიან. მას აღფრთოვანებული დასკვნები აქვს პროფესორებიდან და სხვაგან ქარხანაში წავიდოდა, მაგრამ აქ შეწყობილია მუშა-ოსტატებთან. უფროსები კი არად აგდებენ იმიტომ, რომ მათსავით ფუყე არ არის.

**გერასიმე** — ო, ასე დაგარწმუნა?

**ციცინო** — დიახ.

**გერასიმე** — მაშ, გადაჭრით მოგახსენებთ, რომ ცილისმწამებელს არ მივიღებთ.

**ციცინო** — კარგი. ლუპავთ ჩემ შეზრდილ მეგობარს, არა? მეც ნუ მომთხოვთ პატივისცემას. (მიდის).

**ზეფორე** — ღმერთო მომკალი, ეს რა ჩაიდინა, ვისი გულისთვის!

**ლოპიანე** — ასე თავგამოდებით რად პატრონობს იმ ბიჭს?

**გერასიმე** — სიმართლე გითხრა, ამისთვის არ ვღებულობთ.

**ქისტოსტორე** — აჰ, როგორ გეკადრებათ. ამოდენა არწივები ყვიჩილამ დაგაფეთათ?!

**ზეფორე** — არა, რას ბრძანებთ, მაშინ დავმარხე ჩემი ხელით, თუ აქ საეჭვო რამე იყოს. მხოლოდ გულუბრყვილოა.

**გერასიმე** — მაინც ჯობს დავაშოროთ, სანამ ადვილია.

**ზეფორე** — ახლავე დაეწიე, ქისტოსტორე, ჩქარა მომგვარე სახლში, მე კი სკივრს შევინახავ სახლში და სტუმრებს მივიღებ. (ზეფორე სახლისკენ მიდის. ქისტოსტორე ჭიშკრიდან გამოდის და მიდის).

**გერასიმე** — შენ ისეთი ბედი გაქვს, ბურთს ფეხი უკუღმა რომ მიარტყა, მაინც ლელოზე გავა.

**ლოპიანე** — არა, ახლა ფეხს არ ვენდობი, ჭკუა უნდა ავამუშაო. ის დრო წავიდა, ერთი ფეხის ბაკუნით რომ ას თავს ავამღვრევდი.

**გერასიმე** — ჩემი თავი ახლაც გენაცვალოს.

**ლოპიანე** — ეს ცარიელი სიტყვა არ იყოს. აი, ზეფორეს შერჩა პატივისცემა. მიჭუჭუნე ისევ მტლეკს. შენ კი სინდისზე გაგდებ .(ოდნავ მუქარით) ავიც ვიცი და კარგიც.

**გერასიმე** — შენ ინჟინრობიდან ადრე წაგწიეს წინ, გამოცდილების მიღება ვერ მოასწარი, მაგრამ მაინც საუკეთესო საამქრო ჩაგაბარე.

**ლოპიანე** — ეს არ კმარა.

**გერასიმე** — ხელსაც შეგიწყობ.

**ლოპიანე** — აქ უნდა გავითქვა სახელი. საქმის გაკეთება ვის უნდა, მთავარია, რა ბუღს დავაყენებ. აქედან მეცნიერების ტაძარში უნდა შევრგო თავი. აბა, რა ვქნა, სულ არარაობას, დოსტოლრივი მეცნიერის სახელი მაინც მქონდეს.

**გერასიმე** — ამასაც თავისი გემო აქვს.

**ლოპიანე** — მე ვიცი, დაბრკოლება იქნება იმ წვრილ ვინმეთაგან, ჩრჩილიან წიგნებში რომ ჩაუდუღებიათ ტვინი, მაგრამ ბულბულმა გალობაში არწივს რომ აჯობოს, ამით არწივი თავს არ დააჩაგვრინებს.

**გერასიმე** — მართალია. შენ შესანიშნავი გზა მონახე. მეცნიერება უკვდავი სახელია.

**ლოპიანე** — აბა, უსახელოდ სიცოცხლე და ლოპიანე?! მხოლოდ შენ ისეთი მოსაგრეები მიშოვე, მათი ნიჭი გამოვიყენო თავის გამოსაჩენად.

**გერასიმე** — არიან. ეჰ, ამ თორნიკეზეც მითხრეს, სხვა მხრივ რომ არ მეეჭვებოდეს.

**ლოპიანე** — რა გითხრეს და რა გეეჭვება... მითხარი.

**გერასიმე** — მაგისი გამოგონების ღირსებაზე მითხრეს. საზღაპრო და პირდაპირ დაუჯერებელი სარგებლიანობაა.

**ლოპიანე** — ვისი! კაცო, ის თორნიკეა თუ ვიღაცა...

**გერასიმე** — დიახ, მაგ პატარა ბიჭის ნააზრებს, თურმე, შეუძლია მთელი გადატრიალება მოახდინოს ტექნიკურ მეცნიერებაში.

**ლოპიანე** — ე, ე, ტექნიკური მეცნიერების მასეთ გადატრიალებას შეუძლია ჩემი აყვავება.

**გერასიმე** — მაგრამ, რა გზით და რა ხერხით... მართალია, ის თითქმის უსწავლელია ტექნიკურ მეცნიერების დარგში... თურმე, გონებამახვილური მოაზროვნე ყოფილა საოცრად.

**ლოპიანე** — კაცო, მაგ ჩემზე იყოს, შენ კარგად იცი, რა და როგორ საქმეებს ვუვლიდი, იქ რომ ვიჯექი. მართალია, მაშინ სხვა უფლებები მქონდა და ეშვების შორს გაქნევა შემეძლო (ამოიხვნეშებს). მაგრამ, დარდი ნუ გაქვს, ლოპიანე მუდამ ლოპიანე იქნება. ნაცადი ხერხი თუ არ გამომადგა, ახალს შევთხზავ, მაგის ნიჭი დიდი ხნის ნავარჯიშები მაქვს, მივაგნებ... თუ კიდევ სხვა დაბრკოლება არ არსებობს.

**გერასიმე** — სხვა ესაა... რომ ეს ბიჭი, თურმე, ციცინოს ეპოტინება და...

**ლოპიანე** — უჰ, მაგი რა მითხარი!.. ის ადგილი და ის დრო მომცა, მე რომ მქონდა... აი დედასა... ეჰ... რას ვაკუნტრუშებდი მაგისთანა გამიჯნურებულს.

**გერასიმე** — აბა, აბა, ჩემო ლოპიან ძვალძვიჩ!.. მაგრამ სხვა გზა არ არის.

**ლოპიანე** — (ფიქრის შემდეგ) კი მაგრამ, კაცო, ასეთი მეტოქე გვერდზე ამოვიყენო და მას ვუყურო და ვუცინო?!

**გერასიმე** — ლოპიან ძვალძვიჩ, თქვენი ხარისხის მოსაპოვებლად ამაზე კარგ შემთხვევას ვერც კი ვინატრებთ, ამისათვის ყველაფერი უნდა ავიტანოთ დროებით და მერე... თქვენ...

**ლოპიანე** — აჰ... აჰ. (ფიქრობს) ესე იგი მიზნის მისაღწევად ეშმაკს დავუმეგობრდეთ დროებით, არა?..

**გერასიმე** — უჰ... ოქროს მცნება, ძვალძვიჩ.

**ლოპიანე** — (ფიქრობს) აჰ... აჰ... კარგი, ჩემო გერასიმე, კარგი, ახლა (გახარებული) ლოპიანეს თავმა უკვე დაიწყო მუშაობა.

(კარებს აღებს ზეფორე).

**ზეფორე** — შემობრძანდით სახლში, სტუმრებო. (ლოპიანე და გერასიმე მიდიან. შემოდის ქისტოსტორე და მეორე მხრიდან ქუქუნა).

**ქისტოსტორე** — ო, საიდან მოდიხარ ჩემდა სასიამოვნოდ, ქუქუნა?

**ქუქუნა** — შენ რისთვის გსიამოვნებს?

**ქისტოსტორე** — მე მგონია, თვითონ მიწას უხარია, რომ ზედ კოხტა ფეხებით მიქვანქვალობ.

**ქუქუნა** — მიწას ასეთ ცილს ნუ დავწამებთ.

**ქისტოსტორე** — ციცინო ხომ არ შეგხვედრია?

**ქუქუნა** — კი. თორნიკეს შეეყარა.

**ქისტოსტორე** — აბა, არ წამომყვება.

**ქუქუნა** — რად გინდა?

**ქისტოსტორე** — დედამისი იხმობს. მე რა შავ ქვად მჭირდება. შენი შეხვედრა კი მინდოდა.

**ქუქუნა** — ჩემთან რამე საქმე გაქვს?..

**ქისტოსტორე** — მასე ცივად ნუ მეკითხები. გაშალე შუბლი, გამახარე.

**ქუქუნა** — ეჰ!

**ქისტოსტორე** — შენ ისეთი უგულო ხარ, საკუთარ თავსაც არ ზოგავ.

**ქუქუნა** — რატომ გგონია?

**ქისტოსტორე** — აბა, ათი წელია ქმრის ამბავი არ მოგდის, ბოლოს, მამაც დამარხე და მაინც მარტოობას ირჩევ. არ ჯობს, ქუქუნა, ვინმე დაიმეგობრო! ისეთი, რომ სიცივეში გაგათბოს, სიცხეში გაგაგრილოს.

**ქუქუნა** — სწორედ პატიოსან გზაზე მაყენებ.

**ქისტოსტორე** — აბა, ეს მითხარი, პატიოსნება ჯობს თუ ჭკუა?

**ქუქუნა** — ერთმანეთისაგან არ ვყოფ.

**ქისტოსტორე** — მაშ, მე გეტყვი: ჩვენს მასპინძელს, წუთისოფელს, იმ ბოთლზე, რომელშიც ძირმწარეა, დაუწერია; ამაში პატიოსნებააო, და რომელშიც თაფლია, დაუწერია: ამაში ცოდვააო. ვინც სულელია, ძირმწარეს სვამს და ვინც ჭკვიანია, თაფლს მიირთმევს, წარწერით არ ტყვილდება.

**ქუქუნა** — მერე, მე თუ ვსვამ მწარეს, შენ რა, პირი გეწვის?

**ქისტოსტორე** — მე კოლექტივში მარტო მოსავალს კი არ ვითვლი, ადამიანებზეც ვზრუნავ.

**ქუქუნა** — გეტყობა.

**ქისტოსტორე** — წესრიგია საჭირო კოლექტივში.

**ჟუჟუნა** — წესს არ ვარღვევ. შრომას არ გავურბივარ.

**ქისტოსტორე** — მე ჭკუაზე გარიგებ, თორემ ხომ არ გეარშიყები.

**ჟუჟუნა** — არა, მაგას შენ როგორ იკადრებ.

**ქისტოსტორე** — ასეთი ცილი რომ დამწამო, თითქოს ვინმე ცინგლიანივით გეარშიყები...

**ჟუჟუნა** — არა, შენს ტუხტუხს არც ვიმახსოვრებ.

**ქისტოსტორე** — უყურე, მაინც მომსუსხა.

(შემოდიან თორნიკე და ციცინო)

**ქისტოსტორე** — შენ გეძებდი, ციცინო, დედა გიხმობს.

**ციცინო** — რისთვის?

**ქისტოსტორე** — სტუმრების გასართობად.

**ციცინო** — სწორედ, მაგ ჭკუაზე ვარ!

**ქისტოსტორე** — მითქვამს და სხვა რა გიყო. მე ჩემი ცეცხლი მყოფნის (ქისტოსტორე მიდის).

**ციცინო** — კარგი, აბა, ამას წუთში... სახლში... და... დავბრუნდები და ფართობში გავიაროთ. ჩემი ნაკვეთიც ვნახოთ. (აღებს ჭიშკარს).

**ჟუჟუნა** — ციცინო!

**ციცინო** — ახლავე მოვალ!

(ციცინო მიდის).

**ჟუჟუნა** — პიჯაკს მე ვერ დავაკერებდი?!

**თორნიკე** — კი მაგრამ, ისე მთხოვა, უარი ვერ ვუთხარი.

**ჟუჟუნა** — მე უფრო შემფერის მისი გაკეთება, ჩვენს სახლში...

**თორნიკე** — კი, მამაშენის გამოზრდილი ვარ.

**ჟუჟუნა** — მარტო მამაჩემის? მე ბავშვობიდან უფრო დასავით არ გივლიდი?

**თორნიკე** — კი, მაგრამ... ციცინოს ისე... უარი ვერ გავუბედე...

**ჟუჟუნა** — მე რომ ცეცხლი მომიკიდეთ — არაფერია? ეჰ!

**თორნიკე** — არ მეგონა, თუ ასე გეწყინებოდა.

**ჟუჟუნა** — გამოართვი და მომიტანე.

**თორნიკე** — არ შემიძლია.

**ჟუჟუნა** — ძალიან გთხოვ, არ, გესმის?

**თორნიკე** — თავს მოვიკლავ და ვერ გამოვართმევ.

**ჟუჟუნა** — თავს მოვიკლავო?!

**თორნიკე** — არ შემიძლია და ნუ შემარცხვენ.

**ჟუჟუნა** — ეჰე, დაიცა, შემომხედე, შეყვარებული ხომ არა ხართ?

**თორნიკე** — რაო ბიჭო.

**ჟუჟუნა** — ეგებ, ღმერთი გაგიწყრა, ხომ არ გიყვარს?

**თორნიკე** — რომელ სიყვარულს ამბობ? აჰ, მაგ მეორეჯერ არ მითხრა, თორემ აქედან გადავიკარგები.

(შემოდის ქისტოსტორე).

**ქისტოსტორე** — თორნიკე, საჩქაროდ გიხმობს ზეფორე.

**თორნიკე** — რისთვის?

**ქისტოსტორე** — ციცინომ პიჯაკი მოიტანა და რაღაც დავიდარაბა ატყდა.

**თორნიკე** — რა მოელანდათ!

(თორნიკე მიდის).

**ზეფორე** — ჩემი ხელით მოვკლავ, ჩემი ხელით დავახრჩობ.

**ბეჟანი** — უყვართ, ბატონო, და... არა მე არ ვიცი, მაგრამ ალბათ უყვართ.

**ჟუჟუნა** — იქ რა ალიაქოთია, ქისტოსტორ?

**ქისტოსტორე** — არა უშავს, გამოსწორდებიან. მხოლოდ მე მინდა გაგიმჟღავნო.... შენი საქმეა უბედურად, ჟუჟუნა. ორი კვირაა თქმას ვაპირებ...

**ჟუჟუნა** — თუ ცუდია, ნუ მეტყვი.

**ქისტოსტორე** — დამალვაც არ ხერხდება. ნათქვამია, კაცმა ჭირი მალაო და ჭირმა თავი ვერ დამალაო, შენი ქმრის ამბავი მოგივიდა.

**ჟუჟუნა** — ვისი, გვარამის?

**ქისტოსტორე** — დიახ, ჩვენი ქვეყნის მტრებს დაკავშირებია ის შერცხვენილი. სადღაც იმალება და იქიდან გიგზავნის ბარათს.

**ჟუჟუნა** — ოჰ! ოჰ!

**ქისტოსტორე** — გაშანშალებულ კონტრრევოლუციას გწერს და გაფიცებს, თუ მისი პოლიტიკური თანამგრძნობი ხარ, ერთგულ მეუღლედ შეინახო თავი. ეს წერილი დავიჭირეთ და ახლა შენ გსწავლობთ.

ჟუჟუნა — რას მაშტერებ!

ქისტოსტორე — ისე გიწყობს საქმეს, მისი ერთგულებით პოლიტიკურ დანაშაულში ვარდები.

ჟუჟუნა — ვინ ჩმახავს! მე ეს მტანჯავს, რომ მისგან რამდენი წელიწადია, წერილი არ მომდია.

ქისტოსტორე — კარგია, თუ მასეა, მაგრამ დაგმე და მოიშორე მისი სახელი, თუ გინდა თავიც შეგრჩეს და ქალობაც.

ჟუჟუნა — რა საძაგლობას მეუბნები!

ქისტოსტორე — აქედან უნდა მიხვდე, ჟუჟუნა, ამ ბოლოს მისთვის გელაციცები, რომ კეთილი განზრახვა მაქვს, — მინდა გადაგეფარო, შე საწყალო.

ჟუჟუნა — ეს ჭორია და, თუ შენი გამოგონილი არაა, — გავიგებ.

ქისტოსტორე — ჭორიც რომ იყოს, თუ გაიკითხე, ისეთი მითქმა-მოთქმა ატყდება, ბუზს სპილოდ გადააქცევენ და დროზე დამიჯერე, მამა გიცხონდეს, თორემ, ბოლოს, შეიძლება ბევრიც მეხვეწო, ქისტოსტორე, მიშველე, გადამეფარეო, მაგრამ მე გიპასუხებ: გასპეტაკებულმა არ მიმიკარე და ლაფში ჩავარდნილს რომ გადაგეფარო, მეც გავისვრებიმეთქი. მაშინ თავის დასაზღვევად მოწმეებსაც მოვიყვან, რომ უწესოდ ლაყბობდი.

ჟუჟუნა — მე ვლაყბობდი? ამას ვინ იტყვის!

ქისტოსტორე — იმისთანა დამსმენებია, თევზების ნალაპარაკები მოაქვთ, გუბეში თევზებმა რა ილაპარაკესო, ამოწმებენ და ტაფაზე აშიშხინებენ.

ჟუჟუნა — ოო. მესმის, რა ტაფაზე მაგდებ... მაგრამ ახლა ვითომ ისევ ის დროა? არ შეცვლილა?

ქისტოსტორე — თუ ნებას დამრთავ, ამ კაკანათიდან მე თითონ გამოგიყვან. დამშვიდდი, გული გაიმაგრე. (გადაუსვამს თმაზე ხელს).

ჟუჟუნა — აჰ! (იშორებს ხელს).

ქისტოსტორე — რა თმაა, შე დასაწვავო, ყოველდღე იბან თავს?

ჟუჟუნა — შებილწვას დაბანა არ უშველის. მეორედ რომ გადამისვა ხელი — მოვიპარსავ.

ქისტოსტორე — უჰ, გინდა მაგ თმაზე თავი ჩამოვიხრჩო?

ჟუჟუნა — შენი ხუმრობა გულს არ ეკარება.

ქისტოსტორე — როგორც გინდა, დამიჯერებ, — ნიავს არ მოგაკარებ, არა-და, ჟუჟუნა, ხორციელ ქალს მარტო სიზმარი ვერ გაცხოვრებს.

ჟუჟუნა — სხვა ხორციელს მისი ლანდი მირჩევნია.

ქისტოსტორე — მაგ ჰკუით დაილუპები.

ჟუჟუნა — მხოლოდ იმდენს ვიცოცხლებ, რაც მაგ საქმის ჩადენამდე მოუცია ღმერთს.

ქისტოსტორე — კარგი ერთი! კუდი ყავარზე ნუ გაქვს. მე თვითონ, იცი, ვისთან მაქვს კუდი გადაფსკვნილი?

ჟუჟუნა — არ ვეძებ.

ქისტოსტორე — ვერც მონახავ. (გადაუსვამს თმაზე ხელს) აი, მეორედ გადაგისვი ხელი. აბა, ვნახავ, თუ მოიპარსავ, ვის აცურებ?

ჟუჟუნა — ვერ აგიხსნია ჩემი სიტყვა, მაგრამ გაგაგებინებ, რომ მე თავზე თმა კი არ მაქვს, ნამუსის ჯავშანი მხურავს.

ქისტოსტორე — თუ მიჩივლებ, შენი ცოდვების გამოქექვა მერე იქნება. მე კი შარს ვერ მომდებ.

ჟუჟუნა — სიმართლე ჩემსკენაა.

ქისტოსტორე — სამართალი ჩემსკენაა.

ჟუჟუნა — რა ცოდვას დამადებ?

ქისტოსტორე — ჯერ ის ბარათი გეყოფა და, მერე მარტოხელა ქალი რომ იმოდენა ოდაში დაკაკუნობ, არავინ გიჰვრეტს? თუ, შენ გგონია, ღამით თვალს ვერავინ მოატანს ბნელ ადამიანებს!

ჟუჟუნა — ვინ იტყვის, რომ ჩემსას ბნელი ადამიანები უნახავთ.

ქისტოსტორე — მაგ კი არა, ქაჯისა და ჰინკის მნახველებს ვიპოვი ამ სოფელში.

ჟუჟუნა — ოო, ცილისწამებით მაშინებ. არა! ვნახოთ, თავს დავიცავ, ვისაც ჩემი თავის მოჭრა უნდა, ჯერ ხელები მომჭრას.

ქისტოსტორე — ოო, რა დაშხვანტალებული ხელები გაქვს! ცოდვა არაა, მასეთი ხელები არავის თავის ქვეშ რომ არ იდვეს. რა უგამჩენო ხართ ქართველი ქალები.

ჟუჟუნა — ვინც მყავს, მის შემდეგ მიწა დამეყაროს.

ქისტოსტორე — ის შენთვის მკვდარია. გაგონილა, ცოცხლად გადაშლილმა ვარდმა პატრონად მკვდარი ბულბული გამოაცხადოს!

ჟუჟუნა — სიყვარულისთვის სიკვდილი არ არსებობს.

**ქისტოსტორე** — უყურე, კოლექტივში მე ასეთ გულუბრყვილო აზრს არ ვთესავ. თუ ქმრისგან ღალატი არა, აბა, რაა შენს თავზე! მე რომ მის ადგილას ვყოფილიყავ, არც გადავიკარგებოდი და არც თავს შევიბღალავდი, ისე წმინდად მიყვარხარ.

**ჟუჟუნა** — შენი ლაპარაკი გრძნობებზე — ლაფის დუღილია... და ცდილობ, მეც იქ ჩამითრიო.

(შემოდიან თორნიკე და ციცინო).

**ქისტოსტორე** — ზეფორე არ გინახავს?

**თორნიკე** — ეზოში არ ჩამიშვეს.

**ციცინო** — ბრაზი ახრჩობს და ვერ გავიგე რისთვის.

**ქისტოსტორე** — ციცინოსგან წყინს, რომ სტუმრებს არ ეკარება.

**ციცინო** — რაღაცა ვიციო და რა იცის, არ ამხელს.

**ქისტოსტორე** — კარგი. გაგიგებთ სუყველაფერს. შენ კი, ჟუჟუნა, გახსოვდეს, რაც გითხარი. ყოჩაღად იყავი, სიცოცხლე ყველაფერს გერჩიოს.

**ციცინო** — მეც ასე ვურჩევ. გამხნევდეს, ნაღველს ნუ აყვება.

**ქისტოსტორე** — აბა, ამოდენა რაიონმა ერთ პატიოსან, წმინდა ქალს ვერ მოვუაროთ? (მიდის)

**ჟუჟუნა** — (ქისტოსტორეს წასვლის შემდეგ მწარედ ამოიოხრებს) ეჰჰ...

**თორნიკე** — გვარამის წასვლის შემდეგ რამდენი ქვაბი ამოშრა და ეს კი ისევ ქვარქვალებს. იმედი ოქონიე, იმედი.

**ჟუჟუნა** — ადამიანი თავის იმედებზე ადრე ბერდება.

**ციცინო** — რა კარგი ხარ, ჟუჟუნა.

**ჟუჟუნა** — რა ვარ. ახლა ისეთი ცეცხლი შემომენთო, ნეტავ, აქამდე არ მომეწია.

**ციცინო** — რა დაგემართა, ამიხსენი.

**თორნიკე** — რა შემოგენთო?

**ჟუჟუნა** — ქისტოსტორე შემომიჩნდა. ისეთი შარით მომდგა...

**თორნიკე** — რაო?!

**ჟუჟუნა** — გამოიგონა, თითქო გვარამი ფარულად ჩვენ მტრებთან მუშაობს, მე კი წერილებს ვღებულობ და მისთვის არ ვთხოვდები, რომ პოლიტიკურად მისი თანამგრძნობი ვარ. ეს სიტყვა თქვა: პოლიტიკურადო.

**თორნიკე** — ეს რა უსაშველო უთქვამს!

**ჟუჟუნა** — მე ვუთხარი, ეს შენი მოგონილი ჭორია მეთქი. ამ ორმოში თითონვე ჩავარდება.

**ციცინო** — ო, ასე იქნება — მთლად ჭორია, სულ, სულ თავიდან ბოლომდე.

**ჟუჟუნა** — დამემუქრა, ცხოვრებას ისე გაგიმწარებ, სიკვდილს არჩევო.

**თორნიკე** — მართლაც, ისეთი ჭორია, ვის არ დააფეთებს.

**ჟუჟუნა** — ასე გადმომკრა, მე გამომყევი და ვერავინ ვერაფერს იტყვისო.

**თორნიკე** — მოვსპობ! გულს და ღვიძლს ამოვაცლი!

**ჟუჟუნა** — შენ უარეს ჯავრში მაგდებ, — ციხეში არ ჩავარდე.

**თორნიკე** — კარგი, საიდანმე შემოვუვლი მაგ ვერაგს.

**ციცინო** — ჰო, რამე ხერხს მივმართოთ.

**ჟუჟუნა** — დავიღუპე, როგორ ამომიღო ნიშანში! ბოლოს ვერაფერს გაიტანს, მაგრამ — ნათქვამია: ტაშტი გატყდაო, არაო, ხმა კი გავარდაო. მაგ მითქმა-მოთქმას, სახელის გატეხას ვერ გადავიტან და თუ ოდესმე ნახავთ გვარამს, ჩემი დაღუპვის ამბავი მოუყევით.

**თორნიკე** — დრო არ დავკარგოთ, ჩქარა უნდა ჩავუგდო პირში ბურთი. მაგრამ როგორ? ოჰ, ცეცხლი მედება გულზე!

**ჟუჟუნა** — (ზეფორეს გაურკვეველი ყაყანი, დააყურებს). ზეფორესას რაღაცა ამბავია.

**ციცინო** — უი, ჩვენ გვემუქრება, გესმის?

**თორნიკე** — აქეთ მოდიან.

**ციცინო** — ამოვეფაროთ რამეს.

(შემოდიან ბექანი და მიჭუჭუნე).

**ბექანი** — მომშორდი, თორემ მოგსპობ. მე იმ დროის ინტელიგენტი ვარ, როცა ინტელიგენტი ვაჟკაცი იყო.

**მიჭუჭუნე** — რა გაწყენინე, გეთაყვა, ბექან, მითხარი.

**ბექანი** — ლოპიანე შეაქეთ და მე დამამცირეთ?

**მიჭუჭუნე** — არა, მოგჩვენებია.

**ბექანი** — ჩამოქვეითებული მტერი სუფრაზე დავისვი და თავზე მაჯდება?! ჩემს ერთადერთ ქალიშვილს უწევს ხელს ეს წელგატეხილი მურა!

**მიჭუჭუნე** — ზეფორეს სხვა არავინ უნდა სიძედ.

**ბექანი** — მაშ, მე ვინ ვყოფილვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიჭუჭუნე** — აი, ხომ გესმის, რას იძახის, ყველაფერს ნაცრად ვაქცევ, გადავიხვეწები და სოფლის ბოგანოს არ გავატანო.

**ბექანი** — დაიკარგე აქედან, თორემ გაგათავებ!

(მიჭუჭუნე მიდის. ბექანი თვალს მოკრავს ამოფარებულებს).

**ბექანი** — ოო, აგერ ყოფილან ეს წყეულები. მოდით, გამოტყდით, — თქვენს ცოდვებში.

**ციცინო** — რა ცოდვებია, მამა!

**ბექანი** — შენ და თორნიკეს გიყვართ ერთმანეთი, ფარულად გინდათ დაქორწინდეთ და ქუქუნა ხელს გიწყობთ.

**თორნიკე** — ეს ცილისწამებაა.

**ბექანი** — ხომ გესმის, ის ტურა რას იძახის; კარგა ხანია ვეჭვობდიო.

**ციცინო** — თუ ცოდვა გვეფიქროს, ჩემი სიკვდილი ნახე.

**ბექანი** — მე ნუ მიმალავთ, მე თქვენსკენა ვარ და დღესვე დაგაქორწინებთ.

**ციცინო** — აჰ, ღმერთმა დაგვიფაროს!

**თორნიკე** — მაგას როგორ მიბედავ!

**ბექანი** — მე იმიტომ ვარ შენს მხარეზე, თორნიკე, რომ ჩემებურად გამოგჩიჩქნი. თვალში გამოგახედებ, ციცინოს და ჩემს მეტს ყველაფერს ბნელად დაინახავ ქვეყანაზე.

**თორნიკე** — შენი სიტყვიდან მხოლოდ ეს გავიგე, რომ დიდ ცილს მწამებთ.

**ციცინო** — მაოცებს, ეს როგორ იფიქრეთ! (შემოდიან ზეფორე და ქისტოსტორე).

**ზეფორე** — ამისთვის გზრდიდი სასოებით, გოგო, თვალს მიბრმავებდი?

**ციცინო** — არა... რად მეკითხები?

**ზეფორე** — იფ, იფ, რა კოპწია სასიძოა! სახელო ვინ გაგიკერა?

**ციცინო** — მე გავუკერე კოხტად.

**თორნიკე** — არც კი გრცხვენია. — ქოხიდან დაგაწინაურეს და სიღარიბეს დასცინი.

**ზეფორე** — რაო, შეიხედე ჩემს ოჯახში, რა კულტურაა, ზეფორეს ეტოლები?..

**თორნიკე** — მეგობრის დედა არ იყო...

**ბექანი** — ტყუილად ეჩხუბები, არ ყვარებიათ ერთმანეთი. მე თვითონ ვთხოვე დაგაქორწინებთ-მეთქი და უარი მომაყოლეს.

**ზეფორე** — ესმით შენი დაპირების ფასი. მე ვარ გადამწყვეტი და ამისთვის ჩქმალავენ.

**ბექანი** — აბა, დამეთანხმონ, თუ არ დავაქორწინო. არა, სულელია მაგ ბიჭი, ვიღაცაა, არც თავში აქვს ჭკუა და არც თვალში. (ბექანი მიდის).

**ზეფორე** — ახლავე გამოვტეხავ. ციცინო, შვილო, წამოდი სახლში, ხომ იცი, იქ რა სტუმარი გვყავს.

**ციცინო** — აქ მირჩევნია.

**ზეფორე** — ის მარტო ჩემმა პატივისცემამ კი არა, შენმა სიყვარულმა მოიყვანა. გულცივად ნუ დახვდები.

**ციცინო** — მე ისეთი უკმეხი არა ვარ — სიყვარულს ვხედავდე და სიავით ვუპასუხო.

**ზეფორე** — რად ვერ ხედავ, მუდამ სათუთად გეპყრობოდა, შენც უღიმოდი, ახლა რა მოგივიდა?

**ციცინო** — შენ როგორ გგონია, მიყვარდა?.. არა, დედა, აწი ბავშვი არა ვარ, ვერ მომახვევ.

**ზეფორე** — მაშ, წამოდი მეგობრულად დაელაპარაკე.

**ციცინო** — მასთან მეგობრობა სად შემიძლია.

**ზეფორე** — ოო, ამ ტინგიცთან შევიძლია მეგობრობა და მასთან არა?

**ციცინო** — რა შედარებაა. ეს ნათელია, ის — ბნელი.

**ზეფორე** — გესმით, ხომ გამოტყდა! (ქუქუნასკენ) ახლა მითხარით, ვინ გამიბრიყვა ქალიშვილი?

**ქისტოსტორე** — რას იტყვი, ქუქუნა?

**ქუქუნა** — თქვენი ეჭვი უხიაკია.

**ზეფორე** — შენს თვალწინ გავტეხე და მაინც მალავ, შე უკეთურო?

**თორნიკე** — კმარა, ზეფორე, სისხლი მოვიდა ყელში.

**ზეფორე** — გესმით, სიკვდილით მემუქრება, მოწმეები ხართ.

**ქისტოსტორე** — ნუ გეშინია, აქ ვართ მცველნი.

**ზეფორე** — მარტო ამ მუქარისთვის დაგიგებ საქორწინო ლოგინს. ო. აქამდეც გვქონდა ეჭვი და მისთვის არ მოგაწყუეთ ქარხანაში. (ზეფორე აპირებს წასვლას).

**ციცინო** — დედა!.. ეს რა თქვა!

**ზეფორე** — შენ გაქვავდი! დამნაშავედ მაინც ქუქუნა მიმაჩნია — ყველას მოგივლით, თუ ქალი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟუჟუნა — არ გრცხვენია, შენ შვილზე ჭორს ავრცელებ?!

ზეფორე — შენ მაჭანკლად ტრიალებ ამათ შორის.

ქისტოსტორე — ამის მთავარი მანკი მეორეა, ისაა, მე რომ გადაკვრით გითხარი.

ზეფორე — ოო, მართლა!.. ვატყობ, ჟუჟუნა, საიდან მოდის შენი მავნებლობა.

ჟუჟუნა — რა მავნებლობა?

ზეფორე — სად გყავს ის, ის!.. რას წარმოობთ!

ჟუჟუნა — ვინ? პირდაპირ მითხარით.

ქისტოსტორე — მე რომ გაგაფრთხილე.

ჟუჟუნა — რას მერჩით, თქვე... უწყალოებო, ურჯულკებო!

ზეფორე — შენ გინდოდა ჩემი ოჯახი დაგექცია, არა? ახლა ვნახოთ, ვინ დაშავდება.

თორნიკე — (მკაცრად) მომითმინეთ... თქვენ ეს უპატრონო ხომ არ გგონიათ?..

ქისტოსტორე — ბიჭოს! (ირონიით გადახედავს ყველას) აი, თურმე, როგორი პატრონი ჰყოლია. ამდენხანს, რატომ იმალებოდი ყმაწვილო!

ზეფორე — (აფორიაქებული) მოიცათ, მოიცათ... ახლა მთლად დავიბენი, ბარემ ამოშაქრე, მადლიანო, თუ გიყვარს.

თორნიკე — (უცბად მოისაზრა) დიახ... (ყველა გაოცდა) მიყვარს რა გინდათ ახლა?

ქისტოსტორე — (გაოცებული) ჟუჟუნაც?

თორნიკე — მოითმინეთ, რადგან საშველს არ გვაძლევთ, გაგიტყდებით, მხოლოდ არავის გაუმხილოთ, თორემ თავზე ხელს ავიღებ.

ქისტოსტორე — ჯერ ბოლომდე გატყდი.

თორნიკე — მე და ჟუჟუნას გვიყვარს ერთმანეთი.

ზეფორე — როგორ?

თორნიკე — ჰო, ციცინოს გარდა თანამგრძნობი არა გვყავს და ამასაც ისეთ ჩირქს ცხებ, სათოფეზე არ მოგვეკაროს. რას შემოგვიჩნდით, თქვე ბაბაყულებო.

ქისტოსტორე — აუჰ, შენ და ჟუჟუნას გიყვართ ერთმანეთი?

თორნიკე — გვიყვარს და ეს წესიერებაა, რომ ძალად გვათქმევინე?

ზეფორე — (ალტაცებული) ია და ვარდი გფენიათ, მაგრამ თქვენ რატომ მალავთ ასე გულმოდგინედ?

თორნიკე — ჟუჟუნას ერცხვინება, სოფელმა არ დაძრახოს, თითქოს ქონებით მომიყიდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, როდესაც ადგილზე მოვეწყობი, მერე დავაბოლოოთ საქმე.

ზეფორე — (ციცინოზე და ჟუჟუნაზე) ამათ როგორ ჩაიგდეს ენა.

თორნიკე — რა ქნან. ციცინომ ხმა დამაწია, ქარხანაში ალვედგინე და შენ გაჭორე. ქისტოსტორე კი უფრო უსინდისოდ იქცევა. მას ჟუჟუნა უპატრონო ჰგონია, შეუჩნდა და რადგან ვერაფერს მიაღწია, ცილისწამებით ემუქრება.

ქისტოსტორე — ვინ გითხრა, ყმაწვილო, ეს არაკი?

თორნიკე — შენ დაემუქრე ჟუჟუნას, რომ ხმას დაუყრი, თითქო ქვეყნის მტერი ყავს ქმრად და თანაუგრძნობს... იცოდე, ერთხელ თუ წამოგცდა სადმე ეს ცილი, სასტიკ პასუხს მოგთხოვ.

ქისტოსტორე — ეს ჯერ არსად...

თორნიკე — ხმა, კრინტი! აწი ვერ გაბჽდავ, შე მზაკვარო!

ქისტოსტორე — კმარა, შენ მეტისმეტს მიბედავ!

თორნიკე — ხმა ჩაიწყვიტე, თორემ მაგ იარაღს ახლავე აგართმევ და დაგჟეჟავ! ჩქარა შებრუნდი, შე ცრუცუნა, შე კაცის ლანდო! (თორნიკე მიიწევს) ჩქარა, აქედან გაეთრიე!

ზეფორე — მოშორდი, ქისტოსტორე, გაგიჟებულ ბიჭს ნუ აჰყვებით, არ გვეკადრება! თავის დამცირება... (ქისტოსტორე მიდის).

თორნიკე — ზეფორე, ჩვენი საიდუმლო ნაადრევად არსად გაამხილო, არსად დაგცდეს, თორემ ვერ გაპატიებთ.

ზეფორე — მსიამოვნებს, რომ ასეთი გულმხურვალე პატრონი უპოვია ჟუჟუნას და მეც ხელს შეგიწყობთ. ახლავე მივალ სტუმრებთან და გულს მოუბრუნებ შენსკენ. გკოცნი, ჟუჟუნა, ჩემო შვილო, ასე თავს ნუ ხრი. ამ ბიჭს არა უშავს, გამოიჩიჩქნება და ბოლოს შენთვის არც ისე სამარცხვინო იქნება.

ციცინო — ეს რა თქვი, დედა, რა გავიგე! თურმე ჩემი მიზეზით უშლიდი ხელს თორნიკეს. სირცხვილით სად ჩავძვრე არ ვიცი.

ზეფორე — ახლავე მივალ, შვილო! ყველაფერი გამოსწორდება. (ზეფორე მიდის).

ჟუჟუნა — (დიდი პაუზა) უსაძაგლესი ცილი დავწამე ჩემ თავს.

თორნიკე — ახლა მეც მეთანაღრება ეს ხერხი. უცბათ, სხვა ვერაფერი მოვიგონე. თუ მოვესწარი გვარამის ჩამოსვლას... ვუამბობ და გამსაჯოს.

ქუქუნა — გული მაინც დაჭრილი მრჩება.

ციცინო — მესმის, ქუქუნა, მაგრამ თორნიკემ დაინახა რა ორმოს გითხრიდნენ და შენზე მეტად შეშინდა. ეს იყო სასოწარკვეთილის დაცვა.

ქუქუნა — შენ მაინც მიაყურე, არსად წამოცდეთ.

ციცინო — ჰო, მკაცრად გავაფრთხილებ, თან გავიგებ, თორნიკეზე რას აპირებენ (მიდის).

თორნიკე — ქუქუნა!

ქუქუნა — ჰო...

თორნიკე — თუ არ აღმადგენენ ქარხანაში, მაინც მივდივარ ამ სოფლიდან.

ქუქუნა — სად?

თორნიკე — სადმე გადავიკარგები.

ქუქუნა — რისთვის?

თორნიკე — აწი ის არა ვარ, გამომცვალა ამ ამბავმა.

ქუქუნა — როგორ?

თორნიკე — მაგრძნობინა, რომ მთელი არსებით მიყვარს ციცინო.

ქუქუნა — ციცინო გიყვარს?

თორნიკე — მას არ უთხრა.

ქუქუნა — წეღან ეს ეჭვი რომ გამოვთქვი, შემომწყერი.

თორნიკე — ჩემ თავსაც არ ვუტყდებოდი. მხოლოდ შენზე რომ ვთქვი მძიმე სიცრუე, მაშინ ისე გადამიტრიალდა გული—სიმართლე ვუთხარ ჩემ თავს, ისე მიყვარს, რომ სიკვდილსაც სიხარულით მივიღებდი მისგან. ახლა... სულ სიკვდილი მიტრიალებს თავში.

(შემოდიან ბახუტა და მოგელი).

თორნიკე — ოჰ, მოგელა, ბახუტა, საიდან!

მოგელი — დღეს ქარხანაში დაგინახეთ.

თორნიკე — ოო, იქ აღდგენაზე უარი მითხრეს.

ბახუტა — ეს გავიგეთ. გვეწყინა და შენს სანახავად წამოვედით.

მოგელი — რა გვენატრებოდა შენს გვერდით მუშაობა!

ბახუტა — რას გერჩიან? წინათ ხომ ამისთვის მოგხსნეს, რომ ლოპიანეზე წამოგცდა, აქ ინჟინრად არ ვარგოდა და დიდკაცად რომ დასვეს, სათაყვანებელი შეიქნაო. მაგრამ ის ხომ ჩამოაქვეითეს და დროც გამოიცვალა.

თორნიკე — ახლა ზეფორე აბრკოლებდა ჩემს აღდგენას.

ბახუტა — ო, ღჯუა და ყოვლის შემძლებელია რაიონში.

(შემოდის ციცინო მხიარულად).

ციცინო — მომილოცავს, თორნიკე, არ ვიცი, რა მალამო წაუსვა დედამ და მაშინვე დათანხმებულან მე მკითხეს, რა გამოგონებაზე მუშაობსო, ვუპასუხე, რაც ვიცოდი, და ისე აღფრთოვანდნენ, — ახლავე წაიიყვანთ ჩვენი მანქანითო.

თორნიკე — ახლავე? ეს მართლა კარგია.

ციცინო — დირექტორმა დასძინა, წამოიღოს ბარგი, იქ ერთ ოთახს მივცემო.

თორნიკე — უცბად მოვემზადები. ბარგი არაფერი მაქვს.

ქუქუნა — დაგვიანება არ ღირს, ვინ იცის, მერე რა მოხდება.

მოგელი — კარგ ფეხზე მოვსულვართ, ბახუტა.

თორნიკე — მაშ აქ დამიცდით?

ბახუტა — ბარგზე მოგეხმარებით.

თორნიკე — რა მაქვს. ლოგინი, სამუშაო ხელსაწყოები. მერე ნახაზები, წიგნები. ჰო, მაინც ბარგი შედგება. (თორნიკე, ბახუტა და მოგელი მიდიან).

ციცინო — მიდის, ა, მიდის თორნიკე.

ქუქუნა — გვშორდება. აქ, მოსახვევში რომ გამოვუნათებდით ერთმანეთს — ის გათავდა.

ციცინო — გული მწყდება, ო, რომ იცოდე, რა მემართება. სულ ვცდილობდი, იქ მომეწყო და ახლა, რომ მიდის, რა კაეშანი მიჭერს, ნაღველით სული მეხუთება.

ქუქუნა — დამშვიდდი, რა მოგივიდა.

ციცინო — ის ქარხანაში წავა, ქუქუნა, ლამის წავიქცე და მიწაზე ვიფხარკალო.

ქუქუნა — შეიძლება გიყვარს.

ციცინო — არ ვიცი.

ქუქუნა — ოო, ასეა საქმე! ეს ისე გამიხარდა... თავს მავიწყებს!

ციცინო — რატომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჟუჟუნა** — მას უყვარხარ.

**ციცინო** — რა იცი?

**ჟუჟუნა** — მითხრა.

**ციცინო** — მეც, ალბათ, მეც მიყვარს... ესაა სიყვარული?!

(შემოდიან თორნიკე, ბახუტა და მოგელი მცირე ბარგით).

**თორნიკე** — ესეც ჩემი ზეიმი.

(ეზოში გამოდიან ზეფორე, გერასიმე და ქისტოსტორე. ერთმანეთთან ჩუმად ლაპარაკობენ).

**ზეფორე** — ჩემ მანქანასაც დაგახმართ, უფრო თავისუფლად წახვალთ.

(მოისმის მანქანების ხმაური. გამოდიან ეზოში ლოპიანე, მიჭუჭუნე, ჭიშკარს აღებს ქისტოსტორე).

**ჟუჟუნა** — (ცალკე თორნიკეს) ვატყობ, მე და ციცინო ხშირად გინახულებთ.

**თორნიკე** — (ციცინოს გასაგონად) არ დამივიწყებთ?

**ჟუჟუნა** — არა. (ციცინოზე) მასაც უყვარხარ. (ციცინოს მღელვარებისაგან გაუვარდება თორნიკეს ბარგი და ზედ დაჯდება. აპირებენ წასვლას. მოიხედავენ).

**ხმები** — ბარგი!

**ციცინო** — (წამოდგება) აჰა, წაიღეთ!

(ფ ა რ დ ა).

## მოქმედება მეორე

### სურათი პირველი

გერასიმეს კაბინეტი, მოხდენილად მოწყობილი. სცენაზეა ლოპიანე, მიჭუჭუნე, გერასიმე ლოპიანე აღფრთოვანებული იწყებს:

**ლოპიანე** — ჩემ საამქროში დღეს იმოდენა მადლი აღმოვაჩინე, ასი კაცის მაგიერ ერთი იმუშავებს. ამას გარდა, ისეთი ხარისხის მასალას ვქმნით, კოსმოსში გამოდგება. თუ ჭკუას მოვიხმართ, შენ უდიდეს ქარხნებს ჩაგაბარებენ, მე მეცნიერების ტაძარში დამაფუძნებენ, მიჭუჭუნეს კი, ჩვენს საქმეთა მცნევარს, პოეტად აღიარებენ...

**მიჭუჭუნე** — ოო, პოეტად გამოცხადებას მოვესწრო და, — იუბილეს იმავე დღეს გადავახდევინებ.

**გერასიმე** — მე რაც ვარ, მყოფნის, მეტს არ ვეძებ, შენთვის კი ავწონ-დავწონოთ, ნუ ავჩქარდებით.

**ლოპიანე** — როცა პატარა კაცი ვიყავ, მეც შენსავით ფინჩხა მახარებდა, მაგრამ უცბად დიდ ვინმედ დამსვეს, დღეს ჩამომაქვეითეს და დიდი მადა შემრჩა.

**გერასიმე** — არაფერი ეშველება მაგ მადას?

**ლოპიანე** — არაფერი. იმიტომ, რომ როცა დაუმსახურებლად დიდი სახელი გაქვს, თუ წაგართვეს, დიდ საგინებელ სახელად გადაიქცევა. არა, ეს არ მოხდება. რაკი ძველი გზა მომიჭრეს, ახალს ვპოულობ სხვაგან დასაქუხებლად.

**გერასიმე** — მე, როგორც შეგპირდი, დაგეხმარები, მხოლოდ ხანდახან ვუფიქრდები: შენ, ლო — სახელოვანი მეცნიერი!

**ლოპიანე** — რად გიკვირს, აკადემიკოსებს ჩემს კაბინეტში მუხლი ეკვეთებოდათ. ზოგ მათგანს მსოფლიო სახელი ჰქონდა და თავში ისე ვუკაკუნებდი, ფამფალობდნენ. ნუთუ მათაც ვერ ვაჯობო სახელის მოხვეჭაში.

**გერასიმე** — ვითომ, თორნიკე გაგიყვანს დიდ შარაზე?

**ლოპიანე** — თორნიკე ვინაა! თუ რამე გამოუდის ხელიდან, ჩემი ბედი აკეთებინებს. ჭკუით, რჩევითაც ვეხმარები, სხვებსაც წვლილი შემოაქვთ. მე ბედი პატარა კაცად არ დამაგდებს.

**გერასიმე** — მაინც, მსოფლიო სახელზე პირს ნუ ავიმჟავებთ.

**მიჭუჭუნე** — ჩამორჩენილი ხარ, გერასიმე, დღეს ძველი დრო კი არ არის.

**გერასიმე** — მაინც ასე რამ დააპატარავა ქვეყანა!..

**ლოპიანე** — კაცის ჭკუა გაიზარდა.

**გერასიმე** — რამ გაზარდა?

**მიჭუჭუნე** — წინათ სარწმუნოება აბნელებდა კაცს.

**ლოპიანე** — კი.

**მიჭუჭუნე** — ახლა, როცა ღმერთი მოვიშორეთ, ეს ქვეყანა, დიდად რომ გვეჩვენებოდა და შიგ ჩვენი სულიც უკვდავად, კოსმოსის მოვლით და ცხოვრების გაგებით ქვეყანა ნამცეცა კვერცხივით გამოჩნდა. და სულიც წამიერ ლანდად. მე ამაზე პოემას დავწერ.

**ლოპიანე** — გადადევი მაგ საქმე, მიჭუჭუნე, ჯერ კედლის გაზეთზე აახმაურე ჩემი მიღწევები.

**მიჭუჭუნე** — ო, იმდენ რითმებს გიმზადებ ლექსებისთვის, ისეთ სიტყვებს ვაგროვებ, გაზეთის კითხვის დროს ატკიცინდება, როგორც ცეცხლში მარილი, ოღონდ აზრები მომაწოდე მათ დასალაგებლად. (კარი იღება თორნიკე შემოიხედავს).

**გერასიმე** — (ეძახის) თორნიკე! თორნიკე! შემოდით...

**ლოპიანე** — შევაშინოთ, ბახუტა და მოგელი მოვაშორებინოთ და ჩვენ თითონ დავუნიშნოთ თანამშრომლები.

(შემოდიან თორნიკე, მოგელი და ბახუტა).

**გერასიმე** — ეს ბიჭები აქ ზედმეტია.

**ბახუტა** — ვერ დავეტევით, თუ?

**თორნიკე** — მე მჭირდება ესენი, პატივცემულო გერასიმე!

**მოგელი** — კადრების უფროსი შევხვდა, გლახად ჩამოგვირეკა და მისთვის შემოვყევით.

(თორნიკე შლის დიდ მაგიდაზე მოზრდილ ქაღალდებს. ბიჭები ეხმარებიან).

**გერასიმე** — ეს რა ნახაზებია, თორნიკე?

**თორნიკე** — აგიხსნით.

**გერასიმე** — არ მჭირდება. ლოპიანემ ყველაფერი გამაცნო.

**თორნიკე** — მაშ, რად დამიბარეთ?

**გერასიმე** — შენი რაციონალიზატორობა მუშა-ოსტატების გადანაცვლებას მოითხოვს, ამიტომ კომისიის დასკვნით ბახუტა და მოგელის სხვა სამუშაოზე გადავიყვანთ, შენს ბრიგადას კი ახალ ოსტატებით გავზრდით.

**თორნიკე** — ლოპიანე აგიხსნის, როგორ ავნებს ჩემს საქმეს ამათი მოშორება.

**ლოპიანე** — ლოპიანეს საფიქრალი არ აკლია, ამაზე თქვენ შეთანხმდით, მხოლოდ ეს გახსოვდეს, თორნიკე. დირექტორს არ უნდა აწყენინო.

**თორნიკე** — უმალ მარჯვენს მოვიკვეთავ. ვიდრე ამ ბიჭებს მოვიშორებ.

**გერასიმე** — დაუფიქრებელი პასუხია.

**მოგელი** — არა, მე და ბახუტა წავალთ, თუ ასე გვიწერია.

**თორნიკე** — სად წახვალთ?

**ბახუტა** — საითაც პირი გვექნება.

**თორნიკე** — მეც თქვენთან მოვალ. — ავიღოთ ნახაზები. აბა!

(იღებენ მაგიდიდან ნახაზებს).

**გერასიმე** — მე აწი არ ვერევი ამ საქმეში.

**ლოპიანე** — ესენი რას ბედავენ! გერასიმეს არ აწყენინო თქვა და ქეძაფი გადაგვასხი! თქვენი გულისთვის ქარხანა ავაფორიაქე და ასე მსვრით! რომელმა მავნებლურმა ორგანიზაციამ დაგავალათ ეს ყალთაბანდობა? მტრულმა დაზვერვამ მოგისყიდათ? ახლავე გაიმართლეთ თავი, თორემ ამ ქარხნის კარებიდან წიწილებივით შეგაფრენთ გალიაში და მერე თქვენს ბუნდღას ვერავინ ვერ იხილავს.

**მოგელი** — ეს რას გვიქადის.

**ბახუტა** — რითაც ჩვენ ახლა გვემუქრები, ლოპიანე, მასეთი ცილისწამება ბევრი ჩაგიდენია და დავიწყებული გვაქვს, მაგრამ თუ არ მოიშლი, დაგითვლიან ზურგზე აკიდებულ ცოდვებს, და ისე მოგივა, ქათამმა რომ ქექა და თავის დასაკლავი დანა გამოქექა.

**მიჭუჭუნე** — ხედავ, რა შარი მოდვა ლოპიანეს! მაშინ ისე იყო საჭირო, ამხანაგო, ხალხი უნდა გამოსწორებულიყო.

**ბახუტა** — მასეთმა ვერაგულმა ხერხებმა ჩაილულის წყალი დალია.

**მიჭუჭუნე** — რას ბუავს! რავა წახდა ქვეყანა, რამდენ კაცთანაც საქმე გექნება, ყველას როგორ დაიჭერ ხელში კუდით! რად იღმიჭებით?

**ბახუტა** — ეს ვინ არის, ვისი მეცამეტე გოჭია!?

**ლოპიანე** — ამხანაგო, თქვენ ჩვენი ქარხნის კულტურის ხელმძღვანელს, გოჭად ნუ იხსენიებთ, პასუხისმგებელი ამხანაგია, უხერხულია.

**გერასიმე** — ჩვენი კლუბის გამგეა და კედლის გაზეთის მესვეური.

**ლოპიანე** — გესმით, რა უმადურები არიან! ხელს ვუწყობდი, გამოგონებასაც თავში ვუდებდი, ოღონდ ჩემი საამქრო ასახელონ-მეთქი.

**მიჭუჭუნე** — როგორ არა, ჩვენ გემოწმებით.

**მოგელი** — ჩვენს გამომგონებელს ჭორების გამოგონებით ვერ დაჩაგრავთ.

**ბახუტა** — კი, ტყუილების საპენტავი ქარხანა მიხურეს.

**ლოპიანე** — ესენი რა ხალხია, გერასიმე, რავა თანდათან უმატებენ პილპილს, რა ვუყო?

**გერასიმე** — ესენი ზლარბებივითაა, — ვერც უკბენ, ვერც მოეფერები.

**ლოპიანე** — არ გრცხვენია, ბიჭებო, ზურგზე რომ ცოდვას მადებთ!

**მოგელი** — არა გაქვს თუ?!

**ლოპიანე** — კაცმა თქვენი გულისთვის საამქრო გადავაბრუნე და ამას მკადრებთ?

**ბახუტა** — მე მუქარაზე გიპასუხე.

**ლოპიანე** — ვინ დაგემუქრა? გერასიმეზე გულმოსულმა, რაც წამოვიძახე, თქვენს თავზე იღებთ!...

**ბახუტა** — მაშ, ცხენს ვერ მოერიე და უნაგირს ამტვრევ!

**ლოპიანე** — სწორედ ეს ანდაზაა ჩემზე მოსატანი.

**ბახუტა** — კი.

**ლოპიანე** — მაშ, თუ გინდა მე დავრჩე საამქროს ხელმძღვანელად, ამხანაგო გერასიმე, უკანასკნელ პირობას გიყენებ და მტკიცედ უნდა შემისრულო.

**გერასიმე** — ბრძანე და...

**ლოპიანე** — ამ ბიჭებს თორნიკესგან ნუ გათიშავ, ჩონგურის სიმებივით არიან შეწყობილნი. მხოლოდ საცხოვრებელი პირობები გამოუკეთე. თორნიკე ბნელი კუნჭულიდან ორ-ოთახიან ბინაში გადაიყვანე, ნაყოფიერად იმუშაოს. მოგელის და ბახუტას თითო ოთახი მიეცით საკუთრად და სამივე თითო თვის ჯამაგირით დააჯილდოვე. გარდა ამისა, იმ ათი მუშიდან, რომლებიც გადაკეთებული დაზგებიდან თავისუფლდება, ექვსი კაცი მე ამომარჩევინე თორნიკეს ბრიგადისთვის, რათა ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დაეხმარონ გამოგონების. ჩქარა დასასრულებლად.

**გერასიმე** — კარგი. დავტრიალდები და გავიტან სხდომაზე. მხოლოდ ორი ოთახის შოვნა...

**ლოპიანე** — ეს აუცილებელია. როცა ბინა ექნება, საცოლე ესტუმრება... სათუთად უნდა მოვეპყრათ ნიჭიერ ახალგაზრდას.

**გერასიმე** — ჰო, წამოდით, — მოვითხოვ.

**ლოპიანე** — არა, ესენი წაიყვანე. მე ნუ მაკადრებ იმ პატარა ვიგინდარებს ველრიჯო.

**მოგელი** — რა ყოფილა ლოპიანე.

**ბახუტა** — კინაღამ ტყუილად შევიძულეთ. (მოგელი და ბახუტა გადიან, თორნიკე ჩამორჩა).

**ლოპიანე** — (თორნიკე ნახაზებს ახვევს) ესეც ასე... (გადახედავს მიჭუჭუნეს, ანიშნებს გვერდზე მიდექიო). ჩემო თორნიკე, დღეიდან ჩვენი გზა და მიზანი განუყოფელია... მე ახლა ყველაფერს გეტყვი, არაფერს დაგიმალავ... (პაუზა) საიდუმლოების შენახვა ხომ იცი, ბიჭო!.. (პასუხს არ აცლის) თუ არ იცი, მე გასწავლი.

**თორნიკე** — კი, ბატონო.

**ლოპიანე** — მე... ხომ იცი... სად ვიჯექი, ჩემთან ყველა კი ვერ შემოდიოდა... ჰოდა, მენდე. არსად წამოგცდეს, რასაც ახლა გეტყვი; სულ მოკლე ხანში მე ვიქნები აქ დირექტორად, გერასიმეს მაგიერ. ეგ საქმე უკვე ჩაკეთებული მაქვს. დავჯდები თუ არა ამ სკამზე, იცოდე, აგაყვავებ, თუ ვყოფილვარ ლოპიან ძვალძვიჩი.

**თორნიკე** — (დარცხვენით) დიდი მადლობა... მე... მაგდენის ღირსი ჯერ არა ვარ.

**ლოპიანე** — არა ხარ და გაგხდი, შენ თუ გგონია, ყველა იმისი ღირსია, რაც ხელთა აქვთ! (თორნიკე გაკვირვებული უყურებს)... ასეა, ყველაფერს პატრონი სჭირდება. აბა! იცოდე, არსად ილაყბო ამის შესახებ, თორემ მაგისი გაბათილებაც შემიძლია.

**თორნიკე** — ეჰ, როგორ გეკადრებათ, ბატონო, ლაყბობისათვის სადა მცალია!

**ლოპიანე** — ოო, აი ეგ კარგია რომ არა გცალია. მე გულკეთილი კაცი ვარ, მებრალები და ამიტომ გაფრთხილებ... უსაქმო ლაყბობაში აგეკიდება ვინმე, ვერაგი, გარეწარი, შენს ნაფიქრალს ხელიდან დაგცინცლავს, მიითვისებს და დამრჩები ხახამშრალი. გული მტკივა შენზე და ამიტომ გაფრთხილებ. რა ვქნა... რა კი ვიკისრე შენი პატრონობა, შენი გულისათვის ყველაფერს ვიკადრებ.

**თორნიკე** — დიდი მადლობა, ნახვამდის (დააპირა წასვლა)

**ლოპიანე** — (თორნიკეს ტკბილად) ეს ნახაზები დამიტოვე, მე გავათეთრებ და დაგიბრუნებ (თორნიკე ყოყმანით აძლევს ნახაზებს).

**მიჭუჭუნე** — აი, რა მტკიცე მფარველობას უწევ თორნიკეს.

(თორნიკე, გერასიმე, მოგელი და ბახუტა მიდიან) რა აბრუნდი მოახერხე, ლოპიანე!

**ლოპიანე** — ისევ წაღმა ბრუნდება ჩემი ჯარა. გამომგონებელი უებრო შეძხვდა, ოსტატები ხელმარჯვე, დირექტორი ფეხქვეშ განრთხმული, პოეტი ბრძანებით მომღერალი. რით არა ვარ მე ისევ ლოპიანე!

**მიჭუჭუნე** — ყველაფერს შენი სახელი უნდა დაერქვას, რაც კარგი გაკეთდება საამქროში.

**ლოპიანე** — ეს საქმესაც დაშვენდება.

**მიჭუჭუნე** — თუ რამეს წაახდენ, ჩვენ თავზე დავიბრალებთ. — სახელს გაგიკეთებთ, მხოლოდ სახრავს კი მოველით.

**ლოპიანე** — ასე გამოდის, სახელი მე და სახრავი თქვენ, არა. ვინც მე მხარში ამომიდგება, ჩემს წესს უნდა დაემორჩილოს, თორემ ბოლოკივით ამოვაგდებ. არ იფიქროთ ისე დამაქვეითეს, რომ პირის შემშლელნი ვერ აღმოვფხვრა. მე ძირი კიდევ მაგარი მაქვს.

**მიჭუჭუნე** — ზევითა ვარ ხესავით გაზრდილი, თორემ ბოლოკის ფესვიც არა მაქვს. საქმეში რომ არ დავიბნეთ, ლოპიანე, აქედანვე გაგვაცანი კარგად შენი წესები.

**ლოპიანე** — მაშ, მე მოკლედ გეტყვით და თქვენ ვრცლად დაიმახსოვრეთ.

**მიჭუჭუნე** — ჰო.

**ლოპიანე** — თუ ტყუილი ვთქვი, ალბათ, საჭიროა და რამდენად დიდ ტყუილს ვიტყვი, მეტად უნდა დამიკრათ ტაში.

**მიჭუჭუნე** — რატომ?

**ლოპიანე** — აბა, სიმართლეს ტაში რად უნდა.

**მიჭუჭუნე** — მერე... მერე...

**ლოპიანე** — მთავარი არის დისციპლინა, ესე იგი, თქვენ კი არ უნდა მომკითხოთ სიმართლე, მე უნდა მოგკითხოთ.

**მიჭუჭუნე** — ეს მეც ვიცი.

**ლოპიანე** — oო, ახლა ვხედავ, კარგი ბირთვი შევკარი.

**მიჭუჭუნე** — მეც ამისთვის გამოგები მეორედ.

**ლოპიანე** — ახლა არაფერი ხელს არ შემიშლის. მომავალს ნათლად ვხედავ.

**მიჭუჭუნე** — ჩვენი მომავალიც შენ ჩაგაბარეთ.

**ლოპიანე** — ნუ გეშინიათ. გერასიმე ოჩნობს, მაგრამ მე მალე დავჯდები მის ადგილზე და ხმას ვერ გაიღებს.

**მიჭუჭუნე** — აა, გეფიცებით, სიზმარი ამიხდა. მეც ასე ვვარაუდობდი.

(შემოდის გერასიმე).

**ლოპიანე** — მაშ, ეს ნახაზები ჩემ ხელშია. — თქვენ იცით, რომ აქ ფრთას შეისხამს ჩემი დიდი აზრები, საკუთარი გამოგონება. ახლა საქმეს ასე შევუდგებით: ენას მოუარეთ და მას ხელი შეუწყეთ... მხოლოდ ყველაფერს ჩემი დაღი დაადევით და ჩემი სახელი დაუკავშირეთ, რომ ბოლოს არაფერი არ მიითვისოს.

**მიჭუჭუნე** — მთავარია, თავიდანვე არ აიღონ ეჭვი.

**გერასიმე** — რაც მოითხოვე, გავაკეთე. ის ბიჭები ძალიან გახარებული არიან. დამაბარეს, რომ ბრმად გენდობიან და საქმის გარდა არაფერზე იფიქრებენ.

**ლოპიანე** — კარგი, აწი მე ვიცი და ჩემმა ვაჟკაცობამ.

**გერასიმე** — მეც მთელი ჩემი სინდის-პატიოსნებით შენთან ვარ.

**ლოპიანე** — სინდის-პატიოსნება რად მინდა, არც კურტუმო აქვს და არც ბარკალი! მე, თქვენი საქმეში ერთგულება მინდა.

**მიჭუჭუნე** — (ალტაცებული) ოჰ... ოჰ... ოჰ... სულ მთლად პარპაშობ, ლოპიანე, ძველებურად დააკვესე, ისევ ის ლოპიანე ხარ.

## მოქმედება მეორე

### სურათი მეორე

ბალი ქარხნის ტერიტორიაზე. სცენის სიღრმეში ჩანს ერთი მხრივ ქარხნის სამმართველოში შესასვლელი, მეორე მხრივ ესტრადის ზურგი. სცენაზეა გერასიმე, ბახუტა და მოგელი.

**გერასიმე** — თქვენ უმიზეზოდ ბუზღუნებთ, მე გავიგე, რომ საამქრო კმაყოფილია.

**მოგელი** — ჩვენ მხოლოდ კედლის გაზეთზე ვსაყვედურობთ.

**გერასიმე** — იქ თორნიკეს ცხებენ.

**მოგელი** — ეს საქმე მისი დახმარებით გავაკეთეთ, მან გააუმჯობესა მანქანები, გაზეთში კი სწერია, თითქო ყველაფერი სიკეთე ლოპიანეს ეკუთვნის.

**ბახუტა** — ლექსიც არის მასზე მიძღვნილი, ხოლო თორნიკე და მისი ოსტატები გამოხატულია რეგვენებად.

**გერასიმე** — თუ რამე ზედმეტი გააკეთეთ, თქვენმა სინდისმა დაგაკმაყოფილოთ, გაზეთს კი სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს და არა ჩვენ. მას ეთანხმებიან: ადგილკომი და ყველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბახუტა** — ყველა არაფერ შუაშია. აქ სიყალბეს წერს მიჭუჭუნე, ლოპიანეს მეხოტბე.

**გერასიმე** — როცა წერილი დაბეჭდილია, ის არის ყველას აზრი. ამას გარდა, მიჭუჭუნე არაა ასე ხელწამოსაკრავი.

**მოგელი** — ჩვენ გვაღელვებს ეს უსამართლობა.

**გერასიმე** — რაო! ჩვენ აღელვებას ზღვასაც არ ვუწონებთ. აღელვება როგორ შეიძლება. თქვენ ამით არ ცნობთ ქარხნის ხელმძღვანელობას და ამას ისეთ დროს გვიკეთებთ, როდესაც სამინისტროდან კომისიას მოველით და ვალდებული ვართ ორგანიზებულად დავანახოთ ჩვენი კმაყოფილება.

**ბახუტა** — ამით ვერ დაგვაშოშმინებთ.

**გერასიმე** — ეს თორნიკეს ინტრიგაა. კარგად ვიცნობთ, ოდესმე გაძევებულიც იყო ლაყბობისთვის.

**მოგელი** — ყველაზე ცოტას ის ლაპარაკობს ქარხანაში.

**გერასიმე** — (მტკიცედ) მისი დუმილიც ლაყბობაა. ლაყბობის ასეთ ხერხსაც ვიცნობთ.

**მოგელი** — დღეს მეორედ მოვედით ამ საქმეზე.

**გერასიმე** — კმარა, მეტს ნუ გამაცდენთ.

(გერასიმე მიდის)

**მოგელი** — ეს ლოპიანეს მოწყობილია დირექტორად.

**ბახუტა** — მერე, ვერ ხედავს, საიდან სად ჩამოვარდა ლოპიანე?

**მოგელი** — მაგენი ამბობენ, აწევა და დაწევა ძმებიაო. (შემოდის ქისტოსტორე)

**ქისტოსტორე** — დირექტორი არ გინახავთ?

**მოგელი** — კაბინეტშია. თუ უყურყუტებ, გამოგასწრებს, მერე შეგასწრებს. დანახვა შეიძლება და მეტი არაფერი არ გეღირსებათ.

**ქისტოსტორე** — რას მეხუმრებით?

**ბახუტა** — ახლა სიმართლის თქმა მარტო ხუმრობით შეიძლება.

**ქისტოსტორე** — ნუ გეშინიათ, მე ვნახავ. — ჩემთვის კარი ჯოჯოხეთშიც არ იხურება.

**ბახუტა** — კარგი ეშმაკი ყოფილხარ.

**ქისტოსტორე** — ეშმაკები შეგირდებათ მყავს.

**მოგელი** — ეს რა გაქცეულია, ვიღაცაა!

**ქისტოსტორე** — ასეა, გადაკრულ ლაპარაკში ქარხნის მუშები ვერ დამჩაგრავთ.

**ბახუტა** — სად გაილესე ასე ენა?

**მოგელი** — მოშაირე ხომ არა ხარ?

**ქისტოსტორე** — არა, მოშაირეებს ჩემს პატიოსნებაზე ვაფიცებ.

**ბახუტა** — რა ხელობით ახერხებ ასეთ განცხრომას?

**ქისტოსტორე** — მე ვაკეთებ, რაც სხვას უნდა.

**მოგელი** — ჩვენც დავალებას ვიღებთ და პატიოსნად ვასრულებთ, მაგრამ მასე ვერ ვნებივრობთ.

**ქისტოსტორე** — თქვენ აკეთებთ, რასაც გთხოვენ, კაცის პირი კი არასოდეს არ გეტყვის, რაც ნამდვილად უნდა, — ეს შენ თითონ უნდა მიხვდე და გაუკეთო. ამას ქვია სხვისთვის მუშაობა და ძალიან მომგებიანია.

**მოგელი** — ჩვენ გვინახავს, მასეთი მონაგები კაცს მუცლის გვრემა მოსვლია.

**ბახუტა** — ძნელადაც გადაუტანია.

**ქისტოსტორე** — არა, მართალი არ გეგონოთ. მე თქვენი ბედი მეხარბება, მუშებო, და მისთვის გეხუმრებით.

**ბახუტა** — გესმის, ოჩანი ხარივით დაიხია.

**მოგელი** — დღეს ყველა ხუმარა ოჩანია.

(ბახუტა და მოგელი მიდიან. შემოდიან ზეფორე და ციცინო).

**ზეფორე** — რა სასიამოვნო ამბავი დაგვხვდა ქარხანაში.

**ქისტოსტორე** — ქუქუნა არ წამოსულა?

**ზეფორე** — აქაა, და ქარხნის გაზეთში რომ ამოიკითხა თორნიკეს შერცხვენა, ისე შეწუხდა, ციცინოც კინაღამ აატირა.

**ქისტოსტორე** — ეს, ჩვენი ციცინო?

**ზეფორე** — ვერ გავაგებინე ამ გულჩვილს, რომ ქარხნის გაზეთში სასიხარულო ამბავიც წერია — ლოპიანეს ქება.

**ქისტოსტორე** — მერე, შენ მართლა დაიჯერე მოწყენა? არა, ეს ქუქუნასთან პირფერობს.

**ციცინო** — ასე მიცნობ, ქისტოსტორე?

**ქისტოსტორე** — გულში ძალიან გიხარია თორნიკეს დამარცხება. — ძველ ტურას მომატყუებ?!

**ციცინო** — რატომ გგონია?

**ქისტოსტორე** — კარგად იცი, რომ ჩვენ მთამსვლელებივით ვართ ლოპიანესთან გადაბმული. ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ აიწევა, ზეფორეს აიტანს, მე ზეფორეს ავყვები და ასე... მაგრამ, თუ ჩავარდა, ვინ იცის, ერთად სად ჩავცვივით.

**ციცინო** — რითა ვართ ასე გადაბმული?

**ქისტოსტორე** — ეშმაკის მახით, ცხოვრებით...

**ციცინო** — ვერ გავიგე.

**ქისტოსტორე** — რაა გაუგებარი, დღეს ყველა ეშმაკის მახითაა ერთმანეთზე გადაბმული და არა სიყვარულით და სათნოებით.

**ციცინო** — ბრმისთვის დღისითაც ბნელა, ხილული კი ღამითაც მოკრავს თვალს სინათლეს.

**ზეფორე** — მეც ეს მინდა, შვილო, რომ შავი და თეთრი გაარჩიო.

**ციცინო** — მე საკუთარი თვალით ვარჩევ.

**ქისტოსტორე** — ეს ასეა.

**ზეფორე** — არა, ქისტოსტორე, ასეც არაა. მე რომ არ ამეხილა თვალი ციცინოსთვის, ლოპიანეს ვერ დააფასებდა.

**ციცინო** — შენ ხომ ლოპიანეზე ამოგდის მზე.

**ზეფორე** — მერე?

**ციცინო** — არ ვიცი, რითა ხარ გადაბმული. აი, ქისტოსტორე ამბობს, ეშმაკის მახითო, მე კი მხოლოდ სიყვარული მაბამს ადამიანებთან.

**ზეფორე** — ქისტოსტორემ თუ არ იხუმრა, ნერწყვი გაუშრება. (ქისტოსტორეს) შენ გულწრფელად თქვი, რომ ჩვენ ეშმაკის მახითა ვართ გადაბმული?

**ქისტოსტორე** — როგორ გეკადრება!

**ზეფორე** — მაშ, რა გბწკენს ენაზე სისულელის წამოსაროშავად.

**ქისტოსტორე** — ისე, გითხრა, სიმართლე, მაგ ლოპიანე, სადაცაა გამაგიჟებს.

**ზეფორე** — რისთვის?

**ქისტოსტორე** — ცხადში რომ ვხედავ. მშვიდადა ვარ, ხანდახან თავზე ხელსაც გადაუსომ თამამად, მაგრამ ლოგინში ისევ ძველ ლოპიანედ მესიზმრება და კანკალით ვიღვიძებ.

**ზეფორე** — არა, ახლა ლოპიანე სხვა გზაზეა, — მეცნიერებაში მიემართება და იქ რა ამინდს დააყენებს, ნახავთ. პატარა ეშმაკი კი არაა. მე რომ მაგის შნოიანი ტრიალი და თვალის ბრიალი მაგონდება, მეცნიერების ტაძარში რას არ გააკეთებს.

**ქისტოსტორე** — ჰო, რაკი გაიმარჯვა, აწი ისე მაღლა ავა, ღრუბლებს ზევიდან დააფურთხებს.

**ზეფორე** — არწივი რომ ფრთებს გაისწორებს, ცაში აფარფაშდება, აბა მიწაში კი არ ჩაძვრება — ფუღუსავით.

**ციცინო** — სულ არ მეპრიანება.

**ზეფორე** — აი, როგორ გაბრუებს ქუქუნას მეგობრობა. რადგან მისი საქმრო შერცხვა, არაფერი გახარებს.

**ციცინო** — (წყენით) ვისი საქმრო?

**ზეფორე** — ჩვენ ხომ გავვანდო.

**ციცინო** — თორნიკე მისი საქმრო არასოდეს არ ყოფილა.

**ზეფორე** — ო, აწი შეიძლება ახლოც არ გაიკაროს, რადგან უხეირო შეიქნა.

**ქისტოსტორე** — დაიცათ, ლოპიანე დავინახე.

**ზეფორე** — სწორედ, აქეთ მოდის.

**ქისტოსტორე** — აბა, ზეფორე, მხიარულად შევხვდეთ (შემოდიან ლოპიანე და მიჭუპუნე).

**ზეფორე** — ოო, ხომ დავუყენე თვალი ჩვენს მტრებს, ლოპიან ძვალძვიჩ!

**ლოპიანე** — თქვენ მაშინ მომილოცეთ, როცა იქ დავჯდები, სადაც ადამიანებს ჩემს წინაშე კუდი გამოებმებათ.

**ქისტოსტორე** — ო, კუდს რა ლაქუცით გიქნევდნენ, გახსოვს!

**ლოპიანე** — რა დამავიწყებს.

**ქისტოსტორე** — ისევ გენატრება, არა!

**ლოპიანე** — ბავშვი დედის ძუძუს მიატოვებს, მაგრამ ვინც მლიქვნელობისაგან სიტკბოებას იგემებს, მთელ სიცოცხლეში პირს ვერ მოწყვეტს.

**ზეფორე** — ახლა მეცნიერებაში შედიხარ, იქ თავებთან გექნება საქმე.

**ლოპიანე** — არა უშავს, ძველი გამოცდილება გამომადგება. — იქაც კუდებს ავამუშავებ თავების მაგიერ.

**ზეფორე** — კიდევ უკეთესი. თავის მუშაობას უთვალავი სიმწარე მოაქვს და იქაც თუ თავიდან კუდზე გადაატანინებ მუშაობას, კუდს მოფერების მეტი რა შეუძლია.

**ლოპიანე** — ჰო, მეც მისთვის მინდა ბოლოს მეცნიერებაში წასვლა, რომ მშვიდობიანად დავტკბე.

**ქისტოსტორე** — მაგ მოლაქუცე კუდებიც საფრთხილოა.

**ლოპიანე** — რატომ?

**ქისტოსტორე** — თუ ცუდად წაგივიდა საქმე, სულ მათრახებად გადაიქცევიან.

**ლოპიანე** — მე მაგ ბეგარა მოვიხადე. ახლა ერთს გთხოვ, ზეფორე. მიჭუჭუნემ მირჩია და მეც დავეთანხმე.

**ზეფორე** — დიახ.

**ლოპიანე** — გამარჯვება რაა, თუ არ მოიხმარ.

**ზეფორე** — არაფერი, ვირი ზურგით მარილს რომ მოიტანს, გამარჯვებულია, მაგრამ მათრახს მიაყოლებენ, არ მოლოკოსო.

**ლოპიანე** — საღამოს დედაქალაქიდან ჩამოდის კომისია. ის შეაფასებს ჩემს აქაურ მიღწევებს.

**ზეფორე** — შენ, რასაკვირველია, ფასს არ დაიკლებ.

**ლოპიანე** — მე მათთან ლაციცი არ მჭირდება, ძველი შიში და პატივისცემა აქვთ, მაგრამ მინდა შენ გასარგებლო. ამიტომ მოვიფიქრე შენს დარბაზში მოვიპატიჟო.

**ზეფორე** — ეს კი მიჯდება ჭკუაში.

**მიჭუჭუნე** — სუფრის გარდა სული და გული უნდა გვაჩვენო, — დიდი კაცები არიან.

**ზეფორე** — კედლებიანად შემოგცინებთ. ციცინო, ამას ვენაცვალე, კელაპტარივით აენთება.

**ლოპიანე** — მეც ძველებურად რომ შემომეფათქუნოთ, კი არ დაგძრახავენ, ხელახლა გამარჯვებული ვარ.

**ზეფორე** — შენს დიდ სურათს ისევ კედელზე დაგახვედრებ, — სხვებივით კი არ გამომილია ჩარჩოდან.

**მიჭუჭუნე** — ეს შენთვის მისწრებაა, ზეფორე.

**ზეფორე** — აბა, თუ მფარველი შემომაკლდა, ათასი ტურა შემესევა.

**ლოპიანე** — ასეა, დაგმარხავენ და ქისტოსტორესაც დაგაკურთხებენ თავზე. ამას ციცინოსთან არ ვმალავ, იცოდეს ოჯახის ასავალ-დასავალი.

**ზეფორე** — გესმის, ქისტოსტორე?

**ქისტოსტორე** — აბა, ყური რისთვის მაბია.

**ზეფორე** — აქ შენც უნდა ამომიდგე ძმასავით, რას იტყვი?

**ქისტოსტორე** — გასაქცევი სადა მაქვს!

**მიჭუჭუნე** — მორჩა!

**ზეფორე** — (ქისტოსტორეს) მაშ, წავიდეთ და მოვიფიქროთ, რა გავაკეთოთ.

**ლოპიანე** — (მიჭუჭუნეს) შენი საქმე ადვილია: ლექსები და სიტყვები. (ქისტოსტორე, ზეფორე და მიჭუჭუნე მიდიან. ციცინო აპირებს წასვლას. ლოპიანე გადაეღობება).

**ციცინო** — რად მეღობები?

**ლოპიანე** — მეშინია, ეკალს არ წამოედო.

**ციცინო** — ეკლის აშორება ადვილია. მე თუ არ მოვედები, ის არ მომეკიდება.

**ლოპიანე** — რაც ქაცვი და ეკალი არ უნდა შეგხვდეს, ციცინო, შენი გზა ჩემკენ მოდის, იცი!

**ციცინო** — თუ თქვენსკენა მაქვს გზა, რად მეღობებით, მაშინ ხომ მე თვითონ მოვალ.

**ლოპიანე** — მე და ზეფორემ თუ ხელი არ შეგაშველეთ, ფეხი დაგისრიალდება და სხვას შეასკდები კვერცხივით.

**ციცინო** — ო, აქამდე მეგონა, რომ დედა, როგორც ჩამოქვეითებულს, დაგივიწყებდა, მაგრამ ჩანს, ეს გამარჯვება იმედებს გიძრავს.

**ლოპიანე** — იმედები დიდხანს ჩემმა მტერმა ატარა — თმის გათეთრება იცის.

**ციცინო** — სწორია, — ამიტომ ჩვენს შეერთებაზე უსაფუძვლო ლაპარაკით ნუ ვცდებით.

**ლოპიანე** — აქამდე უფრო მორცხვად მელაპარაკებოდი. ჩანს, მთლად დაქალდი. ე! კარგია, როცა ქალი უარს მეუბნება, გამარჯვება ხელშია. თუ უცბად დამეთანხმა, ვიცი, რომ გამაცურებს, ამიტომ სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით არ ვღებულობ.

**ციცინო** — მაშ, რით გავაგებინოთ ერთმანეთს ჩვენი განზრახვა?

**ლოპიანე** — სიმართლეს თვალი ლაპარაკობს.

**ციცინო** — თუ ზოგს თვალში მრუდე ბროლი აქვს და სწორად ვერ ხედავს?

**ლოპიანე** — მაშინ შენ რატომ მეჩვენები მშვენიერ სამოთხედ?

**ციცინო** — აი, ეს ცარიელი სიტყვაა.

**ლოპიანე** — ვთქვათ, სიტყვა ცრუა, მაგრამ შენი ცქრიალა თვალები ხომ თვალებში მიხიცინებს. ამას ხომ ვგრძნობ?

**ციცინო** — არ ვიცი, ვერ განვიცდი შენს მაგიერ.

**ლოპიანე** — მე კი ვგრძნობ და, — როგორ უძლებ! ჯერ ყელში ხიცინი მოკლავს კაცს; და შენი თვალები კი სულში მიხიცინებს. (გაუწევს ხელს მოსახვევად).

**ციცინო** — ა, არ შემეხოთ.

**ლოპიანე** — რატომ?

**ციცინო** — ნურც მკითხავთ.

**ლოპიანე** — ესეც სასიხარულოა, როდესაც ქალი შეხებას გუობს, გულგრილია. თუ ხელის მიკარებით აკანკალდა — იქ გრძნობა ფეთქავს.

**ციცინო** — ჩემთან მეტი თავდაჭერა და ღირსება იქონიეთ.

**ლოპიანე** — ღირსება? ჩემი ღირსება სხვისაგან ხომ მაინც გაგიგონია, ციცინო?

**ციცინო** — არ მახსოვს.

**ლოპიანე** — მაშ, რით ხსნიან, დიდი კაცი რომ ვიყავი?

**ციცინო** — გითხრა? მაშ, არ დაგიმალავ, — პატარა კაცობით და სიმკაცრით.

**ლოპიანე** — როგორ?

**ციცინო** — ამბობენ, თავისზე უარესის მონა იყოო: ის დიდი მავნებელი შეიპყრო ხელისუფლებამ და ლოპიანე ისე პატარა აღმოჩნდა, ხელიც არ მოკიდეს, როგორც არარაობასო.

**ლოპიანე** — აი, ასეთი უტეხია ქვეყანა. მაგას მისთვის ლაპარაკობენ, რომ ძველებურად მათრახი არ მაქვს ხელში. ის რომ დამაბრუნებინა, ჭიანჭრივით ავამღერებ მაგის მთქმელსაც და სხვებსაც. ისეთ ხმას ამოუშვებენ, ისე მაქებენ, როგორც მინდა. მხოლოდ დედაშენის შვილისაგან მიკვირს ასეთი გულუბრყვილობა. ზეფორე ბრძენია და კარგად იცის, რომ ზოგიერთი პატივისცემას მხოლოდ მდგომარეობით იხვეჭს და არა ჭკუით, ან ღვაწლით. მან იცის, რომ ისევ ავიწევი, შენც აგიყვან და, რაცა ხარ სახით და ჭკუით, ცხრაჯერ მეტად გამოგაჩენ. — ფრთებს გამოგასხამ, ფარშავანგად შეგმოსავ და მერცხლად გაჭიკჭიკებ.

**ციცინო** — ოო, ახლა მთლად გიცანი, ლოპიანე, არავის კითხვა არ მჭირდება. მთელ შენს ღირსებას ვხედავ. აწი არც შეგეკამათები. ერთ სიტყვასაც არ შეგიბრუნებ.

**ლოპიანე** — მთელ ჩემ ღირსებას ხედავ?

**ციცინო** — სულ, თავიდან ბოლომდე. და — მიხარია, რომ ყველაფერი დავინახე.

**ლოპიანე** — გიხარია? მაშ, რა გიშლის ხელს?

**ციცინო** — არაფერი.

**ლოპიანე** — შეგვიძლია დღეს ან ხვალ ვიქორწინოთ?

**ციცინო** — აი, სწორედ მაგაზე მოველაპარაკები დედას, — ისე, ისე...

**ლოპიანე** — როგორ, ისე?

**ციცინო** — საბოლოოდ.

**ლოპიანე** — შენი სიტყვა მტკიცეა, არ გადაუხვევ?

**ციცინო** — ბეჭედივით მტკიცეა.

**ლოპიანე** — დღეს, თუ ხვალ?

**ციცინო** — დიახ... მეტი ლაპარაკი არ შემიძლია. აი, გული ამომაჯდა ყელში.

**ლოპიანე** — ო, მეც შიგნეული გადამიტრიალდა სიხარულით.

**ციცინო** — (დამცინავად, ზრდილობიანი სალამით) მაშ, დაკმაყოფილდით? ნახვამდის.

**ლოპიანე** — რა წურბელა მოვიშორე გულიდან!

(ციცინო მიდის).

**ლოპიანე** — მორცხვობდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა. ასეა, ყველა ფრინველი გაებმება მახეში, ოღონდ შესაფერი საკენკი უნდა დაუყარო.

(შემოდის ზეფორე).

**ზეფორე** — ქისტოსტორე წინ გაუშვი, სამზადისს შეუდგება, მხოლოდ მანამდე გერასიმე მინდა ვნახო.

**ლოპიანე** — შევიდეთ კაბინეტში და სასიამოვნო ამბავს მოგახსენებთ.

**ზეფორე** — ციცინომ გითხრა რამე.

**ლოპიანე** — აი, მაგაზე, პირველად მკვახედ წამოიწყო, მაგრამ ბოლოს შაქარივით დატკბა და თავისი ბედი ჩამაბარა კრავივით.

**ზეფორე** — რა გულჩახვეულია! მე შევამჩნიე, რომ ჩუმად მოდის ქარხანაში და ქუქუნამ ჩამაწვეთა, ლოპიანეს შორით დასანახად დადისო.

**ლოპიანე** — მე მთხოვა დღეს ან ხვალ დასრულდეს ჩვენი ლაპარაკიო.

**ზეფორე** — არ დაირცხვინა?

**ლოპიანე** — რაც რომ მორცხვია ქალი, იმდენად პირდაპირია, როცა საქმეზე მიდგება.

**ზეფორე** — მაშ, თუ ასე ჩქარობთ. ამ წვეულებას თქვენ ქორწილად გადავაქცევ.

**ლოპიანე** — თითონაც მოგელაპარაკება. მე კი, კარგად იცი, თავიდანვე შენი ხათრით გადავწყვიტე. (ზეფორე და ლოპიანე მიდიან, შემოდიან ქუქუნა და ციცინო).

**ქუქუნა** — ამის მეტს ყველაფერს ვიფიქრებდი.

**ციცინო** — ოსტატის სახელს მოელოდა და ამ დროს გამოაცხადეს უმაქნისად, თორნიკე, თურმე, კაცებში გასარევი არაა.

ჟუჟუნა — შენი სულგრძელობა ახლა გამოიცდება.

ციცინო — რა ქრუანტელი მივლის ამის წარმოდგენით, რომ მას დასცინიან... ადამიანის ბედნიერება არ გვანთებს ისეთი თანაგრძნობით, როგორც უბედურება, ყველაფერზე მზად ვარ.

ჟუჟუნა — მე ერთს გეტყვი, სიყვარული მსხვერპლით ცოცხლობს და რაც არ უნდა გავიღოთ, მეტ მადლს გვიბრუნებს.

ციცინო — ვიცი, ახლა რა ტრიალებს მის გულში. ყველაზე მწვავე ალი ჩემს გახსენებაზე ედება.

ჟუჟუნა — მე შევუძახებ, დავაყუჩებ. რა მოხდა, მთლად ხომ არ დაღუპულა. დრო წინ აქვს.

ციცინო — ახლა მას ნაღველს ვერაფრით ვერ შეუმჩატებ... მე მმართებს ხელის გამოღება... მინდა ეს ჭირი მოვუშუშო.

ჟუჟუნა — ზეფორემ მართლა მოიპატიჟა კომისია?

ციცინო — ო, როგორ ვერიდებოდი დედას, მაგრამ მაინც ჩატყდა ხიდი.

ჟუჟუნა — ვერ აუხსნი, წესიდან როგორ უხვევს?

ციცინო — პირაქეთ მკიცხავს. ზოგი მშობელი შვილებისაგან სიტყვით მოითხოვს ემსახურონ პარტიის იდეალებს, საქმით კი სიხარბეს და პირმოთნეობას აჩვენებს.

ჟუჟუნა — მართალია, ზოგიერთი უფროსი უმართებულოდ კიცხავს უმცროსებს. მე მგონია, ახლანდელი ახალგაზრდობა უფროსებზე მოყვარულია თავისი ერის და უფრო მშრომელია. მათგან იღებენ კარგ იდეალებს და არა ცოდვას.

(შემოდის თორნიკე)

ციცინო — ვერ გვამჩნევს.

ჟუჟუნა — თორნიკ!

თორნიკე — ოჰ, კინაღამ გვერდი აგიარეთ.

ჟუჟუნა — რატომ?

თორნიკე — გულში ისე დაბნელდა, ღია თვალითაც ვერაფერს ვხედავ.

ციცინო — მე მგონია, გული ნათელი გაქვს, მხოლოდ გარეთ დაბინდდა.

თორნიკე — სოფლიდან რა ამბავი მოიტანეთ?

ციცინო — შენ რა დაგვახვედრე?

თორნიკე — რა დაგახვედრე?.. (უცბად თავს მხნედ დაიჭერს) არა უშავს, კარგად. ჩემმა ჯგუფმა წესიერად მოიხადა ვალი.

ციცინო — უმაქნის ახალგაზრდებად რატომ გნათლავენ?

თორნიკე — ისე მოეწონათ ნაყოფი, რომ კურკასაც არ იმეტებენ მომწევისათვის.

ციცინო — მაშ, თავს აჩაგვრინებ? ერთის შრომით მეორემ მოიხვეჭოს, ეს ხომ მყვლეფელობაა!

თორნიკე — არა, ისე მოხდენილად ინიღბებიან, რომ თვითონ გაყვლეფილსაც შერცხვება მათ მყვლეფელი უწოდოს.

ციცინო — მერე, ხალხი რას იტყვის.

თორნიკე — რა თქვან, როდესაც ბევრსა რყვნიან. როგორ გგონია, დედაშენი მათ პატივს არ სცემს?!

ციცინო — არა, თორნიკე, გულზე სივდები და ვერ იბრძვი.

თორნიკე — ვნახოთ. ახლა კომისიას ვაცნობე, რომ ლოპიანე თავს მფარველად მაჩვენებდა და ყველაფერს ამზადებდა ჩემი ნაშრომის მისათვისებლად. მანამდე დირექტორთანაც მქონდა დავა.

ჟუჟუნა — ეჰ, მასეთ არამზადებთან რას გახდები.

ციცინო — ახლა რას აპირებ?

თორნიკე — ჩვენ ბედნიერებაზე რომ ვოცნებობდით, მომავლის გზა ხავერდოვნად გვეჩვენებოდა, აქ კი პირველივე ნაბიჯზე ეკალს წამოვაგეთ ფეხი. მე გაგიზიარებდი კარგ ბედს, ციცინო, უბედობას კი ვერ გაგიყოფ, მარტო ვივლი.

ციცინო — იფ, კიდევ გაგიშვებ მარტო. ჯავრით თვალში ვერ იხედები. ჩვენ ძლივს გვიცანი.

თორნიკე — მართალია, კაეშანში ვარ, მაგრამ იცი, მე გულს რითი ვიოხებ?

ჟუჟუნა — ტირილით.

თორნიკე — არა.

ჟუჟუნა — აბა?

თორნიკე — მუშაობით.

ციცინო — სხვა არაფრით?

თორნიკე — არა.

ციცინო — მაშ, სიყვარული არაფერი არ ყოფილა.

თორნიკე — მე, როცა ვმუშაობ გამოგონებაზე, ან დაზგაზე, პატივმოყვარეობას და სიხარბეს ვიშორებ, მხოლოდ შენს სიყვარულს ვინახავ, ციცინო, და მინდა ჩემს საქმეში გამოვსა-

ხო შენი სული და გული... როცა ჩემი შრომით ერისათვის სასარგებლო ნაყოფი გამომაქვს, თუნდაც პატარა, ვგრძნობ, რომ პატრიოტი ვარ. ეს იმიტომ, რომ დღეს ერი სიცოცხლესა და ღირსებას მხოლოდ შრომით დაიცავს, მე მგონია, ისინი, ვინც ჩვენ მორის გამოგონების ცდებსა და მუშაობაში იღუპებიან, ჩვენი დროის ეროვნული წმინდანები არიან, და თუ ჩემს სამშობლოში ვინმე უცხო მჯარბობს შრომაში და ჩემზე მეტს აკეთებს, ვგრძნობ, რომ ხელიდან მართმევს იარაღს.

**ციცინო** — ოო, რა ახალია ჩემთვის ეს ამბავი! მაშ, რისთვის მიყვარხარ, ამისათვის მიყვარდი, მხოლოდ აქამდე, სიტყვით გიმხელდი გრძნობას, აწი კი — საქმით.

**თორნიკე** — რა საქმით?

**ციცინო** — მე მინდა დავქორწინდეთ.

**თორნიკე** — არა, შენ არ დამცინი, მხოლოდ ხუმრობ... ახლა მეც მწარედ მეცინება, რომ იმედებს ჰვყევით და ისეთი ბედნიერება მოვინდომეთ, რაც მარტო ზღაპარშია.

**ციცინო** — მართალია, გვეგონა, მალე დაგვიდგებოდა დარი.

**თორნიკე** — ძალიან მოიღრუბლა.

**ციცინო** — არა უშავს, თუ გული გულობს, ქორწინება ავდარშიც საამოა.

**თორნიკე** — ციდან მეხის ტეხაში სამოთხის ხმა ვეძიო?

**ციცინო** — (მტკიცედ) ახლავე დავქორწინდეთ!

**თორნიკე** — როგორ, ახლავე.

**ციცინო** — დღესვე!

**თორნიკე** — გესმის, რას ამბობ?

**ციცინო** — ამ საათში, ამ წუთში, ჟუჟუნა შენ გამოგვყევი. ორი მოწმეა სულ საჭირო. მეორეს იქ ვიშოვით.

**თორნიკე** — მე დღეს დავშორდი მაგ ოცნებას.

**ციცინო** — მე კი დღეს გადავწყვიტე.

**თორნიკე** — რისთვის?

**ციცინო** — რომ დაგანახო, რა ვარ შენთვის.

**თორნიკე** — ყველაფერი სიკეთე ხარ, მაგრამ შენსკენ გადმოსაფრენი ფრთა მომკვეთეს და მარტო ოცნება შერჩა.

**ციცინო** — რა მოგკვეთეს, რას ამბობ? რა გვთიშავს, რომელი გველი გვეღობება? მითხარი და ვებღლვნები. შიშველ ფეხს დავარტყამ თავში იმ გველს, მე სიკვდილისა არ მეშინია.

**თორნიკე** — არც მე ვარ მხდალი, მხოლოდ, სინდისი მბოჭავს.

**ციცინო** — რისთვის, რა გაფიქრებს?

**თორნიკე** — ზეფორეს ვძულვარ. არც მე მინდა მისი მონახვეჭი. თვითონ კი წაქცეული ვარ და ვშიშობ, უსახსრობით ცხოვრება გაგიმწარო.

**ციცინო** — რას მეუბნება, გესმის, ჟუჟუნა? დედამ რომ მოსახვეჭად გზიდან გადაუხვია, ეს გაბრკოლებს? მის ცოდვაში გავცვლი ჩემს ქორწინებას? ჩემი ქორწინება ისე ჭეშმარიტია, რომ შენთან ხის ძირშიც არხეინად ვიქნები.

**თორნიკე** — მაშ, წავიდეთ ხელის მოსაწერად, ახლა მეჩქარება. მინდა გაკოცო და წესიერების პირბადე მიშლის. მოვიპოვოთ უფლება, რომ შევერთდეთ და, როგორც ანთებულმა სანთლებმა, შევაერთოთ ჩვენი ცეცხლი ერთ ალად. (შემოდის ბახუტა).

**ჟუჟუნა** — ო, მეორე მოწმედ გამოგვადგება.

**ბახუტა** — მოწმედ? სად?

**ციცინო** — შენთვისაც გასახარელ საქმეზე .(ღიმილით ანიშნებს).

**ბახუტა** — (გადახედავს ციცინოს და თორნიკეს) რაღაც მენიშნება...

**თორნიკე** — ჰო, ასეა, წამოდი! (აპირებენ წასვლას).

**ციცინო** — არა, არ მოვდივარ.

**ჟუჟუნა** — რატომ?

**ციცინო** — ვერ მიხვდით?

**თორნიკე** — მგონი ჭკუა დავკარგო.

**ციცინო** — გამოდის, რომ მარტო მე გეხვეწებით, გეძალებით.

**თორნიკე** — ო, ლამის გული არ გამიხეთქე, მართალია. აბა,მომეხმარეთ, გამატაცებინეთ. (სტაცებენ ხელს გასაფრენად).

**ციცინო** — ოო, კარგი, გამიშვით ხელი. მისთვის ვხუმრობ, არ ავტირდე ბედნიერებით.

(ფ ა რ დ ა)

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორამ ქემერტელიძე, გივი შეყრილაძე

# ოქროს ხელები

### ხარაჩოებში

ხეობები ათასი ანთებული თვალით დაჰყურებენ დაწყნარებულ ყვირილას: ლამაზია ღამით ჭიათურა, ქართული მარგანეცის ქალაქი.

თითქოს წყნარად თვლემენ გორაკები, მაგრამ აბა, მათ მკერდში შეიხედეთ...

იჭრება გვირაბები...

იგება ლიანდაგები...

მოაქვთ ელმავლებს მარგანეცით სავსე ვაგონები.

ელმავლებს მართავენ ახალი ცხოვრების შემოქმედი უბრალო ადამიანები, ამ მიწის და ცის შვილები...

ქალაქი თანდათან მიიწევს მთებზე, სინათლე და სიცოცხლე მიაქვს.

ახლა ყოველ განთიადს ჭიათურა სინათლით გაჩახჩახებული ხვდება.

ჭიათურაში ხარაჩოებმა იმრავლა, მაღაროელთა ტრადიციული ქალაქი მშენებელთა ღვიძლ ქალაქადაც იქცა.

მშენებლობებზე შრომობს და იბრძვის ათასობით კალატოზი, დურგალი, მეარმატურე, მემონტაჟე... მათი შრომითი ბიოგრაფია ნათელი დადასტურებაა ახლის შემოქმედი ადამიანების გამარჯვების, კომუნისტური სულისკვეთების დამკვიდრებისა.

კომუნისტურ შრომაში იბადებიან და იწრთობიან გმირები — რიგითი ადამიანები, ისინი საკუთარ სიცოცხლეს აგრძელებენ თავიანთ ნახელავში.

### ხელების სიყვარული

თუ ხელებს ახსენებ და ამ სიტყვას ჩაუკვირდები, ქართველ კაცს არ შეიძლება არ გაგახსენდეს სიტყვები, რომლებიც სიტყვა „ხელიდან" წარმოშობილან.

ხელოვანი, ხელოსანი, ხელოვნება, ხელოსნობა, კარგი ხელი, ოქროსხელიანი — ყველა ამ სიტყვიდან მოდის.

ქართველმა ხალხმა თავის შემოქმედებას, ნაჯაფს და ნაფიქრ-ნაკეთებს საკუთარი ხელების სახელი დაარქვა.

ეს შემთხვევითი არაა. საუკუნეების მანძილზე სწორედ ადამიანის ხელი თესდა და მკიდა, აგებდა და იბრძოდა...

და ყველას განსაკუთრებით უყვარს თავისი ნაკეთები, საკუთარი ჭეშმარიტი შემოქმედება, რაც არ უნდა იყოს იგი, მხატვრობა თუ მოქანდაკეობა, დურგლობა თუ კალატოზობა.

ეს ყოველივე უნებლიეთ გაგახსენდება, როცა ჭიათურელ მშენებელ გალაქტიონ ქურციკიძეს და მის საქმეებს გაეცნობი. გალაქტიონ ქურციკიძე მაღალი, სიტყვაძუნწი კაცი, ჭიათურის ახალმშენებლობათა ერთ-ერთი შემოქმედია.

იგი ჯერ კიდევ ბავშვი ჩაება ცხოვრების ფერხულში. საშუალო სკოლის დამთავრებისას, სოფელ ითხვისის მკვიდრის, ფარნაოზ ქურციკიძის ვაჟს — გალაქტიონს — წინ მომავლის მხოლოდ ერთი გზა ედო. ეს გზა მიდიოდა ფრონტზე, დიდი სამამულო ომის მრისხანე ქარცეცხლში. წიგნებს მიჩვეულს, ბედმა შაშხანა დააჭერინა. სამშობლო ხსნას ითხოვდა და ფაშისტ დამპყრობთა ვერაგულ ზრახვებს გალაქტიონიც წინ გადაეღობა.

ასე იბრძოლა სამი წელი. ომის სამახსოვროდ მას დარჩა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი და მედალი „მამაცობისათვის".

მაგრამ მის ცხოვრებასაც თავისი კვალი დააჩნია ამ სამმა წელმა.

წასულიყვნენ მშვენიერი წლები... უზრუნველი, ლაღი ბავშვი წავიდა, ომის შთაბეჭდილებებით ხასიათდამძიმებული კაცი დაუბრუნდა კერას.

ცხოვრება ისევ უბრუნდებოდა კალაპოტს და აი, გამოჩნდა მეორე გზა, რომელზედაც გალაქტიონ ქურციკიძე მშვიდობიანი მშენებლობის ჯარისკაცად მოდის.

1946 წელი. ჭიათურმშენის სამშენებლო სამმართველოში გალაქტიონი დურგლად იწყებს მუშაობას. ახლაც მადლიერებით იგონებს იგი გამოცდილ ბრიგადირს, პეტრე გალკას. მისმა გულისხმიერებამ და მეგობრულმა რჩევადარიგებამ დიდი გავლენა მოახდინეს დამწყები დურგლის დაოსტატებაზე.

გულმოდგინე და დაუღალავმა შრომამ, მუყაითობამ და საქმის სიყვარულმა შედეგი გამოიღო, ბრიგადირს საიმედო შემცვლელი ეზრდებოდა. და აი, როცა პეტრე გალკა, თავის ბიჭებს დაემშვიდობა, საქმეები გალაქტიონს გადააბარა.

ეს იყო 1955 წელს.

მას შემდეგ ექვსი გაზაფხული გავიდა. ახალმა ხელმძღვანელმა თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა ბრიგადირმა.

ახლა ჭიათურაში ყოველ ნაბიჯზე ნახავთ მისი მარჯვენის შედეგს. მარგანეცის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკების პირველი და მეორე რიგის კორპუსებს თუ ახალ სკოლებს, საავადმყოფოებს თუ სილიკატური აგურის ქარხანას, ახალ გამამდიდრებელ ფაბრიკას დარკვეთში, თუ სხვა საწარმოთა შენობების სართულებს თუ საცხოვრებელ სახლებს, როცა შეავლებენ ხოლმე თვალს გალაქტიონი და მისი ბიჭები, უთუოდ სიამაყესა და განსაკუთრებულ სიყვარულს გრძნობენ. მათი საქმე ხომ ესაა, ისინი ხომ ამით ცხოვრობენ. ამ შენობებს მათი ხელის კვალი ატყვია.

• •
•

დიდი ფუსფუსია ახლა მდინარე ყვირილის მარცხენა სანაპიროზე, სადაც ცენტრალური დამყვანი ფაბრიკა და საფლოტაციო ქარხანა შენდება.

აქ უყურადღებოდ გავლაც კი ძნელია, ამ დიდ ხმაურში ყველა ცოცხლად აკეთებს თავის საქმეს.

აქვე ნახავთ გალაქტიონ ქურციკიძის მშენებელთა ბრიგადას. ოცდახუთი ვაჟკაცი ერთი კაცივით აშენებს, თუმცა ისინი თავიანთი ბიოგრაფიებით, ასე თუ ისე, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

გიორგი პაქსაშვილს, რომელსაც ხელში ბეტონის საწნეხი ვიბრატორი უჭირავს, სამი შვილი ჰყავს ხარაგაულში. ეს ჯანსაღი და ჯმუხი ბიჭი თავისი რაიონიდან გადმოსახლებასაც კი ფიქრობს ჭიათურაში, შეუყვარდა ამხანაგები და სამუშაო...

ნიკოლოზ გამთენაძის ოქროხელს კარგად იცნობენ მთელ ჭიათურაში. გამოცდილი დურგალი ხალისით, დაუზარლად უზიარებს და აცნობს ახალგაზრდებს ხის დამუშავების საიდუმლოებებს.

ბრიგადის სული და გულია მეარმატურეები — ოთარ ხაჩიძე და დავით სუთიძე. მათი მტკიცე ხელების ნებას ემორჩილებიან რკინის კონსტრუქციები, რომლებიც ძვლებად და ძარღვებად უნდა დაუდგნენ ვეებერთელა გიგანტებს.

„ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის" — ეს არის გალაქტიონ ქურციკიძის ბრიგადის დევიზი. სწორედ ასეთი ერთსულოვნებისა და კოლექტიურობის შედეგი იყო, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი ერთერთ პირველთაგანს მას მიეკუთვნა.

...და თუ სამამულო ომმა თავისი სახელობის ორდენით დაამშვენა გალაქტიონი, მშვიდობიან მშენებლობებზე მისი დამსახურება ლენინის ორდენით აღინიშნა.

ბრიგადირი ამ ორდენს მარტო თავის კუთვნილებად არ თვლის, საკუთარი მაღალი ჯილდო მას მთელი კოლექტივის დამსახურებად მიაჩნია.

გალაქტიონ ქურციკიძის ბრიგადა მართლაც ერთი კაცივითაა. ერთსულოვანი, მოუღლელი და მუდმივი ფუსფუსის ბრიგადაა. ეს ხმაური სიხალისე და შემოქმედებაა, სიხალისე და შემოქმედება კი — ჩვენი ცხოვრება.

## მეტოქეები მეგობრები არიან

მაღალი, სუსტი ბიჭი თეატრალური ინსტიტუტის წინ დგას.

სულ მალე დაიწყება გამოცდები. ტუჩები ნერვიულად მოძრაობენ, ბიჭი საგულდაგულოდ მომზადებულ ლექსს ბუტბუტებს... ხუმრობა ხომ არაა მოინადირო მკაცრი გამომცდელების გული. მით უმეტეს, როცა იცი, როგორი გამოცდა გელის.

მან ხომ შარშანაც „იწვნია" ეს...

თამაზ ვაშაძეს მოწაფეობისდროსვე აღეძრა სურვილი გაჰყოლოდა მამის, ქართველი მაყურებლისათვის კარგად ცნობილი მსახიობის მიხეილ ვაშაძის კვალს.

და აი მას გამოცდაზე იძახებენ...

...ჭიათურა. დარკვეთის ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა. მეექვსე თუ მეშვიდე სართულზე მშენებლებს კედლები ამოჰყავთ. სწრაფად და რიტმულად მოძრაობენ ხელები, სწრაფად მაღლდება კედელი. სახეს ოფლისა და ალიზის თავისებური სუნი ასდის, სიმაღლეებს შეჩვეული თვალი დროდადრო გადახედავს სამშენებლო მასალებით მოფენილ მოედანს. იქ, ძირს, ჭიანჭველებივით მოჩანან ადამიანები, რკინა-ბეტონის ფილები, ხიდური ამწეები...

გადაწყდა...

ვიწრო, ჩვეულებრივი სცენის ნაცვლად ცხოვრების მაჯისცემამ თამაზ ვაშაძე ფართო

არენაზე გაიყვანა. ამიერიდან იგი აღარ იოცნებებს სცენაზე სხვათა ცხოვრებით.

მან თავისი საკუთარი როლი დაეკისრა.

1957 წელს დაამთავრა ჭიათურის მუშა-ახალგაზრდობის მეორე საშუალო სკოლა თამაზ ვაშაძემ.

მისი შრომითი ბიოგრაფია სკოლაში სწავლის პარალელურად დაიწყო: 1953 წლის 21 დეკემბერს რგანის მაღაროში კლასიფიკატორის მემანქანედ მიიღეს. სამი წლის შემდეგ იგივე სამუშაოზე ლენინის სახელობის მაღაროში გადაჰყავთ. მსახიობობაზე ოცნებამ ჭიათურის აკ. წერეთლის სახელობის თეატრშიც მიიყვანა სამუშაოდ...

ჭიათურაში ხარაჩოებმა იმატა და თამაზ ვაშაძეც მშენებელთა რიგებში ჩადგა. ეს იყო 1956 წელს, მოსწავლე ბიჭმა ბინათმშენებლობის სამმართველოში დურგლად დაიწყო-მუშაობა. გავიდა ცოტა ხანი, 4 თვე და, ახალბედა დურგალი უკვე მთელი კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი გახდა.

ახალი ბრიგადირის პირველი გამოცდა ნაგუთის დასახლებაში მოხდა. მშენებლებმა საცხოვრებელი სახლი ერთი თვით ადრე ჩააბარეს და ხელმძღვანელების ყურადღება მიიქციეს.

ამის შემდეგ ყველა საპასუხისმგებლო ობიექტისაკენ გაეხსნა ბრიგადას „მწვანე გზა".

ქალაქის ცენტრში 33 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ჭიანურდებოდა, ხარაჩოებზე გამოჩნდა თამაზ ვაშაძის კომპლექსური ბრიგადა. მათ თავისებური სიცოცხლე მოიტანეს აქ და პირველ წარმატებას მეორე მოჰყვა.

ისევ ნაგუთი... უკვე დაოსტატებული ახალგაზრდები ყოველდღიურ გეგმებს 180—190 პროცენტით ასრულებენ.

...მაგრამ ძაფი თითქოს სადღაც უნდა გაწყვეტილიყო. სცენის სიყვარულმა თეატრალური ინსტიტუტის კარებთან მიიყვანა თამაზ ვაშაძე...

მერე ყველაფერმა გაიარა...

საკუთარ ძალაში დაჯერებული მშენებელი სამუდამოდ დაუბრუნდა თავის ბრიგადას.

• • •

„ჩვენი კოლექტივის საყოველთაო აღიარების დასაწყისად 1960 წლის გაზაფხული მიმაჩნია, — ამბობს თამაზ ვაშაძე, — მაშინ სოფელ ითხვისთან საჰაერო-საბაგირო გზისთვის ასმეტრიანი საყრდენების ფუნდამენტებს ვაგებდით. საჭირო იყო სიჩქარე... სამუშაო უბანზე დავბინავდით. ბიჭებმა სახელდახელოდ მოაწყეს საძინებელი ოთახები, სამზარეულო... ერთი სიტყვით, ბრიგადა ერთ ოჯახს დაემსგავსა. ეს ოჯახი 59 დღის შემდეგ „დაიშალა" ნაკისრი ვადაზე ადრე შევასრულეთ".

აქედან მშენებლები დარკვეთის ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარ კორპუსზე გადაიყვანეს.

აქ დადგა თამაზ ვაშაძის ბრიგადა გალაქტიონ ქურციკიძის განთქმული ბრიგადის პირისპირ. გალაქტიონის ბიჭებს მეტოქეები გამოუჩნდნენ. ერთ მხარეს გამოცდილება, სიდინჯე, მეორე მხარეს — ახალგაზრდული სიფიცხე და შემართება.

მათ „პაექრობაში" ხომ დიდი საერთო საქმის გამარჯვებათა ფურცლები იწერება. ბრიგადებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი. მას შემდეგ ეს გამოწვევა ტრადიციად იქცა. მეტოქეები ახლის მშენებელი მეგობრები არიან. ასე შედგა ფეხი თამაზ ვაშაძის კომპლექსურმა ბრიგადამ მოწინავეთა რიგებში. მალე იგი პირველი გახდა კომკავშირულ მშენებელ ბრიგადათა შორის. 1960 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა. ეს დროშა ახლაც ამაყად ფრიალებს ყველგან, სადაც თამაზ ვაშაძის ბიჭები ტრიალებენ.

1961 წლის 12 აპრილი.

ითხვისის ღელე.

ექსკავატორის გუგუნი იჭრება სამანქანო გზაზე...

ბეტონის კედლების ძირში, კედლების თავზე, დგანან და შრომობენ ადამიანები, მზით გარუჯული მხრებით, ხორბლისფერი სახეებით.

იქვეა სახელდახელო ფიცრული ორი წითელი დროშით. ერთი საბჭოთა საქართველოს ალამია, მეორე — კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

აქ, ამ საპასუხისმგებლო უბანზე, თამაზ ვაშაძის კომუნისტური შრომის ბრიგადა მუშაობს.

კეთდება წყალგამტარი გვირაბი, მისი სიგრძე 420 მეტრი იქნება; როცა გვირაბში წვიმის დროს ფერდობებიდან მონადენი და ბუნებრივი წყლები იდენს, ითხვისის ღელეში დაიწყება მარგანეცის მადნის დასაწყობება ლენინის სახელობისა და ახალი ითხვისის მაღაროებიდან.

თამაზ ვაშაძის კომუნისტური შრომის ბრიგადა აპრილის დასაწყისში გამოეშურა აქეთ. ბიჭებმა აწონ-დაწონეს შესაძლებლობანი და, როგორც ყოველთვის, ვალდებულება აიღეს ექვსნახევარ თვეში შესასრულებელი სამუშაო 120 დღეში დაემთავრებინათ...

სამუშაომ აქაც მოითხოვა ადგილზევე ეცხოვრათ მოლაშქრე კომკავშირლებს.

მშენებლებმა გადაწყვიტეს ორ ცვლად ემუშავათ...

...ისვენებენ ნაჯაფი ხელები.

ჯუმბერ მჭედლიშვილმა რადიომიმღები ჩართო...

ყურადღება! მუშაობს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური... კოსმოსში გაფრინდა მაიორი იური გაგარინი...

აღფრთოვანებულმა ბიჭებმა სახელდახელო შეკრება მოაწყეს და ამ ისტორიულ ამბავთან დაკავშირებით ყოველდღიურად გეგმას 215—220 პროცენტით შესრულება გადაწყვიტეს.

გავიდა რამდენიმე დღე...

მათი სიტყვა საქმედ იქცა და მალე კოლექტივს ერთი კაციც შეემატა — მშენებლებმა ბრიგადის საპატიო წევრად მაიორი იური გაგარინი მიიღეს.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრგან გამოეხმაურნენ ვაშაძელთა თაოსნობას — ქუთაისში, რუსთავში, ტყიბულში, თბილისში...

მიიწურა მეორე კვარტალი... საქართველოს ალკკ კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი გარდამავალი დროშა ამ სახელოვან ბრიგადას გადასცა.

• •
•

რაც დრო გადის, უფრო მეტი შინაარსით იტვირთება მათი ბიოგრაფიები, უკანასკნელ ხანს ისინი ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის მშენებლობაზე იდგნენ.

გზა წინაა და კიდევ ბევრის გაკეთებას აპირებენ დავით და სერგო კაპანაძეები, გუგულა და ლავრენტი ნოზაძეები, ვახტანგ და ომარ გაჩეჩილაძეები...

მთელი კოლექტივის სახელით ეს სულისკვეთება მოსკოვში ჩაიტანა მათმა ხელმძღვანელმა თამაზ ვაშაძემ, მშენებელთა საკავშირო შეკრებაზე.

ყველა ესენი ხომ სახელოვან კომკავშირელთა შორის იხსენიებიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

მათ მკერდებს ხომ „მშენებლობის მოწინავის" სამკერდე ნიშნები ამშვენებს.

ბრიგადა დღითი-დღე იზრდება, საიდან არ მოდიან ახალგაზრდები აქ სამუშაოდ: ლაგოდეხელ რობიზონ კობიაშვილს და ჯუმბერ მჭედლიშვილს, ზესტაფონელ რევაზ კამლაძეს, ბონდო ლომინაშვილს, გეგეჭკორელ ვაჟა გაბისონიას, გივი ბალიშვილს, მამია ზოზიაშვილს კომკავშირმა მისცა საგზურები ინდუსტრიული ჭიათურისაკენ...

### საგზურებით დამკვრელ მშენებლობებზე

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჭიათურაში სამუშაოდ ჩამოსული ახალგაზრდები მარტო ვაშაძის ბრიგადაში არ მოსულან.

როცა ჭიათურის მშენებლობანი საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობად გამოაცხადა, ახორბით ახალგაზრდამ მოაშურა შავი ოქროს ქალაქს.

ხარაჩოებზე შეაბიჯეს მაიაკოვსკელებმა: ზაურ გოგსაძემ, ჯემალ მარგველაშვილმა, გრიგოლ თავაძემ, ზურაბ ბიწაძემ, კოტე ხვიჩიამ; გორელმა ლეო ლომაურმა, ახალციხელმა ბორის ღავთაძემ, ომარ ლაცაბიძემ, ბათუმელმა ნოდარ გურგენიძემ, ვიქტორია ლაცინიკმა, შაქრო გორგილაძემ, ზნაურელმა იაშა ჩარიგოგლიშვილმა. თავიანთი ბრიგადებით ჩამოვიდნენ გაგრელი რ. ჯანგველიძე და თბილისელი ა. დიდებაშვილი.

დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობებზე დაიბადა და გამოიწრთო ოთარ ვერულაშვილის კომპლექსური ბრიგადა.

თვითონ ოთარმა საშუალო სკოლა მშობლიურ სოფელ წითელხევში დაამთავრა, სამხედრო ვალდებულებაც მოიხადა, შემდეგ ერთი წელი ქუთაისში გელათის შახტის მშენებლობაზე იმუშავა, აქტიური ჭაბუკი პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს.

ჭიათურაში სამუშაოდ ჩამოსული ახალგაზრდებისაგან ოთარმა ბრიგადა შეჰქმნა, რომელმაც მოკლე დროში კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი დაიმკვიდრა.

ვერულაშვილის კოლექტივში სხვადასხვა კუთხისა და ხასიათის ჭაბუკებმა მოიყარეს თავი. მაგრამ ამან როდი შეუშალა ხელი ერთსულოვნებას.

### შვიდწლედის გიგანტები

თუ ტრესტ „ჭიათურმარგანმშენის" მმართველის ნახვას ისურვებთ, უმჯობესია გაეშუროთ სამშენებლო ობიექტებისაკენ. საქმე კი ისაა, რომ არც ამ ობიექტთა რიცხვია მცირე. მაინც ყველგან შეგიძლიათ შეხვდეთ გიორგი შანიძეს.

დეკემბრის ერთი ჩვეულებრივი დღეა... შუახნის, დინჯი, სანდომიანი კაცი ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის ახლადდაგებული კიბეებიდან ჩამოდის. ძირს, მოედანზე გაცხარებული მუშაობაა. დაკვირვებული თვალი ყველაფერს სინჯავს, სწონის...

ყვითელი ტალახი ჯიუტად ეკვრება ჩექმებს, ოციოდე მეტრის მოშორებით ლოდებზე მითამაშობენ ყვირილის შავი ტალღები. ინჟინერმა გიორგი შანიძემ თვალი მოავლო მდინარეს; სულ მალე თეთრი ყვირილა იდენს ჩვენს ქალაქში, მერე რამდენი წელია ჭიათურაში თეთრი არ უნახავთ იგი.

მზერა წინსოფლის ფერდობებისაკენ გაექცა, აქედან, სადაც ახლა რკინის ვეებერთელა სვე-

ტებია აღმართული, ფერდობებზე შეაბიჯებს 76 მეტრის სიმაღლის ქარხანა. აი იქ, მთებზე აგებული აუზები მიიღებენ გამამდიდრებელი ფაბრიკებიდან მონადენ შავ წყალს, მარგანეცის მადანს სპეციალური ფილტრები მოაშორებენ წყალს და აღარ დაიკარგება შავი ოქროს სიმდიდრე, რომელიც მღვრიე ყვირილას შავ ზღვაში მიაქვს.

მარტო ეს საფლოტაციო ქარხანა როდი იქნება აქ. რამდენიმე ხნის შემდეგ ძნელად თუ იცნობ ამ უბანს, ტრესტ „ჭიათურმარგანმშენის" მშენებლები შვიდწლედის მეოთხე წელში მწყობრში ჩააყენებენ ახალ გიგანტს — ცენტრალურ დამყვან ფაბრიკას, აქ გამდიდრდება, მარგანეცის ღარიბი მადანი, რომელიც ახლა გამოუყენებელია, და ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული ქარხნები მაღალი ხარისხის მარგანეცს მიიღებენ.

ეს რაც აშენდება!

ხოლო რაც აშენდა?

მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკის კორპუსები ახალ დარკვეთში, ასეთივე დანიშნულების № 29 და კარბონატული მადნების გამამდიდრებელი ფაბრიკები, საცხოვრებელი სახლები მაღაროელთათვის, მშენებელთათვის, ინტელიგენტებისათვის... სკოლები... საავადმყოფოები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდწლედის პირველმა წლებმა ინდუსტრიის ნამდვილი ამინდი დაამკვიდრა ჭიათურაში.

ბარომეტრებად ჩვენი დღევანდლობის შესაფერი ფაბრიკა-გიგანტები დგანან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამია ასათიანი

# სვანური თქმულება

კავკასიონის თითქმის ყველა მთასა და კალთას ვიცნობ, ყოველი მათგანისთვის თვალი შემივლია, ბევრი ფეხით გადამივლია კიდეც, მაგრამ სვანეთის მთები მაინც სულ სხვანაირია. ცას მიწვდილი ყინულოვანი მწვერვალები, აბიბინებული სათიბები და ქვემოდ, გაუვალი, აშოლტილი ტყეები ლივლივა ფერებით ერთიმეორეში იღვრება და ბუნების დიდ სალებავების ამაღელვებელ სიმფონიას ქმნის. ამას ემატება მთების საოცარი სიმაღლე და კიდე-განი. ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს იმდენ სხვადასხვა ხაზს, როგორითაც ეს მთები ბუნებას უშენებია. ყველაზე საკვირველი მაინც ის არის, თითეული მთა, თითეული მისი კალთა, სიცოცხლით აბიბინებული, ბუნების გაზაფხულის პირველი სუნთქვითა ფეთქავს, ქვეყნის გაჩენის პირველ დღეების სინედლე და სილამაზე მოფრქვეულა ყველგან. მაგრამ სინედლეც არის და სილამაზეც. სვანეთი ბუნების სიზვიადის და დიდებულების ჭეშმარიტად კლასიკური სამყაროა. იგი ქვეყნის დაბადების დღესავით ნედლიც არის და დიდებულიც. შეიძლება ეს იყოს მიზეზი იმისა, რომ სვან კაცს ამ სიზვიადემ თუ დიდებულებამ, საკუთარი ეზო-გარემოს სიცოცხლის ძალამ და სიტურფემ ძველთაგანვე თავისუფლება შეანარჩუნებინა, რომ მისი ბუნების ქვეყნის გაჩენის დღესთან მსგავსებამ და ხელუხლებლობამ ადამიანის სიფაქიზე და სიწრფელე შეუნარჩუნა. სვანეთში ჩასული ადამიანი თვითონაც სიამაყით და დიდებულებით ივსება. ბუნების ეს საოცარი სიზვიადე და ბუმბერაზობა შენშიც გადმოდის და მის თანაზიარს გხდის.

ეს ლაჟვარდი ფერები კი ყველაფერს უახლოვებს ადამიანის თვალს, ყოველი წერტილი მისაწვდომია და ნათელი. ადამიანს მხედველობიდან არაფერი ეკარგება. იგი ყველაფერს ხედავს და განიცდის. ამით განსხვავდება სვანეთის მთები ქვეყნის ყველა მწვერვალებისგან. ეს შეიძლება იმის ბრალიც იყოს, რომ ყოველ ორ მთას შუა, ხევებიდან გიჟმაჟი, თეთრი, ქაფქაფა მდინარეები გადმორბიან. ხევებიდანო, ვთქვი? თითქოს ხევებიც არ იყოს საკმარისი, ყოველ ას ნაბიჯზე მწვერვალებიდანაც დაკიდებულან ქარისგან გაწეწილ თეთრი ცხენის ძუაფაფარივით აღელვებული ნაკადულები. ისინი კანკალებენ, ხტიან ლაჟვარდში გახვეულ ბუმბერაზ მთის კალთებზე, ერთმანეთს ეჯახებიან და მზის სხივებით ავსებულნი იმსხვრევიან. თითქოს მაშინ ამ კამკამა წყლის წვეთებში ასიათასი კვესი უკიდებდეს ნაპერწკლებს. ასეთი სხივთა და ბროლთა კამკამით გადმორბიან ისინი. მაგრამ სულ სხვანაირია ცუდი ამინდი სვანეთში. ბუნება მრისხანე და დაუნდობელი ხდება. ყველაფერი იცვლება. ჩაშავებული ყრუ ღრუბლები ცისა და მიწის შუა დაჭქრიან და მერმე ელვამეხით აკანკალებენ დედამიწას.

მთის მწვერვალებიც შავდება და ფერდობებზე აღელვებული ტყეებიც. შორიდან კი ყინულოვან მუდმივსამყოფელიდან, ზვავების გრიალი მოისმის და ქვემოთ, ქვესკნელებში გრუხუნით მიექანება.

აფორიაქებული და აღელვებული მდინარეები კლდეებს დასანგრევად ეხეთქებიან. მთისოდენ ქვებს აგორებენ და ერთმანეთზე ამსხვრევენ. თითო ასეთი დარტყმა მეხის გავარდნასა ჰგავს.

აი, სწორედ ახლა, მე სოფელ ხაიშში ვარ. ზედ ხაიშურას ნაპირას არის ენგურის სამრეწველო სატყეო მეურნეობის დირექტორის ოთარ გამცემლიძის ბინა.

ერთი კვირაა წვიმს და წვიმს. ხაიშურას ტალღები ცას ლოკავს, ღრუბლები ისე ჩამოწოლილა, რომ ზედ ხაიშურას აბობოქრებულ ტალღებს დაწოლია. მღვრიე ტალღები შავ ღრუბლებს აქანავებენ და თითქოს ღრუბლის ნაფლეთები და შხეფები ერთად გვაბოლებს სახეში. ჭიბერში წინა ღით ხიდი წაიღო. გაღმა ტრაქტორები, ბულდოზერები და ავტომანქანები დარჩნენ.

ოთარი ღელავს. ჭიბერში თუ ხიდი არ გაკეთდა მალე, საქმე ცუდათაა. გამოზიდვის ყველა საშუალება გაღმაა.

გაღმა კი უხიდოდ ვინ გავა?!..

ჭიბერა გაგიჟდა და ძალლონე აჩვენა ქვეყანას.

— აი, ასეთი იღბალი მაქვს, — დარდობს ოთარი, დამცურებლებისათვის ეს ამინდი მის-

წრებაა, ერთ მორსაც არ დატოვებს, ისე წაბვეტავს ყველაფერს. მე კი დამზადებას მიშლის. წელს თუ გეგმა არ შევასრულე, სირცხვილით თავს სად გამოვყოფ.

ენგურიც ასეთი ადიდებული დიდი ხანია არავის უნახავს თურმე, ხაიშურა ნაკადულივით მოჩანს ენგურთან შედარებით. ხაიშურა ხომ ოთარის სახლიდან ათიოდე ნაბიჯის შემდეგ უერთდება ენგურს. ხაიშურას ვეება ქვები მოაქვს. მათი ერთი-მეორეს ჯახუნი ქვეყნის დაღუპვას გავს. მიწა ზანზარებს, მთები გუგუნებენ, მდინარის კალაპოტი კვნესის. ენგურზე კი უზარმაზარი ხის მორები ერთიმეორეს ასკდებიან, ყალყზე დგებიან, ჰიხვინებენ და ისე გარბიან ქვემოთ, ჯვრის მორსაჭერისაკენ. ხაიშიდან ჯვრამდე კლდეები ჩამოქცეულან, ზედ ენგურში ზათქით და ხმაურით ჩამხობილან, გზები დაუკეტიათ.

ზემოთ თვითმფრინავები აღარ ფრინავენ, ქვემოთ კი გზები გადაილობა. წვიმა გადაუღებლად, ფარდებივით ჩამოკიდულან ციდან. ოთარი დღეს მეოთხეჯერ იცვლის ტანსაცმელს, ხან ერთ უბანზე გააფრენს მანქანას, ხან მეორეზე. საკოლმეურნეო მანქანა ვერ პატიობს სიმშრალეს, იგი ყოველთვის ამოწუწული მოდის.

მისი მეუღლე გულმოდგინედ უვლის ყველაფერს.

როცა ოთარი სატყეო უბნებშია წასული, მეუღლის თვალები ნაღვლით სავსეა. ხუმრობა ხომ არ არის ასეთ ამინდში მთაში მანქანით სიარული. ყოველწამს ხიფათია მოსალოდნელი.

— გარეთ რომ გავა, შინ ცოცხალი მოვა თუ არა, არ ვიცი, — ამბობს იგი.

— ასე იციან ქალებმა, — თვალს ეშმაკურად მიჰუტავს ოთარი და იღიმება, — ათი წელია აქა ვარ და ერთი წამწამიც არ ჩამომვარდნია. ესენი კი სულ საცრემლოდ ემზადებიან.

— ხან ქვა ჩამოასხლტება მთას, ხან მთელი მთა ჩამოშვავდება და, აბა, ამ მისახვევ-მოსახვევ გზებზე სად რა მოგივა, არავინ იცის. — ისევ ხმამაღლა ფიქრობს თავის საფიქრალს ოთარის მეუღლე.

ბავშვებმა ამღვრეულ ხაიშურაში კალმახი ვერ მიიტყუეს ანკესთან. ისინი გაწბილებულნი ამოვიდნენ. მათი ნაღვლიანი თვალები არ ეჭაშნიკა ოთარის,

— მოდი, ზევით ავუყვეთ ხაიშურას, ისეთი ადგილები ვიცი, ერთ საათში სადილისათვის, კალმახს ჩამოვიყვანთ, — შემთავაზა ოთარმა.

— ამ წვიმაში კალმახობა ვინა სთქვა, კაცო,— შეუტია მეუღლემ.

— სწორედ ახლაა დრო, შენ ერთხელ კიდევ გამომიცვლი დღეს სველ ტანსაცმელს და სხვა ჩემზე იყოს, — ისევ იღიმება ოთარი. ბადე ხელდახელ გამოიტანა, გაშალა, გახედა, გახეული არ იყოსო, ერთ ადგილას ამოკემსა კიდეც. ბავშვები სიხარულისაგან ერთმანეთს ეხვევიან. მხოლოდ ოთარის უფროსი გოგონაა სერიოზულად. ეტყობა დედის აზრს იზიარებს, ამ წვიმაში ჩვენს სახლიდან გასვლას ისიც ნანობს.

ათ წუთში მზად ვართ. მანქანაში ვსხდებით და ხაიშურას ღრუბლისფერ ამღვრეულ ნაპირებს მივყვებით ზემოთ.

— წინათ აქ ვიწრო გზა იყო, ახლა სულ ახალი გზა გავიყვანეთ, — მიყვება გზადაგზა ოთარი. კარგი უბანია, ბიჭები ვეფხვებივით ბუღრაობენ. გეგმას მუდამ გეგმიანად ასრულებენ. მართლაც, ცოტა გავიარეთ თუ არა, ფართე შარამ შემოგვანათა. ვეება კლდეები მოურღვევიათ, კენჭებად დაუფშვნიათ და კლდისავე ნიადაგზე დაუყრიათ. ამაზე მაგარ, გამძლე და მანქანისათვის სასიმოვნოდ სასიარულო გზას ვერ შეხვდებით. ცადაწვდილი კლდეები წვიმებისაგან დასველებულან და იცრემლებიან. ყოველ მოსახვევში ზევიდან თეთრი კვიცივით წინ ნაკადული გადმოგვიხტება ხოლმე. ჩვენი მანქანა გრიალით გარბის ამ ქაფქაფა ღელეებზე. ეტყობა წვიმებს ტალახი გაუტანია და ახლა ისევ კამკამა შხეფები გადმოჩქეფს ზემოდან. წიფლის ტევრებში შევაჩერეთ მანქანა.

მდინარის პირას მორების ბაქანია. ბიჭები ხრიალით უშვებენ მორებს ხაიშურაში. გათლილ ხეებს ხრეში და კლდის ნაფლეთები მიყვება მდინარეში და უჩვეულო ხმაურით ეცემა ზედაპირს.

ზემოგზიდან ცხენოსანი შემოგვხვდა. გვერდით ქალი მოყვება. ქალს ხელში წკეპელზე აცმული კალმახები მოაქვს. ოთარის თვალები აუბრიალდა.

— ხომ არ მოგვყიდით?! — შეეკითხა იგი ცხენოსანს.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, თქვენი „ფეშქაში“ იყოს, — შემოგვაგება ქალმა სიტყვა.

ქალმა ღიმილით მოგვაჩეჩა წნელზე ჯერ კიდევ მითვლემილი კალმახები.

— თუ ჩვენ ვერაფერი დავუმატეთ ამ კალმახებს, ამას მაინც მივიტანთ სახლში — ვითომ ჩვენ ვინადირეთ, ამით ვიმართლებთ თავს მეუღლესთან, თქვენ კი არ გაგვამხილოთ, — მოუბრუნდა ოთარი ბავშვს.

— დედას ტყუილი ვუთხრათ? — გაიოცა ოთარის ბიჭმა.

მამას სახე აუწითლდა.

— არა, შვილო, გეხუმრეთ, — ისევ ჩამიკნია თვალი ოთარმა.

ფეხი არ გაუძვრია ოთარს, პირდაპირ ჯიქურ შევიდა თავთხელში. მაღალყელიანი ჩექმების იმედი ჰქონდა.

ორიოდე დაწინწკლული კალმახი ბადიდან რომ ამოხსნა, ყველაფერი გადაავიწყდა და წელამდე წყალში შესტოპა.

ჩვენ მანქანით მივყვებით ნაპირს. ზემოდან ცა ჰაერად მოდის, წვიმს და წვიმს. ოთარი მთლად სველია, ბეჭებზე ოხშივარი ასდის, ბადის ყოველ გაშლაზე ორი-სამი კალმახი ამოჰყავს. იგი თანდათან ეშხში შედის. ბავშვებმა ველარ მოითმინეს, ოთარისაკენ გაიქცნენ. ნახევარ საათში სადილის სამყოფი კი არა, სავახშმო თევზიც მოვინადირეთ.

აივანი სველმა ტანსაცმელმა და გალუმპულმა ფეხსაცმელებმა დაასველეს. ბავშვები კისკისით იცვლიან სამოსს.

სახლში მეუღლემ ამბავი დაახვედრა.

— ჰიბერიდან დარეკეს, მდინარეს ყველაფერი მიაქვსო. — ორ წუთში ოთარი ისევ მზად იყო წასასვლელად.

— უნდა გავიქცე, ცუდი არაფერი მოხდეს, — გვითხრა მან და მანქანაში ჩაფრინდა. მეც უსიტყვოდ გვერდზე მივუჯექი. ერთი გაკვირვებით შემომხედა და მძღოლს ანიშნა წასულიყო. ხაიშის ხიდთან მეურნეობის მთავარი ინჟინერი ლევან ჩანტლაძე შემოგვხვდა. ზემო უბნიდან მოდიოდა. ეს ჩასკვნილი ვაჟკაცი შემკრთალი ჩანდა.

— საშველი არ არის, წვიმა არ ჩერდება, ზაფხულს დღეები აკლდება, მოსაჭრელი კი ბევრი გვაქვს, არ ვიცი რა გვეშველება.

— ივანე ლობრა ხომ არ შეგხვედრია? — შეეკითხა ოთარი ლევანს.

— სწორედ მასთან ვიყავი, გეგმის შესრულების იმედი აქვს, მაგრამ თუ ცა ჩამოიქცა, რას იზამს, თავსხევით ხომ ვერ ახტება კაცი.

გვარი მეუცხოვა, ვინ არის ივანე ლობრამეთქი, ვიკითხე. პასუხი მითხრეს და ნათქვამმა გამაოცა.

იმიერ კარპატელი ხისმჭრელების მეთაური ყოფილა. ისინი წლების მანძილზე ჩამოდიან თურმე და სვანეთის მთების კალთებზე ზაფხულობით ხეს სჭრიან.

— მეტად საზრიანი და ვაჟკაცი ხალხია, — მითხრა ლევანმა. ხის მოჭრის საქმის დიდი მცოდნენიც არიან. თითო კაცი სამას-ოთხას მანეთს მაინც იღებს თვიურ ხელფასს, ზოგიერთი მათგანი კი თვიურად კარგი პროფესორის ხელფასზე მეტს გამოიმუშავებს.

— თვითონ ჩამოვიდნენ, თუ მოიწვიეთ? — ისევ შევეკითხე ლევანს.

— ხელშეკრულების საფუძველზე მოგვეშველენ. ჩვენც ისეთი პირობები შევუქმენით, სტუმრებს, რომ შეეფერება. თვითონაც მადლიერი არიან და აბა, ჩვენ რა გვაქვს სამდურავი, — მომხმარე ძმა ყველაზე საყვარელი ძმააო, უთქვამს ხალხს.

ჰიბერისაკენ შემოვაბრუნეთ მანქანა და ენგურის ხიდის გავლით ჰიბერას ნაპირებს ავყევით, ხიდზე გავედით თუ არა, ოთარმა იმ წუთს შენიშნა.

— დაუკვირდით, აქეთ უფრო მსხვილმსხვილი და გაუწყვეტელი წვეთი მოსცვივა ღრუბლებიდან. — მართლაც დავუკვირდი. თავსხმისაგან სქელი ნისლი გვერტყა გარშემო. მძღოლმა ნისლის მკვეთი სინათლე ჩართო. ორ ნაბიჯზე მაინც გვიჭირდა გახედვა. მიწიდან ცამდე წყლის ერთიანი მღელვარე ფარდა ბობოქრობდა.

მანქანის „მეეზოვე" წყლის ჩახვეტას ვერ ასწრებდა მინაზე, ეს კი სიარულს მეტად გვიძნელებდა. წვიმის განუწყვეტელი წვეთები ცამდე ამართულ ლერწმის ღერებივით მოჩანდნენ მანქანის სარკმლიდან. მთის კალთებიდან ახლა ღრიალით გადმოქუხდა წყლის მღელვარე ნაკადულები, კლდოვანი გზები მდინარის კალაპოტს ჰგავდა, ისეთი ღვარი მიჰქუხდა მასზე. ჰიბერში ხიდის ერთი ყური წყალს წაეღო. გაღმიდან ხალხი იყო მომდგარი. ცოტა მოშორებით ტრაქტორები და ბულდოზერის ვეება რკინის ცხვირი მოჩანდა. დირექტორს თვალი მოკრეს თუ არა, მუშები ნაპირისკენ წამოვიდნენ.

— ხალხო, რას გაჩერებულხართ, ხიდი თავისთავად ხომ არ შეკეთდება! — გასძახა ოთარმა გაღმიდან მომდგარ მუშებს.

— ასეთ ამინდში საშიშია მუშაობა. — ჩაილაპარაკა ჩვენს გვერდით რომელიღაცამ.

— ჰი, — გაიღიმა ოთარმა, — უშიშრად ბებიაჩემი ლუკმას ვერ გადაყლაპავდა, ყოველ ჭამის დროს პირჯვარს იწერდა, ყელზე არ დამადგეს და არ დამახრჩოსო.

მისი ღიმილი ყველას გადაედო. ორი წუთის შემდეგ ამდენი ხალხი აფორიაქდა, ზოგმა ცული მოიტანა, ზოგმა მორები მოაგორა, ზოგმა კიდევ ჩამონგრეული ხიდის თავს დაუწყო სინჯვა. ეს იმიტომ, რომ გაეზომათ, სად მოეძებნათ ხიდის სარტყლის ჩასაკერებელი. ცოტა ხნის შემდეგ ყველამ თავის საქმე მონახა. სამუშაო მეტად სახიფათო და ძნელი იყო.

რკინის ბაწრებზე დაბმულ მორებს აქეთ-იქით ნაფოტივით ახეთქებდა ჰიბერას ტალღები. უბაგიროდ კი ერთ მორსაც ვერ დაიკავებდნენ ამ აღელვებულ ტალღებზე. რკინის ბაწრების ბოლოები ტრაქტორზე იყო გამობმული. ბიჭები ჯამბაზებივით კონწიალობდნენ მაჯისისხო რკინის ბაწრებზე. ჯერ კიდევ სარტყელი არ იყო დამაგრებული, რომ ოთარი გაღმა გავიდა. გასვლის დროს ფეხქვეშ ახლად გათლილი ხიდის დირე კინაღამ გადაბრუნდა. ასე რომ მომხდარიყო, ჰიბერას ტალღებიდან ვერცერთი ეშმაკი თუ ანგელოზი ვერ ამოიყვანდა. მაგრამ მან დროზე იჩქარა, ქარივით გადაფრინდა მეორე მხარეზე.

ხის მორები წყალში ბოძებად ჩაუშვეს, რკინის სალტეებით შეჰკრეს და ხიდის სარტყლის თავები ხის მუთაქებზე დაკვერეს.

ახლა ჩვენც გადავედით გაღმა ნაპირზე.

გაწუწულები ვართ, საწვიმარებში გაატანა ამ დაღლოცვილმა ცერისიმსხო სვანური წვიმის კუმპალმა. მაინც კარგ ხასიათზე ვართ. სხეულში სიხალისეს და ჯანსა ვგრძნობთ.

თითქმის საღამო იყო, როცა ისევ უკან დავბრუნდით.

გზაზე მესტიის სატყეო მეურნეობის დირექტორი გერონტი ჯაფარიძე შემოგვეყარა.

ზორბა, ბეჭგანიერმა ვაჟკაცმა, ჯერ კიდევ მანქანიდან არც იყო გადმოსული, ისე შემოგვძახა.

— სახლში წასვლა არ იფიქროთ, ზედა დევრას ტყის საჭრელში მივდივარ, თქვენც იქეთ უნდა წამოხვიდეთ.

გერონტი ტყეს იცავს, უვლის, მისი ტერიტორია სვანეთს სცილდება. წალენჯიხაშიაც გადადის.

— რა ეშმაკი გინდა ზედადევრაში, ამ ქვეყნის დასაქცევის ამინდში, განა სხვა დრო ვერ გამონახე? — გაიკვირვა ოდნავ შეცბუნებულმა ოთარმა.

— სწორედ ასეთ ამინდში იციან შენმა ბრიგადირებმა დაუმდაღავი ხეების მოჭრა, ტყეს ისე გამოქნიან, ბიძია, რომ კვალსაც ვერ მიაგნებ, იყო თუ არა იმ ადგილს ხის ფესვი.

ოთარის სიწითლემ გადაკრა.

— ასე ლაპარაკი არვარგა, მე ისეთი მუშები არ მყავს, უკანონო რამე გააკეთონ.

— ჰოდა, მეც სწორედ ასეთ ამინდში შევურჩევ, შევხედავ, გულს დავიჯერებ. ისინი ახლა არ მელიან, მეც იქაურობას თვალს გადავავლებ და მოვრჩები.

— იჭვიანი კაცი ხარ, გერონტი, — ისევ ჩვეულებრივად გაეცინა ოთარს, — წამოსვლით მეც წამოვალ, მაგრამ უნაძლეოდ კი არა, თუ შენი იჭვი არ გამართლდა, იცოდე, დაგსისხლავთ.

გერონტი გამაცნეს. გამოირკვა, რომ ის ძმა ყოფილა ჩემი მეგობრის, ბაჯუ ჯაფარიძის, რომელიც ჩემი ცხოვრების ვიწრო გადასასვლელზე შემხვდა. ისიც სვანეთში, მესტიაში, მუშაობს თურმე. გამიხარდა. ეტყობა არც მას ეწყანა ღვიძლი ძმის მეგობრის გაცნობა.

უნდა შევნიშნო, რომ ნათესაობა და მეგობრობა სვანეთში ყველაზე წმინდათა-წმინდათ არის მიჩნეული.

— კაცი წამოვწიე, ჩემს ადგილზე დავტოვე, ახლა კი მე დამიწყო კონტროლის გაწევა, — ხუმრობს ოთარი.

მართლაც, ოთარი სატყეო-სამრეწველო კომბინატში გადმოსვლამდე დირექტორად იქ ყოფილა, გერონტიც მასთან მუშაობდა ინჟინრად მაშინ.

— შენგან ვისწავლე ყველა ზრდილობა, ბატონო ოთარ, — შემოუბრუნა ხუმრობა გერონტიმ, — მართლა, თქვენებთან გამოვიარე, თქვენი მეუღლე, ქუქუნა კალანდიას ქალი, ჩვეულებრივ ღელავს — ცუდი არაფერი შეემთხვეთო, მე დავუბარე, შეგვაგვიანდება, ზედა დევარში ავალთ, არ შეშინდეთ-მეთქი — ახლა სერიოზულად თქვა გერონტიმ.

ის ჩვენ მანქანაში გადმოჯდა, თავისი კი უკან დააბრუნა. დაკიდებულ და დახვეულ გზაზე მივქრივართ. გზა მტკიცეა, კლდოვანი, ახლად გაყვანილი, მაგრამ უშიშარი. საშიში მხოლოდ ზევიდან გადმოხედვაა ათი. ათასი ხრამი და უფსკრული შემოგცქერის აბობოქრებულ ქვესკნელებიდან. არსად მანქანის მძღოლებს ისეთი თვალი და გულისყური არ სჭირდება, როგორც სვანეთის გზაზე. ისინიც ჯადოქრებივით დაქრიან ამ უფსკრულების ნაპირებზე. საოცრად ნიჭიერნი სჩანან. იმ გზებზე გამოცდილი შოფერი ეშმაკის ბეწვზე გაიყვანს მანქანას. როცა მესტიისკენ ზუგდიდიდან წავედით, ჩვენი მძღოლია ზუგდიდელი ლევან ჭითანავა, შესანიშნავი ვაჟკაცი და თავის საქმის კარგი მცოდნე, გვეუბნებოდა:

— ჩვენი ხელობის კაცს აქ ყოველ მოსახვევში ფათერაკი ელის, მხოლოდ სიფხიზლე და ნათელი გონებაა ჩვენი სიცოცხლის გამგრძელებელიო. მართლაც განსაკუთრებული გონების სინათლე და ნიჭი უნდა ამ გზებზე მოსიარულე შოფრებს.

ღმერთო, შენით და, ისინიც ვალში არ რჩებიან.

ახლაც, როცა ზედადევრას კლდის კალთებზე გაკიდებულ ვიწრო გზებზე გარბის ჩვენი მანქანა, არ შეიძლება სადღაც, გონებას შორეულ კუნჭულში არ შეშფოთდე, შიში არ შეგეპაროს.

ბრიგადირი გრიგოლ ნარსავიძე და მისი მოადგილე, დავით ჩხვიმიანი, მანქანის ახლოს იდგნენ. გრძელი საწვიმარები სახლში ნაქსოვ შალის პაიჭებს უფარავდათ, გამიხარდა, ყურიანი წუღები რომ დავუნახე ფეხებზე. ვნახე და გავვოცდი. ახლა მენიშნა თუ როგორ ჰგავს მოდურ „მოკასინებს“ ეს ჩვენი ბევრად უფრო ლამაზი და მოსახმარი ყურიანი წუღა. მახსოვს პატარაობის ჟამს, ყურიან წუღებს მხოლოდ სააღდგომოდ გვიყიდდნენ. ენა და ტყავისავე მარყუჟად გამოსკვნილი ღილი სხვადასხვა ფერის ჰქონდა. როგორც მაშინ იტყოდნენ, ფეხებზე „ამოსხმული იყო“.

რამდენი სიხარული განგვიცდია?!

გრიგოლსა და მისი ბრიგადის წევრებს ფართო მინდვრიანი სქელი ტილოს ქუდები ეხურათ. ეს კი მეტად დარბაისლურ შეხედულებას აძლევდა ვაჟკაცებს. ბაქანზე ვეება მორები

ჩამოეტანათ ზემოდან. შავშავი კამეჩები წვიმისგან დაგროვებულ ტბორში იწვნენ და იცოხნიდნენ. იქვე სამი ტრაქტორი და ერთი ბულდოზერი იდგა. მუშებს სამხარი ახლახანს მოეთავებინათ და თამბაქოს სწევდნენ. ბრიგადაში ჩვიდმეტი კაცია, ზოგი მათგანი ზემოთ, აქედან ორი კილომეტრის მანძილზე, მთაში სჭრიან ხის მორებს. ნახევარი ბრიგადა კი აქ მუშაობდა. გრიგოლმა ორმოცდაათ წელს სამიოდე წლით გადააბიჯა. ხმელხმელი, ცალფა ძაფით ნაკერი კაცია. წვრილი, მაგრამ ლამაზი მაღალკანჭიანი ფეხებით ახალგაზრდულად აბიჯებს. ამ ვეება მორებსშუა შველივით მსუბუქად მიდის და მოდის. ტყის საიდუმლოების ყველა გასაღები მის ხელშია. ხეს შეხედავს თუ არა, იმ წუთშივე გეტყვის რამდენი მასალა გამოვა მისგან. ერთი კი გახედავს თვალდათვალ, ოდნავ შეფიქრდება, თაფლისფერ თვალებს ოდნავ მოჭუტავს და სანამ ჭამწამებს გაალებდეს, გეტყვის. ეს ხე რისთვის ივარგებს, ელექტრონის ბოძად თუ იატაკის საფიცრედ, ხიდის სარტყლად თუ ყავრის სახდელ ფრთად.

ზოგიერთი ხე ავად ხდება ხოლმე, — წყნარად გვიყვება გრიგოლი, — ძალზე ბევრი ავადმყოფობა აქვს ხეს. უნდა იცოდე და მიხვდე, თორემ შეიძლება ხიფათს გადაეკიდო. ხემ ერთნაირი სოკო იცის, ის იმ წუთშივე უნდა დაიწვას, სოკოიანი მასალა თუ შენობაში მოხვდა სადმე, სხვა მასალასაც დაავადებს და გააფუჭებს. ერთ ავადმყოფ ფიცარს შეუძლია მთელი შენობა დაშალოს და დაარღვიოს. ხის მოჭრას თავისი ასაკიცა აქვს, უასაკოდ მოჭრილი ხე ნაადრევად გახედნილი კვიცივით ადრე ფუჭდება.

ხანდახან, ლაპარაკის დროს, გრიგოლი თითქოს დასტურს სთხოვდეს, ისე გადახედავს თავის მოადგილეს დავით ჩხვიმიანს. ისიც დარბაისლურად შესცქერის მას და იღიმება.

— ხელფასს თვიურად რამდენს იღებთ? — ჯიქურ ვეკითხები გრიგოლს. იგი ოდნავ შეფიქრდა, დირექტორს და ინჟინრებს გახედა.

— უფრო ნაკლებს, ვინემ ბევრი ჩვენი მუშა ხისმჭრელი.

— გერცხვინება, თუ რატომ არ ამბობ მართალს. — ახლა დირექტორი ესხმის თავს გრიგოლს.

— სასირცხვო რა გამიკეთებია, თვეში ორას მანეთზე ნაკლებს არ მივიტან სახლში. აი, სამსონ ჯაჭველიანი კი ყველაზე მცირე შემოსავლიან თვეს 230 მანეთს მაინც ჩაითვლის სათვალავში.

— შე კაცო, ის ტრაქტორისტია, მექანიზატორი, იმას მე და შენ სად დავეწევით. — ისევ გაეღიმა დავითს. იქვე გამოირკვა, რომ დავითი თვიურად ათი მანეთით ნაკლებს ღებულობს თავის ბრიგადირთან შედარებით, ზოგიერთი ხისმჭრელი კი ორივეს სჯობნის.

— თუ კარგი ამინდი გვიდგას, ყველანი კმაყოფილნი ვართ. — დაასკვნა დინჯად გრიგოლმა.

ზემოდან წამოვედი. გზაზე ოთარმა აგვიხსნა, წელს ასი ათასი კუბმეტრი ხე-ტყე უნდა მოვჭრათ და ჩავაბაროთ, ამას გარდა, ათასი კუბმეტრი ფიცარი მარელისის ქარხანას უნდა დავუმზადოთ, ეჰ, ეს ცუდი ამინდი რომ არა...

აღარ დაასრულა სათქმელი ოთარმა.

### თქმულების შესავალი

ხაიშიდან ათი-თორმეტი კილომეტრის დაშორებით, ზემოთ, მესტიისაკენ, ენგურის პირას, ერთი ნაბიჯის ხელა მინდორს სახელად „ჯორკვალი“ ჰქვიან. კიდევ ზემოთ გაივლი და „თამარშენი“ შეგხვდებათ. ხოლო ცოტა ქვემოთ, ერთი ადგილისათვის „ჩუმად“ დაურქმევიათ. სამივე ეს სახელი თამარის სახელთან, — მასზე თქმულ ლეგენდებთან არის დაკავშირებული.

ორიოდე მხლებლით და თეთრი ჯორით გადმოსულა სვანეთში თამარი. ჯერ ლენტეხი მოუნახულებია, მერმე უშგულში ასულა და იქედან კალას გავლით კვირიკეზე შეუსვენებია. ამბობენ, ხალდეშიაც ასულა მეფექალიო. როგორც თქმულებაა, ხალხის შეწუხება არ სდომებია, არც სამეფო კარისთვის გაუმხელია თავისი გზაკვალი და ამიტომ ეს მგზავრობა მალულად ჩაუტარებია. სასახლიდან თამარის უგზოუკვლოდ დაკარგვას მისი ტრფიალი ბრძენი პოეტი გაუხელებია. ბევრი უძებნია შოთას თამარი, მაგრამ კვალი ვერ აღმოუჩენია. ბევრი წვალების შემდეგ, გუმანით ნაკვალევი დაულანდავს და ბედაურით მარტოდმარტო დასდევნებია.

### თქმულება.

გეგუთის სასახლე ძელქვის ტყეში იყო ჩაფლული. ტიტველი, უბუსუსო და უხორკლო ტყვიისფერი ხეები ცის გუმბათს მიბჯენოდნენ. ტყის კუდი ქუთაისის ციხე-გალავანს გარშემო უვლიდა და ლეჩხუმის მისასვლელებთან იკარგებოდა. უსასრულო ხეთა ტევრში სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ რიონის ტალღების ტლაშუნი ისმოდა შორიდან.

ტყის ერთი ფრთა მდინარეს მიყვებოდა. სწორედ აქეთ მიდიოდა ჯორის კვალი. შოთამ დახედა თუ არა ტყის სიგრილით დალამებულ მიწაზე დაჩნეულ ნატერფალს, იმ წუთშივე მიხვდა, თამარს აქ გაევლო. ნალზე ამოტვიფრული ძელქვის ტოტი შლამს დაჩნეოდა სხვა არაფერი ჩანდა.

— ნუთუ მარტოდმარტო წავიდა პირიმზე?! — გაიოცა პირველად შოთამ.

— არა, ალბათ, მხლებლები მთის ბაჩა ცხენებზე სხედან, მათი კვალი კი ამ უშლამო მიწას არ დაემჩნევა, — დაასკვნა მან და ბედაურს ლეჩხუმისაკენ დაჯერებით მისცა სადავე.

— რატომ გაიქცა და არ გაამხილა თავისი ზრახვანი?! — მეათასეჯერ ეკითხებოდა რუსთაველი თავისთავს.

მზე ზემოდან აჭერდა ტყის წვრილი ფოთლებით დაძანძულ წვერებს. ზეციდან აქა-იქ ჩამოპარული სხივები ვეება სვეტებად ციმციმებდნენ გრილსა და ჩრდილოვან ტყეში. დაურახტავი ბედაური ბილიკზე გრიალით მიქროდა. ხანდახან მისი სამკერდე ტყავი გაიტლაშუნებდა და ტყის კიდემდე გავარდებოდა მისი ხმა.

— საით აპირებს გაფრენას ნეტავ? — ისევ მოვარდებოდა გზადაგზა შოთას ფიქრი, — ნუთუ რაიმე ვაწყენინე, ნუთუ გამიგულიანდა ჩემი მზემთვარე!! ვაი, თუ ახალგაზრდა ოსთა მთავრისაკენ მოისურვილა გასეირნება? ვაი თუ... მოვარდა გულისმღარავი ეჭვი. კი, ასეც შეიძლება მოხდეს, ჯიმაშტარის თავზე ფონში გასცურავს და მუხურაზე გავლით საჩხერეზე გადავა, იქედან კი ერთი მკლავის გაწვდენაზეა ოვსთ მთავარი სოსლანი!

ბედაურს არ ესმის პატრონის დარდი, იგი ლაღად მიქრის ხეებს შუა და მხეცური ალღოთი არ ედება მათ კორძიან ტანფესვს. უცებ გათავდა ტყე და რიონის სარკესავით ზედაპირმა შემოანათა. გაოცდა შოთა.

ახალი სანაო შენიშნა.

იგი, ეტყობა, სულ ახლო ხანს გააბეს გაღმაგამოღმა. სანაოზე პურის ძნებით დატვირთული ურმები იდგნენ. სანაოს ბოძბორბალა ისე აჭრიალდა, ეტყობა, ქონწაუსმელი იყო. გაღმა ნაპირას კალო გაემართათ. კალოზე გოგო-ბიჭების ჟრიამული იდგა. რიონის ნაპირზე შლამს დაუკვირდა.

ცხენთა და ხარკამეჩთა ნაკვალევი ერთმანეთში ასვრილიყო. ჯორის ნატერფალი კი არ ჩანდა.

სვანეთისკენ წასულა? უცებ ნათლად მოუვიდა ეს ფიქრი შოთას.

— ვაი, შენს შოთას, განა ამ ერთი კვირის წინ ზაქარიას არ კითხავდა პირიმზე სვანეთზე?! ნამდვილად იქეთ წავიდა, — დაასკვნა ახლა გულდაჯერებით და ბედაურს უნებლიეთ დახედა.

ალბათ, ჯორიც იმიტომ აირჩია სამოგზაუროდ. ჩემი ქურანი კი იმ ციცაბოებზე ვერ გადავა.

ცხენს სადავე მოსწია და შეყოყმანდა.

— არა, ახლა უკან დაბრუნება არ შემიძლია, უნდა დავეწიო, უნდა გავაოცო, დე, მიხვდეს მის ნატერფალს როგორ ვუფრთხილდები. შეფენილზე უკვე თანდათან გახშირდა წაბლის ტყე. ძელქვის ხეები აქა-იქ თუ გამოერეოდა. შარშანდელი ნაყოფი ახლაც ეყარა ხის ძირებში. ვეება ტახები დაშლიგინობდნენ ფერდობებზე. რიონის ხევი თანდათან ვიწროვდებოდა. ახლა გზა ზედ მდინარის კლდოვან ნაპირს მიუყვებოდა. ქვევით, ღრმა ქვესკნელში ღრუბლისფერი რიონი კლდეებს ასკდებოდა. გაღმიდან ტყის ქათმების გნიასი ისმოდა. მზე ცის შუაგულში იყო, როცა ორბელს გადაუარა. უცებ, ზედ მისი თავის ზემოდან, შრიალით გადმოეშვა შავი მიმინო. იგი საოცარი სილამაზით გადატრიალდა ჰაერში, ირაო შეჰკრა და გაღმა ნადავლს დააცხრა.

— კაპუეტია, ვიღაცას გამოქცევია, — გაიფიქრა შოთამ.

სწორედ ამ დროს, გამოღმა ბილიკიდან, მთის წვერს რომ მიუყვებოდა, სტვენა გაისმა.

მონადირენი ყოფილან, მიხვდა მხედარი.

გაღმიდან ახლა ეჟვნების ჟღარუნი და მიმინოს კიპკიპი გაისმა.

— იქ ვინ გააწევს, ქალბატონო! — დაიბუხუნა ვიღაცამ ტყეში.

— უნდა გაცურო, ბიჭო! აბა, ახლა მიმინოს დავკარგავ თუ?!

ეს ქალის ხმა იყო.

შოთა უნებლიეთ შემობრუნდა ბილიკისკენ. ზემოდან ვეება ბეჭების მქონე მამაკაცი ჩამოდიოდა. იგი. გვერდი-გვერდ მოყვებოდა ბილიკს. მარჯვენა ხელი ვიღაცისთვის ჩაეკიდა და ისე მოუძღვებოდა.

— ხელი გამიშვი, — ისევ მოისმა ქალის ხმა.

— არ გაგიშვებ, ქალბატონო, ფეხი დაგიცდება და ზედ რიონში მოადენ ყვრიალს, მერე რა პასუხი მოვუტანო მამაშენს?!

— რომ გიბრძანებ, ხელი გამიშვი, შე გამოყრუებულო! — გაკაპასდა ქალი.

— ვერ მოგართვეს? — გაჯიუტდა დევკაცა. ახლა ორივენი შარაჩე გამოვიდნენ. ამ ვეება კაცმა ფეხები ისე გააბაჯბაჯა, მთელი შარაგზა დაიკავა.

ქალს თეთრი ყაბალახი და თეთრივე ნაბადი ეხურა.

თავადის ქალი თუა.

— არ გამიშვებ ხომ?! არ გამიშვებ ხომ?? ესეც შენ, ესეც შენ! — ქალიშვილმა მთელი ძალით უბიძგა დევკაცს, უცებ ხელიდან დაუსხლტა და შოთასკენ გამოექანა. დევკაცი წაბარბაცდა.

ძლივს დაიოკა სადავე მხედარმა. ქალი ზედ ცხენის მკერდს მიასკდა.

— გიგოია, მიშველე, გიგოია, მიშველე. — შეჰკივლა შეშინებულმა ქალმა. ამ ხმამ გიგოიაზე მეხივით იმოქმედა. ეს მთის ხელა კაცი ჯამბაზივით გადმოხტა და ქალის ხმისაგან შეშინებულ, ყალყზე შემდგარ ბედაურს ღროზე

მოუსწრო. იგი ლომივით ეცა ცხენის სადავეს. თუმცა შოთამ უკვე მიიღო საჭირო ზომა, მან სადავე მარჯვენით დაუჭირა. ცხენი უკანა ფეხზე შემოტრიალდა და წინა ფეხებით ფერდობს ჩამოეკიდა.

— ხომ გაგათავებდი, ბოვშს რაიმე რომ მოსწეოდა.., — ეს სიტყვა პირში ჩაუწყდა გიგორიას. მან მხოლოდ ახლა შეხედა მხედარს და შედრკა.

მიხვდა ყმაგლეხი, მის წინ უცნობი დიდი ბატონი იდგა. მხედარი კი თვითონ გაშტერებულიყო. სახე გაყვითლებოდა, თვალებში ნაპერწკლები უკვესავდა. იგი ერთ ადგილს მისჩერებოდა.

ქალიშვილს ჩაეჩოქა. ჩანთიდან ირმის ტყავის ოქროთი მოოჭვილი რაღაც წიგნი გადმოვარდნოდა და ახლა შიგ სდებდა. გიგორიამაც იქეთ გაიხედა.

— ვაი, ჩემს დღეს უბედურს, დედამ დაგიშალა მაგის კითხვა, შენ კი მოგიპარავს და თან წამოგიღია. — ქალიშვილი ნელა წამოიმართა და გიგორიას შეაქვესა თვალები.

— გიგორია, დედაჩემთან არ დამასმინო, თორემ იცოდე, ისეთ საქმეს დაგმართებ, წვერს შენი ხელით იგლეჯდე.

ქალიშვილს მხედრისკენ ჯერ არც კი გაეხედა. იგი მალავდა წიგნს ხელჩანთაში და გიგორიას შეშტერებოდა.

—ვინ მოგცათ, ქალწულო, ეს წიგნი თქვენ!— მოესმა ზემოდან მხედრის ხმა ქალიშვილს. საოცარი ხმა იყო, ტკბილი და ბოხი, ძლიერი და ჟრუანტელმომგვრელი. ქალიშვილი ანაზდად შეაცქერდა მოსულს.

— უიმე, ვინაა, ნეტავ, ეს კაცი, გიგორია! — გულწრფელად გაიოცა ქალიშვილმა. შოთას უნებლიეთ გაეღიმა. ქალიშვილი თხუთმეტი წლის თუ იქნებოდა. ასეთი სილამაზის ქალწული ჯერ არ ენახა შოთას. დაქალებაში შესული მისი ტანი შოლტივით ირხეოდა თივთიკის ოქრომკედიან კაბაში. მსხვილი ნაწნავები წინ გადმოეყარა, შვლის ნუკრის თვალები ნისლდაკრულ ცისკარივით შეფეთებოდა პოეტს.

— თამარის თვალები, ღმერთო ჩემო, ნამდვილად თამარის თვალები! — ამ ფიქრმა თვითონვე შეაკრთო მხედარი.

—ეს წიგნი ვინ მოგცა, ლამაზო ქალწულო!— ისევ წყნარად შეეკითხა უცნობი მხედარი.

— მე სადა მაქვს წიგნი?! — თითქოს გაიკვირვა მან და ლაწვებზე ცეცხლი მოედო.

— პირველად ამბობს ტყუილს, — მიხვდა მოსული.

— წავიკითხე, ქალწულო. მაოცებს, ძალიან მაოცებს. ეს წიგნი სასახლეშიაც ორადორია. თქვენთან კი საიდან გაჩნდა? ვინ მოასწრო გადაწერა ასე ანაზდად.

ქალიშვილს თვალებში ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა.

— თქვენ სასახლიდან ბრძანდებით?

— სწორედ გეგუთიდან მოვდივარ ახლა. — მიამიტად უპასუხა შოთამ.

— ჰოდა, იცოდე, პირველად მე მომიძღვნა ეს წიგნი დიდმა შოთამ, სახელად თამარი მქვია.

შოთა ჯერ გაოცდა, მერმე ისევ გაეღიმა და ბოლოს თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდა.

— აი, კოპწია ქალწული, თურმე ვისთვის დაუწერია ეს წიგნი ავბედ კაცს, თამარიც რომ ჰქვია სახელად?!

პატარა თამარს ელვამ დაკრა თვალებში, მრისხანებამ სახე აუფორიაქა. იგი ახლა იმ მიმინოს ჰგავდა, რომელიც მოფრენილიყო და დევკაცის ტყავგადაკრულ მაჯაზე ველურად აბრიალებდა თვალებს.

— გიგორია, ამ ბატონს ჰგონია, მე ვიგონებ ხომ?! — შეუტია გიგორიას. და ფეხები დაუბაკუნა. გიგორიას ფერმა გადაუარა. ეტყობა. პატარა ქალბატონის რისხვამ და ნათქვამმა მართლაც შეაშინა.

— რატომ კადრულობ, თამარ ჩემო! შენს ნათქვამს ყველა დარბაისელი კაცი დაიჯერებს. დიდო ბატონო, იცით ვინ ბრძანდება თქვენს წინ?!.. შემობრუნდა შოთასკენ გიგორია.

— აი, ეს კი მართლაც საინტერესოა, მხოლოდ ისიც უნდა მითხრათ, წიგნი მართლა თუ შოთამ უძღვნა პატარა კეკლუც თამარს.

— ჩვენი თამარის ნათლია დიდბატონი დემნა ბრძანდებოდა, — დაიწყო გიგორიამ როყიო ხმით, — ჰოდა, შოთა და დემნა ძმადნაფიცები ყოფილან, ერთად სწავლობდნენ თურმე, სწორედ მაშინ მონათლა დემნამ თამარი და...

— ღმერთო ჩემო! — აღარ დააცალა სათქმელი და გაფითრებით წამოიძახა შოთამ, თან შუბლზე იტკიცა ხელი. — ეს წიგნი მართლაც დემნამ მთხოვა, ჩემს ნათლულს აჩუქეო, ვაი, მე ბეჩავს, როგორ ვერ ვიცან ჩემივე ნიშანი ყდაზე. გუჯუ ახვლედიანის ქალი იქნებით, ალბათ.

თამარი უყურებდა და კანკალებდა.

— ნუთუ, თქვენ დიდი შოთა ბრძანდებით?!— ვედრებით შეესაყვედურა ქალწული.

— ვაი, რომ შოთა ვარ, ჩემი მეგობრის ქალო, შენ კი ვერ გიცან!

— თქვენი მუხლის და გონების ჭირიმე. — უცებ დაემხო გიგორია მხედრის წინ, მე თვითონ ვარ მოსაკლავი, რომ ვერ გიცანი, პირმნათო! განა გელათში მე არ მოგართვი ბატონის წერილი?

— თან თვალსა და ხელშუა გამეპარე!

— ასე მქონდა ნაბრძანები, იმ ღამესვე ჩემს ბატონთან უნდა გავჩენილიყავი, დიდო ბატონო...

შოთა შემოდგომის ვერხვის ფოთოლივით კანკალებდა. ახლა გაახსენდა მას ყველა-

ფერი. დემნას ძმობაც, გუჯუს ერთგულებაც და წიგნზე მოხატული ნიშანიც. იგი უცებ გადმოხტა ცხენიდან და თამარს ხელზე ემთხვია.

— გამახარე, ჩემო კეკლუცო, შენი სილამაზით და ქცევით.

— ღმერთო დიდებულო! — დაიბნა პატარა თამარი, — ამას რას მოვესწარი, დედაჩემი არ დამიჯერებს და მომკლავს კიდეც. გიგოია! — შეჰყვირა ისევ თანმხლებელს, — სახლისკენ გაფრინდი, დედას უთხარი, ღვთისსადარი სტუმარი მომყავსთქო.

— არა, ჩემო თამარ! მე გზას ვერ გადავუხვევ, საჩქარო საქმეზე მივდივარ, მამას და დედას ჩემი მოკითხვა უთხარ, ვწუხვარ, რომ სტუმრად ვერ გაგყვები!

— რას ამბობ, ბატონო, აბა, თქვენ რომ გნახეთ! ვინ დამიჯერებს — შეწუხდა პატარა თამარი.

— ჩასვლისთანავე ბარათს მოგწერთ გეგუთიდან — გაეღიმა ისევ შოთას.

— გეგუთიდან?! არა, გეგუთიდან არ მინდა,— ოჯიუტა თამარმა, — რადგან ასეა, მითხარით, საით მიდიხართ, ჩემს მიმინოს დაგადევნებთ. გზიდან მომწერეთ წერილი.

შოთა გაკვირვებით დააჩერდა ბინდბუნდისფერ ნაკვერჩხალთვალებიან კაპუეტს.

— ჩემი გზა მეც არ ვიცი. ალბათ, სვანეთს გადავალ.

— მოგაგნებს ჩემი მიმინო, გიგოია, ხორცის ნაჭერი მიართვი დიდბატონს, მიუბრუნდა იგი მხლებელს, თავის ხელით დააპუროს ჩემი აღზრდილი, მერე კვალს კი ამოხილავს, ვერსად დაემალებით.

გიგოიამ თვალისსისწრაფით ჩაყო ხელი ტყავის ჩანთაში და თითის ხელა ხორცის ნაჭერი მიაწოდა შოთას.

პოეტმა უნებლიეთ გამოართვა.

მიმინომ შეხედა თუ არა ნაჭერს, შოთას მაჯაზე ნიავივით დააფრინდა. ახლა მისი თვალები ბოროტად არ კვესავდა. კიპკიპებდა კიდეც.

— ჩემი მიმინო ცხრა მთის გადაღმა მოგნახავთ აწი, იცოდეთ, წერილით დამიდასტურეთ, რომ ამ მიდამოებში შეგხვდით, დედაჩემი მაშინ დამიჯერებს.

— უსათუოდ მოგწერთ, თუმცა მეეჭვება, კაპუეტმა გეგუთამდე მომნახოს.

— მოგაგნებს, უცილოდ მოგაგნებს, ახლა მასაც გადაედო შოთას ღიმილი.

მიმინომ ხორცის ნაჭერი დაძიძგნა და ახლა ნისკარტს იწმენდდა ფრთეებზე. იგი დარბაისლურად აიწია ისევ ჰაერში და ისევ გიგოიას დააჯდა მარჯვენაზე.

— აბა, მშვიდობით, პატარა თამარ, მშვიდობით. იცოდე, თუ შენი აღზრდილი არ დამეწია, გეგუთიდან მტრედს გამოვატან ბარათს დედაშენის დასაჯერებლად. — დაასრულა შოთამ და ანაზდად მოახტა ქურანს სანამ ქალწული რასმეს მოიფიქრებდა უკვე ცაგერის მინდვრებზე მიჰქროდა შუბლზე ოფლდაყრილი.

— ვაი, ჩემს დღეს, — ოხრავდა გზადაგზა იგი. — რას არ მოვესწარი, რა არ ვნახე, რა არ შემემთხვა ამ ცრუ წუთისოფელში.

თანდათან ყაჭის თეთრი გორგალივით იშლებოდა წარსული. დემნა და მისი ძუძუმძე, გუჯუ ახვლედიანი, დემნას და თამარის განუყრელი ნათესაური მეგობრობა. დიდი თამარი, მისი პირველი შეხვედრა, შემდეგ დემნას დაქინება, დასწერე რამე დიდი და უკვდავი საქმისო, შემდეგ: უძილო ღამეები და თავდავიწყებული შრომა. ახლაც ახსოვს და სანამ ცოცხალია რა დაავიწყებს იმ ღამეებს, როცა დემნა და გუჯუ უსმენდნენ მის პირველ სტროფებს როგორ მოეხვია დემნა მაშინ შოთას და პირველმა კაცმა უთხრა კაცთა შორის.

— ჩვენ წავალთ ამ ქვეყნიდან მომაკვდავნი, შენ და საქართველო კი უკვდავებაში გადადით ამ წიგნითო.

იტირა კიდეც, ხარისოდენა თვალებიდან ცხელი ცრემლი ფართქალით გადმოდიოდა. მერმე გუჯუს ქორწილი, წიგნის მეორე ცალად გადაწერა და ყდაზე საძმო ნიშნის ამოტვიფრა, შემდეგ რომ ეს ნიშანი დემნამ გიორგი მეფის წინააღმდეგ შეთქმულთა სანიშნებელად აქცია. აი, სად აღმოჩნდა ახლა ეს, წიგნზე მისი ხელით ამოტვიფრული, ბედუბედური ნიშანი! ცხენმა ნელნელა გაივაკა და ხიდზე გრიგალივით გადაირბინა.

— ვინ იცის, იქნებ დემნა ბატონიშვილის ტახტი უფრო გამოსდგომოდა საქართველოს, ვინემ... — უცებ გაუწყდა ფიქრი. სადღაც, გულის სიღრმეში, სინანული იგრძნო. ასეთი ფიქრი მკვრეხელობად მოეჩვენა. — განა თამარმა არ განამტკიცა მამულის ბალავერი და აღამაღლა მისი თავანი? არა, ამაზე უკეთ ვის შეეძლო ხელმწიფეთა ფათერაკიან გზაზე ქვეყნის წინძღოლა. თუმცა, დემნა ბრძენი ხელმწიფე და დიდი მხედართმთავარიც თითონ იქნებოდა. ეს ეჭვი ისევ მოვარდა პოეტს. სათავადო სვანეთისკენ მიმავალი გზა თანდათან მაღლდებოდა და ზევით იწევდა. მზე ჩავიდა. მისი სხივები მხოლოდ მწვერვალთა გაყინულ თავებს ანათებდა. ხევებში უკვე ბნელოდა. ზედაურის ლაჯებშუა ცხენისწყლის თეთრი ქაფივით პეჟო გაისაპნა.

— უნდა გადავიღამო. — ხმამაღლა თქვა შოთამ და სოფელი გამოჩნდა თუ არა, პირველ სახლს მიაშურა.

* * *

**მეორე დილითაც** ვერ მონახა მზეთამზის გზაკვალი მდევარმა.

იგი გუმანით აყვა ცხენისწყლის ნაპირებს,

უშგულში როცა ააღწია, მაშინ უთხრეს: ნაბდებშემოხვეული სამი მგზავრი იდუმალი სიჩქარით მიაქროლებდნენ ცხენებს, მათ შუა თეთრი ჯორი მითოხარიკობდაო.

კალამდე მეტად ვიწრო და კლდოვან გზაზე ბედაურს გაუჭირდა. ადგილ-ადგილ ხანჯალივით ამოწვერილ ბასრ კლდეებზე ერთი ბეწვა ხის ბოგირები იდო. უჩვევი ქურანი ჯერ ფრუტუნით გადაფრინდებოდა, მერმე მთელი სხეულით კანკალებდა.

მხოლოდ კვირიკესთან ამოისუნთქა ბედაურმა. აქვე გაიგო მდევარმა, თეთრ ჯორიან მგზავრს კვირიკეზე ღამე გაეთია. მათი გეზი კი მაინც ბინდბუნდში იყო გახვეული. ახლა ენგურის ქაფქაფა, მსრბოლავ ტალღებს გაყვა გუმანით. სათავადო სვანეთი უშგულთან გათავდა და ლათბარის ულელტეხილი ხელმარცხნივ დარჩა. ახლა უბატონო სვანეთის ცადაზიდული კოშკები კერასხებივით ამართული პარპალებდნენ ლაჟვარდში. ბედაური გრიალით მიარღვევდა იისფერად შენისლულ ჰაერს. კლდეს შემსხვრეული ენგურის შხეფები ხანდახან ნაპერწკლებივით კვესავდნენ და მაშინ შოთას ეჩვენებოდა, თითქოს კალმახები ელავდნენ მდინარეში. შეიძლება ასეც იყო. ლიფარიდან ულელტეხილისკენ აიწია და მულახის მისასვლელებს გადაადგა. შოთა გააოცა სოფლის სიდიდემ და სილამაზემ. მისმა ყანებმა და ბალახთა მრავალ ფერად ლივლივმა. ცა სუფთა იყო. სიგრილე სასიამოვნოდ მოქმეოდა ყოველ მოსახვევში.

— ბერძნებს რომ სვანეთი სცოდნოდათ, ალბათ, თავიანთ ღმერთების სამყოფელად მას აირჩევდნენ და, მართლაც, არც კი არის ქვეყნად უკეთესი ღმერთსამყოფელი. — დაასკვნა შოთამ.

ლიფარში დაშორდა ენგურს და ახლა მესტიაში შეეფეთა მას. კლდის სასთუმალზე დაკიდული გაუთლელი მორების ხიდი ჩელტით და მიწით დაებეკნათ. თოხარიკით განვლო ბედაურმა და თავქვე დაუყვა. ისევ უცებ გაახსენდა გუჯუ აზვლედიანის პატარა ქალის თამარისეული წიგნის ტვიფრი.

— ღემნას ეშინოდა ჩემი შეთხზულის ფათერაკისა, ის სულმნათი ფიქრობდა დიდნი თავადნი წინაღუდგებოდნენ ჩემს მკრეხელ აზრებს. გუჯუსაც მიტომ მისცა შთამომავალთა საყაიდუმლოდ და საზეპიროდ. თუმცა დავალება რა საკადრისია, თვითონ წამკითხველსა და გამგონეს ერთნაირად ამახსოვრდებოდა სტროფები. თამარმა სახელმწიფო წიგნად განამტკიცა იგი. ეჰ, ხელმწიფეთა ფიქრს ვინ მიხვდება, მაგრამ გუმანით მაინც ვიცი, ერის გულში და გონებაში ამით გზა მისცა ჩემს ნაფიქრალს და ნააზრევს. ჰეე, როგორც ჩანს, მასაც ეშინია უგონო და უნიათო ადამიანებმა არ ავნონ ჩემს წიგნს.

მდინარის პირას საკირეები გამოჩნდა. კვამლის ზოლები ცის გუმბათისკენ ვეება სვეტებად აღმართულიყვნენ. იქაც ვერ ნახა თავის გულისდარდის მეკვლე.

კრიჭა შეეკრა მხედარს. ავგუნებაზე დადგა.

— ნუთუ, ტყუილად ვიარე ამ კლდის ფრიალოებზე ასე სიჩქარით?! — შეეკითხა იგი თავისთავს. სადღაც, შორს, იმედის ნაფოტი მაინც ამოცურდა და ხასიათიც შემოუბრუნდა.

მან ისევ დეზი ჰკრა ბედაურს და თავქვე დაეშვა.

— არ შეიძლება ოდიშის ჭალებამდე არ მივეწიო, — დაასკვნა მან.

უცებ მოსახვევში ჩვილი კვიცი შეეფეთა. იგი დამდგარიყო და კლდიდან ჩამოკიდულ, ქაფქაფა, მკლავის სისხო ნაკადულს დაჩერებოდა. ბედაურის მისვლა არ იუცხოვა, ალბათ, დედა ეგონა, შესჭიხვინა კიდეც. ადგილიდან კი მაინც არ იძროდა. ისევ წყლის ქაფს დაშტერებოდა. უნებლიეთ, შოთაც დააჩერდა იმ ადგილს. საოცარი რამ ნახა.

მოზრდილი კალმახი შხეფებისგან აბოლებულ გუბეში მომწყვდეულიყო და ფართქალებდა. მისი ბროწეულის კაკლებით დაწინწკლული სხარტი ტანი ნაკვერცხლებივით კვესავდა ყინულივით გუბეში. კვიცი ხანგამოშვებით დაყნოსავდა, მერე უკან შიშით და გაოცებით დაიხევდა, მაინც არ შორდებოდა.

პოეტმა ფრთხილად აიყვანა კალმახი და ვერცხლის სვეტივით დაკიდებულ ნაკადულში ჩაუშვა. ერთი გაიელვა კალმახმა და უსახოდ გაქრა. კვიცმა ახლა შენიშნა უცხო ბედაური, ერთი კანკალით დაიჭიხვინა, შებრუნდა და თავქვე კისრის მტვრევით დაეშვა. შორს, მოსახვევში, ხევის პირას ცხენოსანი დალანდა ახლა ბედაურზე მჯდომმა. თვითონაც იქით მიუშვა თავისი ქურანი. რატომღაც სიმღერა მოუნდა ბრძენ პოეტს. ენგურის ტალღების დგაფუნში, ხევებიდან ქშუილით მოვარდნილ სიგრილეში, ფერდობზე აშოლტილ ვეება ხეთა ტევრების შრიალში, ნელა გაისმა მისი სიმღერა. კარგა ხანს იმღერა გულითა და სულით და მერმე შენიშნა, რომ სვანურ ლილეს მღეროდა.

— პირველად ვმღერი ამ სიმღერას, — გაოცდა მხედარი, — ალბათ, ამ ღმერთსამყოფელში სხვა სიმღერა არც კი იმღერება. — ეს სიტყვები ხმამაღლა თქვა შოთამ.

უცებ გაისმა შრიალი და ბეჭზე მიმინო დააჯდა შემკრთალ პოეტს.

— პატარა თამარის კაპუეტი, — შიშით ამოსკდა ძახილი მხედარს, მტრედივით გაუწრთვნია. — დაასკვნა მან ახლა. მიმინო კი, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, ისე იწმენდდა დაღლილ ფრთებზე ოქროსფერ, მოკაუჭებულ ნისკარტს.

ყელზე პატარა ტყავის ნაკერი შენიშნა. ფრთხილად მოხსნა ყაითანი და წერილი გაშალა. პატარა პერგამენტის ნახევზე ფერაფერას მელნით ნაწერი ასოები მოჩანდა.

ახვლედიანის ქალი ვარ, ალპანას ვიღებ
სამინდეს,
ორბელის თავზე შემომხვდი, მზემ დამანათე
დამბნიდე,
ერთი პატარა გული მაქვს შენ თვალთა
შუქით დაფლითე,
სამოთხეს ვინლა მაღირსებს, ჯოჯოხეთს
რისთვის წავიდე?!

გაოგნებული შოთა ახლა ღიმილით კითხულობდა სტროფებს. ჩვენში ყველა ლექსად ამბობს თავის სათქმელს, გაიფიქრა და თან დაასკვნა: ჭეშმარიტად ძნელია ჩვენს მამულში მელექსედ ყოფნა.

ქურანი კი ისევ მიქროდა. ხელმარჯვნივ გამოჩნდა უშბას ქათქათა, თვალისმომჭრელი მწვერვალი, ერთი მხრიდან ჩაბალახივით ეხვია ნისლი. ცხენს სადავე უნებლიეთ მოსწია და შეჩერდა. ყინულწვერი თითქოს ლაჟვარდში კანკალებდა.

— ღმერთთან მისასვლელ კიბეებსა ჰგავს ჩვენი მთები.

თვალებში თითქოს მეტი სინათლე ჩაუდგა, მეტი ელვარება შოუმატა. ცხენს ისევ სადავე მისცა, უშბას თავს ერთი კიდევ გახედა და თავდაღმართს ჩაუყვა. კაპუეტი წყნარად გადაინაცვლებდა გზადაგზა შოთას მხრებიდან მახლობელ ხეზე ირაოთი, და შორს კი არ მიდიოდა, თვალს არ ეფარებოდა, ისევ უკან ბრუნდებოდა შოთას მხარზე. ენგურის მეტად ვიწრო ხევს მიუყვებოდა გზატკეცილი. უფსკრულიდან მდინარის ღმუილს ისეთი ქარი ამოქონდა თან, რომ მუხლებზე კაბის კალთები ვერ დაიმაგრა მხედარმა. თანდათან ღამდებოდა.

უცებ გაიხსნა კლდეთა კარი და გაშლილი ჭალაკი შემოეფეთა შოთას. ჭალის ბოლოზე კარვები შენიშნა. გულმა რეჩხი უყო. შუა მინდორზე ბედაურმა უცებ მეხივით დააყარა ჭიხვინი.

— ჩუმად, ჩუმად, თორემ გვიცნობენ, ჩემო ქურანავ.

მხედარი მიხვდა, რომ მისმა ბედაურმა ნაცნობი ცხენები დალანდა.

— ჩუმად, ჩუმად. — ისევ ჩაუჩურჩულა ყურთან ბედაურს.

— ჩუმად, ჩუმად. — დაიბუხუნა ვეება სვანმა და მხედარს წინ გადაეღობა. ცხენი ოდნავ დაფრთხა და გვერდზე გაიწია.

— შენა ხარ, მურზაყან ჩემო! — გაეხარდა მხედარს დამხდურის ნახვა.

— ვაი, ჩემს თავს, თქვენ აქ საიდან გაჩნდით, — გაიოცა სვანმა.

მისი ფართო ბეჭები მთებივით მოჩანდა და მის ჩრდილებში. მხოლოდ ვეება სატევრის ვერცხლის ტარი ისლისფრად ელავდა.

— ვაი, თუ პირიმზე გაჯავრდეს, — ისევ დაიბუხუნა მურზაყანმა და მერძე ისე გაიცინა, ჭალამ გრგვინვით მოსცა ხმა.

— მის ახლოს სიკვდილი მირჩევნია, ჩემო მურზაყან, მისგან შორით სიცოცხლეს. — ისევ წყნარად სთქვა მოსულმა და ცხენიდან გადმოფრინდა. ეტყობა, სვანმა ვერ გაუძლო ცდუნებას და მხედარი მუხის ტოტებივით მაგარ მკლავებში მოაქცია.

— მარტო მოვდივართ, სად არ ვიარეთ. კვირიკეზე ღმე ვათიეთ, ჰადიშში საყდარში აველით, მულახში კოშკების წვერები ვთვალეთ. თქმით კი არავის ვუთხარით ჩვენი ვინაობა. ახლა კარვები გავშალეთ, ამ ადგილსაც თამარშენი დავარქვით. — თავის საამბობს ჩივილით უყვებოდა მურზაყანი შოთას.

— ვერ დავიჯერებ, მურზაყან ძმაო, სვანეთში შენს ბეჭებს და ხანჯლის ტარს ვერავის გამოაპარებდი!

— ბეჭზე ნაბადი მეხურა, შოთა-ბატონო, ხანჯლის ტარზე კი წინდა ჩამოვაცვი, უცხოდ რომ მევლო. აქამდე ვერვინ მიცნო და აწი რა ვიცი.

შოთამ ბინდბუნდში რომ გაიღიმა, თეთრი კბილები გამოჩნდა მხოლოდ, მან ღიმილით სატევრისკენ წააპარა ხელი და ტარზე მართლაც წინდა მოხვდა ჩამოცმული.

— ნუთუ, სვანეთში ვერ გიცნეს, დაუჯერებელია!

— რომ ვეცნეთ პირმზესაც ხომ იცნობდნენ, ქვეყანას შეგვიყრიდნენ.

ახლა გაახსენდა შოთას, რომ მურზაყანი თამარის ძიძისშვილი და განუყრელი მცველმეგობარი იყო. მისი გამოჩენა თამარის გამოჩენას ნიშნავდა.

უცებ ისევ გაისმა მიმინოს ფრთების შრიალი და ახლა კაპუეტმა ირაო მურზაყანის ბეჭების გარშემო შემოავლო და დააჯდა კიდეც.

— ღმერთო მიშველე, ამას აქ რა უნდა, — თითქმის დაიყვირა შიშით გაოცებულმა მურზაყანმა.

— საოცარია, ალბათ, შევეშალე, მაგრამ ნუთუ ამ დევკაცში ვერ გამარჩია მიმინოს თვალმა.

მურზაყანმა შენიშნა შოთას გაოგნება და ხმა მიაშველა.

— ეს კაპუეტი თამარის გაზრდილია, ახვლედიანის ქალს აჩუქა, ხომ გახსოვს უბედური დემნას ნათლული რომ არის.

— მე კი ვიცი, მაგრამ შენც თუ იცოდი, ეს კი არ მეგონა, — გაცბუნდა გაგონილით

შოთა და კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა სათქმელი. მერმე ენა მოიკვნიტა.

მურზაყან ხომ თამართან და ღემნასთან ერთად იზრდებოდა, მათთან ლაღობდა, მათთან სწავლობდა, გუჯუ ახვლედიანიც იქ არ იყო მაშინ!! ეჰ, შოთას ახლა გაახსენდა ესეც და გაოგნებული მიმინოს მოეფერა.

— აბა, წავიდეთ კარვებში, მხოლოდ პირიმზეს უკვე სძინავს და ნუ გავაღვიძებთ, ახლა დაწვა, ცოდვაა, დილით ცისკარს ასწრებს ადგომას. — წყნარად მაგრამ ისევ ბოხი ხმით წარმოსთქვა მურზაყანმა.

უცებ მიმინომ დაიკიპკიპა და თან კაბის შრიალი მოისმა.

— ღმერთო ჩემო, ნუ გამირისხდები! — მუხლებზე დაეცა შოთა. მურზაყანმა უკან დაიხია. ისიც ახლა მიხვდა, რომ მათ წინ თამარი იდგა. თეთრ ნაბადზე მოქობილი ოქროს ფართო ყაითანი ღამეში ნათელივით ელვარებდა. სახეზე თეთრივე თივთიკის ჩაბალახი წამოეხურა პირიმზეს.

— ცხენის ჭიხვინი ვიცანი, გამელვიძა, სიზმარი მეგონა პირველად, ახლა ვხედავ, ვით საწუთროს, ვერსად დაგემალებით, გეტყობა დიდო პიიტიკოსო, ახვლედიანის ქალიც გაგიცვნია გზაში, ჩემს გაზრდილ მიმინოსაც მოსწონებიხარ.

შოთას ტანში გასცრა, გააძაგძაგა.

— გულთამხილველია თამარი! — უცებ მოვარდა ეს ფიქრი, ხმამაღლა კი დაუმატა — თქვენს ნაკვალევზე ყოველთვის სინათლეს იპოვის კაცი, ჩვენო დედოფალო!

— დედოფალს ნუ მიწოდებ, შოთავ ჩემო. მე ახლა უბრალო მეგზური ვარ, უჩინმაჩინად მთებში მოხეტიალე. ზევით წამოდექი, მუხლებზე დაცემა არ არის საჭირო.

— აკრძალული გვაქვს „დედოფლის“ წოდება. — უჩვეულო, დაბალი ხმით ჩაუჩურჩულა მურზაყანმა შოთას.

შოთამ ახლა შენიშნა, რომ კაპუეტი თამარის მხარზე დაფრენილიყო. იგი ნისკარტით წიწკნიდა ჩაბალახის ოქრომკედით ნაქსოვ სირმას, თან მხიარულად კიპკიპებდა. მერმე, თითქოს ქარმა წამოუფრინა, ისე გადმოინაცვლა შოთას მხარზე.

თამარმა მრავალმნიშვნელოვნად და გაოცებით გააყოლა თვალი მიმინოს. თითქოს ორი ვარსკვლავი დაედევნებოდეს კაპუეტს შოთას მხრებამდე, ისე კამკამებდა ახლა მისი თვალები. მურზაყანი ახლოს მიიწია შოთასკენ და უჩურჩულა:

— ამ დილით ჯიხვი მოვკალ, მომშეული ჩანხარ, ნაკვერჩხალზე წვადები ავაშიშხინოთ, სვანური არაყით ძარღვებსაც გაგითბობ, ლექსის დიდო მთხზველო!

— მიმინოსაც მიჰმიეთ ხორცი, — წყნარად სთქვა პირიმზემ და თან გააფრთხილა, — დილით სადადიანოსკენ უნდა გადავიდეთ, ღამე დიდი ხნით არ გატეხოთ ისევ კაბის შრიალი გაისმა და მზეთამზის ლანდი ღამის სიბნელეში გაუჩინარდა.

გათენების ჟამს ძილგატეხილმა შოთამ ენგურისპირას ხალვათი კლდის ცხვირზე ჩამოისვენა. აფორიაქებული დაყურებდა ნისლდაყრილ და მღელვარე მდინარეს. ბობოქარი ტალღები კლდეებს ეხეთქებოდა და სქელ ნისლში ხანდახან ნაპერწკლებივით გაიელვებდა შხეფები. სიგრილე ქვემოდან ძალუმ-ძალუმად მოქშეოდა და ძვალრბილში სასიამოვნოდ ატანდა. ეს გრილი მდინარის ნიავი უფრო აფხიზლებდა შოთას.

ჭილაკზე თამარის კარვის ტილოები ირხეოდნენ. შოთას მოეჩვენა, რომ კარავიდან თეთრნაბდიანი გამოვიდა. იმან ისიც დალანდა, თუ როგორ წამოვიდა ნაბდიანი ჩრდილი მდინარის პირისკენ.

— არც თამარს დასძინებია, — გაიფიქრა მან.

— ადრე ამდგარხარ, შოთავ ჩემო, — ახლა აშკარად მოესმა მზეთამზის წყნარი, იაღონივით ხმა.

— ნაღველმა დამრია, მეფეო, დავიბენი, ვერ მიმხვდარვარ, რათ დასჭირდა ქვეყნის მფლობელს უჩინმაჩინად სიარული, ხალხის თვალთაგან განრიდება თავის სამწყსოში მალულად მგზავრობა.

თამარი წყნარად მიუახლოვდა შოთას. როცა შენიშნა, იგი ფეხზე ადგა, გააფრთხილა.

— დაჯექი. ბრძენს ჩემგან არ გესწავლება, მეგონა, შენ მაინც გამიგებდი ზრახვას.

— ჩემი სიბრძნე ვინა სთქვა, ჩვენო მზეთამზევ, ვით შევადარო ღამე დილის მზეს.

— არა, შოთა ჩემო, ამ ქვეყნად ბრძენთა ნააზრევი რჩება, მეფეთა კი — ნამოქმედარი. ჩვენ სიჩუმე გვმართებს და ხალხის სიკეთისთვის დაუღალავად შრომა, თქვენ კი აზრი და სიბრძნე გიკვალავთ ხალხის გულში გზას.

— მალვა მხოლოდ ტრფობას შვენის, მზეთამზევ.

— ხალხისთვის შრომას და სიყვარულსაც არ უყვარს. ქვეყნის პატრონისგან ტრაბახი, დიდო პოეტო. სვანეთს მოსვლა უჩინმაჩინად რომ არ განმეზრახა, ხალხი შეიყრებოდა, ზეიმებს გამართავდა. მეც ადამიანი ვარ, ზეიმში მეც ჩამითრევდნენ და განზრახულის კალაპოტიდან სულ სხვა სვრელში გადამისროდა. ახლა კი...

— ახლა კი... — შეაწყვეტინა სიტყვა შოთამ, — განზრახულსა და წინასწარ ნაფიქრალს პირდაპირ მიყვებით ხომ, მზეთამზევ!

— ახლა დინჯად, ერთი ძარღვის ატოკებით, ერთი განუყოფელი სულით და გულით ვაკვირ-

დები ჩემი სამწყსოს ერთ ულამაზეს და უპატიოსნეს თვალს. სვანეთი ჩვენი ქვეყნის ცადაზიდული გვირგვინის ჯილაა, მისი ელვარე სილამაზეა. ჩვენი მამულის ხერხემლის მტკიცე ნაწილია. უნდა მენახა, უნდა გამეგო მისი ჭირვარამი, მისი სიხარული თუ სიმწარე.

განთიადის იისფერ ნისლით ჩაბურულ გზაზე მოულოდნელად ცხენის ფეხისხმა მოისმა. ცოტა ხნის შემდეგ ცხენოსანიც გამოჩნდა. ცხენოსანმა, ეტყობა, ამ რიბირაბოში შეამჩნია კარვებიც და დამხდურიც, იგი ახლო მოდგა და შეჩერდა.

— მგზავრები თუ ყოფილხართ?! — იკითხა მხედარმა. თავზე თეთრი ნაბდისაგან მოთელილი ფარფლიანი ქუდი ეხურა, წელზე ვეება ხანჯალი და ზურგზე თხის ტომარა ეკიდა.

მზეთამზე და შოთა ხმაზე მიხვდნენ, მხედარი ჭაბუკი იყო.

— მგზავრები ვართ, — წყნარად შეეპასუხა შოთა, — თქვენც ადრე გიმგზავრიათ.

— მწყემსი გახლავართ, ხალდეშურას სათავეებთან ბალახობენ ჩვენი ხვადაგები.

— თქვენ მწყემსებს არ გავხართ კარვები კი დაგიდგამთ?! — დააკვირდა ახლა კარვებს გაოცებული მწყემსი ბიჭი.

შოთას და მზეთამზეს დაბნეულობა დაეტყო. ისევ თამარმა დაასწრო სათქმელი.

— კვირიკეზე ვიყავი სალოცავად.

— არც მლოცველებს გავხართ — თავი გააქნია ბიჭმა.

— ჰადიშიც მოვიარეთ, იქაც მუხლი მოვიყარეთ. — ისევ წყნარად თქვა თამარმა.

— თვითონ იქიდან გახლავართ — გაუბრწყინდა ბიჭს თვალები.

— რა გვარისა ხართ, ან სახელად რა გქვიან? — შეეკითხა ახლა შოთა.

—ავალიანი ვარ, სახელად ბათალბის მეძახიან.

— ჰადიშიდან ხარ?! — გაუბრწყინდა სახე თამარს. — ერთი სათხოვარი მაქვს, უნდა შემისრულო!

— ბრძანეთ, ბატონო.

— ერთ წუთს მომიცადე. შესაწირი უნდა გაგატანო ჰადიშის საყდრისათვის. — თამარი კარვისაკენ წავიდა და როცა ისევ უკან გამობრუნდა, დილამ უკვე გადმოიხედა მწვერვალებიდან. ხევებშიც ნელა ჩადიოდა დილის შუქი.

— ძვირფას რასმეს გატან, შვილო ჩემო, წინამძღვარს უთხარი, თვალისჩინივით მოუფრთხილდეს.

მან წყნარად გაუწოდა ბათალბის უცხოდ ნაქარგ შალში შეხვეული წიგნი. ბიჭმა ფრთხილად გამოართვა და შალი მოხსნა.

— ღმერთო ჩემო, დაიბღავლა ბათალბიმ, — ეს ხომ მეფური საჩუქარია. მერმე ცოტა უკან დაიხია, თამარს შეხედა, ოდნავ დაუკვირდა და მუხლებზე დაეცა.

— ახლა გიცან, ღმერთთა სწორო მეფეო, თქვენი შუქით თვალები თუ დამიბნელდა მე საწყალს.

— კითხვა იცი?! — გაუკვირდა შოთას, თამარს კი სახე ოდნავ შეუვარდისფერდა.

— მამას ათონის წმინდა მთაზე ვყავდი წარგზავნილი ბერძნულსაც ვმარცვლავ.

— დაილოცოს ქართველი კაცის თვალის სინათლის მანძილი. — თათქოს ლოცვა ეთქვას, ისე ჩაიჩურჩულა შოთამ.

— მამაშენი ვინ არის, — ჰკითხა მზეთამზემ.

— ვისთანაც ამ წიგნის მიტანა გიბრძანებია. — ისევ დაჩოქილმა სთქვა ბათალბიმ.

— ადექი, შვილო, ჰადიშამდე არავას უამბო ჩვენი შეხვედრა. გულმა მითხრა, ქვეყნის გონების ეს განძი ჰადიშის საყდარში უკეთ შეენახება ერს. ახლა კი წადი, არ დაგაგვიანდეს.

ბათალბა ჯერ კიდევ მუხლზე დაჩოქილი იდგა.

— დამლოცე, მზეთამზევ, დე, შუქმა შენმა გაუნათოს ჩვენს ხალხს გზაკვალი.

— დამილოცნიხარ, შვილო!

ბიჭი ნელა ადგა, კალთა არ გაუბერტყია, ისე მოახტა ცხენს და სხვა სიტყვა არ უთქვამს, ისე გაშორდა დამხდურებს. შოთამ კარგად გაარჩია, თუ როგორი სიფრთხილით ჩააცურა უძვირფასესი ძღვენი აბგაში ბათალბიმ და როგორი მადლიერი თვალებით გამოიხედა წასვლის წინ მათკენ.

— მაინც მიხვდნენ თქვენს ვინაობას, მეფეთმეფეო, მზეს თავის შუქით იცნობენ, ეტყობა, ხალხს უჩინმაჩინის ქუდით ვერ დაუხუჭავ თვალს.

სწორედ ამ დროს ბათილბას ცხენი წყალვარდნილს გასცდა და აღმართზე ცხვირწაწვდილ გორასთან გამოჩნდა. ცხენი თოხარიკით მიყავდა გახარებულ მხედარს.

უცებ მის ზემოთ ზრიალი და გრუხუნი მოისმა. გრუხუნს ლაწანი და თითქოს მიწის რყევა მოჰყვა.

— დავიღუპეთ, ზვავი ჩაიტანს იმ უბედურს! — დაიბღავლა მურზაყანმა. მართლაც ზედ იმ ცხვირწაწვეტილ მთის თავზე, რომლის ქვეშ ბათალბის ცხენი მიქროდა, მთის წვერი მოწყვეტილიყო და ქვემოთ მსხვრევით და მტვრევით ზვავად მოდიოდა.

ვეება ხეები ილეწებოდა და დაბლა მოექანებოდა.

ეტყობა ცხენოსანმა იგრძნო დაღუპვის მოახლოება. ცხენი უცებ მოწყვიტა ადგილიდან და ოთხით გააქროლა აღმართზე.

მერმე ყველაფერი დაიბურა.

ზემოდან მათ თვალწინ ჩაიქროლა თოვლის ვეება ზვინებმა, დალეწილმა ხეებმა, კლდეთა ვეებერთელა ნამსხვრევებმა. ჩაიქროლეს და გარშემო ყრუ ნისლი და სიცივე დააყენეს.

თამარმა შეჰკავლა, თვალებზე მიიფარა ხე-

ლები. შოთა და მურზაყანი სულმოუთქმელად გაყურებდენ ხევგალმა დაკიდებულ გზას. თოვლის მტვერმა და ნისლმა იქაც შეატბორა.

არაფერი არ ჩანდა...

უცებ თითქოს მზის შუქი გამოვარდნილიყოს ჯოჯოხეთიდან, ისე ამოიკვნესა ყველამ. გაღმა მხედარი ისევ გამოჩნდა.

— გადარჩა მეფეო. — ჩაიჩურჩულა შოთამ.

— ღმერთმა გვიშველა. — ისევ დაიბუხუნა მურზაყანმა. თამარმა თვალი გაახილა. იგი კარგახანს მიჩერებოდა ხევგალმა მიმავალს და შვებით ამოისუნთქავდა.

— გადარჩა. — წყნარად ჩაიჩურჩულა მანაც და დაატანა — ქვეყნის განძიც გადაარჩინა თავგანწირვით.

— გარნა გელათში არ დაისვენებდა დიდი ოთხთავი, მეფეთმეფეო. — თითქოს უსაყვედურა შოთამ.

— ეჰ, შოთა ჩემო, განგებისთვალს დიდი სინათლე აქვს. გულმა ასე მითხრა და მეც მას მივყევი.

შოთამ თავი ჩაღუნა.

— მაპატიე, დედოფალო!

— საპატიებელი არა გვითქვამს რა, ახლა კი ცხენები შეკაზმონ. დაღამებამდე ოდიში უნდა განვვლოთ უჩინმაჩინად.

— პირველად მესმა შენი მაღალი ხმა! — თითქოს თავისთვის საყვედურით და გაოცებით სთქვა შოთამ.

თამარი თვითონ უფრო გაკვირვებით მიაჩერდა შოთას, სახე ოდნავ აუწითლდა.

— ჰო, რომ შევკივლე ის გაგიკვირდა! ასეა, ადამიანი ულონობის დროს წამოიყვირებს. შენ კი, როგორც მახსოვს, წელან მირჩევდი ხმაურით მოგზაურობას სვანეთში! ქვეყნის მმართველს თუ სხვა მიზანი არა აქვს, წყნარად სიარული ურჩევნია, ხალხის ტკივილთა გასაგებად და მოსარჩენად. ტაშით და ზარების გრიალით ყეენები ყეენობენ ჩვენში.

შოთას თავი არ აუღია, ერთი კი გახედა და წყნარად თქვა.

— ცხენებს შევაკაზმინებ, მეფეთმეფეო, გვედრები გულში არ ჩაგრჩეს ჩემი კადნიერება.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ცხენოსნებმა ეს ადგილი დატოვეს, ერთმა მათგანმა უკან მოიხედა და თითქოს მთაბარს გასძახა.

— ჩუმად, ჩუმად!

— ვის ეძახი?! — შეაჩერა ცხენი თამარმა.

— ამ ადგილს უნდა დაერქვას სახელი „ჩუმად“, დე ამ მთაბარმა მაინც შეინახოს თქვენი ნაკვალევი.

— ხალხს არაფერი დაემალება, ბრძენო პოეტო, საჭიროს გაიხსენებს და არც დაკარგავს.

### მ ე გ ო ბ რ ო ბ ა

მესტიაში მშვენიერი ამინდი და დიდი ფათერაკი ერთად დაგვხვდა, ზედ რაიკომის შენობის გვერდით ხანძარმა მშვენიერი ორსართულიანი სახლი დაფერფლა... რაიკომის მუშაკები დაფაცურებული მუშაობდნენ და აქრობდნენ ცეცხლს.

სოსო ჰკადუაც იქ დაგვხვდა.

— ამ სახლის პატრონები ობლები არიან, მამა ომში დაეღუპათ, ახლა კი, როცა წამოიზარდნენ, თითქოს დარდი არ ენახოთ, ეს უბედურებაც დაემატათ, — გვიყვებოდა ის და ეტყობოდა ცრემლს ძლივს იკავებდა. გაალული ნივთების თრევით მასაც სახე გაშავებული ჰქონდა, ხანძრის შავი ტალი დასდებოდა.

სოსო ჰკადუას მე დიდი ხანია ვიცნობ. პირველად, როცა სვანეთში ჩაველი, იგი ალმასკომის თავმჯდომარედ იყო. მაშინ ჩვენ იქ ჩასვლას ერთი ამბავი დაემთხვა თან.

1956 წლის ივლისი იყო. სასტუმროში რაიკომის მაშინდელ პირველი მდივნის ნიკოლოზ ბიბილეიშვილის ბინაზე ვცხოვრობდი. ერთ დილით, გათენების ჟამს, კარებზე მოაკაკუნეს, ნიკოლოზის შვილმა კარი გააღო.

— მამა, უცხო სტუმრებია. — აცნობა მამამისს გაოცებულმა ბავშვმა. წამოვდექით. მოსულნი მართლაც მეტად საპატიონი აღმოჩნდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამოსულიყო მესტიაში.

ორი დღე დარჩა მესტიაში მაშინ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, აქტივი მოიწვიეს. ხე-ტყის წარმოების, მეცხოველეობის, გზების და ტრანსპორტის, მშენებლობის, განათლების და კულტურის საკითხები დააყენეს.

— აბა, ვისაც რა აწუხებს, ყველაფერი ვთქვათო. — განაცხადა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა.

მართლაც მთელი აქტივი ჩაება მუშაობაში, კაცი არ დარჩენილა, თავისი აზრი არ გამოეთქვა დასმულ საკითხებზე.

— მართალი გითხრათ, ამ ხანობამდე მესტიაში ცეკას არცერთი მდივანი ამდენი ხნით არ ამოსულა, სვანებთან ასდენი არ უსაუბრია, — მითხრა სოსომ. — ამან კი თავისი ნაყოფი გამოიღო, თავისი დაღი დაასვა ჩვენ ცხოვრებას. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო აღმავლობა ხე-ტყის წარმოების საქმეში. აქამდე გეგმა არასდროს არ შეგვისრულებია, ამ დღის შემდეგ კი ისეთი საშუალებები მოვნახეთ, ყოველ წლიურად ვიზრდებოდით. — დაასკვნა მან.

მეორე დღეს ცეკას მდივანი სოფელ მულახისაკენ წავიდა. იქ მან სიყრმის მეგობრის, იოსელიანის ოჯახი მოინახულა, მის მოხუც და ბრმა მამას ესტუმრა, სხვა კოლმეურნეთა ოჯახებს დახედა და პირადი ადამიანური მოვალეობაც მოიხადა.

საქართველოში ყველგან პატივს სცემენ ნათესავსა და მეგობარს. სვანეთში კი ეს გრძნობა მეტად მაღლად ეხატებათ.

— მთელი სვანეთი გაახარა მისმა მოსვლამ

და მეგობრისადმი მისმა ასეთმა ვაჟკაცურმა ქცევამ. — მითხრა გულახდილმა სვანმა, ტიტიკო მარგიანმა და განაგრძო, — ნ. ს. ხრუშჩოვიც, მისივე თქმით, ყოველწლიურად დაიარება თავის სოფელში, თავის სიყრმის მეგობრებს მოინახულებს, სოფელს დახედავს, მათ ჭირვარამს გაიგებს და ეხმარება მათ. — მარგიანი ოდნავ შეჩერდა და მერმე დაუმატა.

— ადამიანი, თუ ნამდვილად კარგი კაცია, ყოველთვის ნათელ საქმეს მიაგნებს და გააკეთებს. თავისი ოჯახის და სოფლის მოხმარება ბუნების წესია. მაშინ საქართველოს ცეკას მდივანს სხვა სოფლებიც მოუვლია. ლახამულაში ასულა, ლენჯერი, ეცერი და ბეჩო მოუნახულებია, ხაიშის სამეურნეო აქტივთან უსაუბრია. წელს კი კალასა, უშგულსა და ქვემო სვანეთში უმოგზაურია. ყველაფერი თავისი თვალით უნახავს, ყველა საქმის ტკივილი უგრძვნია და სათანადო ღონისძიებაც დაუსახავს.

• •
•

მეშნუ ავალიანი — ჰადიშის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — სოფლის ბოლოზე შემოგვხვდა.

რაიკომის მუშაკი, ახალგაზრდა ბექსატონ ქალდანი და რაიკავშირის თავმჯდომარე, ჭარმაგი კაცი სეფე ხაფთანი თან აგვყვნენ ჰადიშში.

ზემოდან პატარა მდინარე მოჩქრიალებს. მას სახელად „წყურგვილს“ ეძახიან. ეს მდინარე შედარებით თბილია და სასმელად მეტად კარგია. სხვა მდინარის წყლების დალევა სიცივის გამო ძნელი და სახიფათოა, გულმუცელს გაყინავს, ადამიანსა და ოთხფეხს დაააავადებს. ფერმის ზემოთ, 3-4 კილომეტრის დაშორებით, წმინდა გიორგის ეკლესიაა. გარშემო ბევრი ნასახლარია. ეტყობა, ოდესღაც აქ მოზრდილი დაბა ყოფილა. ვინ იცის, იქნებ ცნობილი ქალაქიც იყო. იგი ალპიურ ზონაშია უკვე, ქვემოთ კი, ტყეებია, გაუვალი ტყეები.

მჟავე წყლები ამოქუხან მიწიდან. რამდენიც გინდათ, სვით ეს დალოცვილი წყლები, წყენა მისგან არ შეიძლება, სიამოვნებას კი ბევრს ნახავთ.

როცა ამ წყლებსა სვამ, ასიათასი ვარსკვლავი სკდება და სასიამოვნოდ გიღიტინებს ენაზე.

მარგოს თორმეტი მეწველი ძროხა ყავს.

მისი წვრილი და თაფლისფერი თვალები დაკვირვებით გიცქერიან.

დღეს სამოცდაათი ლიტრა მოვწველე! მოკრძალებით გვეუბნება მარგო.

იქვე დგას ქეთო ავალიანი. ეს ქალიშვილი უფრო მაღალი ტანისაა, მისი წყლისფერი თვალები, თითქოს იქვე მიმდინარე ჰადიშურადან ახლახან ამოღებული კენჭები იყოს. ქეთო ყოველდღე 80-90 ლიტრა რძეს წველის. ჰადიშურა უსწრაფესი მდინარეა სვანეთში, (აბა, რომელ მდინარეს ნახავთ იქ დატბორილსა და მღორეს, მაგრამ ჰადიშურა მაინც სხვაა). კეაშის ხიდთან მდინარის კალაპოტი ისე ვიწროა და კლდოვანი, რომ მდინარის ტალღები, ერთიმეორეზე მძლავრ ჯახუნის გამო, მეხივით სკდება და ბოლივით ამოქშუის ზემოთ.

— აქ კალმახი ველარ ამოდის, იღუპება. — გვითხრა, ფერმის გამგემ ალექსანდრე ავალიანმა.

მართლაც შეხედვა შეგეშინდებათ. აქ უკვე სილამაზე ტკივილს და შიშს იწვევს.

ვეება კლდის ნაგლეჯები გახორგილან ამ ვიწროობაში და ჰადიშურას ტალღები მათ ზემოთ აბოლებული გადაიფრენენ ხოლმე. ეს მდინარეს კი არა, ქარიშხალს უფრო ჰგავს. ახლოს ვერ მიუდგები, ისეთი ქარი დგას ტალღების ლაწანის გამო. გარშემო ყველაფერი გათოშილია და გაყინული.

საღამოს მწველავები ბინაში იკრიბებიან, სუფთა ლოგინები, მაგიდა და სკამები მათ კარგ დიასახლისობაზე გვეუბნება. განჯინები კრიალობენ, ქვაბ-ქოთნები ქათქათებენ სისუფთავისაგან. თუ გასულ წელს თითო მეწველ ძროხაზე ათას სამი ლიტრა რძე მიიღეს ჰადიშელმა მწველავებმა, წელს იგი ათას ხუთას და ათას ექვსას ლიტრზე აიყვანეს.

სოფელ ჰადიშში, უმრავლესად, ავალიანები სახლობენ.

მელანო ორმოცდაათი წლისაა. ილია ავალიანი კი — ორმოცდაორის. ფიჩი და თინა — თვრამეტ-თვრამეტის. ხოლო ტაბას ავალიანს ახლახან შეუსრულდა თექვსმეტი წელი. ვახშმის წინ ჩონგურებიააწკრიალეს ქალიშვილებმა. მელანომ და ილიამაც აუბეს მხარი.

— ჰოი დედე შუ,-ჰოი დია შუა. — დაიწყო ერთმა მათგანმა და მომეჩვენა, რომ ეს ძველი სვანური სიმღერა ახლაც ათბობდა ჰადიშურას გალიგვებულ კლდოვან ნაპირებს, ტყესა და იმ თეთრ მწვერვალებს, რომელთაც, ალბათ, ადამიანების ასეთი მხიარული სიმღერები თუ ათბობენ მხოლოდ.

• •
•

გოგი მჭედლიანმა ისევ ხაიშში ჩამოგვიყვანა რაიკომის მანქანით.

გიორგი მძღოლია. იგი კარგა ხანია მუშაობს ამ ხელობაზე. როგორც ზემოთ ვთქვით, სვანეთში მეტად საშიში გზებია.

— კარგა ხანია არ შეკეთებულა გზები, — მეუბნება გოგი სევდიანად. — ახლა ხაიშამდე ენგურჰესის მშენებლობის საქმე გვიშველის.

ამბობენ, იქამდე ფართო და მაგარ გზას გასჭრიანო. მგონი, უკვე დაიწყეს კიდეც. ჰე, მაშინ უყურე შენ ჩვენს მთების მოყვარე ტურისტებს! მანქანა თოფისლულიდან ჰაერში გავარდნილ ტყვიას ჰგავს სვანეთის გზებზე, სად გაცივდება და ჩამოვარდება არავინ იცის.

გოგი კი საოცარი ხელოვნებით მიაქროლებს ჩვენს მანქანას. ქვემოთ ენგური ბობოქრობს და ღელავს, გარშემო თვალწარმტაცი მთის კალთები თითქოს ზედ ჩვენ გვერდებს ესალბუნება. ენგურჰესი უდიდესი ელსადგური იქნება კავკასიაში. ორ მაღალ მთას შუა ჩაჭედილი ენგური სოფელ ჯვართან შეგუბდება, მისი კაშხალის სიმაღლე გაუგონარი რამ იქნება.

— სამასი მეტრი სიმაღლე ექნება კაშხალს, გვითხრა სოსო ჰკადუამ. წარმოიდგინეთ, სამასი მეტრის სიმაღლის თვალუწვდენი რკინაბეტონის ჯებირი?!

— მგონი, ქვეყნად მსგავსი არაფერი უნდა იყოს! — სიამაყით ამბობს გოგი.

მანქანა ნაკადულებზე გადაიქროლებს ხოლმე. ხანდახან წყლის შხეფები გოგის სახეში შეაშხეფებს: ის მაინც გარბის და გარბის. ცხვირსახოცით, რომელიც კარგახანია სველია, სახეს იწმენდს.

— ჯიხვებზე თუ ნადირობენ? — ვეკითხები გოგის. ჩვენი მძღოლის სახე უცებ იღრუბლება.

— ნადირობენ, — მოკლედ მეუბნება ის და მერმე ნაღვლიანად უმატებს. — მამაჩემი სწორედ ჯიხვებზე ნადირობამ დაღუპა.

ცოტა შევკრთი, თან ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო. შევატყე, ვაჟკაცის თვალებში დიდი სევდა ჩამდგარიყო. მანქანა ისევ გარბოდა, მეც ჩუმად ვიჯექი და გოგი მჭედლიანიც. ეტყობა, მოგონებებმა გაიტაცეს იგი. ასეთ დროს ლაპარაკს არაფერი სჯობია. ნაღველი ეცლებათ ხოლმე საუბრის დროს ადამიანებს.

მეც ვთხოვე, ემბნა მამის შესახებ.

მამაჩემი სეით მჭედლიანი, ორმოციან წლებში ქლუხორში გადასახლდა. სამი შვილი ვყავდით დედ-მამას, მთელი ოჯახის წაყვანა ვერ გაებედა. ალბათ, შეშინდა, ვაი თუ, უცხო ადგილს გაუჭირდეს ოჯახსო. დედა და ორი უმცროსი ვაჟი სვანეთში დაგვტოვა, ქალიშვილი უფროსი იყო და თან წაიყვანა.

ზაფხულობით გადმოვიდოდა, წლის ნაშრომს ფულად გადმოიტანდა და ასე ვიყავით იმ უბედურ დღემდე. ქლუხორში მაშინ ბევრნი იყვნენ ჩვენები.

ერთ დღეს, სწორედ ახალწლის წინ ღამით, დაიეინა თურმე, ჯიხვებზე წავალ სანადიროდო.

სოფელი იალბუზი, კავკასიონის კალთის მაღალმთიანი სოფელია. მის ზემოთ, მის თავზე, კავკასიონის მთა-მეფე, იალბუზია. სახელიც, ალბათ, მიტომ ქვია იმ მთისა.

ჰოდა, იმ ღამეს იქ უთევია, დილით ჯიხვზე წასულა, კრიახებზე ჯიხვების ჯოგი დაულანდავს და გამოკიდებია. ორი ხარჯიხვი მოუკლავს, მესამის დევნაში ფეხი ყინულზე დასხლტომია და ქარაფებში გადაჩეხილა.

სვანები მიცვალებულს უცხო მხარეში არ ტოვებენ. თავის მიწაზე უნდა მიაბარონ ცხედარი. იქ დატოვება დიდ ცოდვად ითვლება. ქვეყნად, სვანი კაცისთვის სამშობლო ყველაზე ძვირფასია. მამა იტყოდა — სიცოცხლის მიზანი შენ მიწა წყალზე ცხოვრება და სიკვდილიაო. იანვარში, აბა, როგორ უნდა ჩამოეყვანათ მიუვალ ქარაფებიდან დაღუპული სეით მჭედლიანი.

იქ მოსახლე სვანებს, ცხედარი რომ არ გახრწნილიყო, ყინულებში შეუნახავთ. ჩვენ კი, დეპეშებით გვაცნობეს უბედურება. ათი დღე მოვუნდით ყინულთა სამყაროდან ბილიკებით მის ჩამოყვანას. თორმეტი ვაჟკაცი სვანიება მარხილში. თითოეულის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მამაჩემი მაინც არ მიატოვეს ყინულეთში. არც ქლუხორში დაასაფლავეს. თავის მიწაწყალზე უნდა მივასვენოთო .

მთელი სვანეთი შეხვდა მამის ცხედარს ხაიშში. მგონი კაცისშვილი არ დაკლებია მის დასაფლავებას.

ხალხი დაგვეხმარა, ობლობა არ გვიგრძვნია. რაიკომი თუ კოლმეურნეობა ყველა ჩვენ გვეხმარებოდა. ახლა რა გვიშავს, მხოლოდ მამა რომ გამახსენდება, ნაღველი დამრევს ხელსო, დაამთავრა გოგიმ.

თვალებში სისველე ჩადგომოდა გოგი მჭედლიანს. კარგია, საამაყოა, მამის სიყვარული ყოველთვის გზას უნათებს შვილებს. ამიტომ არის გოგის თვალი ასე გამჭვალავი და მახვილი. მის ხელში მანქანის საჭე წამლმა ბრუნავს, შეუცდომლად მოძრაობს, გზაზე დავარდნილი კენჭიც არ გამოეპარება, ისე აუქცევს გვერდს.

საღამოს უკვე ხაიშში ვიყავი.

ოთარი ღიმილით შემოგვხვდა.

საქმე კარგად მიდისო, მომახარა. კარგი დარი იდგა. ხაიშურა ახლა აღარ ბობოქრობდა, დაწმენდილიყო. მისი ლურჯი ტალღები ქვებზე ვერცხლისწყალივით სკდებოდა და შხეფებად იფჩხვნებოდა.

ორი თვის შემდეგ კი ოთარი თბილისში შემხვდა. სწორედ ამ დღეებში მოსკოვში ოცდამეორე ყრილობა მიმდინარეობდა.

— ყრილობას ვუპატაკე გეგმის შესრულება! — მომახარა ოთარმა.

მის სახეზე დიდი, ბედნიერი სინათლე კრთოდა, მეც გამიხარდა. მომეჩვენა, თითქოს ჩემი წვლილიც ყოფილიყოს ამ დიდ საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ესაიაშვილი

# ახალი თეორიული დებულებანი და დასკვნები სკკპ პროგრამაში

სკკპ ახალი პროგრამა წარმოადგენს ჩვენი ეპოქის უდიდეს პოლიტიკურ და თეორიულ დოკუმენტს, რომელშიც განვითარებულია მეცნიერული კომუნიზმის თეორია. იგი, როგორც ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, „მოასწავებს ახალ ეტაპს მარქსის, ენგელსის, ლენინის რევოლუციური თეორიის განვითარებაში“.

სკკპ ახალი პროგრამა გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წამყვან როლს თამაშობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით უკანასკნელ წლებში დიდი თეორიული მუშაობა გასწია, მან დაამუშავა და გადაწყვიტა მრავალი აქტუალური თეორიული პრობლემა, პასუხი გასცა საერთაშორისო და ჩვენი ქვეყნის შინაგანი განვითარების მომწიფებულ კითხვებზე. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ XXII ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია: „XXII ყრილობა ერთსულოვნად და დიდი კმაყოფილებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნაყოფიერ თეორიულ მუშაობას. რომელმაც ყველაზე სრული გამოხატულება ჰპოვა ჩვენი პარტიის ახალ პროგრამაში“.

სკკპ ახალი პროგრამა შეიცავს მრავალ ახალ თეორიულ დებულებასა და დასკვნას, რომელთაგან რამდენიმე მთავარ დებულებაზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

უწინარესყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სკკპ ახალ პროგრამაში პირველად მარქსიზმის ისტორიაში მოცემულია კომუნიზმის გაშლილი დახასიათება, კომუნიზმის აშენების მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმა. აქ გარკვეული და აღნიშნულია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებანი, კომუნიზმის აშენების პირობები, მისი განვითარების ეტაპები და ისტორიული ვადები.

არც ერთ მარქსისტულ დოკუმენტში არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მოცემული კომუნიზმის ასეთი სრული და კონკრეტული დახასიათება.

როგორც ცნობილია კომუნიზმის ცნებას მეტად ხანგრძლივი ისტორია აქვს. საინტერესოა, რომ პირველად წარმოიშვა არა სოციალიზმის, არამედ კომუნიზმის იდეა. ჯერ გაჩნდა ცნება კომუნიზმი და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ცნება სოციალიზმი.

ადამიანები საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ კომუნისტურ საზოგადოებაზე და სჯეროდათ, რომ ოდესმე იგი განხორციელდებოდა. მაგრამ იმ დროს ეს იყო მხოლოდ ოცნება, მისწრაფება, დაუცხრომელი სურვილი.

შემდეგ ადამიანთა ეს ოცნება ჩამოყალიბდა თეორიებად. შეიქმნა მოძღვრება სოციალიზმის შესახებ, მაგრამ ეს თეორიები უტოპიური ხასიათისა იყო: დიდი სოციალისტ-უტოპისტები სენ-სიმონი, ფურიე, კაბე და სხვები შესანიშნავად აკრიტიკებდნენ ექსპლოატატორულ წყობილებას, ამხელდნენ მის მანკიერებებს, შინაგან მღრღნელ წინააღმდეგობებს, მაგრამ არ შეეძლოთ დაენახათ და დაესახათ ის სოციალური ძალა, რომელსაც შეეძლო განეხორციელებინა სოციალიზმი-კომუნიზმი. მხოლოდ მას შემდეგ რაც წარმოიშვა სამრეწველო პროლეტარიატი, გაჩნდა რეალური სოციალისტური ძალა, შესაძლებელი გახდა სოციალიზმის თეორია მეცნიერულ ნიადაგზე დამდგარიყო, შემუშავებულიყო მეცნიერული სოციალიზმი.

ეს დიდი საქმე გააკეთეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. მათ განაზოგადეს რა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოცდილება, მოახდინეს რევოლუციური გადატრიალება ადამიანთა აზროვნებაში და შექმნეს მარქსისტული მოძღვრება, სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად გადააქციეს.

მარქსმა და ენგელსმა პირველებმა დაამტკიცეს მეცნიერულად კომუნიზმის გარდუვალობა, დაახასიათეს იგი ძირითად ხაზებში, დაასაბუთეს, რომ კომუნიზმი თავის განვითარებაში გადის ორ საფეხურს—დაბალ საფეხურს — სოციალიზმს და მაღალ საფეხურს საკუთრივ კომუნიზმს. მაგრამ მარქსი და ენგელსი ყოველთვის თავს იკავებდნენ მოეცათ კომუნიზმის გაშლილი, დეტალური დახასიათება, და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან მაშინ არც შეიძლებოდა კონკრეტული სახით ყოფილიყო წარმოდგენილი კომუნიზმი.

არამც თუ მარქსისა და ენგელსის დროს, არამედ შემდეგაც დიდხანს ეს შეუძლებელი იყო. მაგალითად, ვ. ი. ლენინი ოქტომბრის რევოლუციის წინა ხანებში წერდა: „რა ეტაპებით, რა პრაქტიკულ ღონისძიებათა გზით გასწევს კაცობრიობა ამ უმაღლესი მიზნისაკენ, ეს ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ“, რომ ჩვენ მივდივართ კომუნიზმისაკენ, მაგრამ არ ვიჩემებდით იმას, თითქოს ზუსტი გზა ვიცოდეთ“[1].

უფრო გვიანაც, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც, ვ. ი. ლენინი ასევე თვლიდა, რომ შეუძლებელი იყო კომუნიზმის სრული დახასიათება. 1918 წლის მარტში, პარტიის VII ყრილობაზე, სადაც იხილებოდა პარტიის პროგრამის გადასინჯვის საკითხი, ვ. ი. ლენინმა უკუაგდო ბუხარინის მოთხოვნა, პროგრამაში მოცემული ყოფილიყო კომუნიზმის სრული დახასიათება და გადაჭრით განაცხადა, რომ, ჩვენ არ შეგვიძლია დავახასიათოთ „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, ე. ი. კომუნიზმი... როგორი იქნება სოციალიზმი, როცა ის მიაღწევს მზამზარეულ ფორმებს, ჩვენ ეს არ ვიცით, ამის თქმა არ შეგვიძლია... ჯერ არაა დამზადებული აგურები, რომელთაგანაც სოციალიზმი აშენდება“[2].

ასე იყო მაშინ, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა ახლა. ჩვენს ქვეყანაში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა, შესაძლებელი გახდა დაწყებულიყო კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა და არამც თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც იყო შემუშავებულიყო კომუნისტური საზოგადოების აშენების კონკრეტული გეგმა.

ამრიგად, სკკპ ახალ პროგრამაში ახალია ის, რომ მასში პირველადაა სრულად და კონკრეტულად დახასიათებული კომუნისტური საზოგადოება, რასაც ჩვენ ვხვდებით სხვა მანამდელ მარქსისტულ დოკუმენტში.

სკკპ პროგრამაში ახალია აგრეთვე ის, რომ აქ პირველად მარქსიზმის ისტორიაში, მეცნიერული კომუნიზმის თეორიაში განსაზღვრულია საწარმოო

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 25, გვ. 588.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 27, გვ. 137.

ძალთა განვითარების, წარმოების მოცულობის ის დონე, რომელიც საჭიროა კომუნისტური საზოგადოებისათვის.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პროგრამაში მათემატიკური სიზუსტითაა განსაზღვრული, მასში დახასიათებულია კომუნიზმისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მთავარი ნიშნები, მისი შექმნის ძირითადი ეტაპები, ისტორიული ვადები.

აქ ახალია თვით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცნების შინაარსი. იგი მეტია, უფრო ფართოა ვიდრე ცნება საწარმოო საშუალებები. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცნებაში საწარმოო საშუალებათა გარდა შეტანილია წარმოების ორგანიზაციის, შრომის ნაყოფიერებისა და სხვა საკითხები. ამასთან, ნაცვლად ძველი, ცნობილი ტერმინისა — *ძირითადი ეკონომიური ამოცანა* — გამოყენებულია ტერმინი — *მთავარი ეკონომიური ამოცანა*. ის, რასაც ცნებაში — ძირითადი ეკონომიური ამოცანა ვგულისხმობდით, ხორციელდება უკვე უახლოეს ათწლეულში, — ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა გაუსწრებს მთავარ კაპიტალისტურ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივ. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა კი უფრო ხანგრძლივი ამოცანაა, მისი გადაწყვეტისათვის საჭიროა 20 წელი, ამიტომ რა თქმა უნდა აქ აღარ გამოდგებოდა ცნება — ძირითადი ეკონომიური ამოცანა.

სკპ პროგრამაში ახალია დებულება კომუნიზმისაკენ სოფლის განვითარების გზის შესახებ. აქ განვითარებულია ლენინური კოოპერაციული გეგმა და ნაპოვნია გზა, რომლითაც სოფელი შევა კომუნისტურ საზოგადოებაში.

როგორც ცნობილია ერთხანს, ადრე ფიქრობდნენ, რომ კოლმეურნეობა თავის განვითარებაში გადის სამ საფეხურს — მიწის საერთო ძალით დამამუშავებელ ამხანაგობას, სასოფლო-სამეურნეო არტელს და კომუნას. კომუნა იყო მიჩნეული საკოლმეურნეო მეურნეობის უმაღლეს ფორმად. მაგრამ ცხოვრებამ არ გაამართლა ეს შეხედულება და იგი უკუგდებული იქნა.

უკანასკნელ ხანებში წარმოიშვა შეხედულება, რომ თითქოს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ამაღლება და მაშასადამე, კომუნიზმისაკენ სოფლის განვითარება უნდა მომხდარიყო კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნის გზით. პარტიამ არ მიიღო ეს შეხედულება. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მრავალ გამოსვლაში კატეგორიულად უკუაგდო ასეთი მოსაზრება.

ზოგი ფიქრობდა, რომ უნდა მომხდარიყო კოლმეურნეობების ძირითადი, განუყოფელი ფონდების ნაციონალიზაცია, მათი სახელმწიფოს ხელში გადასვლა და ამ გზით შესაძლებელი გახდებოდა საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების აყვანა საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე. არც ეს შეხედულება იქნა მიღებული.

იყო, აგრეთვე, მოსაზრება, რომლის მიხედვით სოფელსა და ქალაქს შორის ურთიერთობა უნდა განვითარებულიყო მათ შორის პროდუქტთა გაცვლის გზით, მაგრამ ეს მოსაზრებაც არა სწორი აღმოჩნდა.

პარტიამ უკუაგდო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოსაზრებანი და იპოვა ერთადერთი სწორი გზა, რომლითაც სოფელი წავა კომუნიზმისაკენ.

პროგრამაში წამოყენებულია ახალი დებულება, რომელიც ნათლად და გარკვევით ამბობს, რომ სოფელი კომუნიზმისაკენ წავა, „სოციალისტური მეურნეობის ორივე ფორმის — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარებისა და სრულყოფის გზით, რომ „კოლმეურნეობა ეს კომუნიზმის სკოლაა გლეხობისათვის“.

აქ აშკარად მითითებულია იმაზე, რომ სწორედ კოლმეურნეობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სოციალისტური

ორგანიზაციის ისეთ ფორმას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სოფლის საწარმოო ძალთა სრული განვითარება, იგი იძლევა საშუალებას სავსებით და მთლიანად იქნას გამოყენებული ახალი ტექნიკა და მოწინავე გამოცდილება. კოლმეურნეობა კარგად ათავსებს კოლმეურნეთა პირად ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებთან. ამასთან კოლმეურნეობა აგებულია დემოკრატიულ პრინციპებზე, იგი ასწავლის, აჩვევს გლეხობას მმართველობას, მეურნეობის და საზოგადოებრივი საქმეების გაძღოლას და ამიტომ წარმოადგენს რა კომუნიზმის სკოლას გლეხობისათვის, იგი ამზადებს გლეხობას კომუნიზმში გადასასვლელად.

კოლმეურნეობების ფორმაში განვითარდება სოფლის საწარმოო ძალები, სოფლის მეურნეობის წარმოება გაფართოვდება და ამაღლდება და ამ გზით იგი თანდათანობით დაუახლოვდება საერთო-სახალხო საკუთრებას და ბოლოს შეერწყმება მას. პროგრამაში ნაჩვენებია თუ როგორ განვითარდება ეს პროცესი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ეს არ გვაინტერესებს, ჩვენთვის მთავარია იმის აღნიშვნა და ჩვენება, რომ პროგრამაში წამოყენებული და დასაბუთებულია სრულიად ახალი დებულება.

სკკპ პროგრამაში პირველადაა დაკონკრეტებული და ახლებურად გაშუქებული კომუნიზმის პრინციპის „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“ განხორციელების ფორმები.

მარქსისტულ ლიტერატურაში სულ უკანასკნელ დრომდე კი არ იყო სრული გარკვეულობა კომუნიზმის პრინციპის განხორციელების საკითხში.

ზოგი ფიქრობდა, რომ მოთხოვნილების მიხედვით განაწილების პრინციპი განხორციელდებოდა ერთბაშად, როგორც ერთდროული აქტი.

იყო ისეთი შეხედულებაც, რომლის თანახმადაც მოთხოვნილების მიხედვით, უფასოდ განაწილება იწარმოებდა ფასების სისტემატური დაკლებით, ამ ფასების მინიმუმამდე დაყვანით და შემდეგ ერთბაშად ფასების სავსებით გაუქმებით. ეს შეხედულება არსებითად დაიყვანება პირველ მოსაზრებამდე — მოთხოვნილების მიხედვით განაწილების ერთბაშად შემოღების შესახებ, როგორც ერთი, ისე მეორე მოსაზრება არ იყო სწორი.

ჩვენს ლიტერატურაში ხშირად მსჯელობდნენ იმაზეც, თუ სახელდობრ, რომელ პროდუქტებიდან დაიწყებოდა უფასოდ განაწილება და ასახელებდნენ კვების პროდუქტებს, კერძოთ პურს. არც ეს მოსაზრება აღმოჩნდა სწორი.

პარტიამ მოძებნა კომუნიზმის პრინციპის განხორციელების სულ სხვა, უფრო სწორი და რეალური გზები და პროგრამაში მოგვცა ახალი თეორიული დასკვნები ამის შესახებ.

ჯერ ერთი, პროგრამაში ნათლად და გარკვევითაა მითითებული, რომ კომუნიზმის პრინციპი განხორციელდება თანდათანობით, პროდუქტთა სიუხვის თანდათანობით შექმნის შესაბამისად.

პროგრამაში სრულიად ახალია ის დებულება, რომ მოთხოვნილების მიხედვით, უფასოდ განაწილებაზე გადასვლა მოხდება არა ფასების სისტემატური დაკლებისა და ინდივიდუალური რეალური შემოსავლის გადიდების გზით, არამედ საზოგადოებრივი ფონდების განვითარების გზით.

პროგრამა, რასაკვირველია, ითვალისწინებს ფასების დაკლებასაც, გადასახადების გაუქმებასაც, რეალური ფულადი შემოსავლის ზრდასაც, მაგრამ ამასთან, შედარებით უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდება საზოგადოებრივი ფონდების მოცულობა. მაგალითად 1980 წლისათვის საზოგადოებრივი ფონდების წლიური თანხა 1960 წელთან შედარებით გაიზრდება 10-ჯერ და იგი მოსახლეობის მთელი რეალური ფულადი შემოსავლის თითქმის ნახევარი გახდება. შემდეგში კიდევ უფრო გაიზრდება ეს ფონდები და თანდათანობით გა-

ბატონებულ ადგილს დაიჭერს, ბოლოს კი ერთად-ერთი და ყოვლისმომცველი გახდება, ე. ი. ადამიანთა ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება იწარმოებს მხოლოდ საზოგადოებრივი ფონდებიდან. ასეთია კომუნიზმის პრინციპის განხორციელების მთავარი გზა. ეს გზა აღმოაჩინა პარტიამ და მისი ფორმულირება, როგორც ახალი დებულება, მოცემულია პარტიის პროგრამაში.

აქედან აშკარაა, აგრეთვე, თუ უმთავრესად, რა საგნებით დაიწყება მოთხოვნილების მიხედვით განაწილება. პროგრამაში პირდაპირ ჩამოთვლილია სამომხმარებლო საგნებისა და მომსახურებათა ის სახეობანი, რომელთაგანაც დაიწყება უფასოდ განაწილება, და ჩვენ ვხედავთ, რომ იქ მითითებულია უმთავრესად არა კვების პროდუქტები, როგორც ამის შესახებ მანამდე ფიქრობდნენ, არამედ საზოგადოებრივი მომსახურების სახეობანი.

ამას მრავალი უპირატესობა გააჩნია. საზოგადოებრივი ფონდებიდან და ისიც საზოგადოებრივ მომსახურების სახეობიდან დაწყება უფასოდ განაწილებისა აჩვევს ადამიანებს კომუნისტური თანაცხოვრების წესებს, საზოგადოებრივის უპირატესობის მაღალ გაგებას და, რაც მთავარია, გამორიცხავს რა დაგროვებას და შეძენას, ხელს უწყობს კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის აღმოფხვრას.

სკკპ პროგრამაში ახალი დებულება, კიდევ მეტი, მთელი ახალი თავია მუშათა კლასის დიქტატურის საერთო სახალხო სახელმწიფოდ გადაქცევის შესახებ. ეს არის ახალი ეტაპი სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში. როგორც ნ. ს. ხრუშჩოვმა სპეციალურად მიუთითა „პარტიის პროგრამაში დასმული და გადაჭრილია კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის ახალი უმნიშვნელოვანესი საკითხი — მუშათა კლასის დიქტატურის საერთოსახალხო სახელმწიფოდ გადაზრდის შესახებ“.

პროლეტარიატის დიქტატურის იდეა წამოაყენა კ. მარქსმა, მან მეცნიერულად დაასაბუთა, რომ კლასთა ბრძოლას თანამედროვე, კაპიტალისტურ საზოგადოებაში გარდუვალად მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურამდე. მარქსმა და ენგელსმა პირველებმა მიუთითეს, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ხელისუფლება სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა.

ვ. ი. ლენინმა დაიცვა და განავითარა მარქსისტული მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მუშათა კლასი ამხობს რა კაპიტალისტურ წყობილებას, იპყრობს პოლიტიკურ ძალაუფლებას და ქმნის თავის დიქტატურას — მუშათა კლასის დიქტატურას. დიქტატურა მუშათა კლასს ჭირდება აუცილებლად. ვერავითარ სხვა იარაღით იგი ვერ შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას. მუშათა კლასს დიქტატურა ესაჭიროება იმისათვის, რომ დათრგუნოს ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობა, დაიცვას სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი და მოახდინოს საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა, ე. ი. ააშენოს სოციალიზმი.

სოციალიზმის აშენება მოითხოვს მუშათა კლასის დიქტატურას, ამიტომ როგორც კი ეს ამოცანა შესრულებული იქნება, ქრება მუშათა კლასის დიქტატურის საჭიროება.

მარქსიზმ-ლენინიზმი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ მუშათა კლასის დიქტატურა ისტორიულად დროებითი, გარდამავალი მოვლენაა, რომ, როგორც კი ამოიწურება მისი ამოცანები იგი ზედმეტი გახდება და შეწყვეტს არსებობას.

ჩვენს ქვეყანაში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა, ჩვენ შევედით კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. მაშასადამე, მუშათა კლასის დიქტატურამ განახორციელა თავისი ისტორიული მისია და

იგი უკვე აღარაა საჭირო. მუშათა კლასის დიქტატურამ ჩვენს ქვეყანაში უკვე შეწყვიტა არსებობა და იგი გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. ეს ახალი ეტაპია ჩვენი სახელმწიფოს განვითარებაში. ეს არის სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფო, რომელიც მთელი ხალხის ინტერესებს გამოხატავს.

ეს ნიშნავს, რომ გაფართოვდა საბჭოთა სახელმწიფოს სოციალური ბაზა, ფართოდ გაიშალა დემოკრატიზმი და, ამრიგად კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა იგი.

სკკპ პროგრამაში ახალია, აგრეთვე, ის, რომ აქ ნაჩვენებია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის კომუნისტურ თვითმმართველობად გარდაქმნის გზები, და ყოველივე აქედან უშუალოდ გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის დიქტატურის არსებობის შეწყვეტა არ ემთხვევა სახელმწიფოს კვდომის პროცესს, რომ ეს უკანასკნელი უფრო დიდ დროს მოითხოვს და საჭიროებს მთელ რიგ საგარეო პირობების შექმნას, კერძოთ ამისათვის საჭიროა სოციალიზმმა გაიმარჯვოს მთელ მსოფლიოში.

ამრიგად, პროგრამის ახალი დებულებანი სახელმწიფოს შესახებ აფართოებენ ჩვენს ცოდნას მუშათა კლასის დიქტატურის, სოციალისტური სახელმწიფოს განვითარებისა და პერსპექტივების შესახებ და ამდიდრებენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ.

სკკპ პროგრამაში განვითარებულია აგრეთვე ახალი დებულება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შესახებ. აქ ნათქვამია, რომ კომუნისტური პარტია, რომელიც წარმოიშვა და ვითარდებოდა, როგორც მუშათა კლასის პარტია, თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა მთელი საბჭოთა ხალხის პარტიად. ახლა იგი არის არა კლასის ავანგარდი, არა კლასის პარტია, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის ავანგარდი, მთელი ხალხის პარტია. ეს გარემოება ასახავს ჩვენს საზოგადოებაში მომხდარ ძირეულ ცვლილებებს, და ამასთან მიუთითებს იმაზე, რომ პარტია უფრო მჭიდროდ შეერწყმა ხალხს, კიდევ უფრო განმტკიცდა მისი კავშირი მთელ ხალხთან.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო მაღლდება პარტიის როლი, კიდევ უფრო ფართოვდება მისი ხელმძღვანელობის არე, ფართოვდება თვით შინაპარტიული დემოკრატია და ყოველივე ამით კიდევ უფრო მტკიცე და მონოლითური ხდება იგი.

ჩვენი პარტიის მუშათა კლასის პარტიიდან მთელი საბჭოთა ხალხის პარტიად გადაქცევა ორგანიულად დაკავშირებულია მუშათა კლასის დიქტატურის საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაქცევასთან. ორივე ეს პროცესი გაპირობებულია ერთიდაიგივე გარემოებით, ჩვენი საზოგადოების გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში შესვლით.

სკკპ პროგრამაში ბევრი ახალია კლასობრივ განსხვავებათა მოსპობის საკითხში. პროგრამა ითვალისწინებს, რომ ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი განსხვავებანი მოისპობა უახლოესი 20 წლის განმავლობაში. სწორედ ამ ხნის განმავლობაში სწარმოებს სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის შერწყმა და მათი ერთიან საერთო — სახალხო, ანუ კომუნისტურ საკუთრებად გარდაქმნა. ამასთანაა დაკავშირებული კლასობრივ განსხვავებათა მოსპობა. კლასობრივ განსხვავებათა სრული მოსპობისათვის საჭიროა მოისპოს არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, მაგრამ, როგორც ახალ პროგრამაშია ნაჩვენები, ეს პროცესები დროის მიხედვით მთლიანად არ ემთხვევა ერთმანეთს.

ერთიანი კომუნისტური საკუთრების შექმნასთან ერთად, ამავე დროში ისპობა კლასობრივი განსხვავებანი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, მაგრამ კიდევ დარჩება მათ შორის ზოგი არა კლასობრივი განსხვავება, მაგალითად

კულტურულობისა და კომუნისტური მშენებლობის დონის მხრივ.

ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებათა მოსპობა რამდენიმეჯ მეტ დროს მოითხოვს, ხოლო კიდევ უფრო ხანგრძლივი პროცესია ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებით განსხვავებათა მოსპობა.

ასე კონკრეტულად, ასე სიზუსტით გარჩევა ამ პროცესებისა—ესაა სწორედ ახალი პროგრამაში.

სკკპ პროგრამაში მოცემულია ახალი დებულება ერებისა და ეროვნულ კულტურათა განვითარებისა და პერსპექტივების შესახებ. აქ ნაჩვენებია, რომ „გაშლილი კომუნისტური მშენებლობა ნიშნავს ახალ ეტაპს სსრ კავშირში ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში". ეს ახალი ეტაპი იმაში მდგომარეობს, რომ მას ახასიათებს „ერების შემდგომი დაახლოება და მათი სრული ერთობის მიღწევა". ამრიგად აქ ფიქსირებულია ის შესანიშნავი ფაქტი, რომ ერებმა მიაღწიეს სრულ ერთობას, ამასთან პროგრამაში ნაჩვენებია, რომ „საზღვრების წაშლა კლასებს შორის და კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება აძლიერებს ერების სოციალურ ერთგვაროვნობას, ხელს უწყობს კულტურის, მორალისა და ყოფაცხოვრების საერთო კომუნისტური ნიშნების განვითარებას".

რაც შეეხება ეროვნულ განსხვავებათა, განსაკუთრებით ენობრივ განსხვავებათა წაშლას — ეს მნიშვნელოვნად უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე კლასობრივ განსხვავებათა წაშლა.

როგორც ვხედავთ პროგრამაში დასახულია ხაზი, რომლითაც განვითარდება ჩვენი საზოგადოება. აქ ნათლადაა აღნიშნული, რომ ჯერ ისპობა კლასობრივი განსხვავებანი, ამას მოჰყვება ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების მოსპობა, უფრო გვიან მოხდება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაცია; ხოლო ეროვნულ განსხვავებათა მოსპობა სულ ბოლოს ხდება, მას დიდი დრო ჰჭირდება, იგი ყველაზე უფრო ხანგრძლივი პროცესია.

ასეთი თანმიმდევრობის გარკვევა, ჩვენი აზრით, ახალია პროგრამაში, და მას მნიშვნელოვანი სინათლე შეაქვს ამ დიდი და რთული პრობლემების თეორიულ და პრაქტიკულ გადაწყვეტაში.

სკკპ ახალი პროგრამა იძლევა პასუხს საერთაშორისო განვითარების მომწიფებულ საკითხებზე, გვიჩვენებს მათი გადაწყვეტის ახალ საშუალებებს.

პროგრამაში წამოყენებულია მნიშვნელოვანი დებულება იმის შესახებ, რომ სოციალისტური ქვეყნები ცოტად თუ ბევრად ერთდროულად, ერთი ეპოქის პერიოდში გადავლენ კომუნიზმში.

აქვე ნაჩვენებია მსოფლიო სოციალისტური სისტემა.

თუ კაპიტალისტური სისტემა ვითარდება ეკონომიური და პოლიტიკური უთანაბრო განვითარების კანონის მიხედვით, სამაგიეროდ სოციალისტური ქვეყნები ვითარდებიან გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის თანახმად. ამ კანონის მიხედვით სოციალისტური ქვეყნები აღწევენ ეკონომიური და კულტურული განვითარების დონის გათანაბრებას, ჩამორჩენილები სწრაფად ეწევიან მოწინავეებს და იქმნება განვითარების დაახლოებით ერთნაირი დონე, რის შედეგადაც იქმნება შესაძლებლობა დაახლოებით ერთდაიმავე დროს აშენონ სოციალიზმი და ცოტად თუ ბევრად ერთდროულად დაიწყონ გადასვლა კომუნიზმში. აქედან აშკარად ჩანს სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურის წინაშე, ნათელი ხდება, რომ სოციალისტური სისტემა ვითარდება სპეციფიკური კანონზომიერებით, რაც აგრეთვე უზრუნველყოფს განვითარების გაცილებით მაღალ ტემპებს კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების ტემპებთან შედარებით.

პროგრამაში ახალია ის დებულებაც, რომ ახლა საერთაშორისო განვითარებას

განსაზღვრავს არა იმპერიალიზმი, არამედ უმთავრესად მსოფლიო სოციალისტური სისტემა. ეს დებულება ასახავს ძალთა თანაფარდობას საერთაშორისო არენაზე, და აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ განუწყვეტლივ იზრდებიან სოციალისტური ძალები, ისინი სულ უფრო უპირატეს როლს თამაშობენ და თავის დაღს ასვამენ მსოფლიოს ისტორიის განვითარებას.

საერთაშორისო ძალთა ამ შეფასებას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი ხდება ამოსავალი წერტილი საერთოდ საერთაშორისო მოვლენების შეფასებისათვის და იმისათვის, რომ დასახული იქნას კომუნისტური და მუშათა პარტიების მოქმედების სწორი სახელმძღვანელო პრინციპები, საერთაშორისო მუშათა რევოლუციური მოძრაობის სტრატეგია და ტაქტიკა.

სკკპ პროგრამაში ნაჩვენებია კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ქვეყნების განვითარების გზა. ეს ქვეყნები არ შედიან არც კაპიტალისტური ქვეყნების სისტემაში, არც სოციალისტური ქვეყნების სისტემაში, მაგრამ მათი უმრავლესობა ჯერ არ ჩამოცილებია კაპიტალისტური განვითარების გზას.

პროგრამა მიუთითებს, რომ ამ ქვეყნებისათვის აუცილებელია ბოლომდე იქნას მიყვანილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუცია და შეიქმნას ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფო, რომელიც შეძლებდა სათანადო გარდაქმნების ჩატარებას ქვეყანაში და სოციალისტური განვითარების გზაზე დადგომას. ეს იქნებოდა მათი ნამდვილი ხსნა, საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის სწრაფად ლიკვიდაციისა და ეკონომიური და კულტურული განვითარების საიმედო საფუძველი.

სკკპ პროგრამის ახალი დებულებით ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფოს შექმნის შესახებ, ნაჩვენებია კოლონიური სისტემისაგან განთავისუფლებული ქვეყნების განვითარების ყველაზე საიმედო გზა. ცხადია, ამ დებულებას სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი ქვეყნებისათვის, ხოლო თეორიულად იგი ამდიდრებს სოციალისტური რევოლუციის თეორიას, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ამა თუ იმ ტიპის ქვეყნების განვითარებათა გზებს.

ასეთია ზოგიერთი ის მთავარი ახალი თეორიული დებულება და დასკვნა, რომლებიც მოცემულია სკკპ ახალ პროგრამაში. ცხადია ამით არ ამოიწურება პროგრამის სიახლენი, მაგრამ ჩამოთვლილი დებულებანიც ნათლად მეტყველებენ იმის შესახებ, რომ ჩვენი პარტიის ეს მესამე პროგრამა წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემდგომ განვითარებას, საშინაო და საგარეო ურთიერთობათა საკითხებისადმი შემოქმედებითად მიდგომისა და გადაწყვეტის შესანიშნავ ნიმუშს, რაც ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიუთითებს დოგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე, იმაზე, თუ როგორ შეუწყო ხელი პიროვნების კულტის დაძლევამ თეორიულ აზრის განვითარებას, მომწიფებული საკითხების სწორ მეცნიერულ გადაწყვეტას, რასაც რა თქმა უნდა, არამარტო თეორიულ-მეცნიერულ, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის წარმატებით წარმართვისათვის.

ჩვენი ვალია სისტემატურად გავწიოთ მარქსიზმ-ლენინიზმის ახალ დებულებათა პროპაგანდა და ხელი შევუწყოთ მათ ღრმად შესწავლასა და შეთვისებას პარტიულ და საბჭოთა კადრების მიერ, იმის მუდამ გათვალისწინებით, რომ თუ გინდა სწორად და წარმატებით წარმართო სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, საჭიროა შეიარაღებული იყო სწორი და უტყუარი მეცნიერული თეორიით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

# ირაკლი აბაშიძის შემოქმედება

ირ. აბაშიძე ქართულ პოეზიაში შემოვიდა, როგორც ახალი საქართველოს, საბჭოთა საქართველოს რომანტიკოსი პოეტი. ოქტომბრის რევოლუციის ნიადაგზე აღმოცენებული ახალი სამყარო გახდა მისი პოეტური შთაგონების წყარო და სათავე. როგორც პოეტმა და მოქალაქემ, მან თავისი გზაც, განუყოფლად დაუკავშირა ამ ახალი საქართველოს აღორძინებას. ერთ თავის ადრინდელ ლექსში ირ. აბაშიძემ მრავალსაუკუნოვანი ქართველი ხალხის ახალი ისტორიის თავფურცელი გაზაფხულს შეადარა და ამით ხაზი გაუსვა განახლებული სამშობლოს სიდიადესა და სილამაზეს:

> გაზაფხულია,
> რად არ მიყვარდეს
> მისი გაჩენის დღე და აპრილი,
> მის მობრძანებას, მზესა და მის ვარდებს
> ვეამბორები მე თავდახრილი.

პოეტს აქ გაზაფხული ახალი საქართველოს, საბჭოთა საქართველოს სიმბოლოდ აქვს წარმოდგენილი.

პოეტი დაწვრილებით განმარტავს, თუ რა დიდი მსხვერპლის გაღება დასჭირდა ხალხს, რომ მობრძანებულიყო ეს გაზაფხული:

> ათას გმირის და ხალხთა მსახურის
> ქვეყნად რამდენი რისხვა გაისმა!
> რომ კაცს დაეხსნა ეს გაზაფხული,
> მაისს ეხარა ნამდვილ მაისად.
> რა ხნის ოცნება არის ქართველის
> ეს გაზაფხული, რა ხნის ზღაპარი,
> რა სანატრელი და სადარდელი
> ჩვენი წარსულის და წინაპარის!

ამიტომაც პოეტს ესმის ფასი ამ ახალი გაზაფხულისა, გულწრფელად უყვარს იგი და მთელი თავისი ალტაცებით უმღერის მას. და არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ადამიანების ცხოვრებაში ამ 30 წლის მანძილზე არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც პოეტი არ გამოხმაურებოდეს მგზნებარე პათოსითა და ლირიკული ინტონაციებით.

ირ. აბაშიძე თავისი ბუნებითა და ხასიათით ლირიკოსი პოეტია, მისი პოეტური სტიქია ლირიკული ლექსია, ხოლო ამ ლექსების ლირიკული გმირი — ახალი ადამიანი. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მაქსიმ გორკი შენიშნავდა, რომ მწერლობა ადამიანთამცოდნეობააო; ადამიანია ყველაზე მაღალი და ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მთავარი და ყველაზე პირველი საგანი მწერლობისა. ირ. აბაშიძის პოეზიაშიც თვალსაჩინო როლი და ადგილი სწორედ ადამიანის სულის გამოხატვას დაეთმო.

ირ. აბაშიძის ლირიკული ლექსი, „გადარჩენის ბალადა“ მიძღვნილია ძმისადმი, რომელიც ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ექსპედიციის მონაწილე იყო. პოეტმა ამ ფაქტში დაინახა ახალი ადამიანის სულის სიდიადე, მისი გმირული, ვაჟკაცური საქციელი. ეს კონკრეტული ამბავი დიდი შთამბეჭდაობით არის გამოხატული ამ სიუჟეტიან ლექსში, იგი გვიხატავს მსოფლიო ომის სურათებს, ოჯახის, პიროვნების ბედსა და მდგომარეობას, პუბლიცისტური პათოსითა და შემართებით ლაპარაკობს ადამიანის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე. ამ ლექსში გამოყვანილია პირველ მსოფლიო ომში, თურქეთის ფრონტზე დაღუპული მეზობელი მიქე, როგორც სიმბოლური სახე ყველა იმ ადამიანისა, რომლებიც მსოფლიო ომს შეეწირნენ. ამას მოსდევს მუქი ფერებით დახატული სურათი იმ გლოვისა და ვაებისა, ცრემლისა და მწუხარებისა, რაც ხალხის მდგომარეობას გამოხატავდა პირველი მსოფლიო ომის დღეებში:

> ის იყო სწორედ დღე ენკენისთვის, —
> მზემ დაასრულა და ჩაწვა მძიმედ,
> რომ შეიკივლეს დაკარგვა მისი
> და, მახსოვს, დიდხანს არ დაგვაძინეს.

მწერლის მიერ აქ საინტერესოდაა გაცოცხლებული მომტირალი დედის სახე, ომში დაღუპულთა დედების განზოგადებული სახე:

> და დედაჩვენიც შავით და თალხით
> ჩაუჯდა მოთქმით და ჭირისუფლად
> ეზოში იდგა ჯგუფ-ჯგუფად ხალხი...

პოეტი ქმნის წარსული ცხოვრების, გარდასული დღეების სევდიან და გულისმომკვლელ სურათს, გვიხატავს ძველი ცხოვრების ვაებისა და სიდუხჭირის გამომხატველ ეპიზოდს. ეს იყო წინათ. მოვიდა დიდი ოქტომბერი და ეს ძველი ცხოვრება — თავისი ბატონებითა და მეფეებით, მწუხარებითა და უბედურებით — ისტორიას ჩაბარდა, ადამიანი წელში გასწორდა, ქვეყნის, ცხოვრების, ოჯახის ბატონ-პატრონი შეიქნა, ცხოვრებამ ფერი იცვალა, ხალისიანი და ბედნიერი გახდა. ყველა ადვილად როდი შეურიგდა რევოლუციის შედეგს — ამ ახალ ცხოვრებას, როდი გაიგო, და როდი გაჰყვა მის გზას:

ის იკარგება უგზო-უკვლოდა,
ვინაც ვერ ნახა ქვეყნად გზა-კვალი,
ქვეყნად, ვისთვისაც არვის უკოდავს
ირთი ბილიკი ტერფის საკმარი.

ამგვარ ადამიანებს ისტორიაში არასოდეს არაფერი შეუქმნიათ ხეირიანი და კარგი, მაგრამ სულ სხვაა ჩვენი თაობა, რევოლუციის თაობა. მან თან მოიტანა მქუხარე ხმები, ახალი ცხოვრების დიდი სიყვარული და შრომის პათოსი:

შენ კი სხვა ქვეყნის სხვა ხარ თაობა,
შეუპოვრობის, გმირულ ჭენების,
სადაც მეტია გამბედაობა
და მრისხანებენ ყინულმჭრელები.

გასწი ხომალდი ქარში, ავდარში,
ყინვებს გაჰყვირე უცხო გალობა,
გასწი ხომალდი, ომსაც გადავრჩით
და მშვიდობას დროს უგზო-კვალობას.

ახალი ადამიანი, მისი გმირული საქციელი და მებრძოლი სული ირ. აბაშიძის პოეზიაში მთელი ძლიერებით შემოვიდა... ჩვენი დროის მხატვარი ყველგან გრძნობს და ხედავს ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანთა საარაკო ვაჟკაცობასა და გმირულ შემართებას. იგი ყველგან ხვდებოდა ამ გმირებს — ოჯახში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, გახურებულ ღუმელებთან, სადაც რკინას ჭედენ თუ ფოლადს აღნობდნენ, ჭიათურის, ტყვარჩელის მაღაროებში და შახტებში, სადაც ამოჰქონდათ ნახშირი თუ მარგანეცი — ყველგან პოულობს იგი ათასობით გმირებს, ახალი ქვეყნის მშენებლობის პათოსით აღფრთოვანებულებს. პოეტი დიდი მგზნებარებით უმღერის მათი შრომის რომანტიკასა და მებრძოლ სულს.

პოეტმა კარგად იცის, რომ ისტორიას ყოველთვის ხალხი, ხალხის შრომა ქმნიდა. ხალხია ყოველი სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი ამ ქვეყანაზე, მაგრამ პოეტმა ისიც იცის, რომ შრომა წინათ სხვას ეკუთვნოდა, ერთი შრომობდა, მეორე ითვისებდა. ამიტომ შრომა ძველად ადამიანის დამცირების სიმბოლო იყო, ახალმა დრომ ბორკილები აჰყარა შრომას, გაათავისუფლა, სახელისა და დიდების საქმედ აქცია. ამან დაბადა მილიონობით გმირებიცა და მოწინავე ადამიანებიც ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ ერთგვარი სიამაყის გრძნობით მიმართავს პოეტი ჩვენი წარსულის მემატიანეს:

გამიღე ფიგი,
მატიანე ძველი ქართული,
ჟამთა მრიცხველი, წინაპართა „ქართლის
ცხოვრება“,
ამდეხი კაცი მაღალი და სახელგანთქმული,
ამდენი გმირი, რომელ მათგანს ემახსოვრება.
იყო სარდალი, იყო გმირი, მტერთა
გამდევნი,
ბრძენი ქართველიც უმღეროდა მხნეს და
გოლიათს,
მაგრამ არასდროს დარაზმული გმირი ამდენი
გამარჯვებისთვის საქართველოს ჯერ არ
ყოლია.

საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებში ირ. აბაშიძე ხატავდა ჩვენი მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხების გმირულ შემოქმედებით შრომას. პოეტი მთელი გზნებით უმღეროდა საბჭოთა ადამიანის თავდადებას სოციალისტური სამშობლოსათვის.

ირ. აბაშიძე, როგორც საბჭოთა პოეტი, მიჰყვებოდა ახალ საქართველოს გზას, და მან თავისი პოეტური ბიოგრაფია მჭიდროდ დაუკავშირა ჩვენი ხალხის შრომისა და ბრძოლის გზას. ახლა, როდესაც ხელთ ვიღებთ ირ. აბაშიძის პირველ წიგნს და ვეცნობით დიდი გულწრფელობით დახატულ ჩვენი ქვეყნის სურათებს, ნათლად ვხედავთ, თუ რა სიყვარულით იყო პოეტი დაკავშირებული ახალ საქართველოსთან და მის გზასთან.

ლექსების ამ პატარა წიგნში ახალი ქვეყნის შრომითა და რომანტიკით აღფრთოვანებული პოეტი ესაუბრება მკითხველს. მთელ რიგ ლექსებში, იქნება ეს „საოქტომბრო პატაკი“, „რეპორტიორის დღიური“, „ჩემს ობლიგაციებს“, „ღამე რაიკომში“ თუ „სოფლად“, თქვენ გრძნობთ პოეზიაში ჯერ კიდევ გაუწაფავი კაცის ხელს, მაგრამ ამ ლექსში გრძნობთ დიდ პოეტურ გულს, რომლითაც ახალგაზრდა პოეტი დაკავშირებულია ახალ ქვეყანასთან, ახალ სამყაროსთან.

პოეტი მძაფრი პუბლიცისტური პათოსით ეხმაურებოდა თავისი დროის მღელვარე კითხვებს, ასე გაიკვლია მან გზა საბჭოთა მკით-

ხვლისაკენ და დაიმსახურა მისი სიყვარული. ირ. აბაშიძის ეს ადრინდელი ლექსები ყურადღებას იპყრობენ პოეტური სინათლით, ხალხურობით, ლირიკული სიწრფელითა და სიცოცხლით, რაც მთავარია, უაღრესად ინტიმურ გრძნობებთან ძებრძოლი პუბლიცისტური პათოსის შეერთებით.

ვინც ირ. აბაშიძის შემოქმედებითი განვითარების გზას დააკვირდება, ადვილად შეამჩნევს. რომ იგი, როგორც პოეტი, უაღრესად თავისებურია. ჩვენი პოეტი ცოტას წერს, მეტისმეტად ძუნწად წერს, მაგრამ ამ სიძუნწეში მოჩანს დიდი პასუხისმგებლობა და მისი პოეტური ბუნებაც. ის მხოლოდ მაშინ წერს, როდესაც მის სულში საამისო შინაგანი მოთხოვნილება იბადება, წერს გულის კარნახით. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ირ. აბაშიძის ლექსებში ძალზე იშვიათია ჩავარდნილი სტრიქონები, ყალბი შეგონებები, ენობრივი ნატურალიზმის გამოვლინებანი. მისი ლექსების კრებული ყოველთვის რჩეულის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც პოეტის დიდი და უპირველესი ღირსებაა. მწერლობაში, რასაკვირველია, რაოდენობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ეს შეეხება ლირიკასაც, მაგრამ უმთავრესი მაინც მხატვრული ხარისხია. ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსების ერთი კრებულის ავტორია, მამია გურიელს რაოდენობრივად მეტი დაუწერია, მაგრამ ვის მოუკა თავში და გაბედავს ეს ორი პოეტი შეადაროს ერთმანეთს. რაოდენობა თუ მხატვრულ ხარისხამდე არაა აყვანილი, ლიტერატურაში მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვინც დიდი ტკივილების გარეშე წერს, ვისაც დიდი სათქმელი არ გააჩნია, ის ერის სულში, მკითხველის გულში ვერასოდეს იპოვნის გამოძახილს.

ჩვენ უკვე ვნახეთ, 30-იან წლებში თუ როგორ ცდილობდა სრულიად ახალგაზრდა პოეტი საინტერესოდ, სიმახვილით დაეყენებინა იმ დროის, იმ ეპოქის მტკივნეული და მღელვარე საკითხები. ირ. აბაშიძე, როგორც ახალი ეპოქის მხატვარი, ბოლომდე ერთგული დარჩა ამ პრინციპის.

ირ. აბაშიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი რუსთაველის თემას. შეიძლება ითქვას, ქართველ პოეტებს შორის ირ. აბაშიძემ ერთმა პირველთაგანმა სცადა რუსთველოლოგიის საკითხების პოეტური გახსნა, უკვდავი მგოსნის ბიოგრაფიისა და სახელის პოეტური ამეტყველება. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტმა, საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობის დელეგატმა ეს სახელი საინტერესო ლექსის საგნად გახადა.

მოსკოვში, სვეტებიან დარბაზში, 800 წლის შემდეგ, ათას ცეცხლსა და ქარბუქს გადარჩენილი, შოთას სურათის გამოჩენა შეიგრძნო პოეტმა, როგორც დიდი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოვლენა. შინაურ და გარეშე მტერთაგან დევნილი ქართველი ხალხი რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ შთაგონებით იბრძოდა და შრომობდა, მისით ცოცხლობდა და დღეგრძელობდა. და, აი, როცა თვითონ ხალხი გახდა სახელმწიფოს ბატონ-პატრონი, ოფიციალურ პირთაგან დავიწყებული რუსთაველი, მეტი სიდიადით აღადგინა საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც ხალხის უდიდესი მემკვიდრეობა, რომელიც თავის კანონიერ და საპატიო ადგილს პოულობს ახალ საბჭოთა კულტურაში, ლიტერატურაში. ეს დიდი ისტორიული ფაქტი ირ. აბაშიძემ აღბეჭდა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის შთაბეჭდილებით შექმნილ ლექსში „რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში“. ყრილობის დელეგატი საბჭოთა პოეტი აღტაცებით წერდა:

კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი
და ტრიბუნასთან დაიკავა დარბაზის სვეტი.
როგორც ოდესღაც თავის მამულს, უცხო ყარიბი,
ახლა რუსეთის კარს მიადგა მისი სახება,
და კვლავ ის წიგნი მოიტანა, ვით მდუღარების
რვაასი წლის შემდეგ ხელახალი ამოძახება.

რუსთაველმა გამოარღვია ეკლესიის მესვეურთა ძველი ჯურღმული, ყველა ავისმდომისა და მტრის დაბრკოლება გადალახა და რვაასი წლის შემდეგ ახალი ძალით გამოანათა, თავის უკვდავ ხალხს უკვდავი ძალით დაუბრუნდა. ეს დიდი ფრთები ამ უკვდავ ავტორს ახალმა დრომ, ჩვენმა ეპოქამ შეასხა. ამ მომენტსაც ხაზს უსვამს თავის ლექსში ირ. აბაშიძე:

ვერ ამოშანთეს, უგუნურთა ხმლით ვერ გაკვეთეს,
დიდი მსახური გონიერთა გულთამხილების:
მაშინ დასავალ, აღმოსავლით ზღვებში ჩაკეტეს
და ჩრდილოეთით კავკასიის მთა-გრეხილებით.
რვაას წელიწადს დაეძებდა გმირს და თანატოლს,
ვით ავთანდილი, როგორც მოყმე, უცხო ყარიბი, —
შეხვდნენ, იხარეს: აწ ქვეყანა ერთად დანათონ,
ზღვის და ხმელეთის მან გაუხსნა რუსთველს კარები.

ასე გავიდა რუსთაველი მსოფლიო ასპარეზზე თავისი უკვდავი ქმნილებით და თან გაიტანა ქართველი ერის სახელი ჩვენი საზღვრების მიღმა.

ამ ისტორიულ ფაქტს დიდი გულწრფელობით და შთაგონებით მიესალმებოდა საბჭოთა

პოეტი, მაგრამ ირ. აბაშიძეს არ ასვენებდა ფიქრი: როგორი იყო მაინც ხვედრი და ბედი რუსთაველისა ძველ დროში; პოეტი მის სახელს, მის გზას, მის კვალს დაეძებდა. რაღაც დიდი შინაგანი სულიერი კავშირი დაამყარა პოეტმა რუსთაველთან ამ პირველი ლექსით, მის პოეტურ სულს ეზიარა, და ეს სიყვარული, მოუწოდებდა პოეტს, რათა დაწვრილებით გამოერკვია თავისი სახელოვანი წინაპრის, ჩვენი ერის დიდი სულიერი წინაპრის გზა და კვალი. და აი, რამდენიმე წლის შემდეგ პოეტი ეძებს რუსთაველის ნაკვალევს ინდოეთში; ეჩვენება, თითქოს მას ეხმაურება სადღაც ინდოეთის ტრამალებში ჩარჩენილი, თუ ცხელ ჰაერში გაბნეული რუსთაველის ხმა. ინდოეთში თითქოს შეეფეთა პოეტს შოთას სახელი, თითქოს **რუსთაველის ნაკვალევს** მიაგნო კიდევაც და გულწრფელად აღმოხდება:

ეს ქვეყანა თვით გენიოსს სწორუპოვარს
არ იქნება არ ენახოს რუსთველს,
არ შეყროდეს აქ ლხინსა თუ ომის გრიალს,
არ ეხილოს ეს ბიბინი სერთა,
არ ენახოს „სმენად მხეცნი მოვიდიან“,
არ ეგემოს, „ვაჰ სოფელის სევდა“.

და ახლა მეც დავდივარო ინდოეთის ამ ტრამალებში, მეც დავეხეტებიო მის აყვავებულ ველებსა და ბაღნარებში და რვაასი წლის, რვა ათასი წვიმის შემდეგ მის ნაფეხურს, მის ნაკვალევს ვეძებო, ხელით მინდაო შევეხო ყოველ ხეს აქ დარგულს, ეგებ რუსთაველის ხელი შეხებიაო მას, ეგებ აქ სადმე არაბეთის ზღვასთან იდგაო იგი, ანდა განგის პირას უცქეროდაო მწირთა ლოცვას:

თითქოს ვხედავ, თითქოს, მართლაც, ნათლად
ვხედავ,
ჩუმს და ფერმკრთალს, უჭმელსა და უსმელს.
არა, ეს გზა, როგორც მგოსანს, როგორც
მხედარს,
არ იქნება არ ენახოს რუსთველს.

ინდოეთის ნახვამ დაარწმუნა პოეტი რუსთაველის აქ ყოფნაში. ამიტომ იგი განსაკუთრებული თვალით აკვირდებოდა ამ ვრცელ ქვეყანას. პოეტს თითქოს აქ, ინდოეთის ტრამალებში, ესმის, რუსთაველის ხმა („რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“) და მასთან დიალოგს მართავს: რამ აგიყარა მესხეთს კარავი, მტრობამ, მტრად ვინმე გყავდა მამულში? — ეკითხება განცვიფრებული პოეტი დიდ წინაპარს. ან შურმა, ან ღალატმა, ან ცბიერებამ, ან ჭირმა, სიძულვილმა გადმოგხვეწა ეგებ ამ მიდამოში?! პოეტს რუსთაველი ყველა ამ კითხვაზე თითქოს უპასუხებს: არა, არც ერთი ეს მიზეზი არ იყო ჩემი აქ გადმოხვეწის საბაბი, — მხოლოდ ერთმა გარემოებამ აიძულა რუსთაველი გადახვეწილიყო თავისი ქვეყნის მიღმა — ეს იყო სიყვარული. და, აი, სიყვარულისაგან გადმოხვეწილი პოეტის ნაკვალევს სიყვარულითვე ამღერებული საბჭოთა პოეტი გულით დაეძებდა ინდოეთის ტრამალებში, მაგრამ ვერსად ვერ მიაგნო მის გზასა და კვალს, და პოეტს გულისტკივილით აღმოხდება:

ინდოეთში რუსთაველის კვალს დავეძებ,
აღარც აქ ჩანს რვაასი წლის შემდეგ...

ამის შემდეგ, თითქოს ხელი უნდა აეღო პოეტს რუსთაველის ნაკვალევის ძებნაზე, მაგრამ ეს ასე როდი მოხდა. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და პოეტი რუსთაველის ნაკვალევის ძებნას კვლავ შეუდგა და ახლა ამ მისიით იერუსალიმის შორეულ გზას გაუდგა. აქ, მართლაც, მიაგნო პოეტმა რუსთაველის სახეს, რაც პოეტმა შესანიშნავად გადმოგვცა ლექსში: „რუსთაველის ხმა ჯვარის მონასტერში“. აქ გამოხატულია გენიოსი პოეტის რუსთაველის კაცმოყვარული, ჰუმანისტური იდეების განუზომელი მნიშვნელობა ყველა დროისა და ყველა ეპოქის ადამიანისათვის, ყოველივე კეთილის საწყისის მეთაურისა და სწორუპოვარი პოეტის სიდიადე.

• •
•

ირ. აბაშიძემ იცის, რა გაკეთდა რუსთაველოლოგიაში, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა თუ ბიოგრაფიული მასალების მოძიების საქმეში, მაგრამ ჩვენს დროში მიღწეული და გაკეთებულია უფრო მეტი, ვიდრე გასული რვაასი წლის განმავლობაში. ჩვენი დროის ადამიანი ამით უთუოდ ამაყობს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ირ. აბაშიძემ გულწრფელი პოეტური სიტყვები მიუძღვნა ჩვენი წარმატების მეთაურსა და შთამაგონებელ კომუნისტურ პარტიას. ეს გულიდან ამოსული დიდი სიმართლით აღბეჭდილი სიტყვებია, კომუნისტური პარტიის სადიდებლად და საქებრად წარმოთქმული.

ირ. აბაშიძის ლექსი „საქართველოს კომპარტიას“ კომუნისტური პარტიისადმი ხალხის ერთგულებისა და სიყვარულის დამადასტურებელი ჰიმნია, ნათელი პოეტური ფერებითა და საღებავებით გამოხატული:

თვალი ადევნე მშობელ ქვეყანას,
ვისი მარჯვენის მადლი ატყვია...
სად აგვამაღლა, სად მიგვიყვანა,
აი, რად გვიყვარს ჩვენი პარტია.

მართლაც-და, კომუნისტურმა პარტიამ მრავალჭირგადახდილი ქართველი **ხალხი, საბ-**

ჭოთა კავშირში შემავალ ერებთან ერთად, თავისუფლების დიდ გზაზე გამოიყვანა. მან აყვავა ჩვენი ქვეყანა, ქალაქები და სოფლები, ხალხთა მეგობრობის დიდ ციხე-სიმაგრედ აქცია ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლო. ხალხთა ძმობამ და მეგობრობამ დაიცვა ჩვენი საქართველო ყოველგვარი განსაცდელისაგან:

რაც გაჩენიდან ათასწლეული
ქართველს აზრი აქვს და მახსოვრობა,
სიზმრად ჰქონია გადაქცეული
ქვეყნად მშვიდობა, თანასწორობა.
ორი ოცნება ჩვენს დროს შეერთდა
ჩვენთვის დიდებად და სასახელოდ,
დღეს კომუნიზმის კარიბჭესთან
ძლევამოსილად დგას საქართველო.

ირ. აბაშიძის პოეზიაში ნათლად არის გამოხატული ჩვენი პარტიის დამაარსებლისა და მეთაურის დიდი ლენინის დაუვიწყარი სახე. ლენინის თემას მიეძღვნა ლექსები „მთის არწივი“ და „21 იანვარი“. აქ განზოგადებული ნახატით წარმოდგენილია ჩვენი პარტიის, მისი გენიალური ბელადის ლენინის მონუმენტური სახე. პოეტი იგონებს 21 იანვრის სამგლოვიარო დღეს, რომელიც ყველა პატიოსან ადამიანს მოაგონებს და გაახსენებს ასე უდროოდ ჩვენგან წასულ დიდ ლენინს. ამ ფონზე ცოცხლდება საერთაშორისო მუშათა ბელადის ვლადიმერ ლენინის დაუვიწყარი სახე:

ამ დღეს მოსკოვი
კვლავ გვახსენებს სევდიან ამბავს,
და იმის ქვეყნად
თითქოს ერთი სუნთქვა გაბმული,
დიდი თეატრის
გაბრწყინებულ, გაჭედილ დარბაზს
მიაპყრობს თვალ-ყურს
დედამიწა სულგანაბული.

ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსული, მისი გმირული ბრძოლა თვითმპყრობელობის დასამხობად, პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა განუყოფლად არის დაკავშირებული ლენინთან და მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის სახელთან. კომუნისტურ პარტიას საქართველოში ჰყავდა თავისი სახელოვანი გვარდია, რომელიც, რუსეთის რევოლუციურ ბოლშევიკურ პარტიასთან ერთად, რაზმავდა, ზრდიდა ჩვენს ხალხს თვითმპყრობელობისა და მონობის წინააღმდეგ შეურიგებელი სულისკვეთებით.

ამ ლენინური გვარდიის ერთი სახელოვანი ჯარისკაცი იყო ალექსანდრე წულუკიძე. ირ. აბაშიძემ ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის ფონზე შესანიშნავად გამოხატა ამ შეუდრეკელი რევოლუციონერი რაინდისა და მაღალი სულის მებრძოლის სახე პოემაში „წულუკიძის სიკვდილი“.

რევოლუციური წარსულის ეპიზოდებითა და დეტალებით, პოლიტიკური დემონსტრაციებისა და არალეგალური მუშაობის მღელვარე სურათების გადმოშლით პოეტი ახერხებს დახატოს ბოლშევიკური გვარდიის სახელოვანი მებრძოლის სურათი. თვით წულუკიძის გარდაცვალებას პოეტი ადარებს მზის ჩასვლას, მზისა, რომელიც კვლავ უნდა ამოვიდეს დედამიწის გასათბობად. შედარების ამ სიმბოლური ხერხის გამოყენებით პოეტი მძაფრ ოპტიმისტურ სურათს ხატავს, ხოლო წულუკიძის გასვენებას ქუთაისიდან ხონში წარმოადგენს, როგორც მძლავრ დემონსტრაციას, რომელიც მჭერმეტყველური გამოხატულება იყო ხალხის უკმაყოფილებისა და პროტესტისა ცარიზმის წინააღმდეგ. ეს იყო ნიშანი ხალხის მზადყოფნისა თავისი სახელოვანი თანამებრძოლების — რევოლუციის ვეტერანების დაძახებაზე, ერთი კაცივით უმალვე ფეხზე დამდგარიყო, რათა შებრძოლებოდა თავისუფლების და სამართლიანობის დაუძინებელ მტერს — ცარიზმს.

ქუთაის-ხონის გზაზე სამგლოვიარო პროცესია, რომელიც თავის საყვარელ გმირს, უდროოდ გარდაცვლილ წულუკიძეს მიაცილებს, ერთიანი რევოლუციური ძალითა და ნებით გაერთიანებულ რაზმს წარმოადგენდა და ხალხის რევოლუციურ ძლიერებას გამოხატავდა... კუბო კი არ მიაქვთ, თითქოს ხალხს სარდალი მიუძღვისო, — ამბობს პოეტი. ადამიანთა გულისწყრომას თითქოს ბუნებაც შეუერთდა, ცა საწვიმარი ღრუბლებით დაიფარა. ატყდა ძლიერი ქარიშხალი, მაგრამ ხალხმრავალი პროცესია მტკიცედ მიაბიჯებს წინ, და ამით პოეტი გვანიშნებს, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს რევოლუციურ იდეებზე აღზრდილ ამხედრებულ ხალხს. სინათლე გაიმარჯვებს სიბნელეზე, ხალხი დაამარცხებს ვერაგ მტერს. ასეთია ამ პოემის პათოსი. პოეტი ახერხებს პუბლიცისტური წერის მანერით გააცოცხლოს ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის ეპიზოდი და მას განზოგადოებული მნიშვნელობა მიანიჭოს. ჩვენი ხალხის შეუპოვარი ბრძოლა იყო ის ძალა, რომელიც პარტიამ წარმართა თვითმპყრობელობის დასამხობად. პარტია მიუძღოდა ჩვენს ხალხს შრომასა და ბრძოლაში, სახელოვანი კომუნისტური პარტია მეთაურობდა ხალხს სამამულო ომის მრისხანე დღეებშიც. ეს იყო ჩვენი ხალხის, პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სულიერი და მატერიალური ძალების შემოწმება, ისტორიული გამოცდა, რომელიც ბრწყინვალედ ჩააბარა ხალხმა თავის სახელოვანი პარტიის წინამძღოლობით. მთელ ამ ბრძოლაში ჩვენი მწერლობა

გვერდში ედგა საბჭოთა ხალხს და ზრდიდა მას პატრიოტული გრძნობებითა და განწყობილებებით.

„პოეტი ომში" — ასე უწოდა ირ. აბაშიძემ ლექსების ციკლს, რომელიც სამამულო ომის თემას მიეძღვნა. ციკლი იხსნება ლექსით „საქართველოს პოეტებს". ეს იყო პოეტის მგზნებარე მოწოდება, იგი ეძახდა, მოუხმობდა თავის ხალხს, თავის მეგობარ პოეტებს მამულის დასაცავად:

ვინ გაგვიბედა მიწის გინება,
მასზე ბინძური ქუსლის დადება,
უცებ ქურდულად შემორკინება,
მიწით გველური გამოცხადება.
ძმებო, მგოსნებო უსაყვარლესნო,
ქვეყნის ქებანო, ტკბილო ჰანგებო,
ჩვენო მახვილო, ათჯერ ნალესო,
მარად გამტანო და საგანგებოვ,
გასჭერ, დაძლიე ურდო პირმყრალთა,
ნახონ ნამდვილი შეხლა-რკინება,
ერთხმად, ერთპირად, როგორც გვიყვარდა,
ქვეყნის ზეიმზე შეხმატკბილება.

ეს მოწოდება თავდებოდა რწმენით ჩვენი ხალხის უძლეველობაში, ხალხისა, რომელიც არა ერთხელ ყოფილა საფრთხის წინაშე, მაგრამ, მედგრად დაუცავს თავისი მამული. მტრის მოდრეკა მოითხოვს შეუპოვარ ბრძოლას, მსხვერპლს და პოეტიც მგზნებარედ მოუხმობდა ფრონტისაკენ საბჭოთა ადამიანებს და თავად მზად იყო, ყველაფერი გაეღო მამულისათვის, სამშობლოსათვის. თუ საქართველო წინათ მარტო იყო, მარტო იცავდა თავის მამულს, „მაინც ვერ მოკლეს ჩვენი ვარადა, ვერ ამოშანთეს ქართლში ვარძია", ახლა ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, თავგამოდებით იცავს თავის მამულს და უძლეველია. მამულის დახსნისათვის უნდა გავიღოთ ყოველგვარი მსხვერპლი, ყველაფერი — ფრონტისათვის, შრომითა და ბრძოლით დავიხსნათ ჩვენი სამშობლო („მხოლოდ ფრონტისთვის იზრუნე") — ასე მიმართავდა პოეტი ფრონტელ მეგობრებს. როცა ფრონტზე ხართ და ბრძოლის ცეცხლში ეხვევით, მუდამ გახსოვდეთ თქვენი ოჯახი, თქვენი შვილები და ისინი არ გაათელინოთ მტრის ბინძურ ქუსლსო („შეტევის წინ"). თვითონ პოეტი ფრონტის ხშირი სტუმარი იყო. თავისი თვალით ნახა მოსკოვსა, უკრაინაში, ყირიმში თუ კავკასიის მისადგომებთან გადამწვარი სოფლები, გადაბუგული ქალაქები, მტრისგან დახოცილი ბავშვები და ქალები. და პოეტი ბოღმით ლაპარაკობდა მოძალადეების, მტრების მიერ ჩადენილ ბოროტებაზე. მრისხანე 1942 ახალწლის ღამეს პოეტი ისევ მოწოდებით მიმართავდა ფრონტელ მეომრებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრისხანე ცხრაას ორმოცდაორი
შემოგრიალდა წელი ახალი,
ბომბდამშენების ისმის ხმაური,
ატოტებული ტანკის ჯახანი.

პოეტი აღწერდა უშუალოდ ომის სურათებს და, როგორც მოწმე და დამსწრე ამ საომარი დუელისა, დიდი მღელვარებით გადმოსცემდა ბატალურ სცენებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „ჰორიზონტზე იწვოდა მესერშმიტი". პოეტი დიდი შთაგონებით გვიხატავდა ფრონტელი მეგობრების ვაჟკაცურ შემართებას, აღვივებდა და აძლიერებდა მშრომელ ხალხში რწმენასა და იმედს, მოუწოდებდა მას საგმირო საქმეებისაკენ: „მხდალი ომში უცდის სიკვდილს, გმირს — სიცოცხლე და სახელი".

სწორედ სამამულო ომის მრისხანე დღეებში დაწერა ირ. აბაშიძემ თავისი შესანიშნავი ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე", რომელმაც გამოქვეყნებისთანავე უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. იგი, როგორც ნიჭიერი პოეტური ქმნილება, აიტაცა ქართველმა მკითხველმა, საბჭოთა მეომარმა და თავისი სასიმღერო რეპერტუარში შეიტანა. ლექსი გამარჯვების, რწმენის, ვაჟკაცური შემართების ნამდვილ სიმღერად იქცა. დიდი ინტერესი, რომელიც ამ ლექსმა გამოიწვია, უკვე ნათლად მეტყველებს მის პოეტურ ღირსებაზე.

„კაპიტანი ბუხაიძე" სიუჟეტიანი ლირიკული ლექსია: სამამულო ომმა მრავალი თავდადებული და სახელოვანი მეომარი გამოავლინა. ეს ის ადამიანები არიან, ვინც ჩვენმა წყობილებამ, ჩვენმა დრომ აღზარდა, რომელთაც მამულზე უფრო საყვარელი და საფიცარი არაფერი გააჩნდათ და რომლებიც არაფერს ზოგავდნენ მამულისათვის, სამშობლოსათვის. ტანკებს უვარდებოდნენ და აფეთქებდნენ, თვითმფრინავებს სპობდნენ; შეუპოვარი ბრძოლით იცავდნენ საბჭოთა მიწის ყოველ მტკაველს. სწორედ ამ მებრძოლი ვაჟკაცების განზოგადებული სახეა კაპიტანი ბუხაიძე. მას საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დაცვისათვის შეუწირავს, სანანებლად ის-ღა დარჩენია, რომ არა აქვს მეორე სიცოცხლე, რომელსაც იგი ასევე წარბშეუხრელად შესწირავდა თავის სამშობლოს. ასი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, ასივეს გაიღებდა მამულისათვის. თითქოს პოეტი მის ვაჟკაცურ სულს ესალბუნება, ეალერსება, ესაუბრება და გმირი მოუთხრობს საგმირო საქმეთა მხატვარს: მე საფლავიდან მხრების წამოწევა იმიტომ მსურს, რომ კვლავ ფაშისტ დამპყრობლებს წინ აღვუდგე,

მშობლიურ მიწა-წყალს დარაჯად დავუდგეო:

მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებთან ვწევარ,
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

ნებისყოფის ასეთი გოლიათური ძალით, სამშობლოსათვის პატრიოტული თავდადების გმირული სულით ცოცხლდება ლექსში ეს გმირი მეომარი. ასე იქცევა ეს სახე საბჭოთა ადამიანების გმირობისა და თავდადების ხორცშესხმულ სიმბოლოდ, ასე გახდა იგი სამამულო ომის დღეებშივე ათასი გმირისა და ვაჟკაცობის მისაბაძ მაგალითად. გულში ჩამწვდომი გრძნობით ჟღერს სამშობლოსათვის თავშეწირული ვაჟკაცის სიტყვები:

ვინც დამხედოთ, გადაეცით
საქართველოს მთებს და ველებს,
რომ მისი ძე, ბუხაიძე,
აქა ვულეტდი სისხლის მსმელებს,
არ ვუშვებდი დარიალთან
გაავფთრებულ ყვითელ გველებს,
მე საფლავში არა ვწევარ,
აქ დარაჯად დამაყენეს!

ჭეშმარიტად უკვდავია მამულისათვის თავშეწირულ გმირთა სახელი. ისინი მარად იცოცხლებენ მილიონთა გულში, კაპიტანი ბუხაიძე მუდამ დარჩება სამშობლოსათვის თავდადებისა და გმირობის სიმბოლოდ. აი რას გვასწავლის, აი რა გრძნობებს იწვევს ჩვენში ირ. აბაშიძის ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“. სწორედ ამიტომ გახდა იგი ყველა პატიოსანი ადამიანის, სამშობლოსათვის მებრძოლი პატრიოტი მეომრის შთამაგონებელი ლექსი. და ამიტომ იყო, რომ ეს ლექსი ჩვენ მკითხველთან რომ ათევდა ღამეს, მასთან რომ დაიმკვიდრა მუდმივი ადგილი და ბინა, ამიტომ ეხმაურებოდა იგი ასე ახლო ჩვენს ტკივილებს სამამულო ომის მრისხანე დღეებში. ლექსის პოპულარობას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ მისი ინტონაცია ხადა და ნათელია. ეს ის დიდი სისადავეა, რომელიც ყოველი ჭეშმარიტი ხალხურობის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. ეს მაღალი ხალხური პოეტური ინტონაცია განაპირობებდა ამ ლექსის დიდ პოპულარობას. ეს ჭეშმარიტად ბედნიერი მიგნება იყო პოეტისა.

პოეტური ინტონაციის მხრივ სამამულო ომის თემაზე დაწერილ ლექსთა შორის „კაპიტანი ბუხაიძე“ გამონაკლისი როდია, ხალხური ლექსის სილაღე და სინათლე გამოამჟღავნა ირ. აბაშიძემ მეორე ლექსშიც, „დაჭრილის ლექსში“. ჩვენი აზრით, ამ ლექსს უშუალო კავშირი აქვს „კაპიტან ბუხაიძესთან“. ესეც სიუჟეტიანი ლექსია: საბჭოთა მეომარს შემოხვდება სამი მზვერავი შავ-შავი ავტომატებით.

წელზე ეკიდათ ჯალათებს
შავ-შავი ხელყუმბარები,
ეხურათ მუზარადები,
შავი ფოლადის ფარები.
არც მე დავუხვდი შიშველი,
არც მე დავუხვდი ღარიბი.

ერთი სამს შეება, უთანასწორო ბრძოლაში ორი მოკლა, მესამემ კი დასჭრა საბჭოთა მეომარი. მტერი გაექცა. ახლა დაჭრილი მეომარი ჰოსპიტალში წევს და ოცნებობს მალე განიკურნოს, ისევ თოფ-იარაღი აისხას, იმ გაქცეულს, მესამეს, დაეწიოს და შური იძიოს. მას მტერი ჯერ კიდევ ჩვენს მიწა-წყალზე ეგულება და შურისძიების გრძნობა არ ასვენებს:

ან ანაპასთან იქნება,
ან ტაგანროგთან იქნება,
ან პოლტავასთან იქნება,
ან ლენინგრადთან იქნება, —
გამიშვით, შევხვდე ხელახლა
ცაში, ზღვაში თუ ყამირში...
ან მე, ან იგი მესამე,
წამომაყენეთ, გამიშვით.

ჩვენი სახელოვანი მეომრები უთანასწორო ბრძოლაში იბრძოდნენ, თავს არ ზოგავდნენ და ასე აღწევდნენ გამარჯვებას. აი, ლურსმანაშვილი, გმირი მეომარი... ხუთი ძმა მოუკლეს, შეჰფიცა თავის ძმებს, ომში დახოცილ მეომრებს, სამაგიერო მიეზღო მტრისთვის და ვაჟკაცმა მეომარმა ფიცი აღასრულა — ხუთჯერ ათი მტრის გვამი დააწყო კავკასიონთან:

თითო ძმას არგო ათ-ათი,
როგორ შეჰფიცა პირობა
იმღერეთ საქართველოში
ლურსმანაშვილის გმირობა.

ირ. აბაშიძე თავისი ლექსებით გვერდში edga ჩვენს მეომარ ხალხს, მიჰყვებოდა მის საბრძოლო გზას. მალე, წავიდა უთანასწორო ბრძოლის დღეები; მტერი უკან იხევდა, საბჭოთა არმია ათავისუფლებდა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, კვლავ ფეხზე დგებოდა, კვლავ მტკიცდებოდა განთავისუფლებული ქალაქები და რაიონები („ხარკოვი აღსდგა“). ასე მისდია მტერს ჩვენმა არმიამ საზღვრებამდე და, აი, იგი მიადგა საზღვარს. გახარებული პოეტი კვლავ მიმართავდა თავის ხალხს:

მოსულვართ, ძმებო, საზღვარი ჩვენი
გმირთაგან დღემდე უცდიდა შველას,
მე უნდა მყავდეს შათირის ცხენი,
რომ გამარჯვება გახაროთ ყველას.

მტერი უკუგდებული იქნა ჩვენს საზღვრებს იქით. ომი გადატანილი იქნა მტრის ტერიტორიაზე. პოეტს თავის ხალხთან ერთად ახსოვდა ომის შავი დღეები, აკლებული და აოხრებული სოფლები და იგი ახლა თავის მეომარ მეგობარს თხოვნით მიმართავდა, — შური იძიე ყველა იმ უბედურებისთვის, რაც ჩვენ მტერმა მოგვაყენა („როცა ბრანდენბურგს უახლოვდებით“), არ დაივიწყოო მათ მიერ დახოცილი ბავშვები და ქალები. სამშობლოსათვის დაღუპული ყველა ამ ადამიანის სახელი გეძახის, სამაგიერო მიუზღო მტერს, გაიხსენეო, როცა ბრანდენბურგს უახლოვდები:

მათ შუბითიძე და ბუხაიძე
მოკლეს ჩრდილოეთ კავკასიაში,
მრავალ ქალაქის მოსპეს ძირფესვი,
დასწვეს, დასტოვეს მხოლოდ ლოდები...
ეს გაიხსენე ახლა, ძვირფასო,
როცა ბრანდენბურგს უახლოვდები.

ომმა დიდი მსხვერპლი მოითხოვა. მტერზე გამარჯვება ჩვენს ხალხს ძვირად დაუჯდა. არა ერთი და ორი ახლობელი და მეგობარი შეეწირა სამშობლოს დაცვას. და, აი, ირ. აბაშიძის ლექსი „ლესელიძის ხსოვნას“ დიდი გულისტკივილით გვიხატავს ამ მეომარი კაცის, ამ პატრიოტი კაცის სახელოვან საბრძოლო გზას და ასევე გულისტკივილით აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში მისი დაღუპვით გამოწვეულ სევდასა და სინანულს.

სამამულო ომის თემაზე ირ. აბაშიძემ შექმნა მეტად მღელვარე და საინტერესო ლექსები. მის შემოქმედებაში თემატურად ყველაზე დიდი ადგილი ამ ხასიათის ლექსებს უჭირავს. მაგრამ აქ მთავარი ლექსების რაოდენობა კი არ არის, არამედ ის დიდი შინაგანი ძალა, რომლითაც ავტორმა განსაცდელში ჩავარდნილი ჩვენი ხალხის ვაჟკაცური შემართებისა და საბრძოლო თავდადების ეპიზოდები და სურათები დახატა. ირ. აბაშიძემ, როგორც საბჭოთა პოეტმა, კარგად შენიშნა, რომ ამ დიდ ომში ჩვენი ხალხის გამარჯვება განაპირობა საბჭოთა ხალხის ძმობამ და მეგობრობამ, საბჭოთა პატრიოტიზმმა.

ძმათა ძახილი არის გაბმული,
დიდი ხალხების ბრძოლის ყიჟინა,
შორს ყაზახეთში უხმობს ჯამბული
ქექს დასავლეთში პავლო ტიჩინა.

ასე უმღეროდა პოეტი ერთსულოვნად, ერთხმად ამდგარი საბჭოთა ხალხების ძმობასა და მეგობრობას, მათ ერთიან თავდადებასა და ბრძოლას ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ჩვენი პოეტი გამარჯვების საწინდარს ხედავდა საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობაში, რამაც ორასმილიონიანი საბჭოთა ქვეყანა ერთიან საბრძოლო ბანაკად გააერთიანა.

ომი დამთავრდა საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებით. ხალხებს ომის ჭრილობა ჯერ კიდევ არ მოეშუშებინათ, გადამწვარი სოფლები და ქალაქები არ აღედგინათ, დედებს შავი ლეჩაქი არ მოეხსნათ, ომის მომხრეები კი ისევ იარაღის ჟღარუნს მოჰყვნენ. ამ ფაქტმა ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი აღაშფოთა, მშვიდობის ძალები დაირაზმნენ. ომის გამჩაღებელთა დასათურგნად შეერთდნენ, და ეს მოძრაობა დიდ საერთაშორისო ძალად იქცა. სწორედ ამ ფაქტს მიუძღვნა ირ. აბაშიძემ თავისი ცნობილი ლექსი „მშვიდობა“. აქ ისევ ომის მრისხანე დღეების მოგონებაა, მოგონება იმისა, თუ რა ტანჯვა და უბედურება გადახდა მშობლიურ ხალხს, მოგონება ყირიმის, სევასტოპოლის, სტალინგრადის, ლენინგრადის, და კავკასიის მისადგომებისა, ომის მრისხანე წლებისა. ამ ისტორიულ ქალაქებს და ომის დღეებს მოაგონებს პოეტი მშვიდობის მტრებსა და ომის გამჩაღებელთ:

მშვიდობა ქვეყნად, მშვიდობა ქვეყნად,
ეს უკვდავ გულის ძახილი არი,
გულის, რომელმაც არ იცის კვეხნა, —
მან მტერზე კარგად იყარა ჯავრი.

პოეტმა აღადგინა ომის სურათები სწორედ იმიტომ, რომ მტერი გააფრთხილოს, ომის მომხრეებს ლაგამი ამოსდოს, თავად კი მშვიდობისათვის, სიკეთისათვის იბრძოლოს და იშრომოს თავის ხალხთან, მშრომელ ხალხთან ერთად. პოეტს ომი არ სურს და ამიტომ უმღერის მშვიდობის ძალას.

დიდება უკვდავ მშვიდობის საქმეს,
მილიონ გულთან ვგუგუნებ ერთხმად,
მშვიდობა კერებს, მშვიდობა ხალხებს,
მშვიდობა ქვეყნად, მშვიდობა ქვეყნად.

მაგრამ ეს პაციფისტური ხასიათის მშვიდობის მომხრეობა და ომის საწინააღმდეგო პაციფისტური ძახილი როდია. არა, პოეტს ესმის და სჯერა, რომ ჩვენი ძალები უძლეველია, და თუ საჭირო გახდება, ის კვლავ საკადრის პასუხს გასცემს მტერს. ლენინგრადისა და სტალინგრადის გმირები კვლავ დაიცავენ ჩვენს მამულს, გმირი საბჭოთა ხალხის ძალები აურაცხელია, ამისდა მიუხედავად. ჩვენს ხალხს მაინც არ სურს ომი. არა სურს იმიტომ, რომ ის მშვიდობიანი მშენებლობის, მშვიდობიანი შეჯიბრების მომხრეა. საბჭოთა ადამიანები სასწაულებს ახდენენ, ყამირ მიწებს იპყრობენ, ახალ ფაბრი-

კა-ქარხნებს აშენებენ, ახალ ჰიდრო-ელსადგურებს ქმნიან, — მშენებლობის დიდ პათოსს მოუცავს ჩვენი ქვეყანა... პოეტი უმღერის ამ ძალღვმაგარ მშრომელ ადამიანებს. აი მათი საარაკო მამაცობის ერთი ნიმუში. გეოგრაფიულად სხვადასხვა ადგილას, ცალკე ზღუდეებით შემოფარგლული ზღვები შეერთდნენ, შეერთდნენ მშვიდობის მცველად:

შეერთდნენ ზღვები მშვიდობის მცველად,
ერთ დიდ ოჯახში შეერთდნენ ზღვები,
კასპიის ტალღა თეთრ ზღვაში ღელავს,
შავ ზღვაში ისმის ბალტიის ხმები.

ირ. აბაშიძე ჩვენი ხალხის ამ დიდ პათოსით ცხოვრობს. პოეტი ახლაც, ამ მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიც, გვერდში უდგას თავის ხალხს და უმღერის შემოქმედი ხალხის ამ ზღაპრულ პათოსს.

• •
•

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ირ. აბაშიძის პოეტურმა მოღვაწეობამ უფრო მძლავრად გაშალა ფრთები, უფრო საინტერესო, უფრო მრავალფეროვანი გახდა მისი სულიერი სამყარო, უფრო პოეტური და ხატოვანი მისი მხატვრული პალიტრა: ამაზე მეტყველებს ლექსების ახალი ციკლები, რომლებიც მან სამამულო ომის მომდევნო წლებში გამოაქვეყნა: „ჰყვავის გურია“ და „სიმღერა მკის დროს“.

აქ ორიგინალურად და საინტერესოდ არის დახატული მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სურათები, რომელთაც დიდი უშუალობის, გულწრფელობისა და ბუნებრიობის ბეჭედი აზის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლექსების ციკლი “სიმღერა მკის დროს“. ამ ციკლის ყოველი ლექსი აგებულია დამახასიათებელ კონკრეტულ დეტალზე, შემდეგ ეს დეტალი განზოგადებულია ერთ მთლიან სურათად, რომელიც ღრმად გვაგრძნობინებს ჩვენი დიდი და მრავალეროვანი სამშობლოს მშვიდობიანი შრომის პათოსს. თვითეული ცალკე აღებული ლექსი აქ როდია მარტო ერთი კუთხის, ერთი კოლმეურნეობის, ერთი სოფლის ცხოვრების, ერთი ადამიანის შრომის რომანტიკის გამომხატველი, მასში ვრცლად ისახება განზოგადებულად, ამაღლებულად და რომანტიკულად ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს შემოქმედებითი შრომის დიდი და მართალი საქმე. ასეთ განზოგადებას აღწევს პოეტი, როდესაც ბახტრიონთან კომბაინის მუშაობას აღწერს, თუ ძველი ისტორიული გრემის შრომითს სურათს გვიხატავს. აქ ყოველ კონკრეტულ დეტალში გამოხატულია პათოსი ჩვენი ხალხისა, ჩვენი ადამიანებისა, გამოხატულია სულიერ მოთხოვნილებად გადაქცეული მათი დაუღალავი შრომა.

შრომა და მშვიდობა — მშვიდობა და შრომა, ეს ამოძრავებს ყოველ მშრომელ კაცს. ამ გრძნობით, ამ განწყობილებით შრომობს და ცხოვრობს ყოველი საბჭოთა ადამიანი. ეს აზრი კარგად არის გამოხატული ლექსში „მშვიდობა ჯუგაანში“:

როგორ ერთპირად და დაწყობილად
სუნთქავს ეს ორი ბედნიერება,
დასტურ მშვიდობის ნიჭი ყოფილა
სილამაზე და მშვენიერება.

ეს ციკლი იხსნება საინტერესოდ მოფიქრებული ლექსით „სიმღერა ჭირნახულისა“. ქართული სიტყვა „ჭირნახული“ აქ ლექსში გათამაშებულია პოეტურად. პოეტი ამბობს, ალბათ, ეს სიტყვა მაშინ გაჩნდა ქართული სიტყვის ლექსიკაში, როდესაც ქართველ კაცს ერთ ხელში ხმალი ეჭირა, ხოლო მეორე ხელი გუთნის ტარზე ჰქონდა ჩავლებული, ხნავდა, თესავდა და იქვე თოფი ჰქონდა მიყუდებული, — ხმლით, ანდა თოფით იცავდა თავის შრომას, ჭირსა და მწუხარებაში, ტანჯვასა და შრომაში ლევდა თავის ცხოვრების მძიმე დღეებს. ეს იყო ძველად. ეს სიტყვაც „ჭირნახული“ მოსავლის სინონიმად იმდროინდელი უნდა იყოს. მაგრამ შავბნელი დრო სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, სიტყვა კი შავბედობის გამომხატავი დარჩა ჩვენს ლექსიკონში:

მაგრამ გათავდა, შენმა მთესველმა
იმ შავბედობის წიგნი დახურა,
ნულარ ითვლები შენც ჭირნახულად,
ოქრო დაისხეს შენმა ფესვებმა.
ყველა გრიგალებს, ყველა ქარაშოტს,
აცდი, აშორდი შავბედითობას,
ლაღად იხარე, დღეს შენს მშვიდობას
შენთა გმირშვილთა თვალი დარაჯობს.

ახალმა დრომ უცვალა ფერი ჩვენს სოფელსაც. შრომა ადამიანის ღირსების საქმედ იქცა, ბორკილახსნილი შრომა სულიერი მოთხოვნილება გახდა, ადამიანს შრომა ალამაზებს, აკეთილშობილებს, იგი შრომის დიდი რომანტიკით ცხოვრობს ამ მიწაზე, და, ვისაც ეს არ უგრძვნია, ვისაც ეს არ განუცდია, მას არც ესმის ცხოვრების ნამდვილი ფასი; ვისაც სურს ნახოს შრომის ლაზათი და ეშხი, მან ახლანდელი ჩვენი სოფელი უნდა მოინახულოს, რომ გულით იგრძნოს, თუ როგორ იქცა შრომა გლეხის შეგნებაში ღირსებისა და გმირობის საქმედ:

მშვენიერება ნუ გწამს სხვაგვარი,
ნუ გწამს არსება სხვა სილამაზის,
ნახე შრომაში ჩვენი მთა-ბარი,
მკაში იხილე ველი ალაზნის.

ნახე გლეხკაცი დამკვიდრებული;
მოსულ ყანაში მხნედ რომ გაივლის,
დადექ, ისმინე ხმა დიდებული
ტკბილ-საამური ხმა კომბაინის.

("სიმღერა დიდ მოსავალზე")

პოეტი მოხიბლულია შრომის ამ დიდი რომანტიკით და იგი შრომის ამ პათოსს დიდებულ ჰიმნს უთხზავს. მან იცის, რომ სოფლის, ქვეყნის მშვენება, მისი სილამაზე და ეშხი ახალი ადამიანია. ყველა ეს მშრომელი ადამიანი პატიოსანი და კეთილშობილია, პოეტს ლექსების ზემოხსენებულ ციკლში უხვად შემოჰყავს მოწინავე მშრომელი ადამიანების სახეები და ხასიათები. მაგალითად, გიო, იყალთოელი გლეხკაცი, რომელსაც არ დაჰკლებია ციმბირი და გადასახლება, ახლა მოხუცებული, მაინც არ იტეხს იხტიბარს, ახალგაზრდებთან ერთად იბრძვის და შრომობს. მას სურს, რომ ამ შრომის რომანტიკაში კიდევ უმზიროს მზეს დიდებულს, ამ ქვეყანას მშვენიერს. მას მხოლოდ ერთი სევდა აწუხებს:

მაინც პატარა ყოფილა
ასი წლის წუთისოფელი...

სოფლის ამ თვალისჩინს არც კომბაინერი გლეხი ჩამორჩება. კეფაზე თუშური ქუდით, ფეხზე გლეხკაცის წაღებით, ტანზე მუშური ხალათით ახლა იგი კომბაინს მართავს და არ უმტყუნებს ამხანაგებს და მეგობრებს, ალაზნის ველზე გუგუნებს მისი დაუღალავი მანქანა და გლეხკაცი კომბაინერი საჭესთან ძველებურ ურმულს ღიღინებს. ასე შრომობენ, ასე იბრძვიან, ასე ცხოვრობენ ეს შესანიშნავი ვაჟკაცები, ეს პატიოსანი მშრომელები. და ამ ფონზე პოეტი ხაზს უსვამს, თუ როგორ შეუმსუბუქა მანქანამ ჩვენს ადამიანებს შემოქმედებითი შრომა. სულ სხვა იყო გუშინ ჩვენი ცხოვრება. "მამულის ბჭე იყო მკაცრი მახვილი და მჭრელი გუთანი". ახალმა ცხოვრებამ სახე უცვალა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს. ახალ ადამიანებს კარგად აქვთ შეგნებული ამ ცხოვრების უპირატესობა ძველთან შედარებით. ამიტომ მათ შეუძლიან თქვან: ჩავძახოთ, გმირნო, ვინც წინათ გრემთან რომ დაწყდით, ქუდზე რომ ერთიც არ დაგრჩათ კაცი, თქვენ, პურის მკელნო, სესევ და ლვთისოვ, ისე წახვედით ამ ქვეყნიდან, რომ სიამე და ბედნიერება არ გინახავთ... მშვიდი გუთანი, მშვიდი სახნისი, რომელიც წინათ მამულს უწევდა ხმლობასაც და მშვილდობასაც, ახლა ბუმბერაზმა რკინის გოლიათმა — კომბაინმა შეცვალა:

შენ, ბუმბერაზო, დაუსვენარო,
შენ, გოლიათო მარცვლის მკრეფელო,
შენ, გულმართალო, შენ უწყინარო,
მინდვრის ბარაქის დამსახლებელო...

ასე უმღერის პოეტი ბახტრიონთან, [illegible] ჰალაში, შრომისა და მშვიდობის ერთგულ დარაჯად დამდგარ კომბაინს; ალაზნის ველის თვალისმომჭრელი სილამაზის ფონზე პოეტი ხატავს გაჩაღებულ შემოქმედებითი შრომის დასამახსოვრებელ სურათებს, და ამ ვითარებაშიაც პოეტი არ ივიწყებს, რომ ოკეანის გაღმა მშვიდობიანი ხალხის წინააღმდეგ, შემოქმედებითი შრომის წინააღმდეგ ერთ მუჭა იმპერიალისტურ ხროვას გადაუწყვეტია, კვლავ გააჩაღოს ომის ხანძარი. ეს აზრი ორიგინალურად აქვს გამოხატული პოეტს ცნობილ ლექსში "ღია წერილი ამერიკელ მწერალს". პოეტი იგონებს ომამდელ გაზაფხულს, საქართველოში 1941 წლის გაზაფხულს. ჩვენში მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა იყო გაჩაღებული, ომზე არავინ ფიქრობდა. ამ ვითარებაში ჩამოვიდა ამერიკელი მწერალი. მან, ქართველ პოეტთან ერთად, მთელი საქართველო შემოიარა, ესტუმრა ალაზნის ველსაც. სტუმარი განაცვიფრა გომბორის მთების, ალაზნის ველის, კახეთის ბაღ-ვენახების სილამაზემ და ეშხმა. სტუმარიც თითქოს ხარობდა ჩვენი სამშობლოს სიმშვენიერით, ძმობასა და მეგობრობას უდასტურებდა ჩვენს ქვეყანას... დაიწყო ომის მძაფრი დღეები. საშინელ ომში ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა და ახლა პოეტს ჰგონია მისი "ძველი მეგობარი" აღმოჩნდება მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, პოეტი ასე მიმართავს მას,

შენ კი, შენ ჩემთან
აქ მშვიდობის მზეს იფიცებდი,
მეც ვიფიცებდი,
ჩემს საფიცარს არ გიმალავდი
და არ მეგონა,
რომ მშვიდობას არ დაიცავდი,
მშვიდობისადმი
არ მჯეროდა შენგან ღალატი.

ასეთი იყო ვითარება მაშინ, როდესაც ამერიკელი სტუმარი საქართველოში იმყოფებოდა, მაგრამ სხვანაირი აღმოჩნდა, მისი ნამდვილი სახე. გულნატკენი პოეტი ეუბნება მას:

ნუთუ ის შენი აღტაცება და შთაგონება
იყო ნიღაბი, თქვენებური, დაბალკაცური!

ასე საინტერესოდ გვიხატავს პოეტი ოკეანის მიღმა მცხოვრები ინტელიგენტის ფილისტერულ სახეს, უპირისპირებს მას საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი ერთგული ძმების, ხალხის ნამდვილი შვილების, მოწინავე ინტელიგენციის გულ-

წრფელ მოქმედებას. მაინც პოეტი არ კარგავს საბოლოოდ იმედს და სურს ნახოს თავისი მეგობარი იქ,

სადაც დგანან ძმობის დარაჯნი,
ჩვენი ნერუდა, გილიენი და გონსალესი.

ეს ლექსი პოლიტიკური პამფლეტის საინტერესო ნიმუშია. აქ დიდი პოლიტიკური სიმძაფრით, მახვილი პოეტური თვალით დანახულია ომისა და მშვიდობის კონტრასტული სურათი, გამოხატულია ყველა ორპირისა და ორგულის მოქმედების განზოგადოებული სურათი.

ირ. აბაშიძემ თავისებური ინტონაცია შეიტანა ქართული მწერლობის ისეთ მარადიულ და ძველთაძველ თემატიკაში, როგორიცაა პატრიოტიზმის თემა. აქაც მონახა მან თავისებური კუთხე, თავისებური მიდგომა, ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის მიერ არა ერთგზის გაცოცხლებული და გამოხატული შესანიშნავ განცდებსა და განწყობილებებში. ამ ორიგინალური მიდგომისა და თავისებური ინტონაციის გამომხატველ ერთ-ერთ ნაწარმოებად ჩვენ მიგვაჩნია ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“, დაწერილი სამამულო ომის წლებში, ხოლო ამავე პატრიოტული ინტონაციის გაძლიერება და განვითარება მოცემულია ლექსების ციკლში „ჰყვავის გურია“.

ზემოხსენებული ციკლი პოეტმა საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეს — გურიას მიუძღვნა. ირ. აბაშიძემ ომის შემდეგ შემოიარა მთელი გურია, გაეცნო მის მოწინავე ადამიანებს, მის შესანიშნავ ბუნებას და ყოველივე მის მიერ განცდილი გამოხატა არა გამოთიშულად, იზოლირებულად, არამედ ერთიანი საქართველოს, ჩვენი მთლიანი და განუყოფელი სამშობლოს განზოგადებული, წარმტაცი მხატვრული სურათის ფონზე. ეს ლექსები თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი, ისინი წარმოადგენენ გრძელ მონოლოგს, წარმოთქმულს ჩვენი სამშობლოს სადიდებლად. მათ საბჭოთა საქართველოს განუყოფელობის, ერთიანობის ფიქრი და აზრი უდევს საფუძვლად. ყველაფერი ეს გამოხატულია არა დეკლარაციულად, არა მშრალი განცხადებებით, არამედ უაღრესად ინდივიდუალური პოეტური ფერების და საღებავების გამოძებნით. აქ ისეა მოქსოვილი ვრცელი მხატვრული სურათი, რომ ყოველ ცალკეულ ნაქსოვში აქცენტირებული და მონახულია საქართველოს თითოეული კუთხისათვის დამახასიათებელი პოეტური ფერები, ასევე მოძებნილია ამ ცალკეული დეტალების გამაერთიანებელი ეროვნული თვისება და ხასიათი. პოეტს სურს საქართველოს ყოველ მხარეს თავისი ღირსების, თავისი ადგილის შესაფერისი სადიდებელი სიტყვა უთხრას, მოეფეროს, მოეალერსოს, არც ერთს არ დააკლოს სიყვარული და პატივისცემა და მთელ ამ სიდიადეში ნათლად დაინახოს ახალი დროის, ახალი ეპოქის საბჭოთა საქართველოს სუნთქვა, ბორკილახსნილი შრომის დიდება და ამით ზუსტად აღბეჭდოს კვალი ჩვენი ეპოქისა.

ნახე, გახედე. მიწა ქართული
აყვავებულა წარმტაც იერით,
რქაჩაგრეხილი და ჩახლართული
ლურჯად ელავენ პლანტაციები.
მიყვარს მამული ამაღლებული,
შრომით, გმირობით, შემოქმედებით,
მიყვარს მამული განახლებული,
ამღერებული მისი ქედები.

ირ. აბაშიძე ყველგან პოულობს აღორძინების, განახლების გამომხატველ ნიშნებს, საქართველოს ყოველ კუთხეში ნახულობს ჩვენი ცხოვრების ბარაქასა და დოვლათს. მაგრამ, როგორც ვთქვით, აღორძინების ეს სურათი გამოხატულია არა დეკლარაციულად, არამედ დიდი პოეტური ინტიმით და ლირიკული ინტონაციით:

მიყვარს გზის პირას ალვის ჩრდილები,
დილის ნიავით გაცოცხლებული,
მიყვარს ღობეზე ტყის ყვავილები
მგზავრის სამზერად აცოცებული.
მიყვარს მამული, მიყვარს მამული,
ცამდე გაზრდილი, ამაღლებული.
რა სიცოცხლეა, რა საამური,
მისი მთა-ბარი განახლებული!

ასე რომანტიკულად და განზოგადებულად აცოცხლებს პოეტი საქართველოს ცალკეულ მხარეთა სურათს, და შემდეგ თვითონ საკუთარ ფიქრებსა და განცდებს, ფერების ცალკეულ სიმფონიას ერთმანეთთან აჯიბრებს. პოეტს თითქოს ვერ გადაუწყვეტია, რომელ კუთხეს მისცეს უპირატესობა — ტკბილ იმერეთს, გეგუთს, ვარციხეს, ალისუბანს, ოქროს ბავშვობის სიზმრებს, სიმღერებს თუ ოდიშს-ზუგდიდს, სალხინოს, რუხს, ნაქალაქევს, რაჭა-ლეჩხუმს, აფხაზეთს, კახეთს, ზვრების ქვეყანას, კახეთს დიდებულს, დიდ ალაზნის ცვრიან ბაღნარებს, თუ ლამაზ გურიას. მთელი ეს პოეტური პაექრობა, თავისთავთან გამართული, მთავრდება ერთიანი პატივისცემისა და სიყვარულის გამომხატველი სიტყვების აკორდით:

რომელ ერთს ვუთხრა: შენ მემეტები,
ყველა დედაა, ყველა მკვიდრია,
ყველა ტრამალი, მთები ქედები
ერთი სიცოცხლე და სიმდიდრეა.
ყველა ღვიძლია მიწით ზეცამდე,
ჩვენი ხორცია, ჩვენი გულია.

და ნუ გაოცებს, თვისკენ გეძახდეს
იქით კახეთი, აქეთ გურია.

ასე გამოხატა ირ. აბაშიძემ ერთიანი და მთლიანი საქართველოს განუყოფელობის აზრი და იდეა. და მაინც ირ.აბაშიძემ ლექსების ამ ციკლში ყველაზე მეტი ადგილი გურიას დაუთმო, უფრო სწორად, ლექსების ეს ციკლი მიუძღვნა გურიას, რომელმაც პირველმა აღმართა წითელი დროშა, პირველად აქ გაისმა მებრძოლი რევოლუციური რაზმის ხმა, ამ კუთხესთანაა დაკავშირებული ჩვენი ახლო წარსულის რომანტიკული წარმოდგენები და განწყობილებები. ასეთია, კერძოდ, ნასაკირალი, რევოლუციური საქართველოს ისტორიაში ასე გახმაურებული:

ნასაკირალი, მთასამყვირალი,
ვულკანი, ახლა დამშვიდებული.
ნასაკირალი, ნასაკირალი,
მონობის ტახტთან დაჭიდებული.

პოეტი ვრცლად გვამცნობს ცხრაასხუთელთა გმირობას, ჩვენს მოგონებაში აცოცხლებს რევოლუციური წარსულის რომანტიკას. ამას მოსდევს სურათი, თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩამდგარი ახალი ნასაკირალისა:

დგანან შრომაში, ველში,სანგრებში,
დგანან, არ ახსოვთ ფერიც ხუნდისა,
და ახალ ხმებში, ახალ ჰანგებში
ისმის სიმღერა ცხრაასხუთისა.
ნასაკირალს, ნაამბოხარს,
ნაყუმბარებს, ნაიარევს
აღარც ახსოვს ძველი ოხვრა,
იმ ღრუბლებმა ჩაიარეს.

აღდგა, აღორძინდა, ახალი ცხოვრების უმხითა და სილამაზით დამშვენდა ისედაც ლამაზი გურია, ციტრუსებითა და ჩაის პლანტაციებით მოიფინა მინდორ-ველი. ყველგან შრომის ფერხულია გამართული და მხიარული კრიმანჭული გაისმის, „მზე დასდგომია დღისით მთა-გორებს, ღამით ციალებს ცაში მთიები“, გაქრა ძველი სევდა და ძველი იარა, ახლა აღარ არიან არც ძალაძეები არც უიშვილები; ცხოვრებას თავისუფალი და ბედნიერი ახალი ადამიანები განაგებენ. პოეტი ძველ იარას, ნინოშვილის სახელთან დაკავშირებულს, ისევ გვახსენებს:

აგერ ჩანჩეთი, აგერ ჩანჩეთი,
შენი ტანჯული დედულ-მამული..
მე კოლმეურნის სახლთან გავჩერდი,
იფერფლებოდა ცა საღამური,

ახალმა ცხოვრებამ, ახალმა დრომ საქართველოს ეს კუთხე, გურია, ისევე, როგორც მთელი საქართველო, ცხოვრების დიდ შარაგზაზე გამოიყვანა. ახლა გურიის კოლმეურნენი — უკრაინელებს ეჯიბრება , მასთან ერთად შრომობს, მასთან ერთად იბრძვის, მასთან ერთად ქმნის ახალ ცხოვრებას, დიდებულ ხვალინდელ საქართველოს, დიდი რომანტიკით შთაგონებული და აღგზნებული. პოეტი აღფრთოვანებული შრომის ზეიმით, აღტაცებით უმღერის განახლებული ბედნიერი ქვეყნის ერთ-ერთ მხარეს და გულში ჩურჩულით იმეორებს: სასწაულია, სასწაულია. მთელი ეს ამაღლებული და განზოგადებული ნახატი ასე მთავრდება:

დიდება მამულს, მხნესა და მამაცს
სამშობლო ქვეყნის აღორძინებას.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავროსი კალანდაძე

# ფიქრები და რეპორტაჟი

ამ ჯერად მოსკოვს უფრო მეტად საკუთარ ფიქრებში ვკითხულობდი, ვიდრე მის უშუალობაში.

ვკითხულობდი-მეთქი, რადგან იგი, მართლაც, უზარმაზარი წიგნია, საუკუნეებში რომ იწერებოდა და კვლავაც იწერება.

ახლა იგი იწერება ჩვენი ეპოქის გასაოცარი ნააზრევის — პარტიის ახალი პროგრამის მიხედვით. მოსკოვი ანთებული და გავარვარებულია ამ უდიდესი ჩირაღდანით.

ადამიანთა და მათ მიერ შექმნილ საგანთა, ნივთთა, მოძრაობათა ამ ვეება ზღვაში, უწინარეს ყოვლისა, რუსული გენიის ძალა ბობოქრობს.

— დიახ, ვამაყობ, რომ რუსი ვარ და რომ მოსკოვი რუსული სულის ქმნილებაა... კოსმოსში პირველად რუსი კაცი გაიჭრა... რუსი კაცი, ძმაო, — ეს ხუმრობა როდია! გახსოვდეს, მოდის რუსი საბჭოთა კაცი, — მითხრა ერთმა რუსმა მეგობარმა, როდესაც მოსკოვზე ვსაუბრობდით.

მერე მე ვფიქრობდი, რა კარგად გამოხატა-მეთქი დღევანდელი მოსკოვის სიამაყე და სულისკვეთება გამოჩენილმა რუსმა პოეტმა — ალექსანდრე ტვარდოვსკიმ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვაში.

პოეტმა თქვა:

„და როცა ამ დარბაზში ისმენ ჩვენი ყრილობისა და ჩვენი ხალხისადმი მიმართული მისალმებებისა და სურვილების სიტყვებს, აქ მოტანილთ ყველა კონტინენტიდან და ოკეანეებში გადაკარგულ კუნძულებიდან, სიტყვებს, აღერებულთ შენს მშობლიურ ენაზე, მართლაც, ყოველგვარ პატრიოტულ გრძნობას უნდა იყო მოკლებული, რომ არ განიცადო ღრმა მღელვარება და აღტაცება.

ლენინის ენა, ქცეული საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ენად, ხდება აუცილებელ ენად მთელი მსოფლიოს ხალხთა ახლანდელი ფიქრებისა და მისწრაფებების გამოსახატავად“.

ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, პირდაპირ და ძლიერად არის თქმული. ო, რაოდენ ფიქრებსა და მღელვარებას იწვევს ეს ძალუმი სულისკვეთება!

ამას მიუმატეთ ის, რომ პოეტმა, რომელმაც თქვა „ლიტერატურა და ხელოვნება განსაკუთრებული გულისხმიერებით ეხმაურებიან ყოველივე მნიშვნელოვანს, რაც კი საზოგადოების ცხოვრებაში ხდება“, რასაკვირველია, იცის ფასი დიდი ადამიანური გულისხმიერებისა.

მისი სიტყვა ადასტურებს ჩვენი პარტიის იმ საპროგრამო დებულებას, რომ ყველა ადამიანს ყველა ხალხს თანაბარი უფლება აქვს ყოველგვარ ადამიანურ ბედნიერებაზე, რომ არც ერთი ერის შვილი არ შეიძლება მოკლებული იყოს იმ სიხარულისა და მღელვარების უფლებას, რასაც, ვთქვათ, ერთი რომელიმე ერის შვილი განიცდის ხოლმე თავისი ენის აღზევებითა და აყვავებით. ადამიანთა და ხალხთა ტოლფასოვნება ჩვენი პლანეტის მთელი ისტორიის გარდაუვალი დასკვნაა.

ჩვენი პარტიის ახალ დიად პროგრამაში შემთხვევით როდი არის უარყოფილი და დაგმობილი ეროვნული ეგოიზმი, რასაც არსებითად სხვათა არასრულფასოვნებისა და თავისი გამონაკლისობისა თუ განსაკუთრებულობის ყალბი წარმოდგენა ასაზრდოებს ხოლმე.

თუ ფესვებში ჩავიხედავთ, მე მგონი დავრწმუნდებით, რომ კაცობრიობისათვის არაფერს ამდენი ტანჯვა და ვაივაგლახი არ მოუტანია, ისე არაფერს უქცევია ადამიანი უბედურ და წამებულ არსებად, როგორც თავკერძობის ულმობელ ქიხს — ეგოიზმს. ხოლო ეროვნული ეგოიზმი ეგოიზმის ყველაზე საშიში და საზიზღარი სახეა.

უეცრად ფიქრებში ვაჟა წამოიმართა.

ერთი მოკვდავივით მეც მიკითხავს წიგნები

შინაურთა და გარეშეთა. მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ჩემი გულის სიღრმემდე ისეთი პოეტური ძალით არავის მოუტანია სხვადასხვა ტომის ადამიანთა ტოლფასოვნების იდეა, როგორც ვაჟას. და რა ბუნებრივია, რომ სწორედ ვაჟას გულიდან იფეთქა: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შაგვეცილება“...

მიმხვედრი, რა თქმა უნდა, მიხვედრილია, რომ სამშობლოს სიყვარული და ეროვნული თავკერძობა, არსებითად, წინააღმდეგობრივი ცნებებია, ერთი გამოთიშავს მეორეს. შენი სამშობლოს, შენი ხალხის, შენი ენის უწმინდეს სიყვარულს არაფერი აქვს საერთო ეროვნულ ეგოიზმთან. პირიქით, მხოლოდ იმას შეუძლია იყოს გულწრფელი და დაჯერებული ინტერნაციონალისტი, ვისაც შეუძლია უსაზღვროდ უყვარდეს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი, თავისი ეროვნული კულტურა.

უშეწყინვალესი მაგალითი: უბადლო ინტერნაციონალისტი — ლენინი. ლენინი ხომ ღრმად იყო გამსჭვალული რუსული ეროვნული სიამაყის გრძნობით. მას ხომ ასე ძლიერად უყვარდა რუსი ხალხი, დიდი რუსეთი, რუსული კულტურა, რუსული ენა. ამავე დროს არავის ისე არ შეეძლო ემხილებინა და დაეგმო დიდმპყრობელური შოვინიზმი და საერთოდ ყოველგვარი შოვინიზმი, როგორც ლენინს, ლენინს, რომელიც მოითხოვდა, რომ მრავალმილიონიან ქალაქში სხვა ერის ერთ წარმომადგენელსაც კი საშუალება ჰქონოდა ესწავლა თავის დედაენაზე.

ვგრძნობ მკითხველის შეჭმუხვნას, აქაო და ვიცით, უშენოდაც კარგად ვიცით, ათასჯერ განმეორებულსა და საყოველთაოდ ცნობილს იმეორებ; სჯობს, თუ ძალა შეგწევს, ახალი რამე გვითხარიო.

რა გაეწყობა, სხვებზე ადრე მევე ვტუქსავდი ჩემს თავს, რომ ამ უზარმაზარ ქალაქში — თანამედროვე მსოფლიოს გონებრივი ცხოვრების ამ მთავარ ცენტრში, სადაც ყოველ ნაბიჯზე სიახლენი გხვდებათ, ათასჯერ თქმულსა და ნაფიქრს ვფიქრობდი. მაგრამ აქვე თავს იმით ვიმხნევებდი, რომ საქმე მარტო ფიქრი როდია, მთავარი ფიქრის საგანია. უმეტეს შემთხვევაში, ადამიანი სიხარულსა თუ აღფრთოვანებას, ტკივილსა თუ სევდას თითქმის ერთი და იმავე შეძახილით, თითქმის ერთი და იმავე გარეგნული რეაქციით გამოხატავს ხოლმე, მაგრამ თვით სიხარულსა თუ აღფრთოვანებას, ტკივილსა თუ სევდას ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებული, ახალი შინაარსი აქვს. ასე რომ, თუ ზოგჯერ ბევრჯერ განმეორებულს ვიმეორებთ, ვიმეორებთ იმიტომ, რომ ახალი ვითარება ბადებს განმეორების საჭიროებას და, შეიძლება, ზოგიერთ განმეორებაში უდიდესი სიახლეც იყოს.

თუმცა, მართალი მოგახსენოთ, მე მომხრე ვარ ხმარებისაგან გაცვეთილი აზრების, იდეების, ცნებებისა და სიტყვების წინააღმდეგ დიდი აჯანყებისა. მოსკოვში ერთ-ერთ თათბირზე კიდევაც გაჩუჩუნდა სული ამ აჯანყებისა. ერთმა ახალგაზრდა ლიტერატორმა მოითხოვა ზოგიერთი წარამარა ცნების ამოღება ხმარებიდან. გუნებაში უმალვე მხარი დავუჭირე ამ ახალგაზრდა ლიტერატორს, მხარი დავუჭირე მის სულისკვეთებას, მის განწყობილებას. თუმცა ხმარებიდან ამოღების დაკანონება არანაკლებ სახიფათო შეზღუდვა იქნებოდა მეორე მხრიდან. არა და, რა საშინლად მოსაწყენი და ამაზრზენია გაცვეთილი ცნებების, გაცვეთილი ფრაზებისა და სიტყვების გაუთავებელი ღვართქაფი.

ო, ამ მოწყენილობასაც როგორმე კიდევ გაუძლებს კაცი. მაგრამ სახელგატეხილ ცნებებსა და სიტყვებს რაღა უნდა ვუყოთ?

როცა ასეთ ცნებებსა და სიტყვებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთმა ქართველმა მწერალმა ქალმა თქვა:

— მე ყოველთვის მზად ვიქნები დავწყევლო და არასდროს არ ვიხმარო ისეთი კარგი და ლამაზი სიტყვაც კი, როგორიც არის სიმართლე, თუ კი იგი ათასგვარი სიცრუისა და სიყალბის თავშესაფარად იქცევა...

აი, ხომ ხედავთ, რა გაბედულები გახლავართ, სიტყვების წინააღმდეგ ვაპირებთ აჯანყებას.

მაგრამ კაცმა რომ თქვას, რა დააშავეს ამ „საწყალმა“ სიტყვებმა? ისე ხომ არ გამოდის, ვიღაც ცხენს ვერ შესწვდა და უნაგირს მტვრევა დაუწყოო.

ჩემი ოთახი სასტუმრო „მოსკოვის“ მერვე სართულიდან მიქცეულია საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მრავალსართულიან სახლისაკენ. დილ-დილობით იმ სახლის წინ, ტროტუარზე, წინწამოწეული კორპუსის კუთხეში აუარებელი მტრედი იყრის თავს. ხნიერი ქალები საკენკს უყრიან მათ, ზოგჯერ ბავშვებიც, საერთოდ მოსკოვი სავსეა მტრედებით. მოსკოვის მტრედები! ვუცქერ მათ და ვფიქრობ, უმღერა თუ არა ვინმემ მოსკოვის მტრედებს? არ ვიცი! მხოლოდ რატომღაც გამახსენდა, რომ პაოლო იაშვილმა უმღერა თბილისის დილას, როგორც მტრედის გუნდივით შემოფრენილს. გიორგი ლეონიძემაც მტრედებით გაანათა თავისი ერთ-ერთი უმშვენიერესი ლექსი: „თოვლია, თუ მიმინომ დააფეთა მტრედები“. მტრედები გვახარებს. მაგრამ ზოგჯერ ყვავიც რომ გამოფრინდება და ყრანტალებს, მე ყოველთვის რაღაც ცუდსა და ავს მახსენებს. აქაც, ერთხელ, დამნაშავის მტანჯველი გრძნობა ამეკვიატა. ვფიქრობდი, რომ, როგორც ეგრეთწოდებულ კრიტიკოს'ს, ცოტაოდენი ბრალი მეც მიმიძღვის-მეთქი ზოგიერთი სიტყვის სახელის

გატეხაში. არა, კაცმა გულის მხურვალებაში გაუტარებელი სიტყვა არ უნდა თქვას, თორემ სიტყვას ყოველთვის ზიანს მოუტანს.

არ ვიცი, გაიზიარებენ თუ არა ამ თვითმხილებას ჩემი პროფესიული მეგობრები, ამ მგზავრობაში მყოფნიც და სხვა მრავალნიც. საერთოდ ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი (ამ მგზავრობამაც ერთხელ კიდევ დაადასტურა ეს), მაგრამ არც თუ ისე გვიყვარს ერთმანეთის ყურის დაგდება, მით უმეტეს მაშინ, თუ ჩვენს ხელობაში ერთმანეთის ზუსტი ორეულები არა ვართ. როგორადაც უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: ზოგიერთი რამ უეჭველად უნდა გადავაფასოთ ჩვენს ლიტერატურულ მოღვაწეობაში. მოსკოვის ლიტერატურულმა თათბირებმა ჩემთვის ეს ერთხელ კიდევ ცხადყვეს.

ამ თათბირების მონაწილეებად თბილისიდან ექვსნი გავფრინდით, ხუთი კრიტიკოსი და ერთი პოეტი. ესენი იყვნენ: ბესო ჟღენტი, სერგი ჭილაია, გიორგი მარგველაშვილი, გიორგი ციციშვილი, მირიან აბულაძე და მე.

თვითმფრინავმა 2 საათსა და 15 წუთში მშვიდობიანად დაგვსვა ვნუკოვის აეროდრომზე. სხვათაშორის, ამ გაფრენასთან მე ჩემი პირადი ანგარიშიც მქონდა. მაგრამ ამაზე უკან დაბრუნებისას ვიტყვი.

მსოფლიო ლიტერატურის გორკის სახელობის ინსტიტუტში გამართულ თათბირზე — საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის შედგენის პრინციპების შესახებ — თავიდანვე ორი საწინააღმდეგო მოსაზრება დაისახა. ერთნი, ასე ვთქვათ, ოფიციალური აზრის წარმომადგენელნი, ამბობდნენ, მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა ერთიანია, ძირითადად ერთიანი და ერთგვარი ცყო მისი პროცესებიც თავის ისტორიულ განვითარებაში, ამიტომ მისი ისტორიაც უნდა დაიწეროს ერთიანი — ეროვნულ ლიტერატურათა შერწყმულად და შერეულად გადმოცემის გზითო. ესენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთიანობაში გაერთპიროვნების პრინციპს იცავდნენ. მეორენი კი, პირიქით, ამბობდნენ, მართალია, მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა ერთიანია, მაგრამ ერთიანია სწორედ, როგორც ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურათა ერთობლიობა, ამიტომ მისი ისტორიაც უნდა დაიწეროს ისე, რომ ერთიანობაში ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურათა სახეები გამოკვეთილად ჩანდნენო. ესენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთიანობაში მკაფიო ინდივიდუალიზაციის პრინციპს იცავდნენ.

პირველი: ერთიანობაში გაერთპიროვნება; მეორე: ერთიანობაში მრავალპიროვნულობათა დაცვა.

ასეთი იყო, ჩემი აზრით, ორი — ცალცალკე ძალიან შორს მიმავალი თვალსაზრისის ამოსავალი წერტილი.

ქართული დელეგაციის უმრავლესობა მეორე თვალსაზრისს იზიარებდა, უკეთ ვთქვათ, არა თუ იზიარებდა, არამედ იგი იყო ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი პირველი წამომყენებელი. კამათშიაც პირველი სწორედ გ. მარგველაშვილი გამოვიდა, რომელმაც კარგად, ღრმააზროვნად განავითარა და დაიცვა ეს თვალსაზრისი. მოგვიანებით ბ. ჟღენტმა წარმოსთქვა მგზნებარე, შინაარსიანი სიტყვა ერთსახოვანი შერწყმულობისა თუ შერეულობის წინააღმდეგ. ეს სიტყვა ბევრს მოხვდა გულზე. „ჩვენი ტალკვესი“, ვთქვი მე გუნებაში ბესოზე.

აღსანიშნავი და საგულისხმოა, რომ ერთიანობაში მკაფიო ინდივიდუალიზაციის პრინციპს იცავდა რესპუბლიკათა წარმომადგენლების დიდი ნაწილი. ძალიან მომეწონა საქმიანი და ჭკვიანური სიტყვა ლიტველი კორსაკასისა. რამდენიმედ განსხვავებული პოზიცია დაიკავა თავის სიტყვაში გ. ციციშვილმა, თუმცა ეგრეთწოდებული ბუდობრივი პრინციპის დაგმობით იგი არსებითად დაუახლოვდა მეორე თვალსაზრისს, (ბუდობრივი პრინციპი გამოიხატა წინადადებაში, რომ საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში ეროვნული ლიტერატურები შესულიყვნენ ტერიტორიალურ ჯგუფებად გაერთიანებულნი, მაგალითად, ლიტერატურა ამიერკავკასიისა, შუააზიისა, ბალტიისპირეთისა და ა. შ.) კიდევ მეტი: ისინიც კი, ვინც მკაფიო ინდივიდუალიზაციის პრინციპის წინააღმდეგ თავგამოდებით ილაშქრებდნენ, იმდენ მოთხოვნებსა და პრეტენზიებს აყენებდნენ თავიანთი ეროვნული ლიტერატურების მხრიდან, რომ ძალიან უახლოვდებოდნენ მათ მიერვე უარყოფილ პოზიციას.

ძლიერ საგულისხმო იყო ისიც, რომ პირველი თვალსაზრისის ერთ-ერთმა უძლიერესმა თეორეტიკოსმა (ამ თვალსაზრისით შედგენილი პროსპექტის ერთ-ერთმა ავტორმა) — გამოჩენილმა რუსმა კრიტიკოსმა, კორნელი ზელინსკიმ (ვინაც, სხვათაშორის, რამდენიმე თვის წინათ ძალიან გაგვახარა თავისი შთაგონებული წერილით ვაჟაზე) თათბირის მსვლელობაში მკვეთრად იცვალა ფრონტი და ეროვნულ ლიტერატურათა მკაფიო ინდივიდუალიზაციას დაუჭირა მხარი.

გულმოდგინედ ვუგდებდი ყურს ორატორებს. და მიუხედავად იმისა, რომ პირველი თვალსაზრისის მომხრენი (მათ შორის ჩვენი ნიჭიერი თანამემამულე გიორგი ლომიძეც) ძალიან გონებამახვილურად ლაპარაკობდნენ, გონებამახვილურ თეორიულ მოსაზრებებსაც იშველიებდნენ, მათ პირადად მე მაინც ვერ დამაჯერეს თავიანთი შეხედულებების სისწორეში. პირიქით, მე ვფიქრობ, ისინი ერთგვარ მოგონილ, აპრიორულ სქემას ახვევენ თავს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ცოცხალ პროცესს.

ლიტერატურის ასეთ გაერთპიროვნებულ ისტორიაზე მუშაობა პოეზიით იქნება სავსეო, — ამბობდნენ ისინი, — ეს სულ საძიებო, საკვლე-

ვო, საალმოსაჩენო მუშაობა იქნებაო.

რასაკვირველია, ამა თუ იმ საგნის მეცნიერულ ისტორიაზე მუშაობა ყოველთვის საძიებო, საკვლევო მუშაობაა. მეცნიერული ისტორიის შექმნა ყოველთვის მოითხოვს საგნის სულ ახალი და ახალი კუთხეების მიკვლევას, მის აქამდე გაუხსნელ კავშირ-ურთიერთობათა ძიებას.

მაგრამ საკითხავია, რა იქნება საძიებელი, კერძოდ, საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაზე მუშაობისას? იქნებ, თვით საგანი? და თუ თვით საგანი არ არის მიკვლეული და გარკვეული, მაშინ, ჩემი აზრით, უნდა ვილაპარაკოთ საგნის ძიებაზე და არა ჯერ კიდევ მიუკვლეველი საგნის ისტორიაზე.

მაგრამ საგანი არსებობს ჩვენს თვალწინ. ეს არის მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც, რასაკვირველია, შედგება ცალკეული ეროვნული ლიტერატურებისაგან, შედგება არა როგორც ამ ლიტერატურათა არითმეტიკული ჯამი, არამედ როგორც მათი ორგანული ერთობლიობა. მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა ვითარდებოდა და ვითარდება არა როგორც შერეული ერთიანობა, არამედ როგორც მკაფიოდ გამოსახული ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურათა ერთიანობა, აქ ერთიანისა თუ მთელის განვითარება-გამდიდრება ხდებოდა და ხდება ცალკეულთა და განსაკუთრებულთა განვითარება-გამდიდრების მეშვეობით. ასეთი იყო და ასეთი არის თვით საგნის მოძრაობა სინამდვილეში.

ხოლო საგნის მეცნიერული ისტორია, ამ შემთხვევაში, საბჭოთა ლიტერატურის ისტორია უნდა ასახავდეს და უნდა შეესაბამებოდეს თვით საგნის მოძრაობას სინამდვილეში.

ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის კი ახლა მთავარია შექმნას ქართული საბჭოთა ლიტერატურის ნამდვილი მეცნიერული ისტორია, რომელიც შესძლებს გაბედულად და დაუდარცხვენლად ამოუდგეს გვერდში ყველა სხვა ასეთსავე შრომას. ვფიქრობ, ამაზე დიდი საქმე ახლა არც რუსთაველის სახელობის ინსტიტუტს და არც საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის სექციას არა აქვს.

სხვათაშორის, ზემოთმოტანილ ზოგად მოსაზრებათა გარდა, სადავო საკითხისადმი მე მქონდა და მაქვს, ასე ვთქვათ, ჩემი უშუალო, ემოციური დამოკიდებულებაც. ვფიქრობ ეს სრულიად უფლებამოსილი მხარეა ჩვენი სულიერი ცხოვრებისა. დეე, გული მიჰყვეს გონებას, თორემ მათი გათიშვა ტრაგიკული რღვევით ემუქრება ჩვენს ზნეობრივ არსებას.

რა ვქნა, ვერ ვიტან ვერაფერ შერეულსა თუ ერთმანეთში ათქვეფილს, რაშიაც ყოველივე პიროვნული გაჰყლეტილი და წარხოცილია. არც იმათი მჯერა რამე, ვინც ფიქრობს, რომ არსთა და მოვლენათა განვითარება ერთსახოვნებისაკენ მიდის და ბედნიერებაც თითქოს ერთსახოვნებაშია. პირიქით, სხვას რომ თავი დავანებოთ, ერთი ხომ აშკარაა: ერთსახოვანი პირველყოფილი ქაოსიდან განვითარდა ქვეყანა, რაც ჩვენ „გვაქვს უთვალავითა ფერითა“.

ქვეყნად კი გვიზიდავს და ყურადღებას იქცევს მხოლოდ ის, რასაც განუმეორებელი პიროვნულობის ბეჭედი აზის. ძალიან სამწუხაროა, რომ ადამიანთა შორის არიან ისეთები, რომლებიც ესწრაფვიან იმას, რომ ყოველივე მათ ირგვლივ, მათ შორის, ადამიანებიც; უსახონი და უპიროვნონი იყვნენ, ფიქრობდნენ, აზროვნობდნენ და განიცდიდნენ ისე და იმ სქემების მიხედვით. რომლებითაც თვითონ აზროვნებენ და განიცდიან.

აი, მოსკოვი — მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის დედაქალაქი, სადაც კაცობრიობის ახალი ისტორიის სათავეა დადებული. მოსკოვი მშვენიერი და დიდებულია, უწინარეს ყოვლისა, ყოველივე იმით, რაც მკვეთრი პიროვნულობით არის აღბეჭდილი — დაწყებული კრემლიდან გათავებული მიწისქვეშა რკინიგზის სადგურებით.

სხვათა შორის, ერთმა ჩემმა ნაცნობმა — საქმის მცოდნე ინჟინერმა ერთ-ერთი სადგურის ნაპირკეთობაში ქართული მარმარილო მიმინიშნა. მეჩვენა, რომ იგი ძლიერ ინდივიდუალურია თავისი ჯავარით, თავისი ძარღვების ნაქარგით. რასაკვირველია, ასევე ინდივიდუალურნი მოჩანან სხვა ქვეყნების ფიქალებიც. ამაშია მათი სიმშვენიერეც.

მოსკოვი ჩვენი ეპოქის სასწაულთა უდიდესი თავყრილობაა.

მაგრამ არსად ისე არ იგრძნობა საკვირველებათა მოშინაურება, როგორც მოსკოვში.

აქ ადამიანებს აღარ აკვირვებთ სულ უახლესი სასწაულიც კი და თითქოს მუდამ ახალ საკვირველებათა მოლოდინში არიან.

თუმცა რა არის ადამიანისათვის საკვირველება?

მე მგონი, ყველაზე დიდი საკვირველება თვითონ ადამიანია — საკვირველებათა შემოქმედი, მისი გონება, მისი ნებისყოფა, მისი გრძნობები. გონებისათვის არ შეიძლება არსებობდეს უფრო დიდი საკვირველება, ვიდრე თვით გონებაა.

რა კარგად თქვა გორკიმ: შესანიშნავი თანამდებობაა — იყო ადამიანი დედამიწაზე. თუმცა ახლა ეს თანამდებობა უკვე კოსმოსშიაც არის გადატანილი.

„ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“. ამაზე დიდხანს უოცნებია

კაცობრიობას, მაგრამ იდეალი მოქმედებაში მხოლოდ ახლა გადადის.

შემთხვევითი არ არის, რომ დღეს მთელი ჩვენი მოწინავე საზოგადოებრივი აზრი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჰუმანიზმის საკითხებს დასტრიალებს. მოსკოვში ამას თითქოს განსაკუთრებული სიცხადით გრძნობთ.

ჩემი მიხვედრით, არსებითად ჰუმანიზმის პრობლემები შეადგენენ მთავარ პათოსს კრიტიკოსთა საბჭოს გაფართოებული თათბირისა, რომელიც საკავშირო მწერალთა კავშირში გაიმართა. ამ თათბირზეც მოვისმინე რამდენიმე საგულისხმო გამოსვლა, მათ შორის ჩვენი წარმომადგენლებისაც — ბ. ქლენტის, გ. მარგველაშვილისა... თათბირის მოკლე ანგარიში უკვე იყო დაბეჭდილი ლიტერატურულ პრესაში. გარდა ამისა, ანგარიში არც გამომდის.

ფროიდი და მისი კომპლექსები იქით იყოს. მაგრამ ჩვენი სულიერი ცხოვრების ბევრი მხარე, მათ შორის, ეგრეთ წოდებული ცნობიერების ნაკადიც ახსნას საჭიროებს და არა ხელაღებით უარყოფას. მე მგონია, არსებობს ცნობიერების რაღაც ძლიერ შორეული პირველადი ბიძგი.

თათბირზე გამართული მსჯელობის თემას მე გუნებაში დავარქვი: რა უნდა მოერგოს რას — ადამიანი ბედნიერებას თუ ბედნიერება ადამიანს?

მსჯელობდნენ საბჭოთა ლიტერატურის, კერძოდ, ლიტერატურული კრიტიკის მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, ჰგმობდნენ ხელკეტიან კრიტიკას, ემპირიულ კრიტიკას, შტამპს, უფერულობას, ლაპარაკობდნენ ჰუმანიზმზე, საბჭოთა ადამიანის მორალურ კოდექსზე. დრო და დრო თითქოს დოგმატიზმიც გაიღრენდა, მაგრამ ლიტერატურული საკითხების მთებსა და ბორცვებს შორის გზას მიიკვლევდა ფიქრის სხვა ნაკადიც.

ბედნიერება, რა სახისაც უნდა იყოს იგი, უმალვე უბედურებად შეტრიალდება, თუ პროკრუსტეს სარეცლად ექცევა ადამიანს. ადამიანი კი არ უნდა გავწელოთ ან შევამოკლოთ იმისათვის, რომ ჩათქმულ ბედნიერებას მოვარგოთ, პირიქით ბედნიერება უნდა გაკეთდეს ადამიანის თარგზე.

მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა: რომელი ან როგორი ადამიანის თარგზე?

ამასთან არის დაკავშირებული, ჩემი აზრით, ჩვენი ლიტერატურის გმირის საკითხიც. გმირის საკითხი კი შემთხვევით როდი იყო მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი საგანი.

სიტყვა ლიტერატურაში ბუნებრივი ადამიანურობის გამოხატვას შეეხო. მაგრამ ამას უმალვე მოჰყვა მტკიცება იმისა, რომ თითქოს ეს არის ადამიანის ამოგდება სოციალურ სფეროდან და, მაშასადამე, მისი ჭეშმარიტი არსის, როგორც საზოგადოებრივი კავშირ-ურთიერთობათა ცოცხალი ქსოვილის, დავიწყება. ახსენეს ბიოლოგიზმიც, აბსტრაქტული ჰუმანიზმიც. მოიტანეს შესაფერი მაგალითები თანამედროვე ლიტერატურიდან. ზოგიერთი კიდევაც დატუქსეს იმის გამო, რომ აქაო-და უპროგრამო, სოციალურ შინაარსს მოკლებულ ადამიანებს ხატავენო. ბევრი რამ ითქვა საგულისხმო და გონებამახვილური.

მე კი, სულო ცოდვილო, ვერაფერს ვერ ვხედავ ცუდსა და დასაგმობს ბუნებრივ ადამიანურობაში. პირიქით, მე მგონია, რომ სწორედ ის არის საფუძველთა საფუძველი ჭეშმარიტი ჰუმანიზმისა.

აკი ჩვენს უმაღლეს იდეალს ცხოვრებისა და საზოგადოების ისე მოწყობა შეადგენს, რომ ყოველმა ადამიანმა მიაღწიოს თავის ჭეშმარიტ არსს, ბუნებრივ ადამიანურობას, გაიწმინდოს ყველა იმ ნალექისაგან, რითაც იგი შემოუგარსავთ ადამიანის ბუნებისათვის შეუფერებელ ცხოვრების პირობებს, საზოგადოებრივი ყოფიერების უკუღმართ ფორმებს. მაშასადამე, ბუნებრივი ადამიანურობა, ანუ საკუთრივი ჭეშმარიტი არსი ადამიანისა საყოველთაო საწყისია ადამიანთა სამყაროსი. მე არ მაშინებს ამ საწყისს ვუწოდო ღვთაებრივი. სწორედ ამ საყოველთაო საწყისშია ყოველივე ადამიანურის სრული ტოლფასოვნება. და მხოლოდ ამიტომაც შეიძლება იყოს ადამიანი ადამიანისათვის ძმა, მეგობარი და ამხანაგი.

პარტიის პროგრამის ეს შესანიშნავი დებულება, ცხადია, არავითარ გამონაკლისს არ გულისხმობს ადამიანთა მოდგმისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში დებულება არც შეიქმნებოდა და არც სწორი იქნებოდა.

თავის შესანიშნავ ნოველებს შორის სერგო კლდიაშვილს აქვს ერთი ციცქნა ეტიუდი — ლირიკული ჩანახატი თუ ლირიკული აღსარება „სოფლის ღამე“. მე იგი ხშირად მახსენდება. აი, ახლაც მოსკოვში-ვოროვსკის ქუჩაზე — მწერალთა კავშირის სახლის საკრებულო დარბაზშიც გამახსენდა:

„ბინდი ნელნელა ეშვება. მაღლობიდან ჯერ კიდევ ვხედავ ფერდობზე გაშენებულ სოფელს, სოფლის ბოლოში ფართო ველს და ველის დასასრულს შორეულ ქედს. ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე ცა სუფთაა და მუქი სილურჯე გადაჰკრავს.

მინდვრებიდან ბეღურები დაბრუნდნენ ეზოში, ხმაურით შეესივნენ ალვის ხეს, დაიბუდეს ტოტებში და დამშვიდდნენ.

სიჩუმეა. ფოთოლიც არსად ირხევა.

თანდათან ბნელში იძირება ქედი, ველი და სოფელი ფერდობზე. მოისპო სივრცე, გაქრნენ ფერები და გარემო მხოლოდ ჩემს მოგონებაში დარჩა.

სადღაც ქვევით ერთ სახლში ლამპა აანთეს. ერთ ხანს მხოლოდ ეს სინათლე თრთის ბნელში და თვალს იზიდავს. მკრთალი შუქი მარტოა და სევდიანი მეჩვენება.

შემდეგ თანდათან სხვაგანაც აინთო.

ჰაერში გამდგარა დანამული ბალახის სურნელება. ციცინათელები ილვიძებენ ბუჩქებში და ცივი ფოსფორით ციმციმებენ. ღამის სიჩუმეში კალიების ძილისპირული ისმის.

სადღაც გზაზე ურემი მიჭრიალებს და მეხრე მიიმღერის. ჰანგი ნაღვლიანია და თანაც მხნე. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია გამოსცეს ასეთი ხმა.

ფიქრით მივყვები ამ კეთილ ხმას და მინდა მეც ვთქვა ჩემი სიმღერა, თუ როგორ ვლოცავ სიცოცხლის მადლს, თუ მკერდში გული სიყვარულის ბუდედ როგორ ჩამიდეს.

გვიან ღამით ქრებიან ლამპები და მხოლოდ ერთი რჩება ისევ იმ ადგილას, სადაც პირველად აინთო. მკრთალი ნათელი ისევ მარტოა, ისევ თრთის ბნელში და თვალს იზიდავს.

რამ დატოვა იქ შუქი? სიხარულმა თუ გლოვამ?

ღმერთო, დაზოგე ის სახლიც, განარიდე მწუხარებას! ეს მშვიდი ღამე ჩემს ქვეყანაში ყველას ბედნიერი გაუთენე."

ათასიც რა თქვან, ეს სურათიც და მწერლის გრძნობაც გადამდები და ამაღელვებელია, როგორც კეთილხმოვანი ჰიმნი. ვიცი, მოინახებიან ისეთებიც, რომლებიც დაიწყებენ ლაპარაკს აბსტრაქტულ ჰუმანიზმზე, შესაძლოა, სენტიმენტალიზმზეც. იქნებ ვინმე ჩაკირკიტებულმა ისიც კი თქვას, რატომ მწერალი იმაზე არ დაფიქრდა რომ, ვინ იცის, იმ ერთ სახლში, საიდანაც ერთადერთი შუქი გამოკრთის, ავაზაკები და კაცის მკვლელებია თავშეყრილნი და ნაალაფარს იყოფენო.

არა, მწერალმა კარგად იცის, რომ იმ სახლში ავაზაკები კი არა, ადამიანური ადამიანებია. ჩვენც ხომ ვიცით, რომ მწერალს მკვეთრად გამიჯნული დამოკიდებულება აქვს ბოროტებისა და სიკეთისადმი, ხომ ვიცით, რა მკაცრია იგი თავისი ბეროშვილის მტაცებლური, მომხმარებლურ-ეგოისტური ბუნების მიმართ და რა გულშემატკივარი, რა ალერსიანი და ჭირთმოზიარე თავისივე ირინე თუხარელის წმინდა ადამიანური არსების მიმართ. სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების ბევრი სხვა მაგალითიც შეგვიძლია გავიხსენოთ ს. კლდიაშვილის წიგნებიდან.

შორს არ მინდა წავიდე, მხოლოდ ვამბობ: უგულობასა და შეზღუდულობას თავისი უკმეხი და შეუვალი ლოგიკა აქვს. მაგრამ ადამიანური ადამიანობის დიდი სიყვარულიც თავის მარად ჩაუქრობელ სინათლეს აშუქებს.

გამახსენდა მოხუცი არქიტექტორიც, ერთი უცხოური წიგნის (ჰაინრიხ ბიოლისა) გმირი, რომელიც, იგონებს რა ახლობელ თუ შორეულ ადამიანებს — ფაშისტური ტერორის მსხვერპლთ, დაახლოებით ასეთ აზრს გამოსთქვამს: ყველა საუკუნის ყველა დიდებულ სკულპტურულ ჯგუფს სიამოვნებით გავიმეტებდით დასანგრევად, ოღონდ ერთხელ კვლავ დამენახა სათითაოდ იმ ადამიანთა განუმეორებელი ღიმილი, მეგრძნო მათი ხელების განუმეორებელი სითბო; რას ნიშნავსო ჩემთვის ნივთების, ღმერთების, ადამიანების გამოსახულებანი ნამდვილ ცოცხალ ადამიანებთან, მათ ნამდვილ სიხარულსა და მწუხარებასთან შედარებით; ერთი ბიჭუნას გულისათვის, რომელიც თვალითაც არ მინახავს, შევწირავდიო ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებს — წმინდა სევერინის ტაძარს (არ ვიცი, ნამდვილად არსებობს ასეთი ტაძარი თუ მოგონილია. ლ. კ.). და მაინც მეცოდინებოდა, რომ ეს უმნიშვნელო და სასაცილო ფასია, ისე როგორც სასაცილო ფასია მედალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვისო.

მე უზომოდ მხიბლავს ნივთების ფეტიშის ეს ძალუმი უარყოფა. მეც, თუ ეს ჩემზე იქნებოდა დამოკიდებული და თუ ეს საჭირო იქნებოდა თუნდაც ერთი პატარა ადამიანის გადასარჩენად, სიამოვნებით დავანგრევდი არა ერთ უდიდეს ნაგებობას. მე ამაზე ხშირად მიფიქრია. იქნებ თქვენც გიფიქრიათ, იქნებ თქვენც დაგიყენებიათ გუნებაში, შესაძლოა, ერთი შეხედვით, მეტად ახირებული კითხვა: აი, ეს უზარმაზარი სახლი მეტი ღირს თუ ერთი ადამიანის სიცოცხლე?

როგორადაც უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს ის, რომ ბედნიერება გაკეთდეს ადამიანური ადამიანობის თარგზე. ადამიანური კი, რანაირ ნალექებსა და სისაძაგლეებშიაც არ უნდა იყოს იგი ჩაფლული, უნდა მოინახოს ყველგან, ყოველ ადამიანში.

მართლაც, საოცარია ამ ფიქრების ამბავი. ზოგჯერ საოცარი რამ აგეკვიატებათ. რა მართალია პოეტი:

მიდის ოპერა „ლაკმე",
ბუტაფორიის შეხლა.
განა ეს არის საქმე?
მე სულ სხვას ვფიქრობ ეხლა.

მადლობა ღმერთს, თბილისში ყველანი კარგად დავტოვე — მეგობრებიც, ნაცნობებიც, მოყვრებიც, ოჯახის წევრებიც. მაგრამ ერთი აკვიატებული სიზმარი ცხადში მოსვენებას არ მაძლევს.

დიახ, სიზმარი ცხადში! (მეცნიერებო, ფსიქოლოგებო! ნუ კი გაიღიმებთ ხოლმე ქედმაღლურად. თუ ვაჟკაცები ხართ ახსენით, ახსენით საფუძვლიანად, რა არის, რისგან წარმოსდგება, რანაირი შინაარსისაა ეს სიზმარი ცხადში). დროდადრო მეჩვენება, რომ ვილაც ყველაზე

ახლობელი, ყველაზე საყვარელი, ყველაზე ძვირფასი არსება ავადმყოფი დავტოვე, ძლიერ ავადმყოფი. მერე მოჩვენება გაქრება. ვისმენ ჰკვიანურ სიტყვებს, ვესაუბრები შესანიშნავ მეგობრებს, ვფიქრობ საღლეისო საქმიან საკითხებზე, მაგრამ უეცრად შუა ფიქრებში შემაკრთობს ისევ ის მოჩვენება. ასეთი რამ ზოგჯერ ნადირობაშიაც დამმართნია... ეჰ, ჯანაბას ეს ავადმყოფური მოჩვენება. ან ვის რაში ეპიტნავება იგი.

აი, მაგალითად, სავსებით ნორმალური და ბუნებრივი იყო ის, რომ ჩვენ ქართული დელეგაციის ყველა წევრი მოსკოვში, ვგონებ, მთელ საქართველოსთან ერთად, ძლიერ ვღელავდით ნონა გაფრინდაშვილის დიდი საჭადრაკო ბრძოლების გამო. გადამწყვეტი დღეები იყო. ცას ვეწიეთ, როცა გავიგეთ, რომ ნონა უკვე დაუვიწყარი გახდა. შორს ყოველგვარი მოჩვენება! მით უმეტეს, რომ ასე კარგად, ასე ქართულად იღიმებოდა მ. ქვლივიძე, ვისი ლექსებიც უკვე მოსკოვსაც შეეჩვივნენ.

ვგონებ, არც იმაში იყო რაიმე მისტიკა, რომ ხშირად თვალწინ მიდგებოდა ქართული სცენის ლომის — აკაკი ხორავას სახე, ან ხშირად ყურში რომ ჩამესმოდა რეზო ლაღიძის ქართული ჰანგები. ფესვების გრძნობა სავსებით ბუნებრივი გრძნობაა. თანაც რეზო ლაღიძე შესანიშნავი მონადირეცაა.

გვქონდა ლამაზი მეგობრული შეხვედრები, მათ შორის შესანიშნავ რუს ლიტერატორთან— საქართველოს გულწრფელ მეგობართან — ალექსანდრე გრიგორის-ძე დემენტეევთან. სხვათა შორის მან თქვა: — ყველაზე დიდი სიკეთე იმ სიკეთეთა შორის, რაც კი შეიძლება დედამიწაზე განხორციელდეს, არის ხალხთა და ადამიანთა მეგობრობა; მეგობრობაში კი არავითარი დიდ-პატარობა არ შეიძლება იყოსო.

ძალიან გამახარა გიორგი ახვლედიანთან შეხვედრამაც. აქ თითქოს განსაკუთრებული ძალით შევიცანით ჩვენებური ცის ნათელი მის ღიმილში.

ერთ საღამოს ჩვენ დავესწარით გიორგი მდივნის ჰეროიკული დრამის („ტერეზას დაბადების დღე“) წარმოდგენას პუშკინის სახელობის დრამატულ თეატრში. მრავალი ერთსულოვანი ტაში მოსკოველი მაყურებლისა მეტყველებდა სპექტაკლის წარმატებაზე. გვითხრეს, წინა დღეებში წარმოდგენას კუბელი სტუმრები ესწრებოდნენ და აღფრთოვანებული დარჩნენო. მკვირცხლი და მოქნილი ფანტაზიის დრამატურგია ჩვენი გიორგი, თანამედროვეობის მახვილი გრძნობით. იგი წარბ-წამწამებიანად იღიმებოდა, როცა წარმატებას ულოცავდნენ. კარგია, ხელიმც მოემართოს!

როგორც უკვე ვთქვით, მოსკოვს დღეს, რასაკვირველია, ვერაფრით გააკვირვებთ. თუ ყოველ ქალაქს თავისი სტილი აქვს, მე ვფიქრობ, ეს სტილებრივი თავისებურებანი ძირითადად ორგვარი ხასიათისაა: მამაკაცური და ქალური. ერთმა ამერიკელმა მწერალმა პარიზს, მაგალითად, ბრწყინვალე კურტიზანკა უწოდა. თუ ეს შედარება მართებულია, მაშინ მოსკოვს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ გოლიათი მამაკაცი, რომელიც გაბედულად აფათურებს ხელებს ვარსკვლავეთში. მიუხედავად იმისა, რომ აქ აუარებელი ლამაზი ქალია, ყველაფერში — აზროვნებაში, ყოფაში, ხელოვნებაში, ქალაქის არქიტექტურაში — მაინც ძტკიცე და ენერგიული მამაკაცური ფორმები სჭარბობენ.

როგორღაც მოხდა, რომ ამ ფიქრის დროს ცნობილ მანეჟთან აღმოვჩნდი. მართალია, იგი ძველი ყაზარმული ტიპის შენობაა, მაგრამ ნამაკაცური სტილის ტრადიცია მაინც შემოაქვს დღევანდელ მოსკოვში. ო, რა მძიმედ და მტკიცედ აწევს იგი მოსკოვის მიწას! მანეჟი ამჟამად სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა საგამოფენო გალერეად ითვლება. ახლა აქ გახსნილია 1961 წლის სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა. ერთხელ იგი გ. მარგველაშვილთან ერთად დავათვალიერე. მერე ორჯერ მარტო დავიარე ყველა დარბაზი. ეს არის ფერების, ხაზების, პლასტიკური ნაკვეთების მთელი ვეებერთელა მეურნეობა, გამსჭვალული ახალი ცხოვრების დამკვიდრების სულისკვეთებით. ბევრი რამ ახარებს აქ თვალს, გულსა და გონებას; ბევრი რამ განიჭებთ ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას! მაგრამ უნდა ვთქვა, პირადად მე არ დამბადებია სურვილი მუხლებზე დავცემულიყავ და თაყვანი მეცა რომელიმე უჭკნობი სილამაზისათვის ისე, როგორც ჰაინრიხ ჰაინემ დაიჩოქა ვენერა მილოსელის ქანდაკების წინაშე. გასაგებიცაა, — ის ჰაინე იყო! გარდა ამისა, ხელოვნებაში მე ძალიან მიტაცებს მოულოდნელობა. დიდი ძალის მოულოდნელობას კი გამოფენაზე ვერ შევხვდი. აქა-იქ ჭვალივით იჩხვლიტებოდა შიშველი თემატიკაც. სასიამოვნო განცდას იწვევს ეროვნული ხელწერის თავისებურება, სადაც კი იგი შეიმჩნევა ცალკეულ რესპუბლიკათა დარბაზებში.

მე ასე მივხვდი, რომ საქართველოს დარბაზიც მხარს უსწორებს სხვებს. აქაც ისე, როგორც ყველგან, ზოგჯერ სახელები ამშვენებენ ნაწარმოებებს, ზოგჯერ ნაწარმოებები — სახელებს.

საქართველოს დარბაზში წარმოდგენილ მხატვრულ ქმნილებებში ბევრი რამ არის საყურადღებო, სასიხარულო, წარმტაცი და ახალი, რასაც ფართო გზა უნდა გაეხსნას. სადავოც და საჭოჭმანოც, ჩემი აზრით, ცოტა როდია. მაგრამ კონკრეტულ ნაწარმოებთა გარჩევაში ვერ შევალ, რადგან საამისო ღრმა ცოდნა, სწორედ

ცოდნა ხელოვნების ამ დარგისა, არ გამაჩნია და, მაშასადამე, როგორც იტყვიან ხოლმე, კომპეტენტური არ გახლავართ. უცოდინართა ჩარევას კი ხელოვნების საქმეში ბევრი რამ წაუხდენია, მით უმეტეს, თუ მას ერთგვარი წესდებულების ხასიათი მიუღია. ხელოვნების ნაწარმოები, რასაკვირველია, ასე თუ ისე ყველა ადამიანზე ახდენს ზემოქმედებას; იგი მოსწონთ ან არ მოსწონთ. მაგრამ ზემოქმედება (კერძოდ მოწონება, ან არმოწონება) — სრულიადაც არ ნიშნავს ხელოვნების ნაწარმოების გაგებას. ერთი სიტყვით, მხატვრობის დარგში მე შემიძლია მხოლოდ შინაური მსჯელობა და შინაური კამათი ჩემს ვაჟთან. სხვათა შორის, მისი ერთი სურათი აქაც არის გამოფენილი — ქალიშვილის პორტრეტი.

ქალიშვილთა პორტრეტები — ფერწერული, სკულპტურული თუ გრაფიკული — საერთოდ მრავლად არის წარმოდგენილი საქართველოს დარბაზში. ისინი ეკუთვნით როგორც ხანდაზმულ, ისე ახალგაზრდა ოსტატებს. თვითეულ მათგანში მე შევნიშნე რაღაც განუმეორებელი სიმშვენიერე. ეს თითქოს ბუნებრივიცაა. ქალიშვილებზე უკეთესი ამქვეყნად აბა რა არის! მე რომ მხატვარი ვყოფილიყავ, სულ ქალიშვილებს დავხატავდი. არ იფიქროთ, არ მესმოდეს, რომ არ შეიძლება ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებათა გაიგივება.

კიდევ უფრო მხიარული ვიქნებოდი, რომ კვლავ არ მზმანებოდა ეს წყეული სიზმარი ცხადში. თითქოს ყველა ეს ქალიშვილიც რაღაცათი ჰგავდა იმ ძვირფას ავადმყოფს.

საერთოდ, 1961 წლის სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა მე განვიცადე როგორც ჩვენი ერთიანი მსოფლმხედველობის მტკიცე საძირკველზე დაყრდნობილი რეალისტური ხელოვნების დიდი დემონსტრაცია. მაგრამ წყურვილი მეტი მრავალფეროვნებისა მაინც დამრჩა. მართლაც, განა სულისგამყინავი ერთფეროვნება არ მოიცავდა ქვეყნიერებას, რომ ჩვენ ყველანი ერთნაირად ვხედავდეთ და განვიცდიდეთ ცას, მიწას, მთებს, ველებს, ადამიანებს; საგნებსა და მოვლენებს? მთავარია; რომ ჩვენ — საბჭოთა ადამიანებს გვაქვს ერთიანი მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომლის მეშვეობითაც ვწვდებით საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს და ვაშენებთ საზოგადოებას, რომელიც იხსნის ადამიანებს სოციალური უთანასწორობისაგან, ყველა ფორმის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან, ომის საშინელებათაგან და დაამკვიდრებს დედამიწაზე ყველა ხალხების მშვიდობას. შრომას, ყველა ხალხის თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას.

სამყაროს ეგრეთწოდებული მხატვრულ-ესთეტიკური ათვისება კი, რაც, რასაკვირველია, ამავე იდეალების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს, მოითხოვს ადამიანთა ფრთაშეუკვეცავი ფანტაზიის დაუსრულებელ ინდივიდუალურ სხვადასხვაობას, ქვეყნიერების ხილვის უსაზღვრო ნაირფეროვნებას. ამის გარეშე ნამდვილი ხელოვნების განვითარება შეუძლებელია.

მაგრამ აქა-იქ ხომ არიან ხელკეტიანნი, იქნებ ზოგჯერ ჩვენს სულშიაც შემოპარულნი, რომელნიც ელტვიან ხილვათა და ფანტაზიათა დაყვანას ერთ სახეობამდე.

არა, რატომ ზღვა არ გხიბლავს, ტყე კი გაფრთოვანებსო.

მე, მართლაც, არ მხიბლავს ზღვა, არ მხიბლავს, რადგან იქ ყოველივე პიროვნული წარხოცილი და გაწყალებულია. ჩაუნთქავს მშვენიერი მდინარეები, ნაკადულები, ღელეები და მათი სახსენებელიც კი მოუსპია. ტორტმანობს, ბორგავს, ბობოქრობს უზარმაზარი წყალი — ეს ულმობელი დიდმპყრობელი და ყველაფრის გაუპიროვნებასა და გაუსახურებას ცდილობს. ტყე კი ნამდვილად მხიბლავს, უზომოდ მხიბლავს. იგი სავსეა ერთმანეთისაგან განსხვავებული პიროვნებებით, სიცოცხლის მრავალსახეობით. ერთი ხის ფოთლებიც კი არ იმეორებენ ერთმანეთს ზუსტად, თითეულ მათგანს საკუთარი ნახატი აქვს, საკუთარი პიროვნული ნიშნები გააჩნია.. ერთი სიტყვით, მხიბლავს ტყე, არ მხიბლავს ზღვა. მერე რა? ხომ არ შეიძლება რაიმე ცოდვად ჩამეთვალოს ეს ჩემი განსხვავებული ემოციური დამოკიდებულება ზღვისა და ტყისადმი?

— რა უცნაური კითხვაა, — ამბობთ, ალბათ, თქვენ.

ასე თუ ისე, ბევრი ამდაგვარი ფიქრი მიმყვებოდა და მომყვებოდა ჩემს პირველ საჰაერო ნათლობაში.

ფაქტია, ჩამოვრჩებოდი ჩვენი დროის ტექნიკას. როგორღაც ისე მოეწყო საქმე, რომ ჩემი ცხოვრების საკმაოდ გრძელ მანძილზე მხოლოდ 1961 წლის 14 ნოემბერს გავფრინდი თბილისიდან მოსკოვისაკენ. მართალი გითხრათ, ჩემი გულის გადამკიდეს, გულისა, რომელსაც კარგა ხანია შეეჩვია მჩხვლეტავი ჰვალი, ცოტა არ იყოს მეჰოჰმანებოდა გაფრენა.

მაგრამ გაფრენაა კი ეს?

რამდენიმე წამს, სანამ ფრთაგაშლილი და ბორბლებზე შემდგარი ხომალდი სა[']ტარტო გზატკეცილზე გარბოდა, ერთგვარ სისწრაფეს კიდევ ვგრძნობდი. მაგრამ როცა ძალუმად დაიგუგუნა, დაიწივლა და ჰაერში აიწია, სისწრაფე თითქოს სივრცეში შთაინთქა, უკეთ ვთქვათ, მოძრაობა ჩაყლაპა სივრცემ.

როგორც საჰაერო ახალბედას, მეგობრებმა სავარძელი დამითმის სარკმელთან, ფრთის წინა მხარეს. დაბლა სახლები უკვე პატარ-პატარა

ჭრელ კოლოფებად მოსჩანდნენ, მიწა — დაკუთხულ ნაჭრებად, უცნაურ ხალიჩებად; თხელ, დაწეწილ ნისლში სადღაც ჩახრამულ უფსკრულებსაც ჩაწვდა თვალი, ნაძვნართა მწვანე შუბებიც დავინახე. მერე კიდევ ერთი ზარიანი დაწივლება და ჩვენ უკვე ღრუბელთა ზემოთ მივჩოჩავდით მძიმედ დატვირთულ ჩარდახიან ურემივით. მართლაც, ურემივით; არა, კიდევ უფრო ნელა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არავითარი ჯაჯგური აქ არ იყო. ხანდახან იგრძნობოდა ნარნარი გადაფერდება ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე. (რატომღაც ახალგაზრდა ალიოს სტრიქონები გამახსენდა: „მთაზე ქორი ანგალი პერანგივით ქანაობს“) ზოგჯერ თითქოს ერთ წერტილზე ვეკიდეთ ცაში. ზოგჯერ წინ, ჩემი ანგარიშით სულ ოცდაათიოდე მეტრის მანძილზე, ე. ი. სანადირო თოფის მისაწვდენზე მივიშენებდი ხოლმე ღრუბლის რომელიმე ქორედს და მერმე თითქოს კუს ნაბიჯით მივბობღავდით იმ ქორედისაკენ... ვფიქრობდი, რა პრიმიტული და გულუბრყვილო ასოციაციები მებადება, რა მოძველებული შედარებები მომდის თავში-მეთქი. სად ურემი და სად თანამედროვე ტექნიკის უმაღლესი მიღწევა — უსწრაფესი საჰაერო ლაინერი! ხომ ახი იქნება, საოცარი ჩამორჩენილობა და თანამედროვე სტილიდან ამოვარდნა რომ მიყიყინოს ვინმემ. რა გაეწყობა.

მოსკოვიდან კი უკვე ათვისებულ სივრცეს მოვარღვევდით. ვიცით, რომ ცხრა თუ ათი კილომეტრის სიმაღლეზე ვართ. ზევიდან მოწმენდილი ცა დაგვნათის, ქვეშ კი ზამთრის ტყვიისფერი ღრუბლების ტრამალებია გადაშლილი. გგონიათ, ხან თვალუწვდენელ ნაცრისფერ ხნულებს მისდევთ, ხან ტვინივით დანაოჭებულ ქუფრ ველებს, ხან თეთრად აქვამლებულ ბუჩქნარებს, ხან კი იისფერ თოვლით დაფარულ ტყეებს. ზოგჯერ კაცს ეჩვენება, შეიძლება ჩამოვიდე და ფეხით გავუსწრო ამ ზოზინა თვითმფრინავს ან იმ მშვენიერ თეთრ მინდორზე გავისეირნოო. მაგრამ გონების ერთ კუნჭულში მაინც არის მიმალული იჭვნეული ფიქრი: ხომ საკმაოა მანქანის რომელიმე მთავარმა სასიცოცხლო ნაწილმა — უგულო, უგონო ლითონმა იუერაგოს, რომ ეს ათასნაირი ფიქრებით, იმედებით და ოცნებებით სავსე თავები სადღაც საშინლად ჩაილეწოს.

მართალი გითხრა, ძალიან დიდ ნდობას კი ვუცხადებთ ამ ტექნიკას, — გადავულაპარაკე ბესოს. მან გაიცინა.

კავკასიონის ღრუბელთა ქორედები სრულიად განსხვავებულნი არიან, საზღაპრო სილამაზით აღვსილნი. მე ასე მეჩვენა, რომ ისინი თითქოს იმეორებდნენ თვითონ კავკასიონის მწვერვალებს, ფრიალოებს, ჭიუხებს, ქარაფებს; ჯიხვთშესახვეწლებს, ყინულისა და თოვლის ფაფანაკებს. ალბათ, სადღაც აქ არის ჩვენს ქვეშ დიდებული მყინვარწვერი, დარიალი, თერგი, არაგვი. ო, ჩვენ ალბათ თავზე გადავუქროლებთ მათ, დიდი ილია კი მოხევის ტანმორჩილი ცხენით შემოდიოდა საქართველოს კარებში. შემოდიოდა და რა მძიმე ტვირთი მოჰქონდა. ჩვენ კი... მაგრამ აქ ყოველგვარი პარალელი, მეტი რომ არ ვთქვათ, უდიდესი კადნიერებაც და ანაქრონიზმიც იქნებოდა...

ამასობაში ჩვენი თვითმფრინავი მოხდენილად დაეშვა თბილისის მიწაზე.

ნოემბერი, 1961 წელი.

## ზარიელ კვანჭილაშვილი

# მიხეილ ჯავახიშვილის გაზეთი „გლეხი“

გაზეთ „გლეხის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წლის 22 ივნისს, ხუთშაბათს, ქალაქ თბილისში. იგი იბეჭდებოდა სტამბა „იდეალში“.

„გლეხის“ რედაქტორ — გამომცემელი იყო მიხეილ ადამაშვილი, შემდგომში ცნობილი ქართველი ბელეტრისტი მიხეილ ჯავახიშვილი.

გაზეთი ყოველკვირეული ორგანო იყო.

გაზეთ „გლეხის“ აღწერილობას თუ მოვახდენთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

გაზეთი პატარა ფორმატისაა, ფართო ფორმატიანი წიგნის ოდენა, 16 გვერდიანი, ორ სვეტიანი. გაზეთს აქვს დახატული (კლიშირებული) სათაური.

გამოვიდა „გლეხის“ მხოლოდ 7 ნომერი, ხელისუფლებამ ეს გაზეთი აკრძალა და დახურა, როგორც პოლიტიკური მტრული მიმართულებისა.

პირველი ნომრის გამოსვლამდე „გლეხის“ რედაქცია გაზეთ „შრომაში“ (78-ე ნომრიდან მოყოლებული 96-ე ნომრამდე) ყოველდღე ათავსებს განცხადებას, რომელსაც ხელს აწერს „გლეხის“ რედაქტორ-გამომცემელი მ. ადამაშვილი. განცხადების ტექსტი ასეთაა:

„ყოველკვირეული სახალხო გაზეთი „გლეხი“.

„გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესებს: მიწა და თავისუფლება, მიწა მიწის მუშებს! გაზეთი ხელს შეუწყობს მშრომელ გლეხობის განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საჭიროებას და ვააცნობს ჩვენს გლეხებს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი და გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასია, რომელიც თავის ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაცობრიობას განახლებას და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობასა და თავისუფლებაზე დამყარებულ ცხოვრებას“.

ასეთი შინაარსის განცხადების ყოველდღიური გამოქვეყნება მეზობელ გაზეთში მიუთითებს რედაქციის ღონისძიებებზე, გააცნოს გაზეთი მკითხველს, შექმნას საზოგადოებრივი აზრი გაზეთის სასარგებლოდ, და ამით გაზეთის არსებობა გაახანგრძლივოს.

გარდა ამისა, ეს განცხადება იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ გვაცნობს რედაქციის აზრს თავისსავე გაზეთზე, თუ რა მიზანდასახულება ჰქონდა გაზეთს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ გაზეთ „გლეხის“ პოზიცია ყოველ საკითხში რევოლუციურია, მიმართულია მემამულეებისა და კაპიტალისტების, მეფისა და ბიუროკრატიული მთავრობის დამხობისაკენ, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარებისაკენ, ნამდვილი კაცური, სამართლიანობაზე დამყარებული ცხოვრების განხორციელებისაკენ.

გაზეთის ფურცლებზე მოთავსებული თითქმის ყოველი სტატია ნათელი ილუსტრაციაა ამ დებულებისა. ზოგჯერ გაოცებულიც კი ვრჩებით იმის გამო, რომ მეფის ხელისუფლების დროს, მკაცრი საცენზურო შეზღუდვების პირობებში, შესაძლებელი ხდებოდა ასეთი გაზეთის გამოშვება, გაზეთისა, რომელიც თუმც ლეგალურად გამოდიოდა, მაგრამ, პირდაპირ და აშკარად, შეუნიღბავად და გაბედულად ამხელდა მეფის, მემამულეების და კაპიტალისტების კაცთმოძულეობას. „გლეხში“ გამოქვეყნებული თითქმის ყველა მასალა ზოგადი ფრაზეოლოგია კი არაა, არამედ კონკრეტული ფაქტების შეფასება და მათი განზოგადება ეპოქის საერთო სულისკვეთების შუქზე.

საყურადღებოა „გლეხის“ პირველ ნომერშივე დაბეჭდილი ერთი წერილი, რომელსაც ეწოდება — „მშრომელო ხალხო, შეერდით!“

ამ წერილში ჯერ გარკვეულია, თუ ვის უწოდებენ მშრომელ ხალხს, რომ ესაა სოფლის გლეხობა და ქალაქის ქარხანა-ფაბრიკების მუშები, მერე დასმულია საკითხი, თუ ვინ აწუხებს, ვინ ავიწროებს და ჩაგრავს მშრომელ ხალხს. ამაზე გაცემულია პასუხი, რომ მათი შემწუხებელ-მჩაგვრელები არიან მემამულეები, მექარხნე-მეფაბრიკეები, ბიუროკრატია, მეფის მთავრობა, რომლებიც მხოლოდ თავიანთ თავზე და თავიანთ ჯიბის გასქელებაზე ზრუნავენ.

სტატიაში ნათლად არის გარკვეული, თუ როგორი ურთიერთობაა ერთის მხრივ მემამულე-კაპიტალისტებსა და მუშა-გლეხებს შორის, მეორეს მხრივ, რა ერთგული დამცველი ჰყავთ ექსპლოატატორებს მთავრობისა და მისი ჯარის სახით, როგორ ბანენ ხელს ერთმანეთს...

ექსპლოატაციის საშინელი სურათების დახატვით როდი კმაყოფილდება წერილის ავტო-

რი. იგი მუშებსა და გლეხებს უჩვენებს მოქმედების გზასაც.

პირველი, რაც ამ დაჩაგრული კლასების წარმომადგენლებმა უნდა გააკეთონ, — აცხადებს ავტორი, — ესაა მათი შეერთება და შეერთებული ძალით მოქმედება. ავტორი აცხადებს, რომ „შეერთებული ხალხი ყველაფერს გააკეთებს“.

წერილში გარკვეულია და ნათლადაცაა ჩამოყალიბებული მუშებისა და გლეხების ბრძოლის მიზანი. „მშრომელ ხალხს სურს მიწა და თავისუფლება! მშრომელ ხალხს სურს, რომ იმისი ნაოფლარი მასივე იყოს!“—ეს სტრიქონები გაზეთში შავით არის ხაზგასმული და მოწოდება ლოზუნგის ფუნქციას ასრულებს.

„გლეხებიც უნდა შეერთდნენ, შეკავშირდნენ თავიანთა საქმის გასაკეთებლად.

თუ მიწა და თავისუფლება უნდათ, ხმა უნდა ამოიღონ და მხარი დაუჭირონ თავის მოძმე ქალაქის მუშებს.

გაუმარჯოს შეერთებულ მშრომელ ხალხს!“

ასეთი სიტყვებით მთავრდება წერილი. მას ხელს აწერს გლეხიშვილი, რომელიც მიხ. ჯავახიშვილის ერთ-ერთ ფსევდონიმად მიგვაჩნია.

განხილული წერილი, რა თქმა უნდა, ნათელ წარმოდგენას იძლევა გაზეთ „გლეხის“ მიმართულებაზე.

პირველსავე ნომერში დაიბეჭდა ერთი ხელმოუწერელი მოკლე, მაგრამ ძალზე საყურადღებო მასალა სათაურით, „ახლოვდება განკითხვის დღე“. მასში მიმოხილულია მთელი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებსა და კუთხეებში აზვირთებული ხალხის რევოლუციური გამოსვლების კონკრეტული ფაქტები; ჩამოთვლილია ის ადგილები, სადაც ეწყობოდა გაფიცვები, ხაზგასმულია, რომ გაფიცვები ხდება არა მარტო ქალაქად (ჩამოთვლილია: პეტერბურგი, მოსკოვი, ლოძი, ვილნა, ოდესა, სარატოვი, ხარკოვი, რიბინსკი, არხანგელსკი, ჭიათურა, ქუთაისი), არამედ სოფლებშიც. სადაც მოითხოვენ მემამულეთა მიწების განაწილებას სოფლის გლეხებს შორის.

მიმოხილვა უყურადღებოდ არ ტოვებს მღელვარებას ჯარში და აშკარად წერს:

„ამოძრავდნენ სალდათებიც. დიდი მღელვარებაა და უკმაყოფილება ჯარში... სალდათებმა დაინახეს, რომ სიმართლე ხალხის მხარეზეა და არა მთავრობის, სალდათებს აღარ უნდათ თავის ძმების, ხალხის წინააღმდეგ წავიდნენ და აღარ ემორჩილებიან მთავრობას“.

მარტო ამ ფაქტების აღნუსხვით როდი კმაყოფილდება რედაქცია; იგი აღნიშნავს მთავრობის დაბნეულობას, მისი ძალაუფლების შესუსტებას და სრულიად აშკარად ამხელს მეფის და მემამულეების, კაპიტალისტების და ჩინოვნიკების ძალმომრეობას.

გაზეთის მიმართულებას აშკარად გამოხატავს წერილების სერია, რომელთა საერთო სათაურია „გლეხის წერილები“. ამ წერილებში სხვადასხვა საკითხია განხილული.

პირველი სტატია „გლეხის წერილების“ სერიიდან მეორე ნომერში დაიბეჭდა. მისი ქვესათაურია „ამხანაგო გლეხებო!“ აქ გლეხთა მდგომარეობის საერთო სურათია დახატული. შემდეგ წერილში (№ 3) დახასიათებულია მეფის მთავრობა და ქვესათაურად „მთავრობა“ აქვს. მესამე წერილის თემაა „სათათბირო და ხალხი“.

ყოველ მათგანს ხელს აწერს ქართველი გლეხი, რომელიც მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო. წერილები გამოირჩევა პოლიტიკური შემართებით, სიმძაფრით და საკითხების რევოლუციური გადაჭრით.

ამ სერიის ერთ წერილში მკაფიოდ არის გატარებული ის აზრი, რომ მთავრობა სხვა არაფერია, თუ არა გაბატონებული კლასების ინტერესების დამცველი, მშრომელი გლეხობისა და მუშების მძარცველი.

გაზეთს ჰქონდა ორი მუდმივი განყოფილება, სადაც მოკლე ქრონიკის სახით მოცემულია ცნობები რევოლუციური ბრძოლის მიმდინარეობაზე. ეს განყოფილებებია „ჩვენებური ამბები“ და „რუსეთი“.

„ჩვენებურ ამბებში“ ყოველთვის შერჩეულია ისეთი მასალა, რომელიც მკითხველს რევოლუციური სულისკვეთებით მსჭვალავს და ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ამის ნათელსაყოფად მოვიტანთ ამ განყოფილებაში შეტანილი მასალების სათაურებს: **„ყუმბარის სროლა“, „პოლიციელების მოკვლა“, „ჯარის აჯანყება“, „სალდათების მიტინგი ბათუმში“, „მორიგება ვერ მოხერხდა“, „გაფიცვა ნოქრებისა ქუთაისში“ „გაფიცვა ჭიათურაში“ „მოთხოვნილებანი“, „22 ივნისის გაფიცვის გამო“** და ა. შ.

რა თქმა უნდა, იმხანად ჩვენში სხვა ამბებიც ხდებოდა, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონდა რევოლუციასთან, მაგრამ გაზეთი ასეთ მასალებს გაურბის და ათავსებს მხოლოდ ისეთს, რომელიც მოსახლეობის რევოლუციურ აღტკინებას გამოიწვევს და მეფის ხელისუფლების დასამხობად ბრძოლაში ჩააბამს.

დავა არ უნდა, რომ ასეთი შერჩევა და რევოლუციური ფაქტების პროპაგანდაც განსაზღვრავს გაზეთის მიმართულებას.

ანალოგიურია განყოფილება „რუსეთის“ შინაარსიც. აქ იბეჭდება ასეთი მასალები: „გლეხთა მოძრაობა“, „მუშათა მოძრაობა“, „მოძრაობა ჯარში“.

თვით ეს სათაურებიც ნათელს ხდის, რომ ყოველ მათგანში ლაპარაკია „მოძრაობაზე“ არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობაზე.

ასეთია გაზეთ „გლეხის“ მუდმივი განყოფილებები.

გაზეთი არა მხოლოდ პუბლიცისტურ წერილებით, არამედ მხატვრული ლიტერატურის საშუალებითაც გამოხატავდა თავის მიმართულებას.

გაზეთი მხატვრულ ნაწარმოებებს ბეჭდავს საგანგებო შერჩევით, დასაბეჭდად არჩევს მხოლოდ ისეთს, რომელიც მის სახეს, მის მიმართულებას შეეფერება. ამ საქმეს ისეთი თანმიმდევრობით აკეთებს გაზეთი, რომ შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს.

„გლეხში“ დაბეჭდილი მხატვრული ნაწარმოებების ძირითადი ნაწილი გლეხთა მდგომარეობას, გლეხობის დუხჭირ ცხოვრებას ასახავს. შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ გაზეთში მხატვრული ნაწარმოებებით იგივეა ნათქვამი, რაც პუბლიცისტური წერილებით, ოღონდ, რასაკვირველია, მხატვრული საშუალებებით.

გაზეთის ერთ-ერთი მთავარი თანამშრომელი იყო ი. ევდოშვილი. აქ დაიბეჭდა მისი ექვსი ნაწარმოები. გამოქვეყნდა აგრეთვე დ. თომაშვილის, დუტუ მეგრელის, შურის მაძიებლის (ფსევდონიმი), ბ. ახოსპირელის, გრ. ცენტერაძის, გ. შინატეხელის და სხვათა ლექსები.

ზოგ ნომერში რამდენიმე მხატვრული ნაწარმოებია მოთავსებული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რედაქცია სწორად აფასებდა მასებზე ლიტერატურის ზეგავლენის ძალას. იმ კონკრეტულ ეტაპზე კი, როცა რუსეთის პირველი რევოლუცია ბობოქრობდა, ი. ევდოშვილის ლექსების ძალა, მათი საბრძოლო განწყობილება, ყველასათვის ცნობილია.

ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების ყველა ნაწარმოებს წითელ ზოლად გასდევს ერთი აზრი: გლეხის ცხოვრება აუტანელია, გლეხი მოტყუებული და დაჩაგრულია, მან ხმა აიმაღლა უსამართლობის წინააღმდეგ, იგი ბრძოლაში ჩაება თვითმპყრობელობისა და მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დასამხობად, მან უკან არ უნდა დაიხიოს, ბოლომდე უნდა იბრძოლოს, რათა მოიპოვოს მიწა და თავისუფლება, ადამიანური ცხოვრება.

ეჭვგარეშეა, რომ მხატვრული ნაწარმოებებით ასეთი აზრების ქადაგება სავსებით ეხმატკბილება გაზეთის საერთო მიმართულებას და კიდევ უფრო მკაფიოდ გვიხატავს მის მიზნებს.

გაზეთ „გლეხში“ მოწინავეს ისეთივე ადგილი უკავია, როგორც ჩვენს დღევანდელ პრესაში. ამაზე ყურადღების გამახვილება იმიტომ გვიხდება, რომ იმდროინდელ სხვა გაზეთებში, როგორიცაა, „ივერია“, „შრომა“, „ცნობის ფურცელი“ და სხვები, მოწინავეს არ ჰქონდა გამოკვეთილი სახე და გარკვეული ადგილი.

გაზეთ „გლეხში“ მოწინავე სტატია ნომრის დროშაა, იგი განსაზღვრავს აღებული ნომრის ძირითადი მასალის გეზსა და დანიშნულებას. მოწინავე ხელმოუწერელია და მას უკავია პირველი გვერდი, გაზეთის სათაურის ქვეშ, როგორც დღეს ვხვდებით გაზეთებში.

მთავარი მაინც „გლეხის“ მოწინავეების შინაარსი და მათი დაწერის ხარისხია. ყოველ ნომერს აქვს მებრძოლი და შემტევი ხასიათის მოწინავე. ნომრების თანმიმდევრობის მიხედვით ესენია: „გლეხი“, „მიწა“, „თავისუფლება“, „როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე“, „როდის ვიქნებით თავისუფლები“, „როგორაა მოწყობილი დღევანდელი წარმოება“, „ერთობა“. სათაურებიც კი გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევენ მათი შინაარსის და იდეურობის შესახებ. ერთი მათგანის ამოცანაა გაარკვიოს საკითხი — „როგორაა მოწყობილი დღევანდელი წარმოება“, მაგრამ საკმარისია მისი გადაკითხვა, რომ იგრძნოთ, თუ რა ცეცხლი შეუნთო რევოლუციამ მემამულური და კაპიტალისტური წარმოების წესს.

გლეხმა უნდა იბრძოლოს მიწისა და თავისუფლებისათვის, მაგრამ ეს არ კმარა გლეხის ბედნიერებისათვის. აქ შეჩერება არ შეიძლება, რადგან „ეს ვერ დაიხსნის გლეხს ყოველნაირი შევიწროებისაგან და მანამდე არ ეღირსება ტკბილ და მოსვენებულს ცხოვრებას, **სანამ დედამიწაზე არ დამყარდება ჭეშმარიტი ერთობა — სოციალიზმი**". (ხაზი ჩემია — ტ. კ.).

მოწინავე აყენებს ლოზუნგს: უნდა ვიბრძოლოთ „**ერთობა — სოციალიზმის**“ გამარჯვებამდეო.

მოწინავის ავტორს სწორად აქვს გათვალისწინებული ის, რომ თუ სოფლად გლეხები მიიღებენ მიწას და თავისუფლებას, ხოლო ქალაქად ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეები ისევ იპარპაშებენ, სოფლის გლეხობა კვლავ დაჩაგრული დარჩება, მის ცხოვრებაში არსებითი ცვლილება არ მოხდება. საჭიროა, რომ ქალაქადაც ყველაფერი — საწარმოო იარაღები და საშუალებანი მუშების ხელში გადავიდეს. ამის გარეშე ერთობა-სოციალიზმი ვერ განხორციელდებაო.

მოწინავეში ნათლად წერია: „მუშა ხალხი (გლეხობა და ქალაქის მუშები) გაყვლეფილია იმიტომ, რომ მდიდრებს ხელში ჩაუგდიათ მიწა, მადნები, ქარხანა-ფაბრიკები, ხელში ჩაუგდიათ საწარმოო იარაღები. მაშასადამე, რომ მოვსპოთ ეს გაყვლეფა, უნდა ჩამოვართვათ მდიდრებს საწარმოო იარაღები და გადავცეთ მუშახალხს; რაც კი საწარმოო იარაღია, იქნება ეს მიწა, მადნები, ქარხანა, ფაბრიკა, რკინიგზები თუ სხვა — უნდა იყოს საზოგადო და ყველა მუშა უნდა სარგებლობდეს, ყველას უნდა შეეძლოს თავისუფლად მუშაობა და მისი შრომის ნაყოფი უნდა იყოს მთლად მისი“.

შემდეგ, უფრო ამახვილებს რა ამ აზრს, ავტორი აკეთებს სწორ და გაბედულ დასკვნას: „არ უნდა იყვნენ — ერთის მხრივ მექარხნე-მეფაბრიკეები და მემამულეები, მეორეს მხრით — მუშები, ერთის მხრით ჩაგრული, მეორეს მხრით — მჩაგვრელი, არ უნდა იყოს კაცის და-

ქირავება, არამედ ყველა უნდა მუშაობდეს, მუშაობა უნდა იყოს საზოგადო“.

მკითხველი დაინახავს, რომ აქ დაყენებულია ცნობილი საკითხი ექსპლოატაციის მოსპობისა და საყოველთაო შრომის შემოღების შესახებ.

საქმე ისაა, რომ მარტო მეექვსე ნომრის მოწინავე როდია ასეთი! ყველა ნომრის მოწინავე სტატიებს ახასიათებს ასეთი გაბედულება, ეპოქალური საკითხების დასმა და გადაჭრა, სწორი პოზიცია და რევოლუციური სული.

მოწინავეები დაწერილია ოსტატურად, ჟურნალისტის გამოცდილი ხელით. ყოველ მათგანში დასმულია საზოგადოებრივად საინტერესო პრობლემა, რომელიც საფუძვლიანად ამომწურავად არის დასაბუთებული. მოწინავეები იწყება ისე მოხდენილად, რომ მკითხველი თავიდანვე ინტერესით კითხულობს მას, როგორც იტყვიან, ხდება მკითხველის „ჩათრევა“ და ბოლომდე მისი ყურადღების გამახვილება აღძრულ საკითხზე. მეთაურები დაწერილია მახვილი ფრაზებით, შესაფერისად შერჩეული ლექსიკით, არგუმენტაციით და ლოგიკური დასკვნებით. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „გლეხის“ მოწინავე სტატიები დაამშვენებდა ყველა პროგრესულ გაზეთს როგორც თემატიკითა და პრობლემატიკით, ისე სიმახვილით, გაბედულებით, დაწერის ხარისხითა და მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის ძალით.

მრავალმხრივი და საინტერესოა „გლეხის“ ფურცლებზე მოთავსებული სტატიები და კორესპონდენციები.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ გაზეთს კორესპონდენციები მოსდის საქართველოს ყველა კუთხიდან. გაზეთის ინტერესები არ არის შემოფარგლული მხოლოდ თბილისით და ახლომახლო ადგილებით, მას მთელი საქართველო აინტერესებს.

ამასთან, გაზეთი ძალზე ოპერატიულად და მოხდენილად აშუქებს რუსეთის ამბებს. ეს კი ხორციელდება არა მარტო გაზეთებიდან ამოკრეფილი მასალების, დეპეშებისა და ინფორმაციების, არამედ საკუთარი სტატიების, კორესპონდენციების გამოქვეყნებით. ასე, რომ, პუბლიცისტური — სტატია და კორესპონდენცია წამყვანი ჟანრებია გაზეთ „გლეხში“.

გაზეთში ზუსტად და მკაცრად განსაზღვრულია სტატიების და კორესპონდენციების თემატიკა: შერჩეულია ისეთი თემები, რომლებიც ხელს შეუწყობს რევოლუციურ აღტკინებას და მასების მობილიზებას რევოლუციაში ჩასაბმელად. ამ დებულების დასამტკიცებლად შეიძლებოდა მოგვეტანა ნებისმიერი სტატია თუ კორესპონდენცია.

ავიღოთ, მაგალითად, შიო ჩიტაძის მკვლელობის ფაქტისადმი მიძღვნილი სტატია. იგი იწყება უბრალოდ, ფაქტის აღნიშვნით. „4 მკათათვეს, საღამოს 8 საათზე ტფილისში კაზაკებმა მხეცურად მოჰკლეს სათავადაზნაურო გიმნაზიის ინსპექტორი შიო ჩიტაძე“. ასეთ დასაწყისს მოსდევს თვით მკვლელობის დეტალების აღწერა, შემდეგ კი დახასიათებულია მოკლულის პიროვნება და შეფასებულია მისი ღვაწლი. სწორედ აქ ავტორი მგზნებარედ ესარჩლება რევოლუციას, მის რაინდებს, ბრძოლაში ჩაბმულ მშრომელ მასებს, ამავე დროს თავს ესხმის მოძალადეებს, მეფის ხელისუფლებას, მის ბიუროკრატიულ აპარატს, ძალადობის იარაღებს, კაზაკებს, ოფიცრებს და ა. შ. შემდეგ გადმოცემულია ხალხის გამოძახილი ამ საზიზღარ მკვლელობაზე. აღნიშნულია, რომ შ. ჩიტაძის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად თავიანთი წარმომადგენლები გამოუგზავნიათ ქართლკახეთის და საქართველოს სხვა კუთხეებს, რომ შიო ჩიტაძის დაკრძალვა დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაქცეულა.

კორესპონდენციას აქვს მრავლის მთქმელი და მოხდენილი დასასრული: „ზიზღი და შურისძიება მკვლელებს და საუკუნო ხსოვნა რეაქციის მსხვერპლს, ძვირფას შიო ჩიტაძეს!“

სტატიას აწერს ამხანაგი. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო კორესპონდენცია, რომელიც სრულყოფილია ჟანრობრივად, გულში ჩამწვდომია თემატიურად, დატენილია რევოლუციურად და, როგორც იტყვიან, ყუმბარასავითვარდება.

გაზეთში ბევრი მასალაა მოთავსებული გურიის აჯანყებაზე. გურიის ამბები, გურულთა რევოლუციური გამოსვლები და შემდეგ ალიხანოვის თარეში, აოხრება-აწიოკება ნაჩვენებია რევოლუციური პოზიციიდან. გაზეთი დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით ეკიდება აჯანყებულ გურულებს, ამავე დროს ზიზღსა და სიძულვილს უცხადებს დამსჯელებსა და ამაოხრებლებს. ეს ზიზღი პასიურად კი არაა გამოთქმული, არამედ მებრძოლი ტონით, ბრძოლისაკენ მოწოდებით.

საყურადღებოა მე-5 ნომერში დაბეჭდილი „მუშის წერილი“, რომელიც გლეხებისადმი მიმართვის ტონით არის დაწერილი.

საერთოდ, გაზეთ „გლეხისათვის“ დამახასიათებელია მუშებისა და გლეხების შეკავშირების იდეის პროპაგანდა, ეს წერილიც ამ მხრივ არის საინტერესო. წერილს ხელს აწერს მუშა კოლა გურულა. ავტორი გლეხებს მიმართავს, მეც თქვენსავით გაჭირვებაში ვარ გაზრდილი, თქვენსავით შევიწროებულიო. ორივენი ძმები ვართ, ერთ ტაფაში ვიწვით და ერთნაირად ვიტანჯებით, ერთი გვაქვს მისწრაფება „როგორც ჩვენთვის, ისე თქვენთვისაც საჭიროა თავისუფლება, საჭიროა თანასწორობა, საჭიროა ეხლანდელი წესწყობილების მოსპობა“.

შემდეგ ნათქვამია, — ქალაქელი მუშები დღედაღამ მუშაობენ, მაგრამ შიმშილს თავს ვერ აღწევენ, ღიპიანი „ხაზეინები“ კი ფუფუნებაში არიან და უფრო მდიდრდებიან. ავტორი ლაპარაკობს უსამართლობაზე, ხსნის მის მო-

ზეზებს და სახავს ბრძოლის გზას: მავცეთ ძმურად ხელიხელს, შევკრათ ერთი პირი და გვქონდეს ნამდვილი ერთობა, შევუტიოთ მტარვალებს... ჩვენი ძალები შევუერთოთ რუსეთის მებრძოლ მშრომელებს და ერთიანი ძალით დავაღწიოთ თავი მონობას.

„მაშ ბრძოლა, ამხანაგებო, ბრძოლა მედგარა!..“

ასეთია ამ კორესპონდენციის ბოლო სტრიქონი, ასეთი მებრძოლი სულით არის დაწერილი იგი! სტატიას აქვს უშუალობის ძალა, რადგან მიმართვას სახითაა დაწერილი, თითქოს ცოცხალი კაცი ელაპარაკებოდეს, ძმურად ესაუბრებოდეს გლეხებს. ეს კი ემოციურობას აძლიერებს და, მაშასადამე, ზუსტად მიზანში ხვდება.

„გლეხში“ (4) გამოქვეყნებულია თვით მ. ჯავახიშვილის (მადლი) სტატია — „ჯარა“, რომელიც მილიტარიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. სტატია ისეთ შთაბეჭდალებას ახდენს, თითქოს დღეს იყოს დაწერილი. განსაცვიფრებელია ავტორის პოზიციის ასეთი სისწორე; ჯარის, როგორც ძალადობას, იარაღის შეფასება, და განიარაღების მოთხოვნა.

აქ განხილული სტატიები ტიპიურნი არიან გაზეთისათვის. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ „გლეხში“ პუბლიცისტიკა მაღალ დონეზე დგას პრობლემატიკითაც და პროფესიული დაწერის თვალსაზრისითაც.

გაზეთში გამოქვეყნებული ძირითადი მასალა, რა ჟანრისაც არ უნდა იყოს და რა რუბრიკითაც არ უნდა მადიოდეს იგი, ერთი მთავარი აზრით არის განმსჭვალული. ყოველ მათგანში მხილებულია მეფისა და ბიუროკრატების, მემამულეების და კაპიტალისტების უმსგავსოება, მათი პარპაში და გაუმაძღრობა, მათ მიერ მშრომელი ხალხის შევიწროება, დამონება, აბუჩად აგდება. ამ სურათების დახატვისა და გაბატონებული კლასების აღვირახსნილობის ჩვენებას მოსდევს აღშფოთებულ-ამხედრებული ტონი და მოწოდება მათ წინააღმდეგ ბრძოლისა. მშრომელი ადამიანები — მუშები და გლეხები გაერთაანებული ძალებით უნდა იბრძოდნენ მეფის, მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობის დამხობისა და თავისუფლების მოპოვებისათვისო. ეს დებულებები თავიდან ბოლომდე გასდევს თითქმის ყველა მასალას, როძლებიც გაზეთ „გლეხშია“ დაბეჭდილი. აქედან ნათელი ხდება, ამ გაზეთის სწორი იდეურ-პოლიტიკური მიმართულება.

## წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა გამოხმაურება პროფ. პ. გუგუშვილის ერთ წიგნზე

პროფ. პ. გუგუშვილის მიერ 1957 წ. რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი „მრეწველობის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX-XX სს“ წარმოადგენს იმ ნაშრომების პირველ ნაწილს, რაც ქართულად გამოქვეყნებული იყო უმთავრესად 1938—1941 წ. წ.

სახალხო მეურნეობის, კერძოდ, მრეწველობის ზოგადი ისტორიის ღრმა ცოდნამ ავტორს მისცა შესაძლებლობა ამიერკავკასიაში მრეწველობის განვითარების კონკრეტული მოვლენები გაეშუქებია მსოფლიო მრეწველობის ისტორიის ასპექტში, რამაც შეუწყო ხელი იმას, რომ პ. გუგუშვილის ნაშრომმა ესოდენ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის მეცნიერთა შორის.

ამ მომენტზე პირველად მიუთითა ცნობილმა საბჭოთა ეკონომისტმა პროფ. პ. მასლოვმა, რომელიც პ. გუგუშვილის წიგნზე გამოქვეყნებულ თავის რეცენზიაში დაასკვნის: „ამიერკავკასიის ინდუსტრიულ განვითარებას ავტორი განიხილავს ფართო გეგმით და მის მიერ მრეწველობის ცალკეულ ფორმათა გამოკვლევა, როგორც წესი, იწყება მრეწველობის მოცემული ფორმის არსისა და სოციალური ხასიათის შესახებ სოციოლოგიური საკითხების გაშუქებით რუსეთისა და უცხო ქვეყნების მრეწველობის ისტორიიდან შედარებითი მასალების გამოყენებითა და მრეწველობის ცალკეულ ფორმათა განვითარების ისტორიული თანმიმდევრობის საკითხებზე ბურჟუაზიულ ეკონომისტთა და ისტორიკოსთა შეხედულებების კრიტიკული განხილვით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შესაბამის მითითებათა დეტალური შესწავლისა და შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე პ. გუგუშვილი რიგ შემთხვევაში იძლევა მრეწველობის განხილულ ფორმათა არსისა და სოციალური ბუნების ურთულესი საკითხების სავსებით დამოუკიდებელ ახსნას“.

მეურნეობის ისტორიის ცნობილი სპეციალისტი, „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ისტორიის“ სახელმძღვანელოს თანაავტორი, ა. პოდკოლზინი აცხადებს, რომ პ. გუგუშვილის ნაშრომში „თეორიულ პრობლემათა გადაწყვეტა ემყარება მრავალრიცხოვანი ისტორიულ-ეკონომიკური მასალების სერიოზულ შესწავლასა და მართებულ განზოგადებას... ავტორს მოყავს აგრეთვე უმდიდრესი ფაქტობრივი მასალა მრავალი არქივის ფონდებიდან და ნაკლებად ცნობილი ლიტერატურული წყაროები, დაწყებული ანტიკური ავტორებითა და დამთავრებული ისტორიულ-ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე წარმომადგენლებით. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ I ტომი შეიცავს ათასზე მეტი ლიტერატურული და საარქივო წყაროების მითითებას“.

იგივე რეცენზენტი წერს, რომ პ. გუგუშვილის მიერ შესწავლილი საკითხები „განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავენ... და მათ აქვთ დიდი მნიშვნელობა.. არა მხოლოდ რევოლუციამდელი რუსეთის მეურნეობრივი ორგანიზაციის მრავალ სადავო პრობლემათა გადაწყვეტისათვის, არამედ, აგრეთვე დასავლეთისა და აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნის მეურნეობრივი განვითარების ისტორიის საკითხთა უფრო სრულად და სწორად გადაჭრისათვის... პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომი ხელს უწყობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიის რიგ მომწიფებულ და სადავო საკითხთა უფრო სრულ და მართებულ გაშუქებას“ (სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს ორგანო, ჟურნ. „ეკონომიჩესკიე ნაუკი“, 1959, № 2, გვ. 164-167).

პ. გუგუშვილის ხსენებულ ნაშრომზე დადებითი რეცენზიები გამოქვეყნდა ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზიაში“, აგრეთვე ქართულ. (ჟურნ. „მნათობი“, 1959, № 7), სომხურ. („ჰაას-

ტანი ჟოღოვორთაკან ტნესუთიუნ“ — „სომხეთის სახალხო მეურნეობა“, 1959, № 3) და საბჭოთა პრესის სხვა ორგანოებშიც.

პ. გუგუშვილის გამოკვლევაში „მრეწველობის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX — XX სს“. გაშუქებულია ინდუსტრიული წარმოების საწყისი ფორმების: ოჯახური მრეწველობის, ხელოსნობის, შინამრეწველობისა და მანუფაქტურის წარმოშობისა და განვითარების საკითხები, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ხელოსნური წარმოების, განსაკუთრებით ამქრული ხელოსნობის აღმოცენებისა და ევოლუციის გზები.

სხვადასხვა ქვეყნის ისტორიაში შემონახული ანალოგიური წყაროების მოშველიებითა და დაპირისპირებით პ. გუგუშვილმა სავსებით გარკვეული წარმოდგენა შეიმუშავა საქართველოში ხელოსანთა კორპორაციების თავდაპირველი ფორმებისა და მათი შემდგომი განვითარების საკითხზე.

საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერებმა მთლიანად გაიზიარეს პ. გუგუშვილის დასკვნები იმის შესახებ, რომ ამქრობის ემბრიონული ნიშნები ამიერკავკასიაში, სახელდობრ, ქ. მცხეთის ხელოსანთა შორის ჯერ კიდევ I-VI საუკუნეში იყო განვითარებული.

გერმანელი მეცნიერი გ. ჰაინიგერი წერს: „მრავალ მკვლევართა წინააღმდეგ გუგუშვილი იმ აზრისაა, რომ მოპოებული ცნობები მაინც იძლევიან შესაძლებლობას ვამტკიცოთ არსებობა ფაქტისა, რომ ამიერკავკასიაში, ისევე როგორც ევროპაში, ამქრების წარმოშობა ფეოდალური ეპოქის ნატურალური მეურნეობის პატრონობასთან (გაძღოლასთან) იყო დაკავშირებული. ლიტერატურული ძეგლების მიხედვით, უეჭველად შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ, მაგალითად, VI ს. სახელგანთქმულ ძველ ქალაქ მცხეთაში უკვე იყო ჩანასახები ამქრული წყობილებისა“. (Zeitschrift für Geschichtswissenschaft“, 1960 № 5, S. 1199 Berlin).

საბჭოთა რეცენზენტი პროფ. პ. პოდკოლზინი აცხადებს: „დიდ ინტერესს შეიცავს ამქრული (კორპორაციული) ხელოსნობის წარმოშობისა და განვითარების რთული პროცესის თანმიმდევრული განხილვა. ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს კორპორაციული ხელოსნობის ჩასახვას ჯერ კიდევ I-II სს., ხოლო V-VI ს. ს. მცხეთელ ხელოსანთა კორპორაციული წყობილების ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან მომენტებს უკვე ლიტერატურული წყაროები ადასტურებენ“ („ეკონომიჩესკიე ნაუკი“, მოსკოვი, 1959 წ., № 2, გვ. 165).

ამ დებულებას მხარს უჭერენ სხვა უცხოელი მეცნიერებიც, რომელთაც, მაგალითად, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოს რეცენზენტს ტ. ფიოლდს, მიაჩნია, რომ პ. გუგუშვილის წიგნში წარმოდგენილი ფაქტები და მოსაზრებანი უეჭველს ხდიან, რომ საქართველოში „ფეოდალურ საადგილმამულო ურთიერთობათა, საეკლესიო და საქალაქო წყობილების წიაღში უკვე VI ს., ე. ი. მნიშვნელოვნად უფრო ადრე ვინემ დასავ. ევროპის ფეოდალურ ქვეყნებში“, გაჩნდნენ „გარკვეული ამქრული წარმონაქმნები“. („Közgazdaságé Szemle“, 1959, N. 11, p. 1263, Budapest).

პ. გუგუშვილის მონოგრაფიაში შესწავლილია ხელოსანთა ამქრების ორგანიზაციის სტრუქტურა, ამქრის მმართველობა, მისი სოციალური და მეურნეობრივი ფუნქციები, უსტაბაშის, ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდების უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა.

ამ მიმართულებით, გარდა იმისა, რომ სავსებით ახლებურადაა გაგებული ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა, აქამდე უცნობ პირველწყაროთა საფუძველზე წამოყენებული და გაშუქებულია არა ერთი საკითხი, რაც მანამდე არც კი გამხდარა საერთოდ მეცნიერული კვლევა-ძიების საგნად.

ასეთ საკითხთა შორის დიდ ინტერესს შეიცავს, მაგალითად, თბილისელ ხელოსანთა ეროვნული და წოდებრივი შედგენილობის და, უკანასკნელიდან გამომდინარე, ამქართა უფლებრივი და ფისკალური მდგომარეობის გამოკვლევა.

პ. გუგუშვილის ნაშრომში პირველად და დაწვრილებითაა შესწავლილი, კერძოდ სხვადასხვა ეროვნების ხელოსანთა ხელობების (პროფესიების) მიხედვით, დაჯგუფების, ხელოსნობის დარგობრივი სტრუქტურისა და რაოდენობრივი მაჩვენებლების საკითხები, როგორც საერთოდ ამიერკავკასიის, ისე განსაკუთრებით თბილისის მაგალითზე.

უაღრესად საინტერესო მასალებია გამოვლინებული და გაანალიზებული ხელოსნობის ტექნიკის, საერთოდ გადამუშავებითი მრეწველობის შრომის საშუალებათა წარმოებისა და გამოყენების შესახებ, აგრეთვე, იმის შესახებ, თუ საერთოდ მრეწველობისა და, მაშასადამე, ცივილიზაციის განვითარების პროცესში როგორ იცვლებოდა ხელოსნური ნაკეთობის მომხმარებელთა გემოვნება და, ამის შესაბამისად მოთხოვნილება.

ვაჭრობისა და მრეწველობის, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომი განვითარების, საერთოდ, კაპიტალისტური წარმოების წესის დამკვიდრების მიუხედავად ამიერკავკასიაში მე-20 საუკუნემდე მნიშვნელოვან

როლს თამაშობდა ხელოსნური წარმოება, ხოლო ამქრული კორპორაციები აქ არსებობდნენ თვით 1917 წლამდე, რაც მკვლევარის მიერ ახსნილია ქვეყნის კოლონიური მდგომარეობისა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შედარებითი განუვითარებლობიდან გამომდინარე მოვლენებით.

პ. გუგუშვილი სპეციალურად იხილავს შინამრეწველობის ევოლუციის საკითხს. შინამრეწველობა, როგორც გადამუშავებითი წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში აქამდე, ასე ვთქვათ, უგულებელყოფილი იყო. აკად. სტრუმილინი, პროფესორები—პაშკოვი, ხრომოვი, პოლიანსკი და სხვ. ხელოსნობის მომდევნო გადამუშავებითი მრეწველობის ფორმად სახავენ „წვრილ საქონლურ წარმოებას“.

კ. მარქსისა და ვ. ლენინის შესაბამის დებულებათა შემოქმედებითი გამოყენების გზით პ. გუგუშვილმა უარჰყო ეს შეხედულება და უჩვენა, რომ ხელოსნობის შემდგომი, გენეტიკურად მომდევნო ფორმაა შინამრეწველობა. მან მოგვცა აგრეთვე მრეწველობის ამ ფორმის არსის სრული განსარტება (Вопросы экономики 1960, № 5, стр. 137—138).

საქართველოსა და ამიერკავკასიაში შინამრეწველობის წარმოშობა-განვითარების ისტორიას პ. გუგუშვილი განიხილავს საფეიქრო მრეწველობის, მენოხეობის, მღებრობის, ხის, ტყავის, შავი და ფერადი ლითონების დამუშავების, კერამიკული და კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგების მაგალითზე. ცალკეა მონოგრაფიულად შესწავლილი მეღვინეობა, როგორც ქართული ეროვნული მრეწველობის უაღრესად მნიშვნელოვანი და თავისებური დარგი.

უნდა აღინიშნოს, რომ მევენახეობასთან ერთად შინამრეწველური მეღვინეობის ეკონომიკის საკითხები პ. გუგუშვილმა მეცნიერებაში გააშუქა არა მხოლოდ როგორც მეურნეობრივი თაოსნობის, არამედ, ამასთანავე, როგორც ქართული საზოგადოების ეთიკური (მორალური) ასპექტების დიდმნიშვნელოვანი სფერო.

ერთ-ერთი რეცენზენტი სამართლიანად აღნიშნავს, რომ პროფ. პ. გუგუშვილმა ვრცლად განიხილა შინამრეწველური მეღვინეობა „ქვეყნის ეკონომიკაში მისი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის გამო. მეღვინეობა, როგორც ეს წიგნშია ნაჩვენები, ერთერთი უძველესი დარგია ოჯახური მრეწველობისა, ღვინო ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ამიერკავკასიიდან გაქონდათ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ღვინო ოჯახური მრეწველობის მრავალ სხვა საქონელზე ადრე გადაიქცა საქონლად“ (პროფ. ა. პოდკოლზინი, გვ. 166).

წვრილი მრეწველობის დასახელებულ ფორმებს პ. გუგუშვილი სწავლობს უმთავრესად მე-19-20 სს ფარგლებში, ამასთანავე მან, როგორც მრეწველობის ამ ფორმების, ისე მის ცალკე დარგთა გენეზისის საკითხთა კვლევაძიებაში, ზოგიერთი მხრივ მაინც, წარმატებით შეაღწია შორეული ეპოქების ბურუსით მოცულ წარმოებრივ ურთიერთობათა მოვლენებში და მათი გაშუქებით რიგ შემთხვევაში დამაჯერებლად უჩვენა ქართველი და, საერთოდ, ამიერკავკასიელი ხალხების წვლილი საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების განვითარების საყოველთაო (მსოფლიო) ცივილიზაციის საფეხურებზე.

ამ მხრივ საკმარისია აღინიშნოს, მაგალითად, რომ ხელოსნური წარმოების საფუძველზე აღმოცენებული ქართული, ამიერკავკასიური ამქრული ორგანიზაციის შესწავლის მნიშვნელობაზე გამოჩენილი საბჭოთა ისტორიკოსი აკად. ნ. დერჟავინი წერს: „მეცნიერული თვალსაზრისით ამიერკავკასიურ ამქრობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არის თავისებური ტიპი... უძველესი სოციალური ორგანიზაციისა, არამედ განსაკუთრებით იმის გამო, რომ, მთელ თავის დეტალებში წარმოადგენს რა დასავლეთევროპული სოციალური ორგანიზაციების სრულ ანალოგიას და შესაბამისობას, ამასთანავე ერთად მას ჩვენ შევყავართ უძველესი საზოგადოებრივი კულტურის სფეროში, რაც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს კერას და პირველწყაროს ე. წ. ევროპული კულტურისა“, («Язык и литература», I, 219).

დიდი ადგილი აქვს დათმობილი პ. გუგუშვილის მონოგრაფიებში როგორც ხელოსნობის, ისე შინამრეწველობის ტექნიკის, ნედლეულის მოპოვების, შრომის ორგანიზაციისა და მუშათა მდგომარეობის, სავაჭრო კაპიტალის (შემსყიდველის) როლისა და თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის — დიფერენციული საბაჟო გადასახადების, სააქციზო მოსაკრებელთა, რკინიგზის ტარიფის და სხვ. — დახასიათებას.

წიგნის მეოთხე ნაწილი — „მანუფაქტურული წარმოება ამიერკავკასიაში“ არსებითად წარმოადგენს 1938 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიის თარგმანს. ამ მონოგრაფიით ავტორმა პირველმა ახსნა და თანაც მოვლენათა ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე დაწვრილებით განიხილა მე-19 ს. ამიერკავკასიაში გადამუშავებითი მრეწველობის სხვადასხვა დარგებში მანუფაქტურული წარმოების წარმოშობისა და განვითარების საკითხები.

იმ გარემოებამ, რომ საქართველოში მანუფაქტურული წარმოების შესწავლის ისტორიის

საკითხი პ. გუგუშვილმა თავის წიგნში სპეციალური მსჯელობის საგნად გახადა, გამოიწვია საბჭოთა თუ საზღვარგარეთელ მეცნიერთა მიერ ყურადღების გამახვილება ამ საკითხისადმი.

პროფ. პ. მასლოვი სთვლის, რომ გუგუშვილმა საბოლოოდ დაამტკიცა ამიერკავკასიაში მანუფაქტურული წარმოების არსებობა, რომლის ემბრიონულ ფორმებს, სტამბის, თოფხანის, ზარაფხანის სახით ის ნახულობს ჯერ კიდევ მე-18 ს. საქართველოში. პროფ. პ. მასლოვის აზრით „გუგუშვილის მიერ შესწავლილ მანუფაქტურულ საწარმოთა შორის განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ქართული ფეოდალური საზოგადოების წიაღში მინის წარმოების მაგალითზე წარმოდგენილი კაპიტალისტური (მანუფაქტურული) საწარმოს სურათი“.

მანუფაქტურული წარმოების შესახებ პ. გუგუშვილის მონოგრაფიაში წარმოდგენილ მასალათა ანალიზსა და მიღებულ დასკვნებზე რეცენზენტთაგან ყველაზე ვრცლად ჩერდება ჩეხი მეცნიერი ზ. ურბანოვა, რომელიც მთლიანად იზიარებს ავტორის მსჯელობასა და დებულებას. გერმანელი რეცენზენტი გ. ჰაინინგერი აცხადებს, რომ რეფორმამდელ ამიერკავკასიაში არსებული მანუფაქტურული საწარმოების შესწავლა „საშუალებას იძლევა ფრიად საინტერესო შედარებებისა. როგორც გუგუშვილი ამტკიცებს თითქმის ყველა ამ მანუფაქტურაში დაქირავებულ კვალიფიციურ მუშების გვერდით მეტნაკლები ზომით მუშაობდნენ, როგორც გლეხები (ყმები), ასევე პატიმრები და სამხედრო ტყვეები... მაინც, ყველა შემთხვევაში, ეკონომიურ სტიმულიაციასთან დაკავშირებული ექსპლოატაცია იყო ის ფაქტორი, რაც განსაზღვრავდა მეწარმოებრივ ტენდენციასო“.

დასასრულ, აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ მანუფაქტურული წარმოების არსებობის შესახებ პ. გუგუშვილის მიერ ჯერ კიდევ 1938 წელს წამოყენებული დებულება, საკმაოდ ხანგრძლივი დავის შემდეგ, ამჟამად თითქმის საბოლოოდ მიღებულია მეცნიერებაში. მან უკვე თავისი ასახვა ჰპოვა სახელმძღვანელოებშიც კი.

საერთოდ მრეწველობის ფორმების განვითარების ასპექტში საქართველოსა და ამიერკავკასიაში ინდუსტრიული წარმოების ისტორიის თანმიმდევრული და სისტემატური გაშუქების პირველმა ცდამ, რაც პროფ. პ. გუგუშვილს ეკუთვნის, დიდი ინტერესი გამოიწვია და მაღალი შეფასება ჰპოვა საბჭოთა და საზღვარგარეთელ მეცნიერთა შორის.

ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში „პოლიტიკა. ეკონომიე“ დაბეჭდილ ზ. ურბანოვას ვრცელ რეცენზიაში ნათქვამია, რომ „პ. გუგუშვილის შრომის პირველი ტომი ვრცელი მასალებისა და დიდძალი ლიტერატურული წყაროების კრიტიკულ შესწავლაზეა დაფუძნებული. ნაშრომი მთლიან, ჩამოყალიბებულ შეხედულებას იძლევა ინდუსტრიული წარმოების პირველი საწყისი სტადიების განვითარებაზე ამიერკავკასიაში და წარმატებით აშუქებს მთელ რიგ ფუძემდებლურ საკითხებს. ამიტომ დიდი ინტერესით ველოდებით, რომ ავტორი თავისი შრომის შემდგომ ნაწილებში გაგვაცნობს მსხვილი ქარხნული მრეწველობისა და სამთამადნო მრეწველობის განვითარების მიმდინარეობას ამიერკავკასიაში“. „...პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომიდან ჩანს, რომ ამ რესპუბლიკაში გამოდის ისეთი ორიგინალური დიდი იმპულსის მომცემი ეკონომიკური შრომები, რომელთა შესწავლა შეიძლება ჩვენთვის ცოდნის მნიშვნელოვან საგანძურად იქცეს“. („Politická Ekonomie“, 1958, № 9, გვ. 801—806).

ჩეხი მეცნიერი განსაკუთრებით აღნიშნავს პ. გუგუშვილის მიერ წამოყენებულ მრეწველობის ფორმათა თანმიმდევრული განვითარების ორიგინალური სქემის დიდ შემეცნებით მნიშვნელობას.

უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში დაბეჭდილი რეცენზიის ავტორი ტ. ფიოლდი ამბობს, რომ: „პ. გუგუშვილის შრომა შესრულებულია მაღალ თეორიულ დონეზე, კარგად გვისურათებს საქართველოსა და ამიერკავკასიის მრეწველობის განვითარების მნიშვნელოვან მონაკვეთს, ხოლო მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უნგრელი ისტორიკოსებისა და ეკონომისტებისათვის ეს წიგნი სანიმუშოდ (მისაბაძად) შეიძლება ჩაითვალოს“.

გერმანელი მეცნიერი გ. ჰაინინგერი აცხადებს: „წინამდებარე წიგნი თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს იმისა, თუ როგორი პირობები და წინამძღვრები არსებობდნენ ცალკეულ სოციალისტურ ნაციონალურ რესპუბლიკებში ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგის განვითარებისათვის და როგორი ღონისძიებებია საჭირო ყველა შესაძლებლობათა სრული და ამომწურავი განვითარებისათვის. ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მოცემული შრომის ავტორი აყალიბებს არა მხოლოდ ერთი ერის, არამედ მრავალეროვანი ტერიტორიის ეკონომიკურ ისტორიას“.

შემდეგ საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს რა პ. გუგუშვილის შრომის შინაარსს, სადაც „ყოველ ცალკეულ თავში ავტორი იძ-

ლევა მრეწველობის შესაბამისი ფორმების განვითარებისა და აღმოცენების საერთო კანონზომიერებათა თეორიულ ანალიზს" — გ. ჰაინინგერი დაასკვნის: „შეიძლება ჩვენს გადმოცემას ჰქონდეს ხარვეზები, ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ გერმანულ საზოგადოებრიობას ცოტათი მაინც გავაცნოთ უაღრესად ძვირფასი და საინტერესო, გერმანელი მკითხველისათვის სამწუხაროდ ნაკლებად ცნობილი ნაშრომი. ეს ნაშრომი შეიცავს მეტად საყურადღებო მასალებს გეოგრაფიულად შორეულ, მაგრამ კაცობრიობის ისტორიის თვალსაზრისით მრავალმნიშვნელოვანი მხარის შესახებ, და ამავე დროს იგი მეცნიერებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან თეორიულ საგანძურს წარმოადგენს"

დადებით შეფასებას აძლევენ პ. გუგუშვილის ნაშრომს აგრეთვე სხვა უცხოელი რეცენზენტები, მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი პროფ. ჯ. კოლეჯა, რომელიც გუგუშვილს ეკამათება მეთოდოლოგიურ საკითხებში. Gournal of Central European Affairs", ganuary, 1961 (vol, 20).

მრეწველობის ფორმათა თავისი ორიგინალური კლასიფიკაცია პ. გუგუშვილმა მსჯელობის საგნად გახადა 1959 წლის სექტემბერს იტალიაში გამართულ სოციოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესზე. პ. გუგუშვილის ამ მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

შეაჯამა რა სოციოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესის მრეწველობის სოციოლოგიის სექციის მუშაობა, პროფ. ნიულონმა (დორტმუნდის სოციალურ გამოკვლევათა ინსტიტუტი), ამ დარგში მოსმენილ გამოსვლათა შორის, მეცნიერული შესწავლილობის თვალსაზრისით, საუკეთესო მაგალითად დაასახელა პროფ. პ. გუგუშვილის მოხსენება, რომელიც მისი სიტყვებით „მარქსისტ და ბურჟუაზიულ სოციოლოგებს შორის დიალოგისადმი კარგი მიდგომის ნიმუშია". დოქტორ ნიულონის სიტყვებით მასზე „განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ პ. გუგუშვილი იცნობს თანამედროვე დასავლეთის ქვეყნების სოციოლოგთა და ეკონომისტთა მრავალ ნაშრომს".

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ პ. გუგუშვილის გამოკვლევებმა ხელი შეუწყო საზღვარგარეთულ ქვეყნებში საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერებისადმი ინტერესის შემდგომი ზრდის საქმეს, რის შესახებ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ამას წინათ პარიზში, სორბონის (პარიზის უნივერსიტეტის) ორგანოში გამოქვეყნდა პ. გუგუშვილის ვრცელი სტატია ქართული საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების განვითარების შესახებ. წერილი დაიწერა, გამოჩენილი ფრანგი მეცნიერების, პროფესორების ჟ. მარშალის, ჟ. ჟანენესა და ა. ბენიგსენის თხოვნით.

პროფ. **ვ. ჩანტლაძე**

## წ. თორგომიანის რომანი „ჩაუქრობელი ცეცხლი"

სომეხი მწერლის წერუნ თორგომიანის რომანში — „ჩაუქრობელი ცეცხლი" აღწერილია მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში თურქეთის მიერ სომხეთზე სისტემატური თავდასხმების ამბები. ავტორი გვიხატავს იმ საშინელებას, რაც ბევოჯერ გადაუტანია სომეხ ხალხს ცეცხლითა და მახვილით შემოსეული თურქი ფანატიკოსების გაუგონარი მხეცობის წყალობით.

— „ჩვენი სახლი გადაბუგეს, საცოდავი ჩემი მშობლები, დები, ძმები ამოჟლიტეს, — ასე გაჰყვიროდა ბოღმამორეული, ბრაზადგადაქცეული დალი სეთო და, იხელთა თუ არა დრო, ბანდის ხელმძღვანელი სელიმბეი ამოიღო მიზანში, პირდაპირ შუბლში მიაჭედა ცხელი ტყვია და ცხენიდან მოწყვეტით დაანარცხა მიწაზე".

დალი სეთოს „ლომის ბოკვერი" შეარქვა ხალხმა და მარჯვენადალოცვილი უწოდეს თანამემამულეებმა სახელოვან გმირს.

სამშობლოს სადარაჯოზე მტკიცედ მდგარი, თავგანწირული, მარტო ერთი ან ორი როდი იყო სომხებშიო, — ამბობს მწერალი, — თოფიანებს უკან მოყვებოდა ხალხი, ზოგი ცულით, ზოგი ნაჯახით, კეტებითა და ხმალ-ხანჯლებით ხელში.

ასკერების ბრბოში შეჭრილი, გმირი მჭედელი ხერანი მარცხნივ და მარჯვნივ კაფავდა

თავდამსხმელთ. სახლებსა და ბაღ-ვენახებში ჩასაფრებული ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, სომეხი მოსახლეობის დიდი და პატარა, მედგარი წინააღმდეგობის გაწევით ამარცხებდნენ ავაზაკებს, ბარბაროსებს.

სადენიტ ფაშა ვერ ურიგდებოდა ასეთ მარცხს. ის ახალ-ახალ გეგმებს ადგენდა, რომ სომხების მოსპობის საქმე დაეგვირგვინებია. თურქეთის მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში სომეხთა დარბევა და ხოცვა-ჟლეტა წარმატებით დაამთავრეს და აქ ვანში და მის მიდამოებში კი, მუხანათური გეგმა სამარცხვინოდ ჩაეშალათ ვერაგ ფაშასა და გუბერნატორს.

ცოტათი მიწყნარდებოდა თუ არა სისხლის ღვრა და შედარებით ერთგვარი მყუდროება ჩამოვარდებოდა, თურქების ზოგიერთ უბანში თავშეფარებული სომხები აიშლებოდნენ და ოჯახსა და კარმიდამოს მიაშურებდნენ. ლეონის მამა, ბიძია სააკიც, ენერგიულად შეუდგა დაფერფლილ-დანახშირებული სახლის აღდგენას. დანგრეული სახლის დანახვაზე, წერს ავტორი, ბიძია სააკმა მწვავე ტკივილი იგრძნო. ადამიანის სიმხეცის ენით აუწერელ სურათს წარმოადგენდა ეს მხარე. ბიძია სააკს ჟრუანტელმა დაუარა. განსაკუთრებით შეძრწუნებული იყო ჭაბუკი ლეონი, რომელიც ძლივს იკავებდა ტირილს... — „არა, სხვა გზას უნდა დავადგეთ, ამბობდა ლეონი, გულხელდაკრეფილი ყოფნა არ გვიშველის, ეს თავისუფლებას ვერ მოგვიტანს. შეკავშირება, ერთსულოვნება! კმარა ცრემლები და ოხვრა, კვნესა და გოდება! ლეონი ყველას მოქმედებისაკენ მოუწოდებდა. პირადი ინტერესების დავიწყება, საერთო საქმისათვის თავდადება, მსხვერპლის გაღება — აი, რას მოითხოვს ერის სიყვარულიო, — გაიძახოდა ლეონი.

წერუნ თორგომიანის აღნიშნული რომანი: ნალური სულისკვეთებით დაწერილი ნაწარმოებია. თბილისში სწავლა-განათლება მიღებული ლეონი ძმასავით შეეზარდა ლექავასა და ურუშაძის ოჯახებს. მოწინავე ქართველ ოჯახებთან დაახლოვებამ ლეონის შეგნებაში ბევრი ძვირფასი და კარგი მხარე გამოიმუშავა. ბუნებით კეთილი, პატიოსანი და კაცთმოყვარე ლეონი სანიმუშო ადამიანად მოევლინა ყველას. მშობლიურ ვანში დაბრუნებულმა ლეონმა დაუყოვნებლივ დაამყარა კავშირი არა მარტო სომეხ პატრიოტებთან, არამედ მოწინავე და კაცთმოყვარული იდეებით გამსჭვალულ თურქ დემოკრატებთანაც.

ლეონის მოწინავე იდეები, რომელიც მან თბილისიდან ვანში ჩაიტანა, აითვისეს და შეიგრძნეს ისეთმა ინტელიგენტებმა და მოწინავე ხელოსნებმა, როგორიც იყვნენ: სუმბატ ბარსეღიანი, არტაშეს გეღამიანი, მელიქიანი, ოსმანი, ბაღდიკი, ჰაიკი და სხვა მრავალი.

თუ თბილისში სწავლა-განათლების მისაღებად ჩამოსული ლეონი სწავლის მიღების შემდეგ ისევ ვანში გაემგზავრა სამოღვაწეოდ, ბათუმიდან თბილისში სასწავლებლად მოსული არჩილ ლექავა და გურგენ სარვაზიანი სასწავლებელში სრული კურსის დამთავრების შემდეგ ისევ ბათუმში წავიდნენ და რევოლუციური მუშაობა გააჩაღეს: მათ მიერ მოწყობილი არალეგალური სტამბის მუშაობა და პროკლამაციების ბეჭდვა ნაყოფიერად მიმდინარეობდა.

არნახული მუშაობა გააჩაღა ლეონმა და მისმა ამხანაგებმა ვანსა და მის მიდამოებში. იცემოდა რუსულ-თურქულ ენებზე არალეგალური ხელნაწერი გაზეთი „ცეცხლი“ და ესეც პატრიოტების თავგანწირულ საქმეს დიდად უწყობდა ხელს ხალხის საბრძოლველად დარაზმვაში.

1914 წლის იმპერიალისტურ ომში თურქეთის ჩაბმას და მის საგრძნობ დამარცხებას შედეგად მოჰყვა რეპრესიების გაძლიერება თურქეთში მცხოვრები სომხების წინააღმდეგ.

ეწყობა სომხების ხელახალი ჟლეტა. დგება მზაკვრული გეგმა თურქეთიდან მათი არაბეთის უდაბნოებში გადასასახლებლად. მაგრამ გაძვალტყავებული ხალხი მაინც არ ნებდება, იწყება, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, წინააღმდეგობის გაწევა, ამ პატრიოტულ ბრძოლას ხელმძღვანელობენ ლეონ არწუნიანი და გამოჩენილი სომეხი მხატვარი ფანოს თერლებეზიანი. ზღაპრული თავდაცვითი გმირობა გამოიჩინა სომეხმა ხალხმა. და აი, ამ გადამწყვეტ მომენტში ლეონისა და ფანოს თერლემეზიანის შუამდგომლობით რუსეთის ჯარი შედის ვანში და სისხლის ღვრასაც ბოლო ეღება.

კარგად აქვს ავტორს აღწერილი ვანის ბუნება და ეთნოგრაფიული ყოფაცხოვრება.

წერუნ თორგომიანის აღნიშნული რომანის ღირსება ისაა, რომ ავტორი ამხელს სომეხი და თურქი ვაჭრების კაციჭამია ბუნებას, მგლურ ხასიათს და დაშნაკების გაიძვერობასა და სიყალბეს.

წერუნ თორგომიანის აღნიშნული რომანის „ჩაუქრობელი ცეცხლი“ კეთილსინდისიერებით თარგმნა სომხურიდან ქართულ ენაზე ცნობილმა მთარგმნელმა და ლიტერატორმა ივანე დავითიანმა.

**არკადი ხუნდაძე**

# პოეტის პირველი წიგნი

„ღელვის დასაწყისი“ — ასე ეწოდება ზაურ ბოლქვაძის ლექსების პატარა კრებულს, რომელიც „საბჭოთა მწერალმა“ ახლახან გამოსცა ქ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით.

ზ. ბოლქვაძე მკითხველმა საზოგადოებამ პირველად ამ რამდენიმე წლის წინათ უნივერსიტეტის ალმანახის „პირველი სხივის“ ფურცლებზე გაიცნო. შემდეგ მისი ლექსები დროდადრო იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და კრებულადაც გამოიცა სამ ახალგაზრდა პოეტთან ერთად, ახლა კი ზ. ბოლქვაძე ცალკე გამოცემული ლექსების პირველი წიგნით წარუდგა მკითხველს.

პირველივე ლექსში, რომლითაც იხსნება კრებული, პოეტი ასე გვიხატავს თავის ავტოპორტრეტს:

უსიმღერობა საშველს არ მომცემს,
გულად იწამა მკერდმა ლექსები,
მე საქართველოს მიწა მაცოცხლებს
და მის სიყვარულს ვერ დავეხსნები.

ბინას ვიპოვი მე მის მზეგულში, —
დიდი სიცოცხლის მცირე ფანტელი, —
მე საქართველოს მიწას ვეკუთვნი
და მის სიმცირეს მივემატები.

წიგნის წაკითხვის შემდეგ მართლაც ვრწმუნდებით, რომ პოეტს ამ პირველ ლექსში ლიტონი სიტყვებით როდი გამოუხატავს თავის გულისწადილი. კრებულში მოთავსებული ლექსები გაჟღენთილია ღრმა პატრიოტიზმით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით. „უსაქართველოდ ვერ ვიცოცხლებდი, ვერც მოვკვდებოდი უსაქართველოდ“, — ამბობს პოეტი ერთგან და ეს სავსებით ბუნებრივ, კანონზომიერ განცდად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის გარეშე შეუძლებელია აღმოცენდეს სხვა ერისა თუ ქვეყნის სიყვარული.

პოეტმა კარგად იცის, რომ „ზოგჯერ სიკვდილით ვაკეთებთ იმდენს, რამდენსაც მთელი სიცოცხლით — ვერა“. ამიტომაც გასძახის იგი ასე ომახიანად:

სანანებელი არ დაიტოვო,
უძლეველთანაც გაბედე შებმა,
და სიცოცხლეში რაც ვერ იპოვო,
გმირულ სიკვდილში დაუწყე ძებნა!

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამშობლო მაინცდამაინც სიცოცხლეს არ მოითხოვს მსხვერპლად და პოეტს გმირული სიკვდილი არ ერგება წილად, მას სურს უბრალო სიკვდილითაც კი რაღაც არგოს თავის ქვეყანას: მშობლიური მიწის სიმცირეს მიემატოს, ძალა და ღონე შესძინოს მას.

მაგრამ პოეტი, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლის მომღერალი უნდა იყოს და ზ. ბოლქვაძის ლექსებშიაც ძალუმად იგრძნობა სიცოცხლის სიყვარული, სიჭაბუკის ცეცხლი, გაზაფხულის ფეთქვა. პოეტს სჯერა, „რომ სიკვდილი არ სიკვდილობს, სიყვარული სულს თუ ათბობს“, ამიტომაც:

ვსვამ სიცოცხლის სამადლობელს,
სული რწმენით ამვსებია:
სიძულვილში არ ცოცხლობენ,
სიყვარულში არ კვდებიან...

ამგვარ სტრიქონებში ხანდახან იგრძნობა ერთგვარი დეკლარაციულობის საფრთხე, მაგრამ საერთოდ ზ. ბოლქვაძის ლექსების კრებულს ოპტიმიზმი სიცოცხლის მძლავრი გუგუნით ავსებს. ამ მხრივ დამახასიათებელია თუნდაც ისეთი ლექსები, სადაც პოეტი ღრმა გულისტკივილით გვესაუბრება უახლოეს ადამიანთა სიკვდილზე („დედა, ზამთარი და შუაცეცხლი“, „ბაბუაჩემი“ და სხვ.)

„ბაბუაჩემი“ კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია, მას აქვე მთლიანად მოვიყვანთ:

იგი მოხუცდა და ბავშვად იქცა,
აღარ უყეფდნენ სოფლის ძაღლები.
უკაკუნებდა ხელჯოხით მიწას, —
სთხოვდა სამარის კარის გაღებას.

ბოლოს, დაღლილი ამდენი წოლით,
უკანასკნელად მიუჯდა ბუხარს.
უკანასკნელად მოვიდა თოვლი,
მოვიდა თოვლი და... შეგვაწუხა...

აქ თითქოს სტრიქონებს შუა ვკითხულობთ, რომ ეს არის სიკვდილი ვალმოხდილი, შრომაში გაცვეთილი კაცისა, რომლის გარდაცვალება დასანანი და სამწუხაროა, მაგრამ ბუნების დიდი კანონზომიერებაც არის, და ამიტომ შეიძლება ვინატროთ კიდეც, რომ ჩვენს ახლობელ ადამიანებს ასეთი მშვიდი და უდრტვინველი სიკვდილი ერგოთ ღრმა სიბერეში, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სიცოცხლის შემდეგ. ამის გამოა, რომ პოეტი ამ ლექსში მხოლოდ

მინიშნებით ლაპარაკობს ბაბუას სიკვდილზე და მწუხარების გამოხატვის მხრივაც ზომიერ სიძუნწეს იჩენს.

ერთი შეხედვით თითქოს პესიმისტური განწყობილება ახლავს ლექსს „წეროები“, სადაც დახატულია სურათი შემოდგომის მიწურულში სამხრეთისაკენ მიმფრინავი წეროების გუნდისა, რომელსაც მეთაური დაჰლღია და „სამხრეთის ქარს მთელი მწკრივი ეწირება“. მაგრამ ეს მხოლოდ ფონია, ლექსი კი არსებითად ბედისადმი დაუმორჩილებლობასა და დაუცხრომელ ჰიდილს ქადაგებს:

მიფრინავენ... და საფრენი არ ილევა,
აკავებენ ამოვარდნილ გულებს მკერდით,
მიფრინავენ და მიჰყვებათ გაფრთხილებად
ჩამორჩენილ წეროს ბედი.

ბედთან ჰიდილის, დღუცხრომელი ძიების, ვაჟკაცური შემართების ხმა ისმის აგრეთვე ზ. ბოლქვაძის სხვა ლექსებშიაც. „არ შეიძლება“, „ამღვრეული ლექსი“, „ვაჟკაცური“ და სხვ. ზოგ მათგანში (კერძოდ, უკანასკნელში) იგრძნობა ლადო ასათიანის ერთგვარი გავლენა, აქა-იქ გვესმის სხვა პოეტთა ნაცნობი ინტონაციებიც, მაგრამ საერთოდ ზ. ბოლქვაძის პოეტური ხმა საკმაოდ დაწმენდილი და თავისთავადია.

ზოგი ახალგაზრდა პოეტისაგან განსხვავებით, ზ. ბოლქვაძე იშვიათად მიმართავს ჩვენი ისტორიული წარსულის თემას და თანაც მის იდეალიზაციას როდი ახდენს, არამედ უპირისპირებს თუ უკავშირებს ჩვენს დღევანდელობას, ბევრ რამეზე ჩააფიქრებს და ააღელვებს მკითხველს. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი „წარსულის ხელოვანი“, რომელიც სვეტიცხოვლის აგების თაობაზე შექმნილი ლეგენდის თავისებურ გამოძახილსა და განზოგადებას წარმოადგენს:

კაცთ მისი სისხლის შესთხოვდა წვეთი,
ევედრებოდა თვალები სველი:
ამაგებინეთ ცხოველი სვეტი,
მერე მომჭერით მარჯვენა ხელი!..

* * * * * *

ნუ შემაჩერებთ ნახევარ გზაში,
მაღალ მწვერვალზე მაცალეთ ასვლა,
ჯერ მაგრძნობინეთ სიცოცხლის ფასი,
მერე დამისვით სიცოცხლის ფასად!..

ზ. ბოლქვაძეს ახასიათებს მკაფიო მეტაფორული აზროვნება, მის ლექსებში ხშირია ასეთი მოხდენილი პოეტური შედარებები: „მთა არის მიწა აჯანყებული, დედამიწაზე დაუტევარი“ („მთები“), „და ელექტრონის მაშველი სისხლი უვლის მავთულებს, ქალაქის ძარღვებს“ („თბილისი“), „ტატოს ფეხთა ქვეშ დედამიწა დატორტმანებდა, კოჰლიც ამიტომ ეგონათ, ალბათ“ („ბარათაშვილი“) და სხვ.

მთელ რიგ ლექსებში გვხვდება მოხდენილი, აფორისტული თქმები, მაგრამ ხანდახან პოეტი ვერ ახერხებს ბუნებრივ კონტექსტში მოაქციოს ისინი და, ხალხური შაირის მსგავსად, სტროფის ერთი წყვილი სტრიქონი შინაარსობრივად საგრძნობლად დაშორებულია მეორე წყვილისაგან. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ კარგ ლექსში — „მითხარით“, გვხვდება ასეთი სტრიქონები:

დამდუმებელი ბაგეთა,
ეს ხმაა რომელ მდინარის?
თუ მზე შორსაა აქედან,
მაშ, მზესთან ახლოს ვინ არის?!

ცხადია, პირველი ორი სტრიქონი მხოლოდ მომდევნო სტრიქონების გასარითმავად არის შექმნილი და ლექსის აზრობრივ მდინარებას ბუნებრივად ვერ ეგუება. გაუგებარია, მდინარის ხმაც როგორ არის „დამდუმებელი ბაგეთა“.

ლექსში „წარსულის ხელოვანი“ გვხვდება სტრიქონი „გულს დამაწვინეთ მიწა წყეული“. ჩვეულებრივ, მიწის დაყრა ითქმის და არა დაწვენა, მაგრამ, ჩანს, პოეტი გაიტაცა წ ბგერის ალიტერაციამ და უხერხული ფრაზა მიიღეთ. არც „წყეული“ ვარგა ამავე სტრიქონში მიწის ეპითეტად.

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ეს მაგალითები პოეტის კარგი ლექსებიდან. ზოგიერთ ლექსში კი ამ მხრივ მეტი შეიძლება ვიპოვოთ დასაწუნი, მაგრამ ამ ნაკლის გამოსწორება ავტორს ადვილად შეუძლია.

საერთოდ, „ღელვის დასაწყისი“ გვიჩვენებს, რომ ზ. ბოლქვაძე პასუხისმგებლობით ეკიდება პოეტურ სიტყვას. ეს მართლაც კარგი დასაწყისია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პოეტის მომავალი წიგნები მისი შემდგომი დაოსტატების მაჩვენებელი იქნება და კიდევ უფრო მეტ სიამოვნებას მოუტანს ქართველ მკითხველს.

ზურაბ ჭუმბურიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ტექსტოლოგიური შენიშვნები

## ერთი უნებლიე შეცდომა „დავითიანის“ ავტოგრაფში

კლასიკური ხანის მწერალთა შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, მე-17-18 საუკუნის მრავალი ქართველი პოეტის (თეიმურაზ პირველის, არჩილის, ნოდარ ციციშვილის, ბესიკის და სხვ.) თხზულებანი, როგორც ცნობილია, ავტოგრაფული ხელნაწერებით არ შენახულა. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს დავით გურამიშვილის ნაწარმოებნი წარმოადგენენ. უკვდავი „დავითიანის“ ავტოგრაფი თითქმის უდანაკლისოდ გადარჩენილა (საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 1598; ამ შესანიშნავი ძეგლის ავტოგრაფის პირები და სხვა ხელნაწერები თვრამეტამდის აღწევს).

აკად. ე. თაყაიშვილი სრულიად მართებულად წერდა: «Ни одного другого грузинского поэта произведения не дошли до нас в такой исправности, как произведения Давида Гурамишвили». (Описание..... П, 48).

მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს იმას, რომ „დავითიანის“ ავტოგრაფში პოეტს არ გაჰპარვია „კალმის შეცდომები“, რომელნიც მეტ-ნაკლებად ყველა მწერლის ავტოგრაფში იჩენდა ხოლმე თავს. „დავითიანის“ ავტოგრაფში გაპარული ნებსითი თუ უნებლიე შეცდომანი კარგადაა გასწორებული საიუბილეო გამოცემაში (დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955, პ-მგ. რედაქტორი ალ. ბარამიძე). ძეგლის ავტოგრაფის შეცდომათა ერთ ჯგუფში შედის ისეთი სიტყვები, რომლებშიც ერთი ასო შეცდომით შეცვლილია მეორით. მაგ.: უნის მაგიერ წერია ონი (მიჯნორი, დამემდორო. გვ. 36,64) ლასის მაგიერ რაე (დაცარე, 98); ინის მაგიერ ენი (მაცოდენე, ჩაიდენოს, 144, 51); ბანის მაგიერ მანი (ბედნიერომა, 42); ინის მაგიერ ანი (შეაქსო, 187); ბანის მაგიერ ნარი (მცნენებით, 55); მანის მაგიერ პარი (პტკვარსა, 69); ავტოგრაფში არის მრავალი სხვაგვარი შეცდომაც.

ასეთი შეცდომები მოულოდნელი როდია ისეთი პიროვნებისაგან, როგორიც იყო თხზულებათა კრებულის გადაწერისას ოთხმოც წელს გადაცილებული, მრავალ ომგადახდილი, სნეული და თითქმის ბრმა პოეტი დავით გურამიშვილი. ჩვენს აეტოდიდაქტ მგოსანს თავისუფლად შეეძლო ხსენებულ თხზულებათა კრებულის შესახებ გაემეორებინა თავის ტექნიკურ გამოგონებათა ნახაზების გამო წარმოთქმული სიტყვები: „ამის ავად მოხაზულობას ნუ დამიწუნებენ, ცალის თვალით სულ ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედავდი. ჩემის ფულით მაგის მეტი ვერ შევიძლე“ (იქვე გვ. 304).

გენიალური მგოსნის კალმის შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე ცნობილ სტროფში, რომელიც ავტოგრაფსა და დღემდის განხორციელებულ ყველა გამოცემაში ასე იკითხება:

„სამ-ოთხ რიგად მუხანათმან გულს ლახვარი
მაიაღერა.
სულ მატირა ჩემი დღენი, არასოდეს არ
მამღერა.
ვით ბოლოკი მქნა ავრეზი, ამაჩოყა, ამაღერა.
თესლ-აშრეტით გამახმო და უნაყოფოდ
დამაბერა“.

(დასახ. გამოცემა, გვ. 104—105).

მოყვანილი სტროფის მესამე ტაეპით გამოდის, რომ სიტყვა „ავრეზი“ მცენარის უნაყოფობას აღნიშნავს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს სიტყვა არც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებსა და არც ქართული ენის დიალექტოლოგიურ საუნჯეში არსად არ გვხვდება მცენარის ან ცხოველის უნაყოფობის გამომხატველ ტერმინად. საკმარისია აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“, რომელიც აკად. ა. შანიძის სიტყვით „მეტისმეტი მეცნიერული სიფრთხილით ნაწარმოებს ჭირნახულს წარმოადგენს და უაღრესად სანდო მასალებს შეიცავს“ (ა. შანიძე, სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. V), განმარტებულია: „ავრეზი—ღვინის საწურავი“, საყურადღებოა, რომ ასეთი ახსნა გვაქვს „სიტყვის კონის“ ყველა ავტოგრაფსა და ავტორიზებულ ნუსხებში (H 1429, H 1658, V 400, H 95, A 1473, A 75, N 300, ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი). იგივე განმარტებაა აგრეთვე ლექსიკონის სხვა მრავალ ათეულ ხელნაწერში. საინტერესოა, რომ ჩვენი სახელოვანი მწერალი და ლექსიკოგრაფი „სიტყვის კონაში“ მეორე ადგილას წერს: „დაწურვა — ავრეზში გადენა“. ამ სიტყვას ახლაც ტექნიკურ ტერმინად თვლიან: „ავრეზი — საწურავი“ (სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, 1959, გვ. 284).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ავრეხს" სალიტერატურო ენაში ან ხალხურ მეტყველებაში სხვაგვარი მნიშვნელობა რომ ჰქონოდა, სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც „ბრმად არ მისდევს რომელიმე წყაროს, იგი მკვლევარია და მეცნიერული ალღო დიდი აქვს" (ა. შანიძე), ეს გარემოება აღუნიშნავი არ დარჩებოდა, ვინაიდან სულხან-საბას წესად ჰქონდა მოეცა ორ ან სამმნიშვნელოვანი სიტყვის სრული განმარტება; მაგალითად, ფილისა და წყრთის შესახებ იგი ამბობს „ფილი— ტაშტი ხელის საბანი, ფილად ითქმის დიდი როდინი, ფილს უწოდენ ცვილისა კვერსა". „წყრთა არის იდაყვითგან თითის წვერამდე; ხოლო ხრონოგრაფში წყრთა მხრად დაუწერიათ სრულად და სომეხნიცა ეგრე იტყვიან". ასევე ითქმის ჯაჭვისა და სხვა სიტყვათა განმარტების შესახებ.

სიტყვა „ავრეზი" ზემომოყვანილი ტაეპისათვის არათუ სრულიად შეუფერებელი ჩანს, არამედ მკვეთრად ეწინააღმდეგება და ამახინჯებს კონტექსტის შინაარსს. ჩვენთვის საინტერესო სტროფში, როგორც ვიცით, უშვილობით გულგატეხილი მგოსანი დასტირის თავის ხვედრს: მუხანათმა ცხოვრებამ „ვით ბოლოკი მქნა ავრეზი, ამაჩოყა, ამაღერა"-ო. აბა რა შუაშია აქ ღვინის საწურავი ანუ ავრეზი, რომელიც ნაყოფიერების შედეგად შექმნილი საგნის სახელია და არა უნაყოფობის გამომხატველი? ჩვენი აზრით, მოცემული ტაეპისათვის ავტორს განუზრახავს დაეწერა სიტყვა „ავრეხი", მაგრამ შეცდომით ხანის (ხ) მაგიერ დაუწერია ზანი (ზ) და ჩაფიქრებული სიტყვის („ავრეხის") ნაცვლად სულ სხვა სიტყვა („ავრეზი") გამოსულია. ამას გვარწმუნებს შემდეგი გარემოება:

ა) სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფებში განმარტებულია: „ავრეხი — აყვავდეს და ნაყოფი არა ყოს (H 1658); „ავრეხი — აყვავდეს უნაყოფოდ" (A 1473, A 75). ასეთივე განმარტებაც გვაქვს ლექსიკონის მრავალ ათეულ ხელნაწერში. ილია ჭყონიას „სიტყვის კონითაც", „ავრეხი უნაყოფო ხე" არის („სიტყვის კონა", 1910, გვ. 1). ისიც საინტერესოა, რომ სულხან-საბას „სიტყვის კონის" ზოგიერთ ავტოგრაფში (H 1429, H 1035) „ავრეხის" მეორე მნიშვნელობაც არ არის დავიწყებული: „ავრეხი გუარად უნაყოფო ვაზი". ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ ძველ ქართულში „ავრეხს" ორგვარი მნიშვნელობა ჰქონია: 1) ზოგადი — გამრავლების უნარს მოკლებული მცენარე („აყვავდეს და ნაყოფი არა ჰყოს"; „აყვავდეს უნაყოფოდ", 2) და კონკრეტული — „გვარად უნაყოფო ვაზი", „დავითიანში" კი ავრეხი პირველი მნიშვნელობით ყოფილა გააზრებული. ზემომოყვანილ თავებში ჩვენი პოეტის უნებლიე შეცდომა უნდა აიხსნას ან **ზანის** და **ხანის** გრაფიკული სიახლოვით, ან „ავრეხის" და „ავრეზის" მეტის-მეტი გრაფიკულ-ფონეტიკური მსგავსებით, ანდა პოეტისათვის კარგად ცნობილი საგნის — „ავრეზის" (ღვინის საწურავის) „ავრეხთან" ასოციაციით.

ამრიგად, „დავითიანის" მოყვანილ ტაეპში პოეტის უნებლიე შეცდომას თუ გავასწორებთ, ე. ი. ზანს შევცვლით ხანით, მივიღებთ მხატვრულად და აზრობრივად გამართულ შესანიშნავ ტაეპს: „ვით ბოლოკი მქნა ავრეხი" (გამრავლების უნარს მოკლებული" და არა ავრეზი ანუ ღვინის საწურავი). „ამაჩოყა, ამაღერა, თესლ-შრეტით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერა".

**შ. ჩიჯავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები

გრიგოლ აბაშიძე — მოგზაურობა სამ დროში. რედ. რ. ორჯონიკიძე. გვ. 143, ფასი 33 კაპ.

რედიარდ კიპლინგი — მაუგლი. თარ. თამარ დიასამიძისა. რედ. მ. ამაშუკელი. გვ. 198, ფასი 1 მან. 27 კაპ.

კარლო კალაძე — ზურაბი და რეზო, გელა, გოჩა-ბიჭი, ხათუნა, ძილის გუდა ჭუტა, დათო, დათვის ბელი დათუნა. რედ. ვ. გვეტაძე. გვ. 24, ფასი 25 კაპ.

კ. უშინსკი — ყმაწვილები ქალაში. თარგ. იაკობ გოგებაშვილისა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 16, ფასი 2 კაპ.

მაყვალა მრევლიშვილი — მე და დედა. რედ. ლ. გეგელია. გვ. 27, ფასი 14 კაპ.

გოეთე — რაინეკე მელა. თარგ. ვახტანგ ბეწუკელისა. რედ. დ. ლაშქარაძე. გვ. 283, ფასი 83 კაპ.

მარგო თომაძე — სანდრიკო. რედ. მ. ამაშუკელი. გვ. 34, ფასი 7 კაპ.

ვერა ჩაპლინა — ჩემი აღზრდილები. თარგ. თამარ ღვინიაშვილისა. რედ. მ. ჭავჭანიძე. გვ. 186, ფასი 23 კაპ.

ა. მაიაკოვსკაია — ვლადიმერ მაიაკოვსკის ბავშვობა და სიჭაბუკე. თარგ. ბ. დარსაძისა. რედ. შ. ღარახველიძე. გვ. 86, ფასი 15 კაპ.

ივანე ურჯუმელაშვილი — ძმების საჩუქარი. რედ. ჯ. მიქაბაძე, გვ. 46, ფასი 6 კაპ.

ბოლესლავ პრუსი — ობლის ხვედრი. თარგ. ეთერ გორგაძისა. რედ. მ. ამაშუკელი. გვ. 113, გვ. ფასი 15 კაპ.

კონსტანტინე გრიგოლია — რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება. რედ. ნ. ბერძენიშვილი. გვ. 195, ფასი 60 კაპ.

თინათინ ოჩიაური — სტუმრად თუშეთში. რედ. რ. ინანიშვილი. გვ. 63, ფასი 40 კაპ.

შალვა ფორჩხიძე — ჩემი და შენი გულის ხმა. რედ. ნ. დარჩია. გვ. 43, ფასი 6 კაპ.

ალადინის ლამპარი — თარგ. შ. დუმბაძისა. რედ. მ. ამაშუკელი. გვ. 45, ფასი 17 კაპ.

ზურაბ ლორთქიფანიძე — სამშობლოს დილა. რედ. რ. ორჯონიკიძე. გვ. 92, ფასი 10 კაპ.

ღენგიზ გოგოლაძე — ბაბუა თეოფილე. რედ. ნ. დარჩია. გვ. 35, ფასი 4 კაპ.

ტარიელ ხავთასი — ციცინათელა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 16, ფასი 7 კაპ.

6782

ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО «САБЧОТА МЦЕРАЛИ»